

გიორგი ჭანტურია • რჩეული

ძნელია იმისა თქმა, ვის რა შეფასებას მისცემს ისტორია ათწლეულების შემდეგ... თუმცა, სუბიექტურ შეფასებაში არ ჩაგვეთვლება იმ ქართველზე საუბარი, რომელსაც ეყოს სულიერი ძალა და ფიზიკური გამბედაობა, აღედგინა დიდი ილიას ეროვნულ-დემოკრატიული იდეა და ჩვენი ეროვნული სინდისის მალვიძარა ყოფილიყო; რომელმაც საქართველოს უახლეს ისტორიაში პოლიტიკური ეპოქა შექმნა და საკუთარი სიცოცხლე თავისუფალ საქართველოს შესწირა. მაგრამ, ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ გია ჭანტურიამ შესანიშნავი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ეროვნულ-დემოკრატიზმა თავი ვალდებულად ჩავთვალეთ, გიორგი ჭანტურიას ლიტერატურული კრებულის გამოცემით, ერთის მხრივ, საზოგადოებისთვის გია გაგვეცნო არა როგორც პოლიტიკური მოღვაწე, არამედ მწერალი გიორგი ჭანტურია, ხოლო მეორეს მხრივ, ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა, თაობათა შორის სულიერი კავშირის აღდგენა; ჩვენი მიზანია, მომავალმა თაობამ, რომელსაც არასოდეს უნახავს გია ჭანტურია, მცირედით მაინც გაიცნოს და წაკითხვის შემდეგ, ერთხელ მაინც განიცადოს თავისუფლებისკენ მიმავალი გზის სიმძიმე და პასუხისმგებლობა საკუთარი ქვეყნის წინაშე. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ამ წიგნის გამოცემით კიდევ ერთხელ ქედს იხრის გიორგი ჭანტურიას ხსოვნის წინაშე.

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
პრეზიდიუმი**

2011 წელი.

გიორგი ჭანტურიძე

რჩეული

გამომცემლობა „სვეტი“
თბილისი
2011



- ორი რომანი
- მოთხრობები
და ესკიზები
- ლექსები პროზით
და მინიატურები

გამომცემლობა „სვეტი“
თბილისი
2011

მთავარი რედაქტორი: **ჯული გაბოძე**

რედაქტორი: **ეკა შინდამორიძე**

ტექ. რედაქტორი: **ზურაბ ღონღაძე**

დამკაზადონებელი: **თამარ ტყაზლაძე**

მხატვარი: **გიორგი წერეთელი**

კორექტორი: **მანია ფიფია**

ISBN 978-9941-0-3875-4

მკითხველი პირველად გაეცნობა **გიორგი ჭანტუიას** როგორც მწერალს. წინამდებარე წიგნში შეკრებილია და წარმოდგენილია დღეისათვის მიკვლეული მისი ნაწერების უმრავლესობა: ორი რომანი: „ოჩოპინტრე“ და „მოსე“, მოთხრობები, ესკიზები, სამი უთარილო და ერთი დაუმთავრებელი მოთხრობა,

ცალკე განყოფილებაში მწვანე რვეულიდან ქვეყნდება ავტორისეული სათაურით „მოთხრობების ციკლი — პანდემონიუმი“ და ლექსები პროზით და მინიატურები — „მძიმე წელი, წელი სასარგებლო“ 02.10.83.

წინამდებარე წიგნი მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის მხოლოდ ნაწილია. ვფიქრობთ, ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის მეტად საინტერესო იქნება ჩვენი ღრობის გამორჩეული პოლიტიკოსის ამ კუთხით გაცნობა.



ბიორგი ჭანტურია - ღაპარგული სამოთხის პიეზაში

მწერალი გიორგი ჭანტურია საზოგადოებამ 1990 წელს გაიცნო. ამ წელს გამოქვეყნდა მისი პირველი რომანი „ოჩოპინტრე“, სამი წლის შემდეგ, 1993 წელს – მეორე რომანი „მოსე“, ტრილოგიის შექმნა ჰქონია ჩაფიქრებული. ერთი წლის შემდეგ კი, 1994 წლის 3 დეკემბერს, „ტრილოგიის მესამე ნაწილი“ – უავტორო ტრაგედია გათამაშდა?! სამწუხაროდ, გიორგი ჭანტურია ამ დრამის მთავარი გმირი და მსხვერპლი აღმოჩნდა!

მისი მკვლელობიდან 16 წელი გავიდა. მწერალ გიორგი ჭანტურიას ნაწერების პირველი პუბლიკაციიდან – 20 წელი! 20 წელი საკმაოდ დიდი დროა. პოლიტიკურმა ქარტეხილებმა გადაიარა, მოვლენებს სახელებიც დაარქვეს და ადგილებიც მიუჩინეს. დროა, საზოგადოებამ უფრო ახლოს გაიცნოს მწერალი გიორგი ჭანტურია.

სწორედ ეს კეთილშობილური განზრახვა ამოძრავებდათ ვიას მეგობრებს, როდესაც მისი მხატვრული შემოქმედების წიგნად გამოცემა გადაწყვიტეს. შემდეგ კი თავი მოუყარეს გადარჩენილ და შემორჩენილ ნაწერებს და მათი გამოსაცემად მომზადება მომანდეს. ცხადია, ამ დიდ პატივს „პატიჟიც“ ახლდა, რადგანაც რედაქტორის მოვალეობაა, მაქსიმალურად გაითვალისწინოს ავტორის ნება და იმავდროულად ისე წარუდგინოს ეს შემოქმედება მკითხველს, რომ მისი ინტერესი გააღვიძოს. გიორგი ჭანტურიას პიროვნებისადმი მკითხველი საზოგადოების ინტერესს ნამდვილად არ სჭირდებოდა ჩემი შეფხიზლება, მაგრამ, დამეთანხმებით, რამდენად ძნელი იყო მწერლის შემოქმედებითი ნების დაცვა მაშინ,

როდესაც ავტორი გარდაცვლილია და მისი ნაწერები მისსავე სიცოცხლეშიც სრულად არ გამოქვეყნებულა. ერთობ ძნელია ოქროს შუალედის პოვნა და სუბიექტივიზმისაგან თავის არიდება, ასეთ შემთხვევაში, ყველაზე მისაღები მეთოდი ნაწარმოებთა ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით განლაგებაა და ჩვენც გამოცემის ამ ხერხს მივმართეთ, ოღონდ ამჯერად ქრონოლოგიური ხაზი ზემოდან ქვემოთაა მიმართული. ამრიგად, დასახელებული ორი რომანის გარდა, მკითხველი წინამდებარე წიგნში პირველად გაეცნობა გიორგი ჭანტურიას მხატვრულ შემოქმედებას: მოთხრობებს, ესკიზებს, სამ უთარილო და ერთ დაუმთავრებელ მოთხრობას, ცალკე განყოფილებაში მწვანე რვეულიდან ქვეყნდება ავტორისეული სათაურით „მოთხრობების ციკლი – პანდემონიუმი” და ლექსები პროზით და მინიატურები – „მძიმე წელი, წელი სასარგებლო” 02.10.83.

მწვანე რვეული მოიცავს გია ჭანტურიას ხელნაწერებს, რომლებიც დაწერილია ციხეში, 1983 წელს. თითქმის ყოველ ჩანაწერსა და ნაწარმოებს ახლავს ავტორის ხელმოწერა, თარიღი და ნაწარმოების შექმნის ადგილი. ზოგ შემთხვევაში – კომენტარიც. აქვეა ავტორის მიერ ჩაწერილი სქემები და გეგმები რამდენიმე დაუწერელი მოთხრობისა, წარმოდგენილია ლიტერატურის სია (70 ერთეული) ასეთი მინაწერით: „ციხეში და სუკში წაკითხული”, უაღრესად შთამბეჭდავია ამ ჩამონათვალის შინაარსი. მწვანე რვეულის დიდი ნაწილი ეთმობა ამონარიდებს ნაწარმოებებიდან და აგრეთვე, სხვადასხვა გამოჩენილი მოღვაწის ნააზრევებს. აქვეა ლექსი სათაურით „საიუბილეო”, რომელსაც ფრჩხილებში მიწერილი აქვს (თარგმანი ჩემია). ამონაწერი ჯუზეპე მაძინის შესახებ; გიორგი ჭანტურიას ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების მოკლე ჩამონათვალი 1983 წლის 11 ივლისიდან 23 ნოემბრამდე და ის ათპუნქტიანი შესასრულებელი გეგმა, რომლის განხორციელებას, როგორც ჩანს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ აპირებდა, მათ შორის: წმინდა გიორგის საყდრის აგება და ყველა ტაძრის მოლოცვა და შესაწირავების გაღება.

ყურადღება მივაქციოთ! ამ დროს გიორგი ჭანტურია მხოლოდ 24 წლისაა, მას საზოგადოება იცნობს, როგორც კომუნისტურ რეჟიმთან მებრძოლ თამამ ახალგაზრდას, მაგრამ არ იცნობს, როგორც მწერალს, არადა, აქ წარმოდგენილი ნაწერების უმრავლესობა უკვე დაწერილია! „ოჩოპინტრე“ 1976-1980 წლებშია შექმნილი, „მოსე“ – 1983-1985 წლებში! ეს ავტოგრაფიული ჩანაწერები უაღრესად საინტერესოა მკითხველისათვის და საყურადღებოა გიორგი ჭანტურიას შემოქმედების მკვლევართათვის.

ამრიგად, მკითხველს საშუალება ექნება, წინამდებარე წიგნში თანმიმდევრულად (რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო არსებული მასალის მიხედვით) გაეცნოს გია ჭანტურიას 1985 -1975 წლების შემორჩენილ და გადარჩენილ ნაწერებს.

წერა ადრე დაუწყო. როგორც ჩანს, წერდა ყველგან: სახლში, სკოლაში, აგარაკზე, ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით, „სუკის“ იზოლატორში, როსტოვისა და ორთაჭალის ციხეებში ასეთი წარწერებით და მინაწერებით: ეს არის გია ჭანტურიას ავტობიოგრაფიული ესკიზი, რომელიც დაწერილია პატიმრობის დროს „ბურში“ ყოფნისას, 1985 წლის 15 თებერვალი; როსტოვის ციხე, საკანი №3. ღამე, 19-20 ოქტომბერი, 1984 წელი. ან კიდევ მოთხრობა დავიწყე 1985 -1972 წლების 31 აგვისტოს და დავაძაბე „ბურ“-შივე 19-20 ოქტომბრის ღამეს. ბური პკტ-1.

წერს შემოქმედზე, სიყვარულზე, ცხოვრების უსამართლო სამართალზე, თუ მეოცნებე მათხოვარზე, ღალატზე და სხვადასხვა სახით მოსულ მტერზე. წუხს და ეძებს ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზას, ამიტომაც ახსენებს მკითხველს საქართველოს წარსულს, ღრმა ერუდიციისა და ანალიტიკური ლოგიკის მეშვეობით, მხატვრულ და სიმბოლურ სახეებად აქცევს „დაკარგული სამოთხის“ დედაქალაქს – პანდემონიუმს, ბიბლიურ მოსესა და მითიურ ოჩოპინტრეს, უძღებ შვილს – იაზონისგან უარყოფილ მედეას, რომელიც საბოლოოდ მაინც ქართლის დედის მკლავეებში ჰპოვებს ნავსაყუდელს..

წმინდა ქალწულის თმებით შეკრული ჯვრით კვლავ და კვლავ ეზიარება და ცდილობს, მკითხველიც მოაქციოს ჭეშმარიტ სარ-

წმუნობაზე, „ნინო“ (სურათები ქართლის მოქცევიდან); თანამედროვეთა გაუხეშებულ სმენას მიაპყრობს “მარაბდის გოდებას” და მკითხველთან ერთად ხარობს ორმოდან ამოსული დავითისა და დაკარგული სამოთხის დაბრუნების იმედის სიხარულით.

მწერლის ფიქრისა და განსჯის საგანი უაღრესად დიადა, დაკარგული რწმენისა და თავისუფლების აღდგენისა, პიროვნებად დარჩენისა და გადარჩენისა, ეს კი ერის არსებობის უწინარესი პირობაა! ყოველივე ამის გააზრებას გიორგი ჭანტურია შესანიშნავად ახერხებს მრავალრიცხოვანი ბიბლიური, მითოლოგიური, ისტორიული და მსოფლიო თუ ქართული ხალხური და კლასიკური პერსონაჟის დახმარებით. მწერლის გამორჩეულ უნარზე მეტყველებს ისიც, რომ ნაწარმოებში მრავალრიცხოვან პერსონაჟთა თანამოქმედებისა და რთულსიუჟეტანი ეპიზოდების მიუხედავად, მკითხველს არ უჭირს მათი სწორი რეცეფცია. მარადიულ თუ ყოფით პრობლემებს შეჭიდებული მისი გმირები გამუდმებით ეძებენ სამყაროს საზრისს, მსჯელობენ, უყვართ, სძულთ, იბრძვიან, ეწირებიან, და ბოლოს, იმარჯვებენ კიდევ. ოჩოპინტრე იარაღს აგდებს და ბავშვად გადაიქცევა, მკვლეელი კურთხევას ითხოვს („მაკურთხე“), პატიმარიც, როგორც იქნა, ჩასწვდება მოსეს მოგზაურობის არსს, თუმცა ბოლო ყოველთვის კეთილი როდია.... და სულისშემძვრელია იერემიას გოდება (მოთხრობიდან „ახალი იერემიას გოდება“), ისეთივე სულისშემძვრელი, როგორც მისი ავტორის ეს წინასწარმეტყველება: „თვითონ შენნი დაგკორტნიან. საზარელი სიკვდილი გელის!“... „გადავდივარ უდაბნოს ბოლოს და უკანასკნელ ლოდზე ამოტვიფრულ წარწერას ვეძებ, იქვე საფლავია ამოთხრილი, უცხედრო საფლავი?! მივიხედ-მოვიხედე. ოღნავ, მოშორებით თეთრი მარმარილოს ქვას წავაწყდი. წარწერა ახალი უნდა იყოს. „პოლიტიკოსთა უგუნურების მსხვერპლი“. მარმარილოს „ცხელი“ სისხლის ფართო ლაქები აჩნია. იქვე ოთხციფრიანი თარიღია. ყველა კუთხოვანია. ბოლო ციფრის გარჩევა გამიჭირდა. მისი ზედა და ქვედა ნაწილი ჩამომტვრეულია. ბოლო ციფრი უნდა იყოს ან 4 ან 9 (ე.ი. 1994 ან 1999).

ნეტავ, ვინ კიდევ?”

სამწუხაროდ, ამ მოთხრობის დაწერიდან 9 წლის შემდეგ, 1994 წელს, ახდა ეს ავბედითი წინასწარმეტყველება.

მაგრამ ცოცხლობს მწერალი გიორგი ჭანტურია და მკითხველთან შეხვედრას ელის! წიგნიერ, გულისხმიერ, სიყვარულითა და თავისუფლების წყურვილით აღსავსე მკითხველთან!

წინამდებარე წიგნი მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის მხოლოდ ნაწილია, უფრო დიდი ნაწილი ჯერაც გამოსავლენია, შესაკრებია და გამოსაცემი.

ჯული ბაბოძე

ფილოლოგიის მაცნეირებათა დოქტორი

*პირადად არასოდეს შევხვედრივარ.
ერთმანეთისთვის ხელი არ ჩამოგვირთმევია.
პირველად გარდაცვლილს ვაკოცე შუბლზე.*

უღრმესი მაღლობა

პირველი, რასაც გიორგი ჭანტურიას გახსენებისას თუ ტელეეკრანზე დანახვისას განვიცდი, ეს უღრმესი მაღლობის გრძნობაა.

მოგეხსენებათ, ჩვენს ერს ამ ბოლო წლებში როგორი თვალნათლივი უბედურებების სხვადასხვაგვარი სახეობებიც დაატყდა. თვალნათლივი, თორემ უბედურებები ადრეც არ გვაკლდა, მაგრამ ისინი როგორღაც შენიღბული, ეგებ უფრო მზაკვარიც და, ჩვენდა სამარცხვინოდ, ხშირ შემთხვევაში სულის შეგნებულად დაცემა და შეგნებული თავის მოჭრა იყო, როგორი თვითდამამცირებელი, დამამდაბლებელი, ხოლო უდიდესი გასაჭირი, მოგეხსენებათ, ამალღების შესაძლებლობის ბედნიერებაცაა. მაგრამ, როდესაც ეგრეთ წოდებული „თავისუფლება“ მოგვევლინა, განსაკუთრებით მაშინ იჩინა თავი მანამდელი შეგუების შედეგებმა, ანუ როცა იქმნებოდა ავად ასამოძრავებელი დამღები. იმ ბევრწლიანი ცოდვებისათვის განკითხვამ სწორედ მზამზარეული „თავისუფლების“ დროს გვიწია. ამღვრეულ წყალში განსაკუთრებით იჩინეს თავი ცრუ პატრიოტებმა, ცრუ დისიდენტებმა, ცრუ ბიზნესმენებმა, მერე და მერე აშკარად ჩარჩებმა, ავაზაკებმა, მლიქვნელებმა, ბანდიტებმა, ცრუ მოშიმშილეებმა, ადრეხვეჭია გაქნილებმა, ცრუ შეკოწიწებულ უმაღლეს სასწავლებელ-აკადემიათა ცრუ აკადემიკოსებმა. ყოვლად გაუნათლებელმა და ჭკუის ხეპრე მასწავლებლებმა და, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ დალაგებულმა ყბედებმა და ასე, ღირსეული ხალხის დიდი ნაწილი კი, გულშემოყრილი, ანუ დიდი გაკვირვებისაგან დაბნეული, დუმდა. სულ ცოტა, 200 პარტია

მინც სასწრაფოდ შეითხზა, რომელთა დიდი უმრავლესობის ძირითად საქმიანობას ის შეადგენდა, რომ თითქმის (თითქმის, თორემ როგორ არა გვყავს ნაღდი მამულიშვილები და იმათშიც როგორ არ ერივნენ), ლამის ყოველ მათგანს დანარჩენ 199-ზე სულ „სუკ“-ის აგენტი უნდა ეძახათ, ხოლო ეს ძახილი 199-გაგებულად უბრუნდებოდათ.

მაგრამ რა უჯობდათ ამათ – თან პატრიოტიზმში ეთვლებოდით და, თანაც განსაკუთრებით ჩაუქებმა მაგრად მოითხეს ხელი და სხვა, სასავარძლო ადგილიც. ამსახსნა „მამულიშვილები“ არც უზენაეს საბჭოს აკლდა და არც პარლამენტს, სხვადასხვაგვარი ხრიკები ჰქონდათ თავიანთი პირობითი მომგებიანი ცრუ სამართლისა თუ მწირი ცოდნის, თავიანთივე ჭკუით, აღსაზევებლად. ზოგს, ასე ვთქვათ, აკადემიურად ეჭირა თავი. ბევრნი შთამბეჭდაობის მოხდენას ლამობდნენ, რაც ძირითადად უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან ამოკრეფილი ათიოდ გაზაფხულის სეტყვის უადგილო და წამდაუწუმ გამოყენებაში გამოინახებოდა. ზოგს ხან აქეთ გაძარცვულ-დაჩაგრულ აღშფოთებულად მოჰქონდა თავი, მინამდელი არამი ლუკმა რომ შერგებოდა. ხშირი იყო ურთიერთთავდასხმებიც და უფრო კი იყო „ხელმა ხელი დაბანას“ პრინციპით „შენც სუ და მეც სუ“, ზოგი ხან დახვეწილს დიდად თამაშობდა და ზოგიც უბრალოდ თამაშობდა ყომარსა თუ დაჭერობანას. ზოგ ვითომ ვაჟკაც ყმაწვილს პირადი დაცვა ჰყავდა იმდენად მრავალრიცხვა, ჩვენს რამდენჯერ გაძარცვულ ხელოვნების, სახელმწიფო კი არადა, საბრალო მუზეუმს საიმათო თანხაზე ობოლი ხელი სად მიუწვდებოდა. მრავალწახნაგოვანებიც იყვნენ – არცთუ იშვიათად მძვინვარების გვერდით გვხვდებოდნენ განაზებული მამაკაცები და მოხულიგნო კი არა, პირწავარდნილად ხულიგანი ქალები და უხამს საწადელსაც როგორ ვერ აღწევდნენ - მსგავსთა „პატრიოტობებით“ და აგრეთვე „ხელმა ხელი დაბანა“-ს ქმედებით დიდად გამრავლდა ფარდულები და სალუდეები და ძვირფასი ბენზინის წერტები. და ავნიკოტინიანი სიგარეტის გამოყენება მისწრება ყოფილა

მათებული კეთილდღეობა-ჯანმრთელობისათვის, და უცხოური ყულაბა-ბანკების მათგანს ერთი მცირერიცხოვანი ერის, მხოლოდ საქართველოს მამულიშვილობა რას ეყოფოდა და აიღეს ისლის თუ ნაკელის ქოხები ჩაიდგეს ფრანგულსა თუ გერმანულ, ალბათ, ზვრებში – აკი მევენახე ხალხი ვართ ჩვენ კაციან-ქალიანა.

ამ ცრუპენტელა მემამულეთაზე მეტად ჩარჩოვნად გამოფენილი პატრიოტებიდან, ერთის შეხედვით, გასაკვირია, მაგრამ გონებით მოავადმყოფოები შედარებით მომხიბვლელად გამოიყურებოდნენ შემდეგი აღთქმით – „რა ქნას იმანაც“ საწყალმა, მაგრამ მთლად საწყლები არც უნდა ყოფილიყვნენ – მანქანები და ავტობორცი მოემრავლებინათ. რა ექნათ წესიერ ხალხს – გულზემჯილური ორატორობა ყველას ვერ შეეძლო და მათი დიდი უმრავლესობა გაოგნებული იჯდა და შეჰყურებდნენ და უსმენდნენ – წესიერი მამულიშვილები უწესოებს. ნამდვილი მეცნიერები ყალბად განსწავლულებს. უფლებაყრილი საქმიანი ხალხი ყბედ, ენა-გატლექილ უმაქნისებს. და მაინც, ამ განუკითხაობაში (ჩვენებული თურმე – ამ ერთ-ერთი ძირითად სახეობაში), საბედნიეროდ, ერ-ივნენ ისეთებიც, რომლებიც თავიანთი ჭეშმარიტებითა და გონიერებით იმედს ჩაგისახავდნენ, მერე და მერე გაგიღვივებდნენ, მერე კი თავიანთ უდიდეს რწმენას, რწმენას სამშობლოს უკეთესი მომავლისადმი ისე გაგიზიარებდნენ და გადმოგცემდნენ, რომ ხელჩაქნეულობით წარმართული მივიწყებული და ნამდვილი საქმის დაწყების, განგრძობისა და აღდგენის მართლა მჯეროდა. იმათგან, ვინც ხშირად ვხედავდით, კიდევ კარგი, რომ სხვებთან ერთად, ჩემზე ასაკით უმცროსი თაობიდან ერთ-ერთი, გამორჩეულად ასეთი, რამდენიმე მამაკაცთან და ქალბატონთან, ჩემთვის ბატონი გიორგი ჭანტურია იყო და არის.

არავის ვახვევ თავზე ჩემს აზრს, ვიმეორებ – „ჩემთვის“... თან, ყველას არ ვიცნობ და არ მომისმენია, რადგან დეკლამატორებით მილიონერი ჩვენი რადიო-ტელევიზიის ყურება-სმენისას და რეკლამირებული „მოდინახე-წამიკითხე“-ს იმედით გადატიკნული, გამაღიზიანებლობის გარდა, ხშირად ამაო პრესის კითხვასაც

ვერიდებოდი... სულ რომ არაფერი მოგეხსენებათ, რამდენი გახდა წნევისა და გულის საეჭვო საშუალებანი ჩვენში.

და, მაპატიეთ და, მითქმა-მოთქმებს ვერ აყვები. მოგახ სენებთ მხოლოდ იმას, რაც პირადად მინახავს, წამიკითხავს და მსმენია.

თავიდან, რაა დასამალი, ნაკლებ მჯეროდა მისიც, ვხედავდი, როგორი ზოგიერთების გვერდითაც იდგა. მინახავს ბრმა იარაღადაც გამოყენებული, მაგრამ ეს ალბათ საერთო საქმისადმი მისი თავგანწირული ერთგულების და საკუთარი თავდადებიდან გამომდინარე, ვითომც თანამებრძოლებისადმი ნდობის გამოვლენის უნებური ხინჯი ყოფილა და მასზე გაცილებით ადრე, 1978 წელს, ერთი თვრამეტი წლის სწორედ თვალახელილ ახალგაზრდას და ახლაც როგორღაც უცნაურად სწორ ქალბატონს თუ არ ჩავთვლით. მოგვიანებით, მაგრამ ერთ-ერთი პირველთაგანი საბოლოოდ დაადგა სწორ, უცუდასხვისო გზას, რომელი გზაც აშკარად გამოიხატებოდა როგორღაც მკვეთრად შემართულ პატიოსნებაში, შეუგუებლობაში, საგნებისა თუ მოვლენების სწორი სახელის დარქმევაში; თვალაუხვეველ და შეურიგებელ დაუხვევლობაში ყოველივე მანკიერებისადმი, მანკიერება კი, ადრეც ჩამოთვლილი, რომელი ერთი გვაკლდა და, მართლაც და ცხელ გულზე სწორედ ის ნამეტანობა მოსდიოდა, რომელიც, მეორე მხრივ, ჩვენთვის სწორედ რომ უაღრესად საჭიროც კი იყო.

ხოლო ტელევიზიით გადმოცემული მისი სასამართლოს ყურებისას მისით პირველად აღფრთოვანდი კი არა, გაცილებით მეტი... ეს იყო ის დრო, მეპატიოს ეს ცოდვა და, ლამის საბოლოოდ ხელჩასაქნევი, როდესაც ძალიან ბევრნი, მოხვეჭის იმედით, ადრე საძულველ ვინმეს კერპად ისვამდნენ და სულ ახლახან ვისიძესი დაუდგრომლად მაგინებლებიც კი, სწორედ მისი, მათი განსაზღვრებით, „გაუმართლა-გამარჯვებული“-ს სამსახურში დგებოდნენ, როცა ნამუსზე ხელს იღებდნენ, როგორ – ვითომ მხოლოდ მათ უყვარდათ გაჭირვებული ოჯახი? კარგი გამოსავალია, როგორ არა, იფ. კი, მაგ-რამ, ვიძეორებ, წესიერი ხალხი, იმ თითქმის საყოველთაო, 80 პროცენტზე მეტ შემწლაში (ამ სიტყვის ორივე მნიშვნელობით), დიდ ძნელ ჩრდილში აღმოჩნდა.

და ასე, ამდენი უმსგავსოებისგან საგონებელში კი არა, სასო-
წარკვეთაში ჩავარდნილმა ტელევიზორის ეკრანზე ერთი ნაღდი
კაცი ვიხილეთ. ზოგიერთს ადრე ისიც გვინახავს, საკანში პირვე-
ლივე შემოსვლისა და ზურგსუკან კარის მოჯახუნება-ჩაკეტვისთა-
ნავე, მეტად თუ ნაკლებად როგორ იბზარება ადამიანი, თანდათან
როგორ ემჩნევა ეს საქციელებსა თუ დაფიქრებაზეც კი, თუნდ უნ-
ებური და გაუცხადებელი, მაგრამ მაინც აშკარად მოსახვედრი და
გასაგები დამლა „როგორმე გარეთ! გარეთ! ოღონდ გარეთ და“...
მერე ამ შფოთისაგანაც კი, როგორღაც გაცილებით დამყოლი და
შეგუებულიც კი ხდება (უმრავლესობაზე მოგახსენებთ), ხოლო
იმასაც კი დაუვმატებთ, შეგუებისთვის როგორ იწვრთნება იმითაც,
რომ ერთსა და იმავე დროს აღვიძებენ. ერთ დროს ასმევე-აჭმევენ,
როცა სხვებს (თანაც როგორ სხვებს!) მოესურვებათ, მაშინ უნდა
დაიბანონ დასაძინებლად დაწვენენ, და ასე ვთქვათ, და შემოღობილ
ჰაერზედაც კი უნდა გავიდნენ, და ყოველივე ამით და რაც მთავარია,
იძულებით, ყოვლად უთავისთავო უმოქმედობით და მხოლოდ „რო-
გორმე გარეთ!“-ის აწონ-დაწონვებით, მართლაცდა ფიქრაწეწილები
გარემოებას მაინც ეგუებიან, მაგრამ ღაცემით იყვნენ და არა არიან
რა... დიდი ნაწილი, და არა ყველა, ვიმეორებ.

იგი კი, ბატონი გიორგი ჭანტურია, იმ შეთითხნილ სასამართ-
ლოზე წუთით კი არა, წამითაც კი არ ჰკავდა არამცთუ პატი-
მარს, არამედ ხშირ შემთხვევაში უმიზეზოდაც კი დამფრთხალ
სასამართლოურ მოწმესაც კი. თავი და თავი ამან გამოაცა.
ამდენი თავის, ასე ვთქვათ, ვითომდა მოთოკილი, და მართლაცდა,
„მშრალად“ მოშიმშილე, საკვირველია, მაგრამ როგორღაც ერთ-
დროულად ღალად განრისხებული და ამასთანავე, დარბაისლუ-
რად სხაპასხუბით ლოგიკური იყო. ძალიან ბევრ სასამართლოს
თუ არა, კარგა საკმაოს დავსწრებივარ, მაგრამ ასეთი შემარ-
თული და თავისთავადი, თუმც ვითომ ყარაულებიანი, მართალი
გითხრათ, თავისუფალი პატიმარი მე არ მინახავს.

მისი ცქერა და სმენა, მხოლოდ მაშინ კი არა, ყოველთვის
გამყოლად შვება და, უფრო მეტიც კი იყო ჩემთვის. მოგეხსენე-
ბათ, ქუჩაში სისუფთავეზე მეტად ნაგავი რომ შეინიშნება, ხოლო

იმდენ ნაგავში მისი, სუფთას არსებობა, სულის მოთქმა კი არა, სულზე მისწრება იყო პირდაპირ, ხოლო ის სასამართლო იმითაც იყო დიდად საყურადღებო, რომ „საქმე“- ც კი ვერ შეუკოწიწეს. არადა, მისი მტრებისთვის ერთ-ერთი ნომერ პირველზრახვა იყო, რომ როგორმე უნდა დაედანაშაულებინათ, მაგრამ თავიანთი „მოსაზრებულობა“ იმაშიც დაეტყვოთ, რომ მაინცდამაინც იმ დღისათვის მოსდეს უნიჭო შარი, ასამდე თანადამსწრემ რომ იცრუა მისი „დანაშაულის ადვილზე“ კი არა, სულ სხვაგან ყოფნა, და აკი გათავისუფლებაც კი გადაუწყვიტეს ვითომ, მაგრამ თურმე მხოლოდ ოქმურ სიტყვიერად, რადგან ეს აღარ ვიცე, სხვაგან და აღრეც თუ მომხდარა მსგავსი რამ – აიღეს და მაინც არ გაათავისუფლეს, ანუ არ გამოუმევეს. თავიანთი ნება (კიდევ კარგი, რომ მოკლედროებითული) არ იყო.

ახლახან მისი წერილი წავიკითხე იმ დიდ წიგნზე, „მოზი დიკი“ რომ ჰქვია. უცნაური რამ კია ეს „განათლება“ და „ნაკითხობა“, რადგან ზოგიერთმა რაც უფრო მეტი იცის და წაუკითხავს და სმენია, დიდად უცნაური და სავალალო კია, მაგრამ უარესია. მის წერილში კი, თანაც საკანში დაწერილის, სადაც „დამხმარე“ ლიტერატურა ნამდვილად არ ექნებოდა, ყოველგვარი თავის მოწონებისა და თავგამოჩენის არამცთუ ბევრისთვის ადვილად სულწასადლევი მცდელობა, ნატამალიც კი არ შეიმჩნეოდა, მიუხედავად იმისა, როგორ ღრმად და როგორი დაკვირვებით კი არა, აღმოჩენილურად აქვს შესისხლხორცებული და, უფრო მეტიც, შესრულებული, და დიადი, ურთულესი, ამ მშვენიერ წერილთანაც კი საკმაო წიგნი. ხოლო მისი, როგორც მკითხველის, ეგრეთ წოდებული „პარალელები“ მხოლოდ პარალელები კი არაა, არამედ ჩვენზე გადმომდები აუცილებელი სირთულე, გამორჩეულად წვდომა. ის ნანატრი სიღრმე, რელიგიის, ლიტერატურისა და ფილოსოფიის შესაშური ცოდნით რომ მიიღწევა.

და, არცაა დიდად გასაკვირი, ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში მისი რომანი „მოსე“ უაღრესად საყურადღებო წიგნი, სათანადოდ რომ შეუფასებია.

ეს განსაკუთრებული ნაწარმოებია. წიგნი თავისი ერის მონობიდან გამოყვანისა და მისით დაფიქრებულ, მის მიმღევარ ქართველ პატიმარზე.

პირადად არასოდეს შევხვედრივარ. ერთმანეთისთვის ხელი არ ჩამოვევრთმევი. პირველად გარდაცვლილს ვაკოცე შუბლზე. ტელეფონით კი ხშირად ვსაუბრობდით. მე წამოვიწყე ეს — ერთგან გამოსვლისას თბილად მახსენა და, მეც, რაა დასამალი, დიდად გახარებულმა — ხომ გააჩნია, ვისგან, დაკურეკე. მერე კი, ყოველ შობას, ახალ წელს, აღდგომას ვულოცავდით ერთმანეთს.

უცნაურია. ასეთი ახლობელი და, უტელეფიზიზოროდ ერთხელაც არ მენახა. ბოლო საუბრისას, გულმა მიგრძნო თუ რა, რამდენი მცველი გყავთ-მეთქი, ვკითხე. ორიო, მაგრამ ნებაყოფლობითები, თავიანთი გადაწყვეტილებით, მეგობრებიდანო. ცოტაა-მეთქი, მხოლოდ ეს ვუთხარი, რადგან იმხანად, საკმაოდ ბევრი ყოვლისმაკადრებელი გადაიკიდა.

მართლაც, მცველად, იმ საბედისწერო დღეს, მართლა მეგობარი ჰყოლია, რომელიც მართლა გადაჰყვა. ხშირად არ გვესმის პირადი მცველების ასეთი თავგანწირვა (ავილოთ თუნდაც გერმანია, ინდოეთი, იტალია, აშშ და ა.შ.), ისევე როგორც „გეო“-ს (გაერთიანებული ერების ორგანიზაციას რად უწოდებენ „გაეროს“-ს, გეო უფრო მშობლიური არაა?) უნარიანობა ვერ გავიგე, რადგან ეს უკანასკნელი გაცხარებულ მოჩხუბრებს მხოლოდ „არ გინდათ, ნუ გინდათ ჩხუბი, ბიჭებო, ჩხუბი ცუდია არის“-ს ეძახის, ხოლო აგერ სულ ახლახან, დიდად გამობრძმედილი პირადი მცველების მიუხედავად, იმ ბედოვლათ გორბაჩოვს (რომელმაც კარგად კი დაიწყო, მაგრამ შემდგომ ის მაინც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ხმების ერთ პროცენტსაც ვერ მიიღებდა), არც აციეს და არც აცხელეს, და პირდაპირ მოვლილ სახეში უძღვნეს მუშტი.

რაც შეეხება რომანს „მოსე“, არ შემიძლია, რამდენიმე ადგილი მაინც არ გავიხსენო. თუმცა, ვისაც არ წაუკითხავს (ასეთები კი, სამწუხაროდ, ჩვენი დიდი უმრავლესობაა), არც არიან მისი წინადადების ღირსი, ვისაც წაუკითხავს და ბიბლიაც შედარებით იცის, ამ ნაწარმოების ფასი ისედაც მოეხსენება; უბრალოდ, ისევე მინდა გავიხსენო, ოღონდ ჩვენდა გასაგონად.

„მოხუცი და ბიჭი, მოხუცი ძალიან მოხუცია... ჭინჭემოხვეული ჯოხი უჭირავს და მისი დახმარებით დადის... ახლა კი ჩამოვდა და ბიჭს ესაუბრება: ქართველი ერის ისტორია, შვილო, მარტო კი არ უნდა იცოდე, არამედ უნდა გტკიოდეს. თუ არ გტკივა და მხოლოდ ცოდნა გაქვს, რაც უნდა ზუსტი იყოს შენი ცოდნა, მაინც არ არის ცოდნა, რადგან არ გტკივა, ვერ გრძნობ...“

ხოლო თავად მას, როგორ მუდამ ახსოვდა, როგორ სტკიოდა! მართლა სტკიოდა...

და ბევრისსაგან განსახვავებით:

„კარგია თბილისი. მოჩანს ვიწრო და ჩახლართული ქუჩები. შუაზე გადამკვეთი მტკვარი, საძულველ ქვეყანაში (ნეტა, რომელში – ავტორი) რომ იღებს სათავეს“.

მართლაც და, მხოლოდ საღორე თუ შეიძლება გაგიშენოს იმან, ვისაც ღორები ეჯავრება...

ისევ მოხუცი: „გაჭრილი სხეულიდან სისხლი მოედინება. სისხლს სწრაფად შედელების უნარი აქვს... ეს რომ არა, რამდენი ხანია, სისხლისგან დაიცლებოდა.“

მაგრამ ჭრილობა კვლავ მოუშუშებელია: „შედელებული სისხლი შემხმარა და ტკიპასავით მიჰკვრია კანს“.

საკვირველი. სამხატვრო აკადემიას კი არა, სამხატვრო ტექნიკუმსაც კი რატომ აგიშენებს ის, ვისაც მხატვარი კი არა, დარგის შემოქმედიც არ ჰყოლებია.

„დაბალი: მანამდე კი ჩვენ შენ (ოოჰ, მაპატიეთ, თქვენ!) მოგსაობთ.“

მაღალი: მერწმუნეთ, ასევე, მეც მოგსაობთ, რომ...“

დაბალი: მაგრამ შევეშვათ, იცი, შენ კიდევ გაქვს შანსი.

მაღალი: რა შანსი?

დაბალი: სიცოცხლის გადარჩენისა.

მაღალი: გმადლობთ, მაგ შანსი თქვენთვის დაიტოვეთ, მე არ ვსაჭიროებ. მე მკვდარიც კი უფრო საშიში ვარ თქვენთვის, ვიდრე თქვენი „შანსის“ ფასად ცოცხლად დარჩენილი“.

და განასკუთრებით საგულისხმო:

„აი, ვინ გვჭირდება! – გაიფიქრა პატიმარმა, – არა, შეცდომები როგორ არ ჰქონდა, ზოგჯერ ძალიან მძიმეც კი, მაგრამ“

თავდადება? სიმტკიცე? უდიდესი ნებისყოფა?“ – ეს, გარიბ-ალდზეა ნათქვამი, და საკუთარი თავის მიმართაც უნდა იყოს, და რომ არ გეგონოთ, რომ ბატონ გიორგის მხოლოდ ძალიან ცალმხრივად ვუდგები, მის შეცდომებსაც გავინსენებ: შეცდომა იყო, აბა რა იყო, ოღონდაც მხოლოდ ახლაგაზრდული, მისი თაოსნობით გაზეთ „თბილისი“-ს (რომელშიც, სხვა თუ არაფერი, მიცვალებულის ჭირისუფალთა განცხადებებია: შეეჩერებინათ. ამ გაზეთის ნაცვლად, ვთქვათ... ჰეე, რამდენია, რომელი ერთი) გამოშვების შეფერხება, თეატრებში სინათლის გამორთვა, ესეც იმ გულუბრყვილობით, რაღა დროს თეატრიაო (მაგრამ ხომ გააჩნია, რომელი და როგორი სპექტაკლი გადის); მისი, ჩემთვის ყველაზე მძიმე შეცდომა კი, რომელმაც მხოლოდ გული დამწყვიტა კი არა, გულზე ძალიან მძიმედ მომხვდა, ეს ბატონ ზურა ჭავჭავაძისადმი მისი... როგორი... როგორი და ნამდვილად არასწორი მოქცევა იყო, მაგრამ ეს წინასწარმეტყველური „არა, შეცდომები როგორ არ ჰქონდა“, ეს მისი იდეალისადმი გამოთქმაც არაა ძალიან გასაკვირი, რადგან მისი ადრეული შეცდომაც, რომ კერპიც ჰყავდა ასეთი, რომ ციხეშიც კი მოვლენილი ის „თხა, რომელსაც ცხენის თვალები ჰქონდა“, – უტყუარი სახეა. და, იმაშიც როგორი სწორია, რომ ვერაა სასიამოვნო, მართლაცდა, ჩვენი მეფე ერეკლე, პატარა კახი, სამშობლოსათვის როგორი თავგანწირული და უშიშარი მეომარი, მაინც სპარსულ ქუდს, შეჩვევისამებრ რომ იხურავდა.

მერე და მერე კი, სამშობლოს ის ჭრილობა, შედედებული სისხლით მოსვრილი, როგორ სტკიოდა! ბრძოლა სტკიოდა, მართლა... და როგორი ზუსტია ყველგან თუნდაც:

„...კარგი ვაჟკაცი, ეს სიტყვა მაინც საიდან გამოტყვერა. თან რა უაზრობაა... კარგი ვაჟკაცი. ცუდი ვაჟკაცი ხომ არ არსებობს. რადგან ვაჟკაცია, ესე იგი, კარგიცაა... ჰმ, კარგი ვაჟკაცი სისულელეა“. ნამდვილად, ისევე, როგორც არ არსებობს კარგი ქრისტიანი. „ქრისტიანი“ თავისთავად ამაღლების მომცველი სიტყვაა, ისევე, როგორც „მამულიშვილი“, „ერისკაცი“ და, ვაჟკაცო-

ბისათვის თუკი ზედმეტია სიტყვა კარგი, სამაგიეროდ, უმსგავსო-
ბას რატომღაც ბევრი განსაზღვრება შეეფერება. ასე, მაგალითად:
„პირწავარდნილი ნაძირალა“, „სქელშებლა ყბელი“...

ხოლო,

„ვაჟკაცი!“

სწორედაც რომ იყო და არის.

მაპატიებს ამ დაუთანხმებლობას და, ჩვენი დაბნეული ახალგაზ-
რდობისათვის (რა ქნან იმათაც, დაბნევისათვის იმდენი რამ აქვთ
ხელშესაწყობი), და არა მხოლოდ მათთვის, ნამდვილი ვაჟკაცი.

რადგან, როგორც არ უნდა ჰქონოდა გამძაფრებული აღსას-
რულის მოლოდინი, რა უნდა მომხდარიყო, ის რომ სადმე გა-
დაკარგულიყო და არხეინობაში მიმალულიყო; თუმცა, ამგვარი
მაგალითებიც მრავლად გვაქვს. აგერ, ერთხელ ერთი პატივის-
ცემით დიდად შერაცხული ვინმე-რამ რომ გამოვიდა ტელე-
ვიზიით და მთელ ხალხს საქვეყნოდ მიმართა, რათა მამულის
საკეთილდღეოდ შვილები გაეშვათ ომში. ის ომი თუ რა ომიც
იყო, ძალიან ძნელი დასადგენია, მაგრამ მისი წამხედურობით,
უკიდურესი განწირულობისას მაინც ბევრი ბავშვი წავიდა და
ისე გაიწირნენ, იარაღის მიღებაც კი ვერ მოასწრო ბევრმა,
ხოლო ვინც ამ აღიარებულ ორატორს იცნობდა და იცნობდნენ,
რომ თავად იმას სამი ვაჟი ჰყავდა, თანაგრძნობით ისღა ნამდ-
ვილად ინატრეს, რომ სამივე ერთად არ გაეშვა, რომ ერთი მაინც
დაეტოვებინა ნუგეშად, მაგრამ, თურმე ნუ იტყვიოთ და, ორი ვაჟი
თვით ვრცელ მატერიკ ამერიკაში ჰყოლია კოხტად მოყუჩებული,
მესამე კი მხოლოდ კუნძულ კვიპროსში. ასე რომ, მრავალსახა
გარეწირებს მაინცდამაინც ჯერ სხვაგან ნუ დაუწყებთ ძებნას,
რადგან ჩვენშიაც ბლომად არიან.

„ვაჟკაცი!“

სწორედაც რომ ის იყო და არის.

თვალსაჩინოებისთვის, მაგალითისთვის, გამხნეებისთვის,
გამოფხიზლებისთვის.

ულრმესი მადლობა.

და თავად, მისი ყველაზე წინასწარმეტყველური მაღლიერება, რადგან რომანიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ფარულ პროკურორებ-მოსამართლის ქვეშ-ქვეშურად გამოტანილი განაჩენით, ვითომც მოსპობა მიესაჯა. სინამდვილეში კი, სწორედ განჩინების აღსრულების ჟამს, როგორც სწორად მიგნებული და გაფიქრებული, და ეს რამდენიმე წელიწადით აღრე:

„ო, ღმერთო! ახლავ ჩავხვდი შენ სიგრძეს და მოწყალებას აღურიცხველს! ნუთუ მე, ცოდვილი, გამომარჩიე შენს საჭურჭლედ და გამხადე ღირსი, რათა მოწამეთა გუნდთა თანა შევირაცხო? მე ეს ვიცი და ვისი მეშინოდეს? რისი მეშინოდეს?“.

ბურამ ღოჩანაშვილი

რომანი

მომზიდობა





შესავალი

იქაროს ყველა ჭლექიანმა, სიყვარულით დამწვარმა, უსამართლობით დაჩაგრულმა, სამშობლოს მოზარემ, ლოთმა, მაცხოვრის ხატთან დაჩოქილმა მონამ ღვთისამ და ძალადობით ჩაკლულმა ტალანტმა – მე წერას ვიწყებ!

შორს, ცხრა მთას იქით, იმის იქითაც გადაიკარგოს ყველა ცივისსხლიანი, ურწმუნო, ცხოვრებისაგან განებივრებული და გაქსუებული არამზადა კაცი, ვინც თავისთვის ცხოვრობს, შორს ჩემგან – მე წერას ვიწყებ!

ვიწყებ წერას უღიადესის უმცირესი ნაწილი, უღიადესისგანვე ბოძებული ძალით და უპაგრონო ავადმყოფივით ვნაგრულობ ყურადღებას... და შენ, მკითხველო, მიმიხვდები და გამიგებ.

ჩემს მეგობარს რომ ასაფლავებდნენ, წვიმამ მოუსწრო და კუბო უკანვე შეაბრუნეს, შემდეგ გამოიდარა, გამოიგანეს კუბო და ისევ გაწვიმდა – ასე განმეორდა მრავალგზის. წვიმაში კარგი კაცის დასაფლავების ნებას კი სინდისი არ აძლევდათ, ამიტომაც კუბო სახლში დადგეს და უკვე წელიწადზე მეტია, რაც შეეჩვივნენ მიცვალებულის იქ ყოფნას. ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ გვამი არ გაიხრწნა და არც სუნი დაგრიალებულა. ბალები ახლაც კი მიდიან კუბოსთან, ხდიან თავს, ეფერებიან მამიკოს და შემდეგ თამაშს აგრძელებენ – ოჯახის ცოცხალი წევრივითა ჰყავთ.

მთვარეულის ყველაზე უმფოთველი ღამე

ღილით სახლში კივილი ატყდა, ოჯახის თავი გამოლვიძებას არ აპირებდა. ცოლს თმა ჩამოეშალა და ქმრის სა-

წოლთან დაჩოქილიყო. ქალის მული იქვე, კართან იდგა და მკაცრი და გაოცებული სახით შეჰყურებდა მწოლიარეს.

ორი მცირეწლოვანი ბავშვი დედას გვერდით ამოსდგომოდა და გაფართოებული თვალებით დაჰყურებდა უძრავად მყოფს.

ყველა ძალიან უბედური იყო, ყველა, გარდა თავად მიცვალებულისა. მას ხომ უკვე აღარაფერი ესმოდა და თან პირველად ეძინა ასე ტკბილად, წყნარად, მშვიდად... სამუდამოდ?!

ეს მთვარეულის ყველაზე უმფოთველი ღამე იყო!

ნაწილი პირველი

მარტოკაცი

თავი პირველი

„მე“

კვლავ ლუდი, უფრო სწორად — წყალი. ნახევარლიტრიან კატხაში ნახევარი მაინც წყალი იქნება.

ესვამ. არ მსიამოვნებს. ბოლოს მაინც მახსენდება, რომ ლუდი მიყვარს და, ასეა თუ ისე, ესეც ლუდია. უკვე მეამა. ვწყნარდები.

ინგლისელი პოეტის ლექსიც მახსენდება ლუდზე დაწერილი და უკვე საბოლოოდ მომწონს ეს ლუდი (რაც მთავარია, ცივია.).

როგორც იქნა, ხინკალიც გვაღირსეს, მეგობარს ვეზმარები — თეფშებს მაგიდაზე ვაწყობ (სხვათა შორის, ინგლისელი პოეტის ლექსი მშვენივრად იყო ქართულად ნათარგმნი, არადა, კარგი თარგმანი დღეს იშვიათობაა).

მეგობარმა პილპილიც წარტაცა ვილაცას მაგიდიდან და ხარბად აყრის ხინკალს. არ მიყვარს ხინკალი!

მაინც ხელის კანკალით ვიღებ დალოცვილს და სულს ვუბერავ (ქაბაბი მირჩევნია).

— კარგია! — ვანკლაპუნებ ტუჩებს.

პირგამოტენილი თანამეხინკლევ თავს მიქნევს.

— სამს კიდევ შევჭამ! — საზეიმოდ ვაცხადებ.

— თუ გინდა, ათი შეჭამე!

— ვერ მოვერევი!

— დარჩენილხარ აბა მშიერი, — თანაგრძნობით მიცქერის მეგობარი.

სამსაც ვერ ვჭამ, მეგობარი ხვდება რალაცას და ქაბაბი მოაქვს.

— რად გინდოდა?

ცოტა ხნის შემდეგ კი გულიანად შევექცევი. (კარგია ქაბაბი).

შემდეგ წყლიან ლუდს ვაყოლებ. ეტყობა, ჩემს მეგობარსაც ახსენდება ინგლისელი პოეტის ლექსი ლუდზე, სხვათა შორის, ძალიან კარგად გადმოთარგმნილი დალოცვილ ქართულ ენაზედ, და სიამოვნებისგან თვალებს ნაბავს.

გარეთ ცხელა, უსწორმასწოროდ დაგებულ ასფალტს ჯოჯოხეთის ოხშივარი ასდის.

მე კი ხინკალს გავცქერი — ვერც მეგობარი მოერია მას. ხუთიოდე ცალი მოწყენილი დევს თეფშზე. დაპრანჭულან ბებრებივით და ის ცხელი და ახალი სიმშვენიერეც დაუკარგავთ, მაშინ რომ ჰქონდათ, მოტანის ჟამს.

— ესეც თქვენ! — მიხარია რაღაც.

მე გამძღარი და შემთვრალი გახლავართ. ერთი ბოთლი არაყი ორ კაცზე არც ისე ცოტაა, თან ოთხ-ოთხი კათხა ლუდი?

კაცის მოკვლა მინდა!

თუ მოვისურვე, რა, ვერ მოვკლავ? გვერდით მაგიდასთანაც ორნი სხედან, ჩვენ ვამთავრებთ, ისინი კი ახლა იწყებენ — საოცრად მშურს მათი.

ერთი მეცნობა, ახალგაზრდა ბიჭია, მაგრამ თავზედ თმა აღარ შერჩენია (არ მეცოდება).

ვუყურებ: მზერით თავის ქალას ვუპობ, არადა, თავი სინათლეს ირეკლავს (უნდა მოვკლა!) და თვალს მჭრის.

მარჯვენა ხელს კოსტიუმის ჯიბეში ვიყოფ (ამასობაში ის — თავსლიპინა — ლუდსა სვამს) და რევოლვერის ცივ ტარს ვეფერები. ჩემი ამხანაგი ყურადღებას არ მაქცევს: ფიქრობს!

იარალსმშვიდადვილებ ჯიბიდან, საოცრად მომწონს ჩემი საქციელი და საოცრადვე ვტკბები ჩემით (ის კი კვლავ ლუდსა სვამს).

ვუმიზნებ, ძალიან დიდხანს ვუმიზნებ. ხელს არავინ მიშლის და ამიტომ ვუმიზნებ, თორემ უკვე მიზანში მყავს ამოღებული.

დამიზნება მსიამოვნებს!... სროლის ხმა არ ისმის, თავსლიპინაც ვერ ასწრებს შეყვირებას, თავი საამოდ, ზოლ-ზოლად იღებება წითლად — მე ვნეტარებ!

თვალებს ვხუჭავ და ველოდები წესრიგის დამცველთ, ჩემთვის უკვე ყველაფერი სულერთია: წითლად შეღებილი თავი —

გაუფცქვენელი ბოლოკი, განა სჯობია ამას რამე? ფიქრს ვილაც მანყვეტინებს (ააჰ, უკვე?) და მხარზე ხელს მადებს. თვალეებს ვახელ, თავს ნელა ვატრიალებ და...

— თუ შეიძლება, პილპილი მათხოვეთ!

თავსლიპინა დგას და იღიმება. ვუყურებ, ჯერ ვერ გამოვრკვეულვარ, ბოლოს ვახერხებ და პილპილიან ბოთლს ვანვდი. თავაზიანად მიხდის მადლობას. უკან ნასულს ჩემი ბოროტი მზერა მიჰყვება, შემდეგ კი დარდს ლუდში ვიკლავ.

ყველაფერი მომბეზრდა! ხელს კოსტიუმის ჯიბეში ვიყოფ, ცხვირსახოცს ვიღებ და ხვნემა-ხვნეშით ზაფხულის ცხელი თბილისის ნაწყალობევე ოფლს ვიმშრალებ, შემდეგ კვლავ ლუდს ვეხები და ჩემს მეგობარს (მოსულელო ტიპია) ვუღიმი:

— კარგი ხარ!

ეს დღეს უკვე რიგითმერვემგზავრიიყო, ვილაც ხანშიშესული, ღიპიანი კაცი. აი, ისეთი, თამადად რომ ირჩევენ სუფრაზე და მთელ თავიანთ ერუდიციას სუფრაზევე რომ გადმოაფრქვევენ ბახუსის საზოგადოებაში. ეს მამულს გაუმარჯოსო, ესეც — მშვიდობასო, ეს კი დედამიშვილებსო და ათასგვარი ასეთი რამ. თანაც სადღეგრძელოებს დილეტანტების მიერ შექმნილი წიგნებიდან მოყვანილი ციტატებით ამაგრებენ, აქაოდა, ნახეთ, რა ცოდნა მაქვსო. სუფრაც გაოცებული შეჰყურებს და უკვირს მისი მჭერმეტყველური ნიჭი (ჰმ, ფარტაძი!) და განათლება.

ჯერ არ მინდოდა ამ პოტენციური თამადისთვის ტაქსის გაჩერება, მაგრამ დავინახე, როგორ საცოდავად მოსდევდა ნელი სვლით მიმავალ მანქანას და შემეცოდა.

აქოშინებული „ღიპი“ რის ვაი-ვაგლახით მანქანაში შემოგორდა და მისამართი თქვა. „ღიპი“ ჩავიდა თუ არა, ვილაც ახალგაზრდა კაცი ჩამიჯდა და უკანვე, ვერაზე გაყვანა მთხოვა. საშინლად მეზარებოდა უკან დაბრუნება, მაგრამ სხვა რა გზა იყო? ხუთიოდე წუთში ისიც მივიყვანე ადგილზე და შინ წავედი. სახლში მისულმა ვისაუზმე და სამუშაოზე გამ-

ოვბრუნდი — ამ ღამით მორიგე ვიყავი.

შოთა რუსთაველმა შორეულ პალესტინაში დაღია სული, გურამიშვილის ნეშტიც უცხო მიწას მიბარდა. კონსტანტინე გამსახურდიამ ენგურში დაახრჩო თარამ — ეგებ აღორძინდესო ხალხს მონატრებული მარტოსული!

წინამურში გავარდა ტყვია და ილიას თეთრი თმა წითლად შეიღება — უღმობელი იყო სიკვდილი!

ჩვენ? ჩვენ სად ჩაგვყლაპავს ლევიათანი? აქ, საქართველოში თუ მის საზღვრებს გარეთ? იქნებ აქ — თბილისში თუ წინამურთან, ან გიჟმაჟ ენგურთან? იქნებ აქაც და იქაც, ყველგან, სადაც კი სულდგმულობს ძე ქართველი კაცის.

— ნა, ოფელია, მუზეუმში!

და ქართველი ოფელიაც მუზეუმში მიდის, რათა შემდეგ ერჩენოს მნახველს. ჩამოივლის გიდი და ტურისტებს აუხსნის:

— ეს უკანასკნელი ცოცხალი რომაელი, ხოლო ეს უკანასკნელი ცოცხალი ქართველი! (სამწუხაროდ, ცოცხალი შუმერი არა ჰყავთ).

ტურიტებიც მოიმარჯვებენ უბის ნიგნაკებს და დიდი ასობით ჩაინერენ: ლამაზი ხალხი ყოფილაო ქართველები!

იმ ღამეს არ მიძინია. როგორ არ ვეცადე, როგორ არ ვენვალე, მაგრამ დაძინება მაინც ვერ შევძელი. შემდეგ უჯრიდან რვეული ამოვიღე და წერა დავიწყე. გათენებამდე ვწერდი, ბოლოს გათენდა.

ცარიელი ადამიანები მიდი-მოდთან ქუჩაში. ვიღაცას ეციინებოდა, ვიღაცას ეტირებოდა, მაგრამ მაინც ყველანი ერთნაირი იყვნენ. მათ ყველას ნიღბები ჰქონდათ აფარებული და საქმიანი ნაბიჯებით ჰფარავდნენ მეტრებს და კილომეტრებს. ყველაზე გასაკვირი კი ის იყო, რომ მათ ეგონათ, საქმეს აკეთებდნენ.

ლაპარაკი მინდა, ვერ ვლაპარაკობ, ანკი ვის უნდა ველაპარაკო, — გავიფიქრე და უკან მოკალათებულ ორ მგზავრს გავხედე. ერთი სამოციოდე წლის დაპრანჭული ქალი იყო, გულის არევამდე მახინჯი, მეორე კი ახალგაზრდა, ბავშვური გამომეტყველების ლამაზი ქალიშვილი, დიდრონი თვალებით.

ძალიან შემეცოდა გოგო, რისთვის, თვითონაც არ ვიცი, შეიძლება, მახინჯი ქალის გვერდით რომ იჯდა, იმიტომ.

როგორც იქნა, მივიყვანე მახინჯი ადგილზე და ქალიშვილს მივუტრიალდი:

— თქვენ, მგონი, დიდუბეში გინდოდათ, არა? — გოგოს კაბა მუხლზე ზემოთ ჰქონდა აწეული და მეც დიდის ინტერესით შევათვალეიერე მისი წვრილი, მაგრამ გრძელი და სწორი ფეხები, მოკოლადის ფერი რომ დაჰკრავდათ ოდნავ.

ქალიშვილმა ჩემი გამოხედვა დაიჭირა, კაბა ხელების ნელი, ინერტული მოძრაობით მუხლისთავებზე ჩამოიფარა და მომიგო:

— დიახ, დიდუბეში.

ორიოდე წუთი ხმა არ ამომიღია, არადა, არასოდეს მდომე-
ბია ლაპარაკი ისე, როგორც ახლა, ამ წუთას.

მანქანაში შემოვარდნილი ჰაერის ქავლი საამოდ ეძგერა
პირისახეს. რატომღაც გამეცინა. სარკეში ჩავიხედე და დავინახე
გოგონას გაკვირვებულ-გაფართოებული თვალები. ხელმეორედ
გავიციინე: ახლა უკვე ქალიშვილის გამომეტყველებაზე.

ლამის თორმეტი საათი იქნებოდა, დიდუბეში შესულები ჯერ
კიდევ არ ვიყავით, რომ ჩემდაუნებურად ხმამაღლა წამომცდა:
ფეხმძიმე მთვარე!

— მეც ასე ვფიქრობ! — დამეთანხმა ისიც.

— რას ფიქრობ, გოგონი, ჩემნაირად?

ქალიშვილი ჯერ დაიბნა, შემდეგ მომიგდო საცოდავად:

— რომ მთვარე ფეხმძიმესავითაა გაბერილი!

შემრცხვა. ამ თითისტოლა გოგომ როგორ დამიჭირა
ფიქრებში, ვბრაზობდი ისე, ჩემთვის, ჩუმად. აბა, ქალიშვილი
რა შუაში იყო, რომ მისთვის მეთქვა რამე?

მანქანას კი უკვე დიდუბეში მივაქროლებდი და შორს ვი-
ტოვებდი უშნო და სტანდარტულ შენობებს.

თვალები მოვიფშვნიტე, სანოლიდან წამოვდექი და დედის
პორტრეტს ავხედე, კედელზე გაკიდულს. დღის სამი საათი იყო,
შინ გამთენიისას დავბრუნდი (ასეთი თვალები არასოდეს მენახა,
ცოტა მკერდი ჰქონდა, პატარა...) და აი, ამდენხანს მეძინა... ჩემ-
თვის უცნობი დედის პორტრეტს თვალი ძლივს მოვაშორე.

დაბადების დღე — ვილაცის. მე ნაცნობმა წამიყვანა. იმ ვი-
ლაცას მეც ვიცნობდი შორიდან (ბოლოს გამოირკვა, რომ იმ
ვილაცის ქალიშვილის დაბადების დღე ყოფილა და არა თავად
იმ ვილაცის).

კარი გაიღო, აღტაცება: ეს ვინ მოსულა?

ლოყას ვალებ და ტუჩებით ცრუ ბგერებს გამოვცემ. ოთახში
შესვლა, დათვლა: რვა ბროლის ლარნაკი, პორცელანის მრა-
ვალსახეობა, ფერადი ტელევიზორი, თეთრი როიალი...

სუფრა ოცკაციანი იქნება. სუფრაზე: გოჭის ხორცი, ქათამი,
გაურკვეველი ჯიშის შემწვარი თევზი, საცივში, მგონი, ინდაურია
(ფუუჰ!), ბაჟის წვენი, შამპანური (მხოლოდ ქალებისთვის) და
კახური ღვინო (ეს კი უთუოდ ჩვენთვის არის გამიზნული).

— ბატონი შალვა იყოს თამადა! — ყვირის მასპინძელი და სუფრაც ბანს აძლევს. შალვა მორცხვობს, უარზეა, დირექტორის მოადგილეს პუნტულა ლოყებიც წითლად ეღებება... ბოლოს მაინც ითანხმებენ.

— ეს ჩვენს იუბილარს, პატარა ქეთუნის გაუმარჯოს! — წარმოთქვამს თამადა და უცებ ყოჩაღდება, ლაპარაკის ტონიც ეცვლება და მანერაც.

— ქეთინო! — ყვირის მასპინძელი და თან თამადას ბოდიშს უხდის. დიასახლისს ქეთინო შემოჰყავს და კუთხეში აყუდება. პატარა გოგონაც გაკვირვებით შეჰყურებს ბიძიებს, რომლებსაც მისგან რაღაც უნდათ.

— ქეთევან ნამებული, — აგრძელებს თამადა, — ჩვენმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა (თამადის დედას ყუყუნა ერქვა) და შენ იცი, ღირსეულად გეტარებინოს ეს სახელი, აბა, ჰე... — „აბა, ჰე“-ზე თამადა წერტილს სვამს (ღვინოსთან ერთად).

მე ამდენ საზიზღრობას უკვე ველარ ვუძლებ და სუფრიდან ვიპარები. კიდეც კარგი, მგონი, ვერავინ შემამჩნია.

ახალგაზრდა ქალმა აკვანთან ჩაიჩოქა და ბავშვს დაურწევ-ნანავა. ჩვილმა თითქოს იგრძნო ყმანვილი დედის გადამეტე-ბული ალერსი და ნამეტნავი სიამოვნებისგან თვალები მინაბა. ვინ იცის, ამ ბავშვისგან რა დადგება, დედა კი როგორ მოტყდება და გახმება უწყლო ხესავით. სად არის მამა? ის, ალბათ, ნადირობს და რომელიმე ტყეში ლომს ატყავებს (რა ვუყოთ მერე, საქართველოს ტყეებში ლომი რომ არ ბინადრობს), ლომის ტყავს ბავშვს აჩუქებს და, თუ უკვე გაზრდილი ყმანვილი კაცი მამის ნაცვლად მხოლოდ შავი არშიებით განყობილ სურათს ნახავს მისას, დახედავს ტყავს, მოისხამს მხრებზე და გადავა სული ლომკაცისა მასში, იქნება ერთი წილ მაინც მამის, ბევრ წილ მისსაში (ვინ იცის? იქნებ კიდეც ნახავს მამას?).

წუხელაც ღამის ცვლაში ვიყავი. საჭესთან ძილი მერეოდა, რადგან წინა ღამით თვალი ვერ მოვხუჭე, ვფიქრობდი!

ცაზე ვარსკვლავები სისხლისაგან ინრიტებოდნენ და შავდებოდნენ, მალე ნახევარმთვარის მეტი აღარ დარჩა რა და მასაც მონითალო-მოშავო წისლი ჩანთქმით ემუქრებოდა. მანქანა ნელა მიდიოდა გზაზე და მიაპობდა ხელოვნურად განათებულ წყვილ-

ადყოფილს. ჭადრაკის დაფასავით შეღებილ-გაფორმებული ადვილად მემორჩილებოდა და ხელს არ მიშლიდა ცისკენ ყურებაში.

— სამსახურს მივატოვებ, — გავიფიქრე და ასეც მოვიქეცი. დიახ, ისე, უბრალოდ, ავიღე და მივატოვე. წერილიც გამახსენდა ერთი, ცინიკოსი მწერდა: ვიცი, მაგ ტაქსისტის ტოგის ქვეშ რა გმირული სული იმალებაო.

იმ ღამეს ჯვარცმა სამად გაიპო... მპობელს რა უნდოდა, თავად არ იცოდა. დაინახა, ჯვარცმა რაღაცის სიმბოლო იყო და დაარღვია. რისი იყო, არც ის იცოდა: მთავარია, სიმბოლო იყო!

მას ფესვები მშობელ მიწაში არ ჰქონდა გადგმული, საერთოდ უფესვო იყო. მუხა გახლდათ და თავს ძლივს იმაგრებდა უფესვუძირო. ის მიწაც იყო მისგან მოწყვეტილი. მიწასაც რაღაც უცნაური ფერი ჰქონდა მიღებული და მუხა, განახლებულს უარესობისკენ, თავისებურებადაკარგულ მიწას, მშობელყოფილს, გაურბოდა. ის მიწა უკვე მისი აღარ იყო.

...და იყო ყოველივე ესეც ცალ-ცალკე: მუხა არ ალაგას მისას, უფესვო, ჰაერში აჭრილი და მიწა დაფშხვნილი და ნირსახე შეცვლილი.

ამ საღამოს სიტყვაც ვერ დავწერე და გაბრაზებულმა გაზეთების ხევა დავინყე. რატომ ვხევდი, თვითონაც არ ვიცოდი. ბოლოს, როცა ყველაფერი დავხიე, ერთად მოვაგროვე და ფანჯრიდან შუა ქუჩაში გადავყარე. ამან მეზობლებისა და მეეზოვის დიდი გულისწყრომა გამოიწვია. საყვედური, რა თქმა უნდა, ვერავინ გამიბედა.

საქმე, როგორც ყოველთვის, არაფერი მქონდა და გადავწყვიტე, დამელია. მაცივარი გამოვადე, ბოთლით კონიაკი გადმოვდგი. შემდეგ კარადიდან ჭიქაც გამოვაყოლე და „ქეიფიც“ დავიწყო.

ასე მარტო ბევრჯერ მისვამს — ახლაც ასე ვსვამდი. თავისუფლების ტკბილი იდეა, საქართველოს სადღეგრძელოდ აწეული ჭიქის სირცხვილისაგან განითლება, მუნჯობა, ყრუობა, კარგი წიგნები, ცხოვრებისეული მაგალითები, წინაპრების საქმენი საგმირონი...

მე კი, მარტოდმარტო, ჭიქა კონიაკით ხელში...

— გაუმარჯოს...

სიკვდილის მელოდია

ის იჯდა და პიანინოს უკირავდა. უკრავდა ისე თავდავიწყებით, უკვე ინსტრუმენტსაც ვეღარ ამჩნევდა — იყო მხოლოდ მოძრაობა, ხელების გიჟურად სწრაფი მოძრაობა. პიანისტს გრძელი თმა შუაზე გაყოფოდა და ორივე ნაწილი სწორად ეშვებოდა მხრებისკენ. სახე? — სახე კი მას არ ჰქონდა. იყო მხოლოდ ცხელი ოფლი ჯოჯოხეთისა.

...მელოდია აუცილებლად უნდა დასრულებულიყო!

დიდად გაჭირვებული და მიღებული სანთელივით ოდნავ მბჟუტავი მთვარე ძალზე ნალვლიანად იცქირებოდა ციდან. კაცი, მისი შემხედვარე, ვეღარ იტყოდა, ნახევარმთვარეაო, ის ახლა უფრო მეოთხედს ჰგავდა მთვარისას.

მზე? სად იყო მზე? თქმულ იყო, ღამე გახლდათ და მზეც არ ჩანდა. ღამე კი იყო ხანგრძლივი და ბნელი, რადგან მეოთხედი სინათლისა განათებას არასოდეს ჰყოფნის.

საჭირო იყო იმდამინდელივით ფეხმძიმე მთვარე, მაგრამ ეს ხომ ძველად იყო, ახლა კი მთვარე სულს ღაფავდა.

ვაითუ, ეს მეოთხედიც ჩაქრეს და მიემალოს ღრუბლებს, მაშინ ხომ აღარასოდეს გათენდება და არ იშობა დიდი, ნათელი მზე, შვილი მიწისა და პატრონი ერისა.

— არ ჩააქრობინოთ მთვარე! — ყვიროდა გიჟი და სივრცეში ხელებს იქნევდა. ადამიანებს ის გიჟი ეგონათ, რადგან თვითონ ყველანი სხვანაირად ფიქრობდნენ.

...და ნატრობდა გიჟი, რომ დამდგარიყო ისეთი დრო, როცა გიჟად არ ჩათვლიდნენ. მიაბიჯებდა მარტოხელა გიჟი ცარიელ ქუჩაში, კაცის სიცარიელეს ქუჩა ავსებდა, ქუჩის სიმარტოვეს კი კაცი არღვევდა, მიაბიჯებდა და ქუჩიდან გასვლა არ უნდოდა.

— რა არის ყველაზე დიდი საშინელება ამქვეყნად? — ვკითხე მე და პასუხიც მევე გავეცი, — უაზრობა!

როცა საწერად დავჯექი, გული ვერ დავუდე საშუშაოს, რვეული შევინახე და ნაცნობ გოგონებს ტელეფონით რეკვა დავუწყე. მალე ეს სტუდენტური გართობაც მომწყინდა და დავიძინე. გავიღვიძე. საქმე არაფერი მქონდა განსაკუთრებული და ძილი შევიბრუნე. ორი საათი კვლავ მეძინა.

...გამოღვიძებულს თავი მტკიოდა (როგორც სმის შემდეგ იცის.). ამ დროს ტელეფონმაც დარეკა, ყურმილი ავიღე: ვილაც იყო. იმ ვილაცას რაღაც ვუთხარი და ყურმილი დავდე.

ტელევიზორი ჩავრთე — რაღაცას აჩვენებდნენ, ცოტა ხანში გამოვრთე.

რადიო ავახმიანე, ვილაც მღეროდა, ესეც მომბეზრდა და ხმა ჩავანყვეტინე.

ბოლოს ფანჯარასთან მივედი და ორკაპიკიანების სროლა და-ვინყე. ხუთი ცალი გადავაგდე — მეტი ვეღარ ვიპოვე ჯიბეში.

საათს ავხედე — ათი იყო. გამიხარდა, დაღამებულა-მეთქი და ლოგინში შევწექი... მალე ჩამეძინა კიდევ.

მიყრუებული ადგილი იყო ის: უდაბური და უკაცური. ოდეს-ღაც თურმე ვინმენი ცხოვრებულან იქ, შემდეგ მიუტოვებიათ და წასულან. მთელი სოფელი დაცარიელებული გახლდათ, ჩემი სახლიც — მე კი, ვბრუნდებოდი.

მარტოკაცი სოფელში

ნაცნობი იყო ჩემთვის თითოეული სახლი (ან უკაცური), სოფლის ყოველი კუნჭული, ტალახის სუნიც კი მეცნობოდა. სახლს შევხედე, ისევ ისეთი იყო — შავი, პირქუში, თვალეზ-დახრილი და წარბშეკრული. გარშემო პატარა ნაკვეთი ერტყა — აქ ბოსტანი ყოფილიყო ოდესღაც. კვლავ სახლს მივაჩერდი: კარ-ფანჯრები ფიცრებით იყო აკრული და ეს პატარა, თლილი ჯოხები კიდევ უფრო პირქუშს ხდიდნენ ქოხს უბადრუკს.

ჯოხები ავაძრე კარ-ფანჯრებს და სახლში შევედი. ნახევარი საათი ქოხში წავიმუშავე და სულ მივალაგ-მოვალაგე იქაურობა. შემდეგ ძველ, დანჯღრეულ სანოლზე წამოვწექი და ხვრინვა ამოვუშვი (მე ხვრინვა არ ვიცოდი!).

სანერად დიდი მინდორი ამოვარჩიე. მინდორი სულ გამწვანებული იყო ბალახების გადამკიდე. ყოველ დილას რვეულით, ფანქრითა და პატარა, დასაკეცი სკამით მივდიოდი იქ და ორი-სამი საათი ვმუშაობდი.

ერთ დილას, ცივ დილას, წამიანი ბალახები როს ეკვრიან ფეხსაცმელს და სინესტისგან ხშირი სუნთქვა და ქოშინი... რო-

გორც ყოველთვის ფანქრით, რვეულითა და დასაკეცი სკამით მინდვრისკენ გავნეი.

მზე ამოვიდა. ცოტათი თბება მიდამო. ნერას ვინყებ. დიდხანს არ მყოფნის „სანვაი“ და უკვე მზით გამთბარ ბალახებს ენაფება ჩემი სხეული. ვისვენებ. ჩამეძინა კიდეც... გამოღვიძებულს ჰაერი აღარ მყოფნის (ახალშობილი ბავშვივით, ჭიპი რომ შემოხვევია ყელზე და იხრჩობა) და ფეხზე ვდგები. ტანისამოსიდან ბალახებს ვიცილებ.

განცვიფრებისგან კინალამ შევყვირე! მოშორებით ქალი აგდია კალასიკურ პოზაში: მარჯვენა ხელი გულზე, მარცხენა გადაგდებული შორს... მგონი, მკვდარია, — ვფიქრობ და ქალს ვუახლოვდები. გაქცევა მინდა, მაგრამ ფეხებს ძალაუნებურად მივყავარ „მიცვალებულისკენ“. ძალი ახლალა შევნიშნე, ქალს ხელს ულოკავდა. მეორე ხელი ავიღე, მეთბილა. ალბათ, ძაღლმა ალოკა-და, ზიზღით მოვისროლე. შემდეგ რალაც მომაგონდასავით და კვლავ ავიღე. მაჯა უცემს, ცოცხალია. ალბათ სძინავს და ხელს ფრთხილად ვდებ ბალახებზე. შემდეგ ბალახი მოვწყვიტე და მწოლიარეს ყურში დავუტრიალე (ხუმრობაც მიყვარს!). ქალი შეიმშუშნა და თვალები დაახამხამა. წამოდგომაც ვერ მოვასწარი, რომ ქალი დამაცხრა და ყელ-ტუჩი დამიკოცნა. შემდეგ მოიბოდიშა — სხვა მეგონეთო, და ადგა.

— საბოდიშო არაფერია, გოგონი!

განწყენება: რატომ მიწოდა „გოგონი?“

— მე წავალ, — თქვა „გოგონიმ“.

— წადი! — ეგონა, კალთას დავახევი.

გოგო მართლა წავიდა. რალაც ცარიელი ადგილი დამრჩა გულში და თავი შემეცოდა.

ერთი კვირა სახლიდან არ გამოვსულვარ — ავად ვიყავი. წამომდგარი მინდორზე გავედი და კვლავ ის ვიხილე, „გოგონი“. ზმანებაა თუ რა, ვერ გამიგია (ვფიქრობდი და თან თვალს არ ვაშორებდი)! ქალიშვილი ბალახებში იწვა და წიგნს კითხულობდა.

წამოდგომა. ცივი და ოფიციალური მისალმება. ჩემი ირონია, შერჩენილი სახეზე, და გოგოს მოჩვენებითი დარცხვენა. მე ვაქტიურობ.

— მე მე ვარ, თქვენ ვინ ხართ?

— მეც მე ვარ! — იცინის „გოგონი“.

— მაინც?

— არ შეგეშინდებათ?

— რისი? — მიკვირს!

— ვინაობა რომ გითხრათ...

— თქვით!

— ეშმაკის ასული ვარ...

— სად ასული?

— სად კი არა, ეშმაკის ასული ვარ, შვილი, გაიგეთ?

— აა, ეშმაკის შვილზე ხართ ასული და...

ქალიშვილი მიხვდა, მასხარად რომ ვიგდებდი და გაქრა.

მართლა ეშმაკის ასული ყოფილა, გავიფიქრე და შეშინებულმა პირჯვარი გადავიწერე.

ეშმაკის ქალიშვილი ორ დღეს არ გამოჩენილა. მე შევწყვიტე მინდორში სიარული და მარტოდმარტომ საკუთარ ბოღმაში ვინყე ჩახრჩობა. მოსეზე ვწერდი რომანს და მთელი დღეები ვმუშაობდი, რა თქმა უნდა, სახლში.

„გოგონი“ გამახსენდა.

— თურმე ეშმაკების შეყვარებაც შეიძლება — წამომცდა ხმამალა, გამორკვეულს შემრცხვა (ეს რა ვთქვი?). კარმა დაიჭრაჭუნა.

გაკვირვება: ეშმაკის ასული მოსულა!

— შენი სული ჩემს ხელშია, თურმე შეგყვარებივარ!

— არა, მე... ისე ვთქვი, — ვლულლულღებ.

ქალიშვილი ტანისამოსს იხდის და შიშველი ფეხების ელვარებით მიტყვევებს თვალებს.

— მოდი ჩემთან! — ამბობს და მკერდზე იყურება.

ჩემი თვალიც, რა თქმა უნდა, მყისვე იქ ჩნდება — პატარა, მკვრივი უნდა იყოს, თეთრი, ქათქათა... ოოჰ, ღმერთო!

— მოდი, მოდი, რაღას უყურებ?

მეც ძალაუნებურად მივდივარ.

ტუჩებზე მაფრინდება და იმავე წამს ვხდებით ერთ არს და ერთ ხორც. მე ეს უკვე მომწონს.

— ო, მომიტევეთ! — მახსენდება რაღაც და როგორც კინოფილმებშია: სინათლე ქრება.

ლოგინში ვწევართ: გაოფლილნი, ჩახუტებულნი და სიყვარულით გამძღარნი. მე უკვე შევეგუე ჩემს მდგომარეობას.

— მალე დაგცილდები, — ამბობს ის, — მაგრამ იგულისხმე, მალევე მოგიხმობ!

— მალე დამცილდები, მალე მომიხმობ, ორივე ცუდია, — ვბუზღუნებ ბებერივით.

— ეს რა კარგი სული ჩავიგდე ხელში!... იცი, შენ ჩემი პირველი მამაკაციც ხარ და პირველი სულიც, რომელიც ხელში ჩავიგდე! — მეტიკტიკება (პირველი მამაკაცი რომ ვარ მისთვის, ამას უკვე მივხვდი და ნასიამოვნებიც დავრჩი, მაგრამ თუ პირველი სულიც ვიყავი, ეს კი აღარ ვიცოდი!).

მალე ის მიდის და მე კვლავ მარტო ვრჩები.

სოფელიც დავტოვე. ისევ ქალაქში ვარ. სოფლად მყუდროებას ვეძებდი და აი, რას ნაფანყდი — „გოგონი“.

მაინც მოვახერხე თავის დამშვიდება — ქალიშვილი, ალბათ, მომელანდა!

რალაც

ამ ერის ყველა ხორციელს ავადმყოფობა შეეყარა. ავადმყოფობა სნეულთ აბრმავებდა და დადიოდნენ ბრმები ამქვეყნად ხელების ცეცებით. სხეული სნეულების გამო იხრწნებოდა და გახრწნა მამაკაცებს ასოდან ეწყებოდათ, ქალებს კი საშოდან. ეს იმიტომ, რომ ერი არ გამრავლებულიყო და მალე აღგვილიყო პირისაგან მიწისა. როცა ხრწნადობა გულამდე მიაღწევდა, ბერავი იღუპებოდა.

...და დადიოდნენ ბრმები ამ დაბრმავებულ დედამიწაზე და იძახდნენ: ახლა არა ვართ ბრმანი, ბრმანი მაშინ ვიყავით და მაშინდელი სიბრმავის გამო ახლა დავბრმავდითო.

იყო პატარა რალაც და ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ავადმყოფობაც იყო რალაც, უთუოდ რალაც!

ჩვენ მაშინ ერთმანეთი არ გვიყვარდა!

— განვედ, სატანისეულო ჩემგან, — მივმართე ერთხელ საკუთარ გამოსახულებას სარკეში. სატანისეული მაინც არ განვიდა და მე სიცილი დავინწყე.

კარის გაღება ოდნავ დავაყოვნე, ბოლოს გავადე: არავინ იყო, ზარის ხმა მომყურებია.

კერპი

მცხეთისკენ მიმავალმა ქვის კერპი ვიპოვე, მომეწონა და სახლში წავიღე უხეშად დამუშავებული, დროების ცვლისაგან გაშავებული, იგივე მიზეზით ცხვირნატეხილი და მაინც კერპი, უსულო რამ.

ყურებმაღლაანეული, ბაჭიასავით დაცქვეტილი. თითო ყურში ორ-ორი ზოლი.

ყურები თხელი და გრძელი, ტანწვრილი.

თვალები დიდი, გადმოკარკლული, „გვიშველეთ, ბუდიდან ვვარდებითო“, მყვირალნი.

ტანდაბალი კერპი. მსხვილი, ღიპი შუაში ჩაჭყლეთილი და ნამცხვარ „ნაპოლეონივით“ ფენა-ფენა დადებული ქონი ქვისა.

ხელები პატარა, მოკლე, თითებკოტიტა.

ფეხები მსხვილი, კერპი უშნო, შესაზარი.

...საღამოობით ვებაასებოდი ხოლმე მას!

შვილი მყოლია! შვილი მყოლია! შვილი მყოლია!

დიდი ხნის წინ ერთ ქალთან ბლლარძუნს ეს შედეგი მოჰყოლია!

ძალიან გამიხარდა მისი ნახვა და ქვის კერპი ვაჩუქე. კიბეზე რომ ჩადიოდა, მივაძახე:

— რომ მოვკვდები, სანთელს ხომ დამინთებ?

შვილმა თავი (ნალვლიან-დამძიმებული) დამიქნია და წავიდა. თვალზე ცრემლი მომადგა — მარტოკაცები მარტოკაცებად რჩებიან მარად!

მაცხოვარი შუაში იდგა და ხალხს შეჰყურებდა.

— ვინ მესროლა? + უკვე მერამდენედ გაიმეორა შეკითხვა, მაგრამ ხალხი დუმდა.

ოდნავ წელში მოხრილს ხელები გულთან მიეტანა, ხოლო სისხლი წვეთ-წვეთობით მოჟონავდა თეთრს პერანგზედ.

— ვინ მესროლა? თქვით! — კვლავ გაიმეორა, რისი გეშინიათო, ესეც დაამატა, მაგრამ ხმას მაინც არავინ იღებდა.

მაცხოვრის თვალწინ მოგონებების ზოლმა გაიარა: გენე-სარეთი, ამაყი ქალაქი კაპერნაუმი, ვიშალაიმი, მშვენიერი მაგ-დალინელიც, პეტრე, მართლაც რომ ქვა-კლდე ურყევი.

...და ბოლოს — დედა! კანნას ქორწილი.

— რა არის ჩემდა და შენდა, დედაკაცო? არღა მონევენულ არს ჟამი ჩემი?... — იესო ფიქრებიდან გამოერკვა და კვლავ მიმართა ბრობს:

— ვინ არს მკვლელი ჩემი? ბოლოჯერ გეკითხებით, ვინ? — ხმას კვლავ არავინ იღებდა.

იესომ უწყოდა, ვინ იყო მისი მკვლელი, მაგრამ მას აღიარება სჭირდებოდა, არა, მას კი არა, მკვლელს!

— მე ახლაც იუდამ გამყიდა... — ქრისტე შეჩერდა, შემდეგ დაბალის ხმით გააგრძელა, — აი, გული ჩემი, აი, სისხლი ჩემი... — მაცხოვარმა მკერდიდან ნელა ჩამოიღო ხელები, მარჯვენაში რალაც ეჭირა; ბრბო შემდეგ მიხვდა:

გული იყო!

თეთრ, ნატიფ თითებში კეთილშობილი გული სისხლში ქოშინებს და სხმარტალებს, სისხლის საამო სუნი, ბრბო კი, შეშინებული, დაშლას აპირებს...

მომიტევებია!

მეორეჯერ არ აღმდგარა უფალი ჩვენი მკვდრეთით. ამიერიდან სააღდგომოდ ბავშვები ვერ მიუჭახუნებენ ერთმანეთს კვერცხებს სისხლისფერს და ვერც ვინმელა იტვის:

— ქრისტე აღსდგა!

...და ვერც ვერავინ უპასუხებს:

— ჭეშმარიტად!

ემშაკის ქალიშვილმა მომაკითხა და სული მომთხოვა. ერთი დღე, როგორც იქნა, ვაჩუქებინე. „გოგონი“ ნავიდა.

მარტოკაცის მემატანის დღიურიდან

აი, ქუჩას მიუყვება ჩვენი გმირი. პალტოს საყელო ანეული აქვს. სახე ნაადრევი ნაოჭებით აქვს დაღარული. ქუჩაში ხე შეამჩნია... ადრე არ შეუმჩნევია, ახლა კი ნაცნობივით მიესალმა ფოთლებდაცვენილს.

— გაზაფხულზე ფოთლებს მოისხამს! — გაიფიქრა და გზა განაგრძო (რა ყველას გაზაფხულის იმედი აქვს).

რალაც სიცივე იგრძნო ტანში. გააჟრჟოლა. სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა (დროის გაყვანის ნაცადი ხერხი). გაუარა. მოვტყდიო, ჩაილაპარაკა საცოდავად.

უცებ ვილაცამ სახელი დაუძახა, სმენას ეხამუშა, რადგან თავისი სახელი აღარც კი ახსოვდა მარტოსულს. ერთი პირობა კიდევ აპირებდა მოტრიალებას, მაგრამ გადაიფიქრა — უკვე ძალიან გვიან იყო!

მარტოკაცი კვლავ გზას გაუყვია. ნაზი ქარი სანაპიროს გრძელ, ვიწყო და ბინძურ ქუჩაში განლაგებულ ხეებს უხიციებდა.

...ქუჩის ბოლოში სიცოცხლევ მთავრდებოდა!

თავი მეორე

„ის“

*...და გამოიღო მარტოკაცის თესლმან
ნაყოფი კეთილი!*

დილის გაზეთის სენსაციური განცხადება

„ორი წელი ხდება, რაც ბატონი , ჩვენი ქალაქის უპატივცემულესი პიროვნება, ჩვენგან წავიდა. როგორც ცნობილია, მისმა მოყვარულმა ოჯახმა ის მიწას არ მიანება და არ დაასაფლავა.

...და გუშინ, 26 მაისს, დილის ათ საათზე მოხდა საოცრება: მიცვალებულმა საჭმელი მოითხოვა! უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ის გაცოცხლდა და ეს ფაქტი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ უნდობლობის ღიმილს თუ მოჰგვრიდა ვინმეს, რეალობად იქცა.

ნუთუ კაცობრიობა უკვდავებისკენ მიმავალ გზას ადგას? ვინ იცის, ვნახოთ! სიტყვა ახლა ჩვენს სახელოვან მეცნიერებს ეკუთვნით, რომლებიც საგულდაგულოდ გამოიკვლევენ და შეისწავლიან ამ ფაქტს.

დავულოცოთ მეცნიერებს სიკეთისაკენ მიმავალი ეს გზა და წარმატება ვუსურვოთ!“

მისი დედა მეძავი არ ყოფილა. უბრალოდ, უყვარდა მარტო-კაცი და ერთ მშვენიერ დღეს დანებდა. იმავე დღეს გიგანტური ბრონტოზავრისა და არანაკლებ გიგანტური დიპლოდოკის ბრძოლა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა (მთელი ერთი კვირა ამაზე წერდნენ გაზეთები).

გასაკვირი არც იყო ბეჭემოთების ხმამაღალი ყიყინი მტკვარში (მით უმეტეს, ბეჭემოთებს მამაცი მორიელები კბენდნენ).

ძალიან უყვარდა მას მარტოკაცი და როდესაც ახლობლებმა მიუცლის მოშლა ურჩიეს, არ დათანხმდა და შვილი მაინც გააჩინა.

არაგვის ნაპირებიდან აფრენილი გიჟმაჟი ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ ბოსტანში ჩამდგარ ვე-ჰე-ბერთელა საფრთხობელას.

ასე გაჩნდა ამქვეყნად დავით!

კიდევ ერთი საოცრება მოხდა იმ უცნაურ წელიწადს.

მაცხოვარი ჩვენი უფალი იესო ქრისტე ბრწყინვალედ აღსდგა მკვდრეთით და მეორეჯერ, ყველასათვის მოულოდნელად, სძლია სიკვდილს.

დიდ არს სახელი უფლისა!

მაშინ ქალაქში ცხოვრობდნენ.

თბილისის ძველი უბანი. ბავშვების მხიარული ყივილ-ხივილი ეზოში: დანასობია, ბურთაობა, ჭიდაობა...

ბატიბუტის კაშჩეი გამყიდველი, ამ ბავშვთა მშობლების დროსაც რომ იმავე საქმიანობით იყო დაკავებული.

მოზრდილთა ყოყლოჩინობა, სასწრაფოდ და ოპერატიულად „საქმის გარჩევა“ იქვე, ქუჩაში. ზოგჯერ მზის შუქზე არეკლილი დანის ლაპლაპიც! სალამო ხანი — დიდების თავგანწირული კივილი, ბავშვების ყივილ-ხივილს რომ ერწყმის „საამოდ“.

— ამოდი, შე სასიკვდილე, ზევით...

დედათა თავგამოდების შემდეგ მალე ქუჩა ცარიელდება, მხოლოდ ძველი მონადირეები შემორჩენილან და დუ-იაქ, სე-იაქეს ძახილით არღვევენ მყუდროებას.

მოხუც მათხოვარსაც ჩასძინებია, პირდაპირ ქუჩაში გამხლართულა. ყველა სახლში სიბნელეს დაუსადგურებია, მხოლოდ ერთი ბინიდან გამოდის სინათლე - ვარლამი ამაღამაც ქეიფობს (საცოდავი ნუცა, ჩამოახმო პირდაპირ ქმრის გაუთავებელმა ქეიფებმა).

სძინავს თითქმის ყველას!

(რა დიდებული ლექსია ილიას „ელეგია“).

ხოლო ვისაც არ სძინავს, ის ქეიფობს.

სვით, ჭირიმე, ჭამეთ, შემდეგ ძილიც შეიძლება, სხვა რა შეგ-
რჩებათ, ან რა უნდა გააკეთოთ (სადირიჟორო პულტთან თა-
ვად სატანაა. რომელიღაც სამხედრო მარში მუქარად ეფინება
ჩაბნელებულ არემარეს)?

თენდება უკვე. ვარლამის სტუმრები იშლებიან.

„პატარა გოგო დამეკარგა...“ — იჭაჭება ვიღაც (მიდი, მიდი
გრამიტონა, — აქეზებს არმაგედონი).

დედას კვლავ არ სძინავს, დავითის საწოლთან მიდის და
ჩვენთვის ნაცნობ და მრავალგზის ნანახ საქმეს აკეთებს — სა-
ბანს უსწორებს შვილს.

რა სინარნარე და სიყვარულია მის საქციელში! (ნუ-თუ? —
ცინიკოსი!).

ზოოპარკში ჩამწყვდეული ბუხულია კატები ღრიალით
იკლებენ იქაურობას — გუშინნინ ლომები შეჭამეს და, ეტყო-
ბა, მათი გულებიც ჩაედგათ.

პატარას კი სძინავს!

იძინე, პატარავ, სიცოცხლის წყაროვ, პატარა ანგელოზო.

— რობინზონ, ბალიში მთლად ნუ წამართვი, — გამოდის
მესამე სართულიდან ნამძინარევი დეიდა მაროს ხმა.

— „თვრამეტი წლის ჯეირანო...“ აგრძელებს ბლავილს ვარ-
ლამის სტუმარი.

— ლოთებო! ქართველებო! ჭირიმე თქვენი! — ვარლამი
ზევიდან, თავისი სახლიდან დაჰყვირის მიმავალ სტუმრებს.

გათენდა. ვარლამის სახლში სინათლე ჩაქრა, ვარლამიც დაწყ-
ნარდა — მათაც დაიძინეს, სამაგიეროდ, სხვა ბინები გამოცოცხ-
ლდნენ, ღამეში დაკარგულის დილით ანაზღაურებას აპირებენ.

— მანონი! მანონი! — მემანვნე ქალიც გამოცხადდა უკვე,
ე.ი. რვის ნახევარია და ძილისგუდა ბავშვებიც იღვიძებენ.

ზუსტად ათი წელი, სამი თვე, სამი დღე და სამი საათი კიდევ
და მარტოკაცი დავითს ქვის კერპს აჩუქებს.

— სად ალის მამა?

— სოფელში!

- იქ ლა უნდა?
- სახლს აშენებს!
- ლათ უნდა?
- შენთვის, შენთვის უნდა!
- მალე ჩამოვა?
- კი, მალე!
- კაი, აპა, დავიძინებ!

მისი სკოლა ქალაქის ცენტრში იდგა. სამსართულიანი დიდი, თეთრი შენობა. დავითს არც ერთი მასწავლებელი არ უყვარდა ალექსანდრეს გარდა. შოთა, სულხან-საბა, გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა — დიდი ექვსეული, ალექსანდრე მასწავლებლის საყვარელი სასაუბრო თემა იყო.

თანაკლასელებთან თითქმის არმეგობრობდა, გულჩათხრობილი და ნაღვლიანი იყო მუდამ. მიუჯდებოდა მარტოდმარტო მერხს, გვერდით არავის ისვამდა და მთელი გაკვეთილები ფიქრობდა.

ფიქრობდა ყველაფერზე, უფრო ხშირად კი, სახარებაზე და „ქართლის ცხოვრებაზე“ — ორივე მისი უსაყვარლესი წიგნი იყო. მართალია, ბევრი რამ ამ წიგნებიდან მისთვის ჯერჯერობით გაუგებარი იყო, მაგრამ შინაგანად გრძნობდა, რომ ამაზე უკეთესი არც ერთ ერს არ შეექმნა არაფერი (უკვე წამოზრდილი ორივე წიგნს ასე დაახასიათებს: სახარება — ღვთაებრივი გონის ემანაცია, „ქართლის ცხოვრება“ — ადამიანური სიძლიერის ჰიმნი!).

მამის ნიჭი გამოჰყვა: ბავშვობიდანვე წერდა ცოტა-ცოტას. ჯერ პოეზიაში სცადა ბედი, მაგრამ მალე მიატოვა. რომ წამოიზარდა, პროზაში მოსინჯა ძალები, აქ კი საქმე უკეთ ნავიდა და მანაც და დედამისმაც შვებით ამოისუნთქეს.

— რას აკეთებ? — ჰკითხა ერთხელ წიგნებში თავჩარგულ დავითს დედამ.

- სიას ვადგენ!
- რა სიას? — გაუკვირდა ქალს.
- სახელოვანი ქართველების სიას! — ამაყად მიუგო დავითმა.
- მაჩვენე ერთი!

დავითმა დედას ქალაღლი გაუნოდა.

1. ფარნავაზ მეფე, 2. ქუჯი ერისთავი, 3. მირიან მეფე, 4. ნინო,
5. ვახტანგ მეფე, 6. აშოტ კურაპალატი, 7. იოვანე მარუშისძე,

8. დავით აღმაშენებელი, 9. თამარ მეფე, 10. შოთა რუსთაველი, 11. ცოტნე დადიანი, 12. გიორგი ბრწყინვალე, 13. ბერი საბა (ორბელიანი), 14. ქეთევან წამებული, 15. დავით გურამიშვილი, 16. ანტონ კათალიკოსი...

— ანტონ დიდამდე ვარ მისული, დანარჩენებს ახლა შევიტან სიაში.

დედამ შვილის საქციელი ვერაფრით გაიგო, მაგრამ მონონების ნიშნად თავი მაინც დაუქნია, სია მაგიდაზე დაუდო და ოთახიდან გავიდა.

სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა, როდესაც დედაქალაქში ამბავი მოვიდა: ქრისტიანთა რისხვა რუქნადინი ურიცხვის ლაშქრით საქართველოზე მოდისო.

საქართველოს მთავრობა ჯერ ცდილობდა, ომისთვის შეძლებისდაგვარად თავი აერიდებინა, მაგრამ რუქნადინის თავხედმა დესპანმა მზეთასნორ თამარს ისეთი სიტყვებით მიმართა, რომ ვაზირთუპირველესმა მხარგრძელმა თავი ვერ შეიკავა და სილა აჭამა აგარის უჯიშო შთამომავალს — ეს კი უკვე ომს უდრიდა.

შამშე ორბელის მსტოვარმაც მოაღწია სასახლეში, სელჩუკიანნი ბასიანის ველზე არიანო დაბანაკებულნი.

ქრისტეშობიდან 1203 წელი აშორებდა მართლმორწმუნე კაცობრიობას. დაძრულიყო მუსულმანური ზვავი და წალეკვით ემუქრებოდა საქართველოს.

...და აღდგა მაშინ ერი და ბერი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ტომი ყოველი ქართველთა და დიდუბეს შეიკრიბა ლაშქარი უბრწყინვალესი თამარის დროშის ქვეშ.

რუსთაველმა ეპისკოპოსმა შოთამ და ორმა მღვდელმა სამი დღის განმავლობაში აზიარეს ქართველთ ლაშქარი და ბოლოს დიდი მამულიშვილური ქადაგებაც წაუკითხეს.

დავით სოსლანმა პირველმა მიიღო ზიარება და ახლაც პირველი მიატორტმანებდა თავის თეთრ იაბოს.

დიდს მთაზე თამარ იდგა, ჩაუქრობელი მზე საქართველოსი: ფენშიშველა, თავშიშველი და თმაგაშლილი. მარცხენა ხელში ნინოს ჯვარი ეპყრა, მარჯვენით კი წინ მიმავალ ჯარს ლოცავდა:

— ღმერთო! გამარჯვებით მოაბრუნე ჩემნი!

ორბელის მსტოვარი მართალი აღმოჩნდა — თურქნი მართ-
ლაც ბასიანზე იყვნენ დაბანაკებულნი. საღამომდე თვალებში
შესცქეროდნენ ერთურთს პირისპირ მდგარნი, საღამოს კი
ბრძოლაც დაიწყო.

ლომივით გავარდა წინ დავით სოსლან თავისი ლაშქრით.
არც თურქნი აღმოჩნდნენ ჯაბანნი და ხმაღს ხმალი დაახვე-
დრეს, კბილების ღრჭიაღს — კბილების ღრჭიალი და უფაღო
შეგვინყაღეს — აღღაჰ აკბარ!

პატარა დავითიც მონდომებით იქნეღდა ხმაღს!

— მიდი, ბიჭო, მიდი! — გაამხნეღა მახარემ დავითი.

თვაღებში ცეცხღმა გაიღღვა, მახარეს შეღახიღმა კიღეღ
უფრო გაამხნეღა ბიჭი, მისცხო და მისცხო თურქს და ზავღეღ-
რაღაც (მაჰატიღთ — ვაჟკაცურად) დასჭყიღღა ერთი-ორი.

შემღეღ იყო, რომ სოსღანმა მტრის ლაშქარი გაარღღღა და
ჰკაღღა ურჯუღო.

დავითიც შეჰყღა სახეღოღან სეხნის თურქულ ზღღაში, შემ-
ღეღ მახარეღც, გოჩიც, ბერღღაც. ოოჰ, რა უქნეს მტერს!

ჯერ ხეირიანად დაბნეღებული არც იქნეღოღა, რომ რუქნა-
ღინ-უღნურმა პირი იბრუნა და ოციოდ კაციღთ გაჰქუსღა უკან.
გმინავღა ბასიანის კაცთმოყვარე ველი თურქთა ცოღღით.
მტრის სისხღით გაღანიღებულიყო თვაღსანიერი და ერთს
ღიდღს ზღღას ყაყაროსას მიაგავღა.

ღღღღამოსიღი გაბრუნღა თბიღისს ქართვეღთ ლაშქარი.
ღეღაქაღაქის ყვეღა ტაღარში საზეიმო პარაკღისი გაღაიხაღღეს
და მაღღობა შეჰბეღღეს უფაღს მისი საყვარელი ერის გაღარჩე-
ნისთვის. სამი ღღღ-ღაღე გუღუნეღბღენ საეკღესიო ზარეღი და
მტერს კიღეღ ერთხეღ ახსენეღბღენ:

*სამშობღოს არვის ნავართმეღთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეციღღება,
თორემ ისეღ ღღღს დავაყრით,
მკეღარსაც კი გაეციღღება!*

ღეღამ ყვეღაღერი უამბო, ორიოდ კვირის შემღეღ კი მამაც
დაანახა. უცნაური ეჩვენა მამა დავითს. ერთხეღ, სტუმრად
რომ იყო მასთან, ქვის საზარელი კერპიც მიიღო საჩუქრად.

ნარმართული ღმერთის აღებას გული მაინცდამაინც არ ეუბნებოდა, მაგრამ მამას უარი ვერ შეჰკადრა.

კიბეზე რომ ჩადიოდა, მამა სანყალობლად დაეჭყანა და, რომ მოკვდები, სანთელი დამინთეო, სთხოვა. დავით შეჰპირდა.

მეორე საღამოსვე მოხვდა ქაშუეთთან. ბევრი არ უფიქრია, შევიდა და მამის სახელზე სანთელი დაანთო. გარეთ გასული დაფიქრდა და ინანა: სანთელი ხომ მამის სიკვდილის შემდეგ უნდა დაენთო. შემდეგ მაინც მოახერხა თავის დამშვიდება, მამის სიკვდილის შემდეგ მეორეს დავანთებ, ისე კი, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოსო.

შინ მისულს ტირილისაგან თვალებდასიებული დედა დახვდა. მამაშენმა დღეს თავი დაიხრჩოო, მიაძახა.

...სიმწრის ოფლდასხმულმა დავითმა ხელების ცეცებით მიაგნო სავარძელს და შიგ მკვდარივით ჩაესვენა.

ქალაქში შიმშილობა დაიწყო. პროდუქტებზე უზარმაზარი რიგები გაიჭიმა. პურს მხოლოდ და მხოლოდ ტალონებით არიგებდნენ. თითქოსდა ეს ჭირი არ ეყოფოდათ თბილისელთ, კეთრიც გაჩნდა. ოჯახი არ იყო, ერთი ცხედარი მაინც რომ არ გაეტანათ სახლიდან: კეთროვანთა იზოლაციაც სცადეს, მაგრამ ეპიდემია მაინც ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა.

დავით და დედამისი სოფელში იყვნენ, ეს ამბავი რომ გაიგეს. მცირეოდენი თათბირის შემდეგ კი სამუდამოდ სოფელში დარჩენა გადაწყვიტეს. დავითს მაინცდამაინც არ ესიამოვნა სოფელში სამუდამოდ დასახლება. სულ სხვა იყო, როდესაც ერთი-ორი კვირით ჩამოდიოდა აქ ბავშვობისას. ნათავადარი ლევანი და მისი გაუთხოვარი ქალიშვილი ეფერებოდნენ მაშინ და ტკბილეულობითაც ასაჩუქრებდნენ. ახლა კი მხოლოდ დედის და მეზობელ-სოფლელი დეიდის აღერსს სჯერდებოდა, თუმც რას სჯერდებოდა, სულ ახლად წამოჩიტული ქალიშვილებისკენ გაურბოდა თვალი.

ქალაქში მონყენილი, აქ გამოცოცხლდა. მართალია, მეგობრების ძეხნით არც სოფელში მოუკლავს თავი, მაგრამ, სამაგიეროდ, პატარა ტბის ხშირი სტუმარი გახდა, მთებშიც გაათენა რამდენიმე ღამე.

...ეს კია, სადაც უნდა ყოფილიყო, „ქართლის ცხოვრების“ ვეება ტომს არ ივიწყებდა. წამოწვებოდა ხის ჩრდილში და

გიორგი ბრწყინვალესა თუ ქეთევან დედოფლის საარაკო თავგადასავლით იხიბლებოდა და თბებოდა. ერთი სიტყვით, სოფელში ცხოვრება, ასე იყო თუ ისე, აენყო.

სალამოს გაზეთის არანაკლებ სენსაციური განცხადება:

„აღმოსავლეთ საქართველოს ორ და დასავლეთ საქართველოს ერთ სოფელში აღნიშნულია ადამიანის მიერ ადამიანის შეჭმის შემთხვევები. დამნაშავეთა (თუ დამნაშავეის?) ხელწერა ყველა სოფელში იდენტიურია.

საშინელი კანიბალები ჯერჯერობით აღმოჩენილნი არ არიან, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი მართლმსაჯულებას დიდი ხნით ვერ დაემალებიან.

მოსახლეობას ვთხოვთ, პანიკას ნუ მიეცემა, ნურც ცრურწმენებს აჰყვება, რამეთუ არავითარი ოჩოპინტრე არ არსებობს; არსებობს მხოლოდ ამ საზარელი ატავიზმის მატარებელი ჩვეულებრივი ბოროტმოქმდი, რომელსაც ჩვენი რიგების არე-დარევა სურს.

კვლავ მოფუნოდებთ მოსახლეობას სიმშვიდისაკენ და წესრიგისაკენ, რამეთუ ჩვენ ვერავითარი ფსევდო-ოჩოპინტრეები ვერაფერს დაგვაკლებენ!“

პირველი ნაწილის დასასრული

ნაწილი მეორე
დავით
თავი პირველი
„მამა თევდორე“

*ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს
და სწყუროდეს სიმართლისათვის,
რამეთუ იგინი განსძღნენ!*

მაღალი კაცი იყო — წელში მოხრილი და საშინლად გამხდარი. უკვე ორი წელი სრულდებოდა, რაც ტყისთვის შეეფარებინა თავი. კაციშვილს არ ენახა მისი სახე და არც ის იცოდნენ, საიდან იყო. მის გამხდარ ტანსაც ერთხელ მოჰკრა თვალი ვიღაც გლეხმა და მთელ სოფელს გააგებინა.

ისეთებიც იყვნენ, როგორ არა, რომელთაც არ ენახათ, მაგრამ ტყუილად ფიცულობდნენ, ვნახეთო; ზოგს სჯეროდა მათი, ზოგსაც — არა. ერთი იმასაც ამბობდა, რქები აქვს, ეშმაკთან იქნებაო წილნაყარი. ასე იყო თუ ისე, სოფელი ოჩოპინტრეს ეძახდა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ სამიოდე წლის ბავშვის ძვლები ნახეს გზაზე. გამწარებულმა დედამ ტანსაცმლის ნაფლეთებით ამოიციხო შვილი და მორთო ერთი ვაი-უშველებელი. მას შემდეგ ტყეს კი არა, სოფლის გზასაც უფრთხოდნენ, მზის ჩასვლის შემდეგ კი კაცს ჯოხით ვერ გააგდებდი სახლს გარეთ.

— ოჩოპინტრე, ოჩოპინტრეო! — და დაშინდა სოფელი. ასეთი რამ მათ არც გაეგონათ — ადამიანი ჭამდა ადამიანებს. იმიტომაც იყო, საქონელს გულდაგულ კეტავდნენ, დიდებიც ჯგუფჯგუფად დადიოდნენ კეტებით შეიარაღებულნი, მაგრამ

არც ეს შველოდა საქმეს — თვეში ერთ ადამიანს მაინც ნახულობდნენ შეჭმულს, საქონელს ხომ — ვინ მოთვლის.

სოფელმა ფული შეკრიბა და მონადირეები დაიქირავა. კი ბაქიბუქობდნენ პირველად, მაგრამ ერთი მონადირე თავმოჭმული რომ ნახეს ტყეში, დანარჩენები სულ თითო-თითოდ გაიპარნენ.

ალარც ღმერთი სწყალობდათ და ალარც ადამიანი, ისლა დარჩენოდათ, ემკითხავათ — შემდეგი მსხვერპლი ვინ გახდებოდა.

სოფლის ხუცესი ამაოდ ახსენებდა ხალხს იობს და იმ მძიმე განსაცდელებს, რაც ღმერთი მას მოუვლენდა, მაგრამ მისი აღარავის სჯეროდა. შემდეგ კი იმ ხუცესის ძვლების აკრეფაც მოუხდათ გზისპირიდან და ხალხმა სულ დაკარგა რწმენა.

ქალებს ბავშვების გაჩენაც აღარ უნდოდათ, ადრე თუ გვიან, მაინც ეშმაკის კერძი უნდა გახდნენო. მამაკაცებმაც რომ დაკარგეს ფასი? ქალებმა ახლალა იხილეს მათი უმწეობა და სულ თავს გავიდნენ: წყევლასა და კრულვაში ათენებ-ალამებინებდნენ.

ცხოვრება მაინც მიგორავდა ურმის ბორბალივით. ქალებს უნდოდათ თუ არა, ბავშვები მაინც ჩნდებოდნენ. საქორწილო სუფრაც იშლებოდა და ქელეხიც ხომ ლამის ყოველდღე იყო.

...და სოფელი ქალწულივით ნატრობდა მზექაბუკის გამოჩენას, რომელიც მოკლავდა ავსულს და სატრფოს გულში მაგრად ჩაიკრავდა.

„ლამის წყვილადს სანთლის შუქი ეკეკლუცება და ამ შუქზე მიწვეს ხელნაწერის წაკითხვა, რომელიც ძალიან საჭიროა ჩემთვის, აუცილებელიც კი“.

ხუცესს დაუწყია ამის წერა, ვერ დაუმთავრებია და ესრეთ კუდმოკვეცილი დაუტოვებია ჩემთვის. თუმც რაღა ჩემთვის, არც კი მიცნობდა. უკანასკნელი ქურდივით შევიპარე საყდარში და დავინწყებას გამოვტაცე ეს ხელნაწერი. არადა, ვიცოდი, ხელნაწერი რომ არსებობდა, თუმც ამაზე სიტყვაც არავის უთქვამს. იდუმალმა გრძნობამ მიკარნახა და მასზე დაყრდნობილმა გავბედე საყდარში შეპარვა.

ხუცესი მეგრელი იყო და, თუმცა დედა-ქართულს კარგად შეეგუა, „ლ“-ს მაინც ვერაფერი მოუხერხა და იყო ენა მისი საოცრად ტკბილი და ლბილი. იმერეთის ამ უღმერთო სოფელში ხუცესი უყვარდათ, იმერელი ქალიც გაატანეს ცოლად და სამწელიწადში სამი შვილიც გაუჩინა ქმარს.

ღმერთი არა სწამდათ სოფლელთ, ხუცესი კი კეთილი იყო და, ალაბათ, იმიტომ, შემდეგ იმ დალოცვილმა არსთგანმრიგემ ცოლიც რომ წაართვა და სამი შვილიც, და ხუცესი კი მაინც მადლს სწირავდა უფალს, ხალხმა გიჟად ჩათვალა და გულიც აიყარა მასზე. დადიოდა და გაკვირვებულთ ეუბნებოდა, რა უფლება მაქვს, უფალს აქაც კარგად ყოფნა შევევედროო. ადრეც არ ყოფილა საყდარი ხალხით გაჭედილი, მაგრამ ამ სიტყვების შემდეგ კაცსაც ვერ ნახავდით წირვაზე. მნათეც გაექცა და ნახევარად შეშლილი ქალიც, მონახვნად რომ იყო დაყუდებული წმინდა ტაძარში.

— კუჭისანიო, კუჭისანიო, — ტკბილად ჩაიდუდუნებდა ხუცი და ხალხზე არგამწყრალი თავად რეკდა ზარებს. ხანშიშესულს კი უჭირდა კიბეზე ასვლა და უზარმაზარი ზარების მიტყორცნ-მოტყორცნა. ესეც იცოდა, რომ არავის არ უხმობდნენ ეს ზარნი, მაგრამ მაინც რეკდა, რეკდა მთელის გატაცებით. ჯერ დიდს დააგუგუნებდა, შემდეგ პატარებს შეუნყობდა ხმაში და ხარობდა გული, მთელ ტანში ჟრუანტელად უვლიდა ზართა სიმფონია.

დინჯი ნაბიჯებით დაეშვებოდა ქვევით, თავს კიდევ ერთხელ შეავლებდა თვალს და წირვასაც იწყებდა. გალობითაც თავად გალობდა და ლოცვასაც თავად ადავლენდა, ერთ უმნიშვნელო დეტალსაც არ ტოვებდა უცხოთვალს მონატრებული. წირვის შემდგომ ცარიელ კედლებს ქადაგადაც მოვევლინებოდა. საუბრობდა ღმერთზე, სიკეთეზე, იმქვეყნიურ სიხარულზე, ამქვეყნიურ ამაოებაზე...

ერთხელ პატარა ბავშვი შევიდა საყდარში. მამა თევდორეს ის დღე სიკვდილამდე არ დავინწყნია. იმ დღეს მან თავისი საუკეთესო წირვა ჩაატარა.

ამ წირვა-ლოცვების შემდეგ ხომ საბოლოოდ დაუმკვიდრდა გიჟის სახელი. როგორც კი გაიგებდნენ ზარის ხმას, გაიცინებდნენ, ერთმანეთს შეხედავდნენ და იტყოდნენ, მამაო გიჟი რეკსო.

ხელნაწერის დასაწყისში მამა თევდორე უჩივის ურწმუნობას და სოფელში ოჩოპინტრეს გამოჩენას ღვთის სასჯელად მიიჩნევს. შემდეგ კი...

„...და გაბატონდა ურწმუნო სულელებზე ეშმა. ძალა ბოროტი, უბირ ხალხისგან უწყინარ სახელით — ოჩოპინტრედ წოდებუ-

ლი. იპოვა ავმან სულმან ადგილი მყუდრო, გასაბატონებელი და საპარპაშო, ურწმუნოს და უღმერთოს ხალხით და ინყო შთანთქმამ ადამის ძეთა და უტყვთა პირთა. მთავარი — კაცის სულიც მიიტაცა და გაბატონდა როგორც ხორცზედ, ასევე სულზედ.

ოო, ღმერთო ჩვენო და ყოვლისშემძლეო წმინდა გიორგი, აპატიე ამ უბედურთ დანაშაული ესე და თუ გინდ მე, მხოლოდ მე ვზლო ცოდვანი ძმათა ჩემთა...”

ემინოდა მამა თევდორეს, ძალიან ემინოდა. იმდენად საკუთარ თავზე არ ნუხდა, რამდენადაც თანასოფელნი ებრალებოდა, ეს ჯოგი რწმენადაკარგული ადამიანებისა.

ხელნაწერთან ლაციცში თავზედანათებულს ხშირად თავისი დიდი წინაპარიც გახსენებია, ჯვრით ხელში და სამშობლოს სიყვარულით ანთებული გულით — ხუცესი თევდორე, რომელმან თავი თავისი დასდო მოყვასისათვის.

ქორწილის ამბავსაც იხსენებს ერთგან. მართალია, ძალიან არ ეპიტნავებოდათ, მაგრამ მაინც დაპატიჟეს. ხალხი ისე უცქერდა, თითქოს თვითონ ყოფილიყო ოჩოპინტრე და ამდენი ადამიანის ცოდვა-ბრალი მის კისერზე ყოფილიყო.

ვერ გაუძლო ამდენ ზიზღიან მზერას, წამოდგომა დააპირა, მაგრამ გოლგოთა გაახსენდა, გაახსენდა, რომ თავადაც უნდა ეზიდა ჯვარი თავისი და დარჩა. ქორწილი არ აენყო. ნაძალადევი იყო ცეკვაც და სიმღერაც. სიძე-პატარძალიც რალაც ნაძალადევად ილიმებოდნენ.

სამშობლოსათვის განწირული აღდგესო, შეჰყვირა მამა თევდორემ. პირველად სერიოზულად შეხედეს ამ ამბავს, შემდეგ გაახსენდათ, რომ გიჟი იყო და შეეშვნენ. წყალში დამხრჩვალნი უკვდავიაო, არ ცხრებოდა მსმენელის გარეშე დარჩენილი ხუცესი. მართალს ვამბობო, ჩაიღულუნა თავისი ტკბილი „ლ“-თი და ცრემლი წასკდა თვალთაგან.

მეორე ღამეს კი მგზავრთ მიუკაკუნებიათ ხუცესის კარზე. ადამის შვილს მონატრებულს ფართოდ გაუღია კარი და გახევებულა. ორი ულამაზესი ქალწული იდგა მის წინაშე.

შემოგვალამდა თქვენს სოფელში, არადა, ცუდი ხმები დადის ვილაც ოჩოპინტრეზე და დილამდე შეგვიკედლეთო. როგორ არაო, და ღარიბული ვახშამიც გაუზიარა სტუმართ ხუცესმა, საწოლი გაუშალა და თავად წინკარში მინვა სტუმარწვეული.

გამთენიისას კი კარზე დააბრაახუნეს, მთვრალი სოფლელნი იყვნენ, სტუმრებს ითხოვდნენ. რაო, რა გინდათო, გასძახა ხუცესმა. შე გიჟო და მამაძაღლო, ლამაზი ქალიშვილები რა შენი საქმეა, ჩვენ გადმოგვეციო. ცივმა ოფლმა დაასხა მამა თევდორეს, ვედრებად დადნა, რას არ შეჰპირდა, როგორ არ შესთხოვა, მაგრამ არა, სოფლელნი სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. სულ მალე კარის შემომტვრევაც შეძლეს და სანოლში განაბულ ქალწულებს დააცხრნენ. ამაო იყო ქალწულთა თავგანწირვა, კივილი, კბილების ღრჭიალი, ხვეწნა-მუდარა. მამა თევდორე კუთხიდან კუთხეში დარბოდა, მომხდურთ გონს მოსვლისაკენ მოუწოდებდა, მაგრამ ვილაცის მძლავრად მოქნეულმა მარჯვენამ იატაკზე გამოტა და ენაც ჩააგდებინა. როცა გამოერკვა, წამოდგა; იხილა ფანჯრები ჩამტვრეული, მაგიდა და სკამები აყირავებული და... სისხლიან სარეცელს მიჯაჭვული ორი უსიცოცხლო არსება — შეშლილი, თუმც მანც ლამაზი სახეებით. მამა თევდორე დაემხო და გოდებად ამოუშვა ტკივილი. მეორე დილით მარტომ, სხვის დაუხმარებლად დამარხა ორთავე, პანაშვიდიც გადაუხადა და სახლი დატოვა, საყდარში გადასახლდა. იმ დღიდან მამა თევდორემაც დაკარგა რწმენა, ოღონდ რწმენა არა ღმერთის, არამედ ადამიანის...

ასე დარჩა ერთი პატარა სოფელი ღმერთის რწმენის, ხოლო სოფლის ხუცესი — ადამიანის რწმენის გარეშე, მთელი სოფელი კი ავი სულის სათარეშო და საპარპაშო ალაგად.

ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ მალლა სოფლიდან ვილაც კაცი მივარდა საყდარში.

— მამა თევდორე! — გაეცნო ხუცესი.

წვეროსანის მშვიდმა ტონმა მომხდურიც დაამშვიდა.

— ელიაზარი, — შეაგება სახელი და კვართიდან უშნოდ გამობერილი ნაჯახის ტარს გასწორება დაუწყო.

— ერთადერთი, ვისაც არ მოვკლავ ამ სოფელში, შენა ხარ, მღვდელო, — დაამატა მთავარი სათქმელიც.

მამა თევდორემ შეათვალიერა მალლასოფლელი სტუმარი, სახეში ჩააშტერდა, დიდი მრისხანება და, იმავ დროს, სიკეთეც იკითხებოდა ელიაზიარის თვალებში. ოჯახზე ზრუნვით გაჭაღარავებული წვერ-ულვაშიც თავისთავად ბევრს ამბობდა.

— ჩემი ქალიშვილები იყვნენ ისინი, ხუცესო, — გააგრძელა სტუმარმა სიტყვა, თვალები დაუნითლდა და ცრემლით აევსო, — მაღლა სოფელში მე ყველა მიცნობს, აკვნისა და კუბოს კეთების ოსტატი ვარ; სოფელში კაცი არ დაიბადება, ჩემს აკვანში რომ არ გაიზარდოს და ისე არ მოკვდება, ჩემს ნაკეთებ მუხის კუბოში რომ არ ჩაანვიწინონ...

შეჩერდა, ხუცესს ახედა, თვალები კიდევ უფრო დაუნითლდა და უცრემლიანდა, დროებით შეშვებულმა ნაღველმა კვლავ ხელი სჭიდა მის გულს.

— შენ ყოფილხარ აქ ერთადერთი ადამიანი, დანარჩენებს ყველას გაწყვეტ, ყველას... — უცბათ აენტო, კვართიდან ნაჯახი გამოათრია და ხმალივით დაატრიალა.

— ნუ იზამთ ამას! — დაჩოქილმა ხმადაბლა ამოჰლულუნა შურისგების გრძნობით შეპყრობილს.

მაღლასოფლელი უცებ დამშვიდდა, ცას ახედა, ამოიოხრა, შემდეგ ნაჯახს უშვა, ბოლოს მოისაზრა და ხუცესი წამოაყენა:

— რატომ მეუბნები მაგას, მამაო?!

— თავისი გაჭირვებაც ეყოფათ, ოჩოპინტრემ დარია ხელი და ამან გააგიჟა ბეჩაენი, თუმცა მეც აღარ მეცოდებიან.

— მაშ, რატომღა მთხოვ, რატომ? - კვლავ ცეცხლი შემოენტო მაღლასოფლელს.

— მე რომ არ მეცოდებიან, ჩემი ბრალიცაა და არა მარტო იმათი, გულს და თვალს დავემონე; სტუმარო, ნუ განწყვეტ მათ!

სიჩუმე ჩამოწვა. ცაზედ რაღაც გასკდა, თუ რა — ამისთვის არ მიუქცევია ყურადღება.

— ნადი სოფლიდან, მამაო, მე არას გიზამ, მაგრამ ოჩოპინტრეს ვერ გადაურჩები.

— და იყო მხდალი ლოტი, რამეთუ დაუტევა სოდომ და გასწია...

— მაშ, მოკვდი აქ და მოკვდი მათი გულისთვის!

— არ დამეხმარები?

მაღლასოფლელს სახეზე ზიზლი აღებეჭდა, დიდი ხნის ნაგროვები ნერწყვი მიწას აჩუქა და დასჭექა:

— ამ დამპალი ბრბოს გულისათვის?! არა, ხუცეხო, არა! მე განზე ვიდგები, გაიმარჯვებ თუ დამარცხდები, ჩემთვის სულერთია, მე კი არ ვფიქრობ, ამ სოფელს დავუბრუნდე, ხოლო თუ დავბრუნდი, დავბრუნდები რისხვად...

— ახლა?

— ახლა კი შენთვის მიპატიებია ეს გაფუჭებული ხალხი!
დაიხარა, ნაჯახს დასწვდა, ერთხანს დანანებით უყურა, შემდეგ
შეტრიალდა და ჩქარი ნაბიჯებით გასწია თავისი სოფლისკენ.

ხუცესმა პირფვარი გადაიწერა, ხალხის გადარჩენისთვის
უფალს მაღლი შესწირა და საყდარს მიაშურა.

მიცემულ სიტყვას ველარ გადავიდოდა ხუცესი, ამაღამითვე
უნდა შებმოდა ოჩოპინტრეს. თუ გაიმარჯვებდა, ხალხს რწ-
მენაც დაუბრუნდებოდა და სიკეთეც, თუ ვერა და... არ ჰქონდა
ხუცესს გამარჯვების იმედი. ხელნაწერში წინასწარვე გლოვობს
თავის თავს და ჩივის, მას ხომ ელიაზარმაც უარი უთხრა დახ-
მარებაზე. არადა, ის კაციც სწორია, ამასაც გრძნობს ხუცესი,
თავისი შვილების მკვლელებს რატომ უნდა მიაგოს სიკეთე...

„დაღამდა უკვე. მთვარეს ღრუბელი გადაკვრია და ესრეთ
გადაჭდობილნი და ჩახუტებულნი მოგზაურობენ ცაზედ.

ღმერთო, კვლავ შემაყვარე ეს ხალხი! მთვარე ღრუბლიდან
ნელ-ნელა იკვეთება. წინაპარი ჩემი, დიდი თევდორე! წასვლის
დროც მოვიდა, ამ სოფელში ორივეს აღარ გვედგომება, ან ის,
ან მე. შველა ვის შევთხოვო, ყველა გზა ჩაკეტილი მაქვს.

მე! მარტო მე! მე უნდა დავამარცხო ავი სული... არადა,
ხალხი იმას მაინც იზამს, მინას მიმაბარებს...”

თავი მეორე

სიმონის სიყვარული

სიმონი ერთი-ერთი მათგანი იყო, ვინც მაღლასოფლელი
ქალიშვილები გააუპატიურა. რომ დაუფიქრდა საქციელს, კი
ინანა, თან სიკვდილიც რომ გაიგო ნამუხახბილების, მაგრამ
მალევე გადაავიწყდა ეს ამბავი და მშვიდი სინდისით განაგრძო
სიარული შერყვნილ დედამინაზე.

სიმონი ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ ადრე თუ გვიან
ოჩოპინტრეს მსხვერპლი უნდა გამხდარიყო, ამიტომაც თოფი-
ანად დასეირნობდა დღითა თუ ღამით — რომ შემეყრება, თვა-
ლებს შუა უნდა ჩავუჭედოო ტყვია.

გამრჯე და მშრომელი კაცი იყო სიმონ, დედა მას არ ჰყავდა და მამა, ერთი ძმა ეგულებოდა და ისიც შეეჭამა ტყის ავსულს. იმ დღიდან მარტო უძღვებოდა ვეებერთელა მეურნეობას და დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა.

იშვიათად სვამდა, მაგრამ თუ დაღვედა, ოთხ კაცს უნდა მიეტანა სახლში. ჯან-ლონეც დიდი ჰქონდა, ერთხელ სპილენძის მონეტა ნიძლაგზე ორი თითით გაღუნა და მერე გაასწორა კიდევ. მადაც იშვიათი ჰქონდა, სადილზე ერთი ინდაურის გათავება შეეძლო. ამიტომაც არ უყვარდათ სოფელში მისი სუფრაზე მიპატიჟება. ლოქოფოჩაზე ხომ სულ მთლად კარგავდა ჭკუას, თუკი სადმე ნააწყდებოდა, მუსრს ავლებდა.

თავის მოვლა არ უყვარდა, თავის დღე და მოსწრება დაკონკილი ტანსაცმლით დადიოდა, გაზინტლულით და გაშავებულით, ძვლებსლა რომ უფარავდა მხოლოდ.

მუცლის ამოხორვის შემდეგ იშელთან უყვარდა წამონოლა და ჩიბუხის გაბოლება.

იმ დღესაც იშელთან წამონოლილიყო და ღორებით გარშემორტყმული ფიქრობდა ადამიანის დიდ უპირატესობაზე ცხოველთან შედარებით. ჩიბუხს პირში აყოვნებდა, ბოლსაც კარგა ხანს იგუბებდა და შემდეგ ერთიანად უშვებდა.

ის-ის იყო, სიამოვნებისგან თვალებიც უნდა მოეჭყუტა (ასეთი ჩვეულებაც ჰქონდა), რომ ნეკისოდენა დიაცს მოჰკრა თვალი, ბილიკზე რომ მოგოგმანობდა.

დააკვირდა — იცნო, დალი იყო, ჭავჭანიძეთა ბაღანა. კაი ბაღანააო, ჩემმა მზემ, ჩაიცინა, მკერდიც გაზრდია და დაქალებულიაო კიდევ. წამოდგა, ღობეს დაეყრდნო და გასძახა:

— ვისი ხარ, პატარა გოგოვ?

კი იცოდა, ვისიც იყო, მაგრამ რამე ხომ უნდა ეთქვა. დალი ვარო, ჭავჭანიძის ქალიშვილი, უპასუხა, ბავშვური გულსადაგობით გაუცინა და ყელი შველივით მოუღერა ვაჟკაცს. ცარიელი ვნება იყო ქალწული, დიდ შავ თვალებსაც გამომწვევად აფახურებდა. თმა აწეწოდა დალის და სარეცელიდან ახლად წამომდგარის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ქვევით უფრო საინტერესო იყო და სიმონმაც მზერა ტანს მიაპყრო. ტანზე მჭიდროდ შემოტმასნილი კაბიდან ტლანქი და საოცრად

ბინიერი ნაკვებები გაიელვებდა... შიშველმა მუხლისთავებმა ხომ სულმთლად გადარია ვაჟკაცი. სიმონ აღევზნო, სისხლი საფეთქლებში მოანვა, ვერ მოითმინა, ღობეს გადაახტა და ტურჩით დააფრინდა ქალის ყელს. დალის ესიამოვნა, ერთხანს თვალებიც კი მიანბა, მაგრამ უცბათ გამორკვეულმა შეუტია ვაჟს: რა ჰქენი და რა მაკადრეო. შემდეგ დაირცხვინა, თავი ძირს დახარა, განითლებულმა ეშმაკურად აციმციმებული თვალებით ამოხედა და უთხრა:

— თუ ეგრე მოგწონვარ, ნადი, მშობლებს სთხოვე ჩემი თავი.

სიმონი ისე იყო, რომ ქალის მშობლებს კი არა, თვით ეშმაკს სთხოვდა მის ხელს, მაგრამ რალაც გაახსენდა და თავი შეიკავა.

არც ისე ძველად მომხდარიყო ეს. ოჩოპინტრე ჯერ არ ჩამოსულიყო სოფლად. სიმონის მამას ხის მოჭრისას დალის ბიძა შემოჰკვდომოდა. დალის მამამაც ბევრი აღარ დაახანა და ერთ მშვენიერ დღეს ნაჯახით ნააცალა თავი მოსისხლეს. სოფელი ჩაერია დავაში, ოჯახები შეარიგეს, რაც მთავარია, სისხლი აღებული იყო, მაგრამ ვაჟმა კარგად იცოდა, რომ ჭავჭანიძენი მაინც არ გაატანდნენ ქალს. მოიწყინა, ჯერ ცას ახედა, შემდეგ მზისადარს უწყო ჭვრეტა, — სისხლი გვაქვსო ერთმანეთის, დალი! — აკი, შერიგდითო, — არ დაიბნა ქალიც.

მაინც არ მომცემენო შენს თავს, აღარ ჰქონდა ვაჟს არაფრის იმედი. — მომიტაცეო... — რაო, — ხომ არ მოეყურა ეს სიმონს, მომიტაცეო? ჰო, მოიტაცებს, შინ მოიყვანს და, თუ საჭირო გახდება, დაიცავს კიდევ, მთელი ჭავჭანიძეები რომ შემოენყონ სიმონის სახლ-კარს, დედაბუდიანად განყვეტს ყველას.

ეს შენ გაგიმარჯოს, გულსადაგო მტრედო, ათიოდ ნუთში რომ დაეუფლე ვაჟს. მოგიტაცებს, როგორ არ მოგიტაცებს — სიმონ ტყუილად არ ჰქვია.

ერთიც უნდა გკითხოს, როდის მოასწარ შეყვარება ვაჟის, პირველად არ ნახე განა? — შენ რა, მეცხრეჯერ მხედავ? — პასუხობს დალი და ორთავ იცინიან.

ლამით დაგელოდება ვაჟკაცი ბაღში, მაშინ გახდება მისი. ბებერ მამასაც გააცურებ და ბოროტ ოჯახსაც. მაშ, გელის, არ დააღალატიანო, უთუოდ მოდი!

ფილისტო ჭავჭანიძეს ბევრი ღამე უტეხია, მაგრამ ამ ღამეს არც ერთი არ ჰგავდა. არა, ქალიშვილი ჯერ არ გაპარულა,

თუმც იცის მისი ამბავი და ახლა ბრაზობს ცოტათი კიდეც. რა ქნას, ბოროტი ყოფილა და დალის სინმინდე ანაცვალა თავის თავს. ხუთი წელიწადი მაინც იქნება, რაც შიშში ცხოვრობს, იცის ქართველი კაცის ამბავი, მამის სისხლს რომ არ შეარჩენს არავის. საიდან არ მოუარა, რანაირად არ სცადა სიმონის თავიდან მოშორება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. და აი, იძულებული გახდა, ქალიშვილი გაენირა. პირველივე დღეს შეაბა ეჭვანი ვაჟკაცს დალიმ და მამას მოახსენა, სიმონი თანახმაა, მომიტაცოსო. ფილისტომ სანამლავი გამოიღო, არყის ბოთლში რომ ჰქონდა არაყშივე გაზავებული და შვილს უთხრა:

— ხუთი წელიწადია ელოდება ეს სიმონს, ხუთი წელიწადია ველოდები მე გათავისუფლებას. დალი, ჩემი სიცოცხლე შენს ხელშია...

...და, აი, ისიც! ვაჟკაცი ნელზე ხვევს ქალს ხელს, მკერდზე იკრავს და ცხენსაც მათრახით გაეთამაშება. ცხენი მიაპობს სოფლის წყვდიადს და შეყვარებულთ მიაქანებს საბოლოო ნავთსაყუდელისკენ.

აგერ სახლიც! ვინ იცის, რამდენი ქალწულის კივილს შეუძრავს აქაურობა, რამდენის უმანკოება გაუქელია ველურ დათვის, მაგრამ დღეს თავად ის ატაცებულა, ნაზ-ფუნჩულა სხეული ქალისა ჩაუკრავს და ეალერსება.

მას უყვარს დალი, უყვარს ძალიან, მთელი არსებით. უცნაურია დათვისთვის ეს გრძნობა, ძალიან ახალი. სიამოვნებს მას ქალზე მეტად ეს ახალი რაღაც, გულზე რომ ჩაფრენია და ხელს არ უშვებს, სიამოვნებს.

— დალი, ჩემო დალი, — ლულულებს და ღია კარს მხრით ანგრევს, აგერ სარეცელიც, მაგრამ ვაჟი არ ჩქარობს. დალი ხომ სხვაა, ის ხომ უყვარს, ჯერ უნდა უყუროს მას, ბოლომდე დატკბეს მისი სიმშვენიერით. მხნე კაცია სიმონ, ამდენი განცდილის შემდეგ მაინც პოულობს ძალას და სუფრას შლის. მარანშიც აპირებს ჩასვლას და ღვინის ამოტანას.

— არ გინდა, — აჩერებს ქალი და არყის ბოთლს აჩენს. სიმონს რაღაც უნდა თქვას, ვერ ახერხებს და ქალს ხელზე კოცნის და არაყს ასხამს.

— შენ დალიე, მე არ მინდა, — მორცხვობს ქალი.

— სწორია, რა ქალის სასმელია აბა არაყი, — ხარობს სიმონი და არაყს სვამს.

ჩქარა, ფიქრობს ქალი, ჩქარა მოვიდეს ეს დათვი ჩემთან, თორემ ვერ ვიგემებ მამაკაცის ალერსს (ვერ ვიგემებ დათვის ლომნას და გარინდვასაც ვერ მოვასწრებ მის მკლავებში).

ოჰ, მამაჩემო, რა კაცს მიკარგავ, მაგრამ იმას ხომ მაინც ველარ მეტყვი, ქალწული რად არ ხარო, ბრაზობს დალი და ტანსაცმელს იხდის.

მამაკაცს არაყი აღარც უნდა, ისედაც მთვრალია. ქალს ხელს სტაცებს და სარეცელში ჩაკარგავს, თვითონაც ზევიდან გადააწვება და თავილა მოჩანს მარტო ქალის.

დალი კვნესის, მერე კივილიც ჩაესმის სიმონს. ეს კივილი ბევრ რამეს ახსენებს, მაგრამ... გაჩერდი, ფიქრო; ახლა მხოლოდ დალიზე უნდა იფიქროს.

ქალი კივილს ეშვება და უსაზღვროდ ნეტარებს.

— მე ასე ველარავინ მომეფერება, — ფიქრობს და სიმწრისგან ტუჩებს იკვნეტს. სიმონ დგება, რატომღაც დასცხა ძალიან, გავა, წყალს დალევს. დიდმა ბედნიერებამ იცის ალაბთ სიცხის აწვევა.

ანი სხვა კაცი გახდება, მხოლოდ ის ეყვარება — დალი, მისი ბავშვებიც, ამ ღამის შემდეგ რომ გაჩნდებიან, შექმნიან დიდ, ბედნიერ ოჯახს. ოჩოპინტრესაც მოკლავს, რომ თავისუფლად იცხოვრონ მისმა შვილებმა...

ვაი! დათვი ტორტმანებს, ტორებს აქეთ-იქით იქნევს, ფიქრი უწყდება და თვალთაც უბნელდება.

— სიმონ! — კვიის ქალი. უკვე გვიანაა. დათვი იატაკზე ენარცხება, უკანასკნელადლა ამოიხროტინებს და მორჩა, გათავდა!

ქალი კანკალით დგება სარეცელიდან, ტანთ იცვამს და მკვდრის სახლს ტოვებს.

სიარული უჭირს, თავად ჰგავს ახლა სიარულით დათვის, გარეთ ცივა, არადა, ქალს შილიფად აცვია. სცივა დალის, მაგრამ მაინც წინ მიდის, წინ, მამასთან.

საკუთარი სახლის კონტურებიც იხაზება ნელ-ნელა. თანდათან დიდდება სახლი. აგერ ფილისტოც. კვლავ არ სძინავს ბოროტ ბერიკაცს, კიბეზე ჩამომჯდარა და ქალიშვილს ელის. ოო, რა უსაზღვროდ სძულს დალის მამა, ასე არასოდეს სძულებია.

შორიდანვე გასძახის:

— მოისვენე, მკვდარია მტერი შენი!

ფილისტო ფეხზე წამოიჭრება, დალის მივარდება, ეხვევა, კოცნის, საალერსო სიტყვებს ჩასჩურჩულებს, თითქოსდა კვლავ ის დალი იყოს, ხუთი-ექვსი წლისა, მოკლე კაბით რომ დარბოდა აღმა-დაღმა.

— ნუ გეშინია, შვილო, ენას კბილი დავაჭიროთ და ვერავინ ვერაფერს გაიგებს. ისეთ კაცზე გაგათხოვებ, მთელი დუნია შენს ბედს დანატროდეს...

დალი არაფერს პასუხობს. შედის სახლში და თავის ოთახში იკეტება. საკმაო აქვს სატირალი და საფიქრალიც. რომ ვერ შეუსრულოს ფილისტომ დაპირება?

თავი მესამე

„ივლითი“

*ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გდევნიდენ,
და გყვედრიდენ, და სთქვან ყოველი სიტყვა
ბოროტი თქვენდა მიმართ სიცრუით ჩემთვის,
გიხაროდენ და მხიარულ იყვნით, რამეთუ
სასყიდელი თქვენი დიდ არს ცაათა შინა.*

ევდოკიას ქმარი სამთვენახევრის წინ მოეკლა ოჩოპინტრეს, გაეტყავებინა და ტყავი დიდ ხეზე დაეკიდა. გვამის ნაცვლად ტყავის დამარხვა მოუხდა ევდოკიას, იგლოვა, იტირა და ქმრის სურათიც გაადიდებინა.

შვილიც არ დარჩენია ქმრისგან, მაგრამ მისი ალერსი კარგად ახსოვდა, ამიტომაც იყო, მის სახელს რომ არ შეურაცხყოფდა და სხვა მამაკაცს არ იკარებდა.

ლამაზი ქალი იყო ევდოკია. მის ხელს ახლაც თხოულობდნენ მაღალ-მაღალი ვაჟკაცები, მაგრამ არა, ქვრივი მკვდრის ერთ-

გული რჩებოდა კვლავ. შეძლებული ქალი იყო ქვრივი, ორსართულიან სახლში ცხოვრობდა და ყანაც უზარმაზარი ჰქონდა. ქალს, აბა, როგორ უნდა ეთოხნა და მეზობლები უმართავდნენ ხელს (რა თქმა უნდა, გარკვეულ საფასურად).

მარტო ცხოვრობდა ქვრივი. ეშინოდა მარტოობის და დასთხოვა მეზობელი სოფლიდან — ჩემთან გადმოდიო, მაგრამ ოჩოპინტრეს შიშით რომელი ჭკუამართალი გაბედავდა დანყველილ სოფელში დასახლებას.

დაჯდებოდა საღამოობით ლამაზი ქვრივი ეზოში, ჩამოიშლიდა თმას და გამვლელ-გამომვლელს ათვალეერებდა. როცა მოსწყინდებოდა ერთი და იგივე სახეების ყურება, სახლში შებრუნდებოდა და ყველგან სინათლეს ანთებდა — ეშინოდა სიბნელის. ღამღამობითაც კი ენთო სახლში სინათლე და, როგორც წესი, გაუხდელი იძინებდა. ტანისამოსის გახდას რაღაზე გაურბოდა, ეს აღარ ვიცი, მაგრამ ერთი კია, იმ ღამით ვილაცამ ფანჯარაზე რომ დაუკაკუნა, წამომდგარ ქალს ჩაცმა არ დასჭირვებია.

ფანჯრიდან გახედა, ნანახი არ ჰყავდა, მაგრამ მაინც იცნო, ის იყო — ოჩოპინტრე! სახე მინაზე მიეჭყლიტა. უფეროს და ისედაც საშინელ სანახავს კიდევ უფრო შეშლოდა სახე. ევლოკიამ ამაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, წამოიკივლა და გულიც წაუვიდა.

გონს რომ მოვიდა, ისე უკვე თავზე ადგა, ილიმებოდა და თავზე ხელს უსვამდა. ქალს გააჟრჟოლა, გაიფიქრა კი, რატომ არ მომკლაო აქამდე. ოჩოპინტრე თითქოს მიხვდა, რასაც ფიქრობდა ქალი:

— შენნაირ მშვენიერს, აბა, როგორ მოვკვავ, — ბოროტად ჩაიციხა, ქალი კიდევ ერთხელ შეათვალეირა და მკერდზე წაავლო ხელი.

— შენ ჩემი გახდები ამაღამ... ნუ გეშინია, მეტს არაფერს გიზამ, იცოცხლებ, ოღონდ ჩემთვის, — ოჩოპინტრეს თავდაჯერებულმა ლაპარაკმა ქალი სულ მთლად დააბნია, ფეხზე წამოიჭრა, ფანჯარას მივარდა და ცახცახით აეკრა მინას:

— არასოდეს! არ მომეკარო, თორემ თავს მოვიკვავ! — ოჩოპინტრემ ნაბიჯი გადადგა წინ, ისე, რომ სახიდან ღიმილი არ მოუცილებია; შემდეგ თვალს მამაკაცის სურათი მოხვდა,

ამოიცნო ევდოკიას ქმარი. ქალს შეხედა, მათი მზერა ერთმანეთს გადააწყდა. ქალი რალაც საშინელს ელოდა, ოჩოპინტრემ ქალს თვალი მოსწყვიტა, სურათს ეცა და იატაკზე დაანარცხა. სურათი დაიმსხვრა. შუშის ნატეხები მთელ ოთახს მოედო, ოჩოპინტრე იცინოდა, ქალს კი უკვე ხმის ამოღების თავიც არ ჰქონდა.

— კარგი! — მოიფიქრა ბოლოს ქვრივმა, — თუ არ მომკლავ, ვიქნები შენი, — და თან ზიზღით შეათვალიერა ნახევრად შიშველი მამაკაცის (?) მნითური ბალნით დაფარული სხეული.

ოჩოპინტრე ქალს მიუახლოვდა, ნაზად აიყვანა ხელში და სანოლზე მიანვინა...

მას ეძინა. ევდოკიამ იგრძნო ეს. ახლა უნდა აღესრულებინა აღსასრულებელი. ფრთხილად წამოდგა, კანკალმა აიტანა, იგრძნო შებიღნული სხეული, მაგრამ სული კვლავ სუფთა ჰქონდა, თან ეს... ნაჯახი! ოთახის კუთხეში იყო მიყუდებული. ქალმა აიღო, ხელი მოუჭირა, ცოტა ხანს გალესილ პირს უყურა, შემდეგ კანკალით მიუახლოვდა საყვარლის სარეცელს და ნაჯახი მოიქნია. დარტყმა ძლიერი გამოდგა. თავი ტანს მოსწყდა, სისხლმა შადრევნად იფეთქა, ევდოკიას სახესაც კი მისწვდა ერთი-ორი წვეთი. მოჭრილმა თავმა კბილებს წკარანკური დააწყებინა, შემდეგ დანყნარდა — ქალი გამარჯვებული იყო!

შებიღნულ სხეულს ველარ გრძნობდა ქვრივი, ის მხოლოდ სულს გრძნობდა საკუთარს! სულს დიადს, გამარჯვებულს, ამაღლებულს...

ორი თითი თმაში მოჰკიდა თავს, ასწია. სისხლის წვეთები კვალად გაჰყვნენ მოჭრილ თავს. შემდეგ ტომარა აიღო და თავი შიგ ჩააგორა, ტანისთვის აღარც შეუხედავს, ისე გავიდა გარეთ — უკვე თენდებოდა!

...და მოაბიჯებს გამარჯვებული ივდითი ოლომფრენეს ბანაკიდან. ხელთ ტომარა უპყრია — იქ განისვენებს მტერი ებრაელთა ოლომფრენ, მოსული დასაქცევად აბრაამის ძეთა.

რამდენ კარმიდამოსაც გაივლის, იმდენჯერ დასტეკავს:

— აქ არის თავი მტრისა ჩვენისა, მოდით, ნახეთ! — ადამიანები თბილ სანოლებს ტოვებენ და გმირი ქალისკენ მიიჩქარიან!

დიდება შენდა, ივდით, მხსნელო ჰურიათა! ხალხი დითირამბებს მოგიძღვნის და გიმღერებს უკვდავ ჰიმნებს.

...და ჰა, მინდორიც ფართო, შექუჩული ხალხით. ყველა მას მოეღის, გმირ ქვრივს. ყველას უნდა, ნახოს თავი მტრისა, ყველას აინტერესებს ოლომფრენეს სახის დანახვა.

ივდით გამარჯვებულის სახით ყოფს ხელს ტომარაში და... რა არის ეს? თავის ნაცვლად ქვაღა აგდია შიგ, მეტი არაფერი. ნუთუ ეზმანა? — არა, ეს შეუძლებელია. ფიქრებს ეძლევა ქვრივი. ხალხი კი იმედგაცრუებული და დაბოლმილი ტოვებს მწვანე მინდორს — ყველას თავისი საქმე აქვს.

ივდითიც სახლში გარბის, ტანის ნახვა აინტერესებს, ისიც ხომ ქვად არ ქცეულა ნეტავ? აჰა, სახლიც! ქვრივი ირემივით ახტება კიბეს და ოთახში შედის.

ქმრის სურათი ისევ კედელზეა, თითქოსდა არავის დაუმტვრევია. ოლომფრენეს ტანიც არ ჩანს, კი მაგრამ, ქალს ხომ ყველაფერი ნათლად ახსოვს. ნამდვილად იცის, რომ წუხანდელი ღამე არ ყოფილა ზმანება.

სისხლი! აკი ვთქვი, პატარა ლაქა შემხმარა საწოლზე. ესეც ასე, მაშ, მართლა მომხდარა ყოველივე, კი მაგრამ ქვა...

ო, არა, ივდით! ოლომფრენე შენზედ დიდია და ძლიერი. მარტო შენ ვერ მოკლავ მას. მოეშვი ტირილს და მოეგე გონს. ნუთუ ვერ ხედავ, რომ ზღაპრული დევივით მოჭრილის ნაცვლად ახალი თავი ამოდის — უკვდავია ოლომფრენე მანამ, სანამ ღვთის რისხვა წყალობად არ შეეცვლებათ ებრაელთ.

მაშ, ნუ აყოვნებ და ჩარაზე კარი, თორემ თუ მოგაგნო გამნარებულმა, ერთ მოჭრილ თავს ცხრაკეც გაზღვევინებს.

ოჩოპინტრე რომ ცოცხალი იყო, იმღამითვე დარწმუნდნენ ამაში. საყდრიდან გამოქცეული გალოთებული მნათე შეეჭამა და თავი და ძვლები დაეყარა მხოლოდ შარაგზაზე.

ეჰ, ევდოკია, ევდოკია! დითირამბების მოძღვნის ნაცვლად ზიზღს და ფურთხს გიძღვნიან თანასოფლელნი, რადგან შენი ნამოქმედარი ბოროტ ხუმრობად ან ღამისეულ ზმანებად მიაჩნიათ მხოლოდ.

თავი მეოთხე

რიონი

ო, დედა-მდინარე დასავლეთ საქართველოსა, ოდითგან ფაზისად ხმობილო უცხო ტომთაგან და რიონად მონათლულო ქართველთაგან. იმერეთის ზღაპარო და მშვენიერებაჲ, არც გიჟო და არც მშვიდო, ზომიერო და თავდაჭერილო, მოყვარულო ძეთა შენთა.

შენი პირმშოა აია, ქუთაია ანუ ქუთაისი, უძველესი ქართულ ქალაქთაგან. ჯერ სატახტო კოლხთა სამეფოსი, შემდეგ იმერ ბაგრატიოვანთა დედაქალაქი და ან დედა-თბილისის შემდეგ მეორე, სიდიდით და განათლებით მთელ საქართველოში. ალა-ზანია კახისთვის დედა-მდინარე, მაგრამ რიონი იმერლისათვის მაინც უფრო მეტია. ვინ იცის? იქნებ იმიტომაც დაეპატრონა სოფელს ავი სული, შენ რომ არ ახმაურებ იქაურობას. რატომ ხარ ასე შორს, დედაო და მშობელო ჩვენო, ნუთუ გასწირავ შვილთა შენთა საძიძგნად ეშმას, მიუახლოვდი მათ. მიინიე, ისინიც ხომ იმერნი არიან, ქართველნი. გადააფარე მოწყალების კალთა და შენს ტალღებქვეშ განბანე ყოველი კაცი და ჩამოაშორე ჭუჭყი მინიერი.

ო, რიონო! პოეტი რომ ვიყო, ლექსს მოგიძღვნიდი; მწვანეს ჩაკარგულო პატარა ხაზო ლურჯისა ფერის. დაკლაკნილო და ტანწვრილო, დიაცივიტ კეკლუცო და იმერელივით ამაყო, თავდაც იმერელო და ქართველო სულით და გულით. ვინ შეგერკინოს, დაგეჭიდოს შენ, მამაცო და თავზეხელაღებულო, მთელი გზა შეუსვენებლივ რომ გარბიხარ და, ბოლოს და ბოლოს, უერთდები შავ ზღვას, შენს საბოლოო ნავთსაყუდელს. კარგი ხარ, რიონო, კარგი და ჩემზე უკეთ შენ იცი ეს. ალაბო, ამიტომაც კოხტაობ და თავს ინონებ. ღმერთმა მოგიტევოს — გეპატიება ეს შენ!

შენისთანებს აუნევიათ ცხვირი მალლა, რომ ვინმე შენი სიამაყე იუცხოვოს? არამც და არამც, იკოხტავე და იყავ ამაყი, ჩემო რიონო, სანამ უკანასკნელი ქართველი მაინც ივლის ამ ცოდვილ დედამინაზე.

თავი მეხუთე

“გალთაზარის ნადიმი“

ფილისტო ჭავჭავნიძემ იმ დღეს მთელი სოფელი დაჰპატიჟა. სიხარულისგან ისე იყო გაბრუნებული, ხალხს ლხინის მიზეზიც ვერ აუხსნა ხეირიანად. სოფელსაც რა ენაღვლებოდა, მთავარია, სუფრა იყო გაშლილი და მიზეზისთვის მაინცდამაინც არ მოიკლავდა თავს. ერთი კი უკვირდათ, ფილისტოსნაირი ძუნწი იმ სოფელში კი არა, მთელ იმერეთში არ მოიძებნებოდა. ნადიმი კი არა, შაური არ ახსოვდა მისგან არავის და თანასოფელნი მხრებსლა იჩეჩავდნენ, ნეტავ, რა ბზიკმა უკბინაო.

მასპინძელმა მართლაც რომ კარგი სუფრა გაშალა: გოჭი თუ ინდაური, ქათამი თუ ბალახ-ბულახი, იმერული თუ კახური ღვინო — ყოველივე სიკეთით სავსე იყო სუფრა. სოფელში ახლად ჩამოთესლებული აბორტიმახერის დაჰპატიჟებაც არ დავინწყნია. მართალია, ექიმი ქალაქშივე გააფრთხილეს, სოფლად ოჩოპინტრე პარპაშობსო, მაგრამ ყური არ უგდო: ფულს გავაკეთებ და მერე სოფელსაც დავტოვებ და მის ავ სულსაცო. ფული კი, იცოცხლე, ბლომად შესდიოდა. ქალებმა რაკილა ეს სასწაული იხილეს, აღარ მოეშენენ და კვირაში ხუთ-ექვს, ზოგჯერ მეტ ოპერაციასაც აკეთებდა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ეთქმოდა ექიმს, არც ლამაზი იყო და არც მახინჯი. სიმაღლეც ჰქონდა. ერთადერთი, რასაც შეეძლო მშვენიერი სქესის დაპყრობა, თვალები გახლდათ, საოცრად მეტყველი და უცნაური თვალები (ყოველ შემთხვევაში, ასეთი თვალები, იმ სოფელში მაინც არავის ჰქონდა).

ჰო, მართლა — სუფრაზე კიდევ ერთი ახალსოფლელი იყო. დავითს უხმობდნენ და კიდევ ნააგავდა თავის ბიბლიურ დიდ სეხნიას. ეს იყო მხოლოდ, ქნარზე დაკვრა არ იცოდა.

მაღალი იყო, მხარბეჭიანი, ძალოვანი და ლამაზი. როგორც იქნა, შეუსრულა დამ ევდოკიას თხოვნა და საკუთარი ძე გამოუგზავნა მცველად და მფარველად. თავდაპირველად ყველას ასე ეგონა, ევდოკიასაც, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ევდოკიას და სასტიკი წინააღმდეგი ყოფილა შვილის ამ დანწყევ-

ლილ სოფელში გამოგზავნისა, მაგრამ ბოლოს მაინც დავითს უმარჯვია და გასაჭირში მყოფი დედისთვის მიუშურებია.

ევდოკია დისწულს გვერდით ეჯდა, კერძებს სთავაზობდა და მისთვის შესაფერის ქალს არჩევდა სუფრასთან მსხდომთ შორის.

— იმხიარულეთ, ძვირფასო სტუმრებო, იმხიარულეთ, — ეს კი ფილისტოა ჯიხვის ყანნით ხელში, რიხიანად ლაპარაკობს და ხალხს ლოცავს; არც ხალხი აკლებს და არიან ასე ფერებაში.

სუფრა შეთვრა. დავით ხშირად გახედავს ხოლმე მასპინძლის ქალს, ტკბება მისი სილამაზით. დალი, დალი, ხშირად იმეორებს მის სახელს. ფილისტოც ამჩნევს ყმანვილკაცის დაყინებულ მზერსა და ქალიშვილს უჩურობს:

— დეიდამისს შვილი არა ჰყავს და ძირი, მდიდარი ქალია ევდოკია... ბიჭიც რომ კარგია!

ესმის მამის ხმა დალის; ტანში ამცივნებს, ისე შეჯავრდა ეს ხმა, მაგრამ მამა რომ მართალია, ამასაც გრძნობს. ვაჟს თავადაც შეჰყურებს და მიხვრა-მოხვრითაც უფორიაქებს შემთვრალ სხეულს.

— კარგია, კარგი! — და მასპინძელი ხელს დავითისკენ იშვერს. მეტი რა გზაა და ჭაბუკიც სვენებ-სვენებით, თუმცა ბოლომდე ცლის სასმისს.

— ესეც ასე, — ხელებს იფშვნეტს ფილისტო და ქალიშვილს თვალებს უქაჩავს, — მიდი, რა!

ევდოკიაც ამჩნევს რალაცას, ჯერ არის და, ჭავჭანიძეები არ მოსწონს, მეორეც, უკვე დაადგა თვალი ერთ გოგოს, ის უნდა რძლად — ლამაზიცაა და კარგი ოჯახიშვილიც. დავითს ექაჩება:

— წავიდეთ!

— ცოტა ხანს კიდევ ვიყოთ! — დავით ჯიუტობს.

— მაშ, მე წავალ! — და ქალი დგება. დავით სხვა დროს, ალბათ, თავადაც ადგებოდა და გაჰყვებოდა, მაგრამ ახლა არა. ჯერ ყასიდად სთხოვს, დარჩიო და სუფრას უბრუნდება. შემდეგლა ახსენდება ჭაბუკს ოჩოპინტრე, უნდა, წამოდგეს და დეიდას გაჰყვეს, მაგრამ დალის თვალები მოსვენებას არ აძლევენ.

...ოოჰ, ეს თვალები! ვაჟი უცინის, ქალიც ღიმილით პასუხობს და დავითს დეიდაც ავიწყდება და თავიც.

ვაჟი დგება და ქალისკენ მიიწევს. სუფრა ხმაურობს, მათთვის ვის სცალია, რა თქმა უნდა, ფილისტოც თვალს ხუჭავს...

ვაჟი მკერდზე იხუტებს:

— როგორც კი დაგინახე, შემეყვარდი, გთხოვ, ხელი არ მკრა. მიყვარხარ! — სიტყვებთან ერთად ღვინიან პაერსაც უშვებს პირიდან. ქალი პირს არ არიდებს, პირიქით, თვითონაც მკერდით ეკვრის.

დავით გრძნობს მის მკერდს, სუნთქვა ეკვრის, უნდა, რაღაც მოიმოქმედოს, მაგრამ ქალი თავისკენ ექაჩება:

— აქეთ წამოდი.

ორიოდ წუთის შემდეგ კი კვლავ პატარა ფრაზა:

— აი, ჩემი ოთახი! — დალი კარს ხურავს.

— ძვირფასო, მეც მიყვარხარ, როგორც კი ჩამოხვედი, მაშინვე დაგინახე, წყაროზე ვიყავი, თვალი ვერ მოგწყვიტე, ჩემო... — დალის თითები ვაჟის თმას ეალერსება. ვაჟი ხელს ქვევით აპარებს, მაგრამ ქალი უარზეა:

— ვინ გგონივარ? — და გაბუტული სანოლის კუთხისკენ იწევა.

ვაჟი ვედრებად დნება, მუხლიჩოქა ითხოვს პატიებას, აკი, მთვრალია, ვერ მოზომა, ნუთუ არ მიუტევენს...

„ნუ, ჯანდაბას შენი თავი“, ქალი ამ სახით ტრიალდება მისკენ და დიდსულოვნად პატიობს, ვაჟი ბედნიერია, ასევე ქალიც და ისინი ტუჩებით ერწყმიან ერთურთს.

ხმაური. ვილაც კარს აჯახუნებს.

— მაშ, ასე, არა! — ფილისტო კბილებს აღჭრიალებს.

— პატიოსანი გოგოს გაბახება გინდოდა, არა? — და მარჯვენა ხელით ხანჯლის ტარს ეფერება.

— არა, მამა, არა. მე ის მიყვარს! — ქალი კაცებს შუა დგება.

— თქვენი ქალიშვილი მიყვარს, ბატონო ფილისტო, და გთხოვთ მის ხელს! — ვაჟი ბარბაცებს, მაგრამ მაინც ახერხებს თავის შეკავებას, იჩოქებს, ქალსაც იგივეს აკეთებინებს:

— დაგვლოცეთ! ნუ აღუდგებით წინ ჩვენს ბედნიერებას!

ფილისტო ყოყმანობს, ფიქრობს, ბოლოს მრისხანებას მოწყალეებით ცვლის:

— დამილოცნიხართ, შვილებო... — ხმა უთრთის, — დალი, დავით, არ მეგონა, ჩემი მწყერი თუ ასე ადრე გამიფრინდებოდა, მაგრამ რაღას ვიზამ... — უჭირს ფილისტოს ლაპარაკი, თუმცა მაინც ახერხებს, — დავით, შენ გაბარებ ჩემი სიცოცხლის მეორე ნახევარს. ჩემს ნაყოფს, ხორცს, სიყვარულს... გაუფრთხილდი!

ვაჟი ფიცს დებს და სამივენი გარეთ გადიან. ფილისტო სუფრას გადასძახებს:

— მეზობლებო, ჩვენი დღევანდელი სუფრა საქორწილო სუფრად გადაიქცა... — ჩერდება, მოძალებულ ცრემლს ინმენდს..

— მითხოვდება ჩემი დალი. აი, მისი სიყვარულიც. რას მირჩევთ მეზობლებო, მივცე?

ხალხი ხმაურობს, ყვირის, თუმც ყველა იმის მომხრეა, რომ ფილისტომ მისცეს ქალი დავითს. სუფრა უკვე ლოცავს მათ.

მასპინძელსაც სხვა რა გზა აქვს და სასიძოს (უკვე სიძე-კაცს) ეხვევა, შემდეგ ქალიშვილს უკოცინის ლოყებს და ხალხისკენ ხელს იშვერს:

— სვით, ჭამეთ, იმხიარულეთ, მეგობრებო, თუ ქორწილია — ქორწილი იყოს.

ლხინი ორგიაში გადადის და ყველა კმაყოფილია და ნასიამოვნები, მხოლოდ მიჯნურთ დატოვეს სუფრა და ოთახში განმარტოვდნენ. ხვალ ჯვრისწერაა, ხოლო დღეს სიყვარულობანაც შეიძლება.

შემთვრალი და კმაყოფილი ფილისტო, მთვარესთან ბაასში გართული, საკუთარ ბაღში დასეირნობდა. დიახაც, რომ კმაყოფილი გახლდათ დღევანდელი დღისა. რაც მთავარია, დალი გაათხოვა. ასე სწრაფად და იოლად თუ მოგვარდებოდა ეს საქმე, არ ეგონა. ბრიყვი ყოფილაო დავით, და გაღიმებულმა უღვაშებზედ დაისვა ხელი.

პურობამაც კარგად ჩაიარა — ჩხუბი არ ყოფილა და აყალმაყალი. ორიოდ კაცი ახლაც იყო იყო შემორჩენილი სუფრაზე. გამოტოვებულ სასმისებს ცლიდნენ.

წახდა ერი და ბერი, ჩემო ფილისტო, წახდა. ადრე სმაც იცოდნენ და ბრძოლაც, უამრავი ტრადიციიდან სმაღა შერჩა შენს სოფელს, ეგ არის და ეგ!

გახსოვს, შემთვრალმა სტუმარმა რა გაკადრა დღეს? ამაღამ მოკვდებო, ამ ღამით უთუოდ მოკვდებო და გადაიხარხარა. შენ სიცილი ატეხე, ხუმრობა გეგონა ნაწინასწარმეტყველები ბრძენ-კაცისა...

...და მოიწვია მეფე ბალთაზარ ასახსნელად სამთა სიტყვათა დანიელ და უთხრა მან:

„არა დაიმდაბლე გული შენი წინაშე ღმერთისა და უფლისა ღმრთისა ზეცისა ზედა ამაღლდი, და ჭურჭელი ტაძრისა მისი-

სა მოიღე წინაშე შენსა. და შენ და მთავარნი შენნი და ხარჭნი შენნი და თანამწოლნი შენნი ჰსვემდით ღვინოსა ჭურჭელთა მით; ამისთვის პირისა მისისგან მოვლინებულ არს ხელი ესე და დაწერილ არს ესრეთ: მანე — აღრაცხა ღმერთმან მეფობა შენი და აღასრულა იგი; თეკელ — აღწონა სასწორსა ზედა და იყო იგი დაკლებულ; ფარეზ — განიყო სამეფო შენი და მიეცა უჟიკთა და სპარსთა“.

იმავე ღამეს აღსრულდა სიტყვანი ნათქვამნი პირითა დანიელისა — ბალთაზარ მოჰკლეს და ქვეყანა მისი დაიჭირა დარიოს, მეუფემ მიდიისამ, აღრაცხა და აღასრულა მეფობა ბალთაზარის, აღწონა სასწორსა ზედა და, რა იხილა იგი დაკლებულ, განჰყო და დაჯდა თავად მეუფედ ბაბილონეთისათა.

დავით მიხვდა, რომ მოატყუეს. მთვრალი კი იყო, მაგრამ იმდენი გაგება კიდევ ჰქონდა შერჩენილი, რომ ქალი ქალწულისაგან გაერჩია. არ უშველა საქმეს დალის ხვეწნა-მუდარამ და ცრემლმა — მამაკაცმა ის დატოვა.

ჭავჭავნიძეთა ოჯახი ამ სირცხვილს კიდევ გადაიტანდა, მაგრამ ორთქონტრეს მიერ თავმოქმული ფილისტო რომ იპოვეს, სულ მთლად დაკარგეს იმედი — აღსარიცხი აღრიცხული, ასაწონი აწონილი და გასაყოფი გაყოფილი იყო, ეს კი აღსასრულს მოასწავებდა.

თავი მეექვსე

„ლუკრეცია“

ამ სოფელში ერთი და-ძმაც ცხოვრობდა. დედა ადრე მოკვდომოდათ, მამა კი ორთქონტრეს შიშით სოფლიდან გადაკარგულიყო — იყვნენ ასე და ცხოვრობდნენ მარტო.

ძმა შეშას ჩეხავდა, ყანას უვლიდა, და კი საჭმელს ამზადებდა, რეცხავდა, ასუფთავებდა და სახლ-კარს დაჰკანკალებდა. მათ დაძმობაზე მთელი სოფელი ლაპარაკობდა, ისე უყვარდათ ერთმანეთი. დილით, სანამ სამუშაოზე გავიდოდა, დათიკო ჩაკოცნიდა დას, გაეთამაშებოდა, ისე იყო მოსვლის ჟამსაც.

ისე უყვარდათ დათიკოს და ლელას ერთმანეთი, რომ სოფელში ხუმრობდნენ კიდეც: დათიკო ლელას სიყვარულით ცოლს არ მოიყვანს და არც ლელა გათხოვდება, ძმას ვერ დატოვებსო მარტო. მთხოვნელი კი არ აკლდა ლელას, მაგრამ ყველა უარს იღებდა.

ამ მოსიყვარულე და-ძმასაც მოუვიდა ერთხელ უთანხმოება. ეს მაშინ, როცა დათიკომ მაღლასოფლელი ქალიშვილების გაუპატიურებაში მიიღო მონაწილეობა.

ჩვენ არ ვიცით, რა სიტყვებით მიმართა ლელამ ძმას, მაგრამ წარმოდგენით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

— დათიკო, მე შენ სუფთა და გაურყვნიელი მეგონე, შენ კი...

ამას უთუოდ ზღუქუნი მოჰყვებოდა. დარცხვენილი დათიკოც მიუახლოვდებოდა დას, თავზე ხელს დაადებდა და აკანკალებული ხმით გასცემდა პასუხს:

— ლელა, დაიკო! მთვრალი ვიყავი, გონი არ მქონდა, ხომ იცი, ლელა, ფხიზელი ამას არ გავაკეთებდი.

ლელა თავს ასწევდა, თვალთაგან თმას მოიშორებდა და სახის გამომეტყველებას დააკვირდებოდა ძმისას (ხომ არ ცრუობს?!).

დათიკოც, გულაჩუყებული და მონანიე, კიდეც ორიოდ სიტყვას ამოსთქვამდა გულიდან:

— ამიყოლიეს, სხვებმა მაიძულეს, თორემ...

ლელა აქ უთუოდ ადგებოდა, ძმას ცრემლიან თვალებს გაუსწორებდა, ხელებს გაშლიდა და გზააბნეულ კრავს გულში ჩაიხუტებდა.

ასე თუ ისე, და-ძმა შერიგდა. ძველებურად საქმიანობდა ჭაბუკი ყანაში და ძველებურადვე აკრიალებდა სახლ-კარს ლელა. ყან-იდან მოსულსაც კოცნით და გემრიელი სადილით აჯილდოებდა.

და-ძმის სიყვარული უწინდელზე უფრო ნაზი და ძლიერი გახდა. ქალი არ იყო სოფელში, სოფლის ჭორიკნებს რომ არ გაელანძღათ, ლელაზე კი თვით ყველაზე სინდისგარეცხილიც ვერ ბედავდა აუგის თქმას, მთელი დღე სახლში იყო, სახლს უფლიდა, ძმას საჭმელს უმზადებდა და ვის რა უნდა ეთქვა.

წვრილშვილის პატრონნიც ლელას და დათიკოს სახავდნენ სამაგალითოდ და შვილებსაც ასეთ დაძმობას ურჩევდნენ და ასწავლიდნენ.

ერთი სიტყვით, და-ძმა ისე ცხოვრობდა, მოყვარეს რომ გაუხარდებოდა და მტერს თვალები დაევსებოდა.

ფილისტოს ქელეხიდან დათიკო გვიან ღამით დაბრუნდა. ლელამ შეატყო ძმას, მთვრალი რომ იყო და სუფრა გაუშალა. იცოდა მისი ხასიათი, ნასვამს შინ აუცილებლად უნდა ევახშმა.

— ლობიო ცივია! — გააფრთხილა ძმა.

— არა უშავს, — ამ სიტყვებს ბოყინიც ამოაყოლა და გამნარებული შეუდგა ჭამას.

შიებიაო, გაიფიქრა ლელამ და შეეებრალა ძმა:

— დალი რომ გაუგდია დავითს! — ლუკმასა და ლუკმას შორის ამოთქვა.

ვიციო, გაიფიქრა ქალმა. თქმით კი სხვა თქვა — კახპა ყოფილა და, აბა რას იზამდა!

დათიკომ ლობიო გაათავა, დოქი მოიყუდა და ცივი წყლით გაიგრილა ღვინისაგან გახურებული სხეული. სული რომ მოითქვა, ისევ დას მიუბრუნდა:

— არა, მაინც როდის მოასწრო დალიმ კახპობა? — თვითონვე ჩაფიქრდა, თითქოსდა გაიხსენებდა, როდის ან ვისთან უნდა ექნა იმ ქალს საქნელი. შემდეგ დას გახედა და ჰკითხა:

— როდის უნდა მოესწრო?

— მე რა ვიცი, გამანებე თავი!... — რატომღაც აღელდა ლელა.

დათიკო წამოდგა, ბარბაც-ბარბაცით მივიდა საწოლთან, ჩამოჯდა და გახდა დაინყო.

— მე გაგხდი! — გაბედა ლელამ.

— არ მინდა, მართლა მთვრალი ხომ არ გგონივარ, თავადაც გავიხდი! — გაბრაზდა კაცი და შარვლის გახდა განაგრძო.

ლელა ცახცახმა აიტანა, ძმას მიუახლოვდა, ცოტა ხანს უყურებდა დათიკოს საცოდაობას, შემდეგ გადაიკისკისა და შარვლის ტოტს ეცა:

— გამახდევინე, შე სულელო, ხომ ხედავ, როგორ წვალობ!

— ბოლოს და ბოლოს, გატყდა მამაკაცი, საწოლზე გადაწვა, გახდა კი ლელას დაანება...

ლელა ფრთხილად ეხვეოდა დათიკოს. ქმარიც ხარ ჩემი და ძმაცო, ეხუმრებოდა კიდევ... შემდეგ შეჩერდა, დაუფიქრდა საქციელს. ბოლოს მაინც გატყდა, კაცის მსხვილი ბარძაყების

სითბო მოსვენებას არ აძლევდა. გრძელი, ნატიფი თითები ზევით ააპარა... რაც უფრო ზევით ადიოდნენ ლელას თითები, მით უფრო მეტ სითბოს გრძნობდა ქალი. სითბოს კი არა, სიცხეს, დამწველ, საშინელ სიცხეს. გული ლამის ამოვარდნილიყო საგულედან, ლელას თვალები ებლანდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ააღწია... ვნებით გათანგული ქალი კი სულ უფრო და უფრო უჭერდა ხელებს, დამწვარ ხელებს, დამდნარ ხელებს, ნაყოფიერების სიმბოლოსთან შედუღებულს და შერწყმულს ხელებს.

...ქალმა საპასუხო ტკივილი რომ იგრძნო, კინალამ გონი დაკარგა: ეს იყო მისი ცა, მისი დედამინა, მისი ადამიანები... იმ წუთში აღარც ოროპინტრე ახსოვდა და არც ჭორიკანა სოფელი.

...დილით პირველმა ლელამ გაიღვიძა. სისხლისფერი სანმერთული გასაბანად წყალს მიანება. ჩაუფიქრდა მომხდარ ამბავს, არ უნანია. მას მხოლოდ ის უყვარდა, დათიკო. მისთვის არ თხოვდებოდა ამდენ ხანს, მისთვის აკლავდა ამ დამპალ სახლ-კარს თავს და მხოლოდ მისთვის ამზადებდა საჭმელს... და ყველაფერის სანაცვლოდ მხოლოდ ეს ტკივილი უნდოდა, თან მხოლოდ მისგან.

— დე, მეძახონ ის, რაც უნდათ! — იმეორებდა ქალი გულში. მას არავისი აღარ ეშინოდა და არაფრის დარდი არ ჰქონდა. მთავარია, დათიკო მისი იყო, მისი პატარა ძამიკო, ბავშვობიდან საყვარელი და ლამაზი.

ამ დიად დილას ქალმა ძმის შიშველი ტანიც გაიხსენა, ათი წლის წინ დანახული ბანაობის ჟამს — რამდენჯერ აუფორი-აქებია და აუნენ-დაუნენია მისი სული ამ მოგონებას.

ამდენი ხნის განმავლობაში დათიკო ბრმა იყო, თვითონ კი მორცხვი და გაუბედავი. ვერც დის ვნებიან გამოხედვას ამჩნევდა და ვერც მის ეგოისტურ სიყვარულს, ვერც ვითომდაც შემთხვევით მალლა ანეულ კაბასა თუ შეხსნილ საკინძეს. ...დათიკო ვერაფერს ამჩენვდა.

რამდენი წელი ელოდა ქალი ამ წუთს და, როგორც იქნა, ეღირსა: თავის თავშიც ჰპოვა ძალები და ძმისგანაც საპასუხო სიყვარული მიიღო.

ამდენი გრძელი, მომქანცველი და მტანჯველი წელი იყო უკან...

დღეს კი... დღეს ის ბედნიერი იყო. იმდენად ბედნიერი, რომ ტიროდა, ღმუოდა და ვნებით კბენდა მძინარე ძმას, თვალის გახ-

ელა და ალერსზე ალერსით პასუხიც რომ ეზარებოდა. კბენდა შმაგად და შემდეგ იმავ ალაგას კოცნიდა, კოცნიდა ისევ შმაგად, როგორც კბენდა. ნაკბენს ენას უსვამდა, სისხლს ლოკავდა და ოჰ, რარიგად ბედნიერი იყო ქალი — ეს მისი დაბადება იყო!

...მზის სახლში შემობრძანებას და-ძმა ერთად ხვდებოდა: სისხლიან სანოლში გადახვეული ორი შიშველი სხეული. ფეხი ფეხზე, ხელი ხელზე და თავი ქალისა, ნებიერი და კმაყოფილი, ჩაფლული კაცის მკერდში.

თავი მეშვიდე

ალავერდი

ცად აზიდულა სუეტი უფლისა, მინიდან ამოზრდილი და ცასთანვე გაჯიბრებული ალავერდი, მალალი ტაძარი ღვთისა. ვტკებობდი და ვთბებობდი მისი შემყურე, ქართველი კაცის ხელ-თუქმნელი შედეგის სიდიადე სიკეთედ მეღვრებოდა სულში.

უნინ აქ სრულიად საქართველო იკრიბებოდა. ჯიხვის ყან-ნებით ისმებოდა ერის სადღეგრძელო. აქ სანთელიც ბევრი უნ-თიათ ჩვენს წინაპრებს და ტაძარში შესვლის წინ ქუდიც მრავალჯერ მოუხდიათ.

ლამისმთევველებს სიცივეში პირჯვრის წერით ლამის სამი თითიც კი მოჰყინვიათ ადრე, ახლა კი...

ახლაც სავსეა ხალხით აქაურობა:ღვინით იბერებიან, საჭმლით სკდებიან, საყდარშიც შედიან ზოგჯერ. რა ვუყოთ მერე, რომ ხან-დახან ქუდის მოხდა ავინყდებათ. ჩხუბიც ხშირია და დანის ტრი-ალიც. ვეჭვობ, ესეც წინაპრებისგან ჰქონდეთ ნასწავლი. არც პირჯვრის წერით იკლავენ თავს, საკვირველია პირდაპირ.

აქ საფლავიც არის ერთი, ზენონ ალავერდელისა. თავისი ცხოვრების ას სამი წლიდან უმეტესი ტაძარში გაუტარებია ამ წმინდა ადამიანს.

დიდება შენ, ზენონ, ღმერთისა და ალავერდის შვილო. შენ ისყიდდი არა მარტო ცოდვებს შენსას, არამედ ჩვენს ცოდვებ-საც — შენის მარხვით, ღვთისმოშიშობით და კეთილის გულით.

შენს სამარეს მე იას ვუძღვნი, პატარას და ისეთივე სუფთას, როგორც იყო თავად სული შენი და ის არ გახმება, არ მოიწყენს, არ დაკარგავს ფერს არასოდეს, ვითარცა სული შენი არს უკვდავი და მოლხენილი... ხოლო ია მიიღე, ვითარცა ჩემი სულის პატარა ჩამონათალი კაცთა ცხოვრებისათვის და სალხენად თავად კაცთა — ჩემგან!

შეველ ტაძარს! სანთელი ავანთე, ვილოცე, აღსარებაც ვთქვი და ზიარებაც მივიღე. ავისმქმნელთა მიერ გადათეთრებულს და წაშლილს, ნარჩინთ ქართულ ფრესკათა, ნაღვლიანად ვუწყე ჭვრეტა.

ზევით აველ — ტაძრის მეორე სართულზე. აქ შენ ცხოვრობდი განმარტოებით, ზენონ. აქ ჭამდი ხორცს იესოსას და სვამდი მის სისხლს. ბნელს ღამეებს და შენთვის ბნელსავე დღეებს ანდობდი გულისთქმათ შენთა და შესთხოვდი უდიდესს:

შენს საქართველოს, შენს მცირე ხალხს; ზნეობასა და საქციელს წმიდას!

...და მჯერა მე, შენ ღიმილსაც ჭვრეტდი მაცხოვრისას, ან კი როგორ არ დავიჯერო, როდესაც მისთვის ცხოვრობდი, მისთვის იქმოდი და მისთვის აღესრულე კიდევ.

ახლაც ერთგულო და უღალატო გუშაგო ალავერდის, მომიტევე, თუ ვერ გაქე ისე, როგორც შენ აქე საქციელით შენით ღმერთი შენი.

უკან მომავალი კი ვფიქრობდი: ამქვეყნად არსებობს ალავერდიც!

თავი მერვე

სატანის კანონი

აბორტმახერს გივი ერქვა სახელად. აკი გითხარით, ახალი ჩამოსული იყო სოფელში და ბლომად ფულსაც აკეთებდა. სულ პირველად ქალებს ეშინოდათ, არც ქმრები აძლევდნენ უფლებას, მაგრამ მერე შეეჩვივნენ და გაუტკბათ კიდევ. ქმრებიც კმაყოფილნი გახლდნენ. ცოლებისგან უარს აღარ იღებდნენ ღამლამობით, დააფხმძიმებდნენ და აგერ იყო, ბატონო, ექიმი.

ისე, არ უყვარდათ კაცებს გივი და მართალნიც იყვნენ - აბა, რა კაცის საქმე იყო ქალის საშოში უმწეო ნაყოფის დანით ფხეკა.

აბორტმახერს კი ეს საკითხი სულ არ აღელვებდა. მთავარი იყო, ბლომად ფული ეშოვა. მოხუცი მამა და ან გაბოზებული ცოლი ელოდებოდნენ ქალაქში და ჩქარა უნდოდა ამ დაწყველილი სოფლიდან წასვლა. თან ოჩოპინტრეს შიში ჰქონდა ძაან, განსაკუთრებული შემთხვევა თუ არა, გარეთ ცხვირსაც არ ყოფდა.

ლამლამობით გვიან იძინებდა, ნიგნების კითხვა უყვარდა. სამაგიეროდ, ღამე დაკარგულს დილით ინაზღაურებდა და შუადღემდე ეძინა.

ლელამ რომ დაუკაკუნებლად შეაღო კარი, მაშინაც ეძინა, ქალმა გააღვიძა. გივიმ პირველად იუცხოვა, მაგრამ შემდეგ სიფხიზლე გადაივლო და ძილიდან გამოსული ჩაცმას შეუდგა.

— რა გნებავთ?

— უნდა მიშველოთ, ექიმო, ფეხმძიმედა ვარ!

— ?!?

— ძმამა რომ გამიგოს, მეც მომკლავს, და იმასაც... — ლელამ ტირილი დაიწყო.

— დაწყნარდით, დაწყნარდით, — დაამშვიდა ექიმმა ქალი, შემდეგ გამოწვდილ ფულს ხელი შეაგება. დახედა — საკმარისი იყო.

— რა ხნისაა ბავშვი?

— ზუსტად არ ვიცი, ექიმო, ორი თვის იქნება!

გივიმ ქალის მუცელს დახედა, მეტისას ჰგავსო, ჩაილაპარაკა და საქმეს შეუდგა.

...ცოდვის ნაყოფმა რომ დაინივლა, ექიმს ცივმა ოფლმა დაასხა. არაადამიანური ნებისყოფა დასჭირდა, ოპერაცია რომ დაესრულებინა. შემდეგ გაფითრებული ცახცახით მიუახლოვდა სკამს და ჩაესვენა. შუბლზე წამოსკუპებული ოფლის წვეთები სულ თითო-თითოდ მიიჭყლიტა გაბრაზებულმა.

მას ისევ ბავშვის ნივილი ჩაესმა — ქვეყნიერებას ამცნობდა დაუბადებელი თავის სიკვდილს. გივიმ ქალს გახედა: შიშველი ქალის დანახვამ კინალამ გული აურიო. წამოხტა, ქალთან მიიჭრა და ცემა-ცემით წამოაგდო მაგიდიდან.

— აკი, ორი თვისააო, შე კახპა... — უცებ ქალს ხელი უშვა, შედგა, თავზე ხელები მიიდო (კვლავ ნივილი, ის საზარელი ნივილი ბავშვის) თვალები სივრცეს მიაპყრო და გაისუსა...

ლელამ სასწრაფოდ ჩაიცვა, კაცისთვის არ მიუხედავს, თავქუდმოგლეჯილი გავარდა გარეთ.

— რა ქენი? — შეეკითხა დათიკო.

— ყველაფერი რიგზეა!

— ფული ხომ არ ეცოტავა?

— არა!

— რატომ ხარ ფერდაკარგული, ძნელი იყო?

— ძნელიც იყო, თან იმ რეგვენმა სცენები მომიწყო...

— რა სცენები? — ეჭვიანი ქმრის სახე მიიღო ძმამ.

— ბავშვი თუ უფრო დიდი იყო, რად არ მითხარიო.

დათიკომ ჩაიცინა, დას ხელი გადახვია და გულში ჩაიკრა.

— სიცოცხლევ, ხომ არ იცის, ვისი შვილი იყო?

— არა!

— შეგიძლია ახლა ჩემთან? — გამომცდელად შეეკითხა კაცი.

— ხომ იცი, შენზე მეტად მე მინდა, მაგრამ დღეს არ შეიძლება... მაპატიე, ძმავ!

— ძმას ნუ მეძახი! — დაიღრიალა დათიკომ, გარეთ გავარდა და კარი მთელი ძალით მოიჯახუნა.

მთელმა სოფელმა გაიგო აბორტმანერის გაგიჟება. დადიოდა ჯოხით და რალაც უაზრო სიტყვებს იძახდა, შემდეგ შეხტებოდა ერთი და ძირს დავარდებოდა. ერთობოდა სოფელი, შე გიჟოო, შესძახებდნენ და კეფაზე უტყლაშუნებდნენ ხელებს. აბორტმანერიც იცინოდა და გივი, გივიო — ყვიროდა თავის სახელს.

— ბავშვი, ბავშვი არ დამანახოთ, — დაინივლებდა პატარების დანახვაზე და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. პირველად ქალებიც იცინოდნენ, მაგრამ, რომ დაუკვირდნენ, რაც მოხდა, კინალამ ძაძები ჩაიცვეს — უნოდათ თუ არა, ამიერიდან უნდა ეჩინათ ბავშვები.

ასე დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო და, მართლაც, ერთ დილას ვეება ჰალსტუხით იცნეს ოჩოპინტრეს მიერ შეჭმული გივი ექიმის ძვლები.

თავი მეცხრე

ღაპრითი

ოდნავ კოჭლობით მოდიოდა — ფეხნაღრძობი, მაღალი, ძლიერი, ქერათმიანი. ევდოკიას სურვილის შესასრულებლად მიდიოდა, ლელას ხელი უნდა ეთხოვა დათიკოსათვის.

კაი გვარიშვილიაო, ჩასჩინებდა ევდოკია, მათ დაძმობაზეც ქვეყანა ლაპარაკობსო და არც დავით უცქერდა მაინცდა-მაინც ცუდი თვალთ ლელას.

ხეივანი ჩაიარა. რა სილამაზეაო, მოსწყდა ბაგეს სათქმელი. ყვავილებს ხელით გაეთამაშა, ხეებს დაეჭიდა, შემდეგ მტკივანი ფეხი გაახსენდა და შედგა. ჰაერი ჩაისუნთქა, გული გაუღო მზეს და შეიპატიჟა — გათბა! მელიამ გაირბინა და ეს მელიაც ზღაპრულ ცხოველად მოეჩვენა. ბაბილონის კედელზეაო ასეთი დახატული, იპოვა მსგავსებაც. ბუჩქის ძირას ჩაცუცქულ ბაჭიასაც მოჰკრა თვალი, კაი ხანი უყურა ბაჭიამ, შემდეგ სამტროდ მოსულს მიამსგავსა და გაიქცა.

აღარ უნდოდა ჭაბუკს ხეივნიდან გასვლა, ეს რა სამოთხე გვექონიაო სოფელში... ორიოდ ნაბიჯიც გაიარა და პატარა ვენახს გადააწყდა. უარა, უარა, შესასვლელი ვერ მოუძებნა. ის იყო, წასვლას აპირებდა, რომ მავთულხლართები თავად გადაიხლიჩნენ ორად — მობრძანდით!

შებრძანდა. ჯერ კიდევ დაუმნიფებელ მტევნებს ხარბი მზერა მიაპყრო, შემდეგ მაინც გაბედა და ერთი მარცვალი პირში ჩაიდო.

ტანში გააცია და ააძაგდაგა. ძალა მოიკრიბა და თავი დაიწყნარა. ემჟავა ყურძენი, ვაშლის გემო აქვსო. ვაზის ძირას დასორსოლავებული გველიც იხილა, მისი სახელი რატომღაც ხმამაღლა თქვა და გაეცინა, ვილაც მაძაგებსო.

მაინც მშვიდად გააგრძელა ჭამა, როცა ძალიან გაიბერა — თავი გოლიათად იგრძნო. ნაცნობი გასასვლელისკენ გაემართა, ჯერ კიდევ ღია იყო. კაცი შეეჩეხა წინ, თეთრწვერა და თეთრთმიანი.

ვენახში ანი აღარაფერი გესაქმებაო და გასასვლელზე მიუთითა.

გაოგნებულმა გააგრძელა გზა ჭაბუკმა, ხეივნიდან გამოსულს ახლად გაღვიძებული გრძნობა შემოაწვა — რომ იხსენებ, სად სიზმარია და სად სინამდვილე!

ბოლოს და ბოლოს, გაახსენდა, ხელის სათხოვნელად რომ იყო წასასვლელი და ჩქარი ნაბიჯით გააგრძელა გზა (მტკივანი ფეხი კვლავ დაავიწყდა).

ოჩოპინტრე! რამ გაახსენდა ეს ავი სული ამ მშვენიერ დღეს? არადა, მთელ სოფელს ვერაფერი მოუხერხებია მისთვის. გონებაში ყველა მსხვერპლი ჩამოთვალა, ვინც კი მოაგონდა, საშინელებააო — ხმამაღლა წარმოთქვა. არა, როგორ წახდა მაინც ხალხი, გატყიურდა, განადირდა, გამხეცდა... რატომ ნეტავ? ოჩოპინტრე! არა, მაინც რამ გაახსენა ეს კაციჭამია დღეს?

საათზე დაიხედა, არ ენდო და ცას ახედა — ბინდებოდა. მალე და-ძმის სახლსაც მიაღწა. ორთავე შინ დახვდა. კარგად მიიღეს, პატარა სუფრაც გაუშალეს. ცხელი ხაჭაპურების შემოსატანად რომ გავიდა ლელა, მხოლოდ მაშინ გაბედა:

— შენი დის ხელის სათხოვნელად მოვედი!

დათიკო ჩაფიქრდა, ყალბმა ლიმილმა სახის ნაკვეთები დაუჭიმა. წამოდგა, გაიარ-გამოიარა, შემდეგ კვლავ დაჯდა.

— ძმაო, შენ დასაწუნი არაფერი გაქვს, მაგრამ მაინც უნდა ამ საქმეს ფიქრი. თან ლელასაც ხომ უნდა ვკითხოთ რამე... ორ დღეში მობრძანდი და პასუხს მოგახსენებ.

კიდევ სამი წიქა ღვინო დალიეს, შემდეგ სტუმარი წამოდგა, და-ძმას დაემშვიდობა და სახლისკენ გაეშურა. უკან მიმავალმა ამაოდ ძებნა ის ხეივანი, ბოლოს თავი დაიწყნარა — მომეჩვენებოდაო.

ლამით ფანჯარაზე კაკუნმა გამოაღვიძა დავით. წამოდგა, ტანთ არ ჩაუცვამს, ისე მიაღწა ფანჯარას, გამოაღო და გადაიხედა.

— რომელი ხარ? — ვერ გაარჩია სიბნელეში.

— მე! — ქალის ნაზმა ხმამ გაათბო ღამის ცივი ჰაერი.

— ვინ შენ? — ღამის გადმოხტა ვაჟი ფანჯრიდან.

— ლელა!

ლელაო, გაშრა დავით. ცოტაც მოიცა, ლამაზო ქალო, ამ წუთსვე შენთან გაჩნდება. ცოტა ადროვე მხოლოდ, ხომ უნდა ჩაიცვას... არა, უარობს ქალი., არ ჩამოხვიდე, ორიოდ სიტყვა აქვს მხოლოდ სათქმელი.

- გისმენ, ლელა! — მოჯადოებულებითაა ვაჟი.
- არ მოხვიდე ჩვენთან... მე შენი ღირსი არა ვარ!
- რატომ, ლელა? — ხვდება დავით რალაცას.
- ქალიშვილი არა ვარ, ოღონდ ძმას არ უთხრა, მომკლავს...
- რატომ, ლელა? — ვაჟი ამის მეტს ველარაფერს ამბობს,
- რატომ, ლელა? რატომ, ლელა? რატომ, ლელა?
- შეყვარებული მყავდა... მერე ის ოჩოპინტრემ მოკლა.
- რატომ, ლელა? — არ ვიცი! (კვლავ ამას იმეორებს დავით).
- ლელაც გულუბრყვილოდ პასუხობს.
- კარგი გოგო ხარ შენ, ლელა, სიმართლე რომ მითხარი... დავით ერთხანს ფიქრობს, მერე აბამს სათქმელს თავს:
- ორ დღეში მოვალ და ჩემს პასუხსაც მაშინ გაიგებ!
- ნუ, ნუ მოხვალ! — სასონარკვეთილია ქალი, ემუდარება, შესთხოვს, ტირის.
- ოღონდ ნუ მოვა და რასაც უნდა, იმას გააკეთებს... არა! ცივია ვაჟის ხმა, მაინც მოვა.
- სიცივისაგან გათოშილს და თვალცრემლიანს საკუთარი სახლის კართან ძმა ხვდება:
- სად ეგდე?
- არსად!
- ხელის გარტყმის ხმა ისმის და სიბნელეში ვილაც ეცემა.
- გაჰყვები, იცოდე, თუ არადა, მოგკლავ! — სახლში შესული კარს აჯახუნებს.
- ორი დღის შემდეგ, როდესაც ევდოკია და დავით ლელასთან მივიდნენ, ქალი მათ არ დანახვებია. სტუმრები დათიკომ მიიღო.
- ქორწილი მალე უნდა იყოსო, ჩქარობდა ძმა. კიო, დავითიც ყაბულს იყო. ისადილეს, ორი დოქი ღვინო დალიეს და შემდეგ გამობრუნდნენ.
- ევდოკიამ არაფერი იცოდა, დავით კი უკვე აღფრთოვანებული იყო ლელათი — თავიდანვე ყველაფერი პატიოსნად მითხრაო. ცა და დედამინა იყო მასა და ლელას შორის ან კი როგორ შეიძლებოდა მათი შედარება.
- ის კი არც დავითმა იცოდა, რომ ლელა ნაცემი და დასისხლიანებული ეგდო მეორე ოთახში და თავისი ძმის სიყვარულს ემშვიდობებოდა. ბალიშს კბენდა, ბალიშს, რომელიც მას ძმის ხორცად ჰქონდა წამოდგენილი.

დავითმა არც ის იცოდა, რომ მისი წასვლის შემდეგ დათიკო კვლავ ნიხლებით შედგებოდა „საყვარელ“ დას და გათხოვებაზე დაითანხმებდა.

გაირბენს კიდევ ორიოდ კვირა და ნეფე-დედოფლის ამაღლა ცეცხლმოკიდებულ სახლს შენიშნავს მეზობლად.

— ჯანდაბას, დაინვას!

ასეთია ყველას აზრი, აბა, ხომ არ ჩაიშხამებენ ქორნილის დღეს.

— მიშველეთ, ბავშვი!.. — კივის გამწარებული დედა.

სიძე მანქანიდან გადმოდის, მაყრები აკავებენ — რა შენი საქმეა! დავით მაინც გარბის, გარბის... იმდენს მაინც ასწრებს, რომ გაიფიქროს — ამდენი მოსეირე და არც ერთი მშველელი... აგერ სახლიც!

ცეცხლსა და ცეცხლს შორის შედის, ენები იკლავებიან, თითქოსდა ეხებიან კიდევ ვაჟს, მაგრამ არა, დავით უვნებელია. ცოტა ხანიც და ცეცხლში სულ მთლად იკარგება ვაჟის სხეული, მოსეირეთა დაძაბული სახეები: შემდეგ რა მოხდება? გამწარებული დედა უკვე მინას იყრის თავზე, საცაა, სახლიც მხარეთქოზე წამოწვება, დავით კი კვლავ არ ჩანს...

აჰა, აი ისიც! დიდებული და ამაყი აღდობრანდინი, ცეცხლუკარება ვაჟკაცი ბავშვით ხელში. ორიოდ ნაბიჯიც წინ და სახლიც იქცევა. აღდობრანდინი ბავშვს დედას აბარებს, ქალი მადლობის თქმასაც ველარ ახერხებს, ისეა დაბნეული.

შურიანი თვალი მრავალი მიაცილებს ტანსაცმელდამწვარ, ნახევრდაშიშველ და გაშავებულ აღდობრანდინს, ბერს, რომელსაც ცეცხლი არ ერჩის!

მანქანასთან მიდის, ლელას და მაყრებს ბოდიშს უხდის და მანქანაში ჯდება, ახლა შეიძლება გზაც გააგრძელონ.

...გახევებული და მონუსხული შეჰყურებს ლელა დავითს, ასეთი მათ სოფელში არავინ არის (დათიკო თუ გაბედავდა? ანუხებს ფიქრი. თუმცა, აკი აქ იყო, მაგრამ ადგილიდანაც არ დაძრულა!).

ქალს რალაც ჩასწყდა. დავითს ახედა, შემდეგ დარცხვენილმა თავი დახარა და ბორბლების ხმას მიუგდო ყური.

თავი მეათე

ცოლქმრული ცხოვრება

ჩუმად უყურებდა დავით ცოლს. ნახევრად შიშველი ქალი ნიგნების ვეება თაროს წმენდდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოსწყვიტა მუხლისთავეებს თვალი, ამოიოხრა და ახლად შეძენილ ჩიბუხს დასწვდა, მაგრამ მოწვევა გადაიფიქრა და ჩიბუხი უკანვე დადო მაგიდაზე.

პირნელი! არადა, არ იყო ტომით ირლანდიელი, მათთვის კი ბევრს აკეთებდა. ჩვენ კი მხოლოდ უმადურნი გვხვდებიან საუკუნეების მანძილზე.

კედელზე დავით აღმაშენებლის ფერადი სურათი იყო გაკრული. თვალები დახუჭა და წარმოიდგინა, როგორი ახსოვდა, შემდეგ სურათს შეხედა — ზუსტად ისეთი იყო!

— დავით! დავით! — ჩაესმა ნათავადარის ასულის ხმა (ტკბილი ქალი იყო ანა!). მერე ლევანი დაუდგა თვალწინ, წვერებს იატაკამდე დაუშვებდა და გასძახებდა:

— ანა! ანა! სხვისი ბავშვია, არ გაცივდეს, თორემ შენ დაგბრალდება!

ძალიან მალე და მოულოდნელად გაქრნენ დავითის ცხოვრებიდან ლევანი და ანა.

— სად ალიან, დედიკო? — შეეკითხა ერთხელ დედამისს. დედამ პასუხი არ გასცა, თუმცა შემდეგ, მრავალი წლის შემდეგ დავით მიხვდა ყველაფერს:

*ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ,
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს, რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?*

კვლავ ცოლს გახედა, რატომღაც ცუდ ხასიათზე დადგა. ჩაიცვიო, დაუღრიალა და ისევ ჩიბუხს დასწვდა. ახლა არ გადაუფიქრებია მოწვევა, მოუკიდა. შემდეგ კვლავ გადაავინწყდა ჩიბუხი და მარცხენა ხელში ჩაიტოვა.

ქეთევანს ძუძუები დაუშანთეს! რა დიდი განსახვავებაა დავით მეფისა და ამ წმინდა ქალის ეპოქებს შორის. შემდეგ? შემდეგ სულ დაღმართი და დაღმართი — წინ, უფსკრულისაკენ!

უპატრონო საყდარს ეშმაკები დაეპატრონენ!

მარცხენა ხელი გაუცხელდა, ახალა გაახსენდა ჩიბუხი, პირთან მიიტანა, ღრმად ჩაისუნთქა მათრობელა ბოლი და კვლავ დავინყებაში გადაკარგა ორმოიანი შავი ხე.

შავი კუბო! ესეც ხომ ხისგან კეთდება.

რამდენჯერ გადაუხდიათ საკუთარი ქელები და მაინც ცხოვრობენსავით, სულს ლაფავენ, მაგრამ მაინც ცოცხლები ეთქმით.

ჩალისფერი დროშა და წმინდა გიორგი, თივის ზვინში ჩამალული ისტორიული რელიკვიები.

— ქართველო, ხელი ხმალს იკარ... — წაიღიღინა.

კარშიგასულ ცოლს გააყოლა თვალი, შემდეგ შემოტრიალდა, კვლავ დავით მეფის სურათს დააშტერდა. გამოსახულება იზრდებოდა, უცებ ვილაცამ მხარზე დაადო ხელი. შემოტრიალდა: შავოსანი, წვეროსანი, ჯვაროსანი — მამა თევდორე?

— კი, შვილო, მე ვარ. მონაყოლითაც მიცანი?

— თქვენზე თქვეს...

— კი, შვილო, მოვკვდი!

— მერე? — დაიბნა დავით.

— მერე არაფერი. რალაც მოგიტანე და მალევე წავალ!

— რა, რა მომიტანე? — სიზმარში ეგონა ვაჟს თავი.

— აილე! — და ხუცესმა პატარა ჯვარი გაუწოდა.

— თამარის ჯვარი? — გაკვირდა ვაჟკაცი.

— თამარის და თან ჯვარი... აი, აქ დავდებ, — და ხუცესმა მაგიდის კიდეზე ფრთხილად დადო ძვირფასი თვლებით განწყობილი პატარა ოქროს ჯვარი.

ცივმა ოფლმა დაასხა დავითს. წამოდგა. სარკმელი გააღო, სუფთა ჰაერი შემოუშვა ოთხაში. შემოტრიალებულს ხუცესი აღარ დახვდა. ნელა, ფრთხილად მიუახლოვდა სავარძელს, ჩაესვენა და ლელას გასძახა:

— მოდი აქ! — უთხრა შემოსულს.

— რა იყო, დავით?

— ნახე, მაგიდაზე თუ დევს რამე, — ცივი ხმით სთხოვა.

ქალმა გაკვირვების ნიშნად მხრები აიჩეჩა, შემდეგ მაგიდას მიუახლოვდა, ვაი, რა სილამაზეაო და ჯვარს დასწვდა.

— ვისია ეს ჯვარი? ვინ გაჩუქა?

— მომიტანე აქ! — მამაკაცის შიშისმომგვრელმა ტონმა ქალს აღფრთოვანება შეუწენლა, ქმართან მივიდა, ჯვარი ხელისგულზე დაუდო და ცოტა ხნის ყურების შემდეგ ჩუმადვე გავიდა.

დიდხანს უცქერდა დავით ჯვარს, უცქერდა მანამ, სანამ ცრემლის ბროლისებური ფენა ლიბრივით არ გადაეკრა თვალებზე. მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ტიროდა. მას დაავინწყდა, რომ მამაკაცი იყო და მისი ტირილი არ შეიძლებოდა, მას დაავინწყდა, რომ ეს ჯვარი მიცვალებულმა მოუტანა, დაავინწყდა, რომ ამ ჯვრის პატრონთან რვაასი წელი მაინც აშორებდა.

იცოდა მხოლოდ ერთი, სწამდა მხოლოდ ერთი, ახსოვდა მოხლოდ ერთი, თუ ვისი გორისა იყო.

თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლ-დათხეული, ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული.

მელნად ვიხმარე გიშდრის ტბა და კალმად მე ნა რხეული, ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული!

აი, ამ გორისა იყო ვაჟკაცი, აი, ამ სულის პატრონი გახლდათ და უკვე მერამდენედ უმზერდა ჯვარს სიყვარულით, პატარა ჯვარს, რომელიც თამარის ღვთაებრივ მკერდს ამშვენებდა ძალიან დიდი ხნის წინ.

— მოდი ჩემთან, — ფიქრებიდამ გამორკვეულმა ტკბილად დაუძახა ლელას. ქალი თეძოების ოდნავი რხევით მიუახლოვდა.

— დაჯექი, — და დავით მუხლებზე ანიშნა ცოლს. ქალი უსიტყვოდ დამორჩილდა.

— მე შენ მიყვარხარ, ლელა, მიყვარხარ, მართლა მიყვარხარ, იცი! მაპატიე ყველაფერი, მართლა მიყვარხარ, მართლა...

— დავით, რა მოგივიდა? — ქალმა თავზე ხელი გადაუსვა ქმარს.

— არაფერი, უბრალოდ დღეს მე ყველაფერი გავიგე!

— რა გაიგე? — ელდა ეცა ქალს.

— გავიგე ბევრი რამ, ძალიან ბევრი. მისმა ერთმა მოსვლამაც კი ყველაფერი გამაგებინა...

— ვისმა მოსვლამ, ვინ იყო აქ?

მამაკაცმა არც ახლა მიაქცია ყურადღება ქალს.

— გავიგე ისიც და მივხვდი იმასაც, რომ შენ ძმასთან იყავი უზნეო კავშირში, მაგრამ... — სიტყვა განწყვიტა, ქალმა კანკალი დაინყო, ცოტა კი იკავა თავი, შემდეგ ერთბაშად ამოხეთქა და ცრემლით დაინითლა ლამაზი თვალები. შემდეგ შედგა, ორიოდ სიტყვას თავი მოაბა და ტირილით ამოთქვა:

— მე ის მიყვარდა, დავით. მე არც შენი მოტყუება მინდოდა... მხოლოდ შენ, მხოლოდ შენმა სიტყვებმა, მხოლოდ დამწვარ სახლთან შენმა საქციელმა ამიხილა თვალი, — გაჩერდა, მწარე ცრემლი ენას წააყოლა და უკვე დაბალი ხმით თქვა მთავარი სათქმელი:

— მე წავალ, დავით, წავალ ახლა, როდესაც მართლა მიყვარხარ. არ გეგონოს, რომ დათიკოსთან ვიყო მიმბრუნებელი... მე წავალ, დავით, სხვაგან წავალ, ვიქნები მარტო და მეხსომება, რომ შენ არსებობს ამქვეყნად.

„ალავერდი!“ — გაახსენდა მამაკაცს.

— აღარსადაც არ წახვალ, — მოკლედ მოჭრა, — მეც მიყვარხარ, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ არც შენი და არც შენი ძმის ბრალია ის, რაც გააკეთეთ, თქვენი და სხვების გამფუჭებელია ბრალში... მე უნდა ვიტანჯო, ლელა, და ვითმინო, უნდა დაგიცვა კიდეც, დარჩი, ძალიან გთხოვ, დარჩი... შენ, ხომ ვიცი, უჩემოდ არ შეგიძლია, არც მე შემიძლია შენ გარეშე არსებობა.

პატარა ოთახი, კაკლის მაგიდა, მაგიდაზე შავი ხის მიტოვებული ჩიბუხი (შავი კუბო), სავარძელი, შინ ჩასვენებული მამაკაცი ჭერს მიშტერებული თვალებით, მის ფეხებთან კი დამხობილი ლამაზი ქალი, ცრემლშემხმარი და ხმაჩანყვეტილი. კაცის ფეხებთან პატარა ვარცლი ჭუჭყიანი წყლით სავსე, ქალი, ან თავანუელი, ცდილობს, თავისი თმით სველი ფეხები გაუმშრალოს ქმარს.

გიჟმაჟი ქარი კი ფანჯრებს ასკდება. როგორ არ ცდილობს, მაგრამ ვერც ერთის გაღებას ველარ ახერხებს.

მხოლოდ ერთიდან, ღიად დატოვებული ფანჯრიდან შემოდის, შემოიპარება, გარეთ გიჟი აქ წყნარდება და ოთახის თბილს ჰაერთან ჩახუტებული დასტრიალებს თავს შეყვარებულთ.

თავი მეთერთმეტე

დასაწყისი

*„ხოლო მეფესა დავითს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი,
რამეთუ ოდეს იქმნა მეფედ, 'იყო ქვეყანა ესე
სრულიად ოხერ; ამან განავსნა და აღაშენნა,
რომელ არღარა ეტეოდა ამით, რამეთუ იყო მოშიში და
მოყუარე ღვთისა, გლახაკთა, ქვრივთა და ობოლთა მონყალე
სწეულთა თვითმსახური, ეკლესიათა, ქსნენონთა მაშენებელი,
სამღუდელოთა მოპატივე, წერილთა საღმთოთა მოყუარე...“*

ბუხართან მიფიცხებულს ფიქრი არ ასვენებდა. მოგონებანიც ფურცელ-ფურცელ აიშალნენ ყდაშემოგლეჯილი წიგნიდან.

ევდოკიასთან ცხოვრობდა დავით მაშინ, თუმცა ცოლი არ ჰყავდა ჯერ მოყვანილი. ნვეროსანი მათხოვარი! ევდოკიამ გაგდება მოუნდომა, მაგისტვის მისაცემი ფული სადა გვაქვსო. დავით დააცხრო დეიდის მრისხანება, ეგეც კაციაო, ადამიანი. შევიდა სახლში, თავისი მცირე დანაზოგიდან ნაწილი გამოუტანა და მისცა უპოვარს. რალაცნაირი თვალებით შემოხედა მაშინ დავითს მათხოვარმა, ახლაც თვალწინ ედგა ის თვალეზი: არაა ცოტა, მაგრამ არც ბევრიაო!! დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, ძალიან დიდი! ევდოკიას ბაღში მდგარი ყმანვილი ხეც დაბერდა მას შემდეგ, დალიც მას შემდეგ იყო და... ლელაც! ოჰ, როგორ უყვარდა ლელა, ასე არასოდეს არავინ ჰყვარებია.

ოოჰ, ეს თვალეზი, ეს თვალეზი ხომ მამა თევდორეს აგონებენ. იცის ეს და მაინც არ სჯერა. სიცოცხლეში არ ენახა მას ხუცესი, მხოლოდ მერე ნახა, ძალიან მერე — მაინც იცნო.

— არაა ცოტა, მაგრამ არც ბევრია!

ხმაც რომ ეცნაურა:

— თამარის და თან ჯვარი...

კი, მაგრამ ხომ იცოდა მან ეს!

არა, კი არ იცოდა, უბრალოდ, ხვდებოდა და ბოლოს გაიგო კიდევ!

კარადასთან მივიდა, წასაკითხი ვერაფერი იპოვა და ქართულ-რუსული ლექსიკონის გადაუფურცლავი ტომი გადმოიღო. ამაოდ ძებნა ოჩოპინტრე, ვერაფერ მაგდაგვარს იქ ვერ გადააწყდა.

სიკეთე — ქართულად და რუსულად.

სიხარული — ასევე ქართულ-რუსულად.

სიყვარული — ესეც ორივე ენაზე, ოჩოპინტრე კი, არ იყო და არა. არ არსებულაო აბა, საერთოდ, ჩაიცინა.

გარედან ხმაური შემოესმა. წამოდგა, ფანჯრიდან გაიხედა, შემდეგ სახლიდან გავიდა.

სამნი იყვნენ! ათი-თორემტი წლისანი, სამთავე ბიჭები. ყურებიანი ქუდები ეხურათ. ნეტავ არ სცხელათო, გაიფიქრა დავითმა. ქვები ეჭირათ ხელში და რალაცას (თუ ვილაცას?) ესროდნენ. ახლოს რომ მივიდა, მერე გააჩრია — ბაყაყი იყო. საცოდავს ხტუნვის თავი აღარ ჰქონდა უკვე და საკმაოდ უსიშპათიო თვლებში ვედრება ჰქონდა აღბეჭდილი (ყოველ შემთხვევაში, დავითს ასე მოეჩვენა).

საკუთარ სისხლში განზანილმა შემდეგ ფეხებიც გადაპარჭყა, გასაფრთხილდა ერთი-ორი და უსიცოცხლო პოზაც მიიღო — მოკვდა!

ველარ მიუსწრო დავითმა ბაყაყს და მრისხანე მზერა ბაღით მიაპყრო. ისინი კი ყურსაც არ იბერტყავდნენ, უკვე მკვდარ ბაყაყს კვლავ და კვლავ ქვებს ესროდნენ და, თუ მოარტყამდნენ, მაშინ გენახათ მათი სიხარული.

...მერე იყო, რომ შარვალს ქამარი მოხსნა და ბავშვებს დაერია, თუმცა მთელი ძალით არ ურტყამდა.

„აღარ ვიზამთ, აღარ ვიზამთ“-ის ძახილით გაექცნენ განრისხებულს და სოფლის სიდიადეს შეაფარეს თავი ნაცემ-ნატყეუებმა.

ორიოდ საათის შემდეგ კი ერთის მამა მოადგა, შვილი რატომ გამილახე, დიდი ამბავი, თუ შენს ეზოში თამაშობდაო. მაგისტრის არ მიცემია, ბაყაყი მოკლა და იმიტომ ვცემეო, მიუგო.

გაშრა კაცი, ბაყაყის გულიზა ბაღლი როგორ გამილახეო და ჯიბეში რალაცას წვალეზა დაუნყო.

— შენც გასალახი ხარ, ბავშვს რომ ასე ზრდი, გადი, დამეკარგე აქედან! — შეუბღვირა დავითმა.

კაცმა ჯიბეში ჩამალულ რალაცას ხელი უშვა, შეტრიალდა და წავიდა. შეეშინდა და იმიტომ წავიდა, ისეთი სახით თქვა დავითმა ბოლოს სიტყვები.

ხვალ შუადღისას კი მართლაც გასაოცარი ამბავი მოხდებოდა: თეთრ რაშზე მჯდომარე ახოვანი და ხუჭუჭთმიანი შუბოსანი

მთელ სოფელს ჩამოივლის, ორღობეში გამოფენილ ხალხს ოდნავ ყურადღებასაც არ მიაქცევს, მხოლოდ დავითის სახლის წინ შეაჩერებს თავის ზღაპრულ რაშს.

დავითის დანახვაზე შუბს მალლა აწევს. ხელებში ჩაუგორებს ჩვილი ბავშვივით და ხმამაღლა შესძახებს:

— ღირსი ამ შუბის, აი, ნათელი სოფლისა!

დავით ხვალ, შუადღისას ეამბოროება ამ შუბს, გულში ჩიაკრავს და ცრემლიანი მზერით გააცილებს თეთრ მხედარს.

...ხალხი კი მხოლოდ საღამო ხანს დაიშლება და ამ სასწაულის მხილველი ყველა ერთხმად აღიარებს:

— აი, კაცი და პატრონი ჩვენი, აი, ის, ვინც გვიხსნის ჩვენ და ვისაც დავმორჩილდებით დღეს!

ხვალამდე კი კიდევ ერთი ღამეა და ამ ღამეს დავით მეუღლესთან გაატარებს. ხვალ კი, ხვალ თეთრი მხედრისაგან შუბის მიღებაც შეიძლება.

სოფლის ზემოთ ტყეში მაიმუნები ბინადრობენ. მრავალი ათეული წლის წინათ შეესყიდათ იმერლებს ეს მაიმუნები რომელიღაც შორეულ ქვეყანაში.

სწორედ ამ მაიმუნებმა ჩაატარეს იმ დღეს პარადი. არც მუსიკა აკლდათ და არც ადამიანური გაბღენძვა, ყველაფერი ჩვენებური ჰქონდათ, ჩვენი მსგავსი.

მერე კი დავითმა თქვა, ახლა ლომებმა დავინყოთ პარადი და ალღუმით და ათასნაირად დაკლაკნილ უშველებელ ყანწს წაავლო ხელი.

სიტყვა იმით დაიწყო, რომ თქვა, არ უნდა ვშვრებოდე ამას, მაგრამ მაინც ცოდვილი ვარო. შემდეგ აქეთურ-იქითურს სიცილიც მოაყოლა და ღვინოსაც მიუჩინა მყუდრო ადგილი მუცელში.

ორი-სამი სადღეგრძელოს შემდეგ ვილაცამ გაუბედა, ღმერთმა შენცა და ჩვენც ნიშანი მოგვცა და წინ გაგვიძეხიო.

როგორო, გაიკვირვა შექეიფიანებულმა.

იყავ აზდაკი ჩვენი!

აზდაკის გახსენებამ ღიმილი მოჰგვარა დავითს, თუ ვერ დავითობ, უნდა იაზდაკო მაინცო, გაიფიქრა (ორი ცნობილი დრამატურგის შეხვედრა სცენაზე, თუმც აზდაკი სხვა პიესის გმირია, ნასვამმა ვერ კი გაიხსენა, რომლის).

ცარციტ დახაზული თეთრი წრე.. კი, კი, უკვე ახსოვს. აზდა-კი! მშვენიერი სახელია აზდაკი, თუმცა ბავშვის გაყოფა მაინც არ შეიძლება.

ჩხუბი, აყალმაყალი, დავიდარაბა, მიწის გაყოფა, მეზობელთა შუღლი... ყველაფერს კარგად გაართვა თავი, ფიქრობს უკვე ერთი კვირის შემდეგ.

მოჩხუბართ არიგებს, დამნაშავეს ხალხის წინაშე ასამართლებს და აკეთებს საქმეს.

დედა! ბოლოს როდის ნახა? სამი დღის წინათ. არა, კარგი შვილია, ვერაფერს იტყვი.

ლელაც სულ შეიცვალა, მუდამ თვალებში შესცივინებს ქმარს. დავითი არ ახსენებს მას წარსულს, თუმც კარგად იცის, რომ წარსულის გარეშე არსებობა შეუძლებელია.

ნელ-ნელა სოფელში რაღაც შემოდის!

ამას ყველანი გრძნობენ, მაგრამ რა არის ეს „რაღაც“, არავინ იცის. ღმერთის რწმენა გაიზარდა თეთრცხენოსანის წყალობით, მაგრამ მარტო ამაში არ არის საქმე, კიდევ არის რაღაც...

გაზაფხული მოვიდა!

შეჰყურებს დავით სარკმლიდან მერცხლებს და ტკბება მათი ჟღერტულით, თოვლი არ ყოფილა, რომ გადნეს, მაგრამ გაზაფხული მაინც მოვიდა.

ორი თვეა, ოჩოპინტრეს კაცი აღარ მოუკლავს!

ცოტა მოსულიერდა ხალხი, დანყნარდა. ბავშვებმა ლალად დაიწყეს რბენა, ქალებმაც ძველებურად დაუნყეს ქმრებს ყურება — პატივისცემით... გივი ექიმიც კვლავ ჩამოვიდა სოფელში?!

შეხვედრა. ექიმის მხრიდან ღიმილი, დავითის მხრიდან მრისხანება.

— გამრავლდით! გამრავლდით! გამრავლდით!

ასეთი შეძახილებით ტოვებს გივი ექიმი სოფელს — დავითი კმაყოფილია.

ანგელოზთა ჯარი

შუალამე: ადექით!

ყველა მორჩილია, ანგელოზთ სიტყვას ვინ შეუბრუნებს.
წინ! წინ! წინ!

მთელი სოფელი უხმოდ მიაბიჯებს ანთებული სანთლებით ხელში. წინ დავითი მიუძღვის, კიდევ უფრო წინ კი ზეციური ლაშქარი.

გამთენიისას: აჰა, ისიც — რიონი!

ქალი, კაცი, ბავშვი, მოხუცი და ახალგაზრდა, ყველანი მდინარეში დგებიან.

დიდება შენდა! დიდება შენდა! დიდება შენდა!

ცივა, ძალიან ცივა, ჯერ ხომ ახალი მოსულია გაზაფხული, მაგრამ ვერავინ გრძნობს ამას. ანთებული სახეებით, თითებამდე ჩამწვარი სანთლებით, ფეხშიშველა მდგარნი წყალში:

ამინ! ამინ! ამინ!

ანგელოზთა ჯარი ზეცას მიემგზავრება, სოფელნი კი სოფელს ბრუნდებიან. სულ წინ ახლა მარტო დავით მიუძღვის, ყველაზე დიდი სანთლით ხელში.

ათასი სანთლით განათებული მდინარე, ტყე, მთა და ბარი, ათასი სანთლით განათებული ათასი სახე:

ამინ! ამინ! ამინ!

დაცარიელებული სოფელი, აყეფებული ძაღლები და ათასკაციანი პროცესია, რომელმაც, ეს-ეს არის, შემოაბიჯა იმერეთის ამ პატარა და ლამაზ ალაგას. აქ დგას მათი სახლი, აქ არის მათი ვენახი, მათი ბალ-ბოსტანი და სული... სული მათი სუფევს აქ!

ყველანი უხმოდ ადიან მამა თევდორეს საფლავზე. ხმას არავინ იღებს. ძალიან ბევრს ცრემლი აქვს მომდგარი და უაზრო თვალებით მაცქერალი რაღაცას ფიქრობს. ბავშვებიც კი ხვდებიან რაღაცას, უჩვეულოდ გაყუჩულნი დგანან, სანამ ვინმე არ იტყვის:

- უფალო, გაანათლე მისი სული!

ეს სიტყვაც ითქვა და ხალხი იშლება. პირზე კოცნით ემშვიდობებიან ერთმანეთს და ბედნიერებას და ყოველივე კარგს უსურვებენ, თითქოსდა ახალი წელი იყო.

კიდევ ერთხელ ინთება ცაზე რაღაც და შემდეგ მთელი სოფელი ძილს აძლევს თავს. თენდება უკვე.

თავი მეთორმეტე „ფერისცვალება“

*„მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ
შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარეშე“.*

სიზმარში გამოეცხადა ოჩოპინტრე დავითს და უთხრა:

— მოგკლავ, მაინც მოგკლავ! ისეთი სახით გამოგეცხადები, რომ ვერ მიცნობ და მოგკლავ, იცოდე!

მეორე დილით თოფი გადაიკიდა მხარზე და თავად გავიდა ტყეში ოჩოპინტრეს მოსაკლავად.

კაი ხანი გასულიყო მას შემდეგ, რაც ანგელოზთა ჯარი ესტუმრათ სოფელში — ახლა უკვე შემოდგომა იყო. ტკბებოდა შემოდგომით დავით, მისი საყვარელი დრო იყო. შემოდგომა შემოპარვოდა დედაბუნებას, ჰაერი გაეცივებინა, ფოთოლი გაეყვითლებინა და ქარისთვის გაეტანებინა, ფოთლებისვე ხალიჩა დაეგო მთელ ტყეში და ადამიანიც აეტაცებინა, დაეთრო, სურნელით გაებრუებინა...

შარიშური გაჰქონდათ ფეხქვეშ ფოთლებს. გარემოს რალაცნაირად გაენაზებინა დავით და ფეხს ფრთხილად დგამდა, არ უნდოდა ტკიცინა და გამომხმარი ფოთლების ნელში გადატეხა. მას სუნნი ეცა, შედგა, კარგად დაყნოსა და ნელადვე განაგრძო გზა.

კვლავ თავადის ასული და მამამისი გაახსენდა, მათი ის უახლოესი მეზობელიც, რომელიც შემდეგ მთელმა სოფელმა შეიძულა.

უცებ შარიშური მოესმა, თოფზე იატაცა ხელი, ოჩოპინტრეაო...

მოტრიალებულს კი პატარა ბავშვი შერჩა ხელთ. შერცხვა, თოფი კვლავ მხარზე გადაიკიდა და ბავშვს გახედა: ავადმყოფური შესახედაობა ჰქონდა. დიდთვალება, ძალზე გამხდარი, კისერგანწვრილებული და თმანენილი... მიუახლოვდა, ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა და ისედაც ანენილი თმა კიდევ უფრო აუნენ-დაუნენა.

— სიყვარულით! — გაულიმა მამაკაცმა ბავშვს.

— მესმის! — ბავშვმაც გაულიმა დავითს, მაგრამ ძალიან ნალვლიანი იყო ეს ღიმილი. დავითმა იგრძნო ეს, მგონი, ბავშვმაც იგრძნო და თავი დახარა, ძირს დააშტერდა რალაცას.

დავითმა დაიხედა, დიდი დანა ეგდო, მზის შუქზე ლაპლაპებდა და ოქროსავითს ბზინავდა.

— შენ დაგივარდა? — შეეკითხა ბავშვს.

— არა, დავაგდე!

— რატომ? — გაუკვირდა მამაკაცს.

— იმიტომ, რომ დამავინწყდა, რისთვის ნამოვიღე!

დავითმა მხრები აიჩეჩა, ვერაფერი გაიგო, შემდეგ მაინც ჰკითხა:

— ვისი შვილი ხარ?

— არავისი, ობოლი უნდა ვიყო! — კვლავ ნაღვლიანად გაუღიმა ბავშვმა.

— რა გქვია?

— არაფერი!

— როგორ არაფერი? — ახლა სულ მთლად დაიბნა მამაკაცი, ცოტა ხანს ჩაფიქრდა, ხოლო მცირე ყოყმანის შემდეგ მაინც გაბედა:

— წამოხვალ ჩემთან?... ჩემი შვილი იქნები.

აქ სიტყვა განწყობა, ბავშვს შეაცვივდა თვალებით და შემდეგ სასწრაფოდ მიაყარა სათქმელი:

— მე და ჩემს ლელას შვილი არა გვყავს, შენ იყავი ჩვენი შვილი, შენც დავითს დაგარქმევ, ჩვენთან იცხოვრებ, ჩვენთვის გაიზრდები, შვილი იქნები ჩვენი...

— წამოვალ! — მოკლედ მოჭრა ბავშვმა, — წამოვალ, მამა, წამოვალ! — დაამატა ორიოდ წამის შემდეგ.

დავითმა ბავშვს ცრემლი შენიშნა თვალებზე, დაიხარა, აკოცა და თმა კიდევ ერთხელ აუნუნ-დაუნუნა, ოღონდ ისე, სიყვარულით...

ხელიხელჩაკიდებულნი მამა და შვილი მიაბიჯებდნენ ყვითელ ფოთლებზე და ფიქრობდნენ სახლზე, თბილ საწოლზე, ფიქრობდნენ ყველა კეთილ ადამიანზე, ყველა ქართველზე, ფიქრობდნენ ღმერთზე, ფიქრობდნენ მომავალზე და, რაც უფრო ახლოვდებოდა დავითის სახლი საკვამურიდან ამოსული უწყვეტი თეთრი ბოლით, მით უფრო ხშირ-ხშირად იმეორებენ გულში ამ სიტყვებს:

- დიდება შენდა, უფალო!

მეორე ნაწილის დასასრული

ნანილი მესამე

ხიზანი

თავი პირველი

ყრმობა

სახლში რომ შევედით, ვილაც ლამაზი ქალი დაგვხვდა, გაკვირვებული თვალებით შეხედა კაცს, რომელსაც მე მამა ვუნოდე და ჩემზე ჰკითხა:

— ვინ არის?

კაცმა გაიღიმა. გაიღიმა ნაღვლიანად, იმავ დროს, საოცრად თბილად, ტკბილად, გაიღიმა ისე, როგორც რამდენიმე წუთის წინ იქ, ტყეში.

— შვილია ჩვენი.

ქალმა შემომხედა, ცოტა ხანს მიყურა, სახის გამომეტყველება არ შეცვლია — კვლავ გაკვირვებული იყო. შემდეგ „მამაჩემი“ და ის ქალი იქით ოთახში გავიდნენ, რალაცაზე კარგა ხანს საუბრობდნენ. შემდეგ გამოვიდნენ, კაცმა ისევ ამიჩეჩა თმა, ოღონდ ისე — სიყვარულით. ქალიც მოლბა, გამიცინა, ლოყაზე მაკოცა — ანი დედა დამიძახეო, ყურთან მომიტანა ტურჩები, შემდეგ გასწორდა და მაგიდასთან მიმიპატიჟა.

შემწვარი ხორცის სურნელი რომ დატრიალდა, კინალამ ცუდად გავხდი. რალაცას მაგონებდა ეს სუნი, რას — არ ვიცი. ჭამაზე უარი განვაცხადე. მაშინ ჩაით და ყველით გამიმასპინძლდნენ, ამაზე უარი არ მითქვამს, შოთი პურიც მეგემრიელა. „დედ-მამა“ თითქმის არ ჭამდნენ — სულ მე შემომცქეროდნენ თვალებში. ეს რომ შევნიშნე, ყველის ვეება ნაჭერი მქონდა პირში, შემრცხვა, ჯერ კიდევ დაუღეჭავი რის ვაი-ვა-გლახით გადავყლაპე და „მშობლებს“ თვალები გავეუსწორე.

— ჭამე, ჭამე, შვილო! — მითხრა ქალმა.

აღარ მინდა-მეთქი, თუ რალაც ამდაგვარი ჩავიბურტყუნე და ისინიც აღარ ჩამციებინან.

შემდეგ „დედამ“ იქით ოთახში გამიყვანა, სანოლი გამიშალა და ჩამანვინა, სანამ დამანვენდა, დაიხარა და შუბლზე მაკოცა. იმ წამს მივხვდი, რომ მე ის მიყვარდა...

დიდხანს ვერ შევძელი დაძინება. წრიალი დავინყე ლოგინში, შემდეგ, როგორც იქნა, ჩამეძინა. ძილში საშინელი კომმარნი ვნახე — ვილაც წითური ადამიანის ხორცს ჭამდა, შემდეგ მე დამინახა, ჩემკენ გამოიქცა, მე კი, ნაცვლად იმისა, რომ გავეცეულიყავი, ტირილი დავინყე.

— შენა ხარ! შენა ხარ! — ჩამწიოდა ყურებში და მაჯანჯლარებდა. მე კი ვტიროდი. ბოლოს ხელი მიშვა, პანლური ამომარტყა და მეც გავფრინდი... ოფლში ვცურავდი, სხეულიც გახურებული მქონდა, მგონი, სიცხე მაქვს, გავიფიქრე და ავზლუქუნდი:

— დედა, დედიკო, მიშველე!

კაი ხანს მიტირია. დედა რომ შემოვიდა, მაშინლა მივხვდი — თენდებოდა უკვე. რაღაც აბი გადამაცლაპა, დამამშვიდა, მომეფერა. ვთხოვე, რომ არ გასულიყო გარეთ და ჩემთან დარჩენილიყო.

ის იყო, წამთვლიმა, რომ რაღაც საშინელი აზრი მომივიდა თავში, ხელად წამოვხტი, დედა კვლავ აქ იყო, საწოლთან:

— მე რომ დავიძინებ, ხომ არ გახვალ გარეთ, ხომ ჩემთან იქნები?

— კი, დავით, კი, არსად არ წავალ!

მხოლოდ ახლა გამახსენდა, რომ დავითი მერქვა: „მამაჩემმა“ დამარქვა ეს სახელი ტყეში და სულ გადამავინყდა. გუნებაში რამდენჯერმე გავიმეორე: დავით — „მამასაც“ დავითი ერქვა, დედის სახელიც ვიცოდი უკვე — ლელა!

— მე მიყვარხარ შენ, დედა, ძალიან, ძალიან მიყვარხარ! — დედაჩემი დაიხარა, ყინულივით ცივი ტუჩები კვლავ დამადო გახურებულ შუბლზე და რამდენჯერმე მაკოცა... რომ გავიღვიძე, დედა კვლავ ჩემს საწოლთან იჯდა.

ერთი კვირა ვინექი ლოგინში — სიცხეები მქონდა. „მამაჩემი“ შემოვიდოდა, ბუხარს ააგიზგიზებდა, ხან კანფეტს, ხან რაიმე სათამაშოს ჩამიგდებდა ლოგინში და სიცილით მეტყოდა:

— ჰაიჭ, შე მშიშარა, შენა, დიდი აღმაშენებლის სახელს მაინც არ ატარებდე!

ერთი-ორჯერ არ მიმიქცევია ყურადღება, შემდეგ კი მეც დავინტერესდი, თუ ვის სახელს ვარცხვენდი ასე სასტიკად. კითხვა არ ვიცოდი, თორემ „მამაჩემის“ ბიბლიოთეკაში მოვძებნიდი რამეს. ამიტომაც დედას ვთხოვე, ეამბნა ჩემთვის დავით

მეფის ამბავი. დედა ყველაფერს მომიყვა, ბოლოს ისიც რომ მითხრა, კაი ხნის მკვდარიაო უკვე, კარგად მახსოვს — ცრემლი ვერ შევიკავე და სანყალი ქალი მთელი საათი მანყნარებდა. ძილშიც მესიზმრებოდა მაღალი, მხარბეჭიანი, ჭალარაშეპარული თმით, სიტყვაძვირი, საოცრად კეთილი...

შემდეგ ექიმი მოვიდა. გამსინჯა, აქეთური თქვა, იქითური, ნამალიც გამომინერა, ბოლოს კი „მამაჩემს“ ურჩია:

— ფრინველისა და საქონლის ხორცი აჭამე ხშირად, მოლონიერდება ცოტა.

„მამაჩემმა“ თავი ჩაქინდრა, მეც დავიბენი — სიკვდილს ვარჩევდი ხორცის ჭამას, მარტო სუნიც კი მეზიზღებოდა მისი.

სალამოთი დედამ სცადა, ქათმის ხორცი შემოეპარებინა, მაგრამ ამაოდ — პირიც არ დავაკარე. ბოლოს იმაზე მაინც დამითანხმა, რომ ქათმის ბულიონი დამელია და მეც დიდის ტანჯვით შევეუსრულე ამ საოცრად კეთილ ქალს თხოვნა.

— ჩემი დედიკო, ჩემი კეთილი დედიკო, — ვიმეორებდი ამ სიტყვებს და თვალდახუჭული ვსვლევდი ქათმის ნახარშს.

— ყოჩაღ, ახლა კარგი ბიჭი ხარ, — მითხრა დედამ, ბალიში გამისწორა და ოთახიდან გავიდა. ამ სიტყვების შემდეგ უკვე ნამდვილად არ ვნანობდი ბულიონის დალევას.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოვჯანმრთელდი. პირველად სიარული გამიჭირდა, შემდეგ დედა დამეხმარა და მეც ნელ-ნელა შევეჩვიე.

დედამ რომ სათამაშოდ გამიყვანა, ისე გავედი სახლიდან, არც კი ვიცოდი ზუსტად, თუ რას ნიშნავდა სიტყვა „თამაში“. მამა რომ დათუნებებს და ბზრიალებს მომიტანდა, მეტყოდა, აი, ითამაშეო. ახლა კი არც ბზრიალა მეჭირა ხელში და არც დათუნია, თან სახლიდან მიშვებდნენ, ნუთუ სახლში ვერ შევძელი კარგად ეს „თამაში“? ერთი სიტყვით, ბევრი ვერაფერი გავიგე და ჩაფიქრებული გავცდი ჩვენს ეზოს. დიდხანს არ დამცალდა ასე სიარული. რუსთან ვილაც ჭორფლიანი ბავშვი ვნახე. იქნებოდა ასე ჩემხელა, მე რომ დამინახა, გაიკრიჭა და დიდის ამბით გამეცნო:

— ბუხუტიას ბალანა ვარ მე, ველოდი მქვია!

ველოდი, ველოდი... როგორ თუ ველოდი?

— როგორ თუ ველოდი? ველოდი ხომ ლოდინს ნიშნავს? —
შევეკითხე.

— ბუხუტია და ნაზიკო დიდხანს მელოდნენ და მიტომ დამ-
არქვეს ეს სახელი... შენ რა გქვია?

— მე დავითი მქვია, დავით და ლელას შვილი ვარ!

— დავითის? — ჩაფიქრდა ბუხუტიას და ნაზიკოს შვილი, —
დიდი კაცია მამაშენი, ყველას უყვარს და ყველა პატივს სცემს
ჩვენს სოფელში.

გავიბღინძე, ამას რომ ამბობდა — საოცრად ბედნიერად ვი-
გრძენი თავი, ველოდი კი აგრძელებდა.

— მამაჩემმა ბუხუტიამ თქვა, დავით ღვთის კაციას, რა-
საც სთხოვს ღმერთს, ყველაფერს უსრულებსო, ოჩოპინტრეც
მაგან გააგდოო სოფლიდან...

— ვინ ოჩოპინტრე? ოჩოპინტრე ვინ იყო? — დავინტერესდი.

— შენცა ხარ რა, მაგი თუ არ იცი. ვინ იყო და კაციჭამია,
ბიძაჩემი მაგან შეჭამა, მამაშენმა კი აიღო და გააგდო.

— როგორ გააგდო?

— როგორ და შეაშინა!

ჩავფიქრდი. რალაც გრძნობა შემომანვა. ვიგრძენი, რომ სა-
დლაც მივდიოდი — ტანს ვტოვებდი და სადლაც მივდიოდი. ამაკ-
ანკალა — დავბრუნდი! არემარეს გავხედე და გავოცდი — მე ასე-
თი რამ განმეცადა ცხოვრებში. საოცრად ნაცნობი იყო ყოველივე
ეს ჩემთვის და საერთოდ, რალაც უცნაურად ვგრძნობდი თავს.

თავბრუ მეხვეოდა, ლებინებაც მომინდა რატომღაც...

— ვითამაშოთ, გინდა? — გამომარკვია ფიქრებიდან ველოდიმ.

— როგორ?

— როგორ და შენ თვალებს დახუჭავ, ათამდე დაითვლი, მე
კი დავიმალები და უნდა მიპოვო!

— მერე რა, თუ გიპოვი?

— მაშინ მე დავიხუჭები!

დავინწყე თამაში. ჯერ არ მომენონა, მერე და მერე ეშხში
შევედი და თანდათან გამიტკბა.

...ბინდებოდა, შინ რომ დავბრუნდი. დედა ჭიშკართან
დამხვდა, კოპებშეკრული, გაბრაზებული.

— სად იყავი აქამდე?

მე ხელები შემოვხვიე და ტირლი დავინწყე — საოცრად მიყვარდა ჩემი დედიკო. ჩემი ტკბილი და ლამაზი დედიკო.

მამაჩემს დედა ჩამოუვიდა მეზობელი სოფლიდან. ნატა ერქვა სახელად, მაგრამ მეორე სახელიც ჰქონდა — ბებია — და მეც ასე ვეძახდი (როგორც დედაჩემს — ლელა ერქვა, მაგრამ დედას ვეძახდი, ანდა მამაჩემს, დავით — მამა). საოცარი ის იყო, რომ დედაჩემი ბებიას კი არ ეძახდა, არამედ დედას და დავიბენი, ბოლოს მამამ დამისვა მუხლებზე და მთელი ამ სახელების ამბავი ამიხსნა — საოცრად ადვილი ყოფილა, მე კი აქამდე არ ვიცოდი.

ბებია თბილად მეპყრობოდა, რამდენიმე დღის შემდეგ კი ასეთი დასკვნა გააკეთა.

— ეს ბავშვი გენიოსია! ამ ასაკში, დავით, შენც არ იყავი ასეთი. აზრიანი, სერიოზული და ჭკვიანი. მართალია, ზოგ საკითხში ვერ ერკვევა და შეიძლება არ იცოდეს, რას ნიშნავს სიტყვა „ქსოვა“ ან „მატარებელი“, მაგრამ უკვე აზროვნებს აი, ისე... რა ჰქვია იმ სიტყვას, შენ რომ ხმარობ ხშირად?

— ფილოსოფიურად! — შეაშველა მამამ.

— ჰო, ჰო! აი, სწორედ ეგრე აზროვნებს.

ბებია ცდებოდა, რადგან მე უკვე ქსოვაც ვიცოდი რა იყო და მატარებელიც, მაგრამ „ფილოსოფია“ კი მართლა პირველად გავიგე.

შემდეგ ქალაქიც ვნახე. ორი დღე დავრჩით ქუთაისში მე და მამაჩემი. მალალმა და ჩემზე გამხდარმა მღვდელმა მომნათლა, ქუთათურმა ნათლიამ კი პანია ოქროს ჯვარი დამკიდა კისერზე... მაშინ ვემთხვიე პირველად ჯვარს!

მამაჩემი და მე ნათლიაჩემთან გავჩერდით ასანთის კოლოფით ვინრო და დაბალჭერიან ბინაში. მამა ხუმრობდა კიდეც, ნელში ვერ გავმართულვარ, მეშინია, თავი ჭერს არ მივარტყაო.

— ნადი შენ, დავით! — დამიცაცხანებდნენ, როდესაც საქმეზე იწყებოდა საუბარი. მე სულ არ მაინტერესებდა მათი საქმე, ამიტომაც ხალისით გავდიოდი გარეთ და „პიკასოს ბიჭვით“ წამოვსკუპდებოდი ხიდის მოაჯირზე, დავცქეროდი რიონს და ვტკბებოდი. ზოგჯერ კენჭსაც ვისროდი მდინარეში ბუყ-ბუყ — გამოსცემდა წყალი ხმას და წრეც იკვრებოდა.

კიდევ რა? მგონი, მეტი არაფერი! დახრჩობას არავინ გადამირჩენია. ჩხუბიც არ მომსვლია ქუთათურ თანატოლებთან და არც ფორმიან ძიას ნაფურაქჩაქებივარ იშელის მსგავს შენობაში.

მიყვარდა ბუნება, ძალიან მიყვარდა, მამაჩემმა რომ ბუნების სიყვარული შემატყო, მომიწონა, მაგრამ რჩევის სახით ჰატარა სიბრძნეც შემომთავაზა:

— კარგია, გიყვარდეს ბუნება, ძალიან კარგი, მაგრამ ნურასოდეს დაგავინყდება, რომ ბუნების მთელი მრავალფეროვნება და სიდიადე ადამიანშივეა ღვთის მიერ მოცემული, ოღონდ უხილავად. ხილული ბუნებით დატკობა ყველას შეუძლია, შენ კი ეცადე, უხილავადაც დატკბე — ოღონდ ამისათვის ჯერ შეიყვარე ადამიანი! — ეს სიტყვები მე არასოდეს დამავინყდება.

...ქუთაისიდან ხორაგით დატვირთულმა ნათლიაჩემმა გამოგვაცილა.

დღე დღეს მიჰყვებოდა, თვე — თვეს, წელი — წელს. ვცხოვრობდი ჩემს მშობლებთან ერთად და ვიზრდებოდი. უკვე წერაც ვიცოდი და კითხვაც, სახარებაც მქონდა ნაკითხული და ბევრი სხვა წიგნიც.

შემდეგ ძმაც გამიჩნდა, მაგრამ არსთგამრიგემ მალე მიიხმო თავისთან და ჩემმა ლამაზმა დედამ ძაძები ჩაიცვა. მწუხარე და მგლოვიარე შავი ფერიც უხდებოდა დედას, დიდი წყლიანი თვალელებიც უფრო გამოუჩნდა და ის ორიოდე ნაოჭიც, რომლის არსებობაც მის სახეზე მხოლოდ მე და მამამ ვიცოდით.

მალე ნატა ბებიაც გარდაიცვალა. მოკვდა წყნარად, მშვიდად. თუმც რას ვამბობ, აბა, ხმაურით ვინ კვდება, მაგრამ ბებია ძალიან, ძალიან წყნარად გარდაიცვალა. ერთი არ დაუკვნესია, ერთი არ დაუდია გულზე ხელი... სავარძელში იჯდა, დედამ ჩაიმიართვა და აღმოჩნდა, რომ მკვდარი იყო.

მამა ძალიან დარდობდა. თითქოსდა ეს გაჭირვება არ ეყოფოდა, რომ ახალი საფიქრალ-საზრუნავი გაუჩნდა — მე! ლამობით ვბოდავდი, შეშინებული ვლრიალებდი და მთელ ოჯახს ვუფრთხობდი ძილს. წითური კაცის ლანდი დამდევდა სიზმრად და ყოველ წამს შეჭმით მემუქრებოდა.

მამას რომ ვუამბე ჩემი ლამეული სტუმრის შესახებ, მახსოვს, ფერი დაკარგა და კინალამ წაიქცა.

კეთილი ვიყავი, საოცრად კეთილი. თითქმის არასოდეს ვჩხუბობდი, მეგობრებს ყველაფერს ვპატიობდი, მშობლებიც მიყვარდა, მაგრამ ზოგჯერ, ძალზე იშვიათად, რაღაც გაიღვიძებდა ჩემში, ცხენივით ყალყზე დადგებოდა, დაიჭიხვინებდა და გაჭენდებოდა უსასრულობაში... და მეც მიეჭროდი მთელი ძალით. არ მინდოდა არავინ, არც მშობელი, არც მეგობარი და არც — ნანა!

იყო ასეთი: პატარა, შავთმიანი, გაბუტულტუჩა, ლამაზი — მე ისე მიყვარდა! ერთად ვკითხულობდით წიგნებს, ერთად ვსეირნობდით და ერთხელ ვაკოცე კიდეც...

ცხენს ჩემში კი ნანაც არ უნდოდა!

ასეთი სიგიჟის ნუთებში გავვარდებოდი გარეთ, ნამოვნვებოდი მინდორზე და უცხოთ თვალს მოცილებული ნამიანი ბალახით ვიგრილებდი ცხენის სისხლით გახურებულ სხეულს. დიახ, მე არ მინდოდა არც ნანა, არც დედა, არც მამა, არავინ მინდოდა მე, მაგრამ სულ რაღაც ათიოდ წუთის შემდეგ, როდესაც ველური მცხუნვარება საამო სიგრილეს უთმობდა ადგილს, გაოცებული ვბრუნდებოდი სახლში და სიყვარულით გამთბარი გული კვლავ იმეორებდა დედ-მამისა და ნანას სახელებს.

ბევრი მიფიქრია, ბევრი ღამე მიტეხია, თუ რა უბედურება იყო ჩემს თავს. ნეტავ რომელ კომპრაჩიკოსს დაემახინჯებინა ჩემი სული ასე სასტიკად, რომ ადამიანებთან მყარ, კეთილ ურთიერთობასაც ვეღარ ვახერხებდი. ადამიანებთან, რომლებიც მართლა მიყვარდნენ და რომელთა მადლიერიც ვიყავი. როგორ დამწყევლეს, რომ სიყვარულის გამომჟღავნების უნარიც არ მქონდა. ოოჰ, რა უბედურად ჩავთვალე თავი, როდესაც ერთხელ დედამ ჩემ გასაგონად მიმართა მამას:

— ამ ბავშვს, მგონი, გული არა აქვს!

გამწარებული დავემხე ლოგინზე და ბალიშით მოვახრჩვე ყელს მობჯენილი ბოღმა. ჩემმა ცრემლმა, ნიკაპთან რომ ერთდებოდა ერთ წერტილში, დიდი სველი ლაქა დაამჩნია ქათქათა თეთრეულს, ჩემს თვალებს კი მყვირალა სინითლე.

სწორედ ამ მყვირალა სინითლემ გამცა დედაჩემთან. მომიახლოვდა, ხელი გადამხვია და ცხელი კოცნით ამომიშრო სველი თვალები. შემრცხვა.

გაირბენს კიდევ ერთი სულმოკლე წელიწადი და ჩვენი ოჯახის გასაცლილებლად მთელი სოფელი მოვა. ზოგი ღვინოს მოიტანს, ზოგიც ხორცეულს, ჩვენ ქალაქში გადავდივართ!

მამას კიდევ ერთხელ სთხოვენ დარჩენას, ემუდარებიან, მაგრამ მამა უარზეა:

— მე ჩემი საქმე გავაკეთე, დანარჩენი უკვე თქვენ იცით!

მატარებელი ნელ-ნელა იძვრება ადგილიდან და მშვიდი და გადაღლილი ჩემი მშობლები პურის და ტყემლიანი ხორცის ჭამას იწყებენ. მე ზიზლით ვტრიალდები — ხორცს არც ახლა ვჭამ. მატარებელი ქოშინებს, სიჩქარეს უმატებს და დედა-თბილისი-საკენ მიაქროლებს მამას, დედას და მათ მარტვილ შვილს.

თავი მეორე

„თეთრი მხედარი“

*გადაიკიდე, ძმაო, ეს ხურჯინი ზურგზე.
დაუტევე სახლი შენი და პირველი ცოდვის
გამოსასყიდად დაადექი ცისაკენ მიმავალ
გზას. შემოიარე მთელი ქვეყანა, დაარიგე
ის, რაც ამ კეთილს ხურჯინში გაქვს, მიეც
ხალხს სიხარული და სიყვარული. შემდგომ
ამისა, წააწყდები მალლა მიმავალ კიბეს და
თუ ზურგზე სიმძიმეს ველარ იგრძნობ, აუყევი
ზევით და იცოდე - უფალი შენთან არს!
შევონება*

თბილისი. სწორედ XIX საუკუნის ოთხმოციანი წლების თბილისში ჩამოვიდა დავითის ოჯახი მატარებლით.

მთებით გარშემორტყმული. ეშინიათ, არ გაფართოვდეს - თბილისის სივინროვე უხდება!

ყაყანა ქალაქი. ქუჩაში ღრიანცელი და ხმაური მრავალენოვანი.

მუდამ მოღიმარი კინტოები გამვლელ ქალებს განგებ ეჯახებინ — ბოდიშით, ქალბატონო!

გალატაკებულ ქართველი თავადი: ვერცხლის ქამარზე ხელები ჩამოუნწყვია და დინჯის ნაბიჯებით ფრანგული რესტორნისკენ მიეშურება. ძმაკაცები უცდიან.

სომეხი ვაჭრები მდიდრულ ეტლებს ამაყად დააქროლებენ ქალაქის ქუჩებში („ფული ჩემი, კნიაზ, ნოდება და ღირსება შენი“).

იასამანი ყვავის თბილისში!

კეკლუცი ქართველი ბანოვანნი, ყელმოღერებულნი რომ დასრიალებენ მინამდე დაშვებული კაბებით.

აგერ, ბატონი ილიაც მოაბიჯებს, თავადი ჭავჭავაძე. დავით მოკრძალებული ხრის თავს და ესალმება დიდ ქართველს (ნუთუ ადამიანმა ეს კაცი მოსაკლავად უნდა გაიმეტოს და ისიც ქართველმა? — ფიქრობს და სიმწრით ტუჩებს იკვნეტს).

ვაჟა! (ვაჟაუ! — ყვირის ვილაც ბაზარში და ქალამნებიანი „ვაჟაუც“ ტრიალდება. ერთმანეთს კოცნიან, უცინიან, დავით ინტერესით შეჰყურებს მათ).

(ტატო არა ჩანს, ბარათაშვილი — ეტყობა, მართლა მოკვდა).

თავის ძველ ბინაში შეჰყავს ოჯახი. რამდენი ხანია, აქარ ყოფილა. სამივენი ხელებს იკაპინებენ და ობისგან იწმინდება ოთახები.

ერთხელ ქუჩაში გასულს გაცოცხლებული მთვარეულიც ხვდება, ძველი ნაცნობი:

— როგორ გაცოცხლდი?

— ისე, თავად არ ვიცი!

— კარგად იყავი!

— კარგად!

სხვა ნაცნობებიც ხვდებიან.

— ეს ვინ არის?

— შვილია ჩემი!

— რა ჰქვია?

— დავით!

— მოგსწრებია შვილი, ბედნიერი კაცი ხარ!

პატარა დავით კი მართლა აღარ არის პატარა, საცაა ოცინლის გახდება.

იასამანი ისევ ისე ყვავის თბილისში!

ფეხებმოგრეხილი კინტოები ამაოდ ცდილობენ, დამპალი ხილი გაასაღონ (არ მინდა).

— მამა, მე ხიზანი ვარ!

— რისი ხიზანი, შვილო, ვერ გავიგე?

— არც მე ვიცი, რატომ ვარ ხიზანი, მაგრამ რომ ვარ — ნამდვილია!

— სადა ხარ ხიზნად?

— თქვენთან, თქვენს ოჯახში!

— შენ ხომ შვილი ხარ ჩვენი!

— ჯერ ერთი, არა ვარ, მაგრამ მაგას მნიშვნელობა არა აქვს... მითხარი, მამა!

— რა გითხრა?

— არც ეგ ვიცი, მაგრამ რაღაც უნდა მითხრა.

— ვინ მოგახსენა?

— ვხვდები, ადრეც ვხვდებოდი, ოღონდ რას, არ ვიცი, თან სიზმარიც ვნახე...

— რა სიზმარი?

— გთხოვ, მითხრა სათქმელი! — ბანზე შეუგდო კითხვა.

— ვერ გეტყვი!

— რატომ, პატარა აღარ ვარ!

— ეგ არ არის მთავარი, უბრალოდ, ვერ გეტყვი, მორჩა და გათავდა.

— ვისი შვილი ვარ?

— ეს მართლა არ ვიცი!

— აბა რა იცი, ის მითხარი!

— ვერა, ვერ გეტყვი!

— გთხოვ, მამა!

— რომ გითხრა, მაშინ უნდა წახვიდე ჩვენგან...

— რატომ?

— სანამ არ იცი, არც ცოდვა განევეს, გეცოდინება და ცოდვიანი გახდები... მაშინ ყველასთვის აჯობებს, რომ წახვიდე... წახვიდე და მთელი შენი სიცოცხლე კეთილი საქმე აკეთო მარტოკამ.

— მითხარი, მე თანახმა ვარ!

მამა შვილს თვალეში უყურებდა, ორთავეს ცრემლი აქვს მომდგარი:

— შენ ოჩოპინტრე იყავი!

მე გამახსენდა. ყველაფერი გამახსენდა. თეთრი წვერიც გამახსენდა და წითელი სისხლიც.

ის მტერი იყო ჩემი — ოჰ, როგორი მტერი!... ათი სიცოცხლე რომ ჰქონოდა, ათივეს წავართმევდი.

სად არ დავუდარაჯდი, სად არ ველოდე... არაფერი გამოვიდა და მაშინ... სწორედ მაშინ მოვიფიქრე ბავშვად გარდასახვა. ვთქვი ჯადოსნური სიტყვები და... გამოვერკვიე — მე დანა მეჭირა ხელში! რისთვის მეჭირა, არ მახსოვდა. ერთხანს ვუყურებდი, შემდეგ გადავაგდე.

შემდეგ კვლავ ვუყურებდი. მამაჩემი კი მილიმოდა.

მხოლოდ ახლა ვხვდები, რად არ მოვკალი — მე არ ვიცოდი, რა იყო სიკვდილი!

მე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ რაღაც უნდა გამეკეთებინა და დანის გადაგდებაზე უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე.

საიდანღაც ფიქრები აიშალნენ (არა, კი არ დამვიწყებოდნენ, უბრალოდ, ეძინათ ტვინის რომელიღაც კუთხეში და ვერ გაბედეს გაღვიძება და ჩემი შენუხება).

ევდოკია!

ქვრივი იყო, მაგრამ მაინც ქალწულივით შეღება სისხლით თავისი სარეცელი... მე მიყვარდა ეს ქალი!

(ნატა ბებია, მაპატიე — მე ხომ არ ვიცოდი...)

გივი ექიმი კი თურმე ჰალსტუხით იცნეს, კოპლებიანი ჰალსტუხი იყო, ფონი ლურჯი, კოპლები თეთრი... ერთი სიტყვით, სირიული იყო ჰალსტუხი.

სისხლი, რამდენი სისხლი! რომ მახსენდება, მყუდრო ადგილზე გასვლა და ამონთხევა მინდება, მაგრამ... თავში ამერდამერია ყველაფერი — ბავშვი და დიდი, ქალი და კაცი, საქონელი და პომიდორს შიგნით ჩამალული ცისფერთვალეა სიმპათიური სპილო!

— თქვენ თუ გინახავთ წითელ პომიდორში ჩამალული ცისფერთვალეა სპილო? — გვეკითხება მეგობარი.

— არა! — საერთო პასუხი.

— რას ნახავდით, როდესაც კარგად იმალება! — გვპასუხობს მეგობარი და ჩვენი მიუხვედრელობით გულმოკლულებს თვალს გვიკრავს.

შემდეგ კი იმ კაცმა — მამაჩემმა — სახლში წამიყვანა. დე-
დაჩემმაც კარგად მიმიღო. მალე მოვშინაურდი, შემიყვარდნენ!

(— შვილო, ამ ბოთლის აღებას და მტრისათვის თავში ჩარ-
ტყმას არაფერი უნდა, ამას ყველა შეძლებს. მთავარია, შეგე-
ძლოს მკაცრი პასუხის გაცემა, ამ ბოთლს დადგამ უკანვე,
მაგიდაზე და წარმოთქვამ ამ საოცარ სიტყვებს:

— მოგეტევოს... მოგეტევოს, ძმაო ჩემო!)

...მ ო მ ი ტ ე ვ ე თ!

ეპილოგი

თეთრ ცხენზე ამხედრებული ახალგაზრდა კაცი მიაპობს სივრცეს. ცალ ხელში შუბი უპყრია, ხალში კი ჯვარი (სულ ახლახან არწყია და გათავისუფლებული მსუბუქად გრძნობს თავს).

ხმა ესმის, ვიღაც ეძახის:

— დავით! დავით!

ხმა წინიდანაა, დავით შეჰყურებს და უღიმის... თან ჯვრიან ხელს უქნევს. მამასავით რომ მოიხდის ვალს, იზამს საქმეს, შემდეგ, ძალიან შემდეგ მოადგება ცისარტყელას, შეადგამს ფეხს მასზე და ნელ-ნელა აუყვება მაღლა მიმავალ გზას.

მანამდე კი ჯერ დიდი დროა და დავით არ ჩქარობს.

შორს, სადღაც შორს, სისხლისფერი მზე კვდება და იკარგება, მაგრამ მხედარი არ ღელავს, იცის, რომ დილით იგივე მზე კვლავ მოჰფენს თავის ცხოველმყოფელ სხივებს ღამით შეცივრულ დედამიწას!

...იგივე მზე, მაგრამ უფრო ყვითელი, ნაზი და თბილი!

1976-1980 წწ.
(გამოიცა წიგნად 1990 წელს)

რომანი

აქსე





*„სწორედ საპყრობილეთა, რომელშიაც
ბევრი შენობაა, ბევრი ხვრელი,
ბევრი ჯურღმული,
დანია ერთი უარესი ჯურღმულთაგანია“.*
ჰამლეტი
მოქმედება II, სურათი II

ნაწილი პირველი

I

მას უყვარდა ლამაზი, მშვენიერი, ძალით გათხოვილი ქონების გულისათვის, შავთვალწარბა... უყვარდა. რამდენადაც ის უყვარდა, იმდენად მისი ქმარი ეზიზღებოდა — ძლიერი, გაბერილი, ლაბაზდადებული, თვითკმაყოფილი... მოკლავდა მას, ესოდენ სუსტი და გაუბედავი რომ არ ყოფილიყო. ბოლოს, როცა სიყვარულმა ძალზე შეანუხა, გაბედა რაღაც, იმდენი არაფერი, მაგრამ ყოვლისშემძლე ქმარმა ისე, ყოველი შემთხვევისათვის, მაინც გამოკეტა აქ ის — სუსტი, გაუბედავი...

აქ მისნაირნი ბევრნი იყვნენ. ზოგი სიყვარულს მოეყვანა, უმრავლესობა კი სიძულვილს. აქ ხორცი არ იყო. პატიმრებს ხორცი არ სჭირდებოდათ. წვნიანი. შიგ რაღაც დაცურავს. გაურკვეველი ფერის, ზომის, გამომეტყველების და, რაც მთავარია, გემოსი. შავი, თეთრმოკიდებული პური — ზოგჯერ ეგემრიელებათ კიდევ. პური ჩვენი არსობისა!

„აქ“ შენობაა დიდი. რუხია, საზარელი, რკინის გისოსებით, ხანდახან ხელებსაც რომ გამოატყევ. სეირნობა თვეში ერთხელ, რამდენიმე წუთით. მცველები ფრთხილად არიან: არ გაფრინდეს ვინმე (აკი კიდევ დაფრინავს ადამიანი).

ზოგ პატიმარს აწინაურებენ. თუ კარგად გამოგვის საკანს, უთუოდ აწინაურებენ, უთუოდ. იმ სანწყალსაც უხარია. ძალიან უხარია, ერთის ნაცვლად უკვე ორი დაცურავს იმ წვნიანში — დაიმსახურა!

მათ აქ ამუშავებენ. ზოგი ფაჩუჩებს ქსოვს, ზოგი ქალის ნიფხვებს კერავს. ყველაზე ურჩები აგურების სათრევედ მიჰყავთ. ისიც ჰყავდათ ერთი-ორჯერ. პირველად გაუხარდა, ჰაერს გადავყლაპავო, შემდეგ მაინც უჰაერობა არჩია.

საკანში ქალაღდის თამაშიც შეიძლება. პატიმრები ძირითადად „ოთახის“ დასუფთავებაზე თამაშობენ (წკიპურტებზე თამაში აკრძალულია, ადამიანის ორგანიზმს აზიანებს).

ის მიმჯდარა კუთხეში და ფიქრობს. ფიქრობს სხვაც. ზოგი კი თამაშობს, ზოგი გვის. დედ-მამა, არ იცის, ცოცხლები თუ ჰყავს. მას უყვარს ისინი. უფრო მაინც ის უყვარს — მშვენიერი, ლამაზი... ტირის. ბრილიანტები სცვივა თვალებიდან, იცინის — ბაგეთაგან ვარდის კონა სწყდება, ნაბიჯს ადგამს — კეთილი ვაშლის ხე ამოდის, ცას ახედავს და თავზე ნათელი ადგას... ამიტომაც ჰქვია, ალბათ, ნათელა. სხვა კი? ღამით მადლრები, დილით კი მშივრები. რჯულში სხვანაირადაა.

მაინც სიბინძურეა საშინელი. ყოველდღე ასუფთავებენ საკანს. მაინც სიბინძურეა (კიდეც კარგი — აცრილია!)

სისულელეა ღორს ჩოხა-ახალუხი ჩააცვა, ფრანგთა ენა ასწავლო და იოანე პეტრინი წაუკითხო. უახლოეს ტლაპოს მაინც ვერ ასცდება. უნდა ასწავლო სხვას, უფრო სხვას...

არ მძულხართ, ბინძურო ღორებო, არა, უფრო მეცოდებით. საშობაოდ უნდა დაიკლათ და თქვენი ჭყვიტინი წალეკავს იქაურობასო, ფიქრობს. ვერა და ვერ დაიძინა. მათი ჭყვიტინი წალეკავს იქაურობას.

პირველად იყო. პირველად. ცას ახედა. ცა. საკანს მაინც ბინძური იატაკი აქვს, საოცრად ბინძური იატაკი. მიწა. მიწაც ბინძურია. სიბნელე სუფევს. ეს იატაკის ბრაღია. კეთილი სული ლივლივებს მასზე. როგორც კრუხი შეიფარებს თავის წინილებს ფრთებს ქვეშ... კეთილი სული რომ არ ლივლივებდეს, ყველაფერი დაიქცეოდა.

გისოსს და გისოსს შუა სინათლე მოიპარება. საკანი განათდა. დღეა უკვე. როცა მთლად ბნელა, მაშინ ღამეა. ღამ-ღამობით უჭირს ძილი.

გისოსიან ფანჯარას მიადგა. მყარია ცა. მტკიცე. ლამაზი ცა. ოდესღაც ღმერთმა გამოყო ცა ამ სიბინძურიდან (ნეტარ არს ჩიტი!). ოდესღაც ეს წყეული შენობაც წყლის ქვეშ იყო. წყალმა დაინია. ახლა კი ეს საპყრობილეა.

ოჰო, აი, მზეც გამოჩნდა! თვალს ვერ უსწორებს, მაგრამ მისი აქ ყოფნა მაინც უხარია, ღამითაც ანათებს რაღაც. მას მთვარე ჰქვია სახელად, ამობრწყინდება გარყვნილი დედოფალი თავის მოკაშკაშე ამაღასთან ერთად. დედოფლის მთელი მხედრონი.

ჰმ, ეს რა არის? როგორ გაჩნდა აქ? ფოთოლს იღებს იატაკიდან. საოცარია...

— დღეს სადილად თევზი გვექნება, ძმებო, — ყვირის „მონი-ნავე“ პატიმარი, მას კი ეცინება. ცას შეჰყურებს. ჩიტები თბილ ქვეყნებში მიფრინავენ. ჩიტებს ფრთები აქვთ. მათ ფრენა შეუძლიათ (არ იღლებიან ნეტავი?). მუუ! გარეთ სადღაც ძროხა ებაახება მზეს. ცხოველთაგან ძროხას ყველაზე ჭკვიანი თვალეზი აქვს. ზოგი ამბობს, ცხენსო, მაგრამ არ არის სწორი. ძაღლს! ჰო, ჰო, მარტო ძაღლსა აქვს ძროხაზე ჭკვიანი თვალეზი.

ძაღლი მეგობარია. ვისიი? ის ახლა გაჩნდება, სულ მოკლე ხანში. ადამიანებო, გძულდეთ ერთმანეთი! (სატანას მოწოდება!) აქ ისეთებიც არიან, ვისაც სძულს, მაგრამ მაინც არიან (ზოგი ნამეტანს შვრება).

ნეკნები ასტკივდა. ამათ რაღა მოუვიდათ? ადრე ნეკნებს არასოდეს შეუწუხებია. ექიმბაში გოგონა შემოდის და წამალს აძლევს. ტკივილი გაყურდა. ფეხებს თვალს აყოლებს. გავიდა.

წყალს ასხამს ვარცლში და შიგ იხედება. ასეთი მას, რა თქმა უნდა, არ მოეწონებოდა. ნაღველი შემოაწვება. თმას ივარცხნის ხელით. ხელით ივარცხნის თმას და გაზინტლულ ტანსაცმელს ისწორებს, ახლა არა უშავს. ადამ, ადამ, სად ხარ?

გუშინ საკანი უნდა გამოეგავა, მაგრამ უარი განაცხადა. დღეს, ალაბთ, დასჯიან. აგურებზე გააგზავნიან. სულ მალე. სულ მალე შემოდის და გაჰყავს. აგურები. ექვსნაჩვრეტიანი აგურები. მოწითალო ფერისა. სახედარი შეჰყურებს საჭმელს და სულ წინ-წინ მიდის. სახედრები! ის არასოდეს წავა „წინ“.

როცა უკან ბრუნდება, უკვე მთვარეა ამოსული. ბებერი როსკიპი კვლავ გაუბერავთ. არა, არ მოიყვანს ცოლს.

შენობაში კვლავ ითვლის სართულებს, რამდენიც ზევითაა, ორი იმდენი ქვევითაა. ჯურღმულები.

წლეში მოხრილი დაღლას გრძნობს. მიწვება ახლა და დაიძინებს. დაამუშავეს? ჰო, რა! წვება. ყაყანი ჩაესმის, ვერ იძინებს. კვლავ ქალაქის თამაში. ერთი კიდევ ბარაქიანად იგინება. რამეთუ მდიდარ არს ენა ქართული და ამის საშუალებასაც იძლევა. არც ერთ ენაზე არ შეიძლება ისე აგინო ადამიანს, როგორც ქართულად. ერთი სიამოვნებაა — გულს მოიფხან. ფიქრობს, არ ეძინება. სამაგიეროდ, მოფერებაც და შექებაც საუკეთესოდ გამოდის ქართულად; სადღეგრძელო? უუჰ, შეიძლება გაგიჟდე. დაიჯერო კიდეც. იმზეგრძელე, იდღეგრძელე, ილაღე და გაიხარე. შე ბარაქიანო, დოვლათიანო, ფუძემტკიცე და ჭერმაღალო, სიტყვაკეთილო და გულკეთილო, ტანად საამოვ და მუშტით მაგარო, უღვაშდანწულო და თმაშევერცხლილო, ნვერდანყობილო და სახესანდომიანო, ცოლპატიოსანო და შვილებით გახარებულო, ყოველივე სიკეთით სავსე და ავკარგიანო, სტუმართმოყვარე და თავად პურადო, კარგო მსმელო და მჭამელო... დაიღალა, უფრო დაიღალა. ძილი კი არა და არ მოდის.

საზარელი თხა, რომელიც დაფრინავს. ფრთები არ აქვს, სამაგიეროდ, კბილები... ვარდისფერი წამოსასხამი ჰაერში უფრიალებს. შემდეგ დაეშვება. სალამური აქვს პირში გაჩრილი და რალაც უსიამო ბგერებს გამოაცემინებს.

ჰი-ჰი-ჰი, ჩაიქირქილებს და თვალს უკრავს.

დაიქცა ბაბილონი, დაიქცა!

ისე უყურებს, თითქოს უნიჭო მონაფე იყოს და აი, უკვე მერამდენედ უხსნის გაკვეთლს, მაინც მონყალეა, უღიმის, ცოტა ზევიდან დაჰყურებს, თან თვალს უკრავს.

რომიც დაეცა, მაშ! არ ეშვება.

ალარიხმა დააჩოქა, ჰენზერიხმა გააუპატიურა, ოდოაკრმა კი დაითავისა...

ოჰ, დაიქცეს და დაინგრეს ეს ქვეყანა! დედამინა ორად განიპოს და შიგ ჩაიტანოს ყველა ცოდვისშვილი, მათ შორის, მეც. წვიმის ნაცვლად სისხლი წამოვიდეს ციდან. კაცმა დათესოს და გველი ამოვიდეს. ცოლს მიეკაროს და დრაკონი აშობინოს, შვილმა მშობელი შეჭამოს, დედამ — შვილი თვისი, მამამ

ქალიშვილი გახრწნას, ვაჟს კი დედის თეძოებზე ეჭიროს თვალი. ცეცხლი აგიზგიზდეს და ცაც კი დასწვას მისმა აღმა. წინ, ვაჟკაცებო, წინ! ჩვენს უკან სიცარიელეა!

მზე გადაინვას და ჩამოვარდეს, მთვარე სისხლისფრად შეიღებოს. სამყარო კეთროვანის სხეულივით გაიხრწნას და დაიშალოს. სუნი დატრიალდეს სიკვდილის, საშინელი და აუტანელი სუნი. შმორის, ნაგვის, ლეშის.

მოარული ლეშნი ერთმანეთს ემშვიდობებიან!

მშვიდობით, ჩემო უსაყვარლესო!

მშვიდობით, მშვიდობით, მე თქვენ არასოდეს დაგივინყებთ. გამოთხოვებისას კოცნა. ლოყა ლოყას ეხება, ტუჩი — ტუჩს. დამპალია ხორცი. ერთის ლოყა მეორისას ენებება. ჩირქოვანი ტუჩების ერთმანეთისაგან დაცილება ცჭირს.

მატერია არის ფილოსოფიური კატეგორია იმ... და ა.შ. დამპალი ხორცი კი ვერ აადღლიზეს მეორის ლოყას. უკანასკნელი ძალ-ღონის მოკრება, დიდი თავგანწირვა და ჰა... როგორც იქნა, ეშველათ.

მშვიდობით, ჩემო უსაყვარლესო!

კვლავ გემშვიდობებით, ძვირფასო!

ნერწყვით არის მიწა სავსე. არწყვეს ყველა — დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ბრძენი და შლეგი... მოხუცი, ოთხად მოკეცილი ჯოხიანი ქალი კი ჩამოივლის და თუ თავისთვის რაიმე სასარგებლოს ნახავს ამ ნერწყვში, აიღებს და ჩანთაში ჩადებს, ლიმონის ნაჭერი, თევზის ფხაზე შემორჩენილი ცოტაოდენი ხორცი, მჟავე კიტრი, რომელიც რომელიღაც უბედურს ნაბახუსევზე მიურთმევია და ან აქ დაცურავს სხვადასხვა „პროდუქტებთან“ ერთად. მოხუცი ქალი კი ეძებს და ეძებს.

მაიმუნები სარკეში იპრანჭებიან!

ჩვენა ვართ, რაცა ვართ! ყველაფერი ჩვენი შექმნილია, ყველაფერი. ეს სახლებიც, ციხეებიც, საავადმყოფოებიც, წიგნებიც, გაზეთებიც, ნახატებიც... ყველაფერი ჩვენი შექმნილია. გჯეროდეთ ყველას. აი, როგორები ვართ ჩვენ! ბებერი მაიმუნი სარკეში „პეპელას“ ისწორებს პერანგზე.

გონებამ კი ოპიუმის დიდი დოზა მიიღო და ჩაეძინა.

ვეებერთელა ღამურები დასტრიალებენ თავს და, რა ავნონ, იმას ფიქრობენ. საბრალო მონებო! ესპანელო მონებო!

თქვენივე მამის მკვლელებს ფეხქვეშ გაეგეთ, ცოლების გამბახებელთ ხელები დაუკოცნეთ, ბავშვებით მოვაჭრეებს ხოტბა შეასხით... გეშინოდეთ მაიმუნების! ძრწოდეთ მათ დანახვაზე!

სიბინძურე. ენით აუნერელი სიბინძურე. ავგიას თავლა. ჰერაკლე არ ჩანს.

სამურაებო, მოგინოდებთ ხარაკირისკენ!

ბრბოს ოციოდ ტანმორჩილი ვაჟკაცი გამოეყო. იქვე ნაიდრობენ სამართებლებს და ყველას თვალწინ გულ-მუცელს იჭრიან. აღსრულდა!

მათ საფლავეებზე იები ამოვა.

პატარა ბიჭი და პატარა გოგო გაქცეულან. გაქცეულან ამ სიბინძურიდან. თავი გამოქვაბულისთვის შეუფარებიათ. წინ ზღვაა. გამოვლენ გარეთ, ბანაობენ. შემდეგ გამოქვაბულში შედიან, ცეცხლს აჩაღებენ და სიყვარულს ეძლევიან. ზღვა ნელ-ნელა იღებს ბინძურ ფერს, სულ ცოტა ხანი და ნარწყევი აქამდეც მოაღწევს. ეს მათ იციან. ამიტომაც არის, რომ რაც შეიძლება ბევრს ეფერებიან და კოცნიან ერთურთს. სიკვდილმა ისინი კი არ უნდა ნაიყვანოს, არამედ ის — ერთი, ერთიანი, შერწყმული და სიყვარულის ძალით გაგიჟებულნი და გახელებულნი, სიკვდილზე რომ არ ფიქრობენ და მისთვის რომ არ სცალიათ... მაშინ, სწორედ მაშინ! ის!

ყველაფერი კი დაიქცევა. დაიქცევა და დაინგრევა ძალიან მალე, ძალიან სწრაფად. მონებო. საბრალო მონებო.

თხა, როგორც იქნა, მონოლოგს ამთავრებს. ჰი, ჰი, უცინის და თვალს უკრავს. უცინის. თან თვალს უკრავს. მე კიდევ გნახავ, ეუბნება და მიფრინავს. მისი მოსასხამი ლამაზ მოძრაობებს აკეთებს ცაში. ის კიდევ მოვა. უთუოდ მოვა.

რას შვრებით, ჯეელებო?

გოდოლს ვაშენებთ!

რისთვის?

ზევით რა არის, უნდა ვნახოთ!

მერედა ფურთხით და ძვლებით აგებთ?

სხვა მასალა არ გვაქვს!

უთავო მხედარი. მოდის. კბილებამდე შეიარაღებული. წითურ ცხენს მოაჭენებს. კარგად არის ჩაცმული. თავი არ აქვს მხოლოდ, რათა დახოცონ ერთმანეთი.

„ახალ ტყეში“ განგმირეს ვილჰელმ ნითური. ჰენრი გახდა მეფე. ჭადრაკის დაფის პალატა. ე-2, ე-4, პირველად ყველა ამ სვლას აკეთებს.

თენდება. ნელა თენდება. წყეულიმც იყოს ღამე. კომმარე-ბით და მოჩვენებებით აღსავსე ღამე. უძილო ღამე.

როდემდე უნდა ისხდნენ სახედრები ადამიანთა კისერზე?

ორი ტლანქი ფიგურა, ყურებპარტყუნა. ორნი კიდევ მოკუნ-ჭულან და ძლივსლა უძლებენ სიმძიმეს.

მოთმინება გმართებს, ძმაო ჩემო, რამეთუ მოთმინებითა ხარ ძლიერი. ნეტარ არიან მშვიდნი. ცოტაც, სულ ცოტაც ათ-რიე ეს ტვირთი და შემდეგ თავისით, უსაქმურობით დაღლილი დაენარცხება ძირს.

სიმახინჯე კი კვლავ სარკეში იცქირება. გონებას სძინავს, სიკეთემ დაგვტოვა, პატიოსნება ჩამოახრჩვეს, სიყვარული მთაში მოკლული ჯიხვის მწვადისა არსებობს მხოლოდ. ცე-ცხლზე აშიშხინებული, გემრიელი. რქით კი ღვინო ჩავისხათ. დაუსხით გარგანტუას!

სიმახინჯე, ამალით გარშემორტყმული, სარკეში ტკბება თავისი გამოსახულებით. მისი ამალა: მლიქვნელობა, ცბიერე-ბა, უიმედობა, სიძულვილი, ბედს შერიგებული ექსსილამაზე, ლალატი, სიძვა და და-ძმა მათნი.

უფ, უფ, აღტაცების შეძახილები, ქების სიტყვები; რა კარგად გამოიყურებით, თქვენო ბრწყინვალეზავ, რა ლამაზი ხართ...

სიმახინჯე კი იფერებს ყოველივე ამას და კმაყოფილი ილ-იმება. სიმახინჯე იფერებს და ილიმება. თხელი, ყურებამდე ახლერილი ტუჩები ილიმებიან. სიღრმეში მოციმციმე ორი მოძ-რავი და სწრაფი ბურთი აქეთ-იქით გარბი-გამორბის.

ოთხი ეშმა ქალის სამოსით. დიდი აღმოსავლური ხალიჩა თემურის გამოსახულებით. ააგდებენ კაცს — დაიჭერენ, ააგდე-ბენ — დაიჭერენ. კაცი უკვე ბედს შერიგებულია. რატომღაც ჰგონია, რომ ხალიჩას არ ასცდება. ააგდებენ — დაიჭერენ.

ვითამაშოთ! ვითამაშოთ! ვითამაშოთ!

თამარ-ქალი მოჰყავთ, მოჰყავთ თვალახვეული. სიმახინჯე ხალხში შერეულა და შორიდან ტკბება საცოლის სილამაზით. მაშხალები. ქუჩებში ღვინო იღვრება. ვირთხები მთვრალები დადიან. ტარაკნები დაიხრჩვენ.

ავხადოთ თვალსაფარი? არა, ჯერ არა გინდათ! მე ავხდი, თავად მე, იქ, სარეცელში!

ლამაზი გოგონა კი მიდის წინ. არ კი იცის, რა არის „წინ“. საზეიმო პროცესია უკან მიჰყვება. ნეფე-დედოფალს გაუმარჯოს! გაუ...

მზე კი უკვე ციხის სახურავზე დადგა და იქიდან ანათებს ქვეყნიერებას. სახურავი საშინლად ცხელია. პატიმრებსაც დასცხათ.

სატურნი ჭამს თავის შვილებს! ჭამს საოცარი გატაცებით. მას უყვარს საერთოდ ხორცი. ძალიან უყვარს. უფრო საკუთარი ხორცი უყვარს და აჰა, ჭამს კიდეც. დედის თავგანწირული კივილი სადღაც შორს, ქალაქის მიღმა იმალება. ის კი ჭამს შვილებს. ზოგს თავი მოაწყვიტა, ზოგის ჭამაც ხელ-ფეხიდან დაიწყო. მას სიამოვნებს ეს. თან სტკივა საკუთარი შვილი, თან სიამოვნებს. ძვლების ტკაცანი გრძნეულთა მელოდიად ჩაესმის ყურში. ის, საერთოდ, მუსიკალურია.

სისხლში ცურავს მთელი ქვეყანა. არ გვინდა ასეთი მშვიდობა. გეშინოდეთ მშვიდობის. რომს ომი უნდა. რომი ხელს არ მოაწერს სამარცხვინო მშვიდობაზე, შესწირეთ მარსს მსხვერპლი. მარსს სისხლიანი მსხვერპლი ესაჭიროება.

ჩამოჰკრა საათმა!

დადგა დრო. ჟამი არს... არ გვინდა პური და სანახაობა. პური და სანახაობა მოგვებურდა. გლადიატორთა უტვინოდ და უგულოდ დანთხეული სისხლი. ნინო შენობაშია.

თავადებმა გვიღალატეს, მეფეო!

ვინ გვიღალატა?

ჯანდიერმა, ამილახვარმა, ამირეჯიბმა, ერისთავმა, დადემქელიანმა, ჯაყელმა, ფალავანდიშვილმა, დადიანმა, გურიელმა, ლორთქიფანიძემ, ჩხეიძემ.

ვინლა დარჩა?

მე, მეფეო, და მე გლალატობ!

დამშვიდდი, მე ვლალატობ, თავადო, მეფე შენი!..

ჩამოჰკრა საათმა!

გლახებისათვის ყველაფერი სულ ერთია. მთავარია, მინა ჰქონდეთ. მინა ყველას სჭირდება. საბოლოო ნავსაყუდელი. დამარხვა გვინდა. ყველას გვინდა მინა. შავი მინა. მინა ხარ და მინად იქეც.

ჩამოჰკრა საათმა!

ყველა ქუჩაში. გერმანული რეფორმაცია. ზოგს ფინალი უჭირავს ხელში, ზოგს — ხანჯალი. არა კაცს ჰკლა. ქუჩის სენტიმენტალური მოჩხუბარი: მას ურტყამენ, თვითონ არ ურტყამს. ბავშვობიდან არ უყვარს, როცა ვინმეს სცემს. ბოლოს, დაღლილი მონინალმდეგე ძირს ვარდება და ისევ ამას, ნაცემს და ნაბეგვს, უწევინ ხელს. იმ ხელს, რომელი ხელიც მეტოქის ნინალმდეგ არ გაუნძრევია. ვიქტორია!

ინყება სამუშაო დღე. დღეს ფაჩუჩები უნდა ქსოვოს. კობტა და ლამაზი ფაჩუჩები. შემდეგ პატარა მაიმუნები ატარებენ ამ ფაჩუჩებს. მათი დედიკოებისათვის კი ნიფხვებს კერავენ. აქვე, მის გვერდით.

არა, ამ მზის გაძლება უკვე შეუძლებელია. ასეთ აუტანელ პირობებში, ალბათ, პირუტყვიც არა ჰყავთ. ბოლოს და ბოლოს, მათ საქმეს აკეთებს. ცხელა, ძალიან ცხელა. მოთმინება და სიმშვიდე. მხოლოდ და მხოლოდ მოთმინება. ნათელა! ეეჰ!

არა, მაინც უნდა მოითმინოს. სხვა გამოსავალი არა აქვს. მაშინ დაიღუპება. ასე შეიძლება გადარჩეს. მთავარი ახლა გადარჩენაა. ახლა მთავარია, გადარჩეს.

მშვიდობა თქვენდა, ძმანო და დანო ჩემნო. გძულდეთ ომი და გეშინოდეთ მშვიდობის. მაინც მშვიდობა თქვენდა.

საფრანგეთი იღუპება, ორლენელო ქალწულო!

დიდი კოცონი. აუტოდაფე. დავნვათ ნიგნები. დავნვათ ყველა ნიგნი. მონას კუნთები უნდა ჰქონდეს ძლიერი. მის ნაცვლად სხვა იაზროვნებს და იფიქრებს.

ფაჩუჩები ვქსოვოთ!

ერთი მაღალი და გამხდარი ფიგურა გასაცოდავებულ ცხენზე. ერთიც მსუქანი, პუნტულა და ჩაგოდრებული. სახედრის ზურგს მისი ღიპი ისე შეზრდია, რომ ერთი სხეულის ერთი ნაწილი გეგონება. ვებრძოლოთ ქარის წისქვილებს! უაზრობაა! ჭკვიანი, დინჯი და უიმედო ადამიანი.

არ არის უაზრობა! საფრანგეთს შველა სჭირდება და ამას ვიქმ მე, ღვთით მოვლენილი უმანკო გლეხის გოგო. სიძულვილი ცივისსხლიანებს!

მთვრალი მუსიკა მის გონებაში საოცრად ტბილად გაისმის. მას ესმის მხოლოდ. თან ესმის, თან ქსოვს, ფაჩუჩებს ქსოვს მამაკაცი.

სხვას არ ესმის. ეს მუსიკა მხოლოდ მისია, მას ვერავინ ნაართმევს (გაუმარჯოს მილიარდობით კეთილ უჯრედს!).

საშინელი გრიგალი გადაიქროლებს. ციხის გისოსებს შეასკდება, უკან დაიხევს და დამარცხებული გვერდს აუვლის. შიგნიდან, პატიმრებო! ქლიბი არ გვაქვს! თავის მართლება ყველას შეუძლია.

მის გონებაში მნიფდება აზრი. სულ მალე ვილაც უნდა დაიბადოს. დაახლოებით იცის, როგორი უნდა დაიბადოს. მასავით კეთილი, მაგრამ მისგან განსხვავებით, ძლიერი. გონებაში ამოტივტივდა სიტყვა ეგვიპტე! მოყვარული. ჟამთა სიავეს (თუ სიკარგეს?) გადაუსროლია მისი წინაპრები იმ ქვეყანაში. ის კი, ვინც ახლა უნდა დაიბადოს, დაბრუნდება, წამოიყვანს იმ ბოროტ ქვეყნიდან ყველა მისიანს და დასახლდება აქ.

... და ვაი, მას, ვინც ხელს შეუშლის ამ საქმეში!

სულ ცოტა ხანი და ეგვიპტის მიყრუებულ სოფელში, სადაც მამაკაცის ხმა იშვიათად თუ გაისმის, სადაც ძაღლებიც კი დამნუხრებულან და სამშობლოზე ფიქრობენ, ერთ ღარიბ ებრაულ ქოხში დაიბადა ბიჭი, ბუთხუზა, ცისფერთვალეა ლამაზი ბიჭი...

მის გონებაში უკვე სახელიც გამოჩნდა იმ რჩეულისა, რომელიც სადაცაა შემოდგამს ფეხს ამ ცხოვრებაში. შემოდგამს ფეხს ღნავილით, ტირილით. ფეხებგადაფლამული დედის საშოდან ჯერ თავს გამოჰყოფს, ჯერ კიდევ ბრმა თვალებს მოავლებს ლტაკ ქოხს, სადაც ყოველი უბრალო ნივთი სამშობლოს სიყვარულით არის გაჟღენთილი. თავს შემდეგ ტანს გამოაყოლებს და ვილაცის მოყვარულ ხელებში ნებივრად განვება. ერთს გაიზმორება, გემრიელად დაამთქნარებს და პანუა ხელებს გაშლის.

ბიჭია, ბიჭი. შიშნარევი სიხარული ახლავს ამ სიტყვებს. ულოცავენ, თან ჩუმად. რაღაცის ეშინიათ. სიხარულის დამალვას მაინც ვერ ახერხებენ (აბა, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუნყვეტია!).

მან კი ყველაფერი იცის, თუ ამის შემდეგ რაღა იქნება. ზის საპყრობილეში, ოთხკედელშუა გამომწყვდეული, მაგრამ ბევრს გარეთ მყოფზე მეტი გაეგება და მეტსაც ხედავს. იმ პატარის მშობლებმაც კი არ იციან, ჯერ რას დაარქმევენ ბავშვს და, საერთოდ, გოგო იქნება თუ ბიჭი? მათ არც ის იციან, ცოცხალი დაიბადება თუ არა ბავშვი.

მან კი იცის, რაც ღმერთმა იცის, მხოლოდ მან იცის, და იცის თავად ღვთისაგან. იცის ის, რომ დაიბადება ბიჭი, რომლის მომავალი და საქციელი ადრევეა განსაზღვრული. მისი სახელიც კი წინ უსწრებს მის დაბადებას.

აი, ის ჯერ კიდევ არ დაბადებულა, საბრალო პატიმარი კი უკვე იმედით იმეორებს გულში მის სახელს:

მოსე! მოსე! მოსე!

II

„აჰა, ნათესავი ძეთა ისრაელისა მრავალ არს უფროის ჩვენისა. ბოროტი ვუყოთ მათ, რათა განმრავლდნენ და შეერთდნენ მტერთა ჩვენთა ბრძოლასა შინა და ეგრეთ განვიდენ ქვეყნით ჩვენით“.

მონებო, საწყალო მონებო, გეყოთ განცხრომა! თქვენ თიხა უნდა ზილოთ და აგურები გამოწვავთ, ჭამა არა, სმა არა, მხოლოდ იმდენი, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ არ ჩაძაღდეთ.

წკეპლები მათ! ვინმე ზარმაცობს? არ მუშაობს? სიკვდილი მას! დილიდან ღამემდე, ყოველდღე, შეუსვენებლივ — მუშაობა! მონა ამისთვის არის გაჩენილი.

საბრალონიც მუშაობენ, პირუტყვებივით ცხოვრობენ, მოთმინებით იტანენ ცემას, სიცივეს, შიმშილს, წყურვილს, რჯულისა და ენის შეგინებას.

მშვირები დაეგდებიან ღამით თივაზე, რომელიც მათ საწოლის მაგივრობას უწევს. დილით ამდგარნი შიშით შესცქერიან ახალი დღის დაწყებას. უიმედობა. გაურკვეველობა. ბურუსი.

მაინც მრავლდებიან. მონები ეთქმით, მაგრამ მაინც ცხოვრობენსავით. ჯერ არ გადაშენებულან, არ გადაჯიშებულან, მტრის ენაზე არ დაუნყიათ საუბარი. უცხო ტომის ქალს გაურბიან. თავიანთი მოჰყავთ ცოლად, ებრაელი. თავისდაუნებურად იბრძვიან, იბრძვიან ყველასთან, უპირველესად ყოვლისა, საკუთარ თავთან. ებრძვიან შიშს. იმ თანდაყოლილ საზიზღარ შიშს, რომელიც გაჩენისთანავე გაუფხდათ სულსა და ხორცში. ებრძვიან, მაგრამ მარცხდებიან — მაინც ეშინიათ, მაინც ვერ იღებენ ხმას, ვერ იმაღლებენ. ეშინიათ, რომ ესეც არ დაკარგონ — რაც აქვთ. მონები ჰქვიათ, მაგრამ სიცოცხლე რომ გააჩნი-

ათ, ხანდახან კუჭის ამოვსებასაც ახერხებენ, საშინლად დაღლილნი, ღამღამობით. გათენებამდე, საკუთარი ძალის ხარჯზე მაინც ახერხებენ ცოლთან მოსიყვარულებას, დილით კი ნახევრად მშიერი, მაგრამ მაინც შვილების მზერას აწყდებიან.

ამასაც არა უშავს, ნეტამც, ეს მაინც არ დაკარგონ და, ჯანდაბას; დე, ერქვათ მონები! დე, იცხოვრონ პირუტყვებით, სულ არაობას მაინც სჯობია.

იცდიან. იცდიან დიდხანს, მოთმინებით. რისთვის იცდიან ან ვის ელოდებიან, არ კი იციან, მაგრამ მაინც იცდიან. იცდიან მთელი სიცოცხლე, მთელი მონური ცხოვრება, ხოლო სიკვდილის მოახლოებას რომ იგრძნობენ, ამ მოლოდინს შვილებს გადასცემენ... და ისინიც იცდიან მანამ, სანამ მათ მიერ დავინყებულები მაღალი ღმერთი მათაც არ მოუხმობს სულთა საუფლოში. მხოლოდ მაშინ ახსენდებათ ღმერთი, აბრაამის სახეც მაშინ ამოტივტივდება მათ მეხსიერებაში და ბოლოს, სიცოცხლის ბოლოს, როდესაც უზენაესი მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარდგნენ, ინანიებენ ყველაფერს.

ინანიებენ, რომ ღმერთმა ხელები მისცათ, მაგრამ ეს ხელები სხვისთვის აქნის; ინანიებენ, რომ ღვთისგან ბოძებული ენით მხოლოდ ღვთის მაგინებელი სიტყვები გადმოანთხიეს; ინანიებენ, რომ ფეხები, ძლიერი და დაკუნთული ფეხები მხოლოდ გასაქცევად ან დასაჩოქად ჰქონდათ და ყურები, რომელიც ღმერთმა ბუნების და სამყაროს სულის მოსასმენად უბოძა, გამოიყენეს იმისათვის, რომ ესმინათ სატანის ნაშიერი ეგვიპტელი მბრძანებლის შეურაცხმყოფელი სიტყვები.

მაგრამ გვიანდაა, უკვე სიკვდილიც მოახლოვდა. შვილს კი ანდერძად კვლავ მოლოდინს უტოვებს და არა იმ ჭეშმარიტებას, რომელიც სულ ახლახან აღმოაჩინა... და არის ასე, ისტორია გრძელდება და მეორდება, ებრაელები კი ცხოვრობენ ეგვიპტის დაწყველილ მიწაზე. ებრაელი მონის სინონიმად იქცა, ისინი კი ყურებსაც არ იპარტყუნებენ — ემინიან, ძალზე ემინიან, მტერი ძლიერია, ებრაელობა კი ჭკვიანი და ფხიზელი, ლოგიკურად მსჯელობს: აბა, ასეთ მტერთან ბრძოლა როგორ შეიძლება. სჯობს მონობა, გაცილებით სჯობს.

ისიც ასეთია — პატიმარი. გრძნობს მას და რცხვენია. მასაც მონობა ურჩევნია და ისიც ელოდება, ელოდება ოღონდ მას,

ვის სახელსაც იმეორებდა გულში ცოტა ხნის წინ. დანარჩენი ფაჩუჩებს ქსოვენ, ზოგიც ნიფხვებს კერავს. მას კი თვალეები დაუხუჭავს და ეგვიპტის ამბებს უცქერს.

აი, ფარაონმა უკვე ბებიაქალები დაიბარა და უბრძანა, ყველა ახალშობილი ებრაელი მამრი მოაკვდინონ. პატიმარმა უკვე იცის, რომ ქალები შეასრულებენ ფარაონის ბრძანებას და მშვიდადაა. ებრაელთა პირმშობი ჯერჯერობით განსაცდელი არ ემუქრებათ. ფარაონმა ეს არ უნყის და როდესაც გაიგებს, სიმშვიდის ნაცვლად სიმმაგე დაეუფლება. გიჟსა ჰგავს, იმუქრება. პირზე დუჟი ადგას, თვალეები გადმოუკარკლავს და მუშტებს იქნევს.

შემდეგ ჯალათებს უხმობს და უბრძანებს, ის გააკეთონ, რისი გაკეთებაც ვერ ან არ შეძლეს ბებიაქალებმა. მონები არიან, მაგრამ სწრაფად მრავლდებიან, ერთხელაც რომ ამათშიც გაიღვიძოს მიძინებულმა გრძნობამ, მერე რაღა ქნას ფარაონმა? არა, უმჯობესია, განყდნენ. დაუხოცეთ ახალშობილი ვაჟები!

ებრაელობა გმინავს. ღმერთი არ ეხმარება მათ, რადგან ხშირად უგმიათ და ახლაც აგინებენ მას ებრაელები. ან, განსაკუთრებით, რამეთუ ხედავენ ყრმა ვაჟს, ოჯახის იმედს, მახვილით განგმირულს. ღმერთს უმადურები არ უყვარს, ემსგავსეთ იობს და ათკეც აგინაზღაურდებათ. ებრაელობას კი არ სურს, იობს ემსგავსოს. ფარაონის მოხელეთ და ჯალათთ ვერ უბედავენ გინებას და ისევ და ისევ შემოქმედს თათხავენ და კიცხავენ. არ უნყიან კი საბრალოებმა, რომ მათი თათხვა, აი, იმ ღობეს ვერ გასცდება, რამეთუ ჭიანჭველა მზეს ვერ შესწვდება, ხოლო პატარა შვილის შენაფურთხს მამა ხუმრობად ან უზრდელობად მიიღებს და დატუქსავს მხოლოდ. არც ის იციან ებრაელებმა, ან არ უნდათ იცოდნენ, რომ რაგინდ უძლები იყვნენ, ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მოინანიონ გულწრფელად, და ზეციური მამა მათ გულში ჩაიკრავს და დაუდევრობას და უზრდელობასაც მიუტყევენ, რამეთუ კეთილ არს და გულმონყალე.

მაგრამ, არა! ებრაელები ცოდვას ცოდვას უმატებენ და ემატება სისხლს სისხლი, ტირილს ტირილი, პროტესტს კი კვლავ მხოლოდ ღმერთს უბედავენ, რამეთუ ძალზე შორს ჰგონიათ იგი.

იმ პატარა ქოხში კი უკვე იშვა პატარა ბიჭი — ლამაზი, ჯანსაღი, ღონიერი. ის არის მოსე. სწორედ მას დააკისრა უფალმა

დიდი მისია... მაგრამ რა ხდება? ხმაური ისმის. ეტყობა, ბავშვის ღნავილი მოხელეთაც გაიგეს და ან სახლში შემოსვლას ლამობენ. გამწარებული და ახალი ნალოგინები დედა შვილს იხუტებს და სახლის ერთ ბნელ კუნჭულში მალავს.

გადარჩნენ, მგონი, გადარჩნენ...

როდემდე შეიძლება დამალვა? როდემდე შეიძლება, ბავშვს ქურდულად ანოვო ძუძუ?! როდემდე უნდა აფარო ატირებულს პირზე ხელი, რომ ვინმემ არ გაიგოს? თან ბავშვი სწრაფად იზრდება, ქართული ზღაპრის არ იყოს, სამი თვის უკვე სამი წლისას ჰგავს.

...დაბოლოს, სარისკო გადაწყვეტილება! დედა კვლავ უარზეა, მაგრამ ბოლოს მასაც ითანხმებენ და არწმუნებენ თავიანთ სიმართლეში.

— შე ძაღლისშვილო, შენა, — ხმაური ისმის, ჩოჩქოლი. პატიმარი თვალებს ახელს, ვიღაცა ვიღაცას ურტყამს. ვიღაცეებიც აშველებენ. არა, შეეშალა, კი არ აშველებენ, არამედ ნაქცეულს წიხლს უმატებენ. ნაქცეულს ცემა სჭირდება, „ძაღლისშვილი“ კი სისხლში წევს და ხმის ამოღების თავი არ აქვს. მხოლოდ თვალებით, განითლებული და ჩალურჯებული თვალებით შესთხოვს, ემუქრება...

შემოდის მედილეგე. ყველა უცებ დაწყნარდა, ვითომ არაფერია, ნაცემი გარეთ გაჰყავთ. დიდი რკინის კარი იხურება, შემდეგ გასაღების გადატრიალების ხმა ისმის, ჯერჯერობით არავინ დაუსჯიათ.

ნილოსის ტალღებზე მოციმციმე კალათა კი ფარაონის ასულმა უკვე დალანდა. მსახურთ უბრძანა, წელიდან გამოეტანათ.

კალათა ფისით არის ამოლესილი. ინტერესით აცლიან ფისის საფარველს. ბავშვი, დიახ, ბავშვი. ფარაონის ასული სიყვარულით დასცქერის ლამაზ პატარას, რომელიც ტუჩებს სასაცილოდ აცმაცუნებს. ებრაელიაო, ფიქრობს ფარაონის ასული და ბავშვი ხელში აჰყავს. წამით ყოყმანობს, შემდეგ კვლავ ბავშვს დახედავს. ბავშვმა გაუცინა და ყოყმანსაც ბოლო მოეღო. თმაზე უსვამს ხელს და ეალერსება. ამას ძიძა სჭირდებაო, ფიქრობს. შორიახლო ვიღაც უცნობი ქალი დგას. ფარაონის ასული მიეახლება და სამსახურს შესთავაზებს... ამ ბავშვს მე გაგიზრდიო. უცნობ ქალს აკვირდება და გულში იცინის. გამოიცნო. მიხვდა, ყველაფერს მიხვდა. ამიერიდან ეს ბავშვი

სასახლეში იცხოვრებს, მისი ძიძა კი, აი, ეს იქნება. უცნობი ქალი მადლობის ნიშნად თავს ხრის. ის მარიამია, მოსეს უფროსი და. ისიც მიხვდა, რომ დიდებულმა ქალბატონმა გამოიცნო მათი ჩანაფიქრი. გუნებაში აქებს და ადიდება დიდსულოვან ასულს ზვიადი ფარაონისას.

პატარა მოსეს მდიდრულად მოსავენ და „ძიძასთან“ ერთად სასახლეში მიჰყავთ, აი, ბედის ირონია: ბავშვს, რომელსაც ფარაონისგან სიკვდილი ელოდა, იმავე ფარაონის სასახლეში ბრწყინვალე მომავალი და დიდებული აღზრდა ელის. გონება კვლავ არ მუშაობს. დროა, მორჩეს ფიქრს და ორიოდ ფაჩუჩი მაინც მოქსოვოს, თორემ აგურებზე წაათრევენ. მოელის, ხვალინდელ დღეს და-ძმა მშვიდად და ბედნიერად შეხვედება.

თურმე რაც უნდა დაამავონ, აგურებზე მაინც არ წაიყვანენ (იმიტომ არ დასაჯეს არავინ იმ საწყლის ცემის შემდეგ). დღეს კიდევ ერთი გაფრენილა და ციხის უფროსს მთლად დაუკარგავს წონასწორობა. იგინებოდა, ყველას დასჯით ემუქრებოდა. მედილეგებმაც დანარჩენზე იყარეს ჯავრი და სასეირნოდ აღარ გაიყვანეს. არც არასდროს წაგიყვანთო. აგურების დანახვა და მათი თრევაც მოენატრებათ.

მერე გაიგეს, ციხის უფროსი მიწასთან გაუსწორებიათ. მასაც დაემუქრნენ. სამი შვილის მამა ძნელია ულუკმაპუროდ დარჩეს. ქვეშევრდომებზე იყარა ჯავრი.

არავის აღარ აქვს სურვილი, დაასუფთაოს საკანი. სიბინძურეში იხრჩობიან. ახლა, ალბათ საჭმლის ულუფას შეუმცირებენ და ასე აიძულებენ. ფაჩუჩებს მაინც ქსოვენ, ძველებურად.

გაფუჭებულები. შვილიშვილმა ბებია გააუპატიურა. მამამ კი შვილი ფეხებით ჩამოკიდა. ასო-ასო აჭრა და მარილი დააყარა, როგორ გაბედეო, დედაჩემზეო, ასეთი რამეო, შე ასეთოო და ა.შ. არადა, ასეთი მამა ბევრმა გაამართლა (შვილის გამართლებამდე ჯერ არ მისულან). ორთავე ჭირს წაუღია. დამპალი საზოგადოების დამპალი შვილები. ნუ ემონებით კერპთ! ბაალის მსახურნი. ყველა ჭირს წაუღია. თხა ჯერ არ მოფრენილა. არადა, ძალზე მოენატრა. მართალია, სასაცილოა, ცოტათი ეშინია კიდევ, მაგრამ მაინც სურს მისი ნახვა — საინტერესოდ ლაპარაკობს, ოღონდ ცოტა ბოღმით. სიმართლეს ბოროტეზაგარეულ სიმართლეს.

გადის წლები. მოსე იზრდება და ვაჟკაცდება. სასახლე ეგვიპტელად ზრდის. ეგვიპტურად მოსავენ, ეგვიპტურად ასწავლიან საუბარს. ქურუმებთან დაჰყავთ განსასწავლად. ის ყურადღებით უსმენს ქურუმებს, მათ ხომ ნაოჭები აქვთ შუბლზე. ნაოჭი კი დიდი ჭკუის ნიშანია. გარყვნილებასაც ყრმობიდან შეეჩვია. აი, ჯერ თექვსმეტი წლისაა, მაგრამ ქალის სხეულს მშვენივრად იცნობს. სასახლეში, ალბათ, დიაცი არ დადის, მოსესთან რომ არ გაეთიოს ღამე. ღამაზი ბიჭია, მაღალი, ძლიერი. ყველას უყვარს.

როგორც წესი, ღამლამობით მოდიან. კი არ მოდიან, მოიპარებიან, ხშირად უკანაც იხედებიან — ეშინიათ უცხო თვალის. ქმარს გრძელი ხელი აქვს — არ აპატიებს. არც მზისდარი ფარაონი დარჩება კმაყოფილი, სასახლის უბრწყინვალესი ქალბატონის გარყვნილების ამბავი რომ გაიგოს.

მოსვლამდე სასახლის აბანოში განიბანება, მკერდს მცენარეული ზეთით დაიზელს, ბაგეს თხლად იღებავს, ლოყებსაც ინითლებს და შემდეგ მოიპარება, როგორც ქურდი.

სამჯერ დააკაკუნებს კარზე. ეს ნიშანია. ეთიოპიელი მონა კარს აღებს და ჩუმად შეუძღვება ქალბატონს საძილე ოთახში. იქ მოსეა, რომელიც მკერდში იკრავს საყვარელს, შემდეგ საწოლზე აგორებს და დილამდე ეძლევიან გარყვნილებას.

დილით მონას ტკბილი სასმელი შემოაქვს, რომელიც გონებას ბანგავს. მოსე ცაში დაფრინავს, ხედავს მოჩვენებას. ყველაფერი ადვილი ეჩვენება — ის ხომ ყოველისშემძლეა!

შემდეგ სიფხიზლე. ახალგაღვიძებულის უსიამო გრძნობა. მიწაზე დაბრუნება. ყველა ადვილად გადასაწყვეტი საკითხი ათმაგად რთული აღმოჩნდა.

ასე გარბიან დღეები. მოსეს აღარც კი უნდა, რომ ახსოვდეს ებრაელობა, მაგრამ ამის საშუალებას არ აძლევენ. მისი და პატარაობიდანვე ებრაელად ზრდიდა, აქ დედა მოდის და ახსენებს, რომ მონათ ერის შვილია. დედა ტირის და მწუხარებს — მის შვილს არა აქვს უფლება, იყოს ბედნიერი, როდესაც მისი მშობელი ხალხი უბედურია.

მოსეს კი არ სურს, იყოს უბედური, არ სჭირდება მონათა მოდგმა. ის ეგვიპტელია. სასახლეში გაზრდილი ბრწყინვალე არის-

ტოკრატი. ის ვერ გაცვლის პირმშვენიერი ეგვიპტელის ბანოვანის რბილ მკერდს ებრაელის მძიმე ტვირთში — მას არ სურს ეს.

ეს სიმდიდრე ხომ მისია. ეს უამრავი აბანო თუ საზაფხულო სასახლე ხომ მას ეკუთვნის, ძღვევამოსილი ფარაონის ასულის უსაყვარლეს შვილობილს. განა ფარაონი არ უწოდებს მას „შვილოს“ და არ ეფერება? განა კარისკაცი და დიდმოხელენი არ თრთიან მის დანახვაზე და არ კანკალებენ? ამ „ღლაპს“ განა არ შეუძლია ყოველი მათგანი უდაბნოში გადაკარგოს და სიცოცხლე წაართვას?

არა, მოსე ამ ცხოვრებას არ გაცვლის სხვა ცხოვრებაში, არ გარდაიქმნება. ტყუილად ირჯება დედამისი; სულ ტყუილად უხსენებს აბრაამისა თუ იაკობის სახელებს... ებრაელთა ღმერთიც უცხოა მისთვის და მიუღებელი. არ სჯერა მას ამ ღმერთის, არ უხილავს თვალთ და, ალბათ, ვერც იხილავს, რადგან... არ არსებობს. დიაც, არ არსებობს, როგორ შეიძლება იხილო...

თუმც ხანდახან შემოაწვება ნაღველი. რატომ? თავად არ უწყის, რატომ, თავისდაუნებურად, ებრაელობა ახსენდება, წარმოსახვით მათ ყოველდღიურ ცხოვრებასაც თვალს ადევნებს, მაგრამ სულ მალე აიძულებს თავს და სხვა რამეზე ფიქრობს... ხოლო მაშინ, როდესაც ფარაონის ქოშს კოცნის, საბოლოოდ ავიწყდება მონური წარმომავლობა, უფრო მტკიცედ სჯერა, რომ მართლაც ეგვიპტელია და არაფერი საერთო არა აქვს სუნიან ებრაელობასთან.

ოცდაშვიდი წლისა უკვე ფარაონის სასახლის გამგებლად ინიშნება და მის სიხარულს საზღვარი აღარ აქვს. თავმომწონედ დადის, სალამს წყალობასავით იშვიათად იმეტებს, საყვარლებისა და მეშურნეების რიცხვსაც თავისდაუნებურად იმრავლებს.

ხანდახან, ქუჩაში ტახტრევანით მოსეირნეს, ერთი და იგივე კაცის სახე ხვდება. სახე დაღარული, მცხუნვარე მზისაგან გამავებული, სიცოცხლეჩამქრალი გამოხედვა. მონობას შეჩვეული სიკვდილის გამოხედვა.

მოსეს დანახვაზე ის ჩერდება და დიდხანს, დაშტერებით უყურებს მას... და ასე ყოველთვის. მონა ებრაელია, იცის ეს მოსემ, მაგრამ მისგან რა უნდა, ნუთუ მას არა აქვს უფლება, იყოს ბედნიერი, იცხოვროს ტკბილად? ნუთუ ის მონა გაიხარებს, რომ მოსე მის ბედში ჩავარდეს, ნუთუ შეიცვლება ამით რამე?

სახე კი შეჰყურებს. შეჰყურებს დანანებით, მორჩილად, ოდნავი ზიზლით, თითქოსდა მოსე იყოს მონა და იმსახურებდეს ზიზლიან გამოხედვას. ერთხელ მოწყალება გაიღო და მისცა ორიოდ მონეტა.

გმადლობთო, მონამ თავი ჩაღუნა, ერთხანს იყო ასე, შემდეგ კვლავ მოსეს ახედა, ცრემლიანი თვალები შეანათა, თხელი ტუჩები ბრაზით აუცახცახდა, ჯერ ყოყმანობდა, შემდეგ კი გაბედა და მონეტები უკანვე მიუყარა... მოსემ ხმლიანი მცველები შეაჩერა და არ მოაკვლევინა უმადური.

ესეც ასე. აი, როგორ იცვიან სიკეთის დანახვა. აი, რანი არიან. სწორი იყო ფარაონი, მათ რომ მუსრს ავლებდა და ახლაც სწორია, ვირებივით რომ ამუშავებს. არ უნდა სცე ასეთ ადამიანებს პატივი.

ოჰო, ძველი ნაცნობი მოსულა — თხა!

ისე შეუმჩნევლად და ჩუმად მოფრენილა, რომ ფიქრებში წასულ პატიმარს ვერაფერი გაუგია. თხა სალამურზე უკრავს ძალზე ტკბილად, შემდეგ ამბობს, არკადიელმა მწყემსებმა მასწავლეს, ხომ კარგიაო? პატიმარი თავს უქნევს.

— მოემზადეთ! ყველანი მოემზადეთ! — ჩაირთო თხა, — აღსასრული მოახლოვდა. წამოიკიდეთ კუბოები, გათხარეთ ორი მეტრის სიღრმის საფლავები და ელოდეთ, ელოდეთ სიკვდილს. თავადვე დახუჭეთ თვალები, დაიკრიფეთ გულზე ხელი, ეცადეთ, არ ისუნთქოთ — ასე უფრო მალე მოკვდებით.

ცოდვილნო, ძრწოდეთ! მოახლოებულ არს... ცალფეხა და ცალტვივინა დემონი აღარ მიდის წინ. ვერ მიდის, თორემ კი წავიდოდა, მაგრამ მეტი წინ წასვლა აღარ შეუძლია. დაილალა, დაიქანცა, გაიოფლა... თან დიდი წინააღმდეგობა უდგას — ვერ გადალახავს.

ემზადეთ სიკვდილისთვის!

...შემდეგ კი ის და მისი თხა პატიმრის სანყალ ულუფას ძმურად იყოფენ და მხოლოდ ნაშუადღევს ემშვიდობებიან ერთმანეთს.

მედილეგები. სამი მეოთხედი უცხო თესლნი. მცირე ნაწილი თანამოძმეთა. მათი გამხდარი, წელში მოხრილი ფიგურები, პატიმრებივით ისინიც შეეჩვივნენ სიბნელეს და გარეთ გასვლა არ სურთ, უჭირთ. მედილეგები პატიმრებისთვის არიან გაჩენილნი, პატიმრები კი მედილეგებისთვის — ორთავე მხარემ იცის ეს.

უცხო თესლნი ბობოქრობენ. ხშირად იგინებიან. ზოგჯერ ურჩებს ნიხლებსაც ჩააზელენ ხოლმე. ჰგონიათ, რომ საქმეს აკეთებენ და საღამოობით კმაყოფილნი წრუპავენ „ცეცხლოვან წყალს“. ერთმანეთს ადღეგრძელებენ, ჭიქებს მიუჭახუნებენ და სულ-მოუთქმელად ჩაიცლიან სტომაქში (რჯული კი უკრძალავთ!).

თანამოძმენი უფრო ნაღვლიანნი არიან. გრძნობენ, რომ კარგ საქმეს არ აკეთებენ, მაგრამ სარფიანი სამუშაო რომ არის, ესეც კარგად უწყიან. გაბოროტებულნი. ყველასაგან გარიყულნი. საძულველი მედილეგები. ზოგჯერ უცხო თესლთ აჭარბებენ სიმკაცრეში. საძულვილს საძულვილით უნდა უპასუხო. შესტრფიან მოღალატე როსტომ მეფეს და შიშით შესცქერიან მომავალს. ეს ქვეყანა რომ გადაბრუნდეს, მათაც არ დაადგებათ კარგი დღე. სააკაძე ჯერაც არ დავინწყებია ხალხს. ამიტომაც არის, რომ როსტომს მაგათზე ერთგული ხალხი არ ეგულება.

ღორთმოძულე ოკუპანტები კი ბოლომდე არც როსტომს ენდობიან და არც ქართველ მედილეგებს, მაინც წყეული სისხლი უჩქევთ — გიაური სანდო არ არის! აკი, გიორგი სააკაძეც მართლმორწმუნე შიიტისა და შაჰის სარდლის როლს თამაშობდა წლების განმავლობაში, ბოლოს კი... ბოლოს კი მისი „შიიტობა“ სპარსეთს ნახევარი არმიის ფასად დაუჯდა.

მოღალატეებმა დაღუპეს საქართველო! დაასკვნა ბოლოს პატიმარმა. მოღალატეებმა და ქალებმა. გაეცინა. მწარედ გაეცინა. არც ქალი და არც მოღალატე, მაგრამ ცუდი თუ არა, არც კარგი გაუკეთებია ერისთვის.

როსტომისნაირებს მაინც სჯობია. დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი. ბაგრატიონი. მესიის მახვილი... ისემც... იუდა ისკარიოტელი. მოღალატე. გამაჰმადიანებული (ღორს არ გეახლებათ — ღვიძლზე ვნებს, ამიტომ გამოიცვალა რჯული).

ზოგიერთი ბედავს და აქებს როსტომს. ქვეყანა დამშვიდდაო, ომიანობა შეწყდაო, სპარსელნი აღარ გვანოკებენო... რის საზღაურად? რის ფასად? ეკლესია-მონასტრებს ხურავენ. ქართველი ერის სულიერი მამა კლდიდან გადაჩეხეს. სამღვდელოებას ავინრობენ და სდევნიან. სამაგიეროდ, მოლეები მომრავლდნენ. სასახლის კარი ქართულად ლაპარაკს თაკილობს, სპარსულად ლაპარაკობს.

ქრისტიანი მეფის ნაცვლად, გამაჰმადიანებული როსტომ ხანი, სულით ცვედანი მართავს ქვეყანას. ყოველწლიურად ეზიდებიან ქვეყნიდან სიმდიდრეს, რჩეულ ქალ-ვაჟთაც ზედ აყოლებენ და თურმე ეს ყოფილა მშვიდობა, ეს ყოფილა ჭეშმარიტი ბედნიერება და ნეტარება.

ბულბულს ვინ კეტავს გალიაში, ქორმა არ შეჭამოსო?

მონებო, გეყოთ ძილი, დროა, გამოფხიზლდეთ! გაახილეთ ეს დასავსები თვალები და შეხედეთ ქვეყნიერებას, შეიცანით იგი და შემდეგ გააკეთეთ დასკვნები... მაგრამ შეჩვეული ჭირი თურმე მაინც ყველაფერს სჯობია.

იყავით ეგრე, იძინეთ მშვიდად, თქვენი მყუდროება არავინ დაარღვიოს. თქვენ ისე გაგიკტბათ მონობა, რომ მასში უკვე სიამოვნებას პოულობთ. საკუთარ ხორცს იძიძგნიან, გულს იკორტნიან, თვალებს ივსებენ, ყურებში ფისს ისხამენ, ენაზე მუგუზაღს იდებენ და არიან ასე, ლამაზად, ტკბილად, კოხტად.

კურდღლები, მშიშარა კურდღლები.

თვითონაც კურდღელია. ბუნების კანონით კი ორ ერთნაირს სძულს ერთმანეთი, და თავის ცოდვებსაც სხვებს ჰკიდებს პატიმარი. ბრბოში საკუთარ სახეს ხედავს და ეზიზღება ეს ბრბო. კურდღლები, მშიშარა კურდღლები.

იოსები. ოჰ, რა ბედნიერი იყო ხალხი იოსების დროს. ჰიქსოსებს უყვართ ებრაელები, იოსებს ხომ უდიდეს პატივს სცემდნენ. აი, მაშინ ჰქონდათ ცხოვრება, თორემ ახლა რა, მონები არიან. ორმოცი წლის მოსე ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შეჰყურებს და ოქროს ხანაზე ფიქრობს. სანყალი, ნატანჯი ერი ჩემი, იკვნეტავს ტუჩებს... დილით კი კვლავ ეგვიპტელი დიდებული ითხოვს აუდიენციას მზეთასწორ ფარაონთან. ღამით ნაფიქრი არ ახსოვს. აწ ეგვიპტელია და არაფერი ესაქმება ქედმოდრეკილ ერთან. ღამით, სინდისის გამაღვიძებელი ღამით, ფიქრობს მოსე მშობლიურ ხალხზე და თავს ებრძვის, გათენებამდე ებრძვის, გათენებამდე ებრძვის საკუთარ თავს. დილით კი გამარჯვებული ეგვიპტელი აგრძელებს მდიდრულ ცხოვრებას.

დღეს დანტონი დასაჯეს სიკვდილით!

პატიმარი შეცბა, ისე მოულოდნელი იყო მისთვის ეს ისტყვები. თხა, კვლავ წყეული თხა. რომ არ მიბრაზდები, შეგეშინდა,

არა? პატიმარი თხის მიმართ კვლავ სიყვარულით იმსჭვალება და ყურს უგდებს.

აი, რევოლუცია ერთად მოახდინეს, ახლა კი... სად არის ადამიანის სისხლს მოწყურებული მარატი? კორდემ მოკლა. სად არიან ბრისო და ჟირონდისტები? — გაღმა. მარატთან ცოფიანები და ის საცოდავი ჟაკრუ? — ისინიც იქ. ალბათ ბანქოს ეთამაშებიან სატანას. რომელი ერთი ჩამოვთვალო. ერთმანეთი დახოცეს, ამონყვიტეს, გადაჭამეს. ასეა, ძალადობის ძალადობით აღმოფხვრა არ შეიძლება, აღმოფხვრი და ახალი ძალადობა წარმოიშვება.

იმ გადარეულმა რობესპიერმა ბავშვობის მეგობარი არ დაინდო, კამილ დემულენი, და თავი მოჰკვეთა. რისთვის? რატომ? ნუთუ ადამიანთა ბედნიერება მოითხოვს ვისამე სიკვდილს. არ ერჩიათ ფრანგებს ის მოსულელო ლუი ამ შიზოიდს? ერჩიათ, მაგრამ ახლა გვიანაა.

აი, ნახავ, თუ რობესპიერსაც თავი არ მოჰკვეთონ — ვის შერჩენია ნუთისოფელი, მაგას რომ შერჩეს.

ყოველდღიურად ათასი ადამიანი აჰყავთ გილიოტინაზე, რომელთაც ხვალ იგივე ბედი მოელოთ, ეუბნებიან, რომ ეს კეთდება ფრანგი ხალხის საკეთილდღეოდ. სასაცილოა, არა?

კოლო დ'ეზრუამ და ფუშემ მთელი ლიონი გადანვეს — ალბათ, ესეც ლიონის და ფრანგი ხალხის საკეთილდღეოდ... დაიქცა ბაბილონი! ეუბრუნდებით ბაბილონს! ისტორია მეორდება. ცალფეხა და ცალტვინა დემონი კუს ნაბიჯებით მიდის წინ. შესაძლოა, სულაც არ მიდის და ჩვენ ვინუგეშებთ მხოლოდ თავს. არა, არ მიდის. უფრო სწორად, ვერ მიდის. თორემ რატომ არ წავიდოდა.

ჭრელო პეპელა... ჭრელო პეპელა... ჭრელო პეპელა... გვიყვარს პეპლები. ვაკეთოთ ჰერბარიუმები. გაუმარჯოს ჰერბარიუმს! ძირს ბუნებისა და სილამაზის მტერი! გაუმარჯოს ჰერბარიუმს და მთელი მსოფლიოს ფლორა-ფაუნას!

მოსემ ქვითინი ბალიშს მიაკლა. მთელი ტანი უძაგდაგებდა. დედა, აი, თურმე როგორ ჰყვარებია ის. როდესაც მის ცხედარს დახედა და გაყინულ შუბლზე ბაგე მიადო, მაშინ მიხვდა ამას. დაპატარავებულიყო კუბოში ქალი. სახეც დაპრანჭვოდა, ნაოჭებიანი სახე. თვალები ჩაშავებული, სიღრმეში შევარდ-

ნილი. ოდესღაც სხარტი და მოძრავი, ან უსიცოცხლო თხელი ტუჩები, მინისფერი რომ ადევს.

დედა. ერთადერთი დედა. ყველაფრის პატიება რომ შეუძლია — ლალატისაც კი. გულზე სიმძიმე იგრძნო. ლალატისაც კი? ნუთუ მოლალატია? ხალხს გახედა. ბევრნი შეჰყურებდნენ სასახლიდან ქურდულად გამოპარულს. მხდალი, მკვდარი დედის სანახავად ღამით მოვიდა. ეშინია.

რატომ უყურებენ? ნეტავ, რა უნდათ? რა, თვითონ არ არიან მშიშრები? რომ არ იყვნენ, არც მონები იქნებოდნენ.

ეს კაცი კი მისი ძმავა. აარონი. ძალიან ჰგვანან ძმები ერთმანეთს, მაგრამ აარონს ენა არ ებმება.

მარიამი კედელთან ატუზულა და ზღუქუნებს. რამდენიმე დიაცი შემოჰხვევია გარს — აწყნარებენ. ებრაელობა შეჰყურებს მოსეს, მოსეს კი წამოსვლა უნდა.

იხსენებს. ყველაფერს იხსენებს. და თან ტირის მოსე. სასახლეში, სასახლეში ტირის ამხელა კაცი. თურმე ჰყვარებია დედა. იმ ხალხს და მათ მზერას გამოექცა, აქ მოსულს კი კვლავ იქ ყოფნა უნდა. რატომღაც სითბო იგრძნო აქ. სითბო. სასახლეში კი ცივა.

ეს საოცარი სახეები, მოსეს რომ შეჰყურებენ... არა, რა უნდათ, რას გამოელიან მისგან? რით შეუძლია მათ უშველოს, რით?

ლევის ტომიდანაც იყვნენ. მისნი. ღვიძლნი და სისხლხორცნი. პირქუში, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი სახეები. სხვა ტომებიდანაც. მთელი ებრაელობა. ბენიამინის ტომის ქალმა პატარა ბარათი ჩაუდო ხელში.

„შენ დღეს დაკარგე დედა, დედა კი ერთადერთია ქვეყნიერებაზე. მას ვერც ფარაონი და მისი ასული, ვერც სიმდიდრე და ძალაუფლება შეგიცვლის, ეცადე, არ დაკარგო სამშობლოც. ისიც დედასავით ერთადერთია, მასაც ვერ შეცვლი, შენ კი გაგტანჯავს... იყავ შვილი ჭეშმარიტი და დაგიცავს ღმერთი აბრაამისა!“

მას ჰყვარებია დედა, ჰყვარებია ძალიან.

სამშობლო კი, არ იცის, თუ უყვარს. ნუთუ სამშობლოც უნდა მოკვდეს, გაიჟუჟოს ებრაელობა, რომ მოსემ იგრძნოს სამშობლოს სიყვარული? არა, არა და არა! რაღა ფასი აქვს ასეთ ისყვარულს. სანამ ცოცხალია ერი მისი, მანამ უნდა შველა, თორემ მკვდარს ყველა დაიტირებს.

დილა. ეგვიპტის მზე აქეთ-იქით აგზავნის სხივებს ელჩებად. მოსე საზეიმოდ ირთვება. ყველაფერი დაავინყდა. ღამით ნაფიქრი არ ახსოვს. მართალია, სევდა კვლავ აქვს გულზე შემოხვეული, მაგრამ ეს დედის სიკვდილის ბრალია. სამშობლო კი... მისი სამშობლო ეგვიპტეა. ბენიამინის ტომის ქალის ბართას ცეცხლში მოისვრის — ესეც ასე. ნუთუ ვერ გაიგეს ამდენ ხანს, რომ მოსე ეგვიპტელია.

რა ვუყოთ საყურეს, რომელიც ყურზე დიდია? გაეცინა. პატიმარს გაეცინა, სხვებმა გაკვირვებით შეხედეს. ნეტავ, მარტო რატომ იცინის, ხომ არ გაგიჟდა? ჩამოვიკიდო? დიახ, საყურე მაინც უნდა ჩამოვიკიდოთ. შემოვიკრავთ შემდეგ ყურზე თითს, საყურე გაინძრევა და ძინ-ძინ, ძინ-ძინ, გამოსცემს ალბათ მუსიკალურ ხმებს. უსაქმურობის ჟამს შეიძლება კაცი ამით გაერთო, მაგრამ საყურე არა აქვს და...

ორ მათგანს საკუთარი დედების გაუპატიურება განუზრახავთ. ერთზე ამბობენ, კიდეც განიზრახა და კიდეც შეასრულაო. ორივე თავკაცობს საკანში. პატიმარი ნაღვლიანად უცქერის მათ.

ერთია კიდეც, ახლა ნიფხავს კერავს, ნიძლავზე ბებია მოკლა. რომ არ მომეკლა, მე თავად მომკლავდნენო, იმართლებს თავს. რა ექნა. იმ სანყალს, შემდეგ თავად გამოტყდა, ნიძლავზე კი არ მოუკლავს, ქალაღში ჰქონია ნაგებული.

ის ჭალარა კაცი კი ჰაშიშს ავრცელებდა. ყველა აკეთებს ამას, მაგრამ მას ნამეტანი მოსვლია. ზის ახლა და ოცნებობს.

ერთია კიდეც, დამთხვეული, არაფერი დამიშავებიაო, ან გიჟია ან მატყუარა. კაცი რადგან ზის, ესე იგი, დამნაშავეა.

როსტომ მეფის საჭურისი ზის აქ. რისთვის ზის, არავინ იცის. თავად ხმას ვერ იღებს, როსტომმა ამოაგლეჯინა ენა. ჩასუქებული, თეძოსქელი. მკერდიც ქალივით აქვს. ელამი, მთვრალი თვალელები და ბოროტი გამოხედვა.

რატომღაც ხელი ყურისკენ გაექცა. ეს ორი-სამი დღეა, ხშირად გაურბის ხელი ყურისკენ. შემდეგ თითებით ისრესს ყურს. მარჯვენა ყური. ის კი ისრესს. რატომ დასჩემდა. რაშია ნეტავ საქმე, თავად არ იცის.

თხაც მოვიდა. მეჩქარება, რაღაც უნდა გითხრა და უკანვე გავფრინდეთო. რობესპიერსაც თავი მოჰკვეთეს! „მოუსყიდავი“

მოკვდა, გაუმარჯოს ბარასს! გაუმარჯოს დირექტორიას! აკი, რას ვამბობდიო, უთხრა და გაფრინდა.

სალამო. მზემ უკანასკნელადლა გაიბრძოლა და, ან ბედს შერიგებული, სადღაც იკარგება. მუქი ღრუბლები ზანტად დასრიალებენ ცაზე. დიდხანს უნდა უყურო, რომ შეამჩნიო მოძრაობა. მდედრი ფრინველი თავისი შვილებით სავსე კალათას ფრთებით გადაეფარება. ძილის დროა. მამრ ცხოველს ნანადირევი მოაქვს „ოჯახობისთვის“ და მხიარული წკმუტუნით იყოფენ ნადავლს.

ჭიანჭველებსაც მოუშთავრებიან მინიური ქალაქის მშენებლობა და ან დანყვილებულნი ბნელ კუნჭულს ეძებენ, რათა ავთვალს გაქცეულნი, სიყვარულს მიეცნენ.

ხეებმა შეწყვიტეს ძაგძაგი. ქარი ჩადგა. მხოლოდ ნაზი სიო უბერავს საამოდ. ცაზე ნელ-ნელა იკვეთება ყვითელი მთვარის კონტურები. მუცელი მოსწყვეტია. თურქეთის დროშა. ქალაქიც დანყნარდა. სძინავთ, ზოგიც მრუშობს. ისვენებს ხალხი. ახალ დღეს ახალი ენერგია სჭირდება. ებრაელობა კი მუშაობს. სამუშაო დღე მათთვის ჯერ არ დამთავრებულა.

მოსე რამ მოიყვანა აქ, რა დარჩენია?

თვითონ არ იცის. დაბნეული. გაოგნებული.

ფეხებმა დამოუკიდებლად, გონების უკითხავად მოიყვანეს. ოფლში იწურება, ნერვიულობს. რცხვენია კიდეც, რისი რცხვენია, არ იცის.

მონები ცოტა ხანს შეჰყურებენ, შემდეგ ისევ აგრძელებენ საქმეს. რა ჯანდაბამ მოიყვანა მოსე აქ, ნუთუ ვერ გაიგო, რომ ეგვიპტელია და ამ საცოდავ, აქოთებულ და დამონებულ ხალხთან არაფერი ესაქმება. ნუთუ ასე ძნელია წარსულთან კავშირის განყვეტა? თან რა წარსულთან? მისი არსებობის პირველი სამი თვე — აი, ებრაული წარსული; აი, მისი ებრაელობის ხანა. ნუთუ ამ სამმა თვემ უნდა მოუშხამოს მთელი ცხოვრება?

არ ახსოვს მას ეს წარსული, ან კი როგორ ეხსომება. განა ვის ახსოვს თავისი თავი ერთ წლამდე, მას რომ ახსოვდეს.

რისთვის მოვიდა აქ, რისთვის?

ნუთუ ზრდილ და ნატიფ ეგვიპტელ კარისკაცთ ეს უვიცი და ბინძური მონები აღემატებიან რითიმე?

ნუთუ მკერდსავსე და ჯანსაღ ეგვიპტელ ქალებს მკერდ-ჩამომხმარი და მუშაობისგან ქალობადაკარგული ურჩის დი-აცნი სჯობიან?

...დაბოლოს, ფარაონის შვილობილობა არ ურჩევნია ამ უმადური ხალხის თუგინდ შვილობას?

მაინც მოვიდა!

გონება ამდენს ეომა, არნმუნა, უმტკიცა, მაგრამ ბო-ლოს მაინც მოვიდა. მოვიდა, რათა კიდევ ერთხელ შეეხედა თანამოდმეთა ტანჯული სახეებისთვის. მოვიდა, რათა ეხილა მათი არაადამიანური შრომა და საბოლოოდ დარწმუნებული-ყო, თუ რაოდენ უღირსი ძე იყო ის თავისი ერისა. მოსე ბრაზით უმტკიცებდა თავს ამ ჭეშმარიტებას.

კიდევ რისთვის მოვიდა?

არა, არ იცის! არაფერი არ იცის. ამდენი კი იაზროვნა და იფ-იქრა, მაგრამ რისთვის მოვიდა, მაინც არ იცის. ალბათ, არაფ-რისთვის. განა შეიძლება, სადმე ნახვიდე ყოველგვარი მიზ-ნის გარეშე? განა ადამიანის ყოველ მოქმედებას საფუძვლად გონებისგან შეკერილი სარჩული უდევს? არამც და არამც! რა უჭირდა მაშინ ადამიანს.

შემდეგ შოლტი. ჩვეულებრივი შოლტი. ამ შოლტით საქ-ონელს სცემენ, უფრო ხშირად კი მონად წოდებულ ადამიანს.

ახლაც სცემენ მონას. ზედამხედველს შოლტიანად ხელი მაღლა აღუმართავს და ებრაელ მონას ურტყამს. მონა კი ჩაჩო-ქილა, სახეზე ხელები აუფარებია, ყრუდ გმინავს.

სადამდე უნდა მიხვიდე, ადამიანო! გირტყამენ, შენ კი ჩუ-მად უნდა იყო. ჩუმად იყო არა კაცთმოყვარეობის, არამედ ში-შის გამო. ეს ადამიანი არის ებრაელი? ნუთუ მოსე ამ ხალხის შვილია? ნუთუ ასე დაჩიავდნენ და დაპატარავდნენ, რომ ხმის ამოღების თავიც არა აქვთ?

...და აღილო მახვილი თვისი და ჩასჭრა ორად ზედამხედვე-ლი. დე, იცოდნენ, რომ ებრაელობას ქედი არასოდეს მოუხრია და არც მოიხრის. მოსე ებრაელია. ამ წამს დარწმუნდა ის. სისხ-ლიანი მახვილი კაბაზე შეინმინდა, თვალზე მომდგარი ცრემლი თითით მიიჭყლიტა...

ოოჰ, რარიგ ბედნიერია, თავისუფალი და ბედნიერი. ბოლო მოელო ბრძოლას, ჭიდილს, გაორებას — ის ებრაელია, მის

ძარღვებში ებრაული სისხლი ჩქეფს. თურმე რარიგ სდომებია ებრაელ ხალხს, ოღონდ მიიღონ, შეიყვარონ, აპატიონ ცოდვანი სიჭაბუკისანი.

დიდება შენდა, ღმერთო! ვინ თქვა, რომ შენ არ არსებობ? ვინ გაბედა და ლაფი დაგასხა თავზე შენის გინებით?

შენ რომ არა, როგორ, რანაირად დაუბრუნდებოდა მშობ-ლიურ სახლს ორმოცი წლის წინ წასული შვილი უძღები.

გაქებთ და გადიდებთ, გამჩენო ყოველივესი, ეს რა ჰქმენ, რა ჩაიდინე, რა სასწაული, ფერისცვალება ჯერ არნახული და არგაგონილი. დიდება შენდა!

მოსე ტირის. ტირის ორმოცი წლის კაცი და შვებას გრძნობს. შვებასთან ერთად — ებრაელობას. ამ სიხარულს ვერ ანელებს მეორე დღეს ერთი უმადური ებრაელის მიერ ნათქვამი სიტყვები. მით უფრო საჭიროებს ეს ხალხი მოსეს, თავისი ხალხი.

ორი დღის შემდეგ კი, გამთენიისას, მგზავრი ვინმე ტოვებს ეგვიპტის მიწას, მისი აქ დარჩენა უკვე არ შეიძლება — სახიფათოა.

წავა მადიამს და აქაურ ურიებს, თავისუფალ ხალხს გადასცემს ცრემლნარევ მოკითხვას ეგვიპტეში მცხოვრებ უბედურ ძმათაგან.

ტილოში შეხვეულ მახვილს ეალერსება დილის შუქზე მომავალი და ასეთი ბედნიერი ხვედრისთვის მადლობას სწირავს შემოქმედს.

პატიმარი კი კვლავ ყურს ისრესს. ნეტავ, ის თუ გაბედავდა მოსეს ადგილზე იმავეს გაკეთებას? არ იცის. მგონი, მაინც ვერ გაბედავდა.

არა, ეს ყურის სრესა რალა დასჩემდა...

ნაწილი მეორე

I

მადიამის მიწაზე ეს პირველი ჭაა, რომელიც შეხვდა, პირველი. გაგრილდება. ყელს ჩაინმენდს. პირველი. არა, მოცდა მაინც მოუწევს — ჯერ ქალიშვილებმა აავსონ ჭურჭელი. შვიდნი არიან, დაითვალა. ერთი-ორი ლამაზიცაა, ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი. მეორე. მეორე და მეშვიდე მთლად ბოლოში რომ დგას.

თავხედი მწყემსები. ქალიშვილები აქეთ-იქით მიყარეს და თავად დაენაფნენ წყალს. მოსე თავხედებს ვერ იტანს. ებრაელ თავხედებსაც. წამოიჭრება და დაიფრენს. დამფრთხალნი გარბიან. ესეც ასე. მიდით, მიდით. აავსეთ თქვენი ჭურჭელი, ქალიშვილებო.

გმადლობთ. შვიდი „გმადლობთ“. შვიდი მორცხვი, თავდახრილი, ოდნავ გასაგონი და ნდობით აღსავსე „გმადლობთ“. შემდეგ სახლში მიპატიჟება. მოსე უარს არ ამბობს: კურთეულ იყოს მადიამის მიწა და შვიდი სტუმართმოყვარე ქალიშვილი.

ოდნავ წელში მოხრილი კაცი, ქვემოდან რომ ეჭვიან თვალებს შეავლებს მოსეს, იოთორია. მათი მამა, მთელი თავისი ცხოვრება აბრაამის ღმერთს ემსახურება. ახლაც მასზე დაუწყებს საუბარს ჯერჯერობით ღვთისვერმსმენელ და ვერმჭვრეტელ მოსეს.

შემდეგ რძეს სვამენ.

ხშირად კეფას ელაქუცება შვიდი წყვილი არცთუ უბოროტო. წყალი უდაბნოში. დიდი ნდომით, ნდომანამდგარი სავსე თვალი.

იშვიათად: უკან მოხედვა. სწრაფად უკან მოხედვა.

სწრაფადვე თვალების ერთმანეთზე გადატანა. მაგრამ ეს თვალელები უკვე სიძულვილით არის სავსე. მხოლოდ სიძულვილით. შემდეგ კვლავ კეფა...

თხა-ო.

— საყვარელო თხაო, რატომ დაიგვიანე?

— მე თხა აღარ ვარ!

— მაშ, რა (თუ — ვინ?) ხარ?

— მომავალში ნახავ. სხვა ვიქნები, უკეთესი.

— სისულელეა. მხოლოდ სისულელე. ფერი იცვალა, ის აღარ არის, რაც უნინ იყო. განახლებისა და თვითგანადგურების

დაუოკებელი მაზოხისტური სურვილი. სანთლის შუქისკენ მიმავალ ფარვანას არ გავიხსენებ.

— მაინც რა მოგდის, თხა-ო?

— ჯერ ვერ გაიგებ. ნაადრევია. თან, ცოტა ჯერ კიდევ მაკლია.

— შენ კი რა მოდგის ყურზე? — შეამჩნია, მაინც შეამჩნია.

აქეთ გადმოვიდა „შეტევაზე“.

— არაფერი. გამანებე თავი, გამანებე თავი! — აღელდა, პატიმარი აღელდა. პატიმარი რატომღაც აღელდა.

— ძნელია, ხომ?

— რა არის ძნელი?

— შეკითხვაზე პასუხის გაცემა!

მეფისტოფელია ეს თხა. მაინც ელიმება. ნამდვილად ჩაეთვალა. ჰო, ძნელია, იმასაც მივხვდი, რისი თქმაც გინდოდა. მე კი ყურს მხოლოდ იმიტომ ვისრესავ, რომ რატომღაც დამჩემდა.

— არ გინდა, საბრალო პატიმარო, თბილისს გადახედო?

— რომელ თბილისს, ნარიყალაში რომ სპარსელები უზის?

— ჰო, თუგინდ ეგეთს, მაინც თბილისს, დედას სრულად საქართველოსი.

— სად არის მერე საქართველო?

— იქნება! შენ რა, ჩემს როლში გამოდიხარ?

— არა, რატომ? უბრალოდ... თუ შეგიძლია, მართლა მანახე თბილისი, მაგრამ როგორ? თბილისი მომენატრა.

— თუ ჰაერი და ცა მოგენატრა უფრო?

— არც უმაგისობაა.

— ნავედით!

თხა და პატიმარი კლდეში გადიან. პატიმარს რატომღაც არ უკვირს. სხეულს ვერ გრძნობს. ალბათ, იმიტომაც გაძვრა კედელში. კი, მაგრამ ტანს რა მოუვიდა? არ იცის, არაფერი არ იცის. თხას ხომ არ ჰკითხოს? არა. არ არის საჭირო — მაინც არაფერს უპასუხებს კარგი ვაჟკაცი. ეს სიტყვა მაინც საიდან გამოტყვრა. თან რა უაზრობაა. კარგი ვაჟკაცი. ცუდი ვაჟკაცი ხომ არ არსებობს. რადგან ვაჟკაცია, ესე იგი, კარგიცაა. ჰმ, კარგი ვაჟკაცი. სისულელეა.

გიჟი. გაახსენდა გიჟი, ქალაქში ჰყავდა ასეთი მეზობელი. გვერდით, გვერდით ცხოვრობდა. — ლა ვუყოთ მელე, — იტყოდა და

განსვენებული მართას წინსაფარს აიფარებდა. — ლოსტომ მეფემ სული შატანას მიკიდაო. — ნუ გამაგიჟე, აბესალომ, — ეტყოდა მეორე მეზობელი და ტურჩებს ყურებამდე აიხლენდა.

ერთი ქალი შეუყვარდა აბესალომს. მდიდარი ქალი. ქმარი განჯელი ვაჭარი ჰყავდა. თვითონ ჰაიდარბიელი იყო. ლამაზი ქალი — ასეთი და ისეთი ლამაზი, ასეთი და ისეთი თვალებით, ასეთი და ისეთი გულმკერდითა და ფეხებით...

ქმარს კი ღალატობდა, მაგრამ აბესალომთან, რა თქმა უნდა, არა. შემდეგ აბესალომმა თავი მოიკლა. მართას გარეშე ვერ გაძლოო, ამბობდნენ. ჰაიდარბიელი ქალის კმაყოფილი სახე. ცელქი თვალები და მოზომილი ღიმილი.

მართლა თავის მოკვლას კი არ აპირებდა, როლებში შევიდა. ნამოიდგინა, რომ ოთახში ქალიც იყო. ქალმა სიყვარულზე, რა თქმა უნდა, უარი უთხრა. კაცმა თოკი ჩამოკიდა და ქალის შესაშინებლად გაყო თავი მარყუჟში. ქალს ყვირილი არ დაუნყია. ქალი მშვიდი იყო. მშვიდად იყო ქალი. ცელქი თვალები და მოზომილი ღიმილი. და კიდევ სქელი, მუსულმანური გავა. ცელქი თვალები დამცინავად შეჰყურებენ საბრალო გიჟს (მე ქალი მინდა, ყვირის ხეზე ასული გიჟი, რომელიც შემდეგ პატარა ქალს ხიდან ჩამოჰყავს).

არ სჯერა. არ სჯერა, რომ გააკეთებს, სკამს ფეხის ნვერს ჰკრავს. სამფეხა სკამი. ასე ჩამოიხრჩო თავი.

ქალი შორს არის. შორს იყო ქალი.

რა ვქნათ, ყველანი სიკვდილის შვილები ხართ (თუ ვართ?).

გაუმარჯოს მელოტ თავზე დარჩენილ ერთადერთ ღერს თმისას! ვაშა, მის ერთგულებას, ვაშა!

არ მოვნყვიტოთ, მოვუაროთ, გავუფრთხილდეთ და ხანდახან გადავივარცხნოთ კიდევც.

ჭლექიანთა სიმღერა:

ტირიპ-ტიპ-ტირიპ, ტიპ-ტირიპ-ტიპ-ტიპ. თან ახველებენ. ფილტვებით ახველებენ. ერთმანეთს გადახვევენ და მთვრალეზვით დადიან. საოცრად უყვართ ერთმანეთი. ერთ ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ. სასწაული: ერთი გამოკეთდა. ის უკვე ყველას სძულს. მოღალატე. მათ მაინც ძალიან უყვართ ერთმანეთი.

მაღალი, წელში მოხრილი, ძვლებგამოვარდნილი, გამხდარი ტიუსოს ფიგურები, საოცარ ბგერებს გამოსცემენ. მღერიან, უკანასკნელად მღერიან. ჩვენს ადგილს ჩვენი შვილები დაიკავენ!

ამინ!

კარგია თბილისი. მოჩანს ვინრო და ჩახლართული ქუჩები. შუაზე გადამკვეთი მტკვარი, საძულველ ქვეყანაში რომ იღებს სათავეს.

მრავალეროვანი და მრავალენოვანი მოსახლეობა. დილაობით ქართველი გლეხები მოედებიან თბილისის ნელში გამოყვანილ ქუჩებს და მწვანეებისა თუ მანონის ყვირილით იკლებენ იქაურობას. დილა არც კია, ფეხზე რომ დგებიან და სოფლიდან ქალაქს ჩამოაქვთ გასაყიდი საქონელი. ძირითადად ახლომახლო სოფლებიდან. ზოგჯერ უფრო შორიდანაც. ქალაქში.

თბილისის დამოუკიდებლობის დროიდან შემორჩენილ არაბებს ნაშუადღევს უყვართ ჰაშიმიტ დამძიმებული თავების წამონევა. ნეელ-ნეელა გამოდიან ქუჩებში. სალამომდე დროს ჩაის სმაში კლავენ. ყბედობენ. თან უნიჭო ლექსებს ეუბნებიან ერთმანეთს.

სომხები და სირიელი ერთმანეთში ირევიან. ვერ იტანენ ერთმანეთს. სომხის საქონელი უფრო კარგია და განზილებული სირიელიც ბურტყუნით ტოვებს ბაზარს.

ქართველი აზნაურობა და თავადობა კი სალამოობით, ცხენზე ამხედრებული ჩაუვლის მედიდურად ამ „ჭრელ ხალხს“. ოდნავი ზიზლით მოპრუნული ტუჩები. კახურითა და ქალით გაუმაძლარი, მოპრუნული ტუჩები.

ნარიყალაში კი სპარსთა გარნიზონია. ისინი დილითაც არიან ქალაქში, სალამოთიც და ღამითაც. მათი აქ ყოფნა იგრძნობა ყოველთვის. ყველაფერში. დანითლებული თვალებით და გრძელი შუბებით დაივლიან მთელ ქალაქს და, ვაი, ვინც თვალში არ მოუვათ.

პატარა მემწვანნილე ბიჭმა კი უკანასკნელი კონა გაყიდა და განჯელი ვაჭრის სასახლისკენ გაემშურა. იცის, დაახლოებით ამ დროისთვის, ვაჭრის ლამაზი ცოლი ზეთით იზელს ტანს.

მაღალი და დიდი ხე მეგობარივით ჰყავს. როგორც ყოველთვის, ჯერ თეთრი და გედივით წვრილი ყელი გამოჩნდა. შემდგომ პატარა ხალი, დარაჯივით რომ იდგა მკერდჯვარედინზე. ფაფუკი და ლამაზი მკერდი. ქალის თითოეული მოძრაობის ჟამს რომ ტოკავდა და მაჭარივით თუხთუხებდა.

...ვერ გაძლო. თვალი აარიდა. შემდეგ კვლავ შეხედა. კვლავ აარიდა, კვლავ შეხედა. აარიდა. ბიჭი თხუთმეტი წლისაა. ჯერ

არ იცის, რა არის ქალი, მაგრამ, კარგი რომ არის, ამას ტანით გრძნობს. ტანით და ლამის საგულედან ამოვარდნილი გულით. იმ სიზმრებითაც, დილით რომ ანითლებს.

ეს ქალი კი ყველა სხვა ქალზე კარგია. კარგი, ლამაზი და კეთილი. მეწაღე შიომ კი თქვა, ამ ქალის გულისთვის ერთმა კაცმა თავი მოიკლაო, მაგრამ ეს რა ქალის ბრალია. ნუ მოიკლავდა მერე თავს. აძალებდნენ?

თხასთან ერთად თბილისში უჩინრად მოარულს ამასწინანდელი საუბარი გაახსენდა. შენ რომ ამბები მომიყევი, ახლა ხდება, თუ ძველად მოხდა უკვე? რომელიო? — იმანჭება თხა. აი, ფრანგებმა საკუთარი მეფე რომ მოკლეს, შემდეგ კი ერთმანეთს დაერივნენ...

აა, გამახსენდა! ფრანგთა რევოლუცია, რა მნიშვნელობა აქვს ამას შენთვის. ისტორია მეორდება. რაც გუშინ იყო, დღესაც არის, დღევანდელი კი მომავალში იქნება. დავითი და მისი შთამომავლობა. ფიესტა. ასე გაგრძელდება მეორედ მოსვლამდე. უაზროდ სიარული და უაზროდ სიყვარული იმპოტენტისა. ებრაელი ხვადაგი. ნუუ, კივის ეპოქა. ირლანდიელის მოძულე მეძავი კი სწორია — თქვენ დაკარგული თაობა ხართ!

მეორედ მოსვლა როდისლა იქნება?

ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის ერთმა, ახლა კი დაწყნარდი. გახსოვდეს, ფორმები იხვენება, შინაარსი იგივეა. ასე რომ, რაც იყო, არის და იქნება. თხამ კმაყოფილი სახე მიიღო სიტყვის დასრულების შემდეგ.

არა, ეს სულ სხვა ჯიშის ადამიანები არიან. მათ არც მონობა იცოდნენ და არც სილატაკე. მოსე ხარობდა, ალბათ, მეც ამათი ჯიშისა ვარო.

მერე კი, სეფორამ შვილი გაუჩინა, სულ მთლად გადაავინყდა მოსეს ეგვიპტელი ებრაელობა. აი, კაცი! იტყოდა იოთორი და შვილიშვილს ვარდისფერ ყვერებში კოცნიდა. მოსეც მხარს უბამდა სიმამრს და ამ კოცნა-კოცნაში „შემოეჭმებოდათ“ პატარა. შემდეგ სეფორა გამოუწინინდებოდა და აზარტში შესულ სიძე-სიმამარს ხელებიდან გამოლღეტდა ბავშვს.

მოსე მეოჯახე კაცი დადგა. სხვა ქალებისკენ არ გაურბოდა თვალი. სულ გადაავინყდა ეგვიპტე და მდიდრული ცხოვრება.

სამწუხაროდ, ეგვიპტესთან ერთად — ეგვიპტეში მცხოვრები ებრაელობაც (ყოველ შემთხვევაში, თავს არწმუნებდა, ასეაო.). მას მხოლოდ ეს ადამიანები უყვარდა, ასეთი ხალხი სურდა — თავისუფალი, ლალი, ამაყი, წელში გამართული, მაძლარი...

სიმაძღრისაგან სქელი ღიპი ედო განჯელ ვაჭარს. ღიპზე ხანდახან სკამსაც დაიდგამდა და ამით აკვირვებდა მტერ-მოყვარეს. მხიარული კაცი იყო, ოდნავ მოსულელოც, მაგრამ როდესაც საქმე ვაჭრობას შეეხებოდა, ეს სულელი და გულუბრყვილო კაცი უცებ გარდაიქმნებოდა დაუნდობელ მტაცებლად.

ახლაც ვილაც გლეხს უკანასკნელი კაპიკები დაღლიტა და უვარგისი საქონელი შეაჩერა. მორჩა — დღეს კარგ გუნებაზე იქნებოდა. გუნებას, ალაბთ, ისიც არ გაუფუჭებდა, რომ გაეგო, აი, ამ წუთას მისი ცოლი რითი იყო დაკავებული. მისი უმშვენიერესი (აზიურად უმშვენიერესი) ცოლი კი ქართველ აზნაურ ვაჩე ბარამიძესთან ალერსში იყო გართული. ქართველი აზნაური კიდევ უფრო ზრდიდა იმ რქების სიგრძეს, რომელიც რეგვენ (თუ გულგრილ?) ქმარს ისევე უხდება, როგორც მართორქას ეშვი ეული.

ქალს სიამოვნებდა კაცის ალერსი (რატომღაც!) მშვიდად იყო — ქმარს დიალმდე არ ელოდა.

დაღლის შემდგომ ეხვენა საყვარელს, მთელი ღამე დარჩიო, მაგრამ ვაჩეს ცოლი ჰყავს, ორი შვილიც. არ უნდა ოჯახის დანგრევა კახპის გამო. ხვალ დილით მოვა, ახლა კი „პაჩი“.

— არ მინდა, — დამახინჯებული ქართულით ამბობს ქალი და ტახტის კიდისკენ იწევა.

— მორჩი, მორჩი! — და აზნაური ოთახიდან გადის.

სახლიდან გამოსული ჯერ ქუჩას აკვირდება. უკვე ბნელა. მას არ სურს, რომ რამეს წამოჰკრას ფეხი და წაიქცეს. წაქცეულს სცემენ. არა, ის არ დაეცემა. ეყო, რაც ბავშვობაში აჩაგვრინებდა გლეხის ბიჭბუჭებს თავს.

ქუჩა ვინროა. ძალზე ვინრო. ორი კაცი ვერ აუქცევს ერთმანეთს გვერდს. პატარა მემწვანის ხე კიდევ უფრო ავინროებს ქუჩას. ფრთხილად მიდის წინ. ღიპი. ღიპს ხედავ. შემდეგ თვალებს ზევით აპარებს. განჯელი ვაჭარი. ბნელა, მაგრამ ძნელია, რომ ის ვერ იცნო.

აკი, დილამდე არ უნდა მოთრეულიყო. მწარედ, მწარედ ფიქრობს. შემნიშნა, ალბათ, სახლიდან გამოსული.

ვაჭარიც შედგა. მას არ დაუნახავს, თუ როგორ გამოვიდა ეს ახალგაზრდა კაცი (თუ მხედველობა არ ღალატობს, თან დღე აღარაა უკვე) მისი სახლიდან. ერთს კი მიხვდა — ქრისტიანი იყო და კეთილი აზრებიც არ უნდა ჰქონოდა, ისე იქცეოდა. ვაჭარმა ქისას ხელი მოუჭირა.

ვაჩემ ერთი ნაბიჯი წინ წადგა. ნელა. დინჯად. შიშით. დამინახა. დამინახა. სასონარკვეთილია. აი, ხანჯალზეც წაივლო ხელი. ვერ ასხვავებს სიბნელეში ქისას ხანჯლის ტარისგან. ალბათ, მომკლავს. მომკლავს. ბოთე კია, მაგრამ მაინც კაცია. თუ არ დავასწარი, მასაც მოკლავს. ჯერ მე მომკლავს, იმ კახპას, შეიძლება აპატიოს.

თვალეში შეჰყურებს. რა მოხდება, რომ გვერდი აუქციოს — და ვაჭარი კედელს ეკრობა. შემდეგ ერთ გაუბედავ ნაბიჯს დგამს.

არა, ყველაფერი გათავდა. მომკლავს ეს შობელძალი თავისი ბოზი ცოლის გულისთვის. ისე, ყოველი შემთხვევისათვის, თავის ხანჯალს ამოასისინებს ქარქაშიდან.

განჯელ ვაჭარს ყურს ჭრის ხანჯლის გველივით ხმა. ყოველივე ამას ხედავს. ხედავს, უყურებს და უნდა, იყვიროს, უნდა მთელი ძალით იღრიალოს, რომ კლავენ საკუთარ სახლთან, თითქმის ზედ კიბესთან. ართმევენ მთელი დღის ნაშრომ-ნაჯაფარს. ფულს, რომელიც საკუთარი შრომით მოიპოვა.

რატომ გადაიფიქრა სოფელში წასვლა სომეხ დიდვაჭართან. კარგ პურმარილსაც გამოჰკრავდა ხელს და, რაც მთავარია, ამ ხიფათს ხომ გადარჩებოდა. მაგრამ ცოლი, ცოლის გულისთვის... ცოლს დაუძახებს, უნდა ცოლს დაუძახოს, მაგრამ ყელიდან არ ამოდის ხმა. იმასაც ვერ ახერხებს, რომ ქისა შეაჩეროს მძარცველს და სიცოცხლე შეინარჩუნოს. ვერაფერს აკეთებს, ვერაფერს აბამს თავს. დაბნეულია. გარინდული.

ვაჩემ კი მას შეჰყურებს. თვალეებით აშეშებს და აქვავებს, როგორც უხსენებელი თავის მსხვერპლს. თან კარგად გამოსდის — თვითონაც ეშინია, თავადაც გაქვავებული და გაშეშებული. ნელ-ნელა უახლოვდება განჯელს, მთელი ტანი უძაგძაგებს, კანკალმა აიტანა.

არა, მაინც რა ვინროა ეს ქუჩა, ცოტა ფართე ვერ გააკეთეს? ჩააგებდა ხანჯალს ქარქაშში და ისე მოკურცხლავდა, რომ ეს ზონზროხა ვაჭარი მზერასაც კი ვერ დაანედა.

როდესაც ვაჭარმა ხანჯლის წვერი მუცლის გულში იგრძნო (ჭიპთან რა, ამ ჭიპით არ იყო, რომ გამოათრიეს ორმოცდაექვსი წლის წინათ. არა, ჭიპით არა, თავით. ჭიპით გამობმული იყო... რა სისულელეებზე ფიქრობს, გაგიჟდა), პირი დაალო, უნდოდა, ეყვირა, მაგრამ დაგვიანდა: ხანჯალი უკვე არღვევდა და ანგრევდა შიგნეულობას. გადარეულივით ტრიალებდა, ცელავდა და სერავდა იქაურობას. რაღაც სიცხე შემოაწვა ქვევიდან ვაჭარს. გონება არა და არ ეკარგებოდა, ყველაფერს გრძნობდა, ღმერთო ჩემო, ტვინი, ტვინი, რა ძალუმად მუშაობდა, ნაცვლად იმისა, რომ გამოთიშულიყო და საბრალო ვაჭარი მოესვენებინა. კი, კი, მხოლოდ სწრაფად სიკვდილს ნატრობდა, მხოლოდ სიკვდილზე — სანატრელ და სანუკვარ სიკვდილზე.

...დაჭრილ-დაფლეთილი ნანღავები ნანილ-ნანილ იყრებოდა მუცლიდან. ვაჩე კი აგრძელებდა ხანჯლის ტრიალს. შემდეგ გამოერკვა, ხანჯალი გააგდო. სპარსელები მუსულმანის მოკვლის გამო სიკვდილით დასჯიდნენ. გაიქცა. კიდეც უფრო შეშინებული გაიქცა. მან არ იცოდა, სად გარბოდა, მთავარი იყო, რომ გაქცეულიყო. ქუსლებს თავში ირტყამდა. ნყვდიადს მიაპობდა. უაზრო. უფიქრო. შეშინებული. უხილავი გრაფი დრაკულა მოსდევდა ვაჟკაცობის ნარჩენების სისხლის უკანასკნელი წვეთივით გამოსანოვად.

მთავარი იყო, მკვლევლობის ადგილს გასცილებოდა. ერთ-ერთ მოსახვევში ვიღაც კაცი დალანდა. იმანაც დაინახა, მტრული მზერა შეავლეს ერთურთს.

არა! არა! ამოიხრიალა ვაჩემ. მივარდა უცნობს და ხანჯლის დარტყმა დაუპირა. შემდეგ მიხვდა, რომ ხანჯალი ხელთ არ ჰქონდა, იქ დაეტოვებინა და ცემა გამოდიოდა.

ვერ დამიჭერთ, ვერა! გააგრძელა სირბილი.

გაოცებულმა, ვიღაც უსინდისო ვაჭრისგან მოტყუებულმა გლახმა კი, რომელიც გვიან მიხვდა, რომ მოატყუეს, პირჯვრის წერა დაიწყო, თან გახეთქილ ტუჩს იწმენდდა მკლავით პირჯვარსა და პირჯვარს შუა:

ღმერთო, შენ ღამიფარე ამ მატყუარა და ნაგიჟარი ქალაქელებისაგან!

— რა მოგივიდა, თხოო, არც ახლა მეტყვი?

შემოევლოთ უკვე მთელი თბილისი და უკან ბრუნდებოდნენ.

— რა ამბავი გაინტერესებს, აბეზარო? — სიყვარულით ჰკითხა მომღიმარმა (თხას ღიმილი უხდება!).

— რა და, თხა აღარ ვარო, ცოტაც და სხვა ვიქნებიო, ფერს ვიცვლი და ათასი ჯანდაბა და ოხრობა...

— ჯანდაბა და ოხრობა რალა შუაშია?

— ?!

— კარგი, რადგან გაინტერესებს, გეტყვი, ოღონდ ჯერ გაიხსენე, ადრე როგორი ვიყავი?

— საყვარელი!

— არა, მე მაგას არ გეკითხები.

— აბა, რას?

— რას და, გახსოვს, როგორი ღვარძლიანი იყო ჩემი საუბარი, თვით სიმართლესაც კი (არადა, სულ სიმართლეს ვამბობდი!) როგორი სიბოროტე ახლდა. გახსოვს, როგორ დავცინოდი ყველას და ყველაფერს, საკუთარი თავიც კი მიძულდა, სხვაზე რომ არაფერი ვთქვა. როგორ ვეძიებდი ყველაფერში ცუდს...

— მაგრამ შენ ამბობდი სიმართლეს! - შენყვევინა პატიმარმა.

...და არ არის მხოლოდ სიმართლე საკმარისი. ჭეშმარიტება ერთია, ჩემო სანყალო პატიმარო, სიმართლე კი იმდენი, რამდენიც ადამიანია ამ ცოდვილ მიწაზე... თუმც რა საჭიროა ამდენი ახსნა-განმარტება, მოგიყვები ერთ ისტორიას, რომელიც მე გარდამხდა და, თუ განწირული არა ხარ, გაიგებ და მიხვდები.

პატიმარს გაკვირვებისაგან პირი დაეღო და ისე უსმენდა ამ საკვირველ მეგობარს (?). მეგობარი კი საოცარზე საოცარ ამბავს უყვებოდა:

მე ყველას და ყველაფერს მასხრად ვიგდებდი. განსაკუთრებით ეკლესიას და წმინდანებს. გაბრაზებით, გამწარებით ვებრძოდი ეკლესიას. დავცინოდი მას. ეს დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. ძალას მმატებდა. ღამით კი მქონდა შიშები, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევდი.

ერთხელ გადავწყვიტე, მასხრად ამეგდო ერთი ღრმადმორწმუნე მოხუცი ქალი, რომელიც სარეცელს იყო მიჯაჭვული, მხედ-

ველობა ეკარგებოდა, დღითიდღე დნებოდა და კვდებოდა. როცა დედაბერი დარწმუნდა, სააქაო პირი აღარ ჰქონდა, თოთხმეტი წლის შვილიშვილს სთხოვა მღვდლის მოყვანა საზიარებლად.

და შევეუჩინდი ეშმაკად იმ ბიჭს და ვაფიქრებინე ბოროტი. ბიჭს ეკლესიაში ნანახი ჰქონდა, თუ როგორ ეზიარებოდნენ მორწმუნენი. აიღო კოვზი, დაასხა ღვინო, ჩააგდო პატარა ნაწილი პურისა და თან მეზობლის ბიჭსაც დაუძახა, მოდი, ერთად ვიცინოთ გამოფრუტუნებულ დედაბერზეო.

ქალი უკვე გონებასაც კარგავდა, სულის ხორცისაგან გაყრის ორთაბრძოლა დასწყებოდა. ხორცი კვდებოდა, სული იზმორებოდა და სხეულის არტახებიდან თავს ითავისუფლებდა. კვდებოდა გონი, აზრი ჩერდებოდა. ცოცხალი იყო რწმენა, მხოლოდ რწმენა ჯვარცმული და ერთადერთი პანტოკრატისადმი.

პურის ნატეხი დედაბერმა მაცხოვრის ხორცად მიიღო, ხოლო კოვზზე დასხმული უბრალო, თან თეთრი ღვინო (შვილიშვილმა წითელი ღვინო ვერ იშოვა. ფერებს დედაბერი მაინც ველარ არჩევდა) კი მაცხოვრის წმინდა სისხლად და... ეზიარა!

ზეციდან გალობა გაისმა. პატარა ბიჭებმა პირი გააღეს, მინაზე დაემხნენ და დედაბერს ხელზე დაუწყეს კოცნა. გალობდა ანგელოზთა მთელი დასი, გალობდა არახორციელად, არა-ამქვეყნიურად — ეს იყო ზეციური გალობა, ეს იყო საოცარი ხმები და, თითქოს ცა გადაიხსნაო, გამოჩნდა ჯვრიანი ხელი, რომელმაც დალოცა სულთმობრძავი...

და მე მივხვდი, შემშურდა იმ სულთმობრძავი ქალის. მივხვდი ძალიან ბევრს. მივხვდი იმას, რაც სიტყვით არ გამოითქმის, რამეთუ უძღურია ენა კაცის. მივხვდი იმასაც, რასაც შენ ადრე თუ გვიან გაიგებ და შეიყვარებ.

მგონი, გესმის ჩემი, არა?

ისე, რა!

უნდა მივბაძოთ!

ვის?

იმ მოხუცს, ბრმა, უგონო და ავადმყოფ ქალს!

რატომ? ...რას ამბობ?

რომ ჩვენც გვესმოდეს და ჩვენთვისაც იყოს ეს გალობა!

II

დიდი ხანია, მოსეზე არ უფიქრია. საინტერესო ჯერჯერობით არაფერია. მოსე ცხოვრობს მხოლოდ ოჯახისთვის. მეტი არაფერი აინტერესებს.

დილით ცოლის ფეხებშია გაჩხერილ საკუთარ ფეხს გამოაპარებს, წამოდგება. ყინულივით ცივ რძეს პირთან მიიტანს და სულმოუთქმელად გამოცლის. შემდეგ ფარას გალაღავს. ხის ძირში წამოწვება. ჯერ ფიქრობს. მასაც დიდი შუბლი აქვს. ფიქრში ნელ-ნელა ძილი წამოეპარება.

გამოღვიძებული დასათვლელს დაითვლის და ჰაიდა, სახლისკენ. ჰაიდას შეძახილს ჯოხის ტკაცუნიც მოჰყვება. ცხვარი ფეხს აუჩქარებს.

ძილის წინ ცოლს საშუალებას აძლევს, ამქვეყნად კიდევ ერთი ებრაელი მოავლინოს და შემდეგ ძილი. ახლა უკვე ძილიც შეიძლება.

ხანდახან, ყოველთვის და ხშირად კი არა, მაგრამ ხანდახან რაღაცას ელის. ტანით გრძნობს, რომ რაღაც უნდა მოხდეს მის ცხოვრებაში. მას არ უნდა, ეშინია კიდევ, მაგრამ ხანდახან ამ რაღაცის მოლოდინი მთელ ტანს ეპატრონება ხოლმე და მოსეს აძაგძაგებს. რა თქმა უნდა, არავის არაფერს ეუბნება, მაგრამ ეშინია, რაღაც კარგი არ უნდა იყოს ის, რასაც ელის. არ იცის, არაფერი არ იცის.

შეიძლება კარგია, მაგრამ რატომ? მაინცდამაინც ის? რა ის? ვერ აცნობიერებს ბოლომდე. უბრალოდ, რაღაცის მოლოდინი აქვს. არა, არა, მას კი არა აქვს ეს მოლოდინი, ვიღაცამ ძალით მოახვია თავს ეს მოლოდინი, ძალით. თვითონ არაფერ შუაშია. ცივ რძეს სვამს და მსოფლიო ებრაელობის გამრავლებაზე მუშაობს. თვითონ არაფერი...

არა, საინტერესო არაფერია და პატიმარი თვალს საკანს მოავლებს. თხა უკვე დიდი ხანია, რაც არ გამოჩენილა. შეიძლება არც ისე დიდი ხანია, მაგრამ საკანში ხომ ნელა გადის დრო. არა, მაინც დიდი ხანია. თხა კვლავ დაიკარგა, თხა არ ჩანს. ვის უშრობს ახლა სისხლს? თუმცა აკი შეიცვალა!

მუნჯი საჭურისის არსებობაც კი, ეტყობა, ძალზე ანუხებდა როსტომ მეფეს, აქაოდა, ახალი ენა არ ამოუვიდესო. ციხის ეზოში მოუკვეთიათ თავი.

ახალი სანიმუშო (მისაბაძი) პატიმარი გამოჩნდა. ბებია გააუპატიურა, აქეთ იყურა, იქით და დაასკვნა, ისევ ჯობია, მით ვემსახუროო. იმათაც გაუდიდეს საჭმლის ულუფა. ბრალდებაც მოუხსნეს — ბებია კი არა, სიდედრი შემოეუპატიურაო. თან — სიდედრი, თან — შემოეუპატიურა.

ერთ პატიმარს ჩუმად ჰაშიში შემოუგზავნეს. თვითონაც მონია. საზიზღრობა. მთელი დღე გულისრევის გრძნობა ჰქონდა. მეტს არ გაეკარება. წყეული მოდგმის წყეული შვილები. ხარჭის ნაშიერნი. რას პოულობენ ნეტავ... სხვებმა კი დასცინეს, აზიზი ხარო.

აზიზი და არაბი შენ ხარ, მიუტრიალდა ერთ მათგანს. არაბი პატიმარი. აზიზი არ ჰქვია სახელად, მაგრამ არაბია. მისგან არავინ ელოდა. თვითონაც გაუკვირდა, ყოჩაღ!

როდემდე შეიძლება გაჩუმება. ჰაშიშს რომ არ ენევა, რით არის მათზე ნაკლები. გაკვირვებული და გახარებული თხას ელოდება. რაღაც უცნაურად გამოიყურებოდა ეს ბოლო დღეები. გაუგებრად მსჯელობდა, მოხუცი ქალიო, გალობაო, ანგელოსთა დასიო და, ეშმაკმა იცის, კიდევ რა... ნეტავ, რამე ხომ არ დაემართა? არა, რა უნდა დამართნოდა. სადღაც შორიდან ძლივს აღწევს ხმები. სადღაც შორს ძაღლები ჩხუბობენ. ერთი ძვლის გულისთვის სულ გადაჭამენ ერთმანეთს. გადაჭამენ ერთმანეთს. ყელებს გამოჭამენ. ერთმანეთი სძულთ, მაგრამ ერთმანეთის გარეშეც არ შეუძლიათ. ასეა, ერთნაირებს სძულთ ერთმანეთი, სხვებთან კი არ შეუძლიათ თანაარსებობა.

შემდეგ რომელიღაც ბომბორა ძალღიმიერი-მოყრის ამ ფინიებს და გემრიელ ძვალს თავად დაისაკუთრებს. ნაწილი კუდამოძუებული და დასისხლიანებული დატოვებს ბრძოლის ველს, ნაწილი ჯერ კიდევ ვერ შეჰგუებია მარცხს და გამოსავალს ეძებს. ნაწილი კი მიუტყუცედება ბომბორას, აულოკავს ტანს (თუ აალოკვინებს!) და საბრალო თვალებით შეხედავს — ეგებ რამე არგუნონ.

...ერთი-ორი გამბედავი კი შეიძლება თავზეც დაეცეს და ძვლის წართმევა მოუნდომოს, უკვე ისე, უბრალოდ, ყოველგვარი

მუცლის გვრემის გარეშე. მათ აღარც კი სურთ ეს უზადრუკი ძვალი. ვერ აუტანიათ, რომ ისინი შეურაცხყვეს. ვაჟდალურ ამბიციებს იკმაყოფილებენ.

მუეძინი გამომდგარა და შემზარავი ხმით აბამს მუჰამედს. ქართველი მაინც ქართველია. ვერ მოითმენს და სიკვდილს გაუგზავნის წყეულ აგარიანს...

როსტომის მეუღლე სათნო და ღმრთის მოშიში ქალია. ქმრის გაფუჭებულს, რამდენადაც შეუძლია, ასწორებს. ქმარი ეკლესიებს ანგრევს, ცოლი — აშენებს, ქმარი აშავებს — ცოლი ბოდიშს იხდის, ერთი ეშლება — შეცდომის გამოსწორება შეიძლება, ბოროტება კი უნდა ამოშანთო, ამოძირკვო, ამოაგდო თავისი ბუდიდან... ბოროტებას შეცდომასავით ვერ გამოასწორებ. უყვართ დედოფალი. მაინც უყვართ. ასეა თუ ისე, სიკეთეს აკეთებს. ხალხმა იცის თეთრისა და შავის გარჩევა, თან ცოტა ჰყოფნის... სეზამ! სეზამ!

დილით ყურის ქავილმა გააღვიძა. გამწარებით დაუნყო სრესა და ბოლოს დაიამა. პატიმრები უკვე ამდგარიყვნენ. ზოგი ხელ-პირს იბანდა, ზოგიც ქალაღლით იქცევდა თავს. უცებ არაბი წამოდგა და გაღიმებული მისკენ გამოემართა:

— მაჰატიე, ძმაო, არ მეგონა, თუ გენყინებოდა. ჩვენ ხომ შეხუმრებულები ვართ, პატიმრები, ძმები...

ზიარება. ანგელოზთა დასი. სად არის თხა? არაბის კეთილი ღიმილი. ცა იხსნება, ადამიანს შეუძლია ასე მშვენივრად გაღიმება. რწმენის გამო ჩვეულებრივი პურითაც ეზიარა.

პატიმარიც იღიმება. კმაყოფილი. თავისუფალი პატიმარი. იღიმება და ყურს ისრესს. ამ ბოლო დროს უკვე ყურის სრესაშიც პოულობს სიამოვნებას.

III

...და კვლავ ღამე, წყეული ღამე. მოჩვენებით და კოშმარებით აღსავსე ღამე. მგლები ყმუილი. ღამით მგლების ყმუილი. სავსე მთვარის რაინდები. წითელი გიგანტი აღმართულა და სისხლს სვამს. რაც უფრო მეტ სისხლს სვამს, მით უფრო წითლდება. სისხლი წითელია. წითლდება და იბერება. ნაკბენი არ ხორცდება. და შენ იცხოვრებ საუკუნეების განმავლობაში. კუბოში იცხოვრებ

და ღამლამობით გამოხვალ მხოლოდ კუბოდან, გამოხვალ მამლის ყვილამდე. მორიგი აპოკალიფსური ბეჭედიც გაიხსნა. ეს აღსასრულია. კუბოების სიმფონიის დასასრული.

დაიქცა ბაბილონი!

ვუბრუნდებით ბაბილონს!

...და დადგა ეკლესიის პირისპირ წითელი დრაკონი.

არ გეშინიათ მოახლოებული კატასტროფის?

არა!

რატომ?

ღმერთს ადამიანისთვის არ უკითხავს სამყაროს შექმნა და არც მის დაქცევას ჰკითხავს. ბრძენი ქართველი გლეხი. ქართველი გლეხი ევანგელისტის სახელით.

...და დადგა წითელი დრაკონი ეკლესიის პირისპირ, რათა, როდესაც შობს იგი პირმშოს, შეჭამოს. და მიეცა დრაკონს დროებით ძალაუფლება და მოსრა მან მრავალი. მრავალი მორწმუნეთაგანი, უნდა კიდევ ბევრი მოასწროს. უნდა კიდევ ბევრი მოასწროს, რადგან სიმხურვალით გრძნობს უკვე — აღსასრული მოახლოვდა და მისი მეუფების დღეები დათვლილია, მანე, თეკელ, ფარეს.

და აძლევს ღმერთი მორწმუნეთ მოთმინებას!

და აძლევს ღმერთი მორწმუნეთ ძალას!

და აძლევს ღმერთი მორწმუნეთ თავდადებას და ბრძოლის უნარს!

ღიას, მოთმინებასთან ერთად ბრძოლის უნარსაც. ერთი მეორეს არ გამოირიცხავს. შეიცავს. ავსებს ერთმანეთს. მოთმინებაა — პიროვნული დათმო ღვთისათვის, ერისთვის და იბრძოლო: ბრძოლაა — მოითმინო ის, რასაც ამის გამო შენ გიკეთებენ. მოითმინო, ჯერ საკუთარ თავს სძლიო, შემდეგ ისიც დაამარცხო. ნეტარ არიან დევნილნი სიმაღლისათვის!

თავისუფლების სუსტი ხმა მაინც აღწევს, მიუხედავად იმისა, რომ მას სასტიკად ახშობენ... დახუთულ ოთახში პატარა ღრიჭოდან შემოდის ჰაერი. ხარბად ენაფებთან.

ბებერ კახპას ჭიპამდე აუნევი კაბა, მაგრამ ამაოდ, არავინ არ უყურებს მას!

გაღვიძებულმა რაღაც მოინდომა. ეს „რაღაც“ ძილიდან იყო წამოყოლილი, მაგრამ ისე რეალურად გრძნობდა, რომ სულიც

კი შეეხუთა. ალბათ, დღეს თხა ესტუმრება. უკვე აღარ შეუძლია მის გარეშე ცხოვრება. ნეტავ, რა მოხდა ფრანგთა ქვეყანაში კიდევ ახალი?

დებილის ნვინტილი პირისკენ იკაფავს გზას. ბაგე ბაგეს შორდება. ჩამპალი და ჩაყვითლებული კბილები ხატაელის სახესავით გაიციმციმებს და... მორჩა, დებილმა ნვინტილი ჩაყლაპა.

ქხრრრ. ცხვირში ქსუტუნებს. დედა წყევლის — თითქოსდა იმ საცოდავის ბრალი იყო რამე. მაგის გადამკიდე, უფროსი ქალიშვილი გაუთხოვარი დაურჩათ. საროსავით გოგოა, უბნის თვალი. იმ დებილის გამო ვერ თხოვდება. ღმერთო, რად დასაჯე... სიძულვილით შეჰყურებს და ტირილი უნდება. ძალიან უნდა ტირილი. ნეტავ ძაღლებმა დაგლიჯონ ან ცხენს ჩაუვარდეს ფეხებში... ოოჰ, ღმერთო, რას ვფიქრობ. და შეშინებული პირფვარს იწერს. ღმერთო, აპატიე! მის ძმას კი მეორე ნაკადი ჩასდის პირში.

სიზმრებშიც კი ეგვიპტეს ხედავდა (თურმე ხედავდა). რა უცნაური ამბები ხდებოდა მის თავს. იმედი ჰქონდა და დარწმუნებულიც იყო, რომ ეგვიპტე და იქაურები დაავინწყდა. კვლავ ბრძოლა, ბრძოლა საკუთარ თავთან.

ეგვიპტეში საკუთარ თავს ეგვიპტელობას ჩააგონებდა, მაგრამ მაინც ებრაელმა გაიმარჯვა.

მადიამს მოსეში სიყვარული ებრძოდა გულგრილობას და სიმხდალეს და მოსემ წინდანინ იცოდა, ვაგლახ, სიყვარული გაიმარჯვებდა.

...და როგორც მაშინ, ეგვიპტეში, მოსე აქაც საწინააღმდეგოში არწმუნებდა საკუთარ თავს, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მისი მოსვენება არ იქნებოდა. თან მოლოდინი. რალაცის ან ვილაცის მოლოდინი. შინაგანი ბრძოლა არ შეწყდებოდა, სანამ მოსე საკუთარ ბუნაგს არ დატოვებდა და ებრაელობის დასახსნელად არ წავიდოდა იქ, იმ წყეულ, წყეულ, წყეულ ქვეყანაში.

ებრაელობაც ელოდა. ელოდა ვილაცას. ღვთის წყალობასავით ელოდა, წყალობა კი კუს ნაბიჯებით მოდიოდა. თუკი მოდიოდა საერთოდ.

პატიმრის შორეული წინაპარი, რომელსაც გუნებაში „დიდ პაპას“ ეძახდა, დავით აღმაშენებლის პირადი მცველი ყოფილა, მათ

გვარსაც მაშინ დაუნყია არსებობა. მაღალი კაცი ყოფილა, სახელად ჯუანშერი ერქვა და თბილისისთვის ბრძოლაში დაცემულა.

ფრთები. ფრთები მოფრინავენ. ფრთები ყოველთვის დაფრინავენ ცაში და დაათრევენ ამა თუ იმ სხეულს. თუ რას, ამას ფრთებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

რა დროს ფრთებია, მოსცლია ერთი, იქცევა ქვეყანა და ეს ისევ ფრთებზე ფიქრობს. ყველა პატიმარია, ყველა. კი, მაგრამ თვითონ არის პატიმარი? თუ ყველა პატიმარია და ისიც შედის ამ „ყველაში“, მაშასადამე, პატიმარი ყოფილა.

ღმერთო, რად დასაჯე ასე ქართველები... მარტო ქართველები? მხოლოდ როსტომი არ არის დამნაშავე. მართალია, დიდი გათახსირებული კაცია და, რით არგოს სპარსელებს, იმაზე ფიქრობს, მაგრამ რა, სხვა რომ იყოს ქვეყნის სათავეში, ეშველება რამე ქვეყანას? გველეშაპი სათავეში ზის. აიმ გველეშაპს უნდა მოეველოს. ერთი ცომისაგან არიან მოზელილნი — კაენის ცომისგან. ლალატის შვილები. ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?

ირანს — შაჰი,

ქართველს — როსტომი.

როსტომი — შაჰს,

ქართველი — ირანს.

ირანი კი სატანას!

ე.ი. ქართველი და ქართველიც სატანას! უშველეთ ქრისტიანობის კუნძულს. შუ! რამდენი წმინდანის სისხლი დაღვრილა აქ. სად ხართ, გმირებო!

პატიმარს დუჟი მოადგა პირზე. ნერვიულმა ცახცახმა აიტანა. ძალიან უყვარს თავისი ერი. ცახცახმა აიტანა და ერიც უყვარს. თავისი ერი. არა, არ დაანებებენ. როსტომისნაირ ნაძირლებს რაინდები მოუგრეხენ კისერს. გრაალის მცველნი გველეშაპამდეც მივლენ... სერ ლანსელოტი მაინც ყველაზე კარგია. უფრო ადამიანური, უფრო ახლობელი. გრაალს ვერ იხილავს ადამიანი.

შემდეგ კვლავ სასონარკვეთა. ვერა, ვერ მოერივნენ. ირანის თურქეთსაც ეშინია. ვერაფერს დააკლებენ მტერს, ხელის ჩაქნევა მტრის მახვილზე საშიშია. და ყოველივე შარშანდელი

თოვლივით დნება. იუნგფრაუზე რჩება, კაკკასიონზე დნება. ირანის თურქეთსაც ეშინია.

ინილო-ბინილო, ინილო-ბინილო, ვიცინოთ, ვიცინოთ. თუ ვიტიროთ. ახლა ვიტიროთ, ვიტიროთ. სიყვარული. სარწმუნოება. სასოება. არა, რა არის ამის გარეშე.

მთელი მცდელობა და კეთილი საქმე, მთელი საერთო ქართული საზრუნავი საბურთაო მოედანზე ეტევა. თუ გაიმარჯვეს სპარსელზე ქართველებმა ბურთის წინ გაგდებაში, ეგ არის ყველაფერი, დიდი ეროვნული საქმე გაკეთდა. გულიც მოფხანია და ეროვნული ჭიაც გამძღარ-გალაღებული, დუშმანიც დაქცეული.

ონანას საბრალო ნაშიერნი! ღმერთი არ აპატიებს მათ მსგავს „სიყვარულს“ ერისას.

თბილისს ქვრივი ქალი გოდებდა. ქმარს არა, ქვეყანას გლოვობდა და მიწას აშავებინებდა ჭალარა თმებს:

ვო, სამშობლო ფარნავაზისა, დაცემული და დაღუპული!

ვო, საქართველო, ნალკოტო უფლისა, პარტახქმნილო და გასწორებულო მიწასთან!

ვო, ძეო ქართლოსისაო, მოთხრილო და ამოდგებულო ფუძემიწიდან!

ვო, დედაკაცო კოლხო და იბერიელო, გაბახებულო, ლეჩაქახდილო...

ვო, რწმენავ, ჩვენო, იესო ქრისტე, დარჩენილო მცხეთას უსაყდროდ!

ვო, ვაზო, ძლიერო, გაკაფულო და გაოხრებულო მტრისა მიერ!

...და ქმარო ჩემო, ბედნიერო, რამეთუ ვერ ხედავ ჟამსა უბედურებისასა!

ვერა, ვერ გრძნობს, რას იზამს? სად აქვს იმის ნიჭი, რომ სწორად გამოიყენოს, რალაც უაზრობას ჩაიდენს, ემოციურია. ძალიან ემოციური.

მოსე ყურს თითებით აწვალებს. უფალო. უფალო. კიდეც უფრო დაება ენა და მთლად ლულულზე გადავიდა. ორი დღეა, გონს ვერ მოსულა. ცეცხლმოკიდებული ბუჩქი. მისი ნათელი იხილა. მხოლოდ ის გამოარჩია, ის გახდა ღირსი, მას დაავალა... კი, მაგრამ შეძლებს? შეძლებით შეძლებს, რადგან

ის დაეხმარება, მაგრამ მოსეს მაინც ეშინია, ძალაც რამხელა მისცა. კვერთხი გველად და კეთრი... ხალხი ირწმუნებს ამ სასწაულს. ის იშვიათად მიმართავს სასწაულებს, მაგრამ მიმართავს, აუცილებლია.

მაინც რომ არ დაუჯერონ? თან ენა ებმება, არა აქვს ლაპარაკის ნიჭი. ხალხი ბლუს არ გაჰყვება. მოსემ ლამის მოიგლიჯა ყური. ვითომ აარონი შეძლებს, რომ მოსეს ენა იყოს? მაინც შიშსა და ყოყმანშია. მცირედმორწმუნე, ეს მხოლოდ მის ერს მოსდგამს თუ მთელ კაცობრიობას.

უნდა წავიდეს. რომ არ წავიდეს, ის მაინც წაიყვანს, თუ ძალიან გაუფიქდა, შესაძლოა, საერთოდ დასაჯოს. მაგრამ არა, რადგან გამოარჩია, დაარჩენს კიდევაც და წაიყვანს. თვითონ წავა. თვითონ წავა მასთან ერთად და მისით.

...ტოვებს მოსე მადიამს და უკანვე მიეშურება. ორმოცი წელია, ეგვიპტე არ უნახავს, მაგრამ მან უბრძანა და მის ბრძანებას ხომ ვერ გადავიდოდა. მიდის ნელა, მძიმედ, თავის ენასთან ერთად, ოჯახთან ერთად, აბრაჰამის, ისააკისა და იაკობის ღმერთთან ერთად. მიდის მძიმედ, მაგრამ უკვე დარწმუნებული, დაჯერებული და განმტკიცებული. მან უკვე იცის ის, რაც პატიმარმა დღეს გაიგო — მოსე იყო, არის და იქნება ის ერთადერთი ადამიანი, რომელმაც საკუთარი თვალებით იხილა ღმერთი. და კვლავ იხილავს, მიდის ღმრთისმხილველი ნელა, მძიმედ, საკუთარ და, რაც მთავარია, მის ძალაში საბოლოოდ დარწმუნებული.

პატიმარი კედელს ურტყამს თავს. მობეზრდა ყველაფერი. და თავს კედელს ურტყამს. არა, თავის მოკვლა კი არ სურს, უბრალოდ, პროტესტს აცხადებს. თან, ალბათ, იმის იმედიც აქვს, რომ თავით კედელს გაანგრევს. ეყო ამდენი მოთმენა, ადამიანია და არა მონა. მონად არ დაბადებულა, გვირგვინია ღვთის შემოქმედების. ეყო სიჩუმე, პირში წყლის ჩაგუბება, მორჩილება ღმერთს და არა სატანას.

რაც კი ძალა ჰქონდა სულიერი, მოიკრიბა და ურტყამს ახლა თავს... მთლად გასისხლიანებული ააღლიტეს კედელს. კედელი, რა თქმა უნდა, არ განგრეულა. მაინცდამაინც არც ციხის უფროსობა შეუშინებია პატიმრის უკმაყოფილების გამოხატვის ასეთ ფორმას.

საკანში მყოფთ უფრო პატივისცემით დაუნყეს ყურება — ენა მასაც ჰქონიაო. არავის იკარებდა პატიმარი, მომშორდით, არავინ მინდებართო. ვერ იტანდა, რომ ამშვიდებდნენ. მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როდესაც თხა მოფრინდა. ჩუმად დაინყეს საუბარი. გათენებამდე საუბრობდნენ, მხოლოდ დღით გაფრინდა, როდესაც პატიმარს ჩაეძინა.

პატიმარი კი სიზმარშიც თხას ხედავდა. რატომღაც არა წვერცანცარა თხას, წვერი გასცვენოდა, თვალები გაფართოებოდა და რალა უცნაური იერი ჰქონდა. ფერიც სხვა ედო. პატიმარმა ძილში მხრები აიჩეჩა და კვნესა განაგრძო — შუბლი ძალიან სტკიოდა.

კიდევ ერთი სიზმარი ნახა. ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონ ქაჯეთის ციხეს შემოწყობოდნენ. ტარიელს დავით აღმაშენებლის სახე ჰქონდა, ავთანდილს — გიორგი ბრწყინვალისა, ფრიდონის სახე თავისას მიაამგავსა. ამ ყურს კი მოიგლეჯს!..

ნანილი მესამე

I

მოხუცი და ბიჭი. მოხუცი ძალიან მოხუცია. თეთრი წვერი ლამის მუხლებამდე სცემს და კბილიც არა აქვს დარჩენილი პირში. ჭინჭშემოხვეული ჯოხი უჭირავს და მისი დახმარებით დადის... ახლა კი ჩამოჯდა და ბიჭს ესაუბრება.

ქართველი ერის ისტორია, შვილო, მარტო კი არ უნდა იცოდე, არამედ უნდა გტკიოდეს. თუ არ გტკივა და მხოლოდ ცოდნა გაქვს, რაც არ უნდა ზუსტი იყოს შენი ცოდნა, მაინც აღარ არის ცოდნა, რადგან არ გტკივა, ვერ გრძნობ... ბიჭი პირდაფრენილი შეჰყურებდა. ეს ბიჭი კი თვითონაა. ზის ახლა აქ, ამ წყეულ, წყეულ — რატომღაც ექო ჩაესმა... საოცარია! — შენობაში, მოხუცი კი რამდენიმე ხანია უკვე ცოცხალი არ არის.

ქართველი ერის ისტორია: გაჭრილი სხეულიდან სისხლი მოედინება. სისხლს სწრაფად შედედების უნარი აქვს... ეს რომ არა, რამდენი ხანია უკვე სისხლისგან დაიცლებოდა.

...მაგრამ ჭრილობა კვლავ მოუშუშებელია: შედედებული სისხლი შემხმარა და ტკიპასავით მიკვრია კანს. დაჭრილი სუნთქავს და ასეთი სისხლისათვის მადლობას უძღვნის შემოქმედს.

საქართველო: ბებერი ხარები შეუბამთ უღელში და ახვნევენებენ მიწას. გონჯი ლოთი კი, ეჭეო, და წკნელს გადაუჭერს ორივეს ზურგზე.

ახსოვს, ყველაფერი ახსოვს.

მოიხსენიოს ღმერთმა სასუფეველსა შინა მონა... ალბათ, სამოთხეშია; ისეთი ტკბილი ბერიკაცი იყო, რომ უთუოდ სამოთხეში იქნება. ცოდვები ვის არ აქვს და მასაც ექნებოდა ახალგაზრდობაში, მაგრამ მაინც სამოთხეში იქნება, აუცილებლად.

ძალიან უნდა. ძალიან უნდა ეს. გულით სურს მისთვის სიკეთე და კვლავ ლოცულობს მისი სულისათვის. აუცილებლად სამოთხეში იქნება.

ვიღაც, უშნოდ, დედაზე მღერის სიმღერას. უშნო უშნოდ მღერის, მაგრამ უყვარს, დედა უყვარს. დედა ყველას უყვარს. ყველა მიწიერ ქმნილებათაგან ადამიანისთვის ყველაზე მეტად ძვირფასი და საყვარელი დედაა მხოლოდ.

ალბათ, მიტომაც დაურთო თავში კაცთა მოდგმამ მისთვის საყვარელ საგნებს სიტყვა დედა...

საკნის კუთხეში მიკუნჭულა კაცისმკვლელი, პურის ქერქს ლოღნის და დედაზე ფიქრობს! სიმღერამ დედა გაახსენა, ძალად მომღერალი არ ეშვება და იჭაჭება: „დეეედაა, დეეედაა...“ კაცისმკვლელმა ლამის ტირილი დაიწყო. სხვებსაც აუჩვილდათ გული, ის კი მაინც მღერის.

თვითონ, როგორც ყოველთვის, მშვიდი, მეთვალყურის როლშია, არც მღერის და არც ტირის. უყურებს და ფიქრობს. ფიქრობს. თვით ამ სიტყვის გახსენებაც კი მას, საკუთარ თვალში, სხვებზე მაღლა აყენებს: ჭიანჭველები დაფუსფუსობენ, გარბი-გამორბიან, რაღაც ახალ-ახალ ამბებს უცვლიან ერთმანეთს, ფორიაქობენ... ვინმე კაცი ზევით დაჰყურებს და იღიმება. რაღაცას ლეჭავს და იღიმება. ის ფიქრობს, ძალიან ბევრს ფიქრობს.

გამარჯვებული მკვდარი მოაქვთ მხრებზე შემოდებული... ხალხი ქუდს იხდის და ყვავილებს აყრის.

...სულ ერთი კი არც მკვდრისთვისაა და არც ხალხისთვის.

ესმის ეს, ამ სურათის წარმოდგენისას სახეზე ნათელი გადაუფლის, მაგრამ არ უნდა... არ უნდა მკვდრად ყოფნა. გამარჯვებული კარგია, მაგრამ მკვდარი?... ხვდება, ხვდება, თუმც ძალით ისულელებს თავს — არ უნდა მკვდრობა!

— გინდა, გამოცანები გითხრა? — ჩაესმის ყურში. არც შემხტარა და არც გაჰკვირვებია. უკვე ყველაფერს შეეჩვია. თხა მოფრენილა, ცალი თვალი მოუჭუტავს და სახეზე ცბიერი ღიმილი დასთამაშებს.

— გინდა, გამოცანები გითხრა? — „მინდა“. არ გაკვირვებია, თხა რომ დაინახა. რატომღაც მოშვებულა, აღარაფერი უკვირს, არც თხა, არც ის უკვირს, რომ სრულებით არ უნდოდა გამოცანები, მაგრამ მაინც თქვა: მინდაო... თხას კი უკვე დაუნყია.

— არა, არც ხილს ჰყიდის, არც ხორცს, არც მზესუმზირას... ბაზარშიც ვერ ნახავს კაცი. არადა, გამყიდველია! ყველგან პატივს სცემენ, მისი ეშინიათ და ზოგ-ზოგებს „უყვართ“ კიდევ. უმეტესობამ ისიც, რომ გამყიდველია. ერის მესხიერებას კი სძულს (ამ სიტყვაზე თხა დაიწყანა). ვინ არის ნეტავ და რას ჰყიდის?

პასუხს არც დაელოდა, მეორე გამოცანა ისე დაიწყო:

— ბრწყინვალედ მოკაშკაშე და თვალისმომჭრელ ქვეყანაში, მდიდარ და ძლიერ ბაბილონში სად არის პატიოსანი კაცის ადგილი? ...კაცის, რომელსაც ძალიან უყვარს თავისუფლება, თავისი ხალხი... კაცი, რომელიც ადიდება ჭეშმარიტ ღმერთს და სიმართლეს ამბობს ყველგან და ყოველთვის... სად არის მისი ადგილი? სად?

ეეჰ, კი იცის პატიმარმა, სად არის ასეთი კაცის ადგილი და თხას მრავალმნიშვნელოვნად, ნაღვლიანად უღიმის. კი, ბატონო, სწორი ხარ — ცი-ხე-ში! — დამარცვლა თხამ და სასწრაფოდ მიაყოლა შემდეგი გამოცანა:

— რას იმსახურებს ღორი, რომელიც ტლაპოში ჩანოლილა და ნეტარებით ღრუტუნებს?... მაგრამ ის ღორია და ეპატიება... ხალხი? ხალხი კი?

— რას იმსახურებს ის ხალხი, რომელიც ყელამდე სიბინძურეში ჩაფლულა და იმ დღეს, იმ საშინელ და თავზარდამ-

ცემ დღეს, როდესაც ის სიბინძურეში მოისროლეს, ზეიმობს, იხსენებს და უხარია.

...აი, ამდენი და ამდენი წლის წინ აღმოვჩნდი ამ ჭუჭყაშიო!

აქ თხა თვითონვე დანალვლიანდა, შემდეგ ცალი თვალი კვლავ მოჭუტა და იკითხა:

— რა ჰქვია მას, რომელიც სიკეთეს ბოროტებას არქმევს და ბოროტებას კი სიკეთეს?

...ან მას, რომელიც ყოველივე ამას იჯერებს?

პატიმარს პასუხი უნდოდა გაეცა, მაგრამ თხამ ანიშნა, ჩუმად იყავიო და განაგრძო:

— ხელის ცეცებით რომ კაცი მიდის გზაზე, უფსკრულს მიუახლოვდება, ვერ დაინახავს და გზას გააგრძელებს, რა ჰქვია იმ კაცს?

კაცი რომ მამის დანატოვარ ხატს დააგირავებს, იმ ფულით ნაყიდი ღვინით კი ლუციფერთან კაცის დაძმობილების სადღეგრძელოს დაღვევს, ვინ არის ის კაცი? თხა ჩაფიქრდა, ნიკაპს ხელისგული აუსვ-ჩამოუსვა და მშვიდად, ძალიან მშვიდად განაგრძო საუბარი:

— ქრისტე ერთადერთი იყო და განუმეორებელი, მაგრამ რადგან კაციც იყო, ამიტომ ადამიანის ტიპადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ (თუმცა ვერავინ შეძლო ასეთ იდეალამდე ამაღლება სრულად!)

ტიპია ასევე პილატეც — ადამიანთა იმ ნაწილის განსახიერებაა, ყველაფერზე ხელს რომ იბანს და არაფერი აწუხებს. მთავარია, თვითონ იყოს კარგად!

ტიპია ის ბრბოც, რომელიც იერუსალიმს შემობრძანებულ მაცხოვარს „ოსანას“ შეძახილებით ხვდებოდა, რამდენიმე დღის შემდეგ კი სხამალლა გაჰყვიროდა: ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი!

ტიპია ასევე ფარისეველიც — ყველას დასანახად რომ მორწმუნის და კეთილი ადამიანის როლს თამაშობს, ყველას მალლიდან დაჰყურებს, სინამდვილეში კი ქვეშაირიტებას დანით დასდევს დასაკლავად.

ტიპი არის იუდაც. მისნაირნი მრავლად იყვნენ და არიან კიდევ. გაყიდის ადამიანს, გაყიდის ყოველივე წმინდას და, მიხვდებიან რა თავიანთი საქციელის სიმდაბლეს, თავს იკლავენ. მახინჯი, მაგრამ მაინც სინანულია.

...ხოლო ადამიანის იმ ტიპს რა ჰქვია (აქ კი გაცხარდა თხა და კისერიც წაიგრძელა), იუდას საქციელს რომ სჩადის, მაგრამ თავს არ იკლავს. არ იკლავს არა იმიტომ, რომ ჭეშმარიტი სინანული დაეუფლა და შემდგომი კეთილი საქციელით სურს ცოდვების გამოსყიდვა, არამედ იმიტომ, რომ თავი დამნაშავედ არ მიაჩნია.

დადის დინჯად, ამაყად. ხალხს ზიზლიან მზერას ესვრის ხოლმე და ღრმად არის დარწმუნებული საკუთარ სიმართლესა და ღირსებაში... რა ჰქვია?

— იცი, რა ეწერა დავითის საფლავს? — იკითხა მცირე ხნის შემდეგ.

— რა? — დაიბნა პატიმარი, საიდან სადაო?...

— რა და „დავით! იყავი, ხარ და იქნები, სანამ ქართველი ერი არსებობს! საქართველოვ! იყავი, ხარ და იქნები, სანამ დავითი გახსოვს!“

და პატიმარმა მოულოდნელად:

— ვინ ხარ შენ?

ახლა კი თხა დაიბნა, დაჩერდა, თავი გააქნია აქეთ-იქით და მისთვის უჩვეულო ხმით, დაბალი ხმით მიუგო:

— ვიცი და არ გეუბნები? ვიყავი ყველაფერი — მორწმუნეც და ურწმუნოც, კეთილიც და ბოროტიც, გმირიც და მხდალიც... ჩემზე არ იყო დამოკიდებული და არც ახლა...

— აბა, ვისზეა დამოკიდებული? — დაინტერესდა პატიმარი.

თხამ ქვემოდან ახედა და გაუღიმა, თქმით კი არაფერი უთქვამს.

პატიმარი თვალებს ხუჭავს და წმინდა გიორგი დაუდგა წითელ ფონზე:

თეთრ ცხენზე ამხედრებულა ქრისტეს ერთგული რაინდი და შუბით მარადიულ ბოროტებას გმირავს. ბოროტებას, რომელიც იყო, არის და ახალ იერუსალიმამდე იქნება კიდევ.

...დაგვიცევ, წმინდა ძლევაშემოსილო!

— იყო ერთი ინგლისელი პოეტი, მილტონი და, იცი, რა თქვა?

— რა? — შეცბა პატიმარი („კვლავ საიდან სადაო?“).

— დაიცა, დაიცა, — დაფიქრდა თხა, — იყო თუ არის, შესაძლოა მომავალში იყოს, ერთი სიტყვით, მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ აი, ამ მილტონმა იცი, რა თქვა?

— რა?

— რა და, სირცხვილი მხოლოდ თვით ბუნების სინმინდეს ბლალავს, პატიოსნებას ბილწავს და ხდის უპატიოსნოდო.

— მერე რა? რა შუაში იყო ახლა მილტონი, სირცხვილი და პატიოსნება? — გაცხარდა პატიმარი.

— დაილაღე ხომ, ვერ მომყვები ხომ ფიქრში? არა უშავს, ისწავლი.

— ვინ?

— რა ვინ?

— ვინ იყვნენ პატიოსანი და უბიწონი?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, შენ მოუსმინე.

რა უნდა ექნა და გაჩუმდა, თხამ კი განაგრძო: პატიოსანი და უბიწონი რომ იყვნენ, რომ არ იცოდნენ, რა იყო ქალი და კაცი, თამაშობდნენ ერთად, არავითარ უხერხულობას არ გრძნობდნენ და მათზე ბედნიერი, ალბათ, ადამიანი არ იყო დედამიწის ზურგზე. მრავალი წლის შემდეგ კი... დგანან მტკვრის პირას და, არ იციან, ერთმანეთს რა უთხრან, თუმცა კვლავინდებურად უყვართ ერთმანეთი.

თხამ ღრმად ამოიოხრა და პატიმარს შეხედა.

პატიმარსაც სხვა რა გზა ჰქონდა, მანაც ამოიოხრა. გაგებით კი ვერაფერი გაიგო. შემდეგ ერთმანეთს შეხედეს და სიცილი წასკდათ. გულიანად იცინეს.

მაცხოვარი ზღვის ნაპირას ჩამომჯდარა და ადამიანზე ფიქრობს. მისი მზერა ზღვის მეორე ნაპირსაც სწვდება. ფიქრობს, თუმცა ყველაფერი იცის. ფიქრობს, რადგან უყვარს.

ზღვის თბილი წყალი მის ქუსლს ოდნავ ეხება და საამო სისველეს ტოვებს. თოლიები რატომღაც არ ჩანან და მზეც ნელ-ნელა ძირს მიიწევს, ჩასასვლელად ემზადება.

მაცხოვარი ზღვაში მოძრავ წერტილს მიაპყრობს მზერას. წერტილი თანდათან ახლოვდება და დიდდება. მაცხოვარი კი უკვე ზეიმობს, რადგან თავიდანვე შეამჩნია, ცოდნით კი სამყაროს შექმნამდე იცოდა — რამდენი ხანი ელოდა ამ ნათელ დღეს!

ამ წუთით ბედნიერი შეჰყურებს გამარჯვებულ კაცთა მოდემას.

ზღვაზე მოციქული პეტრე მოაბიჯებს: მოდის დინჯად, მშვიდად, მტკიცედ.

მისი თვალეები ქრისტეს შუამჩნევენ და დაირცხვენენსავით.
აბა, რას გეუბნებოდით, ფიქრობს მაცხოვარი და პეტრეს
ჩუმიად ეძახის: მოდი! მოდი!

დაბრუნდა საკანში, თვალეები გაახილა. თხა წასულა. საკანი,
საკანი... უცნაური სიტყვაა... საკანი. ადგილი, რომელიც ვერ
გელევა, რომელსაც დიდი სიამოვნებით შეელევი, მაგრამ...
ძლიან, ძალიან გიყვარს, რადგან აქ, ამ ოთახში ყველაფერი შე-
ნით სუნთქავს, შენით არის.

წამოწევი ბინძურ თივაზე, მეზობელს სიტყვას გაუცვლი
და გაიფიქრებ:

— არა, მაინც კარგი რამ არის ცხოვრება (ქათამმა წყალი
დალია და ცას ახედაო)!

...საკანი კი მუნჯია, მშვიდი, წყნარი. მას სტუმარი ჩემამდეც
ჰყოლია და, ალბათ, ჩემს შემდეგაც არ მოაკლდება.

იეს ირაე, დიეს ილლა!

სატანა ერთმორწმუნის ნიღბით მოუცოცდა. გულუბრყვი-
ლოს ყველა გულუბრყვილო ეგონა და დაუჯერა. სატანამ კი
სული მოსთხოვა, სამაგიეროდ თითსაც ვერავინ დაგაკარებს
და შენი სხეული უშიშრად იქნებაო. ქალაქს რომ ხელს აწ-
ერდა, უკვე კი ხვდებოდა რაღაცას, მაგრამ გვიანდა იყო. ასე
„დაძმობილდნენ“ კაცი და სატანა!

სოფელში მზე თან ჩადის და თან ძალიანდება რაღაც — არ
აპირებსავით ჩასვლას. მდიდარი იყო სოფელი. ახლა ქათმის
კრიახი ყველაზე შეძლებულის ეზოდანაც არ ისმის. ჩამოივ-
ლიან ლუციფერის „ოპრიჩნიკები“ და უკანასკნელ ლუკმას
წაღლიტავენ ხოლმე. გლეხი ზოგჯერ ვერ ითმენს და მამაპაპ-
ისეულ ხმაღს გამოარბენინებს სახლიდან, მაგრამ მარტოა და
თან ხმარებაც აღარ ახსოვს... იქვე აკუნწავენ ხოლმე.

არისტოკრატია. ქალეები და კაცები. მაღალ-მაღალი, ხმელ-
ხმელი ხალხი. მამაკაცნი: არნივის ცხვირით და გამოხედვით,
დასისხლული ტუჩებით და შავი თმით... თვალეები ანთებული,
ოო, რარიგ ანთებული!

დედაკაცნი: გრძელი კისრით და მაღალი მკერდით, მკერდი
ქალწულბრივი ჯერ კიდევ ხელშეუვლები... პატარა ტუჩები,
ოო, როგორი საყვარელი და ჩასაკებრად გამზადებულნი! თეთ-

რი ხაზი გამოჩნდება ხოლმე ტუჩთა ცმაცუნს შორის — უზადო კბილები! შავზე შავი თვალები. წყლიანი, ჭკვიანი, ეშხიანი თვალები. ცხვირი სწორი, მარმარილოსიაო... პოეტნი, მებრძოლნი, ფილოსოფოსნი, მღვდელნი, მეცნიერნი... ნალები, რძის ნალები, ოხშივარიანი ნალები. მსჯელობენ, კამათობენ, ეძებენ... გამოსავლის პოვნა უნდათ და თითქოს პოულობენ, მაგრამ... ერთი პატარა იუდა მათ შორისაც არის, ხოლო სიტყვით ქრისტიანებს გოლგოთის აუცილებლობა და თავად მაცხოვრის სიმტკიცე აღარ ახსენდებათ და განუხორციელებელ, ჯერ კიდევ დაუწყებელზე სასტიკ უარს აცხადებენ და სატანას ერთგულებას ეფიცებიან... არაფერი არ გვიფიქრია შენ წინააღმდეგო, გენაცვ... არაფერი არ გაგვიბედიო, გენაცვ...

მზე ამოდის და ჩადის. შემდეგ კიდევ ამოდის და კიდევ ჩადის. მთვარე ხანდახან ჩანს ღამით, ხანდახან კი შემალულია ღრუბლებში. გაზაფხულს ზაფხული მოსდევს, ზაფხულს — შემოდგომა, შემოდგომას — ზამთარი და ზამთარს — კი გიჟი მარტი.

ვიზეიმოთ დაძმობილება, ეუბნება სატანა კაცს. კაცი თანხმდება. თან ეშინია, თან მართლა საზეიმო ჰგონია ეს ამბავი. რამდენი მზის წინ დავძმობილდით მე და შენ, ეუბნება სატანა და გულის პატარა ნაწილს ჩამოაფშვინის... ხმელია, უკვე გაციებული... მაგრამ მაინც დიდი სიამოვნებით ილუკმება ჯოჯოხეთის პირმშო. კაცს სტკივა, მაგრამ ითმენს. შეჩვეულია ჩირიაო. და მისთანა სისულელები.

სუფრა საზეიმო: ალუდა ქეთელაურის სიზმარს ჰგავს.

დიდი ქვაბები: ქვაბებში ხორცი — ხორცი ადამიანის.

მამაკაცთა ხორცი ცალკე ქვაბებშია, დედაკაცთა — ცალკე.

მწვანილეულობა, ბალახ-ბულახი უხვად. ადამიანის თმები: შავი, თეთრი, ღია, წაბლისფერი, ყვალღია...

ტანწერწეგა დოქები ღვინით არის სავსე: ადამიანის სისხლის მტვევნებისაგან დანურული ღვინო, წითელი ღვინო — სისხლი კაცთა! თამადის ახლომახლო ადამიანის მოჭრილი თავი დევს და პირში ბოლოკი აქვს გარჭობილი. თამადა რომ შეჭამს, თავის ქალას გადააგდებენ (ყველამ კი არ იცის თავის დაჭრა და ჭამა, ესეც ხელოვნებაა, ამასაც სპეციალისტი სჭირდება). ქეიფი ჩაღდება. ვიდღესასწაულოთ! ვიზეიმოთ! ჩვენს დაძმობილებას, გათე... შემდეგ სიმღერას იწყებენ.

მარად ერთად, მარად ერთად,
ლუციფერის კაცთან ერთად!

...დიდი ქრილობა კი კვლავ მოუშუშებელია. ხშირ-ხშირად ადებენ თითს და აწვალევენ, ქრილობა არ უნდა მორჩეს. სისხლის სუნს კი მრავალი ბუზი მოჰყვება და სისხლში მოფუთფუთე, სისხლით მთვრალი ბუზები მანამდე არ ტოვებენ საოცნებო ადიგილს, სანამ ახალი ჯგუფი თანამომძიებებისა არ მოფრინდება.

...დოლი კი მონოტონურად, ყრუდ გუგუნებს და ლაპარაკობს:
- არაფერი არ გაბედოთ! ბუმ-ბუმ! არაფერი არ გაბედოთ! ბუმ-ბუმ!
- ერეკლე, შენი... - გაჰყვირის პატიმარი.

ერეკლეს მოასვენებენ ასები და ათასები. პატარა კახი მომკვდარაო, ფეხზე დგას მთელი საქართველო. უკანასკნელ დიდ ბაგრატიონს თავზე სპარსული ქუდი ახურავს და მარჯვენა საჩვენებელი თითი კი რუსული მეღნითა აქვს მოსვრილი.

სამგლოვიარო პროცესიას წინ დიდთვალე ბაბიჭი გადაუდგება. სერიოზული, მოწყენილი სახე, მშვიდი გამოხედვა და ჩაჭყლეტილი ნიკაპი — ნებისყოფის ნიშანიაო. ცხედარს ძირს დაანვენინებს, ერეკლეს სახეს დააკვირდება... ბიჭი აშკარად რალაცას ათამაშებს და ატრიალებს პირში... პატარა კახის სახეს არაფერი გამირული არ შერჩენია: დაბნეული მიცვალე-ბული, გაკვირვებული, სუსტი... ბიჭს შეეცოდება გამირყოფილი და დიდი ხნის ნაგროვებ ნერწყვს მიწისკენ გადატყორცნის.

Dies irea, dies illa! ვინ — საით... ვინ — სად... თავს უშეველეთ!

მოსე კი ამაყად დგას ფარაონის წინ და ეუბნება:

— სანამ ღვთის რისხვა ეგვიპტისაგან ფერფლს და ნაცარს არ დატოვებს, მანამდე არ გაგვიშვებ?

პატიმარი დამშვიდდა. მისი ფიქრები და აზრები უცბათ დაწყნარდა და დალაგდა.

მოსემ კი თქვა ეს სიტყვები და ფარაონიც ხედავს, რომ ღმერთი მოსესთან არის. ფარაონი ხედავს იმ უბედურებებს, რაც თავს დაატყდა ეგვიპტეს. მაგრამ ებრაელთ გაშვებაც რომ არ სურს...

მოსეს ჯერ არ უნდოდა აქ მობრუნება, მაგრამ ცეცხლმოდებულ ბურქთან ისეთი ძალა იგრძნო, რომ უკვე ვეღარ შეძლებდა, ღვთის ნება-სურვილისთვის წინააღმდეგობა გაენია და, სიმართლე რომ ითქვას, უკვე არც სურდა მას ეს. ახლა ხომ

ძლიერია, ერთიანი და ღმერთს მისთვის ძალა და ბევრი კარგის ქმნის ნიჭიც აქვს ბოძებული. ის იხსნის თავის ერს.

სტალკერი მიდის და ხეიბარი ბავშვი მხრებზე ჰყავს შესმული... მოსემ უნდა გაიყვანოს ეგვიპტიდან ღვთის რჩეული ერი, მოსემ უნდა მიიყვანოს ებრაელნი ალთქმულ მიწაზე... მაგრამ თვითონ ვერ იხილავს ალთქმულ მიწას, კიდევ წაიღო ხელი ყურისკენ და ეს უკვე აღარ უკვირს.

ადრე მოსეს ეშინოდა, ყველაფრის ეშინოდა. ის თანდაყოლილი ებრაული შიში ტანში ჰქონდა ჟრუანტელივით გამჯდარი და დროდადრო დაუვლიდა იმ ამბის შემდეგ, ეგვიპტე რომ დატოვა — საბოლოოდ გადანყვიტა, წყნარად და მშვიდად გაეტარებინა სიცოცხლის დარჩენილი დღეები.

სანამ ღმერთი უშუალოდ დაანახვებდა მოსეს თავის ძალას და მოუწოდებდა, მანამდე გრძნობდა მოსე რალაც-რალაცებს... გული ეგვიპტისკენ მოუწევდა, ტანჯული და დამონებული თანამემამულენი ელანდებოდა, ზოგჯერ ცრემლიც წამოსვლია, მათი მონური ყოფა რომ გახსენებია... მაგრამ ეს ხანდახან ესეც ღვთისგან იყო და მოსემ ესეც იცოდა, მაგრამ მაინც არ უჯერებდა გულს — შიში, შიში...

შემდეგ ღმერთმა უკვე პირდაპირ მოუწოდა და მოსემ რამდენი არ ისუნსულა აქეთ-იქით, იქნებ გამოვძვრე როგორმეო, ბოლოს შეეგუა მაინც, გამოსავალი არ იყო, ღვთის ნება უნდა აღესრულებინა. შემდეგ შერცხვა კიდევ, ღმერთმა ამხელა საქმე მომანდო, გამომარჩია, მე კი... ან ვისი მეშინია, როდესაც ღმერთი ჩემთან არისო და ხმამაღლა, მაგრამ მხოლოდ თავისთვის გაიცინა.

ხმამაღლა გაიცინა.

...ახლა კი დგას ფარაონის პირდაპირ და აცოფებს პირდაპირ. ფარაონმა იცის, რომ მოსესთან ღმერთია, თორემ რამდენი ხანია, კვერთხით გაუჩიხავდა თავს.

— „წადით!“

წადითო, ეს მან, ფარაონმა თქვა, მაგრამ მადლობა მას კი არა, მადლობა ღმერთს, რომელმაც აიძულა, ეს სიტყვა ეთქვა: „წადით!“

...და ისინიც ემზადებიან წასასვლელად. ზოგს არც კი მიუწევს გული. „რად მივდივართ, ვის მივყვებით?“ ზოგისთვის

საერთოდ სულ ერთია, ზოგიერთი კი ღრმად არის დარწმუნებული, ეგვიპტეში რომ ცხოვრობდნენ, იმაზე ცუდად არსად არ იცხოვრებენ... მოსე დუმს, მისი ძმა კი ოქროპირობს:

— აღსდგა ჰურიასტანი! აღსდგება ჩვენი სამშობლო! ღმერთმა აღთქმული მიწა მოგვცა და დიდება მას! ღმერთი საბოლოოდ დასცემს ძირს ბაალს, იშთარს, ოზირისს, თამუზს... იხარებს სული ჩვენი უფლისა მიმართ!

ქანაანი ჩვენ მოგვცა უფალმა, ჩვენია აღთქმული მიწა — შევხვდებით ქანაანში! შევხვდებით ქანაანში!

...და ებრაელები ჯგუფ-ჯგუფად გადიან, ჩუმად, თავჩაქინდრულნი — დიდ უმრავლესობას არც სჯერა, რომ შეხვდებიან ქანაანში და ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ... ამაზე უარეს დღეში სადღა უნდა ჩავარდნენ? ხანდახან ვინმე ჩაახველებს და სიჩუმე ამითლა ირღვევა, მოსე კი მტკიცეა, ერთიანი, შეკრული და ებრაელთა ჯგუფს მრისხანე მზერას ავლებს:

— ჰაი, ნახირო ურწმუნოო! ჰაი, მოდგმავ უმადურო! ღმერთმა ყველა სხვა ხალხისაგან გამოგარჩია, ყველაზე მაღლა დაგაყენა... ახლაც სასწაულებრივად გამოჰყავხარ ეგვიპტიდან, შენ კი სევდიანობ, უიმედოდ იყურები წინ და ისე რა, ყოველი შემთხვევისათვის, ადგამ ფეხს, ამაზე მეტი რალა უნდა ნავაგოო... რა მოდგის, ჩემო ერო? ჩემო ერო! — ყვირის ხმა მოსეში და თვალზე ცრემლი ადგება. ოო, როგორი ნალდი ებრაელია თვითონაც, საფეთქლებიდან ფეხის კოჭებამდე ებრაელია — ასე როგორ ჰგავს შვილი მშობელს. „ერო ჩემო! მას უყვარს ეს ხალხი, ეს უნდო, კუმტი ხალხი! ეს სუსტი, ლერწამივით აქეთ-იქით მოქანავე ხალხი. „ერი ჩემი, ხალხი ჩემი“. უმადურებიც არიან ზოგჯერ და, რაც მოსდით, სუყველაფერი მათი ბრალია, ზოგჯერ ცბიერნიც არიან და გაუტანლებიც... მსოფლიოს არც ერთ ხალხში არ არის მოცემული ადამიანის ყველა თვისება ისე, როგორც მათში, და არა მარტო ცუდი!... ბრძენი ერი. გონიერი ერი!

— ნუ სტირ, სარრა, ლია, რაქილ... ნუ სწუხთ, დედანო ჰურიათაო, აღთქმული მიწა გველის ჩვენ. შევხვდებით ქანაანში, შევხვდებით ქანაანში!

...ზღვამ კი „ყლაპ“ — და უგუნური ფარაონი თავი ეტლებიან-ჯარისკაცებიანად ჩაყლაპა და პირი მომუნა. ზღვა კვლა-

ვინდებურად მშვიდია, წყნარი... ებრაელები კი მიდიან, მიდიან იქ, სადაც აღთქმული მიწა, ღვთის მიერ მოცემული მიწა გეგულებათ. აარონ კი — შევხვდებით ქანაანში!...

II

ჩანგუ, ბეთიარ და ბზისახარ მედილიგენი არიან. სამივეს ასაკი ერთად სამოცდათხუთმეტი — ჰა, ჰა, ოთხმოცი იქნება. სამივე თბილისელია და სამთავე სიზარმაცემ მოიყვანა აქ. მართლა ზარმაცების სამუშაოა: რამდენჯერმე საჭმლის დარიგება, ხანდახან ჭუჭრუტანაში შეხედვა, სადაც ფეხსალაგი არ არის, პატიმრების გაყვანა ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად... ასეთ მომენტში, პატიმრები რომ ფეხსალაგში გაჰყავთ, თვითონ ცხვირები აქვთ აბზუებულნი, ბებიამაო, ფიქრობს კოჭლი ნასომხარი (მისი მეზობელია საკანში), ვითომ თვითონ არ დაეთრევიან იქა...

მეტი რა, მეტს რას აკეთებენ? დანარჩენ დროს ყბედობაში და ქალაღდის თამაშში კლავენ. შემდეგ კი შემცვლელნიც მოდიან და მთავრდება სამუშაო დღე.

ჩანგუც, ბეთიარიც და ბზისახარიც თბილისელები არიან, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ან არ იციან — რომელ ერს ეკუთვნიან, ან მალავენ და ამაყ სიტყვა „თბილისელს“ ეფარებიან. ისე, რა სისხლი არ ჩქეფს მათს ძარღვებში: სომხის, არაბის, სპარსის; ბზისახარს ბებია ებრაელიც კი ჰყოლია... ბეთიარია ყველაზე ბედნიერი: დედაჩემის დედა ქართველი იყო და უზომოდ იბღინძება, ჩანგუს და ბზისახარს შურთ, მაგრამ არ იმჩნევენ. თუმცა ვინ იცის, შესაძლებელია, არც იყო ქართველი და ბეთიარი ტყუის... ერთი სიტყვით, სამივე თბილისელია და თუ ვინმე ძალიან ცნობისმოყვარე ჩააცვივდება და ძირისძირობამდე მოინდომებს რომელიმე მათგანის წარმომავლობის გაგებას, ამაოდ დაშვრება:

— თბილისელი ვარ! — ბოლო სიტყვა ეს იქნება მაინც.

თბილისში სპარსელთ გარნიზონია, ისინი კი მაინც თბილისელნი არიან, თუმც სპარსელებს მსახურობენ აქ, ამ წყეულ (ექო აღარ ისმის) შენობაში.

— ჩანგუუუ! — დაიყვირებს ვინმე პატიმარი და ჭუჭრუტანაში გამოჩნდება ჩანგუს ელამი თვალნი.

— როგორ იყო, ბებიაშენს რომ ბაბუაჩემი აჭენებდა ორთაჭალის ბაღში...

ყველა იცინის, კარს იქით კი ჩანგუს ცხრასართულიანი გინება ისმის:

— დედას გიტირებ, შე არაბო, შენა!...

— აი, შენ მყავხარ-რა ბაგრატიონი! — პასუხობს „არაბი“ და კვლავ იცინიან.

ჩანგუმ კი სიბრაზისაგან ლამის თავი დაარტყა კარს და ფიქრობს, თუ რითი იძიოს შური, რა გაუფუჭოს, რით დასაჯოს...

ბეთიარი მოდის. ამშვიდებს ამხანაგს, შემდეგ თვითონაც იხედება ჭუჭრუტანაში და ხმამაღლა ამბობს:

- ნუ გაგივიდათ თავს, წესიერად იყავით, თორემ ციხის უფროსი რომ ჩამოივლის, ყველას ჯურღმულებში ჩაგყრით...

პატიმრები კი კვლავ იცინიან. მათ ჯურღმულების არ ეშინიათ. გინდ ერთი სართულითაც მაღლა ყოფილხარ, გინდ — დაბლა — მაინც პატიმარი ხარ... და ბეთიარსაც აგინებენ ქართველი დედის პატრონ დედას... კვლავ იგივე, აქ ბეთიარი ამჟღავნებს ქართული ენის უბადლო ცოდნას და ისეთი თავბრუდამხვევი გინების კორიანტელს აყენებს, რომ ნამდვილ ქართველებსაც უკვირთ — მართლა ეყოლობოდა მას ბებია ქართველი!

პატიმარი კი არც იგინება და სიცილისაგანაც თავს იკავებს, იშვიათად, ძალისძლით თუ გაიღიმებს მხოლოდ და ეს ღიმილიც მოწყალეობასავით არის, თან ხარკიცაა ერთგვარი, ციხეს და ციხის წესებს რომ უხდის. ის, როგორც ყოველთვის, მეთვალყურეა და არაფერში ერევა, ის აზროვნებს და არც ჯურღმულისკენ მიუწევს გული მაინცდამაინც.

თხა მოვიდა. მოვიდაო, ითქმის, თორემ მოფრინდა. მის ფრენასაც შეეჩვია უკვე.

— აი, ის, რაც მინდოდა, — ამბობს თხა და რაღაც ფურცლებს უჩვენებს პატიმარს.

— რა არის? — ელიმება პატიმარს რატომღაც (სულ „რაღაც“, „რატომღაც“ იმიტომ, რომ ზუსტად არაფერი არ არის და სიფრთხილეა საჭირო. მართლაც, აბა რატომ ელიმება პატიმარს? თვითონაც არ იცის, რატომღაც ელიმება).

— რა არის და, მწერალია ერთი, რამდენიმე საუკუნის შემდეგ იოანე ღვთისმეტყველზე მოთხრობა დაწერა, აპოკალიფსზე, მომავლის დღეებზე... ნაგიკითხავს?

პასუხს არც ელის, ისე იწყებს:

ომი, შიმშილი, გაჭირვება, ათასგვარი ავადმყოფობა... მაგრამ ბოლოს ერთი და იგივე უსიამოვნო ხმა, რომლის თანხლებითაც როკავენ და აქეთ-იქით იზნიქებიან... ის უსაზღვრო ცბიერება, რომელთან შედარებით ჩვენი ყველაზე დიდი ფარისევლის ცბიერება ბალღის ხუმრობადღა გამოჩნდება მხოლოდ... გარყვნილება, გარყვნილება, ბაბილონში არ აკეთებდნენ და სოდომ-გომორმა არ იცის მსგავსი. გაუტანლობა და შური, ბოროტება და ვერცხლის მსახურება, რაღაც უმაღლეს ხარისხში აყვანილი, დახვენილი ფორმებით და გამამართლებელი ფილოსოფიებით... ნილაბი, შენიღბვა — ხალხის უკეთესი მომავალი! — საბოლოო ჯამში, უაზრო სისხლისღვრა. მოძღვარი ბევრ მონაფეს კარგავს, ვინც არ დაკარგა — ნეტარ არს... ვაი, დაკარგულს!

— ვინ არის მოძღვარი? — შეანყვეტინა.

თხამ მრისხანედ გახედა, შემდეგ მონყალე სახე მიიღო და უნიჭო მონაფეს რომ აუხსნიან რამეს, ისეთი კილოთი უთხრა:

— უფალი ჩვენი, ისეო ქრისტე, შე დაბნეულო, შენა...

სისხლისფერ დრაკონსაც ვხედავ, მისი ვეება კუდის დანახვაზე ჟრუანტელი მივლის, იმდენად საზიზღარია (პატიმარსაც ჟრუანტელმა დაუარა იოანე ღვთისმეტყველივით და დრაკონის აქერცლილი (?) კუდი წარმოუდგა თვალწინ...). აი, სატანას ღვთის უწყინარი და მშვენიერი ქმნილების პირველსახის როგორი გარდაქმნა და დამახინჯება შეუძლია... და ის ასეთი შენ ხომ არ შეგიქმნია, უფალო, ვიძახი გულში და პასუხს არც ველოდები, ვიცი პასუხი. კუდით ცას სწვდება და ვარსკვლავების ნაწილს ციდან ტყაპატყუპით ყრის დედამიწაზე. მისი ყველას ეშინია, ყველა კანკალებს. მაგრამ მე ვხედავ და ვიცი — ადამიანი კი დრაკონს ვერ ხედავს, რადგან მას ნილაბი აქვს აფარებული და ლამაზი, მაგრამ გახრწნილი დიაცის სახეს ატარებს: ყველას მომღიმარი ეგებება, პირზე კოცნით, თავზე ხელის გადასმით, დაუყვავებს, ეფერება, საჩუქრებითაც იგებს გულს და

ისე შეუმჩნეველად ჰპარავს ყველაზე მთავარს — სულს, რომ ის საბრალო აზრზეც ვერ მოდის.

ყველაზე გამჭრიახთ კი უკვე დიაცის ლამაზი მკერდის მიღმა დრაკონის შავი სული დაინახეს და ამიტომ არ ტყუვდებიან. დრაკონიც უმალ იბრუნებს თავის ჭეშმარიტ სახეს და პირიდან ცეცხლის მფრქვეველი მათ შორის ყველაზე სუსტთ ყლაპავს. რა სიგიჟეა! რა ქაოსი! ბაბილონი ალბათ წესრიგისა და სიმშვიდის განსახიერება იყო ამასთან შედარებით. სამი ექვსიანი, სამი საშინელი ექვსიანი, აი, თავი და თავი ყოველგვარი უბედურების.

...ყველაზე დიდი სულიერი — სინდისი — კვდება და უხმო პროცესია უკანასკნელ გზაზე მიაცილებს. ყველა გახარებულია, რომ ამ მძიმე ხასიათის პატრონი სულისგან გათავისუფლდნენ, მაგრამ სიხარულის გამომჟღავნება არ შეიძლება და ისინიც პირმოკუმულნი და თავდახრილნი მიჰყვებიან პროცესიას ჭეშმარიტი ჭირისუფალივით. ვაი, თქვენ, ფარისეველო...

მომავლის მნიგნობრები უზარმაზარი ჩანთებით დადიან ქუჩაში და ყველგან ხაზს უსვამენ, აი, რა განათლებული ხალხი ვართო. კოდალა კი კაკ-კუკ, კაკ-კუკ, უკაკუნებს მათი თავების კარებს და პატარა ჭიაყელას მოლოდინში ნისკარტს ფართოდ ხსნის.

სწრაფად მოსიარულე რკინის ურჩხულები. დიდიდან პატარამდე ყველა სიამოვნებით ჯდება შიგ. შიგნით მყოფთ ავინწყდებათ ყველაფერი, აღარაფერი აღარ აინტერესებთ და მხოლოდ ერთი სიტყვა აკერიათ პირზე:

— წინ! წინ! წინ!

ქალები მორცხვობენ და ნელო, კრძალვით იტყვიან, მაგრამ ტყუილია, ყველაზე მეტად სწრაფად და წინ სიარული მათ უნდათ.

სადღაც, ქალაქთან ახლოს, მწვანეში, შიმშილით კვებიან პატარა ბიჭი და მისი ტანმორჩილი ბებია. ერთმანეთს უხმოდ შესცქერიან და ხანდახან თუ ძალიან დიდი ძალა დაატანეს თავს, ნაღვლიან ღიმილს გაუცვლიან ერთმანეთს... შეტრიალებული ქალი კი, ბიჭის მალულად, პატარა, ძვლებიან მუშტს გამხმარ მკერდზე დაიბაგუნებს და... ვაი, შვილო! ვაი, შვილო!

ყვავ-ყორნები ცაში წრეებს არტყამენ და ქვემოთ მყოფთ უსიამოვნოდ, ავის მომასწავებლად დასჩხავიან.

სქელ, ღიპიან ლუდის კასრს კი ვეება მბოლავი ჯოხი გაუჩრია პირში და მალალ, კოპლებიან ძალს ეთამაშება, ხორ-

ცის ნაჭერი უჭირავს ხელში და მაღლა-მაღლა სწევს... ძალიან ძალიან ხტება და ძალიან უკვირს, რომ ხორცი უფრო და უფრო შროდება მას და უფრო ზევით ადის.

ვილაც გრძელი კაცი ყვეყნით დამდგარა შუა ქუჩაში და პატარა ჯოხს გულმოდგინედ აქნევს აქეთ-იქით. ყველა რკინის ურჩხული მას ემორჩილება. და მას შესცივინებს სახეში... ისიც გახარებულია და კაცივით, საქმიანი ადამიანის სახით, ენერგიულად ატრიალებს თავის ჯოხს ზემოთ-ქვემოთ. ხანდახან ჩასტვენს კიდეც რალაცაში...

პატარა ბავშვები ვეება ჩანთებით, მოლუშული სახეებით სასწავლებლებისკენ მიეშურებიან... დედების გამოტანებულ პურსა და ყველს იქვე, სანაგვე ყუთში ტოვებენ და ხელებსაც იქვე იფერთხავენ.

თეატრიდან გამოსული გამხდარი, სათვალისანი ჩია კაცი კი ფიქრობს:

— რა კარგი და მშვენიერია სიცოცხლე!

შემდეგ ლაბაბმოკიდებულ, სქელ მეულლეს ხელს გაუყრის ხელში და ფინიასავით ადევენება. ბედნიერია, ძალიან ბედნიერი!

აგერ ვილაც ძალისსახა კაცსაც ვხედავ — მამონას მსახურს. ხვეტს და ხვეტს ოქროს, ყიდის ყველაფერს, რისი გაყიდვაც შეიძლება. მანაც შეიტყო სინდისის გარდაცვალება და ძალიან გახარებულია, თუმც თქმით სხვას ამბობს:

— რა კაცი იყო... რა კაცი დავკარგეთ...

ყველაფერზე გულგრილ ადამიანებსაც ვხედავ. არაფერი აინტერესებთ და არაფერი ეკითხებათ. მთელი სამყარო აღმდგარა ღვთის წინააღმდეგ და მათ ხორციელ თუ სულიერ ლაშქარს წინ მიუძღვის თვით ლუციფერი... საბრძოლო დროშები და ბუკის ხმა — ომია! ომი!

ისინი კი, თვალზე ცრემლმომდგარნი, მაგრამ მტკიცენი, დედამიწის ყოველ კუთხეში დაფანტულნი და ხორციელად გათითოკაცებულნი, მაგრამ სულიერად ერთიანნი და მთლიანნი — დგანან და ელიან, ელიან მის მეორე მობრძანებას, ღვთის საბოლოო და სრულ გამარჯვებას ცოდვაზე. უხმოდ იტანენ ყოველგვარ ტანჯვას, რამეთუ იციან, აღდგომისაკენ მიმავალი გზა გოლგოთაზე დევს.

შენ კი, განა შენ არ გიჭირდა გოლგოთაზე? შენ ხორციელ ბუნებას ხომ ძალიან სტკიოდა, სციოდა, სწყუროდა, შიოდა; ხომ საჭიროებდა საყრდენს, დახმარებას...

კუბოები! კუბოები! კუბოები!

მოსიარულე კუბოები, ფეხზე მდგარი კუბოები, მჯდომარე კუბოები... კუბოები მინაში, კუბოები მინის ზემოთ და... კუბოების სიმფონია — მუსიკის ქვეშ კუბოები ცეკვავენ და ცეცხლზე იხრუკებიან მატლიან-კაციანად...

თხამ დაამთავრა ნანყვეტების კითხვა.

— როგორია?

პატიმარმა ბევრი რამ ვერ გაიგო, მაგრამ მაინც თავი დაუქნია, კარგიაო.

— სამი ექვსიანი რა არის, ვერ გავიგე.

— სატანას ნიშანია, მისი რიცხვი... უფრო ზუსტად ვერ გეტყვი, თავად არ ვიცი. ისე კი, იოანე ღვთისმეტყველს უწერია სამი ექვსიანის შესახებ გამოცხადებაში...

— ვინ ხარ შენ, თხაო? — კვლავ ეკითხება პატიმარი და კვლავ უღიმის.

— ხომ გითხარი... — ამოღერლა თხამ და რატომღაც მოიწყინა.

პატიმარმა ყურს დაუწყო წვალება და თხამ ყურადღებით შეხედა... შემდეგ დაემშვიდობნენ ერთმანეთს და თხა გაფრინდა. პატიმარმა საკანს გახედა, კიდეც ერთხელ დარწმუნდა, რომ ყველა იქ მყოფი უყვარდა, თვით ყველაზე საზიზღარნიც კი. (ან რა სიტყვაა „საზიზღარი?“ როგორ შეიძლება, ეს სიტყვა იხმარო ადამიანის მისამართით?)

ჩანგუ, ბეთიარ და ბზისახარ ქალაღდს თამაშობენ, ბეთიარი უკვე საკმაოდ ბევრ ფულს აგებს.

— აგრეა, — ამბობს ბზისახარ, — ქართველებს ქალაღდში ბედი არა გაქვთ, — შემდეგ ჩანგუს შეხედავს და ორივენი ხარხარს იწყებენ.

ბეთიარი რალაცას ბურტყუნებს, თან აგებს, თან დასცინიან. ოო, ბებო, ერთი წამოგაყენა საფლავიდან, შენი ქართველობა არ სჯერათ!

— მორიგეობის შემდეგ სად დავლიოთ?

— ჩემი ფულით, არა? — განინმატდა ბეთიარი.

— შენ აგებ, ძამო, და...

— სად და მიკირტუმასთან, — ამბობს ჩანგუ და ბზისახარ თანხმობის ნიშნად, თავს აქნევს.

— კარგი ღვინო აქვს მიკირტუმას.

— კი, კარგი, კარგი.

ახლა უკვე სამთავე აქნევს თავს.

შემდეგ ერთი მათგანი დგება და რიგრიგობით შემოივლის ყველა საკანს, ყველა ჭუჭრუტანაში შეიჭვრიტება. შემდეგ უკანვე ბრუნდება და თამაშიც გრძელდება.

— წყნარად არიან?

— კი, წესრიგია.

ყველა წყნარად არის და ციხეში სანიმუშო წესრიგია გაბატონებული. პატიმარს ეკლესიის ზარების ხმა მოესმა და ბავშვივით ხარობს — ლოცვა დაიწყო ტაძარში. თვალებს ხუჭავს და ტაძარს წარმოიდგენს შიგნიდან: ოქროსფერი კანკელი და ფართოდ გახსნილი აღსავლის კარი, რომლის შიგნით ტრაპეზის ფერთა ელვარება ჭრის კაცს თვალს... აღსავლის კართანვე დგას ოქროსფერივე სამოსში დარბაისელი მოძღვარი ჭაღარაშეპარული წვერით. მარჯვნივ წმინდა გიორგის დიდი ხატი, მარცხნივ დედა ღვთისმშობლისა. გუმბათიდან კი ისევ პანტოკრატორი იცქირება მრსიხანედ, აი, ასეთი ვიქნები მეორედ მოსვლის ჟამს!

მარცხენა კედელზე იგივე იესო, ოღონდ არა მრისხანე, არამედ მორჩილი და კაცთადმი დიდი სიყვარულით აღსავსე, თავდახრილი დგას წყალში და იოანე ნათლისმცემელს მოუწოდებს, რათა წყლით გაანათლოს ძე ღვთისა... იესოს ორი სახე, მისი ჰარმონიული ერთიანობა: მოწყალე, მორჩილი და კაცთა ცოდვათა მომთმენ-მიმტევებელი; და იესო მრისხანე, განმკითხავი ცოდვილთა, რისხვა და მეუფე ზეციური იერუსალიმისა... არა წინააღმდეგობა, არა გაორება, არამედ ღვთის სიბრძნე-სიყვარულის ორნაირი გამოვლენა...

ვილაც მოხუცი ქალი დაფუსფუსებს უკვე დაცარიელებულ ტაძარში და ნაგავს ცოცხით ერთ კუთხეში აგროვებს. ლოცვა მორჩა. ორიოდ მორწმუნელა დარჩენილა ტაძარში. დაუნთებელ სანთლებს ანთებენ და ნაჩქარევად პირჯვარს იწერენ...

— შეიმუხრება პანდემონიუმი, დაინგრევა და დაიშლება!
— ჩაჰყვირა ძილ-ღვიძილში მყოფ პატიმარს ვილაცამ. თვალი გაახილა. თხა. თხა ქოშინებს და სიხარულს ვერ მალავს.

— მან, მან მითხრა ეს.

— ვინ? — უგულოდ ეკითხება პატიმარი.

— ვინ და მწერალმა, რამდენიმე საუკუნის შემდეგ რომ იქნება, ნაგიკითხე ადრე კიდევც...

— ჰო, ჰო, გამახსენდა. რა გითხრა იმ შენმა მწერალმა?

— რა და ყურადღებით მისმინე... — და თხა კითხვას იწყებს, პატიმარი კი უკვე სიცილს ძლივს იკავებს. სასაცილოა თხა, ძალიან სასაცილო და საყვარელი.

ადრე თუ გვიან გაიმარჯვებს, იცის ეს, იმედი აქვს, იმედი კი არა — რწმენა, იმიტომ, რომ ზუსტად იცის, ასე უნდა ღმერთს!

დაინგრევა და დაიშლება პანდემონიუმი, კაცთა მტერს ზეციური ცეცხლით შემუხრავს, დემონები თავშესაფრის ძიებას დაიწყებენ, რომ ღვთის რისხვას გაერიდონ, მაგრამ ამოდ... და ძლოკვები, ეს საზიზღარი ძლოკვებიც, საკუთარ სისხლში მოსრიალენი, იმედიან თვალს მიაპყრობენ კაცთა მტერს, მაგრამ მისგან ფერფლი და ნაცარი იქნება უკვე დარჩენილი... და ის, უსახელო სახელნი, დიდი დავით აღმაშენებლის მცირე და ცოდვიანი სეხნია, ქრისტეს ერთგულ სხვა რაინდებთან ერთად იქნება მახვილი მესიის და ვაი, ღმერთის, მისი ხალხის და სიკეთის მტერს... დაიღალა, მაგრამ რარიგ სასიამოვნო იყო მისთვის ეს დაღლა, ძალაც დაუბრუნდა და ღონეც.

ყველაფერი კარგად იქნება. ყველაფერი ძალიან კარგად იქნება.

— ვინ უნდა გაიმარჯვოს, რა ხდება? — უკვე აღარ ფარავს პატიმარი, რომ ვერაფერი გაიგო.

— ვინ და დავით, დავითის შვილი, ოჩოპინტრედყოფილი, დემონების ორმოში ჰყავთ და აწამებენ, მაგრამ ამოვა, უსათუოდ ამოვა ზევით და... თუმც რას გიყვები, აგერ ამ ნაწყვეტსაც მოუსმინე:

ორმოდან კი ამოვა, აუცილებლად ამოვა და ქრისტეს ერთგულ სხვა რაინდებთან ერთად ცეცხლს მისცემს პანდემონიუმს, მის წევრებს კი ღვთის რისხვას დაატეხს თავს — ახლა უკვე აქვს ამის უფლება, ან უკვე სრულად უკურთხებს უფალი მარჯვენას. ის მთლიანად განწმენდილი... და ის ებრძვის მინას,

ის ებრძვის ყველაფერს, რაც კი ორმოშია და ორმოსთან არის დაკავშირებული, რადგან მას იმედი აქვს, იმედი კი არა, რწმენა უკვე და სანამ სუნთქავს, ეს რწმენაში გადასული იმედი ბოლომდე ექნება, რომ ამოვა, აუცილებლად ამოვა და გათავისსუფლებული თავის ერსაც თავისუფლებას მოუტანს.

თხამ გამომცდელად შეხედა თვალებში. პატიმარს რალაც უნდა ეთქვა, თხის გამოხედვა ამას ნიშნავდა, პატიმარი კი ისედაც აპირებდა...

— ამოვა?

— აუცილებად! ყოველ მიზეზგარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრი არ ექნებოდა არაფერს, დავითი რომ ორმოდან ვერ ამოძვრეს... ამოვა!

პატიმარი ჩაფიქრდა, ამოიოხრა და:

— ვინ იცის!

ვინ იცისო, თქვა, მაგრამ თვითონვე არ დაიჯერა თავისი სიტყვები, პირიქით, რალაც სიხარული იგრძნო სხეულში და სიხარული თბილი კი არა, ცხელი იყო, მთელ ტანს უწვავდა, შიგნეულობას უტრიალებდა, მაგრამ მას სიამოვნებდა ეს და ვინ იცისო, ამბობდა, თუმცა თვითონაც არ სჯეროდა თავისი სიტყვების, რადგან ეს სიხარული, ეს ცეცხლი, ანთებული სხეული მას არწმუნებდა, რომ დავითი უთუოდ ამოვიდოდა ორმოდან, ამოვიდოდა, ამოვიდოდა...

თხა პატიმრის ანთებულ თვალებს უყურებდა და ხვდებოდა, მიზანი მიღწეული იყო, რადგანაც მთის წვერზე რომელიღაც ძირძველი ყინული დნებოდა და ანკარა წყლად ეშვებოდა ქვევით...

ჩანგუ, ბეთიარ და ბზისახარ მიკირტუმასთან სხედან და ღვინოს სვამენ. კარგი დუქანი აქვს მიკირტუმას. დუქნის კედლები ლატაკი ქართველი მხატვრის მოხატულია. მხატვრის თვალი ძალიან გულუბრყვილოა და ბავშვური, მის ნახატებში რალაც ზრდადაუსრულებლობა, მრგლოვანი სიკეთე იგრძნობა. მიკირტუმამ იცის, რომ ასეთი ნახატები მთვრალ ადამიანს მოსწონს და ამითაც იზიდავს მუშტარს.

მიკირტუმა სომეხია, მაგრამ დუქანი ქართულ ყაიდაზე აქვს მოწყობილი: ოდნავ მბჟუტავი სანთლები, სუფრას რომ ანათებენ მხოლოდ, დუქანში კი ბნელა; უხეში, უსწორმასწორო კედლები — ვერცხლის ხანჯალიც გულს ახალისებს.

სმა ფიალებით და გაუპრიალებელი, დაუმუშავებელი ჯიხვის ყანვებით. პურმარილიც ქართულია, საქართველოს ყოველი კუთხის საჭმელ-სასმელს წააწყდები აქ და ყველაფერი გემოვნებით და კარგად არის გაკეთებული — მიკირტუმას რჩეულ-რჩეული მზარეულები ჰყავს.

...საცივი და ჭყინტი ყველი, ელარჯი და ხაშლამა, ღორის მწვადი და ბასტურმა, ბაყის წვენი და ჩანახი, მწვანე ლობიო და ნიგვზიანი ლობიო, ჯონჯოლი და ზეთისხილი, კეცის მჭადი და შამფურგაყრილი შენითელბული წინილა, რაჭული ღორი და ჩამწვანებული ჩაქაფული, ბრონეულით დატენილი კუპატი და მთლიანად შემწვარი ხბო, შემწვარი კალმახი და წითელი თუშავი ხიზილალა, რძეში მოხარშული ციკანი და სუნელებნაცხებული გოჭი... ღვინო კი მხოლოდ კახური აქვს მიკირტუმას, მაგრამ ისეთი ღვინოა, სხვა ღვინის დაღვევა არ მოგინდება. ჯერ მშვიდად, წყნარად, მერე ერთბაშად გეტაკება, შემდეგ კი კვლავ დანყნარებული „კახური სიდარბაისლით“ გააგრძელებს გზას და პირშიც რალაც მწკლარტე, მაგრამ სასიამოვნო გემოს ტოვებს.

მაგიდები დაბალი და სკამებიც პატარა, ხისგან გამოთლილი სამფეხები. მორიგეობას კი უკვე რამდენი ხანია მორჩნენ და ჩანგუ, ბზისახარ და ბეთიარი ქართულ საუბრებში ეჯიბრებიან ერთერთს... იღვრება და დნება ტკბილი სადღეგრძელოები, გული სუსტდება ამდენი მოფერებით და ყურადღება აღუნდება ამდენი ყურადღებით.

...და უცებ, ბეთიარ ფიალას ივსებს, თამადას არ ეკითხება, ისე ამბობს:

— ეს ჩვენს პატიმრებს გაუმარჯოს! განსაკუთრებით იმათ გაუმარჯოს, რომლებიც საქმისთვის ზიან...

ბზისახარ და ჩანგუ გაკვირვებით შეხედავენ ერთმანეთს, შემდეგ მეზობელ მაგიდებს გადახედავენ, ვინმემ ხომ არ გაიგოო. ბეთიარი კი ფიალას იყუდებს და ერთბაშად სვამს... ბეთიარს ბებია ჰყავდა ქართველი!

ოკუპანტები კი დადიან ქალაქში მოხრილი ხმლებით და თავზე ჩალმებით, უტიფარი ღიმილითა და გამომწვევი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ ყველაფერს და ძალიან უხარიათ:

უხარიათ: რომ არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მოჰამედია წინასწარმეტყველი მისი;

უხარიათ: რომ მუსულმანნი არიან და „ჭეშმარიტი“ ღმერთი შეიცნეს;

უხარიათ: რომ ალაჰმა გამარჯვება მისცა გიაურებზე და ან მათ დედაქალაქში ბატონ-პატრონად გრძნობენ თავს;

უხარიათ: ბევრი რამ, ბევრი რამ უხარიათ...

მოღალატე ქართველებსაც უხარიათ, მაგრამ თან ეშინიათ...

ეშინიათ: არ შეიძლება, რომ ასე იყოს ყოველთვის და ძველებურად გაგრძელებაც შეუძლებელია;

ეშინიათ: რომ ადრე თუ გვიან პასუხს მოსთხოვენ და თითოეული ერის მოღალატე შესაძლოა, დიდ ხეზე თოკით ჩამოკიდონ;

ეშინიათ: რომ შვილები, რომლებსაც უკვე არ სურთ, მამის მსგავსად ღალატის გზას დაადგინენ, აუმხედრდებიან და მათი „გაკვალული“ ბინძური გზით არ ივლიან... და, საერთოდ, ეშინიათ!

ნამდვილი ქართველობა კი თივის ზვინში შემალულ ხმალ-ხანჯალს ყოველნამს დაჰხედავს ხოლმე: „არ დაიკარგოს, არ დაჟანგდეს, პატრონი არ დაავიწყდეს...“ ქართველობა ხმალს ღესავს.

„ქართველნო, ხელი ხმალს იკარ...“ — მათი ჰიმნია და მათ არაფრის ეშინიათ.

არ ეშინიათ: რომ შესაძლოა, დააპატიმრონ და დიდი ხნით მოსწყვიტონ საყვარელ ოჯახს, საყვარელ ადამიანებს, მშობლიურ გარემოს, თავისუფლებას...

არ ეშინიათ: რომ გამძვინვარებულმა როსტომმა შესაძლოა თავებიც მოაჭრას და მზეთასნორ შაჰს გაუგზავნოს საჩუქრად.

არ ეშინიათ: რომ მცნებებისა და სიტყვების შეტრიალების საუკუნეში მათ, ქართველ პატრიოტებს, ქართველი მოღალატენი მოღალატეებს უწოდებენ, ხოლო სპარსნი კი პაპის პროპაგანდასაყოლილ დაბნეულ, ერთეულ სულებს...

მათ არაფრის არ ეშინიათ, თვინიერ ღვთისა.

„უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისა, შენ შეგვიწყალე ჩვენ ცოდვილნი და შენ აკურთხე საქმენი ჩვენი!“ — ამბობენ ისინი და იბრძვიან.

მოღალატე როსტომ მეფე კი თრიაქს ეწევა სასახლეში, მუსულმანურ ყაიდაზე აქვს ფეხები მორთხმული და მლიქვნელი

კარისკაცების ტკბილსიცივაობით ხარობს. რასაცა შევჭამთ, ჩვენია, რაც არა, დაკარგულია! ღმერთი არ სწამს როსტომს და არც მის ამაღას. ქრისტიანობა, გარკვეული მოსაზრებების გამო, შეცვალეს მუსულმანობით, მუსულმანობა კი გარკვეული მიზეზების გამო მიიღეს და არიან ასე — არც ქრისტიანნი, არც მუსულმანნი და საერთოდ, არარანი, არაფერნი — „რასაცა შევჭამთ, ჩვენია...“

— მოასწარით!, მოასწარით! თორემ ჩამოჰკრა საათმა, უამი არს... დადგა დრო!

ნიურნბერგი! ნიურნბერგი! ნიურნბერგი!

ძრწოდეთ, კაცისმკვლელნო, ფარისეველნო, მოღალატენო, ჯალათნო, უგუნურნო... ძრწოდე შენ, უღმერთო და უერო ბრბო!

მოსეს ნათელი ადგას თავზე. სინას მთიდან მცნებები ჩამოუტანა მან ხალხს. „აი, ასე იცხოვრებთ, აი, ამ მცნებას დაიცავთ!“

ხალხი თვალს ვერ უსწორებს მოსეს:

— ეს რა აქვს თავზე?

— ღმერთი არს შენთან, ძმაო! — ეუბნება გაკვირვებული აარონ.

— ჩვენთან, ჩვენთან! — და მოსე თვალს ავლებს ხალხს.

მოსე ერთიანია, მთლიანი, განუყოფელი. ბოლო მოეღო ჭიდილს, ორთაბრძოლას, გაორებას... და მან ეს ვერ შეამჩნია. ვერ შეამჩნია იმიტომ, რომ თავად კი არ ისწრაფოდა ამ ერთიანობისკენ და თვით კი არ გაიარა ეს გზა (მოსე ასე ფიქრობს), არამედ ღმერთმა აჩუქა, ღმერთმა შეაძლებინა (ჭადრაკის ფიგურას იღებენ ერთი უჯრიდან და დებენ მეორეზე). „რა კარგია! რა სიხარულია! რა ძალაა!“ ფიქრობს გაკვირვებული მოსე და ღმერთს მადლობას ეუბნება — „ასე მთლიანი უნდა იყოს თითოეული ადამიანი, თითოეული ერი და მაშინ ბოროტი ვერაფერს გახდება!“

სტალკერია მოსე, მაგრამ მოსემ ეს არ იცის, ეს შემდეგ ეცოდინებათ, ძალიან შემდეგ.

უკან არს ცოდვანი, წყეული ქვეყანა, წინ კი აღთქმული მიწა, წინ იერუსალიმია!

„აღაშენე, უფალო, ზღუდენი იერუსალიმისა“, — იტყვის შემდეგ დავით წინასწარმეტყველი და მოსემ არც ეს იცის — შემდეგ ეცოდინებოდათ ეს, კარგა ხნის შემდეგ.

მოსეს ახლა ვერც წარმოუდგენია, თუ როგორ ცხოვრობდა ადრე; მარტო, ჩაკეტილი, თავისთვის... როგორ არ ფიქრობდა ამ ხალხზე, თავის ხალხზე? როგორ არ ახსოვდა ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ნებისმიერ ცხვრის ფარას წინ ერკემალი უნდა მიუძღოდეს, ერკემალი სჭირდება... თვითმარქვია ერკემალი თვითონაც გადაიჩეხება და ფარასაც გადაჩეხავს, მაგრამ ღვთისაგან ვინც არის (მოსემ იცის უკვე, რომ თვითონ ღვთისაგან არის), მან ბოლომდე, ფარეხამდე უნდა მიიყვანოს ცხვრის ფარა და მწყემსსაც უკლებვლივ უნდა ჩააბაროს.

— ვინ ხარ, შენ, თხაო?

თხა ჩაფიქრდა, თავი ასწია და ჭკვიანი თვალები პატიმარს შეანათა:

— ცხენი ვიყავი მე, თეთრი ცხენი!

პატიმარი რალაცას ხვდებოდა, ძალიან ნელა, ნელ-ნელა, მაგრამ რალაცას ხვდებოდა. თხის თვალებიც ახლა აღიქვა და მიხვდა — თხას დიდი, ლამაზი, ცხენისნაირი თვალები ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი მაინც... როგორ?...

— როგორ თუ ცხენი?

— ლამაზი, თეთრი ცხენი, ზღაპრებში რაში რომ ჰქვია. ცოტნეც მე მივიყვანე კობტასთავში და სხვაც ბევრი... — თხას ცრემლები მოადგა თვალზე, — ახლა კი თხა ვარ, გესმის, თხა!

პატიმარი შეჰყურებდა ცხენყოფილს და, უკვე გარკვეული, აზრზე მოსული და ყველაფერს მიმხვდარი, კანკალს აეტანა. აცივდაო. მაგრამ ეს სიცივის არ იყო და, საერთოდ, არ იცის, რის გამო იყო... პატიმარს აკანკალებდა...

III

თხამ ამჯერადც გაიყვანა ქალქში — თბილისი მოგენატრებოდაო. მოენატრა და თან როგორ? ხარბად ყლაპავდა თავისუფლების ჰაერს და ნაცნობ სახლებს ძველი მეგობარივით უღიმოდა.

ისე ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ ვილაც სპარს ჯარისკაცს კინალამ ეცა და აკოცა: რა ამის ბრალია, აქ რომ არისო. ამასაც ეყოლება ცოლ-შვილიო, ექნება სახლ-კარი, ვენახი. არა, ვენახი არა, რა უნდა სპარსეთში ვენახსო (აპატიეთ, აქ გული აერია უხერხემლო ჰუმანიზმზე).

— დღეს შენ წარმოუდგენელ რამეს ნახავ!

— რას? — დაინტერესდა პატიმარი.

— აიღე, — და თხამ ფურცელი გაუწოდა.

პატიმარმა ხარბად დაიწყო კითხვა და გაურკვევლობის ის ნაცნობი გრძნობდა დაეუფლა, როცა თან ესმის და თან აზრზე ვერ მოდის.

ცხოველთა კლუბის წარმოუდგენელი და განსაცვიფრებელი პროგრამა:

1. „რანი ვიყავით“ — მომხსენებელი თხა.

2. „რანი ვართ“ — მომხსენებელი ყვავი.

3. „რა დავკარგეთ, თან როგორ“ — მომხსენებელი ფინია ძაღლი.
მომხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. სალამოს უმასპინძლებს ცხოველთა კლუბის მუდმივი დიასახლისი ბებია ვასასი.

სასმელ-საჭმელი უფასო, მსურველები მიიღებენ თრიაქსაც. სალამოზე დაიშვებიან მხოლოდ გულდამწვრები!

გელით! გელით! გელით!

კლუბის დირექცია

— პირველი მომხსენებელი მე ვარ! — შესცინა თხამ სახეში.

— კარგი, ძალიან კარგი, — თქვა პატიმარმა, თუმცა სრულე-ბით არ იცოდა და არ ესმოდა, რა იყო „კარგი“.

სალამომდე დრო რომ მოეკლათ, გაიარ-გამოიარეს თბილისის ქუჩებში, პატიმარმა ძველი, ბედნიერი დღეები გაიხსენა, დღეები, რომლებიც ისტორიის კუთვნილებადა იყო მხოლოდ, თუმცა არა, პატიმრისაც (ეს დღეები პატიმრის კუთვნილებადაც იყო და ამ საუნჯეს იგი არავის დაუთმობდა).

მეხსიერება. დემონი დამჯდარა და ფიქრობს. სურს, ისეთი მანქანა გამოიგონოს, კაცს რომ მეხსიერებას დააკარგვინებს — არ ემახსოვრება წარსული, არ ეცოდინება გუშინდელი დღე... მავნეა მეხსიერება, საშიში. როსტომ მეფე და მისი მბრძანებელი შაჰიც ოქროთი აავსებენ მას, ვინც ასეთ მანქანას გამოიგონებს. სინდისს კიდევ მოითმენს კაცი (თუმცა ესეც კარგი რამაა), მაგრამ მეხსიერება? ის ხომ რყვნის, აფუჭებს, ათახსირებს... მუშაობენ ამ მანქანაზეო! მანქანა-მანქანები-სა-

ტანა! ეშმაკი კვანტს უღებს ადამიანს და თან იცინის, ხერხით გაჯობეო, ხერხით გაჯობეო...

— აი, ჩვენი კლუბიც! — და თხამ რუხ შენობაზე მიუთითა.

პატიმარს ასეთი სახლი არც ჰქონდა ჯერ ნანახი და არც წარმოედგინა, თუ ასეთი შენობა თბილისში იქნებოდა: დეფორმირებული კედლები, პიზის კოშკივით ოდნავ დახრილი, თითქოს საცაა წელში გადატყდებო, ექვსსართულიანი...

— ასეთ სახლებს რამდენიმე საუკუნის შემდეგ ააშენებენ, შენ კი დღეს ნახე... ხედავ, როგორ გიმართლებს?

პატიმარმა თავი დაუქნია, კიო.

შევიდნენ.

შევიდნენ და პატიმარს გული შეეკუმშა. გაურკვეველობამ და მოულოდნელობამაც იცის ეს — ამდენი ცხოველი ერთად არასდროს ენახა.

ყველანი ისხდნენ, საუბრობდნენ (?!), ფინჯან ჩაის (ყავააო, აუხსნა შემდეგ თხამ) სვამდნენ, კამათობდნენ... თხის გამოჩენას ტაშისცემით შეხვდნენ.

შემდეგ ბებია ვასასიც გამობადუნდა, ოთხმოციოდე წლის დაპრანჭული დედაბერი, ძუძუები ლამის მუხლების თავებამდე ეკიდა, მეჭეჭიანი ვეება ცხვირი კი თითოეულ სიტყვაზე აქეთ-იქით ირხეოდა და მნახველს პანიკაში აგდებდა — არიქა, უშველეთ, არ ჩამოვარდესო. მახინჯი, მაგრამ კეთილი ქალი იყო ვასასი.

— გულდამწვარია? — დაიჩლიფინა მოხუცმა.

— თან როგორი! — ამაყად მიუგო თხამ. — მაგრამ ბევრი რამ აკლია...

— შეიძენს, შეიძენს... — კვლავ დაიჩლიფინა მოხუცმა და კვლავ სადღაც გაბადუნდა... ცოტა ხანში კი საღამოც გაიხსნა.

პირველი მომხსენებელი თხა იყო და ისიც ჩვეული ენერგიით, მგზნებარებით შეუდგა საქმეს.

— რანი ვიყავით, ძმებო და დებო, რანი, ხომ გახსოვთ? მე ჩემს თავზე არ ვილაპარაკებ, უხერხულია, მაგრამ აი, შენ, ღორო, ბინძურო ღორო (კი არ გენყინოს), გახსოვს, რა ტახი იყავი? რა ლამაზი, რა ტანსრული. ან კოპლები როგორ გიხდებოდა. საქართველოს მეფეს საიდან უნდა ჩამოსვლოდა სტუმარი, რომ შენზე სანადიროდ არ წაეყვანა. შენით ამაყო-

და და შენით მოჰქონდა თავი. ახლა კი ვინ ხარ? ბინძური ღორი (არ გენყინოს, ხომ იცი...), ნევხარ ტლაპოში და ღრუტუნებ. იმიტომ, რომ შენც იცი, ბინძური რომ ხარ და საცოდავი... ვინ აღარ გირტყამს გულში დანას. ჯამ-ჭურჭლის ყოველ გარახუნებაზე შენ უნდა დაგკლან, შე უბედურო, შენა...

ღორი აქსუტუნდა და ცრემლიანი თვალები დამალა.

ან შენ, ვითომ რქოსანო პირუტყვო, ან რქამელოტო, რქები რომ არ შეგრჩენია თავზე და თმებივით რომ გაგცვენია... გახსოვს, რა კამეჩი იყავი, მტერს როგორ უბრმავებდი თვალს? ახლა კი გამხდარი ძროხა ხარ და რძესაც ვერ იძლევი ხეირიანად და დღე-დღეზე შენც მოუსავლეთისკენ გაგისტუმრებს პატრონი. ადრე კი, ადრე... ადრე შეგაბამდა გამრჯე ქართველი გლეხი უღელში და მშობელ მინას გახვნევენებდა. შენც კმაყოფილი იყავი და ისიც.

ფინია ძაღლო, შე უბედურო, ჯიბეში რომ ჩაეტევი კაცს, ის თუ გახსოვს, რამხელა იყავი, როგორ ეშინოდათ შენი, მეცხვარე ძაღლიაო. ვინ მიბედავდა შენი შიშით ცხვართან ახლოს... ახლა კი ცვედანი მამაკაცებისა და გაუთხოვარი ქალების სათამაშო თოჯინა ხარ, შეგაბამენ ყელზე ბაფთას და დაგაპორნიალებენ აქეთ-იქით.

ყვავო, შენზე რა ვთქვა? შენი ხმა ვის არ გვახსოვს, ვის არ მოგვისმენია. ინდოეთიდანაც კი მოდიოდნენ შენ მოსასმენად, საქართველოში ასეთი და ასეთი ბულბულიაო, ახლა კი?..

ან შენ, ბელურავ, სიცივეში რომ თრთი და მოხუცი კაცების გადმოყრილი პურის ნაფშვენებით რომ იკვებები, ყველაფრის რომ შენ გეშინია და ყოველ გაფაჩუნებაზე რომ იცი ზევით აფრენა, თუ გახსოვს, არწივი რომ იყავი, თუ გახსოვს, დაჭრილი რომ გნახა ვაჟამ, რა ლექსი დაგინერა?

ანდა შენ, კუ, შენი სისწრაფე და საზრიანობა ყველას გვაკვირვებდა. კურდღელი ბევრი გვენახა, მაგრამ შენაირი არა. ერთი სიამოვნება იყო შენზე ნადირობა, ან კი ძლივს დალოღავ და როგორც გავიგე, ამ საღამოზე რომ მოხვედრილიყავი, თურმე სამი კვირის წინ გამოსუხლარ სახლიდან... — კუმ დაიმორცხვა, თან გაუკვირდა, საიდან გაიგო ეს?

რომელი ერთი ჩამოვთვალო, ვინდა დავასახელო?

ჩვენო ტკბილო და თბილო ბებია ვასასი, თუ გახსოვს, დიანა რომ გერქვა სახელად და ამ მწარე „ბებია ვასასის“ რომ არ გეძახდით? თუ გახსოვს ის დღე, შენი მშვენიერებით მოხიზლული აქტიონი შენ შიშველ, უნაკლო სილამაზეს მალულად რომ სჭვრეტდა, რის გულისთვისაც შენ ის დასაჯე? თუ გახსოვს, ყველანი როგორ ვცხოვრობდით ერთად, თავისუფლად, იქ, ტყეში? შენ იყავი ჩვენი ლამაზი და საყვარელი დედა, ჩვენი მარად ახალგაზრდა და ნორჩი მფარველი... ან კი საყვარელი კვლავინდებურად, მაგრამ ლამაზი? ახალგაზრდა?... ოო, არა, არა, სამწუხაროდ, არა!

ვასასი-დიანაც აცრემლდა, თხა კი მონოლოგს ამთავრებდა უკვე: ყველაზე საშინელი კი ის არის, რომ მტერმა, ბოროტმა ძალამ არა მარტო ფიზიკურად დაგვაძაბინა, არამედ სულიერადაც გაგვხრწნა და გადაგვაგვარა... თუგინდ ეს რად ღირს, პროგრამაში რომ წერია თრიაქზე. აი, საიდან შემოიჭრა ცოდვა, საიდან გვიტევს. გულდამწვრები ხართ, ბოროტებას ვერ იტანთ, მაგრამ ზოგჯერ, თუ არა ხშირად, ვერ ემიჯნებით ბოროტს და, ნებსით თუ უნებლიეთ, მისი მონები, ცოდვების თანაზიარი ხდებით.

მე მარტო თრიაქზე არ მაქვს ახლა ლაპარაკი, საერთოდ ვამბობ და ყველამ თავის გულში ჩაიხედოს, თავის თავს ჰკითხოს, ფიზიკურად სახეშეცვლილი სულიერადაც ხომ არ შეცვლილა და გადაგვარების გზას ხომ არ ადგას?

ტაშმა ერთბაშად იხუვლა, პატიმარი მთელი ძალით ურტყამდა ხელისგულებს ერთმანეთს და ბავშვივით ხარობდა. „საკუთარ თავსაც კი გადააჭარბა...“ „ბრწყინვალე, ბრწყინვალე!“ (თუმცა გულში იმასაც აღნიშნავდა, თხამ თავის თემას გადაუხვია და მეორე მოხსენებაც თვითონვე წაიკითხა).

თხამ მდაბლად დაუკრა თავი პუბლიკას და თავის ადგილზე, პატიმრის გვერდით დაჯდა.

მეორე მომხსენებელი ყვავი იყო, ბულბულყოფილი. თავისი სიტყვა მან ასე დაიწყო:

‘ჩარტჰაგინემ ესსე დელენდამ!’ — კართაგენი უნდა დაინგრესო. შემდეგ ბოროტება დაახასიათა და აღნიშნა, როგორც კართაგენი, ასევე ეს ახალი ბაბილონი უნდა დაინგრეს და დაი-

ქცესო, შემდეგ მინას მარილი უნდა დავაყაროთ, რომ ბოროტის ნასახლარზე ყვავილებმაც არ იხაროსო.

მიმბაძველთა მონურ ბრობსაც გადასწვდა — „შერვუმ პეცუს იმიტატორუმ“ — მაგ მათხოვრები, მაგენიო. მაგათ რა უჭირთ — ყვავი ბულბულობს, მე ვიკითხო, ბულბუღმა, ყვავი რომ გავხდითო. გაყიდეს ყველაფერი, სინდისი აღარ შერჩენიათო. ძალზე გულმოსულად ლაპარაკობდა, ძალიან გამწარებული იყო. შემდეგ ისიც მიაყოლა, ერთად უნდა ვიბრძოლოთო ბოროტების წინააღმდეგ! მე კი სიმართლეს ყველაგან და ყოველთვის ვიტყვი, თუგინდა, თავი მომჭრანო. რანი ვართ და მათხოვრები, მშიშრები და მონებიო... სიტყვა ლათინურადვე, გამოთქმით განასრულა: „იხი ეტ საღვაფი ანიმამ მეამ!“ — მე, ბატონო, სიმართლე ვთქვი და ამით ვიხსენი ჩემი სული, დანარჩენი თქვენზეა, თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამო, მოუთარგმნა გლეხურად... ისიც ტაშისცემით მიაცილეს თავის სკამამდე და ყვავიც ამაყად დაჯდა, შემდეგ კი მონყალე მზერა მოავლო დარბაზს: კარგია, ვასო, კარგი! — ყვავის პირობაზე, მართლაც კარგი იყო.

შემდეგ ფინია ძალღი ანკმუტუნდა და დაიწყო თავისი მოხსენება თემაზე თუ „რა დავკარგეთ, თან — როგორ“.

ყველაფერი დავკარგეთო, სინდისი, ნამუსი, ღირსებაო... თავისუფლება დავკარგეთო და სახეც დავგვეკარგაო. თხამ მართალი ბრძანა, მარტო ფიზიკურად კი არ დავმახინჯდით, სულიერადაც გავიხრწენითო... შემდეგ ის ახსნა, თუ როგორ დავკარგეთო. როგორო და ამპარტავენებამ, ჩვენმა ცოდვებმა დავკარგვინა ყველაფერიო, ჩვენმა გულუბრყვილობამ და მიმდობლობამო. მტერს სახლის კარი ფართოდ გავუღეთ და შინ შემოვიყვანეთო, ერთმანეთის გატანა და სიყვარული არ გვექონდა, სოლიდარობა გვაკლდა და ა.შ. და ა.შ.

ფინია ძალღი წკავნკავით ჯდებოდა სკამზე, დარბაზი კი კვლავ ტაშს უკრავდა — მისი სიტყვაც შთამბეჭდავი და ძლიერი იყო, კამათიც მალე მორჩა და მცირე შესვენება გამოაცხადეს.

...შემდეგ დაიწყო ღრეობა. ღრეობა და რა ღრეობა!

აღბათ, ლუკუღუსი საფლავში ტრიალებდა და ვენებს იჭამდა, ასეთი ქეიფი მე როგორ არ ვიცოდითო.

ჯერ თითქოს იკავებდნენ თავს, მაგრამ ცოტათი რომ შეთვრნენ, შემდეგ აიშვეს. იგინებოდნენ, ველურებივით ხარხ-

არებდნენ, ამტვრევდნენ ქიქებს, შემდეგ მაგიდაც გადაატრია-
ლეს... ერთი-ორმა არწყია კიდეც და საკუთარ ნარწყევშივე
ამოუშვა ხვრინვა, ზოგი თრიაქს მიეძალა და გამობენტერებუ-
ლი პირდაპირ იატაკზე ჩაჯდა.

„მამრი-ტაიფუნები“ კი მდებრთა ზევით, ოთახებში, ატყუე-
ბას ლამობდნენ. დადიოდა ბებია ვასასი და მოთქვამდა:

„დავიღუპეთ, დავიქეცით!“

პატიმარს ცოტა კი გაუკვირდა მათი ასეთი ქცევა, თან
შენიშნა, თხა არც სვამდა, არც თრიაქს იკარებდა პირში და
ნალვლიანი თვალებით იყურებოდა სივრცეში.

პატიმარს წასვლა მოუნდა, მაგრამ თხამ დაასწრო, თვალეხი
ისევ სივრცეში რალაცისთვის ჰქონდა გაშტერებული და უთხრა:

— ესენი გულდამწვარნი, მაგრამ შეგუებულნი და შერყეულნი
არიან, მე კი არა, არ შევეგუები, მე ცხენი ვიყავი, თეთრი ცხენი,
ჩემზე ცოტნე იჯდა, დადიანი, და ამხანაგების დასახმარებლადაც
ჩემზე ამხედრებული მივიდა... ჩვენ არ შევეგუებით, ხომ ასეა?...

— და გაუღიმა პატიმარს. პატიმარმაც გაუღიმა და მიხვდა, რომ
მართლა, მართლა ძალიან-ძალიან უყვარდა ეს თხა, უფრო სწო-
რად, რაში და მის გარეშე უკვე არსებობას ვერ შეძლებდა.

შემდეგ თხამ ხელი (?) გადახვია და ყურში ჩასჩურჩულა:

— წავედით აქედან, ჩვენ აქ უკვე საქმე აღარ გვაქვს.

ჩუმად, გამოუმშვიდობებლად გამოვიდნენ გარეთ და თხამ
შეახსენა, რომ უკვე დაბრუნების დრო იყო — მას საპყრობ-
ილეში ელოდნენ.

— ყველას თავის ჯვარი აქვს, ჩემო პატიმარო, და შენც შენი
ჯვარი ბოლომდე უნდა ათრიო ზურგით...

— მესმის, — და კვლავ ერთმანეთს გაუღიმეს. უკვე ესმოდა
პატიმარს თხის, უკვე იცნობდა მას, ხოლო სიყვარულით, აღ-
ბათ, პირველი თუ არა, მეორე შეხვედრიდან უკვე უყვარდა,
თუმც ბოლო ხანს მიხვდა ამას.

უკვე ბნელა და ნახევარმთვარეც ციხის სახურავზე კოხ-
ტად, საყვარლად არის წამოსკუპებული. პატიმარი უკვე თავის
საკანშია, თავის პატიმრებთან ერთად და ფიქრობს, დღევან-
დელ დღეზე ფიქრობს.

ხმაური. ჩხუბი. პატიმარი დგება და აშველებს მოჩხუბართ. შემ-
დეგ კვლავ ფიქრი: ჩაერია, საქმეში ჩაერია. მიხვდა, თუ საჭირო

გახდა, მისი დაცვაც უნდა შეგეძლოს... ამას გვასწავლიდა ქრისტე. კი, მაგრამ საიდან იცის მან, თუ რას გვასწავლიდა ქრისტე? რალაც უცნაური ამბები ხდება მის თავს — არ იცოდა და იცის, ვერ ხვდებოდა და მიხვდა... თავისით? რალაცაშია საქმე. რაში? რაში, რაში, თხა რაში ყოფილა ადრე, ზღაპრული რაში.

მეთვალყურეობა ყველას შეუძლია, მან კი სიკეთისთვის უნდა იბრძოლოს. ის ჯვაროსანია, კი, კი ჯვაროსანი. ახლა მოუვიდა ეს აზრი თავში და საოცრად მოეწონა — ჯვაროსანი, ჯვაროსანი...

„განსაკუთრებული იერუსალემი“ — ამოტივტივდა გონებაში ბავშვობაში ნაკითხული რომელიღაც წიგნიდან ეს ორი სიტყვა — „გათავისუფლებული იერუსალემი“.

„იერუსალემი ერშალაიმია, მგონი, ებრაულად“, — ფიქრობს პატიმარი და გრძნობს, ძილი ეკიდება. ყურს კიდევ ერთხელ აუსვ-ჩამოუსვამს თითს და ძილს ნებდება, გვიანაა უკვე, თანაც დღეს რამდენი განიცადა, რა დღე იყო...

დიდი ებრაელი კი განრისხებულია. მან მცნებები ჩამოუტანა მთიდან, ღვთის აღთქმას აზიარა, ჭეშმარიტება დაანახვა, ისინი კი კერპთაყვანისმცემლობისკენ იხრებიან (გოჭის თავს სუფრის თავში დებენ, მას კი ტლაპოსკენ უჭირავს თვალიო, გაიფიქრა პატიმარმა).

მოსე მრისხანებს და ღვთის ცეცხლით ემუქრება დაბნეულთ. ხალხი მართლაც რომ ცხვარია, ნამდვილი ცხვარი...

ღმერთი მოგცემთ ქანაანს, დაგასახლებთ, გაგამრავლებთ; გამარჯვებას მოგაპოვებინებთ მტერზე... გავა ხანი, ებრაელობა გამრავლება, როგორც ქვიშა — უდაბნოში, მარგამ ორჯერ უფრო მეტად გამრავლება ცოდვა თქვენი. თქვენი შვილები კერპთაყვანისმცემელთა ქალებს მოგიყვანენ ცოლებად და სახლში კერპებსაც გაიჩინენ, თქვენი ბრბო ღვთის გამოგზავნილ წინასწარმეტყველებს ქვებით გაუმასპინძლდება და ჩაქოლავს, თქვენი რწმენა ყველაზე საიმედო ნავსაყუდელს — გულს — დატოვებს და გარეგნულ მსახურებადლა იქცევა, გაამპარტავნდება ერი თქვენი და დაივიწყებს შემოქმედს, დაივიწყებს მას, ვინც ის ეგვიპტიდან გამოიყვანა, ვინც მას მიწა უბოძა.

...და რა იხილავს ღმერთი თქვენს ცოდვებს, თქვენს უმადურობასა და სულმოკლეობას, შეგრისხავთ და აიღებს თავის

მარჯვენას თქვენზე, შეგაქცევთ ზურგს და წაგასწრებთ მტერი მფარველის, შემწის გარეშე — მოგდგებათ და ქვას ქვაზე არ დატოვებს იზრაელში.

ღმერთი შეგიქმნით იზრაელს, მაგრამ ღმერთივე წაგართმევთ იმით, რომ გაჭირვებაში აღარ დაგეხმარებათ და თქვენს სამეფოს წარმართნი დააქცევენ და გაიყოფენ.

გამოხდება ხანი. მზე ამოვა და ჩავა. თაობა თაობას შეცვლის და ზღვის მრავალი ტალღაც მოასკდება თქვენს მიწას... განიზნევით და განიფანტებით მთელ ქვეყანაზე, ჭიანჭველებით მოედებით ქვეყნიერებას და აღარ გექნებათ არაფერი, რაც ერს სჭირდება: არც სამეფო, არც ერთიანი ცხოვრება, არც ერთიანი სულიერი სიმდიდრე, არც ერთიანი მიზანი, ენასაც კი დაივინყებთ მშობლიურს და იმ ქვეყნის ენაზე დაინყებთ საუბარს და იმ ქვეყნის ენას გაიხდით მშობლიურად, სადაც იცხოვრებთ და იმოღვაწეებთ.

...თქვენი ბრმა თვალი ვერც ხორცშესხმულ ჭეშმარიტებას იხილავს, პირიქით, ამ ჭეშმარიტებას დევნას დაუწყებთ და მისი სისხლითაც გაისვრით ხელებს...

აღდგება ყოველი ერი და ყოველი ხალხი თქვენზე, ყველა თავს მოვალედ ჩათვლის, რომ ერთი ურია მაინც მოაკვდინოს, თქვენგან ერთს მაინც მიაყენოს ზიანი... არ დაინდობენ არც ქალებს თქვენსას, არც ბავშვებს და მრავალი, მრავალი თქვენგანი საშინელი ტანჯვით და წამებით ჰპოვებს აღსასრულს... მაგრამ! მაგრამ ბოლოს, სულ ბოლოს ღმერთი გაიხსენებს, რომ თქვენ ხართ ერი მისი და ის არის ღმერთი თქვენი, ღმერთი მაინც მოწყალე თვალთ გადმოგხედავთ და აღდგება იზრაელი, აღდგება თვალისმომჭრელი ბრწყინვალეებით, დიადი ძალით... ღმერთი კვლავ შეგკრებთ გაფანტულთ, კვლავ წაართმევს ურწმუნოთ აღთქმულ მიწას და თქვენთვის გამოიმეტებს... რომ ბოლოს, სულ ბოლოს მართალნი წარდგეთ ღვთის წინაშე, რომ მოგენიჭოთ სიცოცხლე საუკუნო... ერო ჩემო და ხალხო ჩემო, მე მიყვარხართ თქვენ, მაგრამ რა არის ჩემი სიყვარული ღვთის სიყვარულთან შედარებით, ამიტომ მოითმინეთ და ყოველი უბედურება, ყოველი ტანჯვა მიიღეთ უდრტვინველად, მშვიდად და იმის შეგნებით, რომ ეს არის საზღაური თქვენი ცოდ-

ვების, ეს არის საშუალება თქვენი განწმენდის და ცხოვნების...
ერო ჩემო, ხალხო ჩემო...

მოსეს ცრემლები გადმოუგორდა თვალთაგან და ლოყები დაუსველდა. ერთი-ორი წვეთი წვერშიაც ჩაიპარა და მთელი სახე განწმინდა ამ სუფთა ცრემლმა, ამ სიყვარულის ცრემლმა, ცოდნის ცრემლმა... შემდეგ მოსე შეტრიალდა და დინჯი, ამაყი ნაბიჯებით გაშორდა პირდაღებულ ბრბოს:

— ჯუზეპე! ჯუზეპე! — ყვიროდა ვილაც ქალი და ლამაზ, ბრიალათვალებიან ბიჭს მოჩხუბარი ბავშვების ჯგუფში ეძებდა.

გავა დროს და ეს ბიჭი იტალიის უგვირგვინო მეფე გახდება, ალბათ, მისი ყველაზე თავდადებული, უანგარო პატრიოტი. გავა დრო და უკვე კაცს, ყოველთვის ემახსოვრება დედის ეს — ჯუზეპე! ჯუზეპე!

ნოსტალჯია!

იტალიელები ასე გამოთქვამენ ნოსტალგიას და ამ ერთ ჯში ჩაქსოვილია სევდა ძველ რომზე... იგულისხმება ამაყი და უდარდელი გამოთქმა — „არა უშავს, დღესაც მაგრები ვართ“ და... შეიგრძნობოდა იტალიური ენის კეთილზმოვანება.

იტალიელი იტალიაშიც ემიგრანტად გრძნობს თავს — მისი სამშობლო ძველი რომია!.. ის კი ორგზის ემიგრანტი იყო! ორ-მაგი ემიგრანტი... როგორ შეიძლება სხვანაირად ითქვას? იტალიაში იყო და ძველ რომს ნატრობდა, სამშობლოს მონყვეტილს იტალიის ცა ელანდებოდა... ემიგრანტი იტალიაში და ორგზის ემიგრანტი იტალიის გარეთ — სამშობლოს ერთგული, გონიერი და ტრაგიკული შვილი.

— აი, ვინ გვჭირდება! — გაიფიქრა პატიმარმა. „არა, შეცდომები როგორ არ ჰქონდა, ზოგიერთი ძალიან მძიმეც კი, მაგრამ თავდადება? სიმტკიცე? უდიდესი ნებისყოფა?“ „ახალგაზრდა იტალია“.

„ახალგაზრდა საქართველოს?“

თხა. კვლავ მოსასხამით. გახარებული სახე და ანთებული თვალები. თხის ცხენის თვალები.

— დავითი ამომძვრალა ორმოდან! — მიხარია.

პატიმარი მიუხვდა და კვლავ ის ნაცნობი სიცხე ესტუმრა სხეულში...

— როდის? სად? — მიაყარა კითხვები უაზროდ.

„დავითი ორმოდან ამომძვრალა...“

შეუძლებელი შეძლო, უფრო სწორად, ღმერთმა შეუძლებელი შეაძლებინა. სასწაული, ჭეშმარიტი სასწაული და კიდევ ერთხელ დიდება შენდა ღმერთო!“

ასე ძლიერი ის არასოდეს ყოფილა. ღმერთს დაუდია მის მხრებზე მარჯვენა და იმ სასიამოვნო ტვირთით თუ არის ძლიერი... წელი მძიმე, წელი სასარგებლო... ეს წელი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, პანდემონიუმიც არასოდეს შეიმუხრებოდა, არადა შეიმუხრება... დავითმა უკვე ხმალი იპოვა და ქრისტეს ერთგულ რაინდთ შეუერთდა. მოდიან და მოიმღერიან:

*„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ნურც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება!“
დავითი ამომძვრალა ორმოდან...“*

— როგორ? როგორ შეძლო? — წრიალებს პატიმარი და რაღაც უნდა. რა არის ეს რაღაც, ჯერ არ იცის.

— როგორ შეძლო? ორმოდან ამოსვლა ხომ შეუძლებელი იყო? — წამით ჩაფიქრდა, — რა? იმედი ჰქონდა და იმედმა შეაძლებინა?...

— რწმენა, ჩემო კარგო, რწმენაში გადასული იმედი და ამ რწმენამ, ამ უსაზღვრო საოცრებამ ღვთის წყალობა დაამსახურებინა და ამოვიდა. არადა, როგორ იბრძოდა, როგორ წვალობდა, რამდენჯერ სცადა... მაგრამ არავითარი ეჭვები, არავითარი სისუსტე, ერთიანი იყო, ძლიერი იყო, მოქმედი იყო, გესმის...

პატიმარს ყველაფერი ესმოდა. საჭირო იყო მოქმედება, გაბედული და აქტიური მოქმედება. შორიდან ჭვრეტდა და მეთვალყურის როლში ყოფნა საქმეს არ შველოდა, არც ბუნდოვანი იმედი იყო, რაღაც მყარი რწმენა იყო საჭირო, დიდი, ღრმა რწმენა, კლდესავით რწმენა... ამ წამს ეს მოფილოსოფოსო ტერმინიც შესძულდა — „გაორება, გაორებული ადამიანი...“ კაცი მტკიცე უნდა იყოს, ერთიანი, ჩამოქნილი და ყოველგვარი ზედმეტობებისაგან, „სირთულისაგან“ თავისუფალი... ადამიანი ჯერ თავის თავში უნდა გათავისუფლდეს. ცოდვისა და

ზედმეტობების მონობისაგან უნდა შეძლოს თავის დახსნა. და შემდეგ მოუტანოს ეს თავისუფლება სხვასაც... სხვას კი არა, თავის, თავის ერს, — ეს რა, სხვაა? თავისუფლება შინ და თავისუფლება გარეთ...

გამარჯვებული მკვდრის სიდიადესაც ახლა ჩასწვდა — „თუკი გამარჯვებულია, მკვდარი როგორღა იქნება? გამარჯვებულნი უკვდავნი არიან“.

თხამ იცის, პატიმარი უკვე ყველაფერს, ყველაფერს მიხვდა, ღიმილით, მაგრამ გამომცდელი შეჰყურებს და ეუბნება:

— დღეიდან ყველაფერი, და მათ შორის, ჩემი ბედიც, შენს ხელთაა...

ნაწილი მეოთხე

I

სიცოცხლე. გადამწვარი მიდამო; ახლად სახეგახსნილი, ოდნავ წელში მოხრილი ყვავილი და მასზე მჯდარი ბრიყვი, მაგრამ ლამაზი პეპელა, ფრთები რომ საოცარი ფერებითა აქვს მოხატული... დაძარღვული, კუნთებამობურცული ბებერი, რვაასწლიანი ხე, ფესვები ღრმად, ძალიან ღრმად რომ აქვს გამჯდარი მიწაში... პატარა, მაგრამ საოცრად ენერგიული მდინარე, ღრიალ-ღრიალით რომ ეშვება რომელიღაც მთიდან... დინჯი, თვალშეუვლები მზე, ყოველთვის მშვიდი და წყნარი, თავის საქმის ჩუმად მკეთებელი... შავი მიწა, წვიმის წყალს რომ ხარბად ისრუტავს მკერდში და ერთიანად ამ წყლით რომ იჟღინთება. ცას მიმწვდარი მაღალი მთები, ათასი და ათი ათასი წლის წინათაც რომ ისევე უძრავად, ამაყად იდგნენ, როგორც ახლა: იალბუზი და ყაზბეგი, კილიმანჯარო და ჯომოლუნგმა, მონბლანი და იუნგფრაუ... მარადიული თოვლი გადაუფარებიათ სახეზე და თვლემენ...

მრავალფერი და მდიდარი სამყარო ცხოველთა. საოცრად ლამაზი, ამაყი და რაც მთავარია, საკუთარი ღირსების მცოდნე

— შემფერებელი ლომი, ტანის რხევა-რხევით, დინჯად რომ დააბიჯებს მიწაზე... მსხვერპლს ხეზე დადარაჯებული, მოხერხებული და მოქნილი ფოცხვერი, მუდამ უკნიდან რომ იცის თავდასხმა... ლეშით გამძლარი ტურა თავისი უსიამო, ტანში ჟრუანტიელის დამვლელი ხმით... უმშვენიერესი ირემი, თავისი მეტყველი, ჭკვიანი თვალებით... მოუქნელი, მოტუტუცო დათვის უხეში და ტლანქი ძალა... კაცთა მიერ შერისხული, დაუნდობელი, მაგრამ საოცრად მამაცი, ავანტიურისტი მგელი, რომელმაც ადამიანზე უარესად არ იცის ნადირობა, ვნებაში თავანყვეტილი და ემოციებში უსაზღვრო, ცივ განსჯას მოკლებული და ცხელი, ოხშივარიანი ინსტინქტების ბრმა მონა-მორჩილი... პატარა ლიფსიტა, რომელსაც ყველა ჭამს — ზღვის თანამოძმე, ხმელეთზე კი ადამიანი.

ადამიანი. გვირგვინი ღვთის შემოქმედებისა. ადამიანი — მეუფე ბუნებისა და ადამიანი — მონა ღვთისა. არა გაორება, არამედ გულივერის ორი მდგომარეობა ორ სამყაროში. ადამიანი — მატლის ზემოდან დამხედავი, ხშირად ფეხსაც რომ წაჰკრავს (თუ შეგნებულად არ დაჰკრავს და არ დააბიჯებს) უგულლოდ. და ადამიანი თავად მატლი... მატლ ვარ და არა კაც...

ადამიანი — მოაზროვნე, განჭვრეტითა და ღრმა ანალიზით დაკავებული. ადამიანი, რომელიც ფიქრობს იმაზე, რასაც ხედავს და რასაც ვერ ხედავს, რაც იყო, არის და რაც უნდა იყოს... შეცოდება მრავალი, ძიება მრავალი, მსხვერპლი მრავალი...

ადამიანი — მოქმედი, ადამიანი — მოღვაწე, ადამიანი — მოძრაობა და ამ მოძრაობით გამოხატული არსი სიცოცხლისა, ნაყოფი ჭვრეტის და აზროვნების... ცდომილებებით სიარული, ზოგჯერ შეგნებითაც...

ადამიანი, პიროვნება, განუმეორებელი და აბსოლუტურ მსგავსს მოკლებული... ადამიანი — მარტოსული და ადამიანი — ხალხი, ერი, კაცობრიობა...

ეს არის სიცოცხლე? კი, მაგრამ სიკვდილი? როგორ ითმენს, როგორ იტევს თავის თავში სიცოცხლე მას? თუ სიკვდილი საპირისპირო რამაა სიცოცხლის? მისი მტერი, მის წინ მდგარი ძლიერი, ულმობელი და უსაზღვრო ძალა?

სიკვდილი საზღაურია ცოდვის, არა სიცოცხლის ნაკლებობის, არამედ სიცოცხლის, სინმინდის ნაკლებობის შედეგი... და

სიკვდილი ჩაერია სიცოცხლეში, შეცვალა, დაამახინჯა მისი არსი, მისი სახე... და ღმერთმა ესეც დაუშვა!

ადამიანი ჭამდა ადამიანს, ახლა — ცხოველს, ცხოველები — ერთმანეთს, ყველა ცოცხალი იკვებება ცოცხალით და სიკვდილის სიძლიერეც იმაშია, რომ ერთი სიცოცხლის არსებობას მეორე სიცოცხლის განადგურებით ხდის შესაძლებელს... გაიგო ეს ადამიანმა? დაინახა?

დანახვით კი დაინახა, მაგრამ ამ მოვლენის ახსნა შედეგებით დაიწყო, მთავარი კი დაავიწყდა — საკუთარი ცოდვიანი ბუნება, მარადიული ცოდვა, რომელმაც სიმახინჯე და დისჰარმონია შეიტანა სიცოცხლეში, ნივთთა და ცოცხალ არსთა იმ ჰარმონიულ მდგომარეობაში.

რა არის აზრი სიცოცხლის? რაში გამოიხატება ადამიანის არსებობის დანიშნულება?

სიცოცხლე დიდი, საერთო ჯვარია, რომელიც ღმერთმა აპყიდა მას... და ეს ჯვარი ბოლომდე იქნება მიტანილი და ისევ ღმერთის, მარადიული სიცოცხლისა და თვით სიცოცხლის წყაროს დახმარებით.

ეს საერთოჯვარი კი პატარ-პატარა, სხვადასხვა სიმძიმის ჯვრებისგან შედგება, თითოეულ მათგანს ღმერთი კონკრეტულ პიროვნებას აძლევს და აქ კი შესაძლოა, რომ მრავალმა, ძალზე მრავალმა ეს ჯვარი ბოლომდე ვერ იხილოს, ვერ შეიგრძნოს, ვერ მოიხრგოს ზურგზე, მაგრამ საერთო ჯვარი მაინც ატანილი იქნება და ნეტარ არს კაცი, რომელიც ათრევს რა საკუთარ ჯვარს, იცის — ამით საერთოსაც ათრევს!

პატიმარი მძიმე ტვირთს გრძნობს მხრებზე, მაგრამ საოცრება — ტკბილია ეს ტვირთი, სიხარულის მომნიჭებელი. ფიზიკურად მძიმე, მაინც რაღაც ჰაეროვნებით და მისტიკური სიმსუბუქით მოსილი. მძიმე და თან მსუბუქი, სანატრელი ჯვარი. და პატიმარმა უკვე იცის, სიცოცხლის, მისი ცხოვრების დანიშნულება — ეს ჯვარი უნდა ათრიოს გოლგოთამდე, დაეცემა, უნდა წამოდგეს, სხვა გამოსავალი არ არის.

ჭვრეტა კარგია მაშინ, როდესაც მას საქმე ახლავს. საქმე, მოძრაობა კი, ხშირ შემთხვევაში, დაზღვეული არ არის შეცდომებისგან, მაგრამ მაინც, ასეთი სახითაც კი მოქმედება

სჯობს უმოქმედობას, ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს მოქმედება ბოროტების წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული.

მოძრაობა, სიცოცხლე. რაც არ მოძრაობს, მკვდარია. ერთია მხოლოდ უძრავი, სიცოცხლე რომ ჰქვია სახელად, მაგრამ მისი მამოძრავებელი კი ღმერთია. მისი უძრაობაც პირობითია, რადგან ღმერთი ყოველ წამს შედის მის მიერვე შექმნილ სიცოცხლესთან კონტაქტში და ეს მოძრაობაა, მოძრაობა არა მინიერი, არამედ ზეციური გაგებით.

აქ კი, მინაზე, რაც არ მოძრაობს, ან მოძრაობს ბოროტის სასარგებლოდ — დასაღუპადაა განწირული. სისხლი მიმორბის ადამიანის სხეულში, გული ფეთქავს, სხეული მოძრაობს... წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცოცხლე შეწყდება. გულის ფეთქვის შეწყვეტა სიკვდილია, სისხლის მოძრაობის შეჩერებაც... და ადამიანის სხეულის უმოძრაობა კი უკვე მკვდრის ყველასათვის ნაცნობი მდგომარეობა... გულზე ხელდაკრეფილი!

ვერდიოთ შეცდომებს, მაგრამ მისი შიშით უარს ნუ ვიტყვით მოძრაობაზე, უარს ნუ ვიტყვით სიცოცხლეზე და...

პატიმარი ქალაქის მოთამაშე თანასაკნელებს უახლოვდება. მათთან ერთად ჯდება და ქალაქს თამაშობს. არა, არ უყვარს თამაში, მაგრამ უმოქმედობის შემდეგ მას რაიმეს გაკეთება მოსწყურდა.

ამდენი ხანია, აქ არის და თანასაკნელებს წესიერად არც კი იცნობს. ბევრი მათგანის სახელიც კი არ იცის. ვითომ ახალშემოსული იყოს საკანში, ყველას ხელახლა ეცნობა და ყველას სახელს იმახსოვრებს, გულში იმეორებს: აის, თმა რომ არ დარჩენია თავზე და ცხვირი კომბოსტოსავით ადევს, ქათმის ქურდი შოშიტაა; მის გვერდით სომეხი ვაჰანია ჩამომჯდარი; კუთხეში კი სახედანაღვლიანებული, არაფრისმთქმელი თვალებით მზირალი, კვლავ დედაზე რომ ფიქრობს, კაცისმკვლეელი ყორანაა, მისი ნამდვილი სახელი არავინ იცის.

თავისი საყვარლებით და სასიყვარულო თავგადასავლებით მოტრიახხე, ლამაზი არაბი ბიჭი მაჰმუდია, რამეს რომ ჰკითხავ, ჯერ შემოგანათებს სახეზე აღბეჭდილი „მარადიული“ ღიმილით და თავს გიქნევს, ყველაფერზე თანახმაა, გენდობა ყველაფერში. დიდი შავი თვალები სულ უციმციმებს და უბრიალებს, ლამაზი ბიჭია...

ჩია, დაფსხრიკული კაცი თათარი მუსაა, „დედის ძუძუსთან ერთად თრიაქს ნაზიარები“, როგორც თვითონ იცის თქმა...

აქ არიან ადამიანები, ადამიანები თავიანთი დადებითი თუ უარყოფითი თვისებებით და როგორც არ უნდა სჭარბობდეს უარყოფითი დადებითს, აქ მაინც სიცოცხლეა, აქ მოქმედებაა...

მაშ, მონასტერში? ბერები ვინლა არაიან?

პატიმარს უკვე ყვერლაფერი უადვილდება და ამ კითხვაზეც ადვილად სცემს პასუხს — ბერები ყველაზე მეტად მოქმედი, ყველაზე მოძრავი ხალხია. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც თვითონვე, საკუთარი ნება-სურვილით პატარა ჯვარი გაცვალეს დიდში და მხრებზე წამოიკიდეს... ბერი ადამიანია, რომელმაც ტვირთი თავადვე დაიმძია.

ბერის მუშაობა, მისი მოქმედება ლოცვაა და ლოცვა არა მარტო საკუთარი სულისთვის, არამედ მამულისთვის, ერისთვის, ყველასთვის... თვით მტრისთვისაც კი!

ბერის ქმედება კრიტიკულ სიტუაციაში სხვა ფორმითაც ვლინდება. ბერი — მებრძოლი, ცალ ხელში ჯვრით და ცალ ხელში ხმლით, ჭეშმარიტი ბერისთვის ლოცვა სულიერი დასვენებაა (პასიური ქმედება), ბრძოლა კი (არა მარტო სულიერი) აქტიური ფორმაა მისი ქრისტიანული ბუნების გამოვლენის.

ბრძოლა! ბრძოლა! ბრძოლა!

ბრძოლა მშვიდობისათვის, მარადიული მშვიდობისათვის. ღმერთსა და კაცს შორის მშვიდობისათვის, კაცსა და კაცს შორის მშვიდობისათვის, კაცსა და ცხოველს შორის მშვიდობისათვის... მაგრამ ამ მშვიდობისათვის საჭიროა დიდი ბრძოლა, სიკეთის დაულალავი, დაუცხრომელი ბრძოლა, გამარჯვება კი სიკეთეს ერგება, ეს ისტორიის კანონია, ისტორიის კანონებს კი ღმერთი ქმნის და ღმერთმაცვე იცის, თუ საითკენ მიდის კაცთა მოდგმა, საით მიყვავართ ისტორიას.

ახალ იერუსალემს კი ბოროტებამ სახელი გადაარქვა და უღმერთოდ სურს ასეთი საზოგადოების შენება, ეს კი მეორე ბაბილონის გოდოლია, მეტი არაფერი.

პატიმარი მუსას ძველისძველ ანეკდოტს უამბობს (რამე ხომ უნდა თქვას?) და მუსაც, რომელმაც ჯერ კიდევ ბავშვობაშივე იცოდა ეს ანეკდოტი, ზრდილობის გულისთვის ილიმება (უფრო მეტიც — იცინის).

პატიმრების თვალწინ კვერცხი ტყდებოდა და პატარა წინილა გამოდიოდა, ისინი კი ყურადღებას არ აქცევდნენ, რომ არ შეეშინებინათ, არ დაეფრთხოთ ახალთვალგახელილი.

...და დადგება დრო, ცხვარი და მგელი ერთად მოსძოვს ბალახს, ადამიანი ადამიანს ჩაეკვრება გულში და სინანულის ცრემლით დაუსველებს კვართს. უკან მოხედვა შეეზარება, მაგრამ მაინც მოიხედავს, რომ კიდევ ერთხელ გაიხსენოს, რა ცდომილებებით იარა, რა ტანჯვა, რა სიბინძურე, რა ბოროტება განვლო... და იქნება ადამიანი თავისუფალი, და არაფრით შეიზღუდება მისი თავისუფლება, გარდა ზნეობისა, რის სადარაჯოზეც ქრისტეს უბინო სხეული — ეკლესია იდგება.

ახალი იერუსალემი მართალთა სამეფო, მოქმედ ადამიანთა და სიკეთისათვის მებრძოლთა საუფლო იქნება და იერუსალემის ბრწყინვალე მეუფეც — მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე გულში ჩაიკრავს ყველას, ვინც მოიტანა თავისი ჯვარი ამ ქალაქამდე. უჭირდა, ეცემოდა, მაგრამ მაინც ფეხზე დგებოდა და წინ მიდიოდა... და წინ მიჰქონდა ჯვარი თავისი, ჯვარი საერთო... ტვირთმძიმენი, დევნილნი სიმართლისთვის, გლახაკნი სულითა და სიკეთისათვის მებრძოლი სხვა მრავალნი.

პატიმარმა ყური ლამის მოიგლიჯა, დიდი პაპის თვისება ეგონა და კიდევ ამაყობდა გულში ამით, მაგრამ ხმამ ჩასძახა, შენს შორეულ შთამომავალს ექნება ეს ჩვევაო. მიიხედ-მოიხედა. თხა არსად იყო, თხა არ ჩანდა. სად დაიკარგა თხა, უკვე რამდენი ხანია, არ გამოჩენილა, მას შემდეგ, რაც უთხრა, დღეიდან ყველაფერი და, მათ შორის, ჩემი ბედიც შენზეა დამოკიდებულიო... — არ გამოჩენილა.

შთამომავალი? კი, მაგრამ თვითონ, თხის დახმარების გარეშე, როგორ მიხვდა ამას? (თუკი მართალია?) ამასაც და იმასაც, რაც უწინ იფიქრა, ეს იერუსალემიო, ქრისტე და მართლათა სამეფოო...

დაიცა, დაიცა, ბუტბუტებს პატიმარი და კიდევ რალაცეებს ხვდება.

არ სძინავს ერთს, ერთადერთს არ სძინავს მხოლოდ და ის მისი შთამომავალია, პატიმრის სისხლი და ხორცი, მისი შორეული...

მანაც იცის თითოთ ყურის წვალემა და უკვირს, საიდან დამჩემდაო. ხმაღს იღებს, ცხენს მოახტება და მთაში მიდის.

...შემდეგ კი, როდესაც ხმლით დაჩეხილ, სულთმოზრდავ, თვალეზით ჯერ კიდევ ცოცხალ მის შთამომავალს ჩამოასვენებენ ბარში, ხალხი განუდგება მომაკვდავს, ვერ გაუგებს, მღვდელსაც კი ძლივს დაითანხმებენ, აზიაროს გმირი.

— ვაი, შვილო!... — გმინავს პატიმარი, რა ხედავს უცნობს, მაგრამ შვილს.

— ვაი, საქართველო, — გმინავს ვიღაც, — რატომ მარტო ერთი?...

პატიმრის შვილიშვილის შვილიშვილს სამუდამოდ დაეხუჭა თვალეზი და სახეზეც ღიმილი, მწარე ღიმილი შერჩენოდა.

პატიმარმა მოისრისა ყური, უფლება აღარ ჰქონდა, არ ყოფილიყო დიდი! მისი თვისება, მისი ჩვევა მის შთამომავალს გადასცემოდა და ამიტომაც აღარ შეეძლო უმოქმედოდ ყოფნა.

ქართლოს! ქართლოს!... და ამ სიტყვებსაც მთები იტაცებდნენ ხარბად და ექოდ ჰფენდნენ ქვეყნიერებას. ჩამოჰკრა საათმა... ჟამი არს!

თხა კი არა და არ ჩანს.

იქნებ აღარ სჭირდება თხა? იქნებ ზედმეტია უკვე მისთვის? ყველაფერს უიმისოდაც ხვდება უკვე, მაგრამ თვალეზი ხომ მან აუხილა... თან უყვარს, საოცრად უყვარს თხა...

— თხაო! თხაო! — მაგრამ პასუხი არ არის, თხა არ ჩანს და არა. რა მოუვიდა ნეტავ? და სარკმლიდან იყურება — ზევით ცა, ქვევით კი გისოსეზი, გისოსეზს მიღმა არც ისე ბებერი, მაგრამ არც მთლად ნორჩი მუხა. მუხასთან თავისუფლება, მუხა გისოსეზს მიღმა, მუხა თავისუფალია.

ძლიერი მუხა, ფესვეზი ღრმად აქვს გაშლილი მინაში და თუ ჰერაკლემ ანთეოსი მინას მოსწყვიტა და ისე დაამარცხა, ვერავითარი ძალა ვერ შეძლებს ამ მუხის მოთხრას. ფესვი აქვს გაშლილი, ერთი ნაწილი ნიკოფსიას რომ სწვდება, მეორე,

— დარუბანდამდეა გაფარჩხული. რა ამოთხრის ამ მუხას?

პატიმარი მუხას უყურებს, პირჯვარს ინერს და წვება. დაიღალა, ძილი უნდა.

სიზმარში კი მუხას ნახულოზს, მუმლი შესევია და დაღუპვას უპირებს... შემდეგ სახედასისხლიანებული კაცეზი გამოჩნდნენ. ორმოსაც ხედავს, ვიღაც ამოძრომას ლამოზს იქიდან...

ვილაცის სახე, ეს სახე მას ეცნობდა. შემდეგ ხვდება, რომ თვითონაა და სიზმარში იცინის. სიზმარშივე ფიქრობს, „ღმერთო, არ დამავინყო ეს სიზმარი, ისეთი საინტერესოა...“ მაგრამ დილით მაინც ამაოდ ატანს თავს ძალას, რომ მთელი სიზმარი აღიდგინოს მეხსიერებაში, მხოლოდ ცალკეული სურათები ახსოვს, მუხა... მუმლი... ორმო... ჰო, ჰო, თვითონაც!

თავი, ეტყობა უხერხულად ედო მთელი ღამე და სტკივა. არაფერია, არაფერი, სანოლზე თივა უგია და ისე სძინავს. როცა თავისუფალი იყო, თივაზე ძილი კიდევაც უყვარდა, აქ კი სძულდა ცოტათი, მაგრამ მაინც არა უშავს, ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი ძალიან კარგად იქნება... ჩამოჰკრა საათმა... ჟამი არს!

...და პატიმარი ცმუკავს, ვერ ისვენებს. თითქოს აქამდე რაღაც თვლემდა მასში და ერთბაშად იხუვლა, წამოვიდა და მისი გაჩერება შეუძლებელიაო — ვერ ჩერდება, ახლავე უნდა, ამ წამსვე... შემდეგ წყნარდება, საკუთარ თავს არცხვენს, მეორე უკიდურესობაო და ელის. ხოლო ლოდინი, იცის, დიდხანს არ მოუწევს... ჟამი არს... ჩამოჰკრა საათმა!

ცაზე მზე არ ჩანს, მაგრამ მაინც ნათელია, ესე იგი, მისი თვალი ვერ ხედავს და სადღაც უკან, მეორე მხარეს არის მოქცეული... სინათლე კი მაინც არის, მაინც...

*მზე დედაა ჩემი,
მთვარე — მამა ჩემი,
ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
და და ძმა ჩემი.*

ხელები მოიფშვნიტა და გაიცინა. არა, ჯერ გაეცინა და ხელები მერე მოიფშვნიტა. უხარია, ძალიან უხარია. ხანდახან მაინც ვერ ითმენს და გული ეწურება — როდის? როდის? ამდენი მოთმენაც რომ არ შეიძლება?

შემდეგ ჯდება და პატიმრებს უამბობს სიკეთეზე, სიცოცხლეზე... პირდაღებულნი უსმენენ და თავებს უხმოდ უქნევენ. ერთმა მაინც რომ გაიგოს, ერთმა მაინც, ესეც საქმეა, დიდი საქმე...

დაუბრუნეთ დაკარგული ცხვარი ფარას!

ზოგს ესმის, ზოგს — არა. ვისაც ესმის, იმათგანაც ზოგიერთს მეორე დილისთვის ყველაფერი გადაავინწყდება, მაგრამ ვისაც — არა?... ვისაც ჩარჩება რამე?

დაუბრუნეთ დაკარგული ცხვარი ფარას!

რატომ ჭამა, მოდგმამ ურწმუნომ, საქმელი მეზვერეებთან და მისთანებთან. სწეული საჭიროებს მკურნალსო და არა — ჯანსაღი...

დაილოცოს ხელი, რომელმაც შენი სიტყვები ჩაინერა და კაცობრიობას აჩუქა, უფალო.

მათე, მარკოზ, ლუკა, იოანე — ილოცეთ ჩემთვის.

თითოეულ მახარებელზე ფიქრობს, რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. უპირატესობას ვერც ერთს ვერ ანიჭებს, ოთხივე ავსებს ერთმანეთს... ოჰ, ოჰ, იოანე რა ღრმია, რა საოცარი! მაგრამ თვითონ მაინც მათეს კითხვა უყვარს ყველაზე მეტად...

რამდენი ხანია, სახარება ხელში არ სჭერია, რაც აქ გამოკეტეს ძაღლებმა (ნაკითხული ჰქონდა სახარება, მათეს სახარება კი გამორჩეულადაც ჰყვარებია, რატომ არ ახსოვდა ეს? რა ლიბრი ჰქონდა გადაფარებული მის მებსიერებას?)

— ძაღლებო! — არ ბრაზობს, ღიმილით, ოდნავი დაცინვითაც კი ამბობს, — ძაღლებო! თავიანთი გაჭირვება ეყოფათ, ადამიანები იყვნენ და ძაღლები გახდნენ, — ძაღლებო! — ოთხფეხა და ორფეხა ძაღლები, — ძაღლებო!... და პატიმარი უკვე გულიანად იცინის.

პატიმრებიც აჰყვებიან, თუმც არ იციან, რატომ იცინის ის, უცნაური და ყველასგან გამორჩეული... ისინიც იცინიან. ვაჰანი ხელს ურტყამს მხარზე:

— რა ჯიგარია, არა?... რა ჯიგარია!... — ამბობს და უაზრო სახით შეჰყურებს თანამოძმეთ.

ჰო, ჯიგარი ვარ, — ფიქრობს პატიმარი და ძალიან, ძალიან კარგად გრძნობს თავს. ყველა უყვარს, ყველა ძალიან უყვარს. ხვდება, რომ ეს გრძნობაც არ არის ახალი და შესაძლოა გაცვეთილიც კია ზოგიერთების წყალობით, მაგრამ რომ უყვარს, რა ქნას. თავს დადებს ყველასათვის! (ჰო, ჰო, არ გინდა ახლა — ჩასძახის რომელიღაც ხმა შიგნით, მაგრამ ხელებს უჭერს ამ ხმას და იქვე ახრჩობს, სანამ ძალიან, ძალიან გაძლიერდება...).

— ყველასათვის თავს დადებს, ყველა უყვარს!

— ყორან, დედის მეტი არავინ გყავს?

ყორანა თავს მალლა სწევს, ნაღვლიან თვალებს მოავლებს პატიმარს და:

— ჰო, დედა, დედა... — პატიმარმა ვერაფერი გაიგო, მაგრამ მაინც უქნევს თავს, ძალიან უყვარს ყორანას დედა.

შემდეგ შუა საკანში (თუ დილეგში? ერთი და იგივეა ეს და პატიმარს ფეხებზე ჰკიდია, მთავარი სხვაა, ძალიან სხვა...) დგება, ხელებს ამოძრავებს შემომხედეთო და იწყებს:

ყოფნა-არყოფნა, საკითხავი ეს აღარ არის,
ყოფნაო, უკვე გადანყვიტა მაღალმა ღმერთმა...
და უსიცოცხლო თიხის თოჯინას
თვალი გაუღო, სული შთაჰბერა.
პატიმრებს არაფერი ესმით, მაგრამ ის ამშვიდებს:

— მოვა დრო და თქვენც გაიგებთ, ოღონდ ძალიან, ძალიან უნდა გინდოდეთ გაგება... ადრე არც მე მესმოდა მთლად ყველაფერი, მაგრამ... ერთი სიტყვით, ყველაფერს გაიგებთ!... — და, საოცრად კმაყოფილი, თივაზე წამოწვება.

როდის გავა დრო? სულსწრაფობს პატიმარი, მაგრამ მალევე ეგება გონს და საკუთარ თავს არიგებს, მოთმინება, მოთმინებაო.

დროშები, თეთრი დროშები — ჩქარა! — ამის გახსენებაზე კვლავ აცეცდა — ჩქარა, ჩქარა... ოოჰ, და ხელებს იფშენეტს (თეთრში გადასული ჩალისფერი დროშა, რომელზედაც წმინდა გიორგია გამოსახული).

შემდეგ ყური ახსენდება. არა, არ ექავება, მაგრამ ყური ახსენდება და თითოთ წვალებას უწყებს. ჩემი შთამომავალი! და მომავლის სურათის წარმოდგენა ოდნავ უფუჭებს გუნებას, თუმც სიამაყითაც აღავსებს — სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა... ასეა, ახლა კვლავ კარგად არის, ახლა კვლავ მოვიდა გუნებაზე და შთამომავალს სიბრალული როგორ ვაკადრეო, ყურს მთელი ძალით მოადგება და კინალამ მოიგლეჯს... შემდეგ კი, მართალია, დღეა, მაგრამ იძინებს, სახეზე მშვიდი, უდარდელი ღიმილი დასთამაშებს და სიზმრადაც, ეტყობა, კარგ რამეებს ხედავს. ალბათ, დაიფერთხა მუხამ მუმლი...

II

ბევრს ხეტილობდნენ ებრაელები. ალექსანდრე მინა თითქოს ახლოს იყო, აგერ, ცხვირწინ, მაგრამ საკუთარი ცოდვა უფრო და უფრო ამორებდათ ამ მინისგან. მრავალი წელი გავიდა და ხალხშიც უკმაყოფილება იზრდებოდა. მოსემ კი იცოდა, რომ უკვე ცოტა, ძალიან ცოტა იყო დარჩენილი. სულ მალე ალექსანდრე მინა მათ შეხვდებოდა. მოსე კი დიდ მთაზე უნდა მომკვდარიყო, მას არ უნდა დაედგა ფეხი ამ მინაზე... ცოტა, ძალიან ცოტა იყო დარჩენილი.

ბავშვი რომ იყო, ეზოში ძალით აგდებდნენ, წადი, ითამაშეო. ჩავიდოდა, მოთამაშე ბავშვებს შორიხლოს დაუდგებოდა და ყურადღებით აკვირდებოდა. სასწავლებელშიც მარტო იყო, სულ ბოლოში იჯდა, მარტოდმარტო, ყურადღებიანი, დაკვირვებული. სხვა ბავშვებს ათვალწუნებული ჰყავდათ და ზოგჯერ დასცინოდნენ კიდევ. ის კი ყურადღებას არ აქცევდა. წიგნის კითხვაზე მაინცდამაინც არ იკლავდა თავს, მაგრამ ზღაპრები და ლეგენდები ძალიან უყვარდა და დიდი ინტერესითაც კითხულობდა.

ფასკუნჯზე ფიქრობდა ხშირად, მისი ნაირფერად მოხატული ფრთები წარმოუდგებოდა თვალწინ... ვითომ ფასკუნჯზე იჯდა და მიფრინავდნენ შორს, ძალიან შორს, მზეთუნახავიც ბევრჯერ უხილავს, თვალს დახუჭავდა და ცნობდა, მაგრამ მისი სახე დეტალურად მაინც არ იცოდა. გაახელდა თვლებს და როგორი იყო მზეთუნახავი, აღარ ახსოვდა, კვლავ დახუჭავდა და ის, ულამაზესი ასული კვლავ წარმოუდგებოდა თვალწინ.

ბავშვობა ახალი დათმობილი ჰქონდა, რომ პირველი სიყვარული ესტუმრა, პირველი ნამდვილი სიყვარული, თორემ გატაცებები ადრეც ჰქონია. მის პირველ ნამდვილ სიყვარულს მარგო ერქვა სახელად. საოცარი თავგადასავალი გადახდა, ქალიშვილმა მისი სიყვარული უარყო და ვიღაც თავადს გაჰყვა ცოლად. თუმცა რა უარყო, არც იცოდა, ამ დიდთვალემა ნაღვლიან ბიჭს თუ უყვარდა, თვითონ კი თეიმურაზი შეიყვარა, მისმა ლამაზმა საუბარმა მოხიბლა და ცოლადაც წაჰყვა. პატიმარმა კი დაუშვა ეს, ის ხომ „ყველაფერზე მაღლა იდგა“.

ფუჰ, ფუჰ! იფურთხება პატიმარი, ოღონდ ფიქრში. ბრაზობს საკუთარ თავზე. შემდეგ თეიმურაზს ცოლი ნაოსარმა მედროვემ შეუცდინა და წაართვა კიდეც, უხერხემლო ქმარმა კი არამც თუ ცოლის, საკუთარი უფლებების დაცვაც ვერ შეძლო.

პატიმარმა ესეც იცოდა, მაგრამ ამაზეც მაღლა იდგა, არ ჩაერია საქმეში. ხელები უნდა, რომ დაიკბინოს, ისეა გამწარებული საკუთარ თავზე, ოოჰ, რა ბრმა იყო! რა ბრმა და რა უგუნური!

შეიკრა სამკუთხედი: თეიმურაზი, მარგო და ნაოსარი, რომელსაც, თუ კარგად ახსოვს, ჯაყო ერქვა სახელად. ნაკითხი და უხერხემლო უგუნური, სუსტი და დაუცველი მშვენიერება, სინდისი და ღირსება ქმრისა და ველური, უხეში, ტლანქი ძალა, მედროვე გადამთიელი... ის კი, ამ სამკუთხედს გარეთ დარჩა, თვითონ არჩია ასე, თვითონ მოისურვა... არადა, რომ ჩარეულიყო, ბევრის გაკეთება შეეძლო. დავიცავდიო მარგოს...

ეს შეცდომაა თუ ბოროტება? ალბათ უფრო ეს მეორე, მაგრამ ამის გამოსწორებაც შეიძლება. ღმერთმა ბრძანა: თუ დაეცი, წამოდექი და გზა გააგრძელე! წამოდგება (თუ წამოდგა უკვე?) და გზასაც გააგრძელებს.

...და კვლავ ჩქარა, ჩქარა, ჩამოჰკრა საათმა, ჟამი არს... ამდენი ლოდინიც აღარ შეუძლია უკვე — დავითი ამომძვრალა ორმოდან. თითქოს რაღაც თვლემდა პატიმარში ადრე, ახლა კი გაიღვიძა და აქეთ-იქით ეხლებოდა, გარეთ გასვლა სწყუროდა, ამოხეთქვას ლამობდა და... ამოხეთქავდა! ჟამი არს! ჩამოჰკრა საათმა!

ბეთიარს პატიმრებმა ფული შეუგროვეს და არაყი მოატანინეს. მათაც სურთ დროსტარება და ქეიფი, დროებით მაინც გადაავინყდებათ საპყრობილე... პატიმარიც მათთან ერთად ზის სუფრასთან (სუფრას ხის მორყეულ ბინძურ მაგიდას ეძახიან, რომელიც ოდესღაც საკნის მიწაზე იყო მიჭედებული) და მხიარულობს.

— ეს ვინც გველის, მას გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს! — აყაყანდებიან უცბათვე. თამადის ამ სიტყვებზე ზოგს სატრფო ახსენდება (თითო-ოროლას გაჰკენწლავს კიდეც გულში, ხომ არ გამითხოვდაო უკვე, მაგრამ „არა“, — იმშვიდებს თავს, — „ის ხევბს არ ჰგავს, ის სხვანაირია!“), ზოგს ცოლი, ზოგს და თუ ძმა, ზოგსაც ძმაზე უტკბილესი სიყრმის ძმაკაცი... ყორანას კი დედა წამოუდგება თვალწინ: შა-

ვით მოსილი, ნელში მოხრილი ქალი, დაღარული სახე, სიღრმეში შევარდნილი, მაგრამ საოცრად ცოცხალი ორი მოყვარული თვალი, დაწინკლული უბრალო თავსაფარი, დედაბრის შავებს რომ საუცხოოდ ეგუება... ყორანას თვალზე ცრემლი ადგება და ჭიქას იღებს ხელში („ჭიქა“ საპყრობილეში ფრიად პირობითი ცნებაა და მის მაგივრობას ხან რა სწევს და ხან — რა).

თამადა კი სულ დამწვრისას ამბობს და სუფრა ლამის ააბლაგლოს:

— ეს ჩვენს ძმადნაფიცებს გაუმარჯოს, რომლებიცა რომა ჩვენს სახლში არა ვართ და ჩვენს ქალებს თვალს ადევნებენ, დარაჯობენ ჩვენს სინდის-ნამუსს, ჩვენს ბლარტებს ტკბილეულს უყიდიან, მოეფერებიან... ჩვენს დედებს ნუგეშსა სცემენ და ერთი-ორს ტკბილს სიტყვასაც, ზოგჯერ ტყუილსაც რომ ეტყვიან, აქაოდა, დაწყნარდეს ბეჩავიო.

არავის, არავის, შეიძლება არ სჯერა ჩვენი აქედან გასვლის, მათ — კი... და გვინახავენ ცოლების პატიოსნებას, ოჯახის სითბოს, კერას, ბალებს უვლიან ჩვენსას და მშობლებსაც იმედს აძლევენ — თვითონ სჯერათ და სხვასაც აჯერებენ... მაშ, მაგათ გაუმარჯოთ, ნაღდ კაცებს და ჩვენს ძმებს, ღმერთმა კარგად გვიმყოფოს მათი თავი... ალავერდი შენთან, ჩემო ყორან!

— იახშიოლო, — ყორანა ჩუმად ამბობს და სადღეგრძელოს ბევრს არაფერს უმატებს. არ უყვარს ბევრი ლაპარაკი ყორანას, მას დედის მეტი არავინ ჰყავს, ჭიქას მალე ცლის და მეზობელს გადაანოდებს.

...კმარა, კმარა ამდენი ფილოსოფია! უკვე დროა. მთაზე ასვლის დროა. ისუ ნავეს ძე გაზრდილა უკვე. დავითი დიდი ხანია ორმოდან ფრჩხილებნამტვრეული და თითებდასისხლიანებული ამომძვრალა. იცის, სიკვდილს მიუსჯიან. სიკვდილს, რომელითაც ელ სიდივით უკვდავებაში შეაბიჯებს.

კმარა ლაყბობა. სადაც მთავრდება ჭემმარიტება, იქ იწყება ფილოსოფია. კმარა. კმარა. ჟამი მოსულა.

III

დიალოგებიანი საგალობელი

ცუდი ამბავი გაიგო, ძალიან ცუდი. როსტომის გამოგზავნილმა ფინიამ კმაყოფილი სახით შესწკმუტუნა ეს ახალი ამბავი... საკანში დაბრუნდა. ფიქრით ჯერ კიდევ იქ იყო, როსტომის გამოგზავნილ „პირუთენელ“ მსაჯულთან. თვითონაც კარგად მიუგო, არ შეიმჩნია წყენა. ამოიღო ხმა დამამხობელი ქრისტეს და ქართველების მტრისა. ბევრს, უჩვეულოდ ბევრს ხუმრობდა საკანში, უმიზეზოდ იცინოდა. პირიქით კი უნდა, ყოფილიყო. ეს პირველად არ ემართებოდა. ღმერთმანი, ძალით არ აიძულებდა თავს, ისე, თავისით გამოსდიოდა. ცუდს გაიგებს, ავი მოელის, ის კი განსაკუთრებით მხიარული და ხალისიანია. რა ჭირი ემართება?... არა, ცუდი როდია, პირიქით, მაგრამ მაინც ვერ გაუგია, რას მიაწეროს ეს. ქვეცნობიერად იმხნევებს თავს, ღმერთი აძლევს ძალას, თუ ერთიცა და მეორეც? იქნებ კიდევ სხვა?

ჩვენ შენ მოგსპობთ. მერე რა, არ გამიკვირდებო, ღიმილით მიუგო. „ფინია. ფინია“.

ა

ადგა. სარკმლიდან კიდევ ერთხელ შემოცურებულ სინათლის ზოლს გახედა და პირჯვარი გადაინერა. საუზმე ხელუხლებელი იყო მაგიდაზე. გაიარ-გამოიარა, ფართობი არ ეყო — შედგა, შემდეგ კვლავ გაიარ-გამოიარა.

თანასაკნელებს ვერ ამჩნევს.

სკამთან ჩაიჩოქა, გულში ლოცვა დაიწყო. სკამი საკუროთხველად აქვს წარმოდგენილი. მრევლიც თვითონ არის.

მღვდელიც.

მგალობელიც.

კვერექსებსაც თვითონ კითხულობს გულში.

„ღირს არს...“ დაიწყო გალობა და ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ამ გალობისას მას სიკვდილიც არ გაუჭირდებოდა, რაღაც ნათელი ეფინებოდა სახეზე და გულში ღვთაებრივი სიხარული ეღვრებოდა.

გაირინდა. „წირვა“ შეწყდა. საიდანღაც ქარი ქროდა და საიდანღაც ფოთლების შრიალი ისმოდა. საიდანღაც...

დაბალი: შენი დანაშაული ითვალისწინებს სასჯელის უმაღლეს ზომას.

მალალი: ძალიან გთხოვთ, სამწუხაროდ, ესეც არ დაამატოთ, თქვენ თქვენს საქმეს აკეთებთ. ჩვენ მტრები ვართ ერთმანეთის, მე თქვენ წინააღმდეგ ვიბრძვი და საკმაოდ ლოგიკური მიჩვენება თქვენი გადანყვეტილება — მომსპოთ.

...მერწმუნეთ, მე (ე.ი. ჩვენ) რომ გამემარჯვა, ასევე მოგსპობდით.

დაბალი: მერე შენი შეშისთაყვანისმცემლური ჰუმანიზმი? არა კაც ჰკლავ?

მალალი: თქვენ მე პიროვნულ მტრად არ მიმაჩნისხართ და თუ მაინც ხართ, დიდსულოვნად მომიტევებია... მაგრამ მე თქვენ მოგსპობდით (თან დიდი სიამოვნებით), როგორც ერის მოღალატეს, მტერს...

დაბალი: ეს ხომ წმინდა წყლის კაზუისტიკაა, ბატონო ფარისეველო!

მალალი: კაზუისტიკა თქვენთვის უფროა დამახასიათებელი, ხოლო ჩემი მსჯელობა ლოგიკურიცაა და ქრისტიანულიც და თქვენ რომ ჩვენს რჯულს მხოლოდ ზედაპირულად არ იცნობდეთ, დამეთანხმებოდით. ...თუმც რას ვამბობ, საიდან უნდა იცნობდეთ ქრისტიანობას, ის თქვენ რაში გჭირდებათ? მე ისიც კი მიკვირს, რომ კაზუისტიკის არსებობა გაგიგიათ და იეზუიტებისთვისაც მოგიკრავთ ყური...

დიდებით დიდებული: ერი ჩემი და ხალხი ჩემი.

მოუნოდა. ჯერ ეურჩებოდა, შემდეგ დამორჩილდა.

ხეტიალი, ხანგრძლივი ხეტიალი.

სიცხეები. ბული. უდაბნოს ქვიშას ქარი მაღლა აიტაცებს და პირშიც უცვივიათ.

მდევარი კი არ ცხრება

ყველანი უნდა გაიჟლიტონ.

ქარი ქრის და ქვიშიანი რგოლები ჰაერში დატრიალებენ.

მზეც უმოწყალოდ აჭერს.

ხალხი დრტვინავს, ვგდებულებიყავით...

ხვლიკები დაბობლავენ ცხელ ქვიშაზე.

ყოველი ლოდის ძირიდან კი შესაძლოა ჭრელკაბა გველი გამოსრილდეს და ვინმე დაგესლოს.

მდევარი არ ცხრება.
 ოო, დიდებით დიდებულო!
 უფალო, შეგვიწყალებ!
 შემდეგ ქალთა ხმები ქარბობს და კაცის სმენასაც უფრო
 ეფერება.
 პეტრე მოციქული ციხიდან გაიყვანა... შეედარა რა!
 საცაა დავარდებიან, მეტი არ შეუძლიათ.
 სიკვდილი სჯობია ასეთ ყოფას, არაქათი აღარ აქვთ.
 თან მზის შუქი მოხვდა უკან მყოფთა ბრჭყვიალა ტანისა-
 მოსს და წინმავალთ თვალი მოსჭრა.
 ახლო არიან, ველარ გადაურჩებიან.
 აჰა, ეტლებიც.
 ღმერთო ჩემო, უდაბნოში რა უნდა ზღვას?
 აჰა, ღმერთმაც განირა!
 წინ — ზღვა, უკან — ისინი...
 მოსეს სწყევლიან და ...გგდებულებით.
 ზღვა შუაზე იპობა.
 წუთით წამოდგა და ბინძურ ქიქაში წყალი დაასხა.
 მოსვა.
 პირი უშრება.
 მოულოდნელ სასწაულს ისე მიაშურეს, მისთვის, დიდებით
 დიდებულისთვის, მაღლობაც არ შეუწირავთ.
 ახლა მდევრები შევიდნენ ზღვაში.
 უკვე შუაგულში არიან.
 იზრახელმა კი უკვე გადააბიჯა ხმაღზე.
 ის კვლავ წყალს სვამს.
 ზღვა პირს იკრავს.
 მდევრები აღარ ჩანან.
 გადარჩენილები ისეთ დღეში არიან, ვერც ახლა მოისაზრეს
 მაღლობა... არაფრის თავი არა აქვთ, თანაც, წინ რა ელით?
 საუზმე გაიტანეს.
 რალაც უთხრეს, მაგრამ არ გაუგია. არაფერი არ ესმის.
 წმინდა ტრაპეზი ბრჭყვიალებს.
 ტაძარში ოქროსფერი ქარბობს.
 მღვდელია:
 ხელების კანკალით შლის გაცრეცილ ოდიკს და იმავ წამს
 ბარძიმსაც სწვდება.

ესაია წინასწარმეტყველი ჩამოჰყურებს სამხრეთის კედლი-
დან. ცხენები და მხედრები. შთასხია.

შავი ზღვა.

არა, სხვა ზღვა.

სხვა ზღვა იყო.

ფარისევლები, სადუკეველები, ჰეროდინელები და ყველა
ჯურის არამზადები.

ზეობენ ნაძირლები.

მოთმინება. მოთმინება.

ჯვრის გზა. ნრთობის გზა.

მოთმინებითა შენითა.

მხრები ჩამოუშვა.

როდის მოელება ბოლო?

დასასრული როდის იქნება?

მომბეზრდა. ყველაფერი მომბეზრდა.

კედლები ოდნავ სველია, თან — ცივი. გამხდარი თითებით
ეაღერსება და ტირის. ესე არს სისხლი ჩემი...

ბ

უღირსი, ცოდვის მონა — მრუში...

საიდან შემოუტია სატანამ. ყველაფერს სძლია, თვალებს — ვერა.

საკუთარ თვალებს ვერაფერი მოუხერხა. უნებრუად გა-
ჰყვებოდა ვინმე მკერდმოშიშვლებულს.

ო, ღმერთო!

სიყვარული?

არ გაიხსენოს, ჯობია — თვით ფიქრიც კი ცოდვაა.

ღმერთო, შეუნდე ყველა ცოდვილს.

ყველაფერს სძლია?

კვლავ შეუნდე.

ფიცხელა შეარქვეს.

საკუთარი ვნებებისა და ნერვების მონა.

ხანდახან თვალებგადმოკარკლული, ყელზე ძარღვებდა-
ბერილი და სახეშეშლილი — მრისხანე ოლიმპოელი.

ღმერთო, აპატიე!

ლევიტელთ უკვე დაიწყეს მცნების დარღვევა.

დაბალი: მე ჩემი თავისთვის არ მიმიცია ვინმეს შეურაცხყოფის უფლება, შენ კი, პატიმარი, რამდენს კისრულობ?!

მაღალი: ეეჰ, ფარისევლები ხართ, ფარისევლები. თქვენ უკვე აღარ იქცევით ისე, როგორც ოციან-ოცდაათიან წლებში. მაშინ ხომ მაძიებელნიც, ჯალათნიც და მოსამართლენიც თქვენვე იყავით... დღეს უკვე სხვანაირად მოქმედებთ, სხვისი ხელებით აკეთებთ ბნელ საქმეებს.

...ყველაზე საშინელი კი, იცით, რა არის?

დაბალი: მაინც რა?

მაღალი: ის, რომ, რასაც ემსახურებით, თქვენვე არ გწამთ იმ საქმის. თუმცა მოლაღატეს რა პრინციპები, ან მათდამი რა ერთგულება უნდა მოჰკითხოთ... დარჩა ჩვევა, ბოროტი ჩვევა და კიდევ ჯავშანი, რასაც თქვენი თანამდებობა განიჭებთ და, მისგან გამომდინარე, ყველა ცხოვრებისეული უპირატესობა...

დაბალი: საინტერესოა, საინტერესო. მაინც საიდან დაასკვენი, რომ ჩვენ არ გვწამს საქმის, რომელსაც ვემსახურებით...

მაღალი: თვალეში გეტყობათ.

მოსე მრისხანებს.

მოსე მრისხანებს.

თვითონ კი ყველაზე დიდი ცოდვილია და ამ ბინძური ხელებით სტომაქში განისვენებს... ხალხი კი კვლავ დრტვინავს, ვგდებულებიყავითო.

მონები! მონები!

დიდ საქმეს დიდი ადამიანები აკეთებენ, მათ დრო არ უნდა დარჩეთ პატარა კაცებისათვის...

თვითონ კი საკუთარი ვნებების მონაა...

3

მანანა.

აჰა, ჭამეთ, უმადურნო!

განძლიერდა გული ჩემი, დიდება შენდა, ღმერთო!

მიდი, მიდი, ჰო, ჭამეთ!...

რამ გაუცივათ გული? რამ გააქვავათ? ნუთუ ვერ გრძნობენ მწყალობელის ხელს მათს მხრებზედ?

არც ბაალმა და არც ასტარტმა მოგივლინათ თქვენ ეს საზრდელი, არამედ ღმერთმა იზრაელისა, ერთადერთმა ღმერთმა — ჭეშმარიტმა, მამამ და შემოქმედმა ხილულისა და უხილავისა.

არაფერს ამბობენ, მხოლოდ ილუკმებიან. ლოყები გამობერიათ და არაფერი არ აინტერესებთ. დაუღეჭავად ყლაპავენ ლუკმას და გაძლომასაც ვერ გრძნობენ — აქლემებივით სურთ, მთელი წლის მარაგი შთანთქან.

მოსე ლოცულობს:

შენ, რომელიც ბერნთ ანაყოფიერებ და უკვე სასონარკვეთილთ პირმშოს სჩუქნი... შენ, რომელიც არ ივინყებ ერს შენსას და უმადურებისა წილ, ცოდვების წილ სიკეთეს მიაგებ, რამეთუ მადლი და სიკეთე შენი ყოველივეს და ყველაფერს აღემატება... შენ, რომელიც ითმენ ნინევიას და შენ, რომელიც ანგრევ მას...

დაბალი: ნუ გამაცინე, თუ ძმა ხარ.

მაღალი: დადგება თქვენი განკითხვის დროც. გაირბენს რამდენიმე საუკუნე და დიდ არამზადებს ნიურნბერგში განიკითხავენ, გაირბენს კიდეც რამდენიმე წელი და ქართველი ერიც მოაწყობს თავის „ნიურნბერგის“ პროცესს და ყველა მოლაღატეს გაასამართლებს...

დაბალი: მანამდე კი ჩვენ შენ (ოოჰ, მაპატიეთ, ბატონო, თქვენ!) მოგსპობთ.

მაღალი: მერნმუნეთ, ასევე, მეც მოგსპობთ, რომ...

დაბალი: მაგრამ შევეშვათ. იცი, შენ კიდეც გაქვს შანსი.

მაღალი: რა შანსი?

დაბალი: სიცოცხლის გადარჩენისა.

მაღალი: გმადლობ, მაგ „შანსი“ თქვენთვის დაიტოვეთ, მე არ ვსაჭიროებ. მე მკვდარიც კი უფრო საშიში ვარ თქვენთვის, ვიდრე თქვენი „შანსის“ ფასად ცოცხლად დარჩენილი.

შენ, რომლისგანაც ყოველი მოითხოვს წყალობას და გაგებას და შენ, რომელსაც არავინ არ გიცნობს და არავინ არ გიგებს, რამეთუ არ სურთ ეს...

შენ... შენ...

შენ, რომელსაც გამოგყავს ხალხი შენი ეგვიპტიდან!

მან ხელები აღაპყრო.

სამხრეთის კედელთან კვლავ დაჰყურებს ესაია.

ესაია, გიხაროდენ! (...თუ მხიარულ იქენი?)
წრეს არტყამენ ხელიხელჩაკიდებულნი. გვირგვინი მეჯვარეთ უპყრიათ ხელთ.
თავი, თავი სტკივა.
ყურს აწვალებს.
გმადლობ, შენ, უფალო!
„ღმერთო ძლიერო, შენ შემიბრალე“ — მისი ერთადერთი ოპერა. ერთი შვილი ამერიკაში გარდაიცვლება.

ღ

გრძნობს.
წინათგრძნობა წარმართდასჯისა.
მოვა უფალი, განიკითხავს...
ძრწოდეთ!
ამბაკომი.
დიიდ, დიდ შავ წიგნს ნელ-ნელა ფურცლავს.
ნოე რომ კიდობანს აშენებდა, მასხრად იდგებდნენ, რამ გადარია ეს კაცო?
შემდეგ ნოეს, კიდობანში უშიშრად მყოფს, შეეძლო მათი მასხრად აგდება, მაგრამ არ უკადრია.
არ ელიან.
ვინ ელის?
ვინ ელის, მას ნოესავით მასხრად...
როდის.
მხოლოდ მამამ ზეციერმან უწყის.
არც ანგელოზთ.
დაბალი: თუ ძმა ხარ, მართლა ისე ნუ გვიყურებ, როგორც მტრებს!
არც ჩვენ ვართ თქვენზე ნაკლები პატრიოტნი და არც როსტომ ბატონს უყვარს საქართველო თქვენზე ნაკლებად... თავისუფლება, თავისუფლებათ, გაჰყვირით და გავიწყდებათ, რომ თქვენგან ვეშაპად მონათლულმა სახელმწიფომ გადაგვარჩინა, იგი რომ არა, ჩვენს პატარა ქვეყანას გარეშე მტრები დაიპყრობდნენ და შეჭამდნენ...

რა გვაკლია? რა გაკლია შენ დღეს? არაფერი, აბსოლუტურად არაფერი. ისწავლე, იშრომე, ყველა გზა ხსნილია, საქართველო თანასწორუფლებიანი ნაწილია უზარმაზარი იმპერიისა... ასე ბედნიერი, მე თუ მკითხავთ, ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ.

მალალი: თქვენ — კი!

დაბალი: თქვენ კი არა, ხომ?

მალალი: თქვენთან დავა უსარგებლო და უაზროა და განა მარტო იმიტომ, რომ თქვენ დემაგოგი ხართ, არამედ უფრო იმიტომ, რომ თქვენ იმდენად გახრწნილი ხართ, ყოველგვარი იმედი თქვენი გაადამიანებისა, გადანურულია.

დაბალი: არც ქრისტიანულ სიცოფეს განაგდებ და არც ჩვენებებს მოგვცემ?

მალალი: რა თქმა უნდა, არა. ჩემი ქართველობა და მსოფლიო ქართველთა ძმობის წესდება მიკრძალავს მე ყოველგვარი ჩვენების მიცემას.

დაბალი: შენ ან გიჟი ხარ, ან ფანატიკოსი.

მალალი: დაიცა, დაიცა. აი, მე ვხედავ, მას ვხედავ. ის ტანდაბალი, ნაოჭებით დაფარული, ფეთქებადი... ის მშვენიერი ქართველი ქალია, ხანდაზმული ქალი.

დაბალი: ბოდავ?

ვაი, მაშინ შემორიგებულთ და სულმოკლეთ.

2

ლაზარე მეოთხე დღეს აღადგინა მკვდრეთით.

სული ჩემი ხარობს უფლისა მიმართ: მარადიული არსებობა.

დადგება ეს ნანატრი მეოთხე დღე!

მოლოდინი და სიხარული.

სიხარული და მოლოდინი.

ველით სიძეს. ნუ გძინავთ, იფხიზლეთ!

შუალამე ჩამოჰკრავს, ეკლესიის ან დამუნჯებული ზარი ნელ-ნელა შეინძრევა, გაიზმორება, ჯერ დაიდუღუნებს, შემდეგ უფრო და უფრო ჩქარა...

დ ი ნ ნ!

შედის ექსტაზში. ცივი ოფლი წვეთებად აჩნია მის რკინის, ხორკლიან ძველ სხეულს...

დ ი ნ ნ ნ!

უკვე ყველგან, ყველგან ისმის.

მალე სიძის ფეხის ხმაც მოისმის.

აი, კიბეზეც ამოდის.

ნაბიჯების ხმა ახლოვდება.

კარზე აკაკუნებს: ჯერ ფრთხილად, ოდნავ გასაგონი
(მისთვის ხომ უამრავჯერ არ გაუღიათ კარი!).

ამჯერად თვითონ ალებს კაკუნის შემდეგ და შემოდის:
თეთრებში...

მრისხანე...

მეოთხე დღე.

დაბალი: რას ფიქრობ?

მაღალი: ვემზადები სიკვდილისთვის.

ხარობს სული ჩემი.

ელის.

...ფეხის ხმა ჩაესმის.

3

„თავო ჩემო, ბედი არ გინერია“.

მუცელში ბნელა.

ისევ ნინევიამი ჯობდა, წასულიყო.

დაბალი: მაინცდამაინც სიკვდილი გინდა?

მაღალი: ჩემთვის სიკვდილი გარდაცვალებაა, მოლოდინი
მეოთხე დღისა...

სიტყვები თავისით მოდის, იცის იონამ, ზუსტად იცის, რა
უნდა თქვას.

ასე ძლიერი არასოდეს ყოფილა.

აი, ჩასწვდა ყველა, მათ შორის, ქვესკნელის საიდუმლოსაც.
მოზი დიკმა უნდა გადმოაფურთხოს და ისიც ნავა ნინევიას, ან
კი რა გულუბრყვილობა იყო: მას სად გაექცევი?

ან რად უნდა გაიქცე?

ღმერთი არს ძალა და მახვილი ჩემი, რისი გეშინია?

მოზი დიკი კი გადმოაფურთხებს მას, იონა უკვე კარგად იც-
ნობს უფალს: ის ღმერთია იზრაელისა (ჩანვდა, როგორც იქნა!).

მეუფე იზრაელისა უბრძანებს და ვეშაპიც გაუშვებს იონას,
იცის მან ეს.

...და შემდეგ იმ ქლაქში, სადაც ადამიანებს ცოცხლად ატყავებენ.

ზ - თ

ნაბუქოდონოსორი.

ჰმ!

(რატომ — ჰმ? უცნაურია!)

ცეცხლი. ცეცხლი გიზგიზებს.

სამი ყრმის შეშინებული თვალები.

თეთრი, მიტკალივით თეთრი სახეები.

მალალი: მე სიკვდილი არ მინდა, მაგრამ მზად ვარ, მხიარულიც კი ვარ: ქრისტესთვის და იზრაელისთვის სიკვდილი დიდი პატივია ჩემთვის.

დაბალი: გინდა, რომ მოგსპოთ?

...მაგრამ მათ ცეცხლი არ ეხებათ.

...და მე გავიარო ცეცხლზე და არ დამწვას მან, რამეთუ დიდებით დიდებული იყოს ჩემთან!

...თოკზე ჩამომკიდონ და თოკი განყდეს!

...წყალში მომისროლონ და წყალი დაშრეს.

...ციცაბო კლდიდან გადმომაგდონ და ანგელოზებმა ფრთხილად დამსვან მინაზე!

...ჩემი ჟამი დადგება: მტრებმა მომკლან, ხოლო მან მეოთხე დღეს აღმადგინოს!

ის იყოს ჩემთან და...

ცეცხლი.

სამი გადარჩენილი ყრმა.

ნაბუქოდონოსორი.

მეუფე ბაბილონისა.

ი

კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა.

დაბალი: ჩვენ შენ და ყველა შენნაირს მოვსპობთ.

მალალი: ასევე ჩვენც, „მონყალეო“ ბატონო, ოღონდ თქვენ და თქვენნაირებს.

მოსე ტირის: რალა მე უღირსი ამომირჩია... გმადლობ შენ, უფალო! (აკი, არაო...)

მაგრამ ლოცულობს.
ისიც ლოცულობს. „წირვა“ დასასრულს უახლოვდება: გუნ-
დი სადაცაა „მრავალჟამიერს“ დააგუგუნებს.
გარეთ წვიმს.
მარადის სანატრელი დედა ჩვენი ზეციური და დედოფალი.
მეოხი ჩვენთვის.
დაბალი: ჩვენ ველით შენს გონზე მოსვლას...
მაღალი: არ ველი თქვენს მოწყალებას!
(დახეთ, როგორ იმდაბლებს თავს ღვთის ესოდენ დიდი არ-
ჩევანით შეშფოთებულ-შეშინებული, თუმცა ცახარებული...)
„მე რა ღირსი ვარ...“
ემანუილ
სამხრეთის კედელთან ესაია წინასწარმეტყველი დაჰყურებს.
„აქებდით უფალსა ცათაგან, აქებდით მას მაღალთა შინა“...

ქრისტიანები

შემოვიდნენ — ჯვარზე გასაკრავად უნდა წაეყვანათ.
კარების ჩხაკუნი ისმის, შემოდიან, უნდა გაიყვანონ თავის
მოსაკვეთად.
კარებზე ხმაურობენ, მოდიან, დასახვრეტად გაიყვანენ
ახლა.
კარების ჩხაკუნი დიდხანს, უსაშველოდ დიდხანს გაგრძელ-
და. შემდეგ ჯერ ბეთიარმა შემოყო დინგი და კმაყოფილი, ცბ-
იერი, გულისამრევი ღიმილიც აიფარა სახეზე.
— გამო, გამოდი.
კი. თავის მოსაკვეთად უნდა გაეყვანათ.
გული შედგა. წამში დაპატარავდა, სიმკვრივეც უფრო მო-
ემატა და კაციც დაამძიმა.
სანოლზე იჯდა. ბეთიარსა და მის უკან მდგომთ სახეგახს-
ნილმა მოხედა. ჩაიცინა და თანასაკნელებს მომუშტული მარ-
ჯვენა აუწია.
თანასაკნელები მდუმარედ იდგნენ და სიცივეჩამდგარი
თვალეებით შეჰყურებდნენ მას.

— აბა, ძმებო, არ მოინწყინოთ უჩემოდ!

ღმერთო ჩემო, რა მოსდიოდა?! ლამის ტირილი უნდოდა, ისე ენანებოდა ყველაფერი, თვით ამ ბინძური კედლების დატოვებაც კი არ ემეტებოდა, ისე უყვარდა... ის კი იცინოდა და ახლა იმაზე ფიქრობდა, რა მოსწრებული სიტყვა ეთქვა, რათა თანასაკნელნი გარინდებიდან გამოეყვანა.

— იქნებ უარყო შენი სიცოფე? — გამომცდელად დაეკითხა ერთი, რომელიც ბეთიარის მხრებს ეფარებოდა.

— ქრისტე ღმერთი ჩემი!

ამის მეტი სიტყვა არ თქმულა. კარები დიდი ხნის დაკეტილი იყო უკვე, საკანში მყოფნი კი ახლაც დუმილს იცავდნენ.

ის კი ვინრო და ბნელ დერეფანში მიიკვლევდა გზას. მე ვიყავი, ვარ და ვიქნები. რამდენმა და რამდენჯერ დამიპირა სიკვდილი, მაგრამ კვლავ ცოცხალი ვარ. რა იციან უგუნურთ, რომ უკვდავების წყალი მაქვს შესმული. ჩემი სახელი რაჟდენ პირველმონამეა, ევსტათი მცხეთელი, აბო თბილელი, კონსტანტინე, გობრონი, დავითი, ბიძინა, შალვა და ელიზბარი... რომელი ერთი ჩამოვთვალო, მე ხომ უამრავი სახელი მაქვს. ამ პატარა ქვეყანაშიც ბევრზე ბევრი სახელით მიხმობენ და მსოფლიოში ისე ვარ გამრავლებული, რომ ვარსკვლავთ გუნდი არად მოსჩანს ჩემთან.

მე ბევრი სახელი მაქვს, მაგრამ ერთი სახელითაც მიხმობენ — ერთი უბრალო სახელით. ამ სახელში ჩემი უკვდავებაა დამალული.

რა არის ჩემთვის დრო და სივრცე? არაფერი. რომელი დრო ჩამიტევს და რომელი სივრცე მეყოფა განსასვენებლად?

ან ვის აქვს ხელმწიფება ჩემოდენი? უგუნურთ ჰგონიათ, თავს მომკვეთენ. რომც მომკვეთონ, მაინც მათზე აღმატებული და უძლიერესი ვიქნები, რამეთუ ჩემთან არის ყოვლადწმიანი სამება. მაგრამ მომკვეთენ კი?

ო, ღმერთო! ახლალა მივხვდი შენ სიბრძნეს და მონყალებას აღურაცხელს! ნუთუ მე, ცოდვილი, გამომარჩიე შენ საჭურჭლედ და გამხადე ღირსი, რათა მონამეთა გუნდთა თანა შევირაცხო?

მე ეს ვიცი და ვისი შემეშინდეს, რისი შემეშინდეს?

გხედავ, გხედავ შენ, მოსევ, ჩემო ძლიერო და მსწავლელო, ერსაც ვხედავ, გამოალწიეთ უკვე უდაბნოს და გაიშალა თვალ-

ნინ სანახები ქანანისა — აღთქმული მიწა. დასახლდით, გამრავლდით, აღორძინდით და მთელს სამყაროში ისმოდეს დიდება იერუსალემის.

მე ვხედავ ამ დღეს, მე ვიცი ეს დღე... ოო, მოსე! მე ჩემს ისუნავესაც ვხედავ, და თუ კადნიერად შენდამი ჩემს ცოდვილი თავის შედარებას მომიტევებ, ერთსაც ვიტყვი: როგორც შენ მიიცვალე მშვიდად, რადგან იცოდი, რომ იზრავლის ბედი საიმედო ხელში იყო და ისუნავეს ძე შემუსრავდა მტერთა იზრაველთა, ასევე მე მწამს მისი, ვინც ჩემ შემდგომ მოვა და ვინც იქმს იმას, რაც მე ვერ შევძელი...

დე, ჩემმა სისხლმა ცოდვანი სიჭაბუკისანი ჩამომრეცხოს და მანვე აღანთოს სული ქართველთა და ყოველთა სულიერთა იზრაველთა...

იყავ ნება შენი!

ჰაერში ფოლადის ნუილი გაისმა.

- მოკვდი შეშის თაყვანისმცემელო!

*25 დეკემბერი — 1980წ. თბილისი
5 ნოემბერი — 1983წ. ორთაჭალის ციხე*

მთხრომბები დო ასპირები





ახალი იერემიას გოდება

*„ვტირით და ვტირით დედანი,
ურჯულომ შეგვაშინაო,
კარზე მოგვდიან ძალითა,
მასპინძლად დიან შინაო,
ნეტავ ჩვენს მეთოფეებსა,
ძილით ვინ დააძინაო,
პირი წყლით გააღბობინა,
თოფებიც დაუგრილაო“.*

მეთოფეებს სძინავთ.

სძინავს ყველას, თვით ბუნებაც კი, გატრუნულია და დუმს. ეს არის ბუნების ჩვეული და დიდებული პოზა, წამიერი გარინდება, მოძრაობის, ქარიშხლის მოლოდინში. ეს დუმილი და უძრაობა სისხლისგან დაცლას, სიკვდილს ნიშნავს.

მდინარე ტბასავით დამდგარი.

ცოცხალ-მკვდარი თევზნი წყლის ზედაპირზე ამოტივტივე-ბულან და უაზრო ზეცას ევედრებიან, შველას ითხოვენ.

თერგი აღარ რბის, აღარ ღრიალებს.

და არც კლდენი ეუბნებიან ბანს...

მთის გამოფიტული წვერები, დაყვითლებული და დაბერე-ბული ხე თუ ბალახი.

დახეთქილი, დამზრალი მინა.

მძიმე, მონამლული ჰაერი.

დღე-ღამესავით შავი.

დანგრეული სახლები და ნასახლარები, აჩეხილი ვენახები, დღეს ნავენახარი.

ნელში გადამტვრეული სიმინდის ტაროები.

ნაგვითა და უნმინდურობით ნაბილწული ბალ-ბოსტანი, ჯვარმომტვრეულნი ნატაძრალნი და გადამწვარ-გადაბუგუ-

ლი ტფილისი და ქუთაისი, წყლით დაფარული ბათუმი და აღ-
მოკიდებული აფხაზეთი...

ჩამონგრეულ-ჩამოშლილი შატილი...

ცარიელი აკვანი, ჩამქრალი კერა, დამსკდარი კედლები და
ჩამტვრეული შუშები.

ოჰ, ღმერთო! აღა-მაჰმად-ხანი ხომ ადრე იყო აქ, დღეს კი
რა მოხდა?

მეთოფეებს სძინავთ, სძინავს თვით ბუნებასაც. თვალი სულ
მცირე მოძრაობასაც ვერ ამჩნევს გარშემო. ადამიანისშვილი
თითქოსდა განწყვეტილა, მკვდარი კაციც კი არ მოიპოვება ამ
უძრავ მიდამოში.

დიდი უდაბნო... სავსე ლოდებით.

ერთს აწერია: „მე გორგიჯანოვმა გამცა“.

ვუახლოვდები მეორეს: „ვარქსენ პიტიახშმა უარმყო მეც და
შემოქმედიც“.

იქვე, გვერდით, შედარებით მომცრო ლოდია. წელში ვიხრები,
რომ გავარჩიო. „გამცა ყორღანაშვილმა“ — ძლივს ამოვიკითხე.

ლოდის ძირში პატარა ია ამოსულა. ესეც ასე, — გავიხ-
არე მე, პირველი სულიერი, ე.ი. ყველაფერი არ დაკარგულა,
ყველაფერი არ დაღუპულა.

— რჩინო! რჩინო! — მიმეორებს ია და ცდილობს, დამენახოს,
— ვაითუ ვერ შემნიშნაო, იმის შიშით.

მეზობელი ქვის ძირში კი, რომელსაც „მონღოლთ ჩააბარეს
ჩემი თავიო“ აწერია, წითელი ყაყაჩო ამოსულა (სიმღერა გამახ-
სენდა ქართული: „ყაყაჩო აყვავებულა, ვარდი გაშლილა იაო“).

ცოტნე, ცოტნე!... ვაგრძნობინე, გხედავ-მეთქი, ისიც დამშვიდდა.

ო, ღმერთო. გმადლობ იმედისთვის! და ამ უცნაური სასა-
ფლაოს მოხილვას ვაგრძელებ.

„გამცეს“... აწერია ერთ ქვას დიდი ასოებით.

ოდნავ ქვემოთ, მომცრო ზომის ციფრების ამოკითხვაც შევ-
ძელი, „1832“.

გასაგებია!

თანდათან ყველაფერს ვხვდები.

ბევრი ქვა, ბევრი ლოდი.

ეს ხომ საქართველოს მთელი ისტორიაა.

პერ-ლაშეზისა და არლინგტონის სასაფლაოები კომედიურ თეატრებად გამოიყურებიან ჩვენი ერის ამ საძმო საფლავთან შედარებით.

გზას ვავრძელებ.

ერთ-ერთ ლოდზე ამოტვიფრულ წარწერას ვკითხულობ.

„ჭეშმარიტებას ვულალატი... ვინანიებ!“

ნეტავ, რა იყო მისთვის ჭეშმარიტება? რას ინანიებს?

იქნებ განსაცდელს ვერ გაუძლო! – გავიფიქრე მე.

განსაცდელი ადამიანში შლის ყველაფერს ზედაპირულს და ნატანჯი კაცის სულშიც მხოლოდ ის რჩება, რასაც ღრმად აქვს მასში ფესვები გამჯდარი.

ვაი მას, ვისთვისაც თავისუფლებისა და ერის სიყვარული მხოლოდ ნილაბია. პირველივე განსაცდელის ჟამს ცრუ ნილაბი აეხდება და ერთგულ ფინიასავით თვალეში შეაცივინდება მტერს — შევცდი და მაპატიეო — ეტყვის.

მხოლოდ კაცი, რკინის გულით, ნამდვილი მამულიშვილი, რაინდი თავისუფლებისა, აიტანს ყოველივეს და ბოლომდე დარჩება იმად, რაც ადრე იყო.

საკუთარი პრინციპების ღალატს არავისთვის და არასოდეს მოუტანია კარგი.

გადავდივარ უდაბნოს ბოლოს და უკანასკნელ ლოდზე ამოტვიფრულ წარწერას ვეძებ, იქვე საფლავია ამოთხრილი, უცხედრო საფლავი?! მივიხედ-მოვიხედე. ოდნავ, მოშორებით თეთრი მარმარილოს ქვას ნავანყდი. წარწერა ახალი უნდა იყოს. „პოლიტიკოსთა უგუნურების მსხვერპლი“. მარმარილოს „ცხელი“ სისხლის ფართო ლაქები აჩნია. იქვე ოთხციფრიანი თარიღია. ყველა კუთხოვანია. ბოლო ციფრის გარჩევა გამიჭირდა. მისი ზედა და ქვედა ნაწილი ჩამომტვრეულია. ბოლო ციფრი უნდა იყოს ან 4 ან 9 (ე.ი. 1994 ან 1999).

ნეტავ, ვინ კიდევ?

იქნებ... „რაცა ღმერთსა არა სწადის, არა საქმე არ იქნების“. უკან ვბრუნდები. თავს უკანასკნელად ვატრიალებ უდაბნოსაკენ და მხოლოდ ახლალა ვამჩნევ პატარა, მრგვალ ქვას. ხელში ვიღებ, თბილია, თითქოს ფეთქავს კიდევ. ლათინურად აწერია „მთ“!

ცრემლმორეული ვტოვებ უდაბნოს და ჩემთვის ვამბობ:
გმადლობ, უფალო იმედისთვის!

მეთოფეთ კვლავ სძინავთ.

ციხის ქონგურზე ქართული დროშის ნაცვლად მტრის დრო-
შა ფრიალებს.

ქარი ქრის. ბუნება იზმორება, გაღვიძება სურს, მაგრამ უჭირს.

ერთ-ერთ მეთოფეს ვაღვიძებ. თვალებს ზარმაცად ახელს,
ტუჩებზე თითს იღებს და „სსუო“ — მანიშნებს.

— გაიღვიძე! — არ ვეშვები მე.

— მეშინია! — მპასუხობს.

— რისი, ან ვისი? — მიკვირს.

— მომკლავენ, სანამ მძინავს, არ ვარ საშიში.

— რა დროს შიშია, ნუთუ დაგტოვა რწმენამ?

— ეჰ, რის რწმენა, რა რწმენა! — უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

— ღვთის, შემოქმედის რწმენამ! — ვპასუხობ მე.

ისეთი თვალებით შემომხედა, ჭკუნაკლულს რომ შეხედავ-
ენ თანაგრძნობითა და სიბრალულით. კიდევ რაღაცის თქმა
მინდოდა, მაგრამ ხვრინვა ამოუშვა.

ახლა ციხისთავს ვაღვიძებ.

იგივე ისტორია. როგორც იქნა, გაახილა თვალები.

— მე ციხისთავი ვარ, მკვდარივით უნდა მეძინოს. თუ გა-
ვიღვიძე, პირველს მომკლავენ, — თქვა და ძილი განაახლა.

ცოცხალი, მღვიძარე კაცი გამოჩნდა ერთი. ჯებენონის
შთამომავლის ირანული ღიმილი და „მეგობარი“ ჩრდილოეთის
ვერაგობა აღბეჭდოდა სახეზე.

მოახლოებულმა ტყვიებივით ესროლა სიტყვები:

— არა კაცი არ გამოჩნდა, ხომ ხედავ, თქვენს შორის. ასე-
თია შიშის ძალა!

ეშმაკის ნაშიერს ბრწყინვალედ შეესწავლა ქართული.

სისხლი მომანვა ყელში.

— ეჰეი, ურჯულო! — დავჭექე მე, — შენც ისე გიპასუხებ, რო-
გორც შენნაირს უპასუხა ჩემმა დიდმა წინაპარმა:

„ღმერთმა მიგვცა ხელთა თქვენთათვის კეთილთა, არამედ
რამეთუ არა დავიმარხენით ჩვენ მცნებანი მისნი“.

მტერი დამცინავ ღიმილს არ მაშორებს სახიდან, მათრახის
წვერით კეფას იფხანს და მეუბნება:

— მე არ მოგკლავ შენ, თვითონ შენნი დაგკორტინიან. საზარელი სიკვდილი გელის! რომელი დათვი შენ მყავხარ, ღლაპო, ხომ ხედავ, რა დიდი ვარ! თქვენ კი აი, ამოდენა, — და მიჩვენა მათრახის ნვერი, რომლითაც რამდენიმე წუთის წინ კეფას იფხანდა.

— დამკორტინიან,

— დამკორტინიან ჩემნი, — ვიმეორებ გულში. რაღაც მენიშნა კიდეც. მგონი, ერთადერთი სიმართლე იყო, რაც მან თქვა.

ბრაზმორეულმა მეტი ველარაფერი მოვიფიქრე და ეს სიტყვები მივახალე პირში:

— თქვენ დიდი კი არა, ბევრნი ხართ, დიდი ჩვენა ვართ! ხელი ჩავიქნე და სწრაფად გამოვბრუნდი. თუმცა გზად მისი სიტყვები ამეკვიატა: „დამკორტინიან, ჩემნი დამკორტინიან!“

— რა ღრმად ჩაფლულან „ჩემნი“ ცოდვებში, სულ მთლად გახრწნილან. „დიდ“ მეძავს სანმერთულგახდილ კახპად უქცევია ჩემი ქვეყანა. თუმცა მსგავსი მაგალითის ნაკლებობას არასოდეს განვიცდიდით.

ფარისეველთა საუფლო.

დიდი პაპის დატოვებული მამულის გამნიავებელ-გამყიდველნი.

უხერხემლო მამულიშვილნი!

ენაგრძელნი და საქმემოკლენი.

ორი წიგნის წამკითხველს თავი დავით აღმაშენებელი და რუსთაველი ჰგონია.

როდესაც ერი ღმერთს გულს აძლევდა, ღმერთი მას ძალას ანიჭებდა: „თქვენ მომცენით გულნი თქვენნი და მე მოგეც ძალა ჩემიო“.

ვიმარჯვებდით კიდეც.

ჭირშიაც კი მტკიცედ მდგართ, უფალი ყოველთვის გვიცავდა. საამაყოც ბევრი გვექონდა მიტომაც.

წმინდა კეთილმსახური მეფე დავით აღმაშენებელი ორმოცდათექვსმეტი ათასი კაცით ოთხასი ათას ურჯულოს რომ შეება და აოტნა, მაშინაც დიდნი და ღვთისათვის საყვარელნი ვიყავით, დიდგორს რომ დავმარცხებულიყავით კიდევაც, მაინც გამარჯვებულნი ვიქნებოდით, რამეთუ დავითს უკან დასახევი გზა თვითვე ჩაეხერგა...

ეს კი უკვე გამარჯვებამდელი გამარჯვება იყო.

განა საამაყო არ არის, როცა ასი ათასმა თბილისელმა ქრისტეზე უარის თქმას სიკვდილი არჩია.

მათი სისხლით წითლად შეიღებო მტკვარი — გვამცნობს მემამათიანე.

ქეთევანს რომ ურჯულოები ძუძუებს შანთით უწვავდნენ, მტერიც კი გააოგნა მისმა სიმშვიდემ. ფერფლად ქცევამდე ღვთის სადიდებელ სიტყვებს იმეორებდა დედოფალი.

მაშინაც საამაყო გვქონდა.

თამარის დროს, მსოფლიოში პირველად ჩვენს სახელმწიფოში რომ სიკვდილით დასჯა გაუქმდა, მაშინაც საამაყო გვქონდა.

უპატიოსნესი და აღმატებით უზესთაესი დედაღვთისა თავის მხოლოდშობილ ძესთან ერთად ხარობდა სახიერებისა ჩვენისა გამო და გვმფარველობდა კიდევც.

ეს ყველაფერი იყო.

დღეს კი რანი ვართ? რად ვიქეცით, რით ვინონებთ თავს! ფერისცვალება გასაოცარი:

სიკეთეს ბოროტება დავარქვით, ბოროტება კი სიკეთედ მოვნათლეთ.

ქვეყნისა და ერის ღალატი მამულიშვილობადაა მიჩნეული. ყველა თავის ნაჭუჭშია ჩაკეტილი.

მთავარია, დააგროვოს, შეიძინოს, მოიხვეჭოს. ეს ის ყველაფერია, რასაც იქ ვერ წაიღებს.

ის კი, რაც მართლა იმ ქვეყნად წაჰყვება, რაც მარადიული სიცოცხლისათვის გამოდგება, არ ახსოვთ!

— არ უნდათ!

— არ სჯერათ!

ასეთებს მაცხოვარი სამსჯავროზე ეტყვის: მე არ გიცნობთ თქვენ, განვედით ჩემგან!

ადამიანს ორი სახელი უნდა ჰქონდეს: დასატოვებელი და იქ წასატანი.

თუ ერთნი ვართ, უნდა ვიერთოთ, თუ — ბრბო, მაშინ სწორი ყოფილა ჩვენი მარადიული მტერი, რომელიც ყოველ გაფაჩუნებაზე მწარე შოლტს გადაგვკრავს ზურგზე და ტკივილისაგან გულწასულთ წყალსაც არ მოგვაპკურებს გამოსაცოცხლებლად. თუ ასე გაგრძელდა, ოდესღაც დიიდ საქართველოს („ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველო“ — მ. ლებანიძე) დიდი მეზობელი დაეპატრონება.

მე არ მინდა ბრბოს წარმომადგენელი ვიყო. მე ჩემი ერის კაცობა მსურს, მისთვის სამსახური, მისთვის სიკვდილი!

ცალ ხელში ჯვარი, ცალ ხელში კი ხმალი.

— ოო, ვგოდებ, უფალო, დავტირი დაბრმავებულ ბრბოს, ერადყოფილს!

— ვგლოვობ შეგინებულ ჩალისფერ დროშას!

— დავტირი მარად მძინარეთ და დედის საშოშივე მკვდრად ჩასახულ ნაყოფს!

— დავტირი ხუცესს, მტრის შიშით, მალვით რომ იძლევა ლოცვა-კურთხევას!

— დავტირი ტაძარს, გამოკეტილს და გაუქმებულს, დარჩენილს უმღვდლოდ!

— დავტირი ქალწულს, რომელსაც ამირანის ნაცვლად მთვლემარე ჰერმოფროდიტი შეატყუეს!

— დავტირი ენას, გაუქმებამდე მისულს!

— დავტირი გონებას, დარჩენილს აზრის გარეშე!

— დავტირი გულს, სიკვდილივით ცივს, გრძნობადაკარგულს!

— დავტირი სულს, სადაც აღარ არს ალაგი ღვთისათვის!

— დავტირი პირუტყვად ქცეულ საბრალო ადამიანს, ფოთლის შრიალიც რომ აფრთხობს შიშშეპყრობილს!

— და დავტირი საკუთარ თავს, რამეთუ ხმა ჩემი ყოველი წინასწარმეტყველის მსგავსად, რჩება „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“!

ბოლოთქმის მაგიერ:

ახალი იერემია ჩაექოლათ ერის გაღვიძებული სინდისისათვის. დიდი შენობის კედელთან ეგდო მისი საზარლად დამახინჯებული და დასახინჩრებული გვამი.

ამოდენა ქალაქში კაცი არ აღმოჩნდა მისი მშველელი. მაყურებელი კი რამდენიც გნებავთ – ბევრზე ბევრი.

უფრო მეტიც: არაფერი წამოგცდეთო, ერთმანეთს აფრთხილებდნენ.

მიცვალებულს თვალები ღიად დარჩენოდა. მაყურებელთაგან ერთ-ერთმა მადლიერმა ჩამოუსვა სახეზე ხელი და ჯერ

ისევ თბილი თვალები ადვილად დაემორჩილა უცხო კაცის თითებს. ოდნავ დამცინავი ღიმილი კვლავინდებურად იხატებოდა მის დასისხლიანებულ სახეზე.

ეს საზარელი კაცკვლა იმ ერთადერთი მღვიძარე კაცის ნამოქმედარი იყო.

აკი დაემუქრა კიდევც: „შენიანები მოგკლავენო შენ“. სწორედ მან გააღვიდა მძინარე მეთოფენი, ახალი იერემიასი და მის მცირე მიმდევართა ამოჟღერა უბრძანა.

მსტოვრებს მოეტანათ ამბავი: მცხეთას ახალი იერემიას მონაფენი გამოღვიძებულან და სვეტიცხოვლის ტაძართან იყრიანო თავს.

სავლე სასწრაფოდ შემოახტა თავის ულაცს და — აბა, ბიჭებო, მცხეთისკენო, — უბრძანა მეთოფეთ. იგი ჰაერში ხმლის ენერგიულად ქნევით წინ მიუძლოდა ძმათა სისხლმონყურებულთ და სიუს ტომის ინდიელივით დასჭყვივლებდა ხანი-ხან.

ოფლში შეცურებულნი ცხენ-კაცნი ფლოქვების ხმას თავიანთ გულისცემას აყოლებდნენ, ნაძალადევი ღიმილი და უფრო მეტი სასონარკვეთა აღბეჭდოდა თითოეულ მათგანს სახეზე.

...და ჩამოწვა ბნელი. მზე კარგა ხანია ჩაიძირა. სიბნელემ მოიცვა სამყარო.

მხედრები შედგნენ. ჩიტების ჭიკჭიკიც ახლა გაიგეს, ხეთა ჩურჩულიც და ბალახთა შრიალიც. მცხეთა ახლოს იყო. სვეტიცხოვლის ზარების ხმებმა თითქოს გამოაფხიზლა, არა, უფრო შეძრა მხედრიონი... და გაისმა ხმა ზევიდან:

„რაისთვის მდევნი, სავლე, მე?“

რაისთვის მდევნით, გზააბნეულნო?

1985 წლის 4 აპრილი
„სუკ“-ის იზოლატორი, საკანი #21.

რამდენიმე სურათი უცნაური ბავშვის ცხოვრებიდან

— შენი ყველაზე საყვარელი გმირი ისტორიიდან? — იკითხა მასწავლებელმა და მზერა გამხდარ, ერთდროულად ნალვლიან და მოუსვენარ გამომეტყველებიან ბიჭს მიაპყრო.

— ჯუზეპე მაძინი!

...არადა, სასკოლო პროგრამაში მაძინი ერთხელაც არ იყო ნახსენები. ისტორიის მასწავლებელი, რა თქმა უნდა, არ გამოორიცხავდა, რომ მოსწავლეს ამ გვარის ამოკითხვა ე.წ. კლასგარეშე ლიტერატურიდანაც შეძლო, მაგრამ რაღა მაინცდამაინც მაძინი და არა, დაფუშვით, სპარტაკი, გარიბალდი, ზასულიჩი...

რაღა მაინცდამაინც მაძინი?

თვით ისტორიის მასწავლებელსაც ბუნდოვნად ახსოვდა ეს გვარი: იტალიელი, იბრძოდა... და მგონი, ემიგრაციაში იყო ინგლისში... მეტი რა? რით დააინტერესა ნიჭიერი, მაგრამ ოდნავ უცნაური მისი მოსწავლე ამ პიროვნებამ? მაგრამ მასწავლებელმა:

— მაძინი! გასაგებია, დაჯექი!

...და მთელ კლასს ეგონა, რომ ყველაფერი გასაგები იყო. მხოლოდ ის, ნიჭიერი, მაგრამ ოდნავ უცნაური მოსწავლე არ მოტყუვდა, ირონიულად გაიღიმა და მერხზე დაეშვა. ეს ღიმილი მასწავლებელმაც შეამჩნია.

ღამით სიზმარი ნახა. ოფლში იყო შეცურებული მთელი ღამის ნაომარი. ვის ებრძოდა, არ ახსოვდა და საერთოდ მთელი სიზმრიდან მხოლოდ ერთი მონაკვეთი გაიხსენა, საბანი თავზე გადაიფარა და არდავინწყებული ნანახის მიმოხილვას შეუდგა.

პინგვინები. ბევრი, ძალიან ბევრი პინგვინი. შორიდან კვერცხებს ჰგვანან, ქათმის კვერცხებს. კვერცხს რომ სიარული

შეეძლოს, პინგვინივით ივლიდა. დაბაჯბაჯებენ და ხელებსაც იქნევენ ზევით-ქვევით. გარშემო კი თეთრი ფერი, ყინულის ფერი და სიცივე. პინგვინთა ბრბოდან ვერც ერთს ვერ გამო-არჩევ, ისე ტყუპებივით ჰგვანან ერთმანეთს. ვერც ერთს ვერ ჩასჭიდებ მზერას და ჩააფრინდები თვალებით.... და ისიც ერთიანად აღიქვამს მათ: პინგვინი, ნაშობი პინგვინთაგან და მშობელი პინგვინთა.

აი, ასეთი უცნაური სიზმარი ნახა ბავშვმა. ყოველ შემთხვევაში, რაც გაიხსენა, უნყინარი იყო... მაგრამ შიში, შიში არ სტოვებდა მას და ბავშვი თანდათან ხვდებოდა, რომ ეს შიში გასახსენებლად კი არა, უკვე გახსენებულიდან იყო: მას პინგვინების ეშინოდა!

უბოროტო პინგვინების ეშინოდა და ვთქვათ, ლომების და ვეფხვების — არა, საკმაოდ პატარა იყო იმისათვის, რომ გაეაზრებინა, თუ რატომ იყო ეს ასე და, შესაძლოა, ბევრ მოზარდსაც ვერ გაეზიარებინა და გაეგო ეს.

...კანით კი ხვდებოდა ბავშვი, დახორკლილი, შემცივნებული კანით და ეს სიცივე იმ ყინულის იყო, სიზმარში რომ ნახა, თორემ ოთახში ბუხარი ენთო და თბილოდა.

ვაგზალი. პირველად არის აქ. დედას წამოჰყვავა, ბებიას უნდა დახვდნენ. მისი ცნობისმოყვარე მზერა ყველაფერს სწვდება და ყველაფერს ამჩნევს. ზოგი რამ გასაგებია მისთვის, ზოგი კი არა... მაგრამ ამ გაუგებარსაც მეხსიერებაში ინახავს, რომ, როცა დრო მოვა, გაიხსენოს, წარსულიდან გამოქექოს და გაიგოს.

დედამ რამდენჯერმე შეუსწორა, მაგრამ ბავშვი მაინც ვაგზალს ამბობს, რალაცით იზიდავს ეს სიტყვა. ვაგზალი, ვაგზალი... რალაც საიდუმლო ამ სიტყვაში არის დამარხული. მას იმედი აქვს, რომ გავა დრო და მისთვის ყველაფერი ნათელი და გასაგები გახდება. ან კი... ახლა დაკვირვებით ათვალთვლებს ყველაფერს და საგულდაგულოდ ინახავს ტვინის უჯრედში.

ადამიანები დადიან აქეთ-იქით. ჩქარობენ, იგინებიან, ერთმანეთს მუჯღუგუნებს ჰკრავენ... სალაროებთან ხომ საერთოდ არ შეიძლება დგომა — ნეკნი არ დაგრჩება კაცს მთელი

(კაცია, პატარა კაცი. მისი ტვინუკაც კაცის ტვინივით მუშაობს. მოკლე შარვლის ჯიბეში რომ ჩაიწყობს ხელებს და ვინმეს გაბრაზებით შეხედავს, მთლად პირწაფარდნილი ბაბუამისია... ანდა, ეს „ნეკნი არ დარჩება კაცს მთელი?“ — ჰმ, კაცი).

ვილაც იცინის, ვილაც გამწარებული ეძებს ვილაცას თუ რა-ღაცას. ვინმე დიდცხვირა ვეებერთელა კი გამხდარ, ჩია მოხუცებულ ქალს რაღაცას უყვება. თავად იცინის, დედაბერს კი ქრისტიანი მონამის გამომეტყველება აქვს და ბავშვიც ამჩნევს, მხოლოდ ზრდილობის გულისთვის უსმენს „ბებო“ იმ „ბიძიას“, რომელიც კვლავ ხარხარებს საკუთარსავე სიტყვებზე და სქელ, მოკლე თითებს ალბათ გაბანჯგვლულ მუცელზე ისვამს. მისი „ბებო“ ჯერ კიდევ არ ჩანს, აგვიანებს რაღაც. არადა, როგორ ჰგვანან ეს ადამიანები ერთმანეთს (კვლავაც გადაახტა რაღაცას), მაგრამ რით? ცხვირით, თვალებით, თმებით... განსხვავება მცირეა. ზოგს, მაგალითად, დიდი ცხვირი აქვს, ზოგს კი პატარა, მაგრამ მაინც რა საოცრად ჰგვანან ერთმანეთს... კიდევ რაღაცით ჰგვანან ერთმანეთს, რაღაცას აგონებს. თითქოს უახლოვდება კიდევ ჭეშმარიტებას, მაგრამ ბოლომდე ვერ იზიარებს მაინც სრულად ამას და დროებით კვლავ ტვინის უფრედში გადააქვს, სანამ გაივლიან წლები.

სულ ორი-სამი საათის შემდეგ კი, ბებოს მუხლებში მყუდროდ მოკალათებული, ამაოდ ცდილობს, კონკრეტულად ვინმე გაიხსენოს ვაგზლიდან... თვით ისეთი „კოლორიტული“ ტიპიც კი, როგორიც დიდცხვირა იყო, ძნელი გასახსენებელია და თუ საერთოდ გამოყო ამ ბრბოდან, ისევ და ისევ ცხვირის და, შესაძლოა, ღიპის წყალობითაც.

...ბებომ კი გემრიელი ხაჭაპურების გამოცხობა იცის, შუბლზე კვერცხგადასმული, ამობერილი და გაფითქინებული, კბილების ჩასობის შემდეგ შადრევანივით რომ ამოხეთქავს ცხელი, საამო სიცხე... ხანდახან ყელ-ტუჩი კი ეფუფქება ამ სითხით, მაგრამ ტკივილის გრძნობა, როგორც წესი, მსწრაფლ უთმობს ადგილს ნეტარებას და ნარკომანივით თვალებმიბნედილი ბავშვი ქვეცნობიერად ხვდება (სრულად კი ამასაც მაშინ გაიაზრებს, როს გავლიან წლები...) თუ რას ნიშნავს საქართველოსთვის სოფელი.

გაივლის ათი, თხუთმეტი, შესაძლოა ოცი წელი და (ალბათ!) საკანში მყოფი პატიმარი, რომელმაც ბევრი რამ იცის მშვენივრად და ისიც სრულად აქვს გააზრებული, თუ რას ნიშნავს საქართველოსთვის სოფელი და უფრო მეტიც, რა განსხვავებაა კოლმეურნესა და გლეხს შორის... ოთხ სხვა პატიმართან ერთად რკინის მაგიდას წრეს მეთათიათასჯერ დაარტყამს „მახორკის“ მძიმე ნაფაზთან ერთად.

სიარული მაგიდის გარშემო. რკინის ცივი მაგიდა, იდაყვს ჩამოდებ და სიცივე მთელ ტანში დაგივლის, ქვის იატაკი და მოსაწყენი დღეები... ხშირად დროს ასე კლავენ: მაგიდის გარშემო დადიან საათობით, როგორც წესი, ჩუმად, ხმას არავენ იღებს, ყველა ფიქრებშია წასული, ან ისეთი სახე აქვთ, რომ ვითომ ფიქრობენ...

მხოლოდ ფეხთა ხმა, მონოტონური, უცნაური ხმა.

სიარული მაგიდის გარშემო. დერეფანში სიმღერა ისმის. მეზობელ საკანში მღერიან. ვილაც უნიჭო, მაგრამ ძალიან ნაღვლიანი მღერის და სულის ეს წუხილი ხმის და სმენის ნაკლს მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ფარავს და მაგიდის გარშემო მოსიარულე პატიმრებიც, თუმცა თქმით არაფერს ამბობენ, მაგრამ ინტერესით უსმენენ ამ უცხო თანამოძმის სიმღერას და მათ ისედაც დარდიან სახეებზე კიდევ და კიდევ იკვეთება ის მარადიული ნაღველი, რომელიც, მეტნაკლებად, ადამიანს გააჩნდა და გააჩნია ადამიდან დღემდე, მაგრამ განსაკუთრებით მათ: ცივ, ბნელ, ნესტიან საკანში გამომწყვდეულ უუფლებო „III ხარისხის მუშახორცთ“.

ახალ წლამდე კი რამდენიმე საათი დაარჩა, მათ ყველას უყვარდათ (ახლაც გვიყვარსო...) ეს დღესასწაული, მაგრამ არავითარი სადღესასწაულო და საზეიმო არ შეიგრძნობა ან მათ ცივ, ქანდაკებასავით გაქვავებულ სახეებში.

...ნაბიჯები, მხოლოდ და მხოლოდ ნაბიჯები.

სიარული მაგიდის გარშემო.

1.01.85 წელი.

(ეს არის გია ჭანტურიას ავტობიოგრაფიული ესკიზი, რომელიც დაწერილია პატიმრობის დროს, „ბურში“ ყოფნისას)

ხვალ

ქართველები ერთად შექუჩულან სანოლზე, თურქულ ყაიდ-აზე მოურთხამთ ფეხები და მთელი საკნის გასაგონად მღერიან. მთელი საკნის გასაგონად, მაგრამ ხმადაბლა. საკანს ესმის იმიტომ, რომ უსმენს. ხმადაბალი და საოცრად ნალვლიანი სიმღერაა. მართალია, დანარჩენთ ქართული არ იციან, მაგრამ მთელი ყურადღებით უსმენენ მაინც. რალაც, რალაც არის ამ სიმღერაში. რალაც არის მათში. ოდითგანვე უცნაური ხალხიაო ქართველები...

სიმღერა მთავრდება. ერთ-ერთი ქართველი რუსს მიუბრუნდა, სიმღერასავით ნალვლიან, მაგრამ ღიმილიან სახეს შეანათებს და რუსულად ეტყვის:

— ამ სიმღერას ღვინო უხდება.

— ეეჰ, უღვინოდ რა სიმღერა იქნება, აბა... – მეორე ქართველი ამატებს, ოღონდ ქართულად.

— ეეჰ, ჩვენებური სუფრა, – ამატებს კიდევ ერთი.

— ღმერთი გვაღირსებს კიდევ...

პატიმრები ეტაპს ელოდებიან. ზოგი ჩრდილოეთით წავა, ზოგი – სამხრეთით, ზოგი – აღმოსავლეთით, დასავლეთით – არც ერთი.

...არც იკლავენ თავს ქართველი პატიმრები, მთავარი მაინც სამხრეთია!

სხვა ერის პატიმრები კი განიცდიან ამას.

— ხვალ იქნება ეტაპი საქართველოში! – ამბობს ერთი რუსი.

— კი, კი, უნდა იყოს, დროა უკვე! – ისმის ხმები.

ვიღაც „ცისფერსისხლიანი“ უშნოდ იწყებს საჭმლის თქველევას. რამდენიმე ზიზლიანი მზერა.

— ცხოველები!

...და კიდევ.

— შეგაძულებს ყველაფერს!
 სიჩუმე. კვლავ ქართველი ქართულად:
 — როდის იქნება, ნეტავ, ეტაპი საქართველოში?
 — ხვალ! – მტკიცედ ამბობს ერთი, თითქოსდა ზუსტი ინ-
 ფორმაცია აქვს მიღებული ამის თაობაზე.
 — კი, კი, ხვალ! – ხმები და ხმები. სურვილი იქცა სიმართლედ.
 არავითარი „ალბათ“, „შესაძლოა“... არამედ ხვალ!
 ზუსტი და მოკლე ხვალ...
 ბედნიერი ხართ! – კვლავ იმ ქართველთა მისამარ-
 თით, რომელნიც სამშობლოში მიდიან, ის ქართველთაგანი,
 რომელსაც ჩრდილოეთში (თეთრ დათევბთან) ისტუმრებენ.
 — თქვენ არა გიჭირთ-რა, ზონებში მიდიხართ... სიჩუმე, კვ-
 ლავ სიჩუმე.

1. (ავტორის მინაწერი)
 ვილაც პერანგს კემსავს.
 ვილაც ტაშტიში რეცხავს თეთრეულს (ტაშტი შავი, თეთრეუ-
 ლი — ნაცრისფერი).
 ვილაც დადის, ვილაც ფიქრობს.
 ...ყველა ხვალეს ელოდება, მობეზრდათ სატრანზიტო
 საკანში ჯდომა. დროა უკვე.
 გათავისუფლებამდე რამდენი დარჩათ, დღეებს ითვლიან,
 ზოგს კი — არც ისე ბევრი.
 მალე – გზა, მალე – ზონა, მალე – თავისუფლება...
 ხვალ ეტაპი უნდა იყოს.
 მობეზრდათ, მაგრამ კვლავ სიჩუმეა.
 და არავინ არ იცის, რომ ძველი, დამპალი ციხის დამპალი
 ჭერი სწორედ ამ საკანში ჩამოიქცევა ხვალ და ორმოცდათორ-
 მეტი პატიმრიდან ოცდაათი მსხვერპლი გახდება ციხის ადმინის-
 ტრაციის სიჯიუტისა და „ეკონომიისა“, „მთავარია რეჟიმი“...

**ხვალ ჭერი ჩამოინგრევა, დღეს კი კვლავ ისმის ნაღვ-
 ლიანი მელოდია, რომელსაც მთელი საკანი გასუსული უგ-
 დებს ყურს: ხვალ ეტაპი უნდა იყოსო.**

1985 წლის 15 თებერვალი.
 როსტოვის ციხე, საკანი #3.

გზააზნეულნი ღა ერთი

საქორწინო პროცესია ნინ მიეშურებოდა. ეგ ზოტიკის მოყვარული სიძე ძველებურ ეტლში გამოჯგიმულიყო და მეჯვარეს რაღაცაზე განცხრომით ესაუბრებოდა. პატარძალი პატარა, ლამაზ თავს აქეთ-იქით ატრიალებდა და მწვანეში ჩაფლულ მშვენიერ მიდამოს თვალს არ სწყვეტდა. ვითომ არაფერი არ ესმოდა, სინამდვილეში კი ყურთასმენა სიძისკენ ჰქონდა მიპყრობილი და თითოეულ მის სიტყვას ხარბად ყლაპავდა. და კიდევ ის, რომ პატარძალი მოუთმენლად ელოდა ღამეს, ქორწინების პირველ ღამეს. ქურდულად გახედავდა საქმროს, მის გრძელ ფეხებს და იმის გაფიქრებაზე, რომ ეს ფეხები მის ფეხებში აიბლანდებოდა ამ ღამეს, გასაოცარი ნეტარებით ევსებოდა გული, ხოლო ლოყა კი ქალწულის დამამშვენიებელ სინითლეს, ცნობიერების გაუაზრებლად, აიფენდა სინმინდის რიდედ.

პატარძლის მეჯვარე კი, პატარა უშნო გოგო ნაძალადევად მხიარულობდა და, იყო თუ არა სასაცილო, მაინც იცინოდა. და ქალის შურდა, თუმცა უყვარდა იგი და გულში ბედნიერებას უსურვებდა. სიძეს ისიც ხშირ-ხშირად გახედავდა ხოლმე და კბილებიც თავისით მიინევედა ტუჩთა საკბენად.

მეეტლეს კი, რომელსაც „ეგ ზოტიკისათვის“ საკმაოდ დიდი თანხა გადაუხადეს, საერთოდ, ფეხზე ეკიდა ყველაფერი. არავის არავითარ ყურადღებას არააქცევდა და თურამეს არ შეეკითხებოდნენ, თავისით სიტყვის მთქმელი არ იყო. შეეკითხებოდნენ რამეს და „ჰოს“, „არას“ ან „ნწუს“ მეტს მაინც ვერაფერს დააცდევინებდი. მეეტლე, ეტყობა, პირველად არ თამაშობდა გაბრაზებულის

როლს. ცხოვრებაზე, ადამიანებზე და, საერთოდ, ყველაფერზე გაბრაზებული და ხელჩაქნეული (ვითომ) შეუწყვეტლივ რაღაცას იცოხნებოდა და ავლაბრული ქართულით, დალაგებული სიტყვებით ფიქრობდა... თანხა კი აწყობდა მეეტლეს, ეს საშუალოზე მეტიც კი იყო, მაგრამ არ იმჩნევდა და მაინც ამით დამშვიდებული და დანყნარებული, მომცრო კუბოკრული ცხვირსახოცივით ვეება თავის მოტიტვლებულ უკანა ნაწილს („ეეჰ, სიბერე, ხაჩიკჯან?“) წამდაუნუმ ინმენდდა, თუმცა არც ისეთი სიცხე იყო და არც მაინცდამაინც ოფლი აწუხებდა იმდენად.

პატარძალმა რომ საათი იკითხა, მეეტლეს სომხურ თავში ავლაბრული ქართულით დანყობილი წინადადება ამოუცურდა სიღრმიდან და ამ წინადადების აზრმა იმდენად შეანუხა, რომ ჯერ უაზროდ დაარტყმევინა ცხენზე შოლტი, შემდეგ კი დამატებითი, „რიგგარეშე“ პაპიროსიც გააბოლებინა.

მოენყობა თუ არა ჩემი ანჟელა უმაღლესში, და... მისი პრაქტიკული ტვინუკა უკვე შემოსავალ-გასავლის სქემას ხაზავდა. ამ წელსაც რომ არ მოწყობილიყო ინსტიტუტში მისი უფროსი ქალიშვილი, უზარმაზარი ფული წყალში გადაყრილი აღმორჩნდებოდა. „მოენყობოდეს და მერე გათხოვებაც შეიძლება, ჰა?!“ და პირველად ახლა გახედა დედოფალს. რასა ჰგავს შობელძაღლიო, გაიფიქრა მისი დახატული თვალ-წარბის დანახვისას, დაავინყდა, რომ მისი ანჟელაც ხმარობდა კოსმეტიკას და ზოგჯერ ისე ჩაიშავებდა თვალებს, ტირანი ქმრის მიერ ნაცემს დაემსგავსებოდა. „პატრონი არა ჰყამ!“ — გააგრძელა „ახალგაზრდობაზე ფიქრი“ მისმა თავმა და მოკლე, ჩასუქებულმა ხელის თითებმა კიდევ ერთხელ გადაატარა კეფაზე მომცრო კუბოკრული ცხვირსახოცი. სიძე კი კვლავ გაცხარებით საუბრობდა თავის მეჯვარესთან – სქელ, ხუჭუჭთმიან, პერსპექტიულ ასპირანტთან, რომლის მეჯვარედ აყვანა დედის დაჟინებულმა მოთხოვნამ გადააწყვეტინა... ასპირანტი მთლად კვანტურ ფიზიკაზე არა, მაგრამ მაინც უინტერესო საგანზე მსჯელობდა და პატარძალი ხანდახან უკმაყოფილო, მჟავე — „აღარ მორჩებაო“ — სახეს შეაჟამებდა.

უკან კი მანქანები, რომელთა მძღოლებიც დაბალი სიჩქარით მიდიოდნენ – სიძისათვის გასწრება არ შეიძლებოდა! ერთფეროვნების დასარღვევად ზოგი მანქანა ხმოვან სიგნალს

გამოსცემდა დროდადრო, და სიძეკაციც ამერიკის ყველაზე საყვარელი და კმაყოფილი პრეზიდენტივით აქნევდა მის-ალმების ნიშნად მარჯვენა ხელს და არცთუ მთლად ჭკვიანურ ღიმღლსაც გადაიფენდა ლამაზ, მაგრამ არაგონიერ, არანაღვლიან და არაფიქრიან სახეზე.

შემდეგ სამგლოვიარო პროცესია შემოეყარათ და აღელვებული პატარძალი დაამშვიდეს, კარგი ნიშანია, ე.ი. ჩვენი ჭირი მიცვალებულებს მიაქესო. „ნადით, თქვენი“! რატომღაც ბრაზობდა მეეტლე კვლავ და გულში სომხურ-ქართულად (ავლაბრულად) იგინებოდა. ცხენსაც უფრო და უფრო მოუხშირა შოლტის ქნევა და ცხოველს რომ ლაპარაკი შეძლებოდა, იკითხავდა – კი, მაგრამ მე რა შუაში ვარ, და ვინმე რა შუაშიაო, — მაგრამ ეს არც მეეტლემ იცოდა და მაინცდამაინც არც აინტერესებდა – ყველაფერი მობეზრდა, ახლა რუბენასთან ერთი პარტია ნარდის თამაშს და ცივი ლუდის დაღევას არაფერი აჯობებდა და კვლავ ცხვირსახოცს წაავლო ხელი.

ქორწილიონი ნახევრად დანგრეულ, ძველ ეკლესიას უახლოვდებოდა. ტაძარი პატარა იყო, მაგრამ სიქათქათე, ძველი სითეთრე შორიდანვე სჭრიდა კაცს თვალს. ტაძარი XII საუკუნეში იყო აშენებული, ხოლო რევოლუციის შემდეგ საწყობად უცდიათ მისი გადაკეთება და შენობის დიდი ნაწილიც მაშინ დაზიანებულია. ბოლო ხანს ხმები დაირხა, საქართველოს საპატრიარქომ შეძლო ტაძრის დაბრუნება და ამოქმედებო და ამ ხმას აყოლილი ქორწილიონიც იქით მიეშურებოდა. ტაძარში ჯვრის დანერა სარწმუნოებრივი მოსაზრებებით არ იყო ნაკარნახევი, ეს, უბრალოდ, ხარკი გახლდათ სიძველისადმი, სილამაზისადმი და სიძისადმი ესოდენ სასურველი ეგზოტიკისადმი... მაგრამ ეგზოტიკის ეს სიყვარული იმდენად ძლიერი არ გახლდათ, რომ სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში წასულიყვნენ და იქ დაენერათ ჯვარი, სვეტიცხოველი ხომ შორს იყო!... ამიტომ გადანყვიტეს, შეეველოთ ამ ნახევრად დანგრეულ ტაძარში, თუ ხმები მართალი იყო და ტაძარი მოქმედებდა, ხომ კარგი – დაინერდნენ ჯვარს, თუ არადა, არც ამით წახდებოდა რამე.

გაჩერდნენ, მეეტლემ ღრმად ამოისუნთქა, თითქოს ზურგით მოეყვანა ტაძრამდე სიძე-პატარძალი. მაყარი პატარძალს დაეხმარა ეტლიდან გადმოსვლაში. ტაძრის ეზოს მხიარული

ხმები მოედო. ახალგაზრდობა დანანილდა და პატარ-პატარა ჯგუფებად დაიყო. ძირითადი მასა სიძე-პატარძლიანად, ტაძარში შევიდა, ზოგი კი გარეთ დარჩა და საუცხოო კოინდარზე ინება მოსვენება. მეეტლე ეტლიდან არც კი გადმოსულა, კოფოზე წამომჯდარმა ანჟელაზე – ე.ი. შემოსავალ-გასავალზე ფიქრი განაგრძო.

ტაძრის მხარჩამოტეხილი კარი ღია იყო. დამტვრეული ბოქლომიც იქვე ეგდო, მიწაზე პირჩამხობილი. ტაძარში შესვლისთანავე ობის, სინესტისა და კიდევ რალაცის სუნი ეცემოდა კაცს. ლამაზ სიბნელეს გრძელი და ვინყო სარკმლიდან შემოსრილებული მზის თვალისმომჭრელი სხივი კვეთდა. სინათლე ტაძარში კიდევ იმ ორიოდ სანთლიდან იყო, რომელბიც კედლებზე აქა-იქ შემორჩენილ უბრალო ხის ხატებთან დაერთო ახლომახლო მცხოვრებ მორწმუნე ერს.

ტაძარში შესულნი უნებურად შედგნენ, ლაპარაკი და სიცილი შეწყვიტეს – ყველაფერი უცხო იყო. ყრმობის გახსენება. ყრმობისა, რომელიც წაართვეს. ქვეყნიერება და დაკარგული ბავშვობა დუმილისაკენ მოუნოდებდათ. სიჩუმე რეკს. რეკს და ხმაურობს. XII საუკუნის დუმილი გამწარებით კიოდა, ხანდახან ღრიალებდა კიდევ და ეს წყნარი ხმაური, გაყინული სისხლის ეს უკანასკნელი ცდა, გათავისუფლებულიყო სიცივის ტყვეობიდან, მზის ერთი, მაგრამ მძლავრი და თვალისმომჭრელი სხივის მხარდაჭერასაც ჰპოვებდა... სანთლები კი ცოტა ენთო, ძალზე ცოტა.

თვალეზმოჩიჩქნილ ხატზე ძნელი გასარკვევი იყო გამოსახულება. შემდეგ მაყართაგან ყველაზე „კომპეტენტურმა“ და ისტორიისა და ხელოვნების საკითხებში ყველაზე „გარკვეულმა“ — მაცხოვრის ხატიან და XV საუკუნით „დაათარილა“. სულ ერთი წამით პატივისცემით გახედა ყველამ, შემდეგ მიივიწყეს... ტაძრის ყოველი კუთხე-კუნჭული მოათვალიერეს, ქალებმა კანკელის აკრძალულ ზღურბლსაც გადააბიჯეს, ძველ ტრაპეზზეც ჩამოსდეს შარვლებში გამოკვართული უკანალი და საუბარიც რალაც უაზროზე, უინტერესოზე და განსაკუთრებით ახლა, ამ წუთას არასაჭიროზე და უსარგებლოზე წამოიწყეს (რამე ხომ უნდა ეთქვათ? თან ეს მომაბეზრებელი სიჩუმეც ხომ უნდა დაერღვიათ?) ბიჭები უფრო მოკრძალებით იყვნენ. ტრაპეზზე, ყოველ შემთხვევაში, უკანალი არც ერთ მათგანს არ ჩამოუდვია.

მღვდლის ძიება უშედეგოდ დამთავრდა. ჭორი აღმოჩნდა: ტაძარი არ იყო ამოქმედებული და, როგორც ჩანდა, არც არავინ აპირებდა ეკლესიისათვის მის დაბრუნებას.

— მოდით, აქ მოდით! – დაიკვილა ერთმა მრგვალსახა ქალიშვილმა, ღილივით მრგვალი და კოხტა ტუჩები რომ ჰქონდა. ახალგაზრდების ერთი ნაწილი უკვე შეჩერებულიყო „XV საუკუნის“ თვალეზამოჩინებულ ხატთან, რომლის წინაც ქალიშვილი გაჰკიოდა და პატარა, ზომიერად ხორციან ხელებს იქნევდა.

— შეხედეთ, შეხედეთ! – და საჩვენებელ თითს ხატისკენ უშვერდა უშნოდ აცუნდრუკებული. ყველა ხატს შეჰყურებდა ჯერ, მერე კი გოგოს – გაკვირვებული, ბოლოს, როგორც იქნა, ამოთქვა – ეშმაკიო და ხელახლა რომ შეხედეს ხატს, გაოცება და შიში მართლაც გადაედოთ. ყველაზე თამამნიც ამაოდ ცდილობდნენ, ყალბი ღიმილით შეენიღბათ უძლურება და შიში... „ხატიდან“ მაცხოვრის ნაცვლად წითელწვერა ეშმაკი შესცქეროდა კომპასდაკარგულ ახალგაზრდობას; წითელწვერა ეშმაკი, ხუჭუჭა თმაში შემალული თმებით, იღიმებოდა და უმხედროდ დარჩენილ თეთრ ცხენს დასცქეროდა, რომელსაც ეშმაკის წვერთა ფერი დრაკონის შთანთქმას უპირებდა. აი, თვალის შეჩვევისა და დაკვირვების შემდეგ რისი ნახვა შეიძლებოდა „ხატზე“... და კიდევ, შემკრთალი ცხენის ფლოქვებთან ვილაცის შუბი ეგდო. შუბი უპატრონო, მიტოვებული და ობოლი...

გამოვიდნენ. მანქანებში უხმოდ ჩასხდნენ. მეეტლეს არაფერი გაუგია, „ნწუო“ და გადაუჭირა ცხენს შოლტი. დაძაბულობის განმუხტვის მიზნით „პერსპექტიულმა“ ასპირანტმა 20-იანი წლების ანტირელიგიური ანეკდოტი უამბო. რეაქცია: ზრდილობით ნაკარნახევი ცივი ღიმილი („შეგიჭამე ცოცხი!“ — გაიფიქრა კიდევ უფრო გაავებულმა მეეტლემ. ცხენისთვის შოლტი არ გადაუჭერია.)

— ახლა საით? – თავი არ მოუტრიალებია, ისე იკითხა.

— საბანკეტო დარბაზში, ძიაკაცო, დროა უკვე! – და სიძემ კვლავ დახედა საათს.

მოყვასი ვინმე კი, რომელსაც ისინი არამცთუ არ იცნობდნენ, მისი სახელიც კი არ ჰქონდათ გაგონილი, რუსეთის ერთ-ერთი საკონცენტრაციო ბანაკის საჯარიმო იზოლატორში იჯდა და ნესტით გაჟღენთილ შავი პურის ნაჭერზე მარილის ნამცეცებს

ანებდა. ლუკმას ადუღებული წყლის ყლუპს მიაყოლებდა და ცხვირჩამოშვებულ თანასაკნელთ ნაღვლიანად გაუღიმებდა.

ეს ის იყო, ვისაც მხრებზე, საკუთარი ნებით, თავის ჯვართან ერთად საერთო ჯვარიც შემოედო და ცხოვრებად წოდებულ გოლგოთაზე მიათრევედა მსუბუქე, სიხარულის მომნიჭებელ, მაგრამ იმავე დროს, უმძიმეს ტვირთს... მიათრევედა, რადგან იცოდა, დრო მოვიდოდა და ჯვარი გაათრევედა და გაიტანდა, აცოცხლებდა მას და ყველა მისიანს.

მას კი არ იცნობდნენ და ქორწილიონს მისი სახელიც კი არ ჰქონდა გაგონილი.

გახსენება: თურქი მწერალი საქართველოში პირველად ეცნობა გალაკტიონ ტაბიძის, წვერიანი გიგანტის, პოეტების მეფის, პოეზიას. განცვიფრებული მხოლოდ ამას ამბობს:

— თურქეთი, სამწუხაროდ, არ იცნობს გალაკტიონის შემოქმედებას, მაგრამ ამით დიდი პოეტი არაფერს კარგავს, კარგავს თურქეთი, რომელიც არ იცნობს ასეთ გენიალურ პოეტს!

და კიდევ – ნუგეზად:

„ჩვენ არ გვიცნობენ, მაგრამ გაგვიცნობენ. ჩვენ მკვდრებად გვთვლიან, მაგრამ ჩვენ ცოცხლები ვართ, ჩვენ გვსჯიან, მაგრამ ჩვენ არ ვკვდებით!“

ქრისტეში არ არსებობს სიკვდილი, ქრისტეში მკვდარი ქრისტეში აღსდგება მკვდრეთით, მეოთხე დღეს.

გამოდი, ლაზარე!

დაბრუნება: საჯარიმო იზოლაციონის, რა თქმა უნდა, ნესტიანი საკანი. სუსტი, მკრთალი შუქი, რომელიც მხედველობაზე საშინლად მოქმედებს. ქვის იატაკი გაჰყვირის:

— ჩემზე წამოწოლა არ შეიძლება! ფრთხილად! ჭლექი! დაღლილნი, სულიერად მოქანცულნი მაგიდის ქვეშ შეძვრებიან, ერთმანეთს ჩაეხუტებიან, ცდილობენ, დაიძინონ. მაგიდა ხის მომცრო ნაწილზეა მილურსმული, ამიტომაც იკუნტებიან მაგიდის ქვეშ, ერთმანეთს ეკვრიან და ეხუტებიან, რომ სიცივით არ გაიყინონ.

როგორც კი კარი ახმაურდება, მაშინვე გამოძვრებიან მაგიდის ფეხებიდან (დღისით ძილი აკრძალულია!) მოუთმენლად ელიან კარის გაღებას... (მარტო ღამლამობით აუხსნიან ბოქლომებით ჩაკეტილ რკინის საწოლებს, დღისით კი ასე სძინავთ – ტკიპასავით მიკრულთ, სხვადასხვა ერის შვილთ).

რეჟიმის კიდევ ერთი დამრღვევი შემოჰყავთ. პატიმრები მას არ იცნობენ და ამიტომ გამოკითხვას უწყებენ. შემდეგ მეზობელ საკნებს გასძახებენ, თუ იცით, ეს ვინ არისო და თუ რამე ცუდი შეიტყვეს ახალმოსულზე, „შესთავაზებენ“, ეს საკანი დატოვეო. თუ ახალმოსული „ადმინისტრაციაზე მუშაობს“, მაბეზლარაა, მას მხოლოდ „პედარასტების“, ანუ „ჩაშვებულების“ საკანი მიიღებს. აქ კი მას სცემენ, აგინებენ და ბანაკში ჩადენილი ყოველი ცოდვისათვის პასუხს აგებინებენ. ზოგჯერ ადმინისტრაცია გაჯიუტდება და პატიმარი არ გაჰყავთ „პედარასტთა“ საკანში. ასეთ შემთხვევაში საკანში მყოფნი მაბეზლარას ხელში მჭრელ საგანს (ხშირ შემთხვევაში სამართლებლის ნატეხს) აძლევენ და უბრძანებენ, ვენები გადაიჭრას. მხოლოდ ვენების გადაჭრის შემდეგ გადაჰყავთ მაბეზლარა „ჩაშვებულთა“ საკანში, ან ყველა უცებ მშვიდდება, ყველაფერი კალაპოტში დგება (საკნიდან მოენე პატიმრის გაგდება კონსპირაციის მიზნით არის ნაკარნახევი, რომ მაბეზლარამ არ გაიგოს, თუ რომელ ჯარისკაცს ან „მებლადნე“ ბიჭს მოაქვს არალეგალურად სიგარეტი, ჩაი და შაქარი საკანში).

საჯარიმო იზოლატორი ბანაკის ფილტრია, რომლისაც სიკვდილივით ეშინიათ პატიოსნებასთან და სინდისთან მწყურალად მყოფ პატიმრებს.

აქ მათ დღეგამოშვებით კვებავენ. „კარგ“ დღეს — „საფრენ“ დღეს! — აძლევენ: დილით ფაფას (ფრიად საეჭვო გამომეტყველების), სადილზე — ნყალწყალა სუპს, რომელშიც ხანდახან კომბოსტოს ფურცლის თუ ნახევრად გაუფცქვნილი შავლაქებიანი კარტოფილის აღმოჩენაც შეიძლება; საღამო უფრო საინტერესოა — იმიტომ, რომ „ფაფასთან“ ერთად პატიმრებს თევზსაც აძლევენ (ცოტათი კი ასდის ამ თევზს ცუდი სუნი, მაგრამ ამას ვინ აქცევს ყურადღებას?!).

ბევრი პატიმარი საჯარიმო იზოლატორში „ბუტერბროდებს“ აკეთებს! პურის გულს ამოჭრიან და გულამოცლილი პურის მყარ ფსკერზე (თუკი ერგოთ „გარბუშკა“) ჩატენიან ფაფაში ამოგლესილ პურის გულს, ზემოდან თევზის ნაჭრებს დაანყობენ და შემდეგ მადიანად შეექცევიან. შეჭამენ, შემდეგ დაუკმაყოფილებელი, საჭმლის გრძნობით აღსავსე თვალებს საკანს (ზოგადად საკანს და არა კონკრეტულად ვინმეს ან რა-

მეს!) მიაპყრობენ და კამუფლიაჟის მიზნით სულ სხვა, ხშირ შემთხვევაში უაზრო რამეს იტყვიან.

— სალამოა უკვე! — და გახედავენ პატარასარკმელს, რომელსაც სიბნელე შემოჭდობია (არადა, ჯერ მხოლოდ შვიდი საათია!)

...„ცუდ“ დღეს კი (როდესაც „საფრენი“ ამინდი არ არის!) პატიმრებს პურის თხელ ნაჭერს, ადუღებულ წყალს და მარილს აძლევენ.

— ამ დროსაც სხვა საზომი აქვს: საუზმე, სადილი, ვახშამი.

— სადილი უნდა იყოს მალე!

— საუზმის შემდეგ თუ არ მოვიდა სანნაწილი, მაშინ დღის მეორე ნახევარში უნდა ველოდოთ...

ანდა რამხელა სიხარულია გაზეთ-ჟურნალების და წიგნის მიღება არალეგალურად! (გაზეთ-ჟურნალებიც აკრძალულია საჯარიმო იზოლატორში) მოუთმენლად ელი, ხარბად ყლაპავ სტრიქონებს და გაზეთის იმ ნაწილს, რომელსაც ადრე არც კი კითხულობდი (მაგ, როგორ შეასრულეს გეგმა ჩარხმშენებლებმა...), ახლა ნაუკითხავს არ უშვებ...

კვლავ საჭმელი:

— დილით, ალბათ, მუხუდოს ფაფა იქნება!

— ღმერთმა ქნას! (მუხუდოს ფაფა აქ „მეფურ“ საჭმელად ითვლება). მაგრამ ხშირ შემთხვევაში გაურბიან მაინც საჭმელზე საუბარს და ვინმე, რომელსაც შესაძლოა ყველაზე მეტად ანუხებს კუჭი, მაგრამ სასწაულებრივად ახერხებს თავის შეკავებას და ემოციების დაფარვას, სხვას – ყბედს, ენაჭარტალას დაუცაცხანებს:

— მოეშვი ბაზარს, გადმოატრიალე ფირფიტა!

...და კიდევ ის, რომ საჯარიმო იზოლატორში ძალიან ცივა. ყველაზე თბილი საკანი 4-ია და პატიმრები მას „ტაშკენტს“ ეძახიან.

— განა გაიგებს კაცი, რომელიც აქ არ მჯდარა, რა არის ბედნიერება?! — თურმე ბედნიერება ჩაი და კანფეტია; კარის ხვრელში „შემოპარული“ სიგარეტი და „პამირიც“ (რომლის არსებობასაც კი ვერ შევამჩნევთ იქ, გარეთ...). უფრო მეტზე ლაპარაკი აღარ ღირს, ეს უკვე „ვარდისფერი ოცნებაა“. ბედნიერება კი... ათი ოქტომბერი: დღეს საკანში ჩაი და კანფეტი შემოგვივიდა – ვილრევეთ, ვიქეიფეთ!

ჩაინერს იმ დღესვე უბის წიგნაკში ამ ღირშესანიშნავ თარიღს. სალამოები... სალამოები... მას სალამო, ღამე აქამდე

უყვარდა, მაგრამ განსაკუთრებით აქ — „იღბლიანი დღის“ შემდეგ, როდესაც კარგად „გაგათბობენ“ — ცხელი „ჩიფირი“, თითო კაცზე თითო კანფეტი (ძალიან ხშირად კარამელი) და რაც მთავარია, „თამბაქო – მახორკა!“

ეს ხომ ბედნიერებაა!

მთელი ღამე არ სძინავთ, იცინიან, „კაიფს იჭერენ“ და დიდხანს, გათენებამდე საუბრობენ, ვინ სტალინის შესახებ ანვდის ინფორმაციას თანამოდმეთ: — შვეციასა და ნორვეგიაში მეგონა თავი, ნამდვილი დასავლეთია...

ვინ აზერბაიჯანულ სამზარეულოს აქებს:

— აზერბაიჯანული „ფითი“ — ეს სიცოცხლეა! განსაკუთრებით დილით, ნაბახუსევს... მსწრაფლ გამოჰყავს კაცი მდგომარეობიდან!

რა არის ბედნიერება? კაცობრიობა მრავალი ათასწლეულის მანძილზე ეძებდა და, ალბათ, მომავალშიც განაგრძობს ძიებას პასუხისას ამ კითხვაზე: ბედნიერება, ალბათ, არის მოპოვება იმის, რაც გგონია, რომ გინდა (ხოლო ის, რაც გგონია, რომ გინდა, თუ მართლა გინდა, ეს ალბათ, სრული ბედნიერებაა უკვე). ათ ოქტომბერს ბედნიერება ჩაი და კანფეტი იყო და ის დასრესილი სიგარეტი, რომლის ბოლსაც გათენებამდე ხარბად ყლაპავდნენ. მადლობა უფალს, არცთუ იშვიათად მეორდება „ათი ოქტომბერი“... „ჩალიჩია“ საჭირო და პატიმრებიც „ჩალიჩობენ“. ის კი, ვისი სახელი ქორწილიონს გაგონილიც კი არ აქვს, ჯარისკაცს ესაუბრება და ფულს აჩეჩებს ხელში.

— აი, ათი მანეთი! ხვალისთვის ჩაი და კანფეტი დაგვჭირდება.

...დრო კი ჩქარა გადისო საჯარიმო იზოლატორში, ოღონდ ჯერ თვითონაც არ იცის, მართლა ასეა, თუ თავს იტყუებენ.

ქორწილიონი წინ მიდის, წინ, ჩქარობენ, ხალხი ელოდებათ. სიძე-პატარძლის გარეშე ხომ არავინ დაინყებს აბა, ქორწილს! ძალიან, ძალიან დაცხა. მოულოდნელად გაიბერა მზე; მზის ულმობელი კუჭი ყველაფერს ინელებს. წყალი მოსწყურდათ. ჩქარა! ჩქარა! მეეტლე ხვნეშის და უკვე დაჭმუჭნულ-დაპატარავებული ცხვირსახოცით ოფლს ინმენდს. ცხელა, ბიჭებმა მკერდი გადაიღვლეს. ქალიშვილები აქეთ-იქით ნაზად აქნევენ ოთხად გაკეცილ გაზეთს. ძალიან ცხელა. ხანდახან სიო დაუბერავს და მთელი

მტვერი სახისკენ მოდის. უდაბნო. აქლემებს წყლის მარაგი აქვთ და ფეხებზე ჰკიდიათ ყველაფერი. პატარძალი კი ბუტყებროდის ჭამას იწყებს, მოშივდა და ათას მეერთეჯერ ამბობს:

— მწყურია!

სიძე ათას მეერთეჯერ პასუხობს:

— ცოტაც მოითმინე და მივალთ მალე!

პროდუქტებისა და წყლის მარაგი. ასანთიც არ იყო, ის-სენებდა ამ სტრიქონების ავტორის ცხონებული ბებია. აქლემი ძალიან საინტერესოდ იფურთხება (ასე ამბობენ), უდაბნო, ჰაშიში, ჩალმიანი არაბი. ხალიფატი. ჰარუმ-არ-რაშიდი. „ათას ერთი ლამის“ ბოლო ტომის გამოცემას არ დააყენეს საშველი! რეკონკისტამაც იწყოს საიდანაც ამოტივტივება, მაგრამ... გზა!... და უბადრუკი, ჯაგლაგი თეთრი ცხენი!

ქორწილიონი უკვე ღელავს და ნერვიულობს – გზას არ უჩანს ბოლო. ეს გზა არ მეცნობაო, ახლალა აღიარა მეეტლემ და ყველა მას აგინებს. შემდეგ მაყრები იღებენ ინიციატივას და ანი უკვე ეტლი მიჰყვება მანქანას.

ჩიხი... უკან. ხვნეშა-ხვნეშით, წინ. ოფლი და ბოლის სუნი.

რალაც გზა გამოჩნდა. ცხელ ასფალტზე შემოდგომის ფოთლები ყვითელ-ჩაშავებული ყრია, მაგრამ ხეები არ ჩანს. ხეები ზეზეურად კვდებიან! საიდანღაც მოსული ფოთლები... მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობს: წინ!

კვლავ ჩიხი. უკან — ხვნეშა-ოხვრით, წინ — ოფლი და ოფლის სუნიც!

სიძე მეეტლეს უბღვერს, მეეტლე — ცხენს, მაყრები — ერთმანეთს, მძლოლები — ავტომობილებს... გინება, მშრალი ფურთხი, ცხვირსახოცების ფრიალი და „მარაოების“ შრიალი. ქალთა ოხვრა და მანქანაში ჩაპრესილი უკანალების ნამდაუნუმ ცუნდრუკი.

— ცხელა! ძალიან ცხელა!

— რა უბედური ამინდია! – ამბობს ერთი. არავინ პასუხობს. რალაც მთა გამოჩნდება შორს. იქით კიდევ უნდა იყოს მთები. მთათა გაგრძელება. ეს ხომ თხოთია, ამბობს ერთი, მაგრამ მისი არ სჯერათ.

— სადა ვარ, ნეტავ!

— შალიკო იძახის, თხოთიანო და...

— კარგი ერთი, რა იცის მაგან...

კვლავ სიჩუმე, მხოლოდ ოხვრა-ხვნეშა და გაზეთების შრიალი. არც საუბრობენ და არც ფიქრობენ, არაფრის თავი არა აქვთ. თვალებს არ ხუჭავენ, მაგრამ თვალღიანიც ვერაფერს ხედავენ, ისე გამოთიშულნი არიან. დაღლილნი, მოქანცულნი, განცალკევებულნი.

— ვაა, კაცო, მზეს შეხედეთ, მზეს! — აყვირდა მეეტლე. მანქანებშიც აყვირდა ხალხი: მზე მართლა „საინტერესო სანახავი“ იყო. იგი საერთოდ აღარ ჩანდა და ცაზეც სიბნელე მოცურავდა ღრუბლებივით. მალე სულ დაბნელდა.

ქორწილიონი გაჩერდა. ზოგმა დიაცმა ტირილი დაიწყო, მამაკაცებმა — „საქმიანი“ საუბარი... ვინ რა თქვა და ვინ რა. ბევრი გზა „დასახეს“ და ბევრი წინადადება წამოაყენეს, მაგრამ ჭკვიანური — არც ერთი.

იდგნენ რა...

— დედაა... — პატარძალსაც წასკდა ქვითინი. სიძემ ხელი გადახვია და მოფერება დაუწყო. ჩემო ფისუნიაო და ჩემო ცუგრუმელაო, და მეეტლეს, მიუხედავად იმისა, რომ მათი დარდი აღარ ჰქონდა, ზიზლი შემოანვა. იმ წუთს თავისი ანჟელაც შესძულდა და, საერთოდ, ყველაფერი...

— მაგის დედაც ვატირე, თუ ვერ მოენყო უმაღლესში! კისერი უტეხია, თუ მაგხელა გოგოს ჭკუა არ აქვს თავში, იყბედოს და ირბინოს აქეთ-იქით, ჰა... სულელი ქალი!

...და მეეტლემ ისევ ცხვირსახოცი „აამოქმედა“.

აცივდა, საგრძნობლად აცივდა. გაზეთები გაჩერდნენ. უკანალეებმაც შეწყვიტეს ცუნდრუკი. ყველა ცდილობდა, გვერდში მყოფს ჩახუტებოდა და შენებებოდა.

...და ციდან ფანტელებმა იწყო ცვენა. ბნელოდა და ვერ არჩევდნენ კარგად. რომ გაარჩიეს, დაჯერება არ უნდოდათ, მაგრამ სინამდვილეს სად გაექცეოდნენ — თოვდა. ცვიოდა თოვლის ფანტელი და სტაფილოსცხვირიანი თოვლის ბაბუაც, მოჩვენებასავით რომ გამოეცხადათ, სიცილით კვდებოდა.

ხალხში პანიკა იყო, მაგრამ ერთმა მოისაზრა და ყველა მანქანის შუქი აანთებინა მძღოლებს. განათდასავით. მზე კი არ ჩანდა.

— დიდხანს გრძელდება...

— რაა?

— მზის დაბნელება.

— რაა? ეს მზის დაბნელებაა?

— აბა რა?

— რა ვიცი!

მესამე — არა, ეს რაღაც სხვაა.

მეოთხე — მეც ასე ვფიქრობ.

მეხუთე — სხვა რა უნდა იყოს, მზის დაბნელებაა და ნუ პანიკორობთ ახლა...

მესამე — ვინ პანიკორობს, უბრალოდ...

კიდევ ხმა — და ეს თოვლიც, თოვლის ბაბუა...

მესამე — რომელი ბაბუა?

კიდევ ხმა — სტაფილოსცხვირიანი!

მეხუთე — ამ სიბნელეში სად დაინახა ახლა თოვლის ბაბუა და მისი სტაფილოს ცხვირი?

ქალის ხმა — ვაჟა, ნავიდეთ!

ვაჟა — გედირიე, გოგო! ვერ ხედავ, რაფერ დღეში ვართ, სად უნდა ნავიდეთ?

ქალის ხმა — სოფელში, ვაჟიკო, სახლში. არ მინდა ქორნილში... — და ტირილი წასკდა...

ქალები — ნავიდეთ, ნელა ვიაროთ და, ადრე თუ გვიან, გავალთ გზაზე...

მამაკაცთა გაუბედავი ხმები — პრინციპში მართალია, აბა, როდემდე ვიქნებით ამ სიბნელეში?

მამაკაცთა გაბედული ხმები — ნავიდეთ, ნავიდეთ!

პროცესია მანქანაში ჯდება – სიძე-პატარძალიც – და გზას „აგრძელებს“. ქორნილიონს უკან მიუყვება ეტლში მარტო დარჩენილი მეეტლე, რომელიც სიცივისაგან მოკუნტულა და მათრახს გამუდმებით იქნევს. კვლავ სიბნელე, თოვლის ბაბუის სიცილიც, რომელსაც ექოც თან ახლავს.

ორიოდ საათი კიდევ დაბოდილობენ. ქალაქში რომ შევლენ, არ სჯერათ და სიხარულისაგან ერთმანეთს კოცნიან. ღამეა უკვე, მაგრამ არ ბნელა – ქალაქი გაჩახჩახებულა. ყველა სახლის თავზე სინათლე, რეკლამა, მონოდება, ლოზუნგი...

განათებული მაღაზიები, გასტრონომები, უნივერსიტეტი, კინოთეატრები... აქ სინათლეა. ბევრი, ბევრი სინათლე.

ქალაქის სიღრმეში რომ შედიან, შემდეგლა ხვდებიან, რომ ეს მათი ქალაქი არ არის და კიდევ ერთ აღმოჩენას რომ გააკეთებენ, შიშისა და გაურკვევლობის გრძნობაც უბრუნდებათ... პატარძალი კვლავინდებურად ტირის, სიძე კი ამოდ ცდილობს მის დამშვიდებას, თავად დასამშვიდებელია.

აღმოჩენა კი.

ქალაქი.

მკვდარი ქალაქი.

ტროტუარზე არც ერთი ცოცხალი სული, არც ერთი გამვლელი.

არსაიდან ხმა! არსით ძახილი!

სიჩუმე.

უზარმაზარ ქალაქში სიჩუმე ჩამონოლილა.

„შეიძლება სძინავთ?“

...სასწრაფოდ უარყვეს ეს აზრი („ხომ არ შეიძლება, ყველას ეძინოს საერთოდ...“) და საერთოდ, თუ ადრე ერთმანეთს მხოლოდ უბღვერდნენ, ახლა ლამის დაჭამონ ერთმანეთი. ვერ იტანენ, სძულთ.

მკვდარი ქალაქი, მაგრამ მკვდრებიც რომ არ ჩანან?

...კი, კი, გამოჩნდა! ერთი მკვდარი გამოჩნდა. ეს ახალშობილი ყრმაა, რომლის გვამიც უსულგულოებს სანაგვე ყუთში უსროლიათ. პატარა თავი გვერდზე გადაუგდია. საბრალო ჩანს და პატარა, საყვარელი, უსიცოცხლო ტუჩები რა ჭიასავით აქვს მოკუმული, თითქოს დედის ძუძუს პირში ჩადებას ელისო.

— ეს შენი მკვდარი შვილია! – ამბობს უზარმაზარი პლაკატიდან კეპიანი კაცი და საჩვენებელ თითს პატარძლისაკენ იშვერს. ეშმაკი თვალეები სიყვარულით უციმციმებს და მოკლენვერიც ნერვიული ატაცებით უტოკავს.

მკვდარი შვილი, თუ დაუბადებელი შვილიო, ხმა კარგად ვერ გაარჩია პატარძალმა, რადგან თავადვე წამოიწყო კივილი, ხოლო მისი კივილი ჯერ სიძის ბლავილმა, შემდგომ კი მთელი ქორწილიონის განწირულმა ხმამ ჩაახშო...

ეს მართლაც, მეტისმეტი იყო.

სასწაულების დღე.

სასწაულების ღამე.

— ეს თქვენი მკვდარი ნაყოფია! – უმეორებს ცეტი კაცი ვეება ნითელი პლაკატიდან და ბოლთას სცემს (პლაკატი, რა თქმა უნდა).

— ვაი, ვაა... — გაჰკვივის პატარძალი.

...სხვა ხმებიც, განწირულთა განწირული ხმები. ერთ-ერთი მაყარი სიძე-პატარძალს მანქანაში შეაგდებს, ხალხს უკან მოუტრიალდება და ბრძანებას ესვრის:

— წავიდეთ, რას დგახართ აქ? თუ მართლა გინდათ გამიგიჟდეთ? — და პროცესია „გზას აგრძელებს“.

სიძე ცოტათი გონს მოეგო, მოიცალა პატარძლისთვის, კვლავ ეფერება. საალერსო სიტყვებს ჩასჩურჩულებს და გულში იხუტებს (თან სცივა. შიგნიდან, ტანში სცივა, თორემ გარეთ აღარ არის ასეთი სიცივე უკვე). მაგრად იკრავს გულში, ამშვიდება და მშვიდდება თვითონაც. პატარძალი კი სლუკუნებს და ცრემლისაგან დასველებულ ნიკაპს საქმროს კოსტიუმზე აწმენდს.

...თავიანთ ქალაქში გამთენიისას ჩააღწიეს მხოლოდ. შემფოთებული და მთელი ღამის უძინარი მშობლები და ნათესავები არ აპირებენ მონაყოლის დაჯერებას, მაგრამ ხომ არ შეიძლება ყველა ცრუობდეს?

სტუმრები უკანვე გაუშვიათ, აბა სიძე-პატარძლის გარეშე ხომ არ წამოიწყებდნენ ქეიფს? ზარალია რამხელა, რა უნდა ქნან ახლა? ყველაფერი ხელახლაა გასაკეთებელი. ბოლოს გადაწყვეტენ: მომავალი კვირისთვის გადადონ ქორწილი და სადედამთილო მკაცრი სახით მიმართავს სარძლოს, რომლისკენაც თვალებს ხშირად აპარებს:

— აღარ აიჩემოთ სულელურად ეკლესია და ქალაქიდან გასვლა! დაეტიეთ აქ და იჯექით ქორწილზე. არსად არ გაადგათ ფეხი...

სიძე-პატარძალი არც აპირებს შეპასუხებას, ან კი აქვთ რაიმე სათქმელი?

პატიმარი მძინარე საკანს მოავლებს თვალს, შემდეგ დაიჩოქებს, ხმამაღლა ამბობს „მამაო ჩვენო“, ბოლოს მიაყოლებს:

— შეინყალენ, უფალო, ერი ჩვენი; დაიფარე ოჯახი ჩემი, ხოლო მე, ცოდვილ მონას შენსას, მომეც ძალა....

შემდეგ წამოდგება, კვლავ მძინარე საკანს გახედავს. ძმების ტანჯული სახეები ახლა ლოცვად აღანთებენ მის სულს... ოღონდ ამ ლოცვას ქართულად კი არა, უკვე რუსულად ამბობს:

„Господи Боже, спасение рабов Твоих, милостивый, щедрые и долготерпимый, печалующийся о наших злобах, не хотующий смерти грешников,

но обращающий их на путь покаўниў и жизни, Сам ныне
сьилостивись к

рабам Твоѣ и даруй им образ покаўниў, прощение грехов и
отпущение, прости

им свѣкое согрешение, вольное и невольное, примири их и
соедини со Сиўтой

Твоей Церковью во Христе Исусе Господе нашем, с Ним же
Тебе подобают

держава и великолепие, ныне и присно и во веки вековю

Аминь!“

საკანში კი მის გარდა ოთხი რუსი, ერთი სომეხი, ერთი აზერ-
ბაიჯანელი და ერთი ჩეჩენია.

პატიმარი პირჯვარს გადაინერს და ქართულად ამთავრებს
უკვე ლოცვას:

— ისმინე ჩემი, უფალო!

ლამე, 19-20 ოქტომბერი, 1984 წელი.

მოთხრობა დავინყე 1985 -1972 წლების 31 აგვისტოს და
დავამთავრე ‘ბურ“-შივე 19-20 ოქტომბრის ლამეს. ბური პკტ-1.

როგორ დასახლდნენ ქართველები საქართველოში

ქართველების წარმომავლობაზე თავიდანვე ბევრი ლაპარაკი იყო. ყველა მეტნაკლებად ჭკვიანს სურდა, გამოეთქვა თავისი აზრი იმ საოცარი, მაგრამ ჯიუტი ფაქტის შესახებ, რის თანახმადაც ქართველები საქართველოში ცხოვრობდნენ და ახლაც ღვთის წყალობით ავსებენ ამ დალოცვილ და მაღლიან მიწას.

ზოგი ამბობდა: ქართველები ავტოქტონური მოსახლეობააო და თავიდანვე ამიერკავკასიაში ცხოვრობდნენო, ზოგს შუამდინარეთიდან, ზოგს კი მცირე აზიიდან მოსულები ვეგონეთ. ქართველების და ბასკების ნათესაობის არცთუ ისე უსაფუძვლო ჰიპოთეზამ ხომ კიდევ მრავალი ახალი აზრი წარმოშვა. ერთნი ამბობდნენ, კავკასიის იბერები არიან ესპანეთში წასულნიო, მეორენი კი პირიქით, იქიდან, პირინეის ნახევარკუნძულიდან ვართ აქ მოსული და დასახლებულებიო.

შუმერები იყვნენ ჩვენი წინაპრებიო, ამაოდ ედავებიან მეორენი, — ხეთებიო. ზოგ ისტორიკოსს ჩვენი ქართველობაც უკვე ისეთ დამტკიცებულ ფაქტად მიაჩნდა, რომ ამაზე დავას საჭიროდაც არ თვლიდა. შემდეგ ურარტუ გამოიჩნრია საუკუნეების წინააღიდან, მაგრამ სიძველეების მოყვარულმა სომხებმა აქ დავასწრეს, ურარტუელები ჩვენა ვართო და არა თქვენო.

ზოგის ფანტაზია საბერძნეთში უხსოვარი დროის მცხოვრებ პელაზგებსაც გადასწვდა, ზოგმა კი აქაოდა, აზრი უაზროაო და გეოგრაფიის კანონებს არ ემორჩილებაო, ეტრუსკებსაც კი მიგვამსგავსა.

ბოლოს და ბოლოს, ვინ ვართ? საიდან მოვდივართ?

ყველაზე გაბედული ჰიპოთეზა ამ კითხვას ასეთ პასუხს სცემს: ატლანტიდელები. დიახ, დიახ, ატლანტიდელები. ატლანტიდა რომ დაიღუპა, ატლანტთა ორი დიდი მოდგმა გადარჩა, ერთი ესპანეთში დასახლდა, მეორე კი ამიერკავკასიაში. აქედანაა ჩვენი და ბასკების ნათესაობაც, მგონი, ყველაფერი ლოგიკურია, არა? ეს ასეა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ლოგიკას ფესვები ვერ უმაგრებენ გვერდს, თორემ აზრს არა უშავს რა...

მაინც ვინა ვართ?

ერთ-ერთი უძველესი, უდიდესი კულტურის, უმდიდრესი ისტორიისა და ულავი ეროვნული ენერჯის მქონე, ჭიანჭველებით მშრომელი, გველივით ბრძენი, წყაროს წყალივით ანკარა და სუფთა, ლომივით მამაცი და აპოლონივით ლამაზი ერი – ვინა ვართ? ვინ და ქართველები! ჩვენი სამშობლო კი საქართველოა. რაც ქართველებად შევიცანით თავი, საქართველოს ორი გული (ასე ხდება?) გავაერთგულეთ – კოლხეთი და იბერია შევკარით ერთ ქართულ სახელმწიფოდ – დიდი ხანია უკვე.

რაც ქართული ენა გავაბატონეთ ჩვენს მინაზე, ესეც დიდი ხანია, ქრისტიანობაც ლამის ბიზანტიასთან ერთად მივიღეთ და ამ ჭეშმარიტების წყაროსაც უხსოვარი დროიდან ხარბად დავუნაფეთ.

ვაგეთ და ვაშენეთ ჩვენი ტაძრები და ციხე-კოშკები. ვზარდეთ და ვზარდეთ ლეკვები მგლისანი, გავუმკლავდით ათასი ჯურის მტერსა და მტარვალს... და ჩვენი ეროვნული ყველაფერი შევინარჩუნეთ და დღემდე მოვიტანეთ.

სახელმწიფოებრიობა დავკარგეთ მხოლოდ XIX საუკუნეში. XX საუკუნეში აღვადგინეთ, მაგრამ ისევ დავკარგეთ, მაგრამ კვლავ აღვიდგინთ და ეს უკვე მეორედ მოსვლამდე იქნება – ჩვენი სახელმწიფო ქრისტეს თავად შეეგებება, როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი...

3.04.1983 წ.

ბმირაუბი

მღეროდნენ და ისე მოდიოდნენ. სიმღერ-სიმღერით მოაპობდნენ ღამეს და ლოგინსშეხიზნულ კაცუნას ტკბილ ძილს უფრთხობდნენ.

სუფრიდან ახალაშლილი, შეზარხოშებულნი და თამამნი ისე, როგორც არასდროს, ერთ კარგ ქართულ სიმღერას მოიმღეროდნენ: „ქართველო, ხელი ხმარს იკარო...“ მღეროდნენ ისე, როგორც შეეძლოთ – არც ძალიან კარგად და არც ისე ცუდად. ერთი პირველს წამოიწყებდა გაბმული ხმით, მეორე და ბანი კი – ერთად შეუწყობდნენ ხოლმე და, მართლაც, არ იყო ცუდი მოსასმენი.

ვიღაცამ წყალი გადმოასხა ერთ-ერთი სახლიდან, მაგრამ არც კი განუნულან, ყურადღება არ მიუქცევიათ, ისე გააგრძელეს სიმღერა — სიმღერის შეწყვეტა არ იქნებოდა. კაცუნამ კი ბალიშის ქვემოთ შეყო თავი, რომ ხმა არ გაეგო და ძილი გაეგრძელებინა, მაგრამ წყეული ხმა ბალიშშიც აღწევდა და ტკბილ ძილს უფრთხობდა.

კაცუნას ხვალ „დიდი“ დღე მოელოდა: მისი დანინაურების საქმე ირჩეოდა და დარწმუნებული იყო, მის იერარქიულ კიბეზე აღზევებას ვერაფერი შეუშლიდა ხელს. ისინი კი მაინც მღეროდნენ, ქუჩაში შეჩერებულიყვნენ უკვე და თითქოს ჯინაზე, ზუსტად კაცუნას ფანჯარასთან აგრძელებდნენ ხელისლგადახვეულნი სიმღერას:

„...ჰარალი, ჰარი ჰარალო...“

— ჩაიგდეთ ხმა, დაგვაძინეთ! – გაისმა კაცუნას ზემოთ მცხოვრები მარტოხელა ბებრის ხმა.

...მერე ვიღაცამ კიტრიც კი ესროლა მომღერლებს ფანჯრიდან და ყველაზე მაღალს ფეხებშიც მოარტყა, მაგრამ არც ამჯერად მიუქცევიათ ყურადღება — სიმღერა არ უნდა შეწყვეტილიყო.

კაცუნა ყველაზე ხელსაყრელ მდგომარეობას ეძებდა ლოგინში — თან ხმა რომ არ გაეგო და თან მოხერხებულად მოწყ-

ობილიყო. კარგა ხანს იტრიალა აქეთ-იქით, ბალიში ხან თავს ზემოთ დაიდო, ხან ცალ ყურთან მიიტანა, მაგრამ ამოდ, მისი ძილი ამალამ არ იქნებოდა. თენდებოდა უკვე, კაცუნა წამოდგა, ლაბაბში ჩაკარგული ნაკისრალი აქეთ-იქით გააქნია, სათვალე წამოიცივა პანუა ცხვირზე და ქონში ჩაფლულ ორ პატარა თვალს მინები ააფარა. მარჯვენა ხელი ნახევრად მელოტ თავზე გადაისვა და ფლოსტებში ჩაყო თავისი პანანა, უბალნო ფეხები. შემდეგ ადგა, გაიარ-გამოიარა, ფანჯარასთან ფრთხილად მივიდა და გახედა. შეშინდა, არ დამინახონო და უკანვე გამოიწია.

მაცივარი გამოალო და ყინულივით ცივი „ბორჯომი“ გამოდგა. ცოტა ხანი გასახსნელს ეძებდა, როცა ვერ იპოვა, ბოთლი მაგიდასთან მიიტანა, მამაპაპურად გაეხსნო. შემდეგ მაგიდა დაენანა და ბოთლი უკანვე, მაცივარში შეაბრუნა.

სამზარეულოშიც აღწევდა მათი ხმა, თან სულ ერთსა და იმავეს მღეროდნენ...

„პატრონი არა ჰყავთ, გვინის ნატამალიც აღარ დარჩათ“.

ფანჯარასთან მივიდა, ისინი ქუჩიდან გადიოდნენ. გათენებულიყო უკვე. ახლა გულითაც რომ სდომებოდა, ვერ დაიძინებდა, მალე წასასვლელი იყო.

ისინი კი ტოვებდნენ ამ ქუჩას. გათენდა უკვე და უახლოესი ლუდის ბარისკენ ეჭირათ გეზი – ნაბახუსევს ლუდის შეცვლა არაფერს შეეძლო.

სალამოს კი კვლავ მიუსხდებიან ქართულ სუფრას, სისხლისფერი ღვინით ჩაინმენდენ ყელს, ჯოჯოხეთში წყევლას შეუთვლიან თემურ-ლენგს, კიდევ ერთხელ გაახსენებენ ერთიმეორეს, რომ ძველი და კეთილშობილი ერის შვილები, ცოტნე დადიანის შთამომავლები არიან და შემდეგ კი მთელი ღამე ივლიან და თავიანთ საყვარელ სიმღერას — „ქართველო, ხელი ხმალს იკარ...“ შემოსძახებენ... ოღონდ ამჯერად სხვა ქუჩას ეწვევიან, მათი გამოღვიძების დროცაა უკვე.

...და ასე, ყოველდღე.

1983 წელი.

იზი მიღის

თბილისი. ბინდდება. საიდანღაც ქრის ქარი. სადღაც მიღის. შემოდგომა არ არის, მაგრამ ფოთლები მაინც სცვივა ხეებს. ხეებს სცვივა ფოთლები. ფოთლები სცვივა და გაზინტლულ ქვაფენილს ფარავს. გვერდით ქუჩიდან მარტოხელა მოტორის ხმა ისმის.

მას ცხვირწვეტიანი ფეხსაცმელები აცვია. ძველმოდური. შავი. შარვლის ტოტები აკეცილი, ასეა საჭირო. გრძელი ფეხები. გრძელ ფეხებზე შემოტმასნული შარვალი — უხდება, ფეხებს დაბალს უჩენს. უბე გამობერილი, სვიტრი შარვალში აქვს ჩატანებული. სვიტრზე ირმები დახტიან, ცოტა ზემოთ ქუდიანი მონადირეც გამოჩნდა, კარგი სვიტრია, ლამაზი.

ნიკაპი. გაუპარსავი. შავი წინკლები სულ უფრო და უფრო ინევიან ზევით, მათაც სურთ სუფთა ჰაერი და თავისუფლება. უფრო ზევით ცხვირის ნესტოები და დეფორმირებული ცხვირი. ჩავარდნილი და შემუშპებული თვალები. ნალვლიანი. ბევრის მნახველი, ბრძენი თვალები.

პაკ-პუკ, პაკ-პუკ. სიჩუმეს არღვევს. მელიოდიურად არღვევს სიჩუმეს. ნერვული თითები აქვს — ცოცხალი ხელები... და მას საერთოდ სკამთან უცდიან.

უცდის მაღალი, წელში მოხრილი, თმებგაცვენილი, უფრო ხნიერი და უფრო ბრძენი. მისი გაჭირვება არაფერია მოხუცის გაჭირვებასთან შედარებით. მართალია, ცხოვრების მანძილზე კეთილი დღეებიც იყო, მაგრამ უფრო მეტი — მაინც ცრემლი. მაინც გაძლო, ძლიერი მოხუცია. ნატიფ, ზრდილ, განათლებულ და არცთუ ისე სუსტ მოხუცს ველური ძალა ხშირად ტეხდა წელში. ასე იყო მთელი სიცოცხლე. ახლა ოდნავ არის მოხრილი, მაგრამ თავი მაინც უჭირავს. რალაცის და ვილაცის იმედი აქვს. ის იმედი კი მისკენ მიიჩქარის, მოხუცს უყვარს თავისი იმედი. იცის და უყვარს, იცის, რომ მისთვის ბევრს ენამა იმედი. ბევრი გადაეტანა. ესეც რომ არ ყოფილიყო, მაინც ეყვარებოდა, აკი იმედი...

მისი „იმედი“ კი მორიგ გზაჯვარედინზე დგას და აქეთ-იქით იხედება, კი, მგონი, აქეთ უნდა წავიდეს.

რამდენი ხანია აქ არ ყოფილა. შეცვლილია და არც არის შეცვლილი აქაურობა. აბსოლუტურად არ არიან შეცვლილნი მხოლოდ პატარა ბიჭები. ისევ ისე დარბიან, ამტვრევენ შუშებს, ჩხუბობენ, სასწავლებელში არ დადიან, თამაშობენ... იგივეა დედებისა და ბებიების ყვირილიც, მეეზოვის ჩახრინ-ნული ხმაც და ქუჩის ბოლოში მდგარი წესრიგის დამცველიც.

თავდაჯერებული კრეტიინიც ნაცნობია. დატენილი პორტფელით და ცარიელი თავით სადღაც მიიჩქარის. მან უკვე გაყიდა ყველაფერი, რისი გაყიდვაც კი შეიძლებოდა. მხოლოდ ერთხელ შეავლო თვალი გრძელფეხებიანს და გზა გააგრძელა. გრძელფეხებიანი, მართალია. სწრაფად დადის (მას ხომ სკამთან ელოდებიან), მაგრამ მაინც ყველაფრის შემჩნევას ახერხებს, ყველაფერს აკვირდება. ამდენი წლის შემდეგ ის ხომ პირველად არის ამ ქალაქში, თავის ქალაქში... ბევრი არაფერი შეცვლილა, სახლები გადაუღებავთ მხოლოდ და ...შეამცივნა. იქ ხომ უფრო ციოდა, მაგრამ შეეჩვია. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა. ვერ შეეჩვია დინოზავრი და ა, ბატონო... ის კი არა, უნდა ეცოცხლა. აუცილებლად უნდა გადარჩენილიყო და შეეჩვია.

ძალიან დიდხანს, დიდი ხნის განმავლობაში ელოდებოდა ბერიკაცი მას და რა უფლებით უნდა მომკვდარიყო იქ, სიცივეში, ყინვაში...

ზედამხედველთა ამინდივით ცივი სახეები და ჩაყინული თვალები, თოფზე წამოცმული ლაპლაპა ხიშტი, ულაპარაკოდ რომ იცის საქმის გაკეთება... არა, მაინც უნდა გაეძლო, საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა.

მოქეიფენიც იგივენი დარჩენილან. სიმღერ-სიმღერით მიაპობენ ქუჩას და ერთმანეთს ტუჩებით ენებებიან. მასაც უყვარს ქეიფი, მაგრამ მხოლოდ საქმის შემდეგ. ჯერ არ აქვს უფლება...

პატარა რომ იყო, ფეხი მოიტეხა. მშობლები შიშობდნენ, მაგრამ არ დაკოჭლდა, იქაც მოიტეხა ფეხი, იგივე ფეხი. არ შიშობდნენ, მაგრამ მაინც არ დაკოჭლდა.

...რატომღაც ნაიქცა. არაფრისთვის არ წამოუდია ფეხი, მაგრამ მაინც ნაიქცა. ვილაცის ბოროტ თვალებს ხედავს, ეს აფხიზლებს და სასწრაფოდ წამოდგომას იწყებს. არა, რა ჯანდაბამ წააქცია?!

აგერ პარკიც! კი, ამ პარკში ელოდა მოხუცი. რკინის გა-
ლავანი არტყია ამ პარკს. ისეთი მაღალია, რომ ჩიტებსაც კი
უჭირთ გადაფრენა. პარკში ერთი შესასვლელია. დიდი, ვეე-
ბერთელა კარები, გაურკვეველი ფერის. კარგად აკვირდება
და რაღაცას არჩევს — ადრე, ეტყობა, თეთრი ყოფილა, შემდეგ
მრავალფეროვნებისათვის სისხლისფრად გადაუღებავთ.

მოხუცი კი დგას სკამთან და ელოდება. თან შიშობს — რომ
ხომ შეიძლება, არ შემოუშვან. არა, მოხერხებულია, უსათუოდ
შემოვა. კი, კი, უნდა შემოვიდეს...

მუხლებმა უღალატეს, არც მკლავები მოექცნენ პატიოს-
ნად, სუსტად არიან, ყოველი ორგანო თავისთვის ლპება, ეს
რომ არა, გადაახტებოდა ამ გალავანს და გარეთ დახვდებოდა
მას, მის იმედს, სიხარულს, სიყვარულს, პირმშოს, ერთადერთს
და შეუცვლელს.

...ახლა კი უნდა იდგეს აქ და ელოდოს. პასიურად უნდა იყოს,
მაგრამ მაინც ხომ არის, ხომ არსებობს. ისიც ხომ იცის, რომ
არის და, რომ არის, დარწმუნებულია ამაში. მას სჯერა, რომ
სულ ცოტა ხანიც, სულ მოკლე დროც და მას ნახავს, გულში
ჩაიკრავს, მამაშვილურ ცრემლში განბანს და ეტყვის: — სად
იყავი, შვილო, აქამდე?

არა, ასე არ ეტყვის, ეს საყვედურივით გამოვა. ის მოვიდეს
და ამას როგორ ეტყვის. აბა, როგორ... რა, რა უნდა უთხრას?

— შვილო... ჩემო ბიჭო, როგორა ხარ...

არა, არც ეს ივარგებს, რაღაც არ არის შესაფერისი. რა უნდა
თქვას, ან კი უნდა თქვას საერთოდ რამე? ხომ იცის, რომ ტირილი
აუვარდება, ზღუქუნს ატეხავს ამხელა კაცი. ამდენი გაძლო, ამ-
დენი მოითმინა, ამდენ ხანს ელოდა, მაგრამ მის დანახვაზე უკვე
ველარ შეძლებს თავის შეკავებას და ტირილს დაიწყებს, მერე
ტირილი მასაც გადაედება, ტირილი ხომ გადამდებია...

არა, ზუსტად მაინც არ იცის, როგორ შეხვდება და ან კი რა
მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ შეხვდება. მთავარია, რომ
შეხვდება, რომ მოვა და შეხვდება, აი ეს არის მთავარი. ხოლო, რომ
მოვა და შეხვდება, ბერიკაცს ამაში ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი.

02.04.82 6.

ჯადოქარი

მე არ მეგონა, თუკი ჩემ გარდა სხვას შეეძლო ამ პატარა ქალაქში ამის გაკეთება. პატარა, ძალზეც სუფთა, მაგრამ წვიმიანი ქალაქში. ლონდონში არ ვყოფილვარ, მაგრამ რატომღაც ლონდონის ქუჩებს მაგონებს. „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას“.

პატარა ქალაქში ძალღივით ერთგული პატარა გოგო, რომელიც არაფრის დიდებით გვერდიდან არ მცილდებოდა. პატარა ძალღივით პატარა გოგო. თვრამეტიცა ვარო, არადა ერთი წელი მაინც ექნებოდა წამატებული. თავის დროზე ცოლი რომ მომეყვანა, ახლა მაგხელა ქალიშვილი მეყოლებოდა.

საიდან მივხვდი, რომ სხვასაც შეეძლო ამის გაკეთება. ჩვენ, ჯერ ერთი, ცოტანი ვართ დარჩენილნი, „მეცნიერებისა და ტექნიკური პროგრესის საუკუნეში“ და ვინცა ვართ — ჩუმი ვართ. მეორეც, ამ პატარა ქალაქში სპეციალურად ჩამოვედი, რომ მშვიდად ვყოფილიყავი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღესაც ის არ მოვიდა...

არა, სვედენბორგი არა. მე დიდი ხანია მასთან გავწყვიტე ყოველგვარი ურთიერთობა. ეს ბოლო ნახევარი წელიწადი მხოლოდ მარკიზა და პომპადურს ვხვდებოდი და მასთან მქონდა საუბრები. დილის შვიდის ნახევრიდან რვის ნახევრამდე მელოდა მე ის და ველოდი მე მას. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე ჩვენგანს დაეგვიანებინოს და აი, იმ დღეს... იმ დღეს საერთოდ არ მოვიდა. დიდხანს ვიჯექი გაშეშებული. უაზროდ და უგონოდ. მას არ შეეძლო ეს გაეკეთებინა, რადგან საერთოდ მათ არ შეუძლიათ ამის გაკეთება.

მხოლოდ მაშინ, როდესაც წვიმამ იწყო ჩემი ფანჯრის რაფაზე დაპურჭყება, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ის სხვას ჰყავდა გამოძახებული და ის სხვა ამ ქალაქში სახლობდა.

იმდენად თავზარდამცემი იყო ჩემთვის ეს აღმოჩენა, რომ... იმდენად თავზარდამცემი იყო. თან წვიმა მოდიოდა. მომაბეზრებელი, გაუთავებელი და სრულებით არარომანტიკული წვიმა (და საერთოდ, არსებობს ეს რომანტიკული წვიმა?) მაშ, ასე — მარკიზა არ მოდიოდა და გარეთ წვიმდა. ის არც მეორე დღეს გამოჩენილა. აღარ წვიმდა და ვეება მზეც სულელივით იკრიჭებოდა. მე კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ ის, ჩემნაირი, ამ ქალაქში იყო — იყო და მოქმედებდა. მე ეს გაურკვეველ საფრთხეს მიქმნიდა. საერთოდ, ჩვენ თითქმის ყველანი ვიცნობთ და ხელს არ შევუშლით ერთმანეთს... ეს კი უცნობია ვილაც, უცნობი და საშიში. აი, უკვე მარკიზა წამართვა.

პატარა გოგო ექვს საათზე დამხვდა პარკში. არც წვიმდა და არც მზე იყო. შემატყო, რომ უხასიათოდ ვიყავი, მაგრამ ეყო ზრდილობა და შეკითხვებით არ შემანუხა. შემდეგ თითო ფინჯანი მაგარი ყავა დავლიეთ. ყავამ კონიაკი მომანდომა და დიდხანს არ გვიფიქრია.

რესოტრანში არ იყო ბევრი ხალხი. ბევრი ხალხი ერთი-ორი საათის შემდეგ იქნებოდა. არც ორკესტრი უკრავდა ჯერ... მადლობა ღმერთს! დაჯვრებით და რატომღაც არ გვალოდინეს. ორასი გრამი კონიაკი და ერთი ბოთლი შამპანური. საჭმელი არა, მერე ვნახოთ. კარგი. რამხელა თავი აქვს, არა? ოფიციალტს? ჰო, აბა ვის. რა ვიცი, არც ისე... შენცა ხარ, რა. აი, რომ მოვა, კარგად დააკვირდი. კარგად დავაკვირდები, ისე, შენხელა ქალიშვილი უნდა ჰყავდეს... რატომ მეუბნები მაგას? ისე, ისე რა.

შემდეგ მოიტანეს სასმელი. მე ჩემდაუნებურად დავაკვირდი — თავი მართლაც დიდი ჰქონდა. დავრწმუნდი, კი დავრწმუნდი. კიდევ კარგი, ბი-ძი-ა! გამელიმა. აი, ასე, ახლა კარგი ხარ. არ მინდოდა, მაგრამ ჩემდაუნებურად მთლად ყურებამდე ავხლიჩე ტუჩები. სულ უფრო გადაირია ამაზე, გადმოიხარა და ლოყაზე მაკოცა, მიყვარხარო.

რალაც ჩავიბურტყუნე, მეც არ გამიგია. მერე იმან გაიგო, მაგრამ, კარგი, კარგიო. შემდეგ კვლავ ცუდ ხასიათზე დავდექი. ორკესტრმაც დაიწყო დაკვრა და სულ მთლად გამიფუჭდა გუნება. გოგონასაც გადაედო. წრუპავდა შამპანურს და ქვევიდან მიყურებდა. ქვევიდან მიყურებდა და ხმას არ იღებდა.

ნახვარი ბოთლი შამპანური რომ დაცალა და მე რომ წვეთი კონიაკი აღარ დამრჩა, მხოლოდ მაშინ ამოვიღე ხმა: ოფიციანტი, კონიაკი! ვიყვირე, მერე ისევ გაეჩუმდი.

წინა მაგიდასთან ვილაცეები ისხდნენ. მაგიდის ქვეშ საკმაოდ ლამაზი ფეხები მოჩანდა. რა თქმა უნდა, ქალის ფეხები. ფეხი ფეხზე, ცალი ქოში გახდილი. შემოდებულ ფეხს ოდნავ აქანავებდა. სახეზე რომ შევხედე — იცინოდა. ლამაზი ქალი იყო. შემდეგ პატარა გოგოს შევხედე, ისიც ლამაზი იყო, მაგრამ პატარა. ერთი-ორი წელი ალბათ ნამატებული აქვს, გავიფიქრე და კიდევ უფრო მოვიღუშე.

მარკიზა დე პომპადური! ჰქონდა საფრანგეთის მეფეს გემოვნება და ლამაზ, მაგრამ პატარა გოგონას შევხედე კვლავ (წინა მაგიდასთან იმ ქალს მეორე ქოშიც გაეძრო, ოღონდ ფეხებს აღარ აქანავებდა). მან იმ პერიოდის ისტორიის ბევრი საიდუმლოებით მოცული ამბავი მიაჩნო და საერთოდ მაგარი ქალი იყო (რა სევდიანი სიტყვაა, არა — იყო?). ვინ, ნეტავ ვინ წამართვა მისი თავი? ვინ შეცვლის ახლა მას? — ბუდა, იგნაციო ლიოლა თუ სერვანტესი?

რალაც დავინახე და ცივმა ოფლმა დამასხა. პატარა გოგო რომ შამპანურს სვამდა, „პომპადური“ იყო. ვეცი ბოთლს, ეტიკეტს ჩავაკვირდი, კი, კი ნამდვილად „პომპადური“ იყო (არც კი გამეგონა ადრე, თუ ასეთი შამპანიური არსებობდა). უნგრულია თუ რუმინული? — მითხრა პატარა გოგომ. ახლა კი თავი ვერ შევიკავე და დავუღრიალე, არ გამანებებ თავს, რა გინდამეთქი, თუ რალაც ამის მსგავსი. შევცბი, გამოვერკვიე. მთელი რესტორანი მე შემომყურებდა. ის, ლამაზფეხება ქალიც. პატარა გოგონას თვალებში ცრემლი დავუნახე ჩაგუბებული — ნაცემი ძალღივით შემომყურებდა.

— ნუ ნერვიულობ, ხვალ დილიდან კვლავ ივლის შენთან მარკიზა დე პომპადური! — ადგა და გავიდა, ამის მეტი არაფერი უთქვამს ჩემთვის. მე დიდხანს ვიჯექი რესტორანში გაოცებული. ფული როგორ გადავიხადე და გამოვედი გარეთ, არ მახსოვს. ამის შემდეგ პატარა გოგონა აღარ მინახავს.

1982 წელი.

ქალაქბარეო

შვილი არადა არ გაუჩნდაო. ქმარი უკვე დიდი ხანია, რაც შეჩვეული იყო ამ ამბავს, ქალს კი ახლაც არ უნდოდა იხტიბარის გატეხვა, რალაც დამცირებულად გრძნობდა თავს, მეზობლებს თვალში ვერ უყურებდა, ქმრის ნათესაობასთან ურთიერთობას ხომ საერთოდ გაურბოდა.

— რას შვება, ნეტა, ახლა? — გაიფიქრა ქალმა და თვალეები ჭერს გაუშტერა.

— ზის ახლა, ალბათ, თავის სავარძელში, მუხლებზე უდევს ფურცლების დასტა და ჩაჰკირკიტებს თავის დისერტაციას.

ბოლოს ამ ზაფხულს ასე იშორებდა თავის ცოლს სახლიდან. ქალაქბარეთ ბინა ჰქონდათ და მასაც იქ აგზავნიდა, რომ დისერტაციაზე მუშაობაში ხელი არ შეეშალა.

— რეგვენი! — უკბინა ქალმა ქვედა ტუჩს. ისე გავიდოდა ორი თვე, რომ ორჯერ-სამჯერ ჩამოაკითხავდა ქალს მანქანით, ისიც დიდი-დიდი ერთი საათით. შემდეგ ნაზად მიადებდა ტუჩს ლოყაზე და მიდიოდა.

წინა წელს ქალიც შეაწუხა ერთმა ეჭვმა, რომელიც შემდეგ დადასტურდა კიდევ. ქალს უკვირდა, რომ ზაფხულობით მუშაობდა დისერტაციაზე და ერთხელ თვითონ ჩააკითხა თბილისში... საკმაოდ ცნობილი სიტუაცია, არც ღირს აღწერად. ვერც გმირმა შეამჩნია და ვერც იმ ქალმა, ცოლი კი აკანკალებული გამოეშურა აგარაკისაკენ. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და მაინც მოასწრო იმ ქალზე ცნობების შეკრება, მსახიობი იყო, საკმაოდ სახელგანთქმული, მთელი წელიწადი გასტროლები ჰქონდა, ზაფხულობით იყო მხოლოდ თავისუფალი...

ქმარმა კი ახლაც არ იცოდა არაფერი! ჩამოვიდოდა სექტემბრის პირველ რიცხვებში, ფარისევლურად მიეალერსებოდა, — ჩემო გულიკოო, — და მიჰყავდა შემდეგ ქალაქში.

ნამოდგა ქალი, ფანჯარასთან მივიდა, მკერდი მზეს მიუფიცხა და უკვე მეთათათასედ შეუდგა მეზობლების სახეების დათვალიერებას (ტელევიზიის პროგრამა საღამოთი ინყებოდა, საღამომდე კი შეეძლო, დრო ასე მოეკლა).

სულ პირდაპირ შელიების აგარაკი იდგა, ცისფერი სამსართულიანი შენობა. იმდენი ფული ჰქონდათ, სად წაელოთ, არ იცოდნენ. ერთი მთავრობის მანქანა ემსახურებოდა, ერთიც – კერძო, ახალი „ვოლგა“ ედგათ გარაჟში. ერთი სიტყვით, ფული ჰქონდათ, შვილიც ჰყავდათ, იცოდა მხოლოდ, რომ შორს, რუსეთში სწავლობდა მათი შვილი. ახალგაზრდა არის, ლამაზიო, იტყოდა დედამისი. ჭკვიანიცააო. პროფესორები გიჟებად დადიან (ეს ვინ ყოფილა?!), დღე-დღეზე ელოდებიან მას — მშობლები უნდა ნახოს, უყვარს მშობლები.

შეეშვა ქალი ფიქრებს. ქალიც ლამაზია, ქალის პირობაზე ჭკვიანიც, მაგრამ ქალი აღარ სწავლობს, ის უკვე დიდია, ძალიან დიდი.

...მას ეზიზღება ქმარი.

ქალმა „პოლი და ვირჟინის“ კითხვა დაამთავრა. ცრემლიანი თვალები ასწია, ყვავილებიან-პეპლებიანი ცხვირსახოცი თამოინმინდა და მოუნდა კუნძული!... კუნძული მოუნდა უდაბური, ლამაზი, მყუდრო კუნძული. მოუნდა პოლი ერთგული. ნყალში გადახტება და გადაარჩენს მას. დაიხსნის ვერაგი ტალღებისაგან. ბევრი შვილი ეყოლებათ. პოლი ბიბლიურ-პატრიარქალურ თეთრ წვერს იატაკამდე დაუშვებს, ყალიონს გააბოლებს და აივანზე დადგება, შვილებით და შვილიშვილებით სურს, დატკბეს. მოხუცი დედაბერი კი კეცის მჭადებს ამზადებს.

როგორ გვიყვარდა ჩვენ, პოლი, ერთმანეთი! ერთმანეთს შეხედავენ, ნაღვლიანად შესცინებენ და ქალი კვლავ სამზარეულოში გავა. კეცის მჭადებს დახედვა სჭირდება. ქალს უნდა ბუნება, სიყვარულიც, ყვავილიც, მუსიკაც და კვლავ სიყვარული.

სალამოა. ქალი, ალბათ, ტელევიზორს ჩართავდა, მაგრამ ახლა არა, გარეთ გადის, ბუნებით სურს გახარება. სულს ხანდახან სილალე სჭიდება, დაფუბრუნდეთ ბუნებას!

ფოთლები შრიალებენ ზევით. ქალი ნაბიჯებს ადგამს. ისმის ტკიციანის ხმა ქვევით. ქალს სიამოვნებს ეს ხმა და ჯანსაღ ფეხებს უფრო მძლავრად დგამს მიწაზე. ფოთლები ტკიციანეზენ ქვევით. ის კი ახლა მას ეხვევა და კოცნის. ალბათ, მუხლებზე უზის, ეხვევა, ეფრება, კოცნის, კოცნის ყელზე.

— გველი! — ქალი ქვედა ტუჩს კბენს.

დილაობით, ალბათ, ყავას უდუღებს. ლოგინში მოსთხოვს ალბათ მირთმევას. კახპა! კახპა! კახპა!

მას მაინც ქმარზე უფრო მოსდის ბრაზი. მოლაღატე („ჩემო გულიკო!“, ახლა კი ზის და სხვას ეხვევა, თან კოცნის).

ფოთლების ტკიციანი ისმის, წინიდან ვილაცა მოდის. ქალი შედგება, თვალები და ყურები „საბრძოლო მზადყოფნაში“ არიან. ნეტავ, ვინ არის?

ააა! ეს ხომ ნიკოა. მუნჯი ნიკო, გონებასუსტი ნიკო. აქვე ცხოვრობს. ქალაქი თვალთ არ უნახავს. არსად არ იკარგება და კლუბი ჩააბარეს, დარაჯია. მოსაპარი არაფერია კლუბში და დარაჯიც არ სჭირდებათ, მაგრამ ხომ უნდა დაასაქმონ კაცი. ნიკო ოცდაათ მანეთს იღებს თვეში და კაპიკ-კაპიკ აბარებს დედას.

ქალი უნდა ნიკოს, ძალიან უნდა. ეს ყველამ იცის. გულიკომაც. დაინახავს ქალს და შეღმუფლებს. თავისი ჭკუით გაუცინებს კიდეც:

— მოდი აქ, შე სულელო! — ეძახის ქალი

— მოდი აქ და დაჯექი.

— ჰო, ჰო, ფოთლებზე დაჯექი, ძირს მიწაზე.

— აი, მასე. ხომ კარგად ხარ?

ნიკო გვერდიდან შეჰყურებს ქალს. რას მიყურებ, შე სულელო! — კისკისებს ქალი. ნიკოც იჭყანება.

— რაო, რა გითხრა შეყვარებულმა?

ნიკო იღუშება.

— აღარ უყვარხარ?

— აბა, რა საშენო იყო ის გონჯი, ისა.

— მეფის ასული უნდა გაგირიგო შენ, როგორც შენ გეკადრება, შე სულელო, შენა...

— შე სულელო, შენა!
— რას შვრები, ნიკო?
— აილე ფეხიდან ხელი! (ის ქვენარმავალივით, ალბათ, იმას ეხვევა და კოცნის).

— აილე, შე სულელო, შენა!
ნიკო თვალებით შესთხოვს და ემუდარება
— არ გესმის!
(დილაობით, ალბათ, ყავას მიირთმევს ლოგინში, მსახიობია, დილით ადრე ადგომა როგორ ეკადრება!).
ქალი გვერდით ჩამოუჯდება ნიკოს. მჭიდროდ ეკვრის მას, თმებს უჩეჩავს.

— აი, ჩემს გმირსაც ასე უჩეჩავენ თმებს.
— აი, ასე ეხვევიან, თან კოცნიან.
— შე მუნჯო, შენა. შე მუნჯო...
— რა კარგია, რომ მუნჯი ხარ!
ნიკო თავს უქნევს, სიხარულით შეჰყურებს, თან გაკვირვებული ხელებს სულ მაღლა-მაღლა აპარებს. ქალი მას ეხმარება...
— ჩემს გაყინულ ქმარს ნაღდად ჯობია, — ფიქრობს ცოტა ხნის შემდეგ.

ქალი მთელი ღამე ტიროდა. ტიროდა კი არა, ღმუოდა. ქმარს უღალატა, უღირსს. მაინც უღალატა. პირველად, თან ვისთან? მთელი ღამე არ უძინია. ხმამაღლა მოთქვამდა და ღმუოდა. ნიკო რომ გაახსენებოდა, ტანში გააციებდა, ზიზღისაგან სახეს დამანჭავდა და თვალეზე ხელებს აიფარებდა. მუნჯი ნიკო, მუნჯი და გონებასუსტი.

— წასულია ჩემი საქმე, — ლულულეებს დაოსებული და თვალეზდასიებული.

დილით კი თავისი „კუროც“ იხილა. მოადგა, საწყლად დაეჭყანა. მე მოვედიო აქ, შენთან, სამსახურში არ წავსულვარო. ქალმა ახლა კი იფეთქა, ცოცხს წამოავლო ხელი და ესროლა, რაღაც ესროლა, რა — არ ახსოვს. ნიკო დაგორდა კიბეზე, შემდეგ წამოდგა,

მარჯვენა ხელი წელზე მიიღო და ძალღვივით ყმუილი მორთო, მიძუნძულეებს, თან უკან იხედება – ქალი ხომ არ მოსდევს?
გაკვირვებულია ნიკო. ქალი კი ოდნავ დამშვიდდა. ესეც ასე!

- გამარჯობათ, ქალბატონო ნუცა!
- გაგიმარჯოს, შვილო!
- შემობრძანდით!
- არა, გმადლობთ, შვილი ჩამომივიდა რუსეთიდან და სალამოთი გთხოვთ, გვეწვიოთ, პატარა წვეულება გვექნება.
- გმადლობთ, ვნახავ!
- გულიკო, უსათუოდ გადმოდი!

სალამოთი შელიებთან გადავიდა. ათიოდ სტუმარი ჰყავდათ. ძირითადად ახალგაზრდები, კარგად მიიღეს. ბიჭიც მოეწონა, კარგი, ლამაზი ბიჭია, ცოცხალი. ათიოდე წლით იქნება ქალზე უმცროსი.

- ეს ვინ არის? – ეკითხება დედამისს.
- ჩვენი მეზობელია, შვილო!
- კარგი ქალია, ძალიან მომეწონა.
- გათხოვილია, თან შენზე უფროსიც არის.
- ისე გკითხე, შენ რავა ყველაფერს კუდი უნდა გამოაბა. გულიკო კონიაკს მიეძალა. სურს, ყველაფერი დაივიწყოს.
- არ გეშინია, გულიკო, ქმარი რომ მოვიდეს! – ჩაესმის ხმა. ქალი ტკბება, ფიქრებიდან გამოდის. ეს ზაზა შელიაა.
- რატომ?
- იმიტომ, რომ ძალიან ლამაზი ხარ! — მთვრალია შელიების „ჭკვიანი და ლამაზი“ ბიჭი.
- გმადლობთ, ქათინაურისათვის, ზაზა, თუმცა ჩემი ქმრის მოსვლას არ გირჩევთ! – თამამია ქალიც. კონიაკი ასე საშიშია! და ვაჟი ძალიან ახლოს ჯდება.

შემდეგ ახალგაზრდები მაგნიტოფონს უკრავენ. ყველა ცეკვავს. ზაზა და გულიკოც ცეკვავენ. ცეკვავს ყველა, ნუცასა და მისი ქმრის გარდა. ისინი უკვე მოხუცები არიან. ზაზამ ოთახიდან გამორეკა.

— ლამაზი ხარ, გულიკო! — ვაჟი ყურში ჩასჩურჩულებს.

ქალი იცინის და მიბნედილი თვალებით პასუხობს:

— ეს ხომ უკვე მითხარი!

— მოვკლავ შენს ქმარს, მოვკლავ! — ძალიან მთვრალია უკვე ვაჟი.

...ზაზა გულიკოს სახლში აცილებს. ნელზე ხელი აქვს მოხეუული და ასე აცილებს.

ცუდია. ძალიან ახლოს დგას გულიკოსა და შელიების სახლები. ძალიან ცუდია.

ვაჟი მჭიდროდ ეკვრის ქალს, თითოთ ნიკაპს უწევს და სურს, დაადნეს ქალის ტუჩებს. ქალი თვალებს ხუჭავს, მზად არის ამისთვის. მთელი საღამო მხოლოდ ამისთვის ემზადებოდა. ნიკო, გონებასუსტი ნიკო ახსენდება. ცივი წყალივით მოქმედებს ქალზე ეს სახელი. ჰაერში წუთის ხმა ისმის. ზაზას გახურებულ და ნატკენ ლოყაზე უდევს ხელი.

— უსინდისოვ! — ისმის სიბნელიდან ქალის ხმა, შემდეგ კი — კარების ჯახხუნი.

დილით ქმარმა ჩამოაკითხა. ე.ი. სექტემბერი დამდგარა. ლოყაზე მიადო ტუჩები, გულიკო. ბარგი შეკრეს და მანქანაში ჩაადგეს. შემდეგ ქალიც მოიკაზმა. მამაკაცი მანქანას ქოქავს, ქალი გვერდით უზის.

ნახევარი კილომეტრიც არ ექნებათ გავლილი, რომ ვილაც ახლაგაზრდა კაცი გამოჩნდება გზაზე.

— ეს ხომ ზაზაა, შელიების ბიჭი! — ამბობს მამაკაცი და მანქანას აჩერებს.

— საიდან იცნობ? — უკვირს ქალს.

— ჩემს ხელში გაზრდილი ბავშვია და როგორ არ უნდა ვიცნობდე!

— გამარჯობათ! — ამბობს მანქანაში ახლადჩამჯდარი.

— გაიცანი, ზაზა, ეს ჩემი ცოლია.

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა ქალბატონო! — ზაზა ხელს უწვდის წინ მჯდომს.

— ჩვენ, მგონი, ვიცნობთ ერთმანეთს, ზაზა.

ვაჟს ფერი ეკარგება სახეზე, საჭესთან მყოფიც რალაცნაირად იბნევა.

— დიახ, დიახ, ვიცნობთ ერთმანეთს. თქვენ ჩემი ქმრის მოკვლასაც კი აპირებდით. თუ არ ვცდები, გუშინ, არა?

ულმობელია ქალი სიკვდილივით.

...ზაზა რალაცას იმიზეზებს და მანქანიდან გადადის (თბილისში ქეიფშია დაპატიჟებული და ამიტომ არ ნაწვიდა თავისი მანქანით, ღვინო მოელის. ნეტავი საკუთარი მანქანით ნასულიყო).

მამაკაცს აღარაფერი ახსოვს და ვერც ვერაფერს მიხვდა. მაშინ კი დაიბნა ცოტა, მაგრამ შემდეგ ქალის ხუმრობას მიანერა ყველაფერი.

ისე, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ცოლს ყველაფერში ენდობა, იცის, არასოდეს უღალატებს, ძალღივით ერთგულია მისი. ისიც იცის, თუ როგორ უყვარს გულიკოს ის. კაცი კმაყოფილებით იღიმება.

თბილისში ჩასულნი კი... ჩემო გულიკოო და მანქანის კარებს უღებს.

19.11.1980წ.

მოკლე ისტორია

ყველაფერი კი იმით დაიწყო (უფრო სწორად, დამთავრდა), რომ მე მოგვევლი. არავინ აღარ მყვარობდა და (ბოდიშით!) მეც ყველანი ფეხებზე მეკიდნენ. სასაცილოა არა? — რა თქმა უნდა!

ჯერ სადა ხართ, ფინალია ისეთი, გაგაცინებთ კი არა, გაგაოცებთ — აბა, რა გეგონათ?

ჩემმა ერთადერთმა ცხვარმა ბატკნის ნაცვლად მზისადარი ქალიშვილი მოიგო და სულისა დავარქვით. სულისას გამო იყო, ჩემმა ძმამ, უიმედოდ შეყვარებულმა, თავი რომ მოიკლა.

სულისასაც არ უცოცხლია დიდხანს მას შემდეგ. თურმე ფარულად მასაც ჰყვარებია ჩემი ძმა და მისი სიკვდილი რომ გაიგო, მტკვარს მიაწება ქალწული სიცოცხლე. არადა ყველაფერი ამაოება იყო!

შემდეგ ცხვარსაც გამოუსვეს დანა ყელში და სისხლით მოირწყა ისედაც სისხლით მორწყული დედამინა (არადა ცხვრის ხორცი არ მიყვარს და მოტყუებით მაჭამეს — ღორისააო!)... ნაბახუსევს კი, დილით, მანონი დამალეგინეს!

თავის ტკივილმა გამიარა თუ არა, ლექსი დავწერე — მაგრამ ესეც ამაოება იყო.

მზე ამოვიდა და მეძინა, ჩავიდა და დროს სმაში და ქეიფში ვკლავდი.

სიბრძნეს ვიძენდი და სინათლეში ვიდექი, უგუნურს საქმეს ჩავდიოდი და სიბნელით ვიყავი მოცული. არადა, ყველაფერი სულ ერთი იყო, რამეთუ უგუნურსაც და გონიერსაც ერთი ხვედრი მელოდა — სიკვდილი!

ღმერთი ვახსენე და თეთრი რაში გაჩნდა.

ბევრი აღარ მიფიქრია და შემოვაჯექი (ყველანი გულმონყალები ვიყოთ, ყველას გვიყვარდეს ღმერთი და არც ის გაგვწირავს ჩვენ).

საყვარელი ქალის ალერსს ვეზიარე. დავუსრისე უმამაკაცოდ დარჩენილი დაღვრემილი ძუძუები და გამოვაცოცხლე.

ალერსის ჟამს მიხაროდა, შემდეგ კი მივხვდი, რომ ესეც სისულელე იყო!

კიდევ ბევრი რამ ვცადა, რამეთუ შეძლებაც ბევრი მქონდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

სხვა ვერაფერი ვერ მოვიფიქრე და ახლობლობას გამოვუცხადე, უნდა მოვკვდე-მეთქი და კუბოც ვიყიდე. ჯერ მეშინოდა, შორიდან ვუვლიდი, შემდეგ გაებედე, შიგ ჩავნეჭი და ხის საამო სუნიც ხარბად ჩავისრუტე. ნათესაობაც ხარბად მიყურებდა, ნეტავ როდის მოკვდებაო? მე გუნებაში მეცინებოდა მათ გულუბრყვილობაზე და სიცოცხლის დათმობასაც არ ვაპირებდი.

...არადა, მართლა მოვკვდი!

21.06.80 წ.

მარტი

ვუძღვნი ტერენტი გრანელს!
1 მარტი

*„დილის ცხრა საათზე შევდივარ ეკლესიაში
და ვკოცნი ქრისტეს სისხლიანი სხეულის სურათს.
ოდნავ ქრის ქარი, მე ისევ მიხარია სიცოცხლე
და ჟრუანტელი მივლის.
თოვლში სხედან ჩიტები; მთიდან ქარიშხალი
ნამქერს აყრის მამადავითის საყდარს.
ფანჯრიდან მიცქერს ვიღაც ბავშვი.
აივანზე კიდია თეთრეულები. ოთახში ვბრუნდები,
გზაში მომესმის ყვავის ჩხავილი.
ახლა ვწერ და მწუხარება მიპყრობს!“*

ტერენტი გრანელის დღიურიდან

ის უკვე ქუჩაში იყო. არაფერი აღარ ადარდებდა. მთავარია, რომ უკვე ქუჩაში იყო. ამაოდ ეძებდა პროცესიას – ჯერ-ჯერობით არაფერი ჩანდა.

— ნუთუ მომატყუეს? – გაურბინა სადღაც ეჭვმა (მათგან ტყუილი სავსებით მოსალოდნელი იყო), — ნუთუ? — აეკვიატა კვლავ ეს სიტყვა. ორიოდ ნუთის შემდეგ, აი, ის, სათვალეებიანი რომ იყო, დიდთვალა, სწორედ ის ამბობდა – პირველ მარტს მოკვდა წმინდა ნინო და ათას ხუთასი წლის შემდეგ დაკრძალვა არისო.

ახალი ნაწვიმარი იყო და დახეთ, საოცრებას – ასფალტზე სოკოები ჯერაც არ ამოსულიყვნენ. ყველა მაღაზია, ყველა რესტორანი, ყველა სახინკლე და ქუჩაზე არსებული ყველა დანესებულება დაკეტილი იყო. ქუჩის ბოლოში, სადღაც, მაღალ სახლებს შორის, მზე კვდებოდა და იკარგებოდა. ორიოდ წამ-

სლა დატკბა მომაკვდავი მზის ყურებით, შემდეგ მზეც გაუჩინარდა და მან კვლავ განაგრძო ფიქრი პროცესიაზე (ნუთუ?...).

სვეტიცხოვლის ეზოში დამარხულმა კვართმაც კი ვერ გამოუკეთა გუნება. შედგა, პირჯვარი გადაისახა.

...სწორედ მაშინ მოესმა ხმა!

მან იცოდა, რომ ამ ხმას გაიგონებდა, ისიც იცოდა, რომ სწორედ პირჯვრის გადანერის შემდეგ, მან ეს იქაც იცოდა, იმ დამპალ, აშმორებულ ოთახში.

...და სწორედ ახლა მოესმა ხმა, საკუთარი სულის ხმა იყო ეს. მთელი თავისი სიცოცხლე წინაპრებს დაეძებდა და ან უნდა ეპოვა კიდევ.

აშმორებული ოთახის და ბილწი თანამეინახენის გახსენებამ ზიზღი მოჰგვარა. მხოლოდ გიორგი ბრწყინვალეს შეეძლო დაებრუნებინა იგი სიცოცხლისათვის. ამდენი წელიწადია ეძია და ვერ ჰპოვა ეს დიდებული ქართველი თავის მეგობრებში, მეზობლებში, ნათესავებში... ვერც თავის თავში ჰპოვა!

შემდეგ იყო, რომ პირჯვარი გადაინერა და ხმაც მოესმა, საკუთარი სულის ხმა:

— პარალელურ ქუჩაზე პროცესია შენ გიცდის!

არ ჩქარობდა, ნელა ადგამდა ნაბიჯებს, არ ჰქონდა იმედი, არც გზაში კარგავდა დროს და ფიქრობდა, ფიქრობდა ურწმუნო თომაზე. იმ ქუჩამდე რომ მიაღწია, კიდევ უფრო შეანელა ნაბიჯი – ძალიან ეშინოდა. შორს, ძალიან შორს თეთრი პროცესია მოჩანდა. გულმა სწრაფად დაუნყო ცემა. სისხლმა – საფეთქელში მოწოლა... სითეთრე კი იზრდებოდა და იზრდებოდა. ახლა კი იკადრა და აუჩქარა ნაბიჯებს, შემდეგ გაიქცა და მხოლოდ იქ შედგა, სადაც... თვალმიუწვდენელი და მარადიულობისათვის უსაზღვრო შორეთიდან ასევე უსაზღვრო და უღვევი პროცესია მიემართებოდა.

ყველას თეთრი კაბა ეცვა, ყველას კოჭებამდე ჰქონდა თმები ჩამოშლილი.

სახეებსაც უწყო მან ძებნა, მაგრამ ამაოდ – არც ერთს სახე არ ჰქონდა. იყო მხოლოდ თეთრი სამოსი და ყორანივით შავი თმები. თავისით მთარული გრძელი კუბოც შავი იყო და მან იცნო ის, მხოლოდ მას ჰქონდა სახე. დიდი დახუჭული თვალები,

დაბერილი ტუჩები და მარმარილოსაგან ჩამოთლილი ცხვირი, ის იყო – ნინო, უგვირგვინო დედოფალი საქართველოსი.

შემდეგ მეორე კუბო გამოჩნდა, მესამე... (მას კი მხოლოდ ნინოს შეჰპირდნენ?!).

მეექვსე კუბოში დავით აღმაშენებელიც იხილა, შემდეგ — პატარა კახიც, ქეთევან ნამებულიც... ნუთუ მირაჟია? – ცქ-მუტავდა უკვე მასში ჩაყუყუული ურნმუნო თომა, ხმა კი კვლავ ეძახდა, ეძახდა იმ ქუჩისაკენ, სადაც პროცესია არ იყო, იყო მხოლოდ ანწყო. ის კი უკვე ეურჩებოდა ხმას, არ მიჰყვებოდა.

თვალეები დახუჭა, უბრალოდ დახუჭა, თორემ ფიქრით აღარ ფიქრობდა. ცივმა სიომ წამოუბერა და მანაც გაახილა თვალეები. ნელ-ნელა ზღაზვნით დააშორა ქუთუთო ქუთუთოს: პროცესია მას ტოვებდა.

უკვე ჩაჰკივლა ხმამ, გაბრუნებულიყო უკან, მაგრამ არა, მას უკან გასაბრუნებლად ძალა არ ეყოფოდა. მომავალი პროცესიისკენ გადადგა ნაბიჯი და უკან მდგომ თეთროსანს ჯარისკაცით აუნყო ფეხის ხმა. ძველმანებს კარგავდა, ტანსაცმელს მის თვალწინ ეცვლებოდა ფერი, ველარც ხორცს გრძნობდა უკვე და ველარც ვერაფერს. ჰქონდა მხოლოდ სითეთრე, დიდი შავი სითეთრე და თავჩაქინდრული უსახო თეთრფოჩოსანი უხმოდ მიაბიჯებდა პროცესიის უკან.

გაზაფხულის პირველი დღე იყო, თუმცა თოვლი მაინც ამშვენებდა მამადავითის გუმბათს.

1980 წ.

ჰანიბალი

სანდალა ღვინოსა სვამს, ებერება მუცელი და უსივდება თავი.

— შენ კი გაგისკდეს მაგ კუჭი, სანდალა, — ჩასძახის დედა. საამაყო შვილი კი უკვე მესამე ჯიხვის ყანწსა ცლის.

— შეგეწიოს!

— შეგეწიოს! — პასუხად ქოთქოთებენ თანამესუფრენი.

— სანდალ, შენ დედას კი... — ძველ ჩატოვებულ ბოლმას ანთხევს ვილაც სუფრაზე. სანდალა იქაჩება, სუფრას, სმას თავს ანებებს. თამადა შუაში დგება...

სანდალა ტყეში მუშაობს. ყოველ დილით ხეებს ქრის და ამით შოულობს ლუკმაპურის ფულს. დილაუთენია, თვალეზი ჯერ კიდევ ძილის ტყვეობაში რომ იმყოფებიან, სანდალა დგება, პირს იბანს, თვალეზს აღვიძებს, სხეულს ცივ წყალს გადაავლებს და ტყეში გადის.

მეტყევე კარგად იცნობს მას:

— სანდალ, გაგიმარჯოს!

— გაგიმარჯოს! — სახემომლიმარი პასუხობს სანდალაც.

— გაგიმარჯოთ, ხეებო, თქვენც გაგიმარჯოთ, ბალახნო, თქვენც, გვაჯა ქედებო და შენც, მორცხვო მზეო! აი, იმ ქედს რომ ეფერები და შორიდან რომ მიკრავ თვალს.

სანდალა ბალახს ეკვრის და გულში იხუტებს.

ჯერ კიდევ სველი ბალახი მამაკაცის პერანგზე დიდ ლაქას ტოვებს (აკი, გუშინ წვიმდა!).

შემდეგ წყაროსთან მიდის სანდალა, იროქებს და წყალი პემვით მიაქვს პირთან:

— სიცოცხლეა, სიცოცხლე! — აღტაცებით აღმოხდა სანდალას. იგი ირემივით შეჰბლავლებს წყაროს, ყელს ამაყად მოიღერებს, გვერდზე მოიხედავს და გულის ფეთქვას გაიგონებს. ფეთქავენ ხეთა, მთათა, მდინარეთა და ბალახთა გულები; მიწაც ფეთქავს, არც ის არის უგულო. სადღაც თავის გულისცემას მათ გულისცემას უთანხმებს და ფეთქავს, ვითარცა ერთსული გული კაცისა ბუნებისა.

სანდალა ლოცულობს, თითოეულ ხეს, მთას, თითოეულ ბორცვსაც კი სააღერსო სახელს ეძახის, ეფერება:

— მიყვარხართ! — დილის სიოს მიაგებებს ბაგეთგან მომწყდარ სიტყვას.

შუადღემდე გრძელდება მამაკაცის ეს უცნაური თანაყოფა ბუნებასთან. ნაშუადღევს კი...

— მაპატიე, — და სანდალა ხეს გამეტებით შემოჰკრავს ცულს. თან ჭრის და თან ეფერება:

— მიყვარხარ, ხეო, მიყვარხარ!

სულ ცოტა ხანიც და ბებერი ხე მინას მოსწყდება...

ტელეფონმა დარეკა. სანდალა არ ჩქარობდა ყურმილის აღებას. მაცვივრიდან „ბორჯომი“ გამოიღო, ჭიქაში ჩაასხა, შემდეგ, თითქოს ტელეფონის მოთმინებიდან გამოყვანას ცდილობსო, ნელ-ნელა შეუდგა „ჯადოსნური სითხის“ წრუპვას, ნაბახუსეები გახლდათ.

ვიღაცას ძალიან უჭირდა და რეკვას არ ეშვებოდა. ბოლოს სანდალამ ყურმილი აიღო – ათიოდ წუთი ილაპარაკეს, მეტი არა!

მმართველი გახლდათ, სალამოს ბავშვის დაბადების დღე მაქვს და მოდიო. ჯიბეები მოიქექა. ორმოცდაათი მანეთის მეტი არ ჰქონდა. ჩაიცვა, ქალაქში გავიდა და პატარა ბროლის ლარნაკი იყიდა – ბავშვს ძალიან გაუხარდება, ასეთ „სათამაშოს“ რომ მივუტანო, — წაიავისიტყვავა.

...მეორე დილით მაცვივარში „ბორჯომი“ ველარ ნახა. მოსამსახურე ქალი ლანძღვა-გინებით აიკლო. ქალმა თავი მხრებში ჩაკარგა და აქვითინდა. სანდალას მოსამსახურე არ დაუთხოვია – წიგნების თაროს განმენდა უბრძანა მხოლოდ. ბევრი წიგნი ჰქონდა სახლში სანდალას, ისეთ სამსახურში მუშაობდა, რომ წაკითხვით თუ არა, შენახვით მაინც უნდა შეენახა ისინი.

გამომცემლობაში მუშაობდა სანდალა. დღესაც გამოსაცემად გამზადებული წიგნი მიუტანეს „გასასინჯად“. ორიოდ საათში კითხვა მოათავა.

— რა დიდებულია! – დანანებით იყო ნათქვამი.

უჯრა გამოაღო, წითელი ფანქარი გამოიღო და ჩასწორებას შეუდგა. მალე წითელი ხაზებით აივსო წიგნი.

— ასე უფრო საიმედოა! — ამოისუნთქა შვეებით და ტელევიზორი ჩართო.

...ერთ დიდ მწერალს ეზმანა იმ ღამით: ვიღაცა სახეს უსერავდა.

ბავშვი დაიბადა, თან ბიჭი — ლამაზი და ღონიერი, ჯანსაღი და თვალეზობრიალა. მამამ ქვა ააგდო, თავი შეუშვირა — სანდალა დავარქვათო!

ერთი ქალი დალანდეს კუთხეში, შავები ეცვა და ტიროდა.

— რა გატირებსო, — ჰკითხეს.

— ბავშვს რომ სანდალას არქმევთ, მაგიო!

ვერა გაიგეს რა, მაინც შეეკითხნენ:

— რაზედ შენუხებულხართო?

— ბავშვს სანდალა კი არა, ჰანიბალი უნდა დაარქვათო...

— რატომო, — მაინც ვერ გაიგეს.

— ყველას სანდალა გქვიათ და მაგიც სანდალა უნდა იყოს? მოგიკვდებათო მაშინ!

ტანში გააციათ.

— ვინა ბრძანდებითო, — შეჰბედეს ბოლოს.

— ჰერია ვარო, — თქვა და გაქრა.

ახლა კი იწამეს მისი.

— დე, ერქვას ჰანიბალი! — წარმოთქვა მამამ და გარეთ გავიდა. გარეთ გასულს ამბის გასაგებად მოსული ხალხი დახვდა.

— ვაჟი მყავსო, ვაჟი! — დასჭყეხა.

მათაც მიულოცეს, ბედნიერი ამყოფოსო ღმერთმა სანდალა!

გაიკვირვა კაცმა — ჩემს შვილს ჰანიბალი ჰქვიაო!

ათმა, ასმა და ათასმა მარჯვენამ ქვა ჩაბლუჯა. კაცი მიხვდა, რასაც უპირებდნენ, მაგრამ გვიან იყო...

გავიდა ხანი, ჰანიბალი დავაჟკაცდა, დედამ მკერდზე ჯვარი დაჰკიდა, გვერდზე კი ხმალი შემოარტყა — არა მამისეული, არამედ პაპის ნაქონი.

ჭრაქის შუქი. ნახევრად განათებული ასკეტური ნაკვეთები ჭაბუკი ჰანიბალისა. ლომის ბოკვერი კბილებს ილესავს — დედამ უკვე ყველაფერი უამბო. ჰანიბალი შურს იძიებს. ხატთან დაჩოქილი დგება და სამჯერ შესძახებს:

— ვფიცავ! ვფიცავ! ვფიცავ!

1978 წელი.

მარაბდის ბოლება

— ქალო ხვაშაქო, შვილნი ნაგივიდნენ ომში ბატონ თეიმურაზთან, შენ რას უზიხარ სახლში, რას მიკეთებ? ცხრა ძმამ, ცხრა ხერხეულიძემ დაგტოვა. ცხრავემ მაგ მიმჭკნარი ძუძუებით და დაკოჟრილი ხელებით გაზრდილმა. სულ უმცროსს, ნაბოლარას ჯერ ღინღლიც არ ამოსვლია საულვაშეზე. ნადი მეფესთან, სთხოვე, სულ უმცროსი მაინც დაგიტოვოს სახლში ნუგეშად და გვარის გამგრძელებლად, სთხოვე მეფესა და არ ჩაგაქრობინებს კერას, არ დაგიობლებს სახლ-კარს, არ დაგივსებს თვალებს... ნუგეშად, დედის ნუგეშად!

მოხუცი ქალი, ოთხად მოკეცილი მიმჯდარიყო ბუხრის პირას შავებში ჩაცმული, სათნო და კეთილი სახე ღრმა ნაოჭებით ჰქონდა დაფარული, თავზე კი იყო თმა თეთრი, სულ თეთრი... ორი გრძნობა ებრძოდა ერთმანეთს – გრძნობა შვილების სიყვარულისა და უმაღლესი და უნეტარესი გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა. დაბოლოს, იძლია ერთი მათგანი, მეორემ თითქოსდა ყელში წაუჭირა ხელი პირველსა და ეგრევე მოახრჩო... ხვაშაქაი წამოდგა, ღვთისმშობლის ხატთან ბუხრის გვერდით რომ განისვენებდა, ფეხების ფრატუნით დაემხო და შეჰღალდა:

— მაპატიე, ღვთისმშობელო, ჩემნი გაზრდილნი არიან, ჩემივ ხელებით, არ მემეტებიან სასიკვდილოდ და მიტომ მოვროშე მე უბედურმა. შენ გაამარჯვებინე ჩვენს ბატონსა და გადაგვარჩინე უსჯულოსაგან და მეტს აღარ შეგთხოვ... — თუმცა, ქალი სწრაფად გამოერკვა და სწრაფადვე გააგრძელა, — შვილები სახელოვნად მიმყოფე, მალლა და ამაყად ეჭიროთ ქართული დროშა, არ შელანძღონ ის და ასახელონ მშობელი დედა და უერთგულონ ბატონ მეფესაც.



მარაბდის ველი თანდათან ივსებოდა ქართველებით. თეიმურაზ მეფესთან ყველაზე პირველი ათაბაგი მანუჩარი მოვიდა... სამასი რჩეული მესხით. მას მალე გიორგი სააკაძე და ლომი ჩრდილელი მოჰყვათ თავიანთი რაზმებით.

თეიმურაზს როცა ამცნეს, ზურაბ არაგვის ერთისთავი გენვიათო ლაშქრითურთ, ფრიად ეამა, არ ელოდა გოროზ ფეოდალს სვეგამნარებული მეფე საქართველოსი. თუმც სად იყო საქართველო, იყვნენ მხოლოდ ქართველები ათასი ერისთავებით, ათაბაგებით, თავადებით...

თავადი ბარათაძე მობრძანდა, ბარათაშვილი, ახლა კი გაიფიქრა მეფემ — სადღაც ბედი მწყალობსო. თუ ყოველი თავადის ხსენებაზე ბარათაშვილისნაირი თავადი მომივიდა, რაღა უჭირსო საქართველოს.

კახეთიდან ჩამოვიდა დავით ჯანდიერი, ერთადერთი ალბათ, ვის მოსვლაშიც არასოდეს შეჰპარვია ეჭვი თეიმურაზს. ეს ცალთვალა გოლიათი ჯერ ალექსანდრე კახთბატონს ემსახურა ერთგულად, სანამ ეს უკანასკნელი მისივე შვილმა კონსტანტინე მირზამ ხმლით არ აკუნა. ახლა კი თეიმურაზს ერთგულობდა და მის მტრებს, იგივე მტრებს ქართლ-კახეთისას, მუსრს ავლებდა.

მობრძანდნენ ეპისკოპოსნი: რუისელი, ხარჭაშნელი და რუსთაველი. მეტს მეფე ნამდვილად არავის ელოდა. გადახედა ლაშქარს თეიმურაზმა. ოცი ათას კაცამდე იქნებოდა. მცირეაო და ნაღვლიანად ჩაიღიმა.

ლაშქარში რაღაც საოცარი სიჩუმე ჩამოწვა. ხმის ამოღებას არავინ აპირებდა, სანამ თავად მეფემ არ გადაულაპარაკა დიდ მოურავს:

— ბაადურ ციციშვილი არ მოსულა?

— ჯერ არა, მეფეო! – იყო პასუხი სახელოვანი სარდლის.

სიტყვა არ ჰქონდა გიორგის დასრულებული, რომ იგიც გამოჩნდა. ყველამ ამოიცნო ფაიქში თავადი ციციშვილი. ახლა კი საბოლოოდ გაკვირდა მეფე, რამდენი ვინმე ვახსენე, იმდენი გაჩნდაო.

შაჰ-აბაზიც ინატრა თეიმურაზმა. იმ ბოროტ თავს ამ ხმლით დავუპობო... შაჰ-აბაზი რატომღაც არ გამოჩნდა.

— დიდო მეფეო, — ჩამოქვეითდა ცხენიდან ბაადური, — მოდიან სპარსნი, ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი. ერევნის ბეგლარები, ამირგუნე ხანი მოუძღვებათ და ხოსრო მირზა და ყაზახ ხანიც თან ახლავს...

— ისახან ყორჩიბაში თუ დაგილანდავს? — შეეკითხა გიორგი სააკაძე.

— კი, მოურავო, შაჰის სიძეც იქ ბრძანდება, რჩეული რაზმით და აქლემებით.

— მაინც რამდენი იქნებიან, თავადო, ურჯულონი? — მუდარის კილოთი შეეკითხა თეიმურაზი, თითქოსდა ციციშვილზე იყო მტრის სიმრავლე დამოკიდებული.

— ორმოცდაათი ათასზე მეტი იქნებიან, მეფეო, სიმრავლე მათი თვისებაა, — მიუგო ციციშვილმა.

ბანაკის აყრა და საომრად მზადება ბრძანა მეფე ბატონმა.

პირველ ივლისს ამირგუნე ხანმა თავისი მეთოფენი წინა ხაზზე ჩაამწკრივა, უკან ისახან ყორჩიბაშის მხედრობა ჩაიყენა. მარჯვენა ფლანგი ხოსრო მირზას მისცეს, მარცხენა ყაზახ ჩერქებს დაულოცეს. რატომღაც გული უგრძნობდა ერევნის ბეგლარბეგს, რომ ქართველები იერიშს სწორედ დღეს დაიწყებდნენ, ამიტომაც იჩქარა და საზარბაზნე მინაყრილები სასწრაფოდ გააკეთებინა მეომრებს.

სპარსელები მინაყრილების გაკეთებას რჩებოდნენ, როდესაც ქართველმა მეფემაც შეტევა ბრძანა. ყანებში ჩამალულმა თეიმურაზის ლაშქარმა ამოყო თავი და გაოგნებულ მტერს ისრის და ფინთიხის სეტყვა დააყარა. ამირგუნე ხანმაც აამოქმედა თავისი მეთოფენი და მეზარბაზნენი. ზარბაზანს კი აბა ისარი როგორ გაუშკლავდებოდა. მალევე ჩახოცეს ყანებში ჩამალული ქართველები სპარსელთ.

გიორგი სააკაძემ რაღაც ცერად გახედა თეიმურაზს. აკი უჩიჩინებდა მთელი დღე მეფეს: ამ ხალხს ყანაში ისე ამოხოცავენ ზარბაზნებით, რომ ამბის მომტანიც არ დაგრჩებაო. არ

დაუჯერა მეფემ და ზიდოს ახლა ამდენი ქართველი ვაჟკაცის ცოდო მარტოკამ...

თეიმურაზმა იგრძნო მოურავის დაჟინებული მზერა, მიხვდა, მიხვდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. შემდეგ კვლავ გახედა სიყვარულით აღსავსე თვალებით ურჩ აზნაურს და მოკლედ მოუჭრა:

— გვაჩვენე, გიორგი, გმირობა!

გიორგი სააკაძეს გაქეზება აღარ სჭირდებოდა, ისედაც ხელით ნინკნიდა მახვილის ტარს. მეფეს თავი დაუკრა და მხედრობით გაექანა მტრისაკენ.

ზღვის ტალღასავით შეასკდა ერთმანეთს ორი ზვაფი, სადაც გიორგი სააკაძე აღმოჩნდებოდა, იქ უამრავი სპარსის გვამი ჩნდებოდა უმაღლ.

— გიორგი, ზურგს მიხედე! — მოურავმა იცნო ერთგული ლომი ჩრდილელის ხმა, შემოტრიალდა და ვერაგ მტერს თავი ჭიპამდე ჩაჰკვეთა. ახლა წინ იგრძნო საფრთხე და ცხენი ყალყზე დააყენა... მტრის ტყვიამ რაშს გული გაუპო. სააკაძე სწრაფად გადმოხტა ცხენიდან და ჩრდილელის შემოგებებულ ცხენს მოახტა უმაღლ. აქეთ-იქით, აქეთ-იქით, საითაც კი გაისროლა მახვილი, სულ ხორცები დააგლიჯა მტერს.

ბრძოლაში ათაბაგი მანუჩარი ჩაება.

— სადა ხარ, ლაჩარო სარდალო, სად მემალეები, ამირგუნე ხან! ახორხოცდა მესხი ვაჟკაცი. დიდხანს არ აყვირა ერევნის ბეგლარბეგმა მანუჩარ ჯაყელი. ცხენდაცხენ მიიჭრა და ხმალი მოუქნია. ათაბაგმა მოქნეული აიცდინა და მსწრაფლ მიაგება ჯაკარდანი... დაკოდილი ხანი მიწაზე გაგორდა.

ამირგუნე ხანი დაგვიჭრესო, ახმაურდნენ სპარსი მეთოფენი, მტერს ზურგი უჩვენეს, თოფები და ზარბაზნები ალლაჰს დაუტოვეს და თავად კინისკვრით გაიქცნენ. დაედევნენ ქართველები, ბევრიც ჰხოცეს და იმდენი ქნეს, რომ ყანებში ჩახოცილი ქართველების სისხლი ერთიანად ამოიღეს.

გიორგისთან გაოფლიანებული ფაიესი მიიჭრა – მარცხენა ფლანგზე დავით ჯანდიერმა და ეპისკოპოსმა დომენტიმ ხოსრო მირზა გააქციესო. მკლავში ძალა შეემატა გიორგის, ერთითად აპობდა უკვე მტერს, როდესაც ცენტრი გაანადგურა, ბარათაშვილის და ზურაბ ერისთავის მისაშველებლად გადავიდა მარჯვენა ფლანგზე.

ყაზახ ხან ჩერქეზი ერთხანს მაგრად იდგა, თავს იკავებდა, მაგრამ როცა გიორგის გაშლილი ლაშქარიც დაინახა მოსული, ერთბაშად აირია, მოტრიალდა და ზურგი უჩვენა გიაურს. ქართველებიც გათამამდნენ და გაქცეულ მტერს შორს შეჰყვნენ. ბორცვამდე არც კი იყვნენ ქართველნი მისულნი, როცა მტერი შემოტრიალდა, ხოლო ზურგიდან ისახან ყორჩიბაშის მეომრები შემოერთყნენ რკალად და ახლა უკვე ირანელთ იწყეს ქართველების ჩეხვა. ხალხი ახლა მთლიან ჯარად გადაიქცა, ვინ ვის კლავდა, არავინ იყო გამგებელი. ბაადურ ციციშვილი შუაგულში ჩადგა და ურჯულოთ კეპვა დაუნყო. უცბათ მკერდში ტკივილი იგრძნო. ეს სპარსის შუბი იყო, დაჭრილმა ძლივს შეიმაგრა თავი. მოწინააღმდეგეს ირონიული, მომაკვდავი კაცის ღიმილით შეხედა და... თვალი უყო და სანამ გაოგნებული მტერი გონს მოვიდოდა, სახეში შეაფურთხა. სპარსელმა ხელები აიფარა სახეზე და ახლა კი იხელთა დრო ციციშვილმა, უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა დაჭრილმა და მტერს ხმალი მთელი სიმძლავრით მოუქნია – სპარსის ტანი ორად გაიყარა. ვერც ქართველმა შეიკავა თავი და მძალვრად მოქნეულ ხმალს მიწაზე გადაჰყვა. ვილაც ურჯულო დაქვეითდა, დავარდნილ ქართველთან ჩაცუცქდა და ჯერ კიდევ ცოცხალს თავის მოჭრა დაუნყო. ვაჟკაცმა იგრძნო ბასრი ხმლის ღიტიანი ყელში, ისიც იგრძნო, როგორ ისერებოდა ყელის ნაზი კანი. ჯერ ემწვავა, შემდეგ პირი გაუშრა და ზღვის წყლის მლაშე გემოც იგრძნო. სისხლიც მოსდიოდა და ქვემოდან ზემოთ, ენამდე მიაღწია, უკვე ასხამდა. ვაი ვერც მოასწრო, რომ გონიც დაკარგა...

მოურავმა ველარ მოუსწრო ციციშვილს ცოცხალს, ხოლო მის მკვლელს კი სამაგიერო-საკადრისი მიაგო, ჯერ ბრტყლად დაარტყა ხმალი თავში, დაარეტიანა, შემდეგ კი ასო-ასო აკეპა. დაეცნენ ეპისკოპოსნი: რუსთველი, ხარჭაშნელი... ქართველობა იცლებოდა სისხლისგან და თავდებოდა. ბოლოს თავად თეიმურაზიც ჩაება ბრძოლაში, მარჯვენა ფლანგი აუცილებლად უნდა გადავარჩინოთო. დიდი წვალებით მოსწყვიტა ისახან ყორჩიბაში ხაზახ ხანს, დააცალკევა და ორთავეს დაარტყა. კვლავ ზურგი უჩვენეს შიიტებმა ქართველთ; თეიმურაზს მშვიდობა უნდა ებრძანებინა, რომ...

მარაბდის ველი ივსებოდა ახალ-ახალი ნაკადით სპარსელთა – ეს აზერბაიჯანის ბეგლარბეგები გახლდათ შაბენდე ხანი, შაჰ-აბასის მიერ მაშველად გამოგზავნილი. მეფეს კინალამ თვალი დაუბნელდა, ამდენს ქართველობა უკვე ველარ გაუძლებდა, მაგრამ მაინც ძალები შეაერთა და სპარსელთათვის ცით მოვლენილ ამ მშველელს უწყო ლოდინი.

— ალათგანს მიხმეთ! — ბრძანა მეფემ. მოიჭრა მშვენიერი ყმანვილი კაცი. მარჯვენა ხელში ქართლ-კახეთის სამეფოს დროშა ეჭირა, მარცხენაში ურჯულოთა სისხლში განზანილი მახვილი.

— არ შემარცხვინო, ხერხეულიძევ, დროშა თუ დაეცა, ნახდება ლაშქარი ქართველთა.

ალათგანმა არაფერი უპასუხა, ისედაც ყველაფერი გასაგები იყო.

ბრძოლა განახლდა, განახლდა მაშინ, როცა ქართველებს უკვე დასრულებული ეგონათ. კვლავ დააგელვებდა ცხენს დიდი მოურავი. მისი ხმლის მოქნევა და რამდენიმე სპარსელის წაწვენა ერთი იყო, მაგრამ უკვე ვერც მისი მარჯვენა შევლოდა ქართველობას – ბრძოლა წაგებული იყო.

...ეს ალათგანმა მაშინ იგრძნო, როდესაც ყელში ისარი გაერჭო.

— ძმაო! — წაილულულა და სული დალია. ალამდარ ხერხეულიძემ ფიცხელ შემოაგება მარჯვენა და ქართველთა დროშა მაგრად ჩაბლუჯა თითებში. ცოტა ხანს გაუძლო, ჰკაფავდნენ მტერს, მაგრამ როცა მუცელი ხმალმა გადაუსერა და ნაწლავები მიწაზე გადმოუყარა, მარტო ესლა მოახერხა და ძმას გადაულოცა დროშა.

თავდებოდნენ ცხრა ძმა ხერხეულიძენი, თავდებოდნენ, რამეთუ იყვნენ მხოლოდ ცხრანი. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მაღლა ეჭირათ ქართველთა ეროვნული დროშა და ამ დროშითვე კვდებოდნენ. დარჩნენ შემდეგ შვიდნი, ექვსნი, შემდეგ ხუთნი, ოთხნი, ბოლოს სამნი... სამივე ძმა ზურგით მიეყრდნო ერთურთს, ერთმა დროშა ჩაიხუტა გულში. ორმა კი ხმლით იწყეს მტრის მოგერიება... ბრმა ტყვია მაინც მედროშეს მოხვდა, მერვე ძმამ დავარდნის საშუალება არ მისცა და მკვდარი ძმა დროშიანად მარცხენა ხელით დააკავა. მარჯვენათი ჩეხავდა მტერს.

ცვიოდნენ ურჯულოთა თავები, ცვიოდნენ, მაგრამ ცხრათ-

ავიანი დევის მსგავსად თითო მოკვეთილ ნათავარზე ათი თავი ამოდოდა. ბოლოს მოკლეს მერვეც. მას ისე მაგრად ეჭირა დროშა, რომ დედამ ძლივს ნაჰგლიჯა ხელიდან. უწვრულვაშომ და დედის ნუგეშმა მიიხედ-მოიხედა, მარტოკა იყო ქართველ-თავან და ძმათავან.

ჩაესმა: ქართველობა არ შეარცხვინო! დედის სიტყვები, ხვაშაქ ქალის სიტყვები. ნამს ცეცხლი შემოენთო გულზე. ამ ცეცხლმა კინალამ აატირა, მაგრამ ტირილის დროც აღარ იყო. მის პატარა ნორჩ გულშიც მოესწრო უკვე ჩახედვა მართლაც რომ ბრმა და დაუნდობელ ტყვიას.

...ზაზაიმ დროშას შეხედა, სანამ შეძლო, დროშას და თავს იმაგრებდა. შემდეგ – ვაი დედაო, — და პირქვე დაემხო მშობელ მინას!

მიცვალებულნი ღმუიან თუ რა არის ეს? ვილაც ხმამაღლა მოსთქვამს და საშინელის ხმით ტირის. არა, ეს მიცვალებულე-ბი არ არიან, ეს ხვაშაქია, სვეგამწარებული დედა ცხრა ძმისა.

მარაბდის ველი ადამიანებით არის მოფენილი. მინდვრის შუაში ცხრა ძმა ხერხეულიძე ჩანოლილა. სულ პატარას, მე-დროშეს, დროშა გულთან მიუკრავს.

გამწარებული დედა კი მოსთქვამს:

— რატომ მე არა და თქვენ, შვილებო... ვინღა დამმარხოს და დამიტიროს, თუ არა თქვენ. რატომ გამწირეთ ასე, რატომ არ სტირით თქვენი დედის ცოცხლად სიკვდილს, ვაი, შვილებო...

ღმუის ქალი და გოროზი მთები და არემარე ბანს აძლევენ.

— რამღა მაცოცხლოს, შვილებო, რამღა? — განაგრძობს ქალი და ღანვებს იხოკავს. უცბათ მაშინდელივით კვლავ შედგა, მიმოიხედა, სხვა მკვდრებიც ეცნაურა, ესენიც ქართველები არიანო, გაიფიქრა და წამოდგა.

— მაჰატიე, უფალო, მარტო ჩემსას რომ ვტირი, აქ არიან ყველანი: ხერხეულიძენიც, მაჩაბელნიც, ჩოლოყაშვილნიც. აგერ დავით ჯანდიერი, ეს ბაადურ ციციშვილის თავია... მაჰა-ტიე, ღმერთო, — და ქალი ბოდიშებად იღვრება.

— დროშა, ჩვენი დროშა! — გაახსენდა მას. ნაბოლარა ზაზაის მიეჭრა. ყინულივით ცივი ხელებიდან დროშა გამოჰგლიჯა და ზე აღმართა:

— შენ არ დასცე, უფალო, არასოდეს დროშა ქართველთა, — წამოიძახა და მიწაზე დავარდა.

საკვირველი ეს იყო მხოლოდ, დროშა კვლავ ფეხზე იდგა, ნასისხლ-ნაომარი, დაფლეთილი ჩალისფერი დროშა მედროშეს გარეშე და მაინც ფრიალებდა, ნიშნად ხვაშაქის წინარე ქართველი ქალის წინასწარმეტყველებისა:

„კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამონყდებიან, ჯავრი არ სჭამონ მტრისანი“.

1977 წელი

ზართმეპროლი

არ იყო მახინჯი, პირიქით... ლამაზიც კი ეთქმოდა. მაღალი, თვალებბრიალა და შავლაბადამოსხმული. ეკლესიებს და ხატებს ვერ იტანდა მხოლოდ!

ეკლესია! ნაგები მწვანე ქვით. ჩვენს წინაპართ ულოციათ იქ. ფრესკებზე უთენებიათ და ულამებიათ უცნობ ქართველ მხატვართ.

ორმოცდღიანი მარხვით დასუსტებულ ბერებს შემოქმედისთვის უთხოვიათ ერის კეთილდღეობა.

შემოგვცქერის მეუფე საქართველოსი – დიდი აღმაშენებელი! დიდი, მაგრამ მაინც მოკრძალებული, მორიდებული და მორცხვი ბავშვივით მოკუნტული კიდეში...

ახალგაზრდა კი თამამად დააბიჯებს და უხსნის ხალხს „ასახსნელს“, თუ ლოგიკა ვერ ქრის, ხელებსაც იშველიებს (თუ ძალიან გაჭირდა, მაუზერზეც წაივლებს მარჯვენას).

სამი ხატი!

— გნამთ თქვენ ამის? — მიმართავს ხალხს. შეშინებული ხმები, თითო-ორი:

— კი!

— როგორ თუ კი, აი, ნახეთ! — და გამწარებული ხვრეტს ხატებს.

ცოცხალივით ეღებება საფეთქლები წმინდა გიორგის, ღვთისმშობელი ჩვილ ყმას მჭიდროდ იკრავს გულზე, მონყალე და ტკბილი იესო კი შეჰყურებს შედეგს და ცრემლი ჩამოსდის. ერთი ცხვარიც რომ გამოაკლდეს მის ფარას, ამაზე ტირის, თორემ უგუნურის ტყვიამ ვერარა დააკლო.

— რას მიზამს ხატები, რას? — გამომწვევად მიმართავს ხატმკვლელი ხალხს. ხალხს ეშინია და ვერაფერს პასუხობს.

— მეტი რალა უნდა გიქნას ხატმა, გაგაგიჟა და... — ბედავს ერთი ქარმაგი ვაჟკაცი. იოსებს ჰგავს, ხუროს და ქართველობაც ატყვია სახეზედ.

ცბება ხატმკვლელი და ფიქრობს: ბნელი ხალხი, ხატებს მაინც იცავენ.

ზარი რექს!

აი, სიმბოლო ბოროტი რწმენისა, კი, უნდა დაემხოს ზარი ქრისტიანობის და ჭაბუკი ზევით მიძვრება.

— ნუ იზამ ამას, — ჩასძახის ხმა.

— არა, — იმეორებს ჯიუტად და მიიწევს წინ... და აი, ზარიც.

წირვა-ლოცვაზე უხმობდა ქართველთ!

— უნდა მოგერიო, ზარო! — დარწმუნებულ-დაჯერებული გულისთქმა ვაჟის.

— ნუ იზამ ამას! — აფრთხილებს ხმა.

— არა, — კერპობს ვაჟი.

ქარი ქრის. ვაჟი ზარს ეკვრის — ქანაობს დუდლუნა, ხმებსაც კი გამოსცემს... ვაი, ვერ იმაგრებს ჭაბუკი თავს და ქარს მიჰყვება უფსკრულში. ზარი კი, ადგლიზეა — ძლიერი, კეთილი და მონყალე!

— ეეჰ, რად გინდოდა, შვილო! — ამბობს ზარი და ცრემლად იღვრება.

...ხოლო ის ჭარმაგი ვაჟკაცი, ჩაჩეხილს საქციელი რომ დაუნუნა, პირჯვარს ინერს — ღვთის რისხვამ უწიაო!

ზარი მშვიდდება, ქარი წყნარდება, ხალხი იშლება, ცხოვრება კი მიდის, მიექანება მდინარესავით და ზღვასთან მიღწეული ზარივით დუდლუნა ხმებს გამოსცემს.

ზარი კვლავ უხმობს რჩეულთ წირვაზე. ბებერი და კეთილი დუდლუნა ხმით მოუხმობს ერს და თან ეუბნება: ზართმე-ბრძოლთ ასეთი ბოლო ელის.

1976 წელი

ლანდი

კაცმა ოდნავ ჩამოხელებულ ოთხაში შუქი აანთო. ვიღაცის ლანდი დაინახა, შეეშინდა. შუქი გამორთო, ლანდი გაქრა. შემდეგ კვლავ აანთო. იფიქრა, ვიღაც არის ჩემს ოთახშიო.

სანოლის ქვეშ შეიხედა, ტუალეტშიც, ოთახის ყველა კუნჭული დაათვალიერა, უცნობი კი ვერ იპოვა. ლანდი კვლავინდებურად კედელზე იყო აკრული. შეშინებული ბოლოს საერთოდ გავიდა სახლიდან. ღამემდეგ ქუჩაში იყილა. თერთმეტი საათი იყო, სახლში დაბრუნება დააპირა. გადაჭრა ცენტრალური ქუჩა და შინისაკენ გაეშურა. მიდიოდა ჩაფიქრებული, შემდეგ შედგა. ქვაფენილზე ვიღაცის ჩრდილი იყო. თავი ნელ-ნელა შემოატრიალა, მაგრამ ქუჩაში არავინ იყო. ბოლოს მოისაზრა, რადგან ლანდი გარეთაა, მე სახლში შევვარდები და კარს უცებ ჩავკეტავო. ასეც მოიქცა. შემდეგ კარი ორი გასაღებით ჩაკეტა. დანყნარდა. სანოლზე გაუხდელად წამოწვა. ხელი გადასწია და რადიო ჩართო — ფრანგული მუსიკის კონცერტი იყო.

მას უყვარდა ხმაურში ფიქრი. სიჩუმეში საერთოდ უჭირდა აზროვნება. ხვალ ქუჩაში იარაღით გავალო, გადაწყვიტა. სანოლიდან წამოდგა, კარადასთან მივიდა, გამოალო, სიგარეტს ეძებდა, სიბნელეში ვერ მიაგნო და შუქი აანთო. ის იყო, სიგარეტის კოლოფს ხელი მოჰკიდა, რომ კედელზე ვიღაცის ლანდი დაინახა, რომელიც ირხეოდა. კანკალებს, ალბათ სცივა — გაიფიქრა და მერე შეეშინდა.

ის უკვე არაფერს არ აქცევდა ყურადღებას, შესცქეროდა ლანდს და ცდილობდა, რამე მოეფიქრებინა. ვერ შეძლო, მას დღეს თავი არ ემორჩილებოდა. მოათვალიერა ოთახი, მაგრამ ძე ხორციელისას ვერ წაანყდა. ასეც იცოდა. კი, მაგრამ

ლანდი? კიდევ ერთხელ შეხედა კედელზე აკრულს და უცებ სიცილი წასკდა, სულ ძალით იცინოდა და ხარხარებდა. ყალბი იყო სიცილი, რომელიც შემდეგ ხარხარში გადაიზარდა.

ეს ხომ ჩემი ლანდია!!! სარკესთან მივიდა, საფეთქლები თითებით დაიზილა. ლამაზი სახე ჰქონდა, ცოტა დიდი ყურები უფუჭებდნენ საქმეს.

კედელს შეხედა. ლანდის გვერდზე ჩამოკიდებული საათი ძილის დროს აჩვენებდა, დრო იყო, დანოლილიყო, ხვალ ადრე იყო სამსახურში წასასვლელი. უცბათ საკუთარი თავი შესძულდა. ლანდს მიუტრიალდა და პირადად მიმართა:

— ლანდო, მე შენი აღარ მეშინია!

კარები შეამოწმა, რადიო გამორთო და დანვა. საკუთარი თავისაც კი შერცხვა, ლანდმა რომ შეაშინა. თუმცა არა, შიშის მოწმე ხომ არავინ ჰყავს? დროა დაიძინოს, ხვალ ადრეა ასადგომი...

1976 წ.

ვილაც მოკვდა

საღამო. სოფელში. სისხლისფერი მზე სოფლის ბოლოში იკარგება. ჭაობის სუნი და ნესტი. ჩემი საშინელი მტერი — ნესტი. შენთვის ხარ ჰამაკში და ფიქრობ. ჰამაკში ვწევარ, ვირწევი და ვფიქრობ. უფრო მეძინება, მაგრამ მაინც ვფიქრობ. ყველაფერი გავიწყდება. ფოთლების ნაზი შრიალი გაგონებს, რომ არსებობ ამქვეყნად. ფოთლები რომ არ ჩურჩულებდნენ, ალბათ ვერც სიჩუმეს შეიგრძნობდო, მაგრამ ფოთლები ჩუმად ესაუბრებიან ერთურთს და მე ეს ძალიან მსიამოვნებს.

ვფიქრობ ყველაფერზე — ესე იგი, არაფერზე. არავინ არ მხედავს და მეშინია. მსიამოვნებს და მეშინია. ვილაცამ ნაზად ხელი დამადო, მწოლიარემ თავი მოვატრიალე. მერი იყო. ჩემს თვალებს ვერ ვხედავ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სიყვარულიანი თვალებით შევცქერი. თავლი, რატომღაც თავლი მახსენდება.

— რა იყო, მერი?

— გადავალ მეზობელთან, ბავშვი გამოაგზავნა, ცუდად არის.

— რომელი?

— რომელი მეზობელი?

— ჰო!

— დათა!

— კი მაგრამ, რა მოუვიდა?

— დღეს დილით სანადიროდ იყო და ხევში ჩაიჩეხა, ექიმმა თქვა, მოკვდებაო...

— რას მეკითხები მერე, გადადი.

ჭიშკართან მისული ჩემი ხმა დაენია. კი, მალე გადმოვალო

— და ნაბიჯებს აუჩქარა.

ჰამაკში მწოლიარემ სიგარეტი ამოვიღე. ძალიან ნელა და ფრთხილად მოვუკიდე. ქარი ქროდა, მაგრამ ალი არ ჩაუქრია. შემდეგ რგოლები გამოვუშვი რამდენიმე. ერთი-ორი გავაძვრინე კიდეც. გამიხარდა.

აცივდა. სოფლის ბოლოში ჩამწყვდეული მზე თითქმის აღარ მოჩანდა. ქარმა კიდევ უფრო დაუბერა. თან მცივა, თან მსიამოვნებს. უფრო მსიამოვნებს მაინც.

ჰამაკში ჩავტოვე მუთაქა, თავად ოთახში შევედი. ლოგინზე დავნიქი, თვალები მტკივა, მაგრამ მაინც არ შემიძლია წიგნის გარეშე. ჩქარა ვკითხულობ. როგორ შეიძლება თავმა სხეულის გარეშე იცოცხლოს. თუმც ფანტასტიკაა!... ჭრიალი შემომესმა, თავი წამოვყავი და სუნთქვა შევიკარი... არა, არავინ არის. მომჩვენებია. უაზროდ ვიყურები, ნიკაპი ხელისგულში მაქვს ჩაფლული. შემდეგ კითხვას ვაგრძელებ.

საღლაც ბაყაყი ყიყინებს. თან ვკითხულობ, თან ყიყინებს. შემეშინდა. ჩემში შიში მომწონს და ვნეტარებ. ბაყაყებს ჭრიჭინებმაც აუბეს მხარი. სანყალი პროფესორი, როგორი ამბავია უთავოდ სიცოცხლე. ვაზროვნებ, ე.ი. ვარსებობ. აი, თუ არსებობ. არა, არ არის სწორი. არსებობა სულ სხვა რამაა. მხრებზე სიცივე მაზის. ეს ჩემი სიცივეა, შინაგანი, თორემ ოთახში არ ცივა.

პროფესორის თავმა კიდევ რაღაც უნდა თქვას, მაგრამ კივილი აწყვეტინებს. მეზობელი სახლიდან კივილი მოისმის. სიცივე უკვე ყელშიც მიჭერს. ვიშმუშნები. საზარელი კივილი. მეშინია. სასონარკვეთილი კივილი უკვე მამცნობს, რომ მეზობელი მოკვდა. მეზობელი, რომელსაც მხოლოდ სახით ვიცნობდი. დათა მოკვდა (სმერდიაკოვი მართლა იყო თუ არა ნეტავ, კარამაზოვების ძმა, — გამიელვა რატომღაც.).

კარები გაიღო. შევხტი. საწოლიდან წამომდგარი კედელს ვეხუტები და აკანკალებული კარებს ვუყურებ.

— საცოდავი, გარდაიცვალა, — ამბობს მერი და ცარიელ საწოლს შესცქერის.

— გამოდი, სადა ხარ! — ნაძალადევი სითამამით ამბობს. არადა ვატყობ, ეშინია. მასაც ეშინია. ეს აღმოჩენა საოცრად მახარებს. შემდეგ ზურგით დამიდგა და უკვე ცრემლიანი თვალებით (ალბათ ცრემლიანით!) მეხვენება, რომ გამოვიდე. მე კი იქვე ვარ, მის ზურგს უკან. გამოვდივარ სიბნელიდან და ქალს მხრებზე ხელებს ვხვევ.

ქალი შეკრთა. მე დავიხარე და ყელზე ვაკოცე. ქალმა ტირილი დაიწყო.

— მე შემეშინდა, ძვირფასო, — მითხრა.

— რატომ? რისი?

მერი მხრებს იჩეჩავს და ცრემლიანი სახით მიღიმის. მე კოცნით ვუშრობ ცრემლს და კიდევ უფრო ვეკრობი. ისიც მეკრობა.

— მშია, — სანყალი ბავშვივით ვამბობ.

მერი ოთახიდან გადის და სამზარეულოდან ტაფაზე აშიშხინებული კვერცხის ხმა მესმის.

მე კვლავ ნიგნს ვუჯდები (უფრო სწორად, ვუნვები). აღარც სიცივეს ვგრძნობ მხრებზე და აღარც მეშინია. სანყალი დათა. ისედაც არ მიყვარს ნადირობა და შემდეგ ერბოკვერცხს გულიანად შევექცევით.

1976 წ.

მათხოვარი

ბედნიერი დღე არის, ნამდვილად ბედნიერი. ამდენი ფული ჩემს სიცოცხელში არ შემეგროვებია, არც ერთ დღეს. სულ არის ერთი-ორი, სამი, ოთხი... ეჰ, მეზარება დათვლა. ამ ფულით კარგ შარვალ-კოსტუმს ვიყიდი. მერე ბებეს გავუვლი, სამსახურში მოწყობას შემპირდა. ცოტას გავიჭირვებ, ბევრს ვიმუშავებს, ფულს შევავროვებ და ნამდვილი კაცი ვიქნები.

აჰ, სიამისაგან თვალები მაინც დავხუჭო და წარმოვიდგინო მთელი ერთი სართული, რომელიმე მრავალსართულიანი ბინისა, რომელიც ჩემი იქნება, ოღონდ ქალაქის ცენტრში, სხვაგან არ წავალ. კარგი იყო ერთი მანქანაც. ჯერ ერთი, მერე, რა თქმა უნდა, მეორესაც ვიყიდი. ლამაზი ქალები, ყველაფერი მექნება, რაც მინდა.

— არა, რალაც მაინც მაკლია, რალაცა... ჰო, აგარაკი. ეს როგორ გამომჩა, კარგი, ლამაზი, ორსართულიანი, ვილა კალიფორნიაში სანაპიროზე. ნამდვილად კარგია. მერე, რომელიმე მილიონერის ლამაზ ქალიშვილს შევირთავ ცოლად; გამიჩენს შვილებს, ბევრ შვილებს. მერე ის მილიონერი მოკვდება, ჩემი ცოლის მამა და მე მიანდერძებს მთელ ქონებას. გავხდები მილიონერი.

— ჰა, მერე მიყურეთ, რა საქმეები დავატრიალო. ვაჭრობაში ჩავებმები, კონკურენტებს გავაკოტრებ, ფულს მოვიგებ. მაკონტროლებლები ჩემს წინაშე ხოხვას დაიწყებენ და მთხოვენ, ორი კაპიკი გადავუგდო მათ, რომ შიმშილით არ დაიხოცნონ. თუ კარგ ხასიათზე ვიქნები, მივცემ ცოტას, თუ არადა, რატომ უნდა მივცე, არა, მაგრამ რა ვიცი, შეიძლება მაინც მივცე.

— მივცე, არ მივცე, მივცე, არ მივცე, მივცე... ოჰ, ჯანდაბას, ცოდონი არიან, ცოტას მივცემ, სამადლოდ გადავუგდებ.

მერე ცნობილი კაცი გავხდები, ყველა ბატონობით დამინყებს მომართვას. ჩემი გვარით აჭრელდება მსოფლიოს ყველა გაზეთი. შემდეგ პოლიტიკურ ორგანიზაციას ჩამოვაყალიბებ.

თუმცა არა, პარტია ჯობია. ჩავუდგები ამ პარტიას სათავეში და ჩემს სახელს ვუნოდებ. მერე მიყურონ ამ მათხოვარმა არაკაცებმა, კონსერვატორებმა, მემარცხენეებმა, მემარჯვენეებმა, ნაციონალისტებმა და ათასგვარი ჯურის არამზადებმა.

პარლამენტის არჩევნებში ჩემი პარტია უმრავლესობას მიიღებს. აბსოლუტურ უმრავლესობას. ოპოზიციაში ხომ ვერ გაბედავს ვერც ერთი პარტია ჩადგომას. მე მაგათ ვაჩვენებ ოპოზიციას. მე მაგათ ვაჩვენებ ოპოზიციას, ისეთ დღეს დავაყრი, პარტიობანას თამაში სულ დაავინწყდებათ. ქვეყნის მართვას მე დავინწყებ ერთპიროვნულად, პარტიასთან ერთად.

— ეჰ, მეფობა იყოს, კარგია, მეფედ დავჯდებოდი, მაგრამ არა უშავს, არც პრეზიდენტობაა ცუდი.

შემდეგ რას გააკეთებ? არაფერს, დავბერდები და მშვიდად დაველოდები სიკვდილს.

თუმცა არა, რად მინდა მე სიკვდილი, როცა ყველაფერი მაქვს, არა, არ მინდა.

სანამ მე დავბერდები, ქვეყნის ექიმები და მეცნიერები გამოიგონებენ უკვდავების წამალს. მე მას დავლევე, ხოლო ექიმებს ბევრ ფულს მივცემ, რომ სხვას არ დააღვიწონ, თორემ ჩემი უკვდავება არაფერი იქნება.

მე მაინც უკვდავება, მარტოს მინდა მხოლოდ.

...და მე ვიცოცხლებ მარად, გაუმარჯოს უკვდავებას.

— რა გაღრიალებს, შე უპატრონო, — ჩაილაპარაკა ერთმა გამვლელმა და ფეხი წამკრა.

მე უცბათ გამოვერკვიე ტკბილი სიზმრისაგან და მწარე სინამდვილეში დავბრუნდი, თან გავიფიქრე: მაცალეთ, ცოტა მაცალეთ, თუ ყველას დედა არ გიტვირთ-მეთქი და წამოვდექი.

ის იყო, ორიოდ ნაბიჯი გავიარე, რომ ვილაცამ ხელი მხარზე დამკრა:

— ძველო, ასე უნდა ამხანაგის დავინწყება?

მე შემოვტრიალდი და დავინახე ერთი ჩემზე საძაგელი, ჩემზე ჩამოკონკილი არსება. მასში მე შევიცანი ჩემი მათხოვრობის ძველი ამხანაგი.

— ეჰ, ნავსიანი დღე იყო, ვერაფერი ვიშოვე, შენ რა ქენი? — მითხრა მან და ძმაკაცურად მუშტი გულზე მომარტყა.

- მე კი ბლომად ვიშოვე.
 - ოჰო, მაგას რა ჯობია, სადმე დავლიოთ.
 - ვერა, ძმაო, მე ჯერ შარვალ-კოსტუმი უნდა ვიყიდო, თუ ფული დამრჩა, მოლხენა მერე.
 - ამდენი რა გაქვს? – გაოცდა მეგობარი.
 - მაქვს, მაქვს...
- და ორივემ მალაზიისაკენ გავნიეთ.

ათიოდე წუთის შემდეგ ორივემ პოლიციაში ამოვყავით თავი, რადგან საძაგელმა გამყიდველმა იფიქრა, მოპარული გვექონდა ეს ფული და ჩვენი თავი დააჭერინა.

ბოლოს, როგორც იქნა ორთავე გამოგვიშვეს, რადგან ქურდობა ვერ დაგვიმტკიცეს, მაგრამ ფული მაინც ჩამოგვართვეს.

განაწყენებულმა მეგობარმა „შტერი“ მიწოდა და დამემშვიდობა. საცოდავი. ჩემი წყალობით მშიერი დარჩა. არა მარტო ის, არამედ მეც.

თავი აქეთ-იქით გავაქნიე, ზევით ავიხედე, ბნელოდა. სინანულმა შემიპყრო. პარკისკენ მიმავალ ავტობუსში ჩავჯექი და თან ვფიქრობდი:

— კარგი იქნება, პარკში ერთი სკამი მაინც იყოს თავისუფალი, რომ დავიძინო, — მაგრამ ჩემს ნათქვამში მევე შევეჭვდი, რადგან, ალბათ, თითო სკამთან მათხოვრების მთელი არმია იქნებოდა დამდგარი.

ჩემი წინანდელი ფიქრები მომაგონდა და მწარედ გამეცინა.
...ავტობუსი კი პარკისაკენ მიმაქანებდა.

1975 წ. თბილისი.

უთაროლოგი





მედეა

ასანთის კოლოფი: ოთახი ყვითლად შეღებილი. კედელი ყვირის!

დივანზე ქალი ზის. თმები ჩამოშლილი. დიდი, შავი თვალები...

მას მედეა ჰქვია! იაზონი კი ფეხზე დგას, კუთხეში.

— მაშ, სხვა გიყვარს? — ნებისყოფა ჩანს ქალის ხმაში.

იაზონის ტურები — ცახცახით:

— ჰო!

სიჩუმე. მამაკაცი ჩიბუხის ნევას აგრძელებს. ფილტვები ახველებენ. (ოცი წელია, რაც ფილტვები ბოლით ძლებიან), მოგრძო ნაფაზი: ხველება წყნარდება.

— მე არ მეგონა, თუ ასე მოხდებოდა! — იაზონი ბოდიშს იხდის. მედეას ტურებს ეცინებათ (ფიქრი გარბის: რა არ ეგონა?)

— მე შენ მიყვარხარ! — კბილები ტურს კბენენ.

ოოჰ, როგორ არ უნდოდა მედეას ამის თქმა! კვლავ სიჩუმე.

ბავშვები პირველად ქალს ახსენდება:

— შენი შვილები, იაზონ? — ლოყები კვლავ დაირცხვენენ, წითლდებიან. არც ენას შეუძლია რამე თქვას. იაზონი კვლავ დამარცხდა (კიდევ კარგი, სანმისის ამბავიც რომ არ გაიხსენა) ქალმა თითქოს სხვისი ფიქრის გაელვებაც გაიგო:

— არ გაყვედრი, არა, მაგრამ მე ბევრი გავაკეთე შენთვის.

— გძნეული! — ქალის მისამართით. იაზონის თავი იხრება. სჯობს, არაფერი თქვას. იაზონმა სუნი შეიგრძნო, საკუთარი ხორცის სუნია ეს! ჩიბუხი შორს გასწია და სუნს დაენაფა: უყვარს მას ეს სუნი!

— მაშ, მიდიხარ?

— მივდივარ და ამით მამაშენსაც ვახარებ! — ათავისუფლებენ ენას იაზონის კბილები. მედეას სახე ირონიით იმოსება: სულ აიეტზე ფიქრობს ჩემი ქმარი!

იაზონი კვლავ ბუტბუტებს:

— გრძნეული! გრძნეული! გრძნეული!
 — რატომ გამოდიხარ მოთმინებიდან? — ცბიერია ქალი.
 იაზონი უცბათვე მშვიდდება. ჩიბუხს კვლავ გვერდით გან-
 ევს: კვლავ ეს სუნი! ნესტოები ხარბად ყლაპავენ სუნიანი
 ჰაერის ჭავლს. დამშვიდდა. საბოლოოდ დამშვიდდა.
 — მე სამშობლო დაგვარგე შენი გულისთვის! სინანული?
 მამაკაცი საოცრად კმაყოფილია. მედეაც გრძნობს ამას.
 „ღვინოვ, კახურო“... — აეკვიატა იაზონს.
 — ღმერთმა დანყვევლოს მათი სიმღერებიც და ენაც
 (გრძნეული ხალხი!)
 — მე წავალ მედეა! — შიშით.
 — ნადი, უმადურო!
 „იოლად გადავრჩი“, — ფიქრობს იაზონი. გადის, კვამლი მი-
 ჰყვება, სუნიც. კარი იხურება.
 — უბედური ვარ! — აძლევს გულს შვებას ქალი.
 „გრძნეული“ ტირის.

მედეაც ტოვებს სახლს. უბედური სახლი: არ დაბრუნდება აქ
 მედეა. ვერც სამშობლოში წავა: მოღალტე! ხალხი არ მიიღებს.
 აიეტი? იგი მოკლავს მას! (მისი ცხედარი ჯერ არც კი მი-
 უბარებიათ მინას) მოკლავს. უთუოდ მოკლავს.
 თოლია. შორს არის ქართული მინა აქედან. აია. იქ დაიბადა
 — უყვარს მას აია!
 ძმა? ძმაც ხომ უყვარდა!
 ფიქრს ეშვება, სარდაფში ჩავა, მაგარს დალევს. სიმთვრალე
 სწყურია.
 შესულს ბარმენი ეგებება. ცდილობს, მაინც ოცდაათი კბილის
 მეტს ვერ აჩენს. მეტიც აქვს, ამბობს ღიმილი. სჯერა მედეას.
 — კონიაკი!
 მოტანილს მიირთმევს. რა საზიზღარი გემო აქვს, რა მოს-
 ნონთ ამაში მამაკაცებს! მაინც სვამს — მას ხომ სწყურია!
 ტალღებს მიაპობს „არგო“! მიტორტმანებს ზღვაში ხომალ-
 დი. დაინვას ის დღე! ხომალდი კი წინ მიიწევს. არა, რამე უნდა
 მოიფიქროს. ფულს მაგიდაზე ტოვებს. გადის.

ნანა ჩაესმა. ტკბილი იყო ძიძა. საცოდავი, დარდს გადაჰყვავო (დეპეშა კი გააგზავნა და...)

ღრუბლებმა კოპები შეკრეს. მალე გაავდრდება. წყეულიმც იყოს კორინთო და ყველა მისი მცხოვრები! სადმე შეაფარებს თავს.

— უმადურო! — არა, ეს ქმრის მისამართით არ არის.

— უმადურო! ვინ? ვინ არის უმადური?

— ვინ? ვინ იძახის ამას? — ხმა!

მედეა ხვდება. მას ხომ უყვარდა!

— მერე რა? — ცივია ხმა.

— სიყვარულისთვის გააკეთა!...

— მერე რა!

— მე ხომ... მე ხომ... — ქალი ტირის. შეჩერებული გამვლელები: ცნობისმოყვარე გამოხედვა: ხელის ჩაქნევა და... წინ! (ყველას თავისი საქმე აქვს!)

— წყეულიმც იყავ, კორინთო! — ღმუის ქალი.

— წყეულიმც იყავ, უბედურო ქალო! — ღმუის ხმა, ქარი. ზღვა. ნაპირები. ბურუსი...

— წყეულიმც იყავ, გრძნეულო! — ღმუის კორინთელთა ბრბო.

სხვა ქალი თეთრი სამოსით

ჯიშინი და ღონიერი მკერდი პერანგის მიღმა. დიდია ქალი: ცალ ხელში თასი, ცალ ხელში ხმალი.

— ვინ ხარ? — ეკითხება მედეა მას.

— მე ვარ, მე! — ჰასუხი. ხმალი უკან, თასი წინ!

— შესვი, უძღებო!

მედეა სვამს. შვება. დიდია ქალი. მისი ღონიერი ხელები მალლა სწევენ მედეას. მედეა გულში ეხუტება მას. დიდი ქალი არ იშორებს.

შვება! სიხარული! ბედნიერება! იაზონი? არ არსებობს ის — არც არასდროს არსებულა. ტალღებს მიაპობს ხომალდი — „არგო“ არ არის. გაურკვეველად, არაბერძნულად აწერია სახელი.

თოლიები! ზღვა! კოლხეთი!

6160

სურათები ქართლის მოქცევიდან

ლამე. ციდან მონყვეტილი ვარსკვლავის უკანასკნელი განათება. ყოველთვის დინჯი მთვარე ახლაც მშვიდად მაცქერალი ვარსკვლავის უბედურებისა. ტყეში ჩაკარგული პატარა ბიჭი — მიმხმარი ცრემლებით სახეზე. სამჯერ გამეორებული ერთი და იგივე ფრაზა მონყვეტილი მნათობის დანახვისას — სახლი მაპოვნინე!

ლამლამობით წყვდიადი მეფდება — ადამიანებს სძინავთ. ავი სულები თუ ფხიზლობენ მხოლოდ, ამ პატარა ბიჭივით დაკარგულნი ტყეში.

სძინავს ნინოსაც, ბაბილონის ასულს. ვიღაცის მზრუნველი ხელი საბანს უსწორებს — ეს დედა არ არის. ფრთხილია ძილი კაპადოკიელი ქალწულის და ნინოს ეღვიძება.

— ვინ ხარ? — ჰლაღადებენ შიშმორეული ბაგენი.

— მე ვარ, მარიამი! — ბნელი ოთახი ნათდება.

ნინო იჩოქებს, ხმის ამოდების თავიც არ აქვს. ღელავს, თან უხარია — არ იცის, რა მოიმოქმედოს... მარიამი ქალწულს ფეხზედ აყენებს:

— კეთილმორწმუნეო ასულო ბაბილონისა, ადიდე რწმენა საგზლად და სიკეთე — ძალად. ნა, გაეშურე იბერიას — ჩემი წილხვედრი ქვეყანა შენ უნდა განანათლო და მოჰფინო ღვთიური ნათელი.

დიდი დედა ნინოს ჯვარს აწვდის, შემდეგ ხელს ადებს თავზე. ლოცავს.

— მშვიდობით, მშობელნო და ნათესავნო, მე ველარ განახავთ თქვენ — იბერიაა ან სამშობლო ჩემი და იქ მომელიან ახალნი ნათესავნი და მეგობარნი... მშვიდობით!

...პატარაბიჭიბოროტ ტყეს თავს აღწევს და დედის მკლავებს ნებდება — აგერ, მისი სახლიც!

გზად მიმავალს ქალთა ამაღლა წამოეწია სომხეთთან. კეისარს გამოქცეული რიფსიმე იყო რჩეულ-რჩეული ქალწულ-ებით. ტკბილ-ტკბილი სიტყვები უთხრეს, დაუყვავეს და შეიფარეს იბერიას მიმავალი კაპადოკიელი ლტოლვილი.

მერმე ის იყო, უნაყოფო და ტიალი მინა დაინყო. ქვა და მთა ბევრი იყო, წყალი კი ცოტა. თრდატ მეფის საბრძანებელიაო ეს, შეიტყვეს გლეხისგან. დაემხვნენ, სომხურ მინას ემთხვივნენ და გადარჩენისთვის მადლობა შეჰბედეს ქრისტე-ლმერთს.

ჯერ კიდევ არ იყო ქრისტეს რჯულზედ დამდგარი მეფე თრდატ და უცხო თესლნი, ქრისტიანნი შეიპყრო. ნინო გადაურჩა მხლოდ ავხორცი მეფის რისხვას.

ლტოლვილმა კი კვლავ ჩრდილოეთისკენ გაგრძელა გზა. თან რიფსიმეანელთა გადარჩენას ევედრებოდა უფალს. იბერიას მოღწეულმა უკვე ქართული მინა დაკოცნა, განვლო ჯავახეთი, ურბნისი და ბოლოს სატახტო ქალაქშიაც ჩამოაღწია. ღამის წყვიდადში გარინდული დახვდა მცხეთა სტუმარს.

მდინარემდე მიაღწია, რომ ნაიქცა არაქათგამოცლილი, ნაქცეულს ადგომაში ვიღაცამ ხელი შეაშველა. თავი ასწია ქალწულმა — თვალს თვალი შეხვდა, თვალი კეთილი მოხუცი კაცია.

— რატომ არ გძინავს, მოხუციო?

— ღამით ნაქცეულს რომ ხელი შევაშველო...

გაკვირდა დიაცი.

— სადაური ხარ?

— იბერიელი!

— მცხეთას სახლობ?

— არა მარტო. მთელი იბერიაა ჩემი საცხოვრისი. აი, ამ ჯოხით დავდივარ და ყველას ვეხმარები, რითაც შემძლია...

ნინო წამიერად დაფიქრდა, შემდეგ ყოყმანი დაეტყო, ბოლოს მაინც გაბედა:

— მომეცი ეგ ჯოხი, მოხუციო!

— მერე სიკეთე?

— მე... მე გავაკეთებ შენს გასაკეთებელსაც!

მოხუცმა ღრმად ამოიოხრა, ჯოხს დახვდა და დანანებასავით თქვა:

— ვაზის ნასხლავია ეს!

— ვიცი, მოხუცო, და ისიც ვიცი, თუ როგორ უყვართ ვაზი იბერიისში. შენ კი იცოდე, რომ მე ამ ჯოხისგან უფრო დიდ სიკეთეს გავაკეთებ, ვიდრე შენ აკეთებდი...

ნინო მჭრელ ქვას დასწვდა, გრძელი თმებიდან ორიოდ ჩანსული ამოარჩია, მოსჭრა. შემდეგ ჯოხი თავისი თმებით მიამაგრა ღვთისმშობლის ბოძებულ ჯვარზე და ჯოხი გამრთელდა, თითქოს თავიდანვე ერთნი იყვნენ. ჯვარია ეს. ჯვარია სიკეთის და სამართლიანობის! — წარმოთქვა ხმამაღლა.

მოხუცი შეაშტერდა თვალებში, სახე სინათლემ გაუნათა:

— ღმერთმა გაგიმარჯოს! — თქვა და ფრატუნით გასწია თავის გზაზე.

ნინომ ჯვარი ლოდზე მიასვენა, სხეული დედა-მტკვარს მიანება, სახეც მოიბანა, შემდეგ ჯვარი ჩაიკრა გულში და ახალშობილმა პირველსავე შემხვედრ სახლთან დააკაკუნა.

სასახლე საზეიმოდ იყო მორთული. ქუჩებში ხალხმრავლობა შეიმჩნეოდა — დღესასწაულობდა მცხეთა.

უამრავი ხალხი ირეოდა არმაზგორაზე. ყაყანებდნენ, საქონელს მიათრევდნენ ტაძრისკენ, ქალები ჭოროაობდნენ, ბავშვები ტიტინებდნენ — მთვარის ზეიმი იყო დღეს.

ძელს შემოჰკრეს — ეს ნიშანი იყო და ხალხიც აიშალა, მოედანზე გამავალ ვინრო გასასვლელს ეცა. ოღონდ პირველნი გასულიყვნენ და სხვას არას დაეძებდნენ, ხშირად მუშტსაც კი სთავაზობდნენ ერთურთს.

როგორც იქნა, პირველმა ტალღამ გააღწია მოედანზე, მას მეორე მიჰყვა, შემდეგ მესამე, მეოთხე... და გაივსო მოედანი. საკლავი დაიკლა, ქურუმთ ილოცეს, შემდეგ სისხლიანი პირუტყვი არმაზის ფეხებთან დაასვენეს.

დასისხლიანებოდა ფეხები არმაზს. სისხლით გამძღარს მალლა აენია თავი და ცას შეჰყურებდა. არმაზის ხელმარჯვნივ ოქროს გაც იდგა, ხელმარცხნივ ვერცხლის გაიმ — კეთილი და ოდნავ სასაცილო ღვთაებანი, მუდამ განუყრელნი და ერთმანეთის მოყვარულნი. დიდი არმაზ მფარველობდა მათ და ისინიც იცავდნენ მთვარის ღვთაებას.

მურვანოს ქურუმმა მთვარის ჰიმნი თქვა, ხელები მალლა აღაპყრო და ხალხისაკენ მოტრიალდა. ყველა წვერულვაშიანი,

ყველა ხანჯლიანი. საამო საცქერალნი იყვნენ იბერიელი დიაცნიც, როგორც წესი, მოგრძო სახეებით, ლამაზი და გრძელი წამწამებით, რომელთა ფახული თაფლისფერ თუ წაბლისფერ თვალთ კიდევე უფრო უძიროსა და მიბნედილს ხდიდა.

ვიღაც მოინევედა ბრბოში. ხალხი მოწინებით აძლევდა გზას. მამაკაცები ქუდებს იხდიდნენ და გაცოცხლებულს მზერით მიაცილებდნენ ღვთაებრივ არსებას.

უცნობმა, როგორც იქნა, გამოაღწია, შემალღებულ ადგილას დადგა და დაიწყო:

— მე, ნინო, მხევალი შენი იესო ქრისტესი, შეგვედრი შენ, რათა გარდმოავლინო ზეციური სასწაული და დაამხო კერპი ბოროტი არმაზ, კერპნი ოქრო-ვერცხლისა გაც და გაიმ.

ნინოს გრძელი ცისფერი კაბა ეცვა, თმები ჩამოეშალა და თვალეზი ზეცისაკენ აღეპყრო:

— მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა...

ოდნავ გასაგონი ხმით დაიწყო ლოცვა.

ხალხს უკვე აღარაფერი ესმოდა და თითო-ოროლა „განსწავლულს“ შემოხვეოდა, რომელნიც ამბობდნენ, ნინო ქრისტიანიო და უხსნიდნენ ყოველივე იმას, რაც თავად იცოდნენ ქრისტეზე.

ხალხისთვის ბევრი რამ მაინც გაუგებარი იყო, ზოგიერთი მამაკაცი ხანჯალზეც კი ივლებდა ხელს. მკრეხელი ჩავექოლოთო! — გაჰკიოდნენ დიაცნიც.

ქურუმნი ზიზღით შეჰყურებდნენ „ბოროტ ქალს“, ნინომ კი უკვე ბოლო სიტყვაც თქვა, ზევით აღმართა ხელები, ხალხს მიუტრიალდა და მიმართა:

— იბერიელნო! მაცხოვარი თქვენის გულისათვის ჯვარს ეცვა, თქვენ კი რას სჩადით — ცრუ კერპებს და მათ ბოროტ მსახურთ სცემთ თაყვანს?

ნინომ ხმას დაუნია, კვლავ ცას აჰხედა ვედრებით:

— დაამხე, უფალო, ბომონი ესე ბოროტებისა!

ცაზედ იქუხა. შემდეგ ღრუბლებმა გაშავება იწყეს. ქურუმთ პირი დაელოთ და რა ექნათ, არ იცოდნენ. დამფრთხალი ხალხი

აქეთ-იქით აწყდებოდა. მეორედ რომ იქუხა, არმაზი დატოტ-მანდა. ხალხმა იგრიალა — კერპმა თავი წინ წამოსწია და წონასწორობადაკარგული მინაში ჩაემხო. მურვანოს ჩაიკეცა და ტირილი მორთო. ერთ-ერთმა გაცთან მიირბინა, ხელი მოხვია, მაგრამ უხილავმა ძალამ კერპი კაცინად გააპო და სისხლიან არმაზს მიაყოლა. მალე ვერცლის გაიმ იწყო დაშლა, განიპო და განცალკევდა იქ, სადაც იდგა.

ცაზედ სიჩუმე ჩამოწვა. სიჩუმემ დაისადგურა არმაზგორაზეც. ნინომ ნაბიჯი წინ გადადგა და ხალხისაკენ წავიდა. თავზარდაცემული ბრბო შიშმორეული გადგა გვერდზე.

— ნუ, ნუ გეშინით ჩემი. გიყვარდეთ მხოლოდ!

მთელი ღამე არღვევდა ღამისეულ სიჩუმეს ჩაქურის რახარუხი. მონებს განთიადამდე უნდა მოესწროთ ფიცარნაგის დაგება და მასზედ დიდი ჯვრის აღმართვა. სწორედ ამ ჯვარზედ უნდა გაეკრათ მცხეთელი ანდრია, ნინოს მიმდევარი და პირველქრისტიანი მთელს სატახტო ქალაქში.

არმაზგორაზე დატრიალებული ამბების შემდეგ მეფე მირიანს ჩუმ-ქრისტიანთა დაშინება უნდოდა ამ აქტით. ანდრია მცხეთელ ქრისტიანთაგან ყველაზე უფრო თამამი და გამბედავი იყო. ნინოს ქადაგებებით მოხიბლული, ის დადიოდა და უბირ ხალხს ამცნობდა მესიის მობრძანებას, უკითხავდა და ასწავლიდა მათ — ნინოს მარჯვენა ხელი იყო.

დილით თითქმის მთელი მცხეთა შექუჩდა ფიცარნაგთან. ხალხი ყაყანებდა, ზოგი იცოდებდა მსჯავრდებულს, ზოგიც იფურთხებოდა და მომავალი სიამოვნებისაგან მკერდზე ხელებს ირახუნებდა — მოუხდებო.

ბოლოს თავად ის გამოჩნდა — ანდრია. ურემზედ წამოკოსებულ ლოდზედ მიბმული — ურემი ნელა მავალი, გარშემორტყმული მეფის მეომრებით.

როგორც იქნა, ჯვრამდეც მოაღწიეს, ლოდისაგან ახსნილმა ლოცვა ისურვა — დართეს ნება. ჩურჩულით ებაასებოდა ჯვართან, მის უკანასკნელ სავანესთან დაჩოქილი ადამიანი უფალს,

თითქოსდა ეშინოდა, ქარს არ მიეტაცებინა მისი სიტყვები და უბირი ბრბოსათვის არ მოეფინა ის, რაც მხოლოდ ორს შორის უნდა თქმულიყო — მასა და ღმერთს შორის.

წამოდგა. თავი მაღლა ასწია, ამაყად შეავლო თვალი ხალხს, შემდეგ ერთ მეომარს მიუბრუნდა:

— წყალი დამალევიწე!

მიუტანეს. სულმოუთქმელად გამოსცალა რაც კი წყალი იყო დოქში. ცივი, კამკამა მტკვრის წყალი, სხეულში ჩაშვებამდე წრეს რომ შემოხაზავს ყელში და შემდეგ თქრიალ-თქრიალით ჩაედინება მუცელში. მთელს სხეულს რომ აცივებს, აცოცხლებს და დიადისთვის რომ განანყოფს ადამიანს.

წყალმა კეთილმა სიცოცხლე მოანდომა ადამიანს, შემდეგ მაინც გამოერკვა, მინიერი განაგდო და თვალეზანთებულმა მიმართა მათ:

— დაიწყეთ!

...პირველი ორი საათი გაუნძრევლად ეკიდა ანდრია ჯვარზედ. ნეტარებას გრძნობდა — ის ხომ უფალივით ჰყავთ ჯვარზედ გაკრული.

შემდეგ სიკვდილის მოახლოება იგრძნო. თავი მოაბრუნა და ბრბოს დაუნყო ცქერა. მისი თვალეზი ნინოს ეძებდნენ, ვილაც კიდეც მიაღმსგავსა, მაგრამ არა, ნინო ხალხში არ იყო. ზიზლი იგრძნო ბრბოსადმი. შეცბა, გააცია ტანში. გულში თქვა, მალე მომიხბე, უფალო, კიდეც რაიმე უღირსი რომ არ გავიფიქრო.

შეეცადა, სიყვარულით შეეხედა ხალხისთვის, მაგრამ ამაოდ. მთელი სხეული დაძაბა, გულისცემაც აუჩქარდა, შეჰყურებდა ხალხს და ცდილობდა, გაეღიმა, ცდილობდა, სიტბო და სიყვარული გადაეცა მათთვის, მაგრამ მისი ღიმილი სასიკვდილოდ გამზადებული ადამიანის დამანჭვას ჰგავდა. მცხეთელნიც არავითარ სიტბოს არ გრძნობდნენ და ანდრიაც დარწმუნდა უკვე — მას ეს ბრბო არ უყვარდა. კიდეც ერთხელ მოავლო ხალხს თვალი, შეეცადა, ეყვირა, მაგრამ მაინც ჩურჩულით გამოუვიდა ნათქვამი:

— ნინო... ნინო სადაა?

ბრბოს თეთრთმოსანი გამოეყო. გასაგები გაიგო, მიწას დაემხო და ცოტა ხნის შემდეგ თავანუელმა ამოჰლაღადა ჯვარზედ გაკრულს:

— ძმაო, ნინო სენაკს არის შეკეტილიო და შენთვის ლოცულობს. ლოცულობს, რათა ქრისტემ თავისი მადლი კალთა მალე გადაგაფაროს და მიგიღოს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

ანდრიამ იცნო მოხუცი, ებრაელი აბიათარი გახლდათ. თავი ჩამოსწია, სიყვარულით ჩაჰხედა და კვლავ ჩურჩულით უთხრა სათქმელი:

— გმადლობ, ძმაო, გიცანი, აბიათარი ხარ. ნინოს გადაეცი, გადაეცი ყველა ქრისტიანს, რომ ვკვდები ისე, როგორც ჩვენს რფულს, ჩვენს ადამიანობას და სიკეთეს შეჰფერის.

აბიათარს თვალეზზედ ცრემლები მოადგა, შუბლი კიდევე ერთხელ განზანა ქუჩის მტვერში და ესრეთ თავჩარგულმა ქრისტიანული საგალობლის დაბალს ხმაზედ მღერა ნამოიწყო.

ჯვარზედ გაკრულის სმენას ეხამუშა ეს საგალობელი — ვერ იცნო, ვერ მიიღო, მერე და მერე კი ყური სმენად დაუტკბა, გულშიც სითბო სანთლის ცრემლებივით ჩაიღვენთა.

ანდრიამ კვლავ ასწია თავი — ნინო მისთვის ლოცულობდა. ნინოს ახსოვდა ის და უფალს შესთხოვდა მის თავს. კვლავ ხალხს გადაავლო თვალი, კი აუჭრელდა ოდნავ, მაგრამ რალაც უცნაური გრძნობაც შემოაწვა, სევდისეული. ვიღაცა კაცის მეჩხრად ამოსულ წვერებსაც მოჰკრა თვალი — ღმერთმა გაგიზარდოსო, გაიფიქრა. დიდხანს უყურა ხალხს, ბოლოს მიხვდა, მას ეს ხალხი უყვარდა. ყველა უყვარდა. თვით მეფეც კი, მისი ბოროტი ეზოსმოდვარიც. ისიც კი გაიგო ამ წამს, ქრისტეს რატომ უყვარდა მტერი თვისი და უკვე მერამდენედ, მაგრამ მაინც განსაკუთრებული სიძლიერით გულს მოეფინა. შვება... შვება იგრძნო, ისიც შეატყო, რალაც წყდებოდა ძირს, თავი დახარა და დახედვა ვერ მოაწრო, რომ თვალთ დაუბნელდა... თავჩავარდნილს კისერმაც გაჰკრა ტკივილი და...

ბრბომ ერთხმად შეჰბლავლეა — პირველი იბერიელი მომკვდარიყო ქრისტიანად!

მთელი მცხეთა დასდევდა ნინოს, ხალხი ყვავილებს აყრიდა, კაბის კალთაზე ეამბორებოდა და სიკეთეს შესთხოვდა, ნინოც აძლევდა მათ სიკეთეს და მცხეთელთ ამალით გარშემორტყმული ამაყად დააბიჯებდა ქალაქის ქუჩებში. ხალხი ისე მოხიბლა ნინოს ქადაგებებმა, რომ მისი უმძვინვარესი მტრებიც კი მის

თავგამოდებულ მიმდევრებად და დამცველებად გადაიქცნენ. დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რას ქადაგებ — არანაკლები, თუ ვინ ქადაგებს. იბერიელთ არც ერთ შემთხვევაში არ ეთქმოდათ საყვედური — ქადაგებდნენ ქრისტედ წოდებულ ჭეშმარიტებას, რომელიც მახლობელი, საყვარელი და მისაღები იყო ადამის ყოველი ძისათვის. ხოლო ქადაგებდა ადამიანი, რომლის სათნოებაში და სიკეთეში ეჭვი უკვე აღარავის ეპარებოდა.

...ქრისტიანობა უკვე გამარჯვებული დააბიჯებდა იბერიის ქალაქებსა და სოფლებში. ჯერჯერობით მხოლოდ მეფის კარი აგრძელებდა სიჯიუტეს და არ ცნობდა კერპთაყვანისმცემლობის მარცხს.

სანადიროდ წასვლა გადაენწყვიტა მეფე მირიანს. ეზოსმოდღვარი ჯერ ქრისტიანთა განყვეტას ურჩევდა — არმაზ არ განვარისხოთო. რაღაც ეზოსმოდღვრის ჯინაზედ დედოფალ ნანასაც აქეთ ექნა პირი და ოდნავ გამოკეთებულყო.

— ნადირობა! — მოსჭრა მოკლედ მეფემ.

აახმიანეს ბუკები და მორეკეს უამრავი ძალლი მიმყოლია ბიჭებით. მუხრანში ენებებინა ტახზედ ნადირობა მეფე მირიანს.

სისხლი არ უყვარდა მირიანს, ყოველ შემთხვევაში, ადამიანის სისხლს ტახის სისხლი ერჩივნა. ჩემი იბერიელნი ვხოცო რწმენის გულისათვის, არ გამოვა კარგი ამბავიო, — ფიქრობდა ხელმწიფე. ნანაც ახსენდებოდა — დაბრუნებამდის თუ გამოჯანმრთელებული არ დამხვდა, მაშინ ვიქმ აღსასრულებელსო, ან კი სხვა რა გზა იყო?

შარაგზაზედ ხალხი გამოფენილიყო და საყვარელ მეფეს ესალმებოდა. ჩემნი! — სიამაყე აღებეჭდა სახეზე და ბრბოს მოწყალე ღიმილი აჩუქა. ერთი-ორს კი დაუნახა მკერდზედ ჯვარი, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. მთავარია, მე ვუყვარვარ და მესალმებინაო, დაიმშვიდა ესრეთ წარმართული სინდისი.

მზე ფეხისწვერზე დადგა და თავი სრულად წარმოაჩინა. თვალები აუცრემლიანდა მირიანს. ხელი აიფარა და ულმობელი სხივებისგან ესრეთ მოიზღუდა.

ტყე რომ დაინახა, მზეც გადაავინყდა და მტკივანი თვალიც. მიმყოლია ბიჭებს ძაღლები ააშვებინა და ტყეშივე დააქსაქსვინა. კაი ხანი ტახი არ ჩანდა და მეფე ფრინველთ ხოცვით ირთობდა თავს. ორიოდ გნოლი მოკლა და სამი — ოფოფი. ქვეშევრდომთ დაეხოცათ კიდეც ცოტა. მომბეზრდა თამაში, ტახი მინდა, ტახიო, — იძახდა და შორს და შორს შედიოდა ტყის სიღრმეში. მალე ცხოველი გამოჩნდა, ოღონდ არა ტახი, ირემი იყო. მშვილდი მოზიდა, მაგრამ მის მეტყველ თვალებს ვერ გაუძლო, გაუცინა და ცხენი მიაყენა. ირემი არ გაუჩერდა, ორიოდ ნაბიჯი გაირბინა, შემოტრიალდა და რა იხილა, მეფე კვლავ მოსდევდა, იაზრა, ცუდი რამ უდევს გულშიო და გაიქცა.

ვერ გამიგოვო, ცეცხლი შემოენთო მეფესაც. სულელი, მოკვლა რომ მდომებოდა, ადრე ვერ მოვკლავდიო, ბრაზობდა თავისთვის და დამშვიდებულ ცხენს ათელინებდა შემოდგომის ფოთოლს — გაყვითლებულს და ძველი ეტრატით გაცრეცილს.

გრიგალმა ჩაუქროლა წინ. ცხენი შეაყენა, თვალი გაადევნა ფიქრთაგან გამორკვეულმა — ტახი იყო. დიდხანს არ მდგარა, ჰეო, შეუძახა ცხენს და გიჟივით გავარდა წინ.

მიქროდა დიდხანს, შეუსვენებლივ. ცხენის ფლოქვებს ხნული გაჰყავდა მინაზე. ქარში დატრიალებული ეს მინა კი მხედარს ნამდაუნუმ პირში უვარდებოდა, თუ პირი დახვდებოდა მოკუმული, მაშინ ნესტოებიდან აპირებდა სხეულში მოხვედრას.

მეფესაც არ ეპუებო, გაოცდა მირიან, გადაუჭირა და გადაუჭირა ცხენს მათრახი. სულ წინ-წინ მავალი აპობდა ქარს და ზე დატრიალებულ ბულს უკან იტოვებდა.

ქართან ომში გართულს ტახი გადაავინყდა. გამორკვეულს კი ქარი, ტახი აღარ ჩანდა მხოლოდ. მინა ფხვიერი იყო, არც ნანვიმი იყო ახალი და კვალი ვერ შეამჩნია მეფემ. შედგა. ცხენს ერთ ალაგზე არტყმევინა ფლოქვები, უკან მოხედვაც იაზრა. არავინ არ ჩანდა, ძაღლების ყეფა ისმოდა მხოლოდ შორიდან. მარტო ვარო, ასეც იყო. არ დაბნეულა. წინ გააგრძელა გზა. ოღონდ ნელა. ტახს ეძებდა და მთას გადააწყდა. თხოთის მთა-აო, გაახსენდა. დიდი ხნის წინ იყო აქ, ოდეს არ იყო ჯერ კიდეც მეფე. ძუძუმტეც ახლდა ერთი, არტავაზ, ან ერისთავი ტაშირ-აბოცისა. საურმაგის ძეთ ჩამოართვა ტაშირ-აბოცი და სიყრმის

მეგობარს გადასცა სამართავად. (ეზოსმოძღვარს ჩაენვეთები-
ნა — ქრისტიანობა მიიღოო შენმა ძუძუმტემ, მაგრამ სიყრმის
მეგობარს ესოდენ მცირედისთვის როგორ შერისხავდა?)

მთას შეხედა კვლავ, ნამდვილად თხოთის მთააო, დაასკვნა
საბოლოოდ. მთის ფერიც ეცნაურა, მომწვანო რაღაც.

ცას აჰხედა მზე ბღღვრიალებდა. კაი მზეაო, სანადირო.
უცებ ცხენმა დაიჭიხვინა, უკანა ფეხებზე შედგა. მირიან დიდე-
ბული მხედარი იყო, ცალი ხელი ცხენს ფაფარში სტაცა, მეორე
კი ზე აღმართა ნონასნორობის შესანარჩუნებლად. ვერც ამან
უშველა, ცხენმა ვირივით შეათამაშა უკანა ტანი და მხედარი
განაგდო ზურგიდან. — ნეტავ, რა ჭირი ეტაკაო, — ფიქრობდა
უკვე მიწაზე მჯდარი.

კვლავ ცას აჰხედა. ვაიო, — შესძახა, — ბნელდებაო, —
ნამოდგა, მზეს დააკვირდა. სადღაც იკარგებოდა. დაიბნა —
რა უნდა ვქნაო? სიტყვა არ ჰქონდა გასრულებული, სულ დაბ-
ნელდა, ვერაფერს არჩევდა, მთის წვერილა ჩანდა მხოლოდ.

— რა მზე გამინყრა, — შეშინდა. ბოლოს იაზრა, დაიმუხლა
და ცას აჰხედა ვედრებით:

— ოო, დიდი არმაზ, ღვთაებაო იბერიელთა, შენ გაანათე აქა-
ურობა და მიხსენ მე წყვიდადისაგან! — იყუჩა. არ ნათდებოდა
მაინც. შემდგომ ზადენს შესთხოვა, გულში იმედიც ჰქონდა — ზა-
დენ ბაღლობიდანვე ხომ მისი უსაყვარლესი ღვთაება იყო. არა და
არა. არ აპირებდა მზე ამოსვლას. სიბნელე გამეფებულიყო ყველ-
გან. მირიან ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა კი, რომ თავი ჩაერ-
გოთ ხეებს, ბალახთ, ბუჩქთაც... თავი ჩაერგო თვით მეფესაც.

ახლა კერპუკებს შეჰვედრა მეფემ — გაც-გაიმ, თქვენ მაინც
ამოიყვანეთ მზე, მაგრამ დიდი არმაზის არმსმენელი, ოქროსა და
ვერცხლის დაგვაჯულ კერპთა მსმენელი უთუოდ არ იქნებოდა.

ბნელოდა. ველარაფერს ვერ ხედავდა მეფე დიდი და ძლ-
იერი, პატრონი იბერიელთა.

— ნუთუ? — გაუელვა თავში რაღაცამ.

— თუ კერპნი დაამსხვრია, მზეს ვერ ამოიყვანს?..

აკი ცრუაო, ასე უბნობდა ეზოსმოძღვარიც, ამასვე იმეო-
რებდნენ დიდ-დიდნი ქურუმნიც...

— არა, მაინც რომ ვთხოვო? იქნებ შეისმინოს ვედრება
ჩემი... თუ არსებობს, რა თქმა უნდა...

წამოდგა. სახელი გაიხსენა, ხელები მაღლა ალაპყრო და მიმართა მას:

— ისეო ქრისტიე, ნინოს ღმერთო, შენ ქმენ ნათელი...

მინა იძრა. ძლივს დაწყნარებული ცხენი კვლავ აჭიხვიდა....

თხოთის მთამ ოქროს პერანგი ჩაიცვაო თუ რა, გაბრწყინდა უცბათ, მეფეს თვალი მოსჭრა და კვლავ ჩამოხველდა.

წარმოსახვით, სადაც მთა იდგა, იმ ალაგს გახედა მეფემ — გაოცდა. მთის წვერს ზემოთ მზე მოცურავდა. მოცურავდა ნელა, დინჯად. ბოლომდე ამოსული მთის წვერს დაეყრდნო და სულ მთლად გაანათა იქაურობა.

დაბნეული იდგა მეფე. არ იცოდა, სწყენოდა თუ გახარებოდა ეს ამბავი! უხაროდა, რა თქმა უნდა, რომ გადარჩა და წყვილად არ მიანება მეფური გვამი, მაგრამ სწყინდა კიდევ — ცრუნი ყოფილან კერპნი ჩემნიო!

მთის წვერზე მდგარი მზე ოდნავ დაიჩრდილა. გახედა, ქალი იდგა ვილაც. ამოიხსრა მირიან, — მაკმარე ღმერთო ამდენი სასწაულიო, — კვლავ გახედა, მაინც იდგა ქალი იგი.

— ვინ ხარ? — მზის ამოსვლით გულმოცემულმა ჰკითხა მთის წვერზე მზესთან ერთად მდგარს.

— ნინოო, — უპასუხა.

— მაშ, შენ ხარ ის ქალწული, იბერია რომ შესძარ ლამის?

— კიო, — დინჯად პასუხობდა ნინო.

— რა გინდა?

უფალმან სასწაული განახა და ინამეო.

— მრწამს! — უთხრა და დაიჩოქა. ესეც შეჰვედრა, ნანაც მიმყოფოსო შენმა უფალმა კარგად.

ჩემმა კი არა, ჩვენმაო, ღმერთით გაუსწორა ქალწულმა, თან დაამშვიდა, ნუ სწუხ, კარგად არს მეუღლე შენიო.

სულ მთლად აღტაცდა ხელმწიფე, რით გამსახუროო.

მე არა, ჭეშმარიტს უფალს უნდა ემსახუროო მხოლოდ, კვლავ შეუსწორა.

— იბერია ქრისტიანი იქნება! — შეჰფიცა მეფემ.

ქალის ხატება გაქრა. მეფეს პირჯვრის გარდასახვაც ენახა სადღაც და გარდაისახა კიდევ.

— მადლობა შენდა, უფალო, ბოლოს რომ მოხველ ჩემთან! — და ცხენს მათრახი შეჰკადრა. ცხენმა თავი მაღლა ასწია, დაიჭიხვინა და პირველქრისტიანი მეფე იბერიისა დედა-მცხეთისკენ გამოაქროლა.

თეზურ-ლენგის შემოსვლა საქართველოში

თბილისის თავზე ბნელი დილა დგებოდა. ორასწლოვან ყვავებს ასეთი ცა თბილისის თავზე კრწანისის ომის დროს ახსოვდათ მხოლოდ და ავისმომასწავებლად ჩხაოდნენ თავადაც შეძრწუნებულები. ჩრდილოეთიდან ქარი წუილით აცოდებდა თავს სიონის გუმბათს, სატირლად გამზადებულ ცასაც კობები შეეკრა და სახეც საცოდავად დაემანჭათ. შავში გადასული მუქი წითელი ღრუბლები ნელა დასრიალებდნენ აქეთ-იქით და თითქოსდა გულში მღეროდნენ კიდეც.

*მე ვარ და ჩემი ნაბადი
გამთენებელი ღამისაო...*

მაგრამ გათენებისას კი არ დგებოდა საშველი ქართველთა. კოჯრიდან თბილისის მიმართულებით სამნი მოდიოდნენ ჩქარი ნაბიჯებით, უკან-უკან გახედვით, უძალო რისხვად შეკრული მუშტებით. ერთს თეთრი ჩოხა ეცვა და გენერალი იყო, მეორე ნაბადში გახვეულიყო, თავიც სანახევროდ უჩანდა, ხოლო მესამე კი – როგორც ქართველი მეომარი. მხოლოდ სამნი მოდიოდნენ კოჯრიდან... დამარცხებულნი, მტრისა და საკუთარ სისხლში ამოსვრილნი, სახეშეშლილნი და უცებ, წამში დაბერებულ-გაჭალარავებულები. მტერს გაენყვიტა ათი ათასი ქართველი ვაჟკაცი. ზურგი არც ერთს უჩვენებია მტრისათვის. იცოდნენ, რომ მარცხდებოდნენ, ამიტომ სიმწრისგან ტიროდნენ და ისე კვდებოდნენ.

— ვაჰმე, უძალობის დედა!...

გმინავდნენ ლომგულნი გულში და სიკვდილამდე კვლავ ლამობდნენ უკანასკნელი მტრის მოკვლას.

მტერი კი, როგორც ყოველთვის, ათასჯერ და ასჯერ მეტი იყო. ისინი მაინც იბრძოდნენ, რამეთუ ახსოვდათ:

— დავითმა დიდგორსო...

— თამარმა ბასიანს...

— ერეკლემ ასპინძაშიო...

იქაც ასჯერ და ათასჯერ მეტი მტერი დაემარცხებინათ ქართველთ. ახლაც იმედი ჰქონდათ ძლევადი საკვირველის.

...თან გველემშაპის განგმირავი წმინდა გიორგის...

...მაგრამ ამ მტერს ვერაფერი მოუხერხეს. ერთ თავს აჭრიდნენ და მეორე ამოდიოდა, მეორეს აჭრიდნენ და — მესამე... სახელი მისი სელ ლეგიონ.

...მაინც იბრძოდნენ, იბრძოდნენ და კვდებოდნენ, ცა მოთქვამდა და ბუღბუღი ტიროდა.

მდინარეს კალაპოტიდან თავი წამოენია და ამ საოცარ საშინელებას გაფართოებული თვალეებით შეჰყურებდა. მთანი დუმდნენ. ერთს გახედავდნენ მხოლოდ ხელების ქნევით ერთმანეთს და ამოიხვნეშებდნენ, შემდეგ კვლავ დუმდნენ.

...ღრუბლები კი დიდი ხანია, თავს დასტრიალებდნენ ბრძოლის ველს და სისხლისგან დაწრეტილ ქართველ ლაშქარს. დღეს საქართველო კვდებოდა!

ღრუბლები დაჰყურებდნენ და იცინოდნენ:

ამ დღეს ელოდნენ, უნდოდათ...

ამ დღეს მოესწრნენ.

საქართველო, როგორც იქნა, კვდებოდა.

სამნი გადარჩნენ

მხოლოდ სამნი.

არ უნდოდათ გადარჩენა, მაგრამ მაინც გადარჩნენ.

გენერალმა ტირილით აკოცა იარაღს და შორს მოისროლა. ნაბდიანმაც მიბაძა.

მხოლოდ რიგითმა მეომარმა დაიტოვა იარაღი, ეს კია, ყველა ტყვია გადაყარა, ერთის გარდა.

მხოლოდ ერთი დაიტოვა.

ერთი უკანასკნელი.

ყველაზე ძვირფასი.

ნაბდიანმა შეამჩნია. გენერალმა თავი დახარა და არ გინდა, შვილოო, უთხრა. — გამომადგებაო, — მიუგო ახალგაზრდამ და იარაღი შარვლის შიგნით გაიჩარა.

თებერვლის ცივი დილა უთენდებოდა თბილისს.

თბილისში კოჯრის გზიდან სამნი შემოდისდნენ ჩქარი, ნერვული ნაბიჯებით, უნებლიე მხრების ჩეჩვით და ყველაზე უგუნური, მაგრამ ყველაზე ლამაზი გმირობის, დიდი სიკვდილის გრძნობით ანთებულნი.

ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა.

ქალაქმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ორიოდ საათში მტერი დედაქალაქში შემოვიდოდა.

ვინმე სომეხ დიდვაჭარს ვეება ხალიჩა გამოეკიდა მოაჯირზე და მასზე დაყრდნობილი მიდამოს უაზრო თვალებით გაჰყურებდა. ადრე ამდგარიყო ნანვალებ მწვალებელთა ან აღზევებული და განცხრომით მცხოვრები შთამომავალი.

სამნი დაინახა. ერთი იცნო. ჯერ ჩოხით, შემდეგ სახითაც. ეს ხომ გენერალიაო (გაზეთებში ჰქონდა მისი ფოტო ნანახი), შემდეგ მიხვდა.

მიხვდა და გადაიხარხარა.

„ესე იგი, უკვე... უკვე ყველაფერი მორჩა... ხა...ხა...ხა...“

მის სახლს რომ გაუსწორდნენ, კიდევ უფრო ხმამაღლა ატეხა სიცილ-ხარხარი, თითი ქვევით, მათკენ გაიშვირა ზიზღით და უხილავ კაცუნებს მიმართა:

— აი, დამარცხებულ ქართველთ ლაშქრის ნამუსრევი!

გენერალმა თავი მაღლა ასწია, ნალვლიანად გაიღიმა და სიკვდილი ინატრა.

ნაბდიანმა მხრები აიჩეჩა და კბილები გააღრჭიალა. ახალგაზრდამ კი შარვლიდან იარაღი დააძრო და ბოლო ტყვია, ყველაზე ძვირფასი, თავისთვის შემონახული, ბოლო ტყვია მაღლა აივანზე აუგზავნა ევტიხიანელთა ბოროტ შთამომავალს...

დიდვაჭარს ღიმილი შეეყინა. სახე გაუქვავდა. შუბლიდან ბინძური სისხლი ნასკდა და უკვე უსულო გვამი საკუთარ ხალიჩაზე გადმოეკიდა.

ხალიჩიდან წვეთ-წვეთობით იწყო სისხლმა ქვაფენილზე დანარცხება.

მეომარმა იარაღს აკოცა და ხმაურით მოისროლა ქუჩაში.

— აი, ამისთვის მჭირდებოდა ბოლო ტყვია.

გენერალმა გახედა, ცრემლი რომ არავის არ ეხილა მის თვალზე, თავი ჩაქინდრა და გზა უხმოდ განაგრძო.

ნაბდინმა მხარზე დაჰკრა ახალგაზრდას ხელი და მანაც გენერალს მიბაძა. ბოლოს ისიც გაჰყვა უკან ორივეს და გზა გააგრძელეს. ახლა უკვე ზუსტად იცოდნენ, სად მიდიოდნენ – ჯერ ქუთაისში. ეგებ იქ გამაგრდნენ და იქიდან გააგდონ მტერი (ოდიტგან დასავლეთ საქართველო იფარებდაო აღმოსავლეთიდან ლტოლვილთ და იქიდან ხერხდებოდა სრულიად საქართველოს გათავსუფილება და აღორძინება). თუ არც ეს გამოვიდა ამჯერად და შემდგომ ბათუმი...

ბათუმიდან კი უკვე შორს, ძალიან შორს... არა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად.... არა სიკვდილის შიშით, არამედ სიცოცხლის, საქართველოს და ღმერთის სიყვარულით და ამავე სიყვარულისთვის.

გადასარჩენად.

საქართველოს გადასარჩენად.

ადრე თუ გვიან ყველაფერი აღდგება. არ გასწირავს დედალვთისმშობელი თავის წილხვედრ ქვეყანას.

გენერალი წამით შედგა, პირფვარი გადაიწერა და შემდეგ გზა განაგრძო.

მთავარია, ახლა გადარჩნენ, ძალები დაზოგონ და მათი დროც მოვა...

თბილისის ცაზე ბნელი დილა დგას, შავი ცა ტირის და მოთქვამს.

სიკვდილი მოაბიჯებს თბილისის ქუჩებში მეთერთმეტე არმიასთან ერთად და წინ მოუძღვით პატარა ეშმაკი, ჭინკა ვინმე, რომელსაც ჟღალი წვერი და პანანა რქები აქვს და სახელი მისი არის ღორემელი იუდა.

...კოჭლი, მახინჯი თემური კი სატახტოში ზის და დინჯად აბოლებს ჩიბუხს. დინჯია, სასიხარულო ცნობას უკვე კარგა ხანია ელის საძულველ გურჯისტანიდან.

...სქელ უღვაშში ჩაიღიმებს, ჩიბუხს დატენის და დინჯად გაივლის კაბინეტში.

ის არ ჩქარობს.

მას სჯერა თავისი ბედის ვარსკვლავის.

შეხვედებით ქანაანში

მაშინ ბანდაში იყო. სოფელ-სოფელ დაეხეტებოდნენ, სარჩოს იქ შოულობდნენ. თავიანთ ცრუ იდეებს გლეხებს მათრახითა და ხიშტით ახვევდნენ თავს. რევოლუცია ახალი მომხდარი იყო.

არეულობა, დენტის სუნი და კვამლი. კვამლი, რომელიც ქოხიდან არ ამოდის. ჩახრინული ხმები ერთმანეთს ცვლიან. იდეების შეტაკება. ყველა სიმართლეს ჩემულობს, ჭეშმარიტი კი ერთია მხოლოდ.

აერთებს ღმერთი და ჰყოფს სატანა!

აპოკალიფსი ცხვირის ნესტოებითაც შეიგრძნობა.

გლეხთა გაოცებული სახეები: რომელია ნეტავ მართალი? მუშა მტკიცეა, მან იცის, რაც უნდა, მას სჯერა მისი, ვისაც მიჰყვება. ინტელიგენტი შეშინებულია: იაკობინელთა გილიოტი-ნა ამუშავდება კიდევ?

...ეკლესიებში კი, როგორც ყოველთვის, რეკს ზარი. კვირა დღეა, მართლმორწმუნენო, ტაძარი გიხმობთ!

ის კი მაშინ ბანდაში იყო. ომი ახალი მოვლილი ჰქონდა, რევოლუციის შემდეგ ატამანს გადაეყარა და მას შეეკედლა.

მოკლედ, ბევრი ვერაფერი გაიგო ატამანისა. ჩვენ პოლიტიკა და პარტიები არ გვანტერესებს, ჩვენ გლეხები ვართო. ჩვენ ჩვენი მიწა უნდა დავიცვათ ყველასაგან და ყველაფერს უნდა შევაფურთხოთ — ამაში კი ის ეთანხმებოდა ატამანს.

ისინიც დადიოდნენ და ძარცვავდნენ. ოღონდ, ატამანი ამას ძარცვას არ უწოდებდა, ეს „ექს-პი-პი-პრაცია“ არისო და თითს ცხვირში შეიყოფდა.

რუსი გლეხიო, — დამცინავი ღიმილი ჰქონდა ატამანს, — თავზე არავის დაისვამსო. ჯერ მეფე გვჩაგრავედა, ახლა დროებითი მთავრობა გვძარცვავსო. ათასი ჯურის პოლიტიკანებსა და პარტიებსაც არ სურთ ჩვენთვის სიკეთეო. ებრაელის სისხლს დავლევ, რუს გლეხს ვამპირივით სწოვს სისხლსო.

მერე მეორე რევოლუცია რომ მოხდა და გლეხებს მიწა მისცეს, ატამანი მაინც არ დაცხრა — მოტყუილებათ ხალხის.

მან კი მხრები აიჩეჩა — სახლში წასვლა, ბუხრის თავზე განოლა და სპირიდონთან არყის დაღვევა ყველაფერს ერჩინა.

თან ეს მიწა. ჰოო, ცოლი. ცოლი კინალამ დაავინყდა. ისიც კარგია, კარგი საჩქმეტი უკანალი აქვს. ისე ბერნი კია.

რალაც იფიქრა და ცეცხლი შემოენთო. არა, მართამ ბავშვი რომ დაახვედროს? რა იცი, ქალია და?.. ლალატს ვინ ჩივის, ქვეყანაზე თავი მოეჭრება, უშვილობა ქმრის ბრალი ყოფილაო. აა, შეუჩნდება ნეტავ ვინმე? ორი წელი სახლში არ ყოფილა!

...იმ საღამოს მაგრად გატყვრა, ხოლო დილით ატამანმა სულ ნიხლები ურტყა — ასე უნდა გაიღეშოო შე, ღორო.

ღორი არა ხარ, — გაიფიქრა და იარაღის წმენდას შეუდგა, ებრაელების სოფელი უნდა აეკლოთ.

შევხვდებით ქანაანში, შევხვდებით უსათუოდ. მნიშვნელობა არა აქვს, თუ როდის შევხვდებით — დე, ათასი წლის შემდეგ, მაგრამ მაინც შევხვდებით.

ალთქმული მიწა. ის ბევრ ჩვენგანს თვალთ არ უნახავს, მაგრამ ვიცით ის. მისმა სურნელმა უკვე დაგვათრო, გაგვაბრუა. მიწის გემოც ვიცით, მწარე გემო. ქანაანის მიწა პირში გვაქვს, არ კი გვინახავს თვალთ. პირს გვინვაკვს, გულს გვიდაღავს ეს მიწა, ჩვენი მიწა, მწარე, მაგრამ ტკბილი მიწა!

ღმერთმა მოგვცა! ღვთის მოცემულს კაცი ვერ წაგვართმევს. შევიყრებით ერთად, აღვადგენთ დავითის სამეფოს და ვადიდებთ ჩვენს ზეციურ მამას.

სიონის წმინდა მთიდან, ერთად შეყრილნი, გადავხედავთ კაცობრიობას და თვალს მოვავლებთ ღვთის მიერ შექმნილ ესე მრავალფეროვან და მდიდარ სამყაროს.

შევხვდებით ქანაანში, შევხვდებით უსათუოდ და ვაი მას, ვინც ხელს შეგვიშლის — მას ღმერთი ჩამოაკლებს სიცოცხლის დღეებს.

— ვაი, თქვენდა, ქანაანელნო, ამორეველნო, ეველნო, ფილისტიმელნო, იებოსელნო და ყოველნო წარმართნო —

ჩვენს მინაზე მრავლებით, ჩვენს ლოგინში გორაობთ თქვენს მაიმახებთან ერთად, ჩვენს პურს ჭამთ, ჩვენს წყალს სვამთ, ჩვენს ნაცვლად ბევრდებით და ბედნიერნიც ჩვენს ნაცვლად ხართ, მაგრამ ვაი თქვენ, ღმერთმა უკვე დათვალა დღენი თქვენი არსებობისა.

აღთქმული მინა. აი, ისიც, გამოჩნდა. გამოჩნდა თვალსაწიერზე. სულ ცოტაც მოითმინე. სულ მალე და დაბრუნდები იქ, სადაც მოსემ მიგიყვანა.

შევხვდებით ქანაანში...

მოხუც ებრაელს შევარდნილი თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. თხელ ტურებს ოდნავ აკანკალებდა და ხალხის შუაგულში მდგარი სულ არ ცდილობდა ტირილის შეკავებას.

ყველა ტიროდა. ქალები მოთქმით, კაცები ზღუქუნ-ზღუქუნით. ეს ის ტირილი იყო, რომელიც ყველას უხდება.

აღბათ ასე ტიროდა ჰანიბალი ზამას შემდეგ; ასევე იტირებდა ნაპოლეონი ვატერლოოს კატასტროფის შემდგომ; ასე დასტიროდა საქართველო კრწანისში თავის სახელმწიფოებრიობას, რომლის დღეებიც ამბროსოლის შემდეგ უკვე დათვლილი იყო... გაივლის მრავალი წელი და ამაყი ფრანგი ხალხი ზუსტად ასევე იტირებს, დატოვებს რა პარიზს, რომლის ქვაფენილზედ სულ მოკლე ხანში ველურმა ფაშისტმა უნდა დადგას თავისი ფეხი.

ეს ლამაზი ტირილია.

...და ტიროდნენ ებრაელები! ტიროდნენ აღბათ მწარედ, რამეთუ მათი ხვედრი მართლაც ყველაზე მწარე იყო. გაფანტულნი დედამიწის ყველა კუთხეში, დაქსაქსულნი და დევნილნი, უღონონი და საკუთარ მინას მოწყვეტილნი ტიროდნენ აბრაამის, ისააკის და იაკობის შთამომავლები.

მოხუცმა ებრაელმა თვალები დახუჭა, დახუჭული თვალები ზე აღაპყრო და ჩუმად წარმოთქვა:

— ღმერთმა ეს სასჯელი რაღაც დიდი ცოდვისთვის მოგვივლინა, იმ ცოდვისთვის, რომელიც აღბათ ჯერაც არ გვაქვს გაცნობიერებული... მაგრამ ამან სასოების გარეშე არ უნდა დაგვტოვოს — გვახსოვდეს, ღვთის რჩეული ხალხი ვართ ღმერთი არ გაგვწირავს და ბოლოს, ამდენი ტანჯვისა და ცრემლის შემდეგ მაინც ერთად შეგვყრის, ცოდვას მოგვიტყევეს და როგორც მამა — შვილს, ისე ჩაგვიკრავს გულში.

მოსეს ერს ღმერთი არ გასწირავს!

...ან კი... ან კი, კვლავ ტანჯვა, კვლავ ვაება, რომელსაც კვლავ მოთმინებით უნდა შევხვდეთ.

სოფელს განთიადისას დაადგნენ. ყველას ეძინა. ველური შედახილებით და თოფების სროლით შეიჭრნენ და დაუნყეს სოფელს ანიოკება.

დაფეთებული მოსახლეობა ფეხზე წამოდგა და საცვლების ამარა გარეთ გამოვარდა — თუმც ეს სრულიად ზედმეტი იყო, რომ არ გამოსულიყვნენ, ძალით მაინც გამოაბრძანებდნენ.

ქალები, ბავშვები, მოხუცები და კაცები ერთად მოაქუჩეს, თან გუშაგები დაუყენეს. ხელისშემშლელი აღარ ჰყავდათ და დაცარიელებულ სახლებს მოედგნენ კალიებივით. რისი წაღებაც შეიძლებოდა, წაიღეს, ხოლო როდესაც ძარცვით გული იჯერეს — სახლებს ცეცხლის წაკიდება დაუნყეს.

ებრაელთა ჯგუფს გამოეყო მოხუცი ებრაელი და შეჰლაღაღა და ატამანს:

— წაილე, ბატონო, რისი წაღებაც გნებავთ, ოღონდ სახლებს ნუ გადაგვინვა, ცოდონი ვართ უსახლოდ.

ატამანი ყურადღებას არ აქცევდა. გუშაგებმა უკან გათრევა დაუნყეს ბერიკაცს. ახლა კი გამწარდა მოხუცი, წყევლა დაუნყო მტარვალებს და თან ხალხს ამხნევებდა — ნუ შეშინდებით, ებრაელობის თავზედ უარესიც დატრიალებულაო.

ცხენზე მჯდომმა ატამანმა მოხუცს გადმოხედა, არაფერი არ უთქვამს, იარაღი დაუმიზნა მხოლოდ და ესროლა. მოხუცი წაბარბაცდა, გუშაგებმა ხელი უშვეს, დაეცა. არც კენესა, არც ერთი სიტყვა. ბორგვა რომ ბორგვაა სულთმობრძავისა, ისიც არა, მოკვდა.

ქალებმა და ბავშვებმა ტირლი დაიწყეს, მოხუცებმა წვერების ჩეჩვა, მამაკაცებს კი თვალები დაეხარათ...

ატამანმა იარაღი ქამარში გაირჭო და ვეება თითი ცხვირის უშველებელ ბალნიან ნესტოში ჩაკარგა. ნუთუ მეტი არა აქვთ, და ნადავლს დანანებით დახედა. ებრაელები არიან, მეტი ექნებათ. დაუყვირა:

— ეი, თქვენ! ძაღლისშვილებო! სადა გაქვთ დამალული ოქრო? თუ არ მეტყვით, იცოდეთ, ყველას დაგხოცავთ!

ბევრი იფიცეს ებრაელებმა, ოქრო არა გვაქვსო, მაგრამ ებრაელნი იყვნენ და ატამანი როგორ დაუფერებდა.

უკვე რამდენიმე საათია, რაც ისვრიან. შეიარაღებული ყაჩაღები თავს ადგანან იარაღებით და აჩქარებენ. გინდა თუ არა, აქ გექნებათ ჩამარხული ოქროულობაო. ატამანი კი მრავალმნიშვნელოვნად იღიმება.

...დალილა კი აჭრის გულუბრყვილო სამსონს თმებს!

მზე მთელი სისავსით ეჩვენება ქვეყნიერებას. დედამინის ღამით გაყინულ სხეულს სითბო მიანიჭა, გამოაცოცხლა, მოძრაობა და ჰარმონია დაუბრუნა. გაგრძელდა სიცოცხლე, ჩადგა ხელხალა კალაპოტში. მზის სხივებმა ყვითელი ზოლი გაავლეს მდორე მდინარის ნაზ სხეულს, ჰურის ყვითელი თავთავის კიდეე უფრო ყვითელი და კაშკაშაა სხივთა წყალობით. ათასნი და ათი ათასნი დასნი ღამაზ ყვავილთა საამო სანახავს ხდიან მიდამოს გამოღვიძებულს: მეტად თამამნი, წლეში გამართულნი და მომღიმარნი სულ უფრო ზევით იწევიან, კიდეე უფრო მეტ სიახლოვეს ღამობენ მზესთან.

...და ქვევიდან კი მზის სხივით ცეცხლის ენები ეთამაშებიან, ზოგჯერ შეეხებიან კიდეე და სულ ბოლოს, როდესაც ერთ-ერთი სახლი მთლად უნდა დაიფერფლოს და ნაცრად იქცეს, მთელი ძალით ამოიჭრებიან მაღლა, მზის სხივს გულში ჩაიკრავენ და ფიზიკური თვალისთვის უხილავნი ხდებიან... აწ უკვე გაურკვეველი ფერის ბოლია შუამავალი მზესთან.

— კმარა! — ბრძანებს ატამანი და თავის ბიჭებს რაღაცას ანიშნებს.

გათავდა ალბათ ჩვენი ტანჯვა, — ფიქრობენ ებრაელები და უხარისხავით. როგორც იქნა, დარწმუნდნენ, რომ ოქრო არა აქვთ ჩამარხული და ახლა ალბათ ყველას გაუშვებენ...

ერთი, ორი, სამი... შემდეგ წყვილ-წყვილად, უფრო მეტი, უკვე ყველა, თვით ატამანიც... ერთი, ორი, სამი... ყველაფერი გათავდა...

ებრაელობით არის სავსე უზარმაზარი ორმო. სისხლიანი ებრაელობით. ბავშვი, ქალი და კაცი — ძნელიაა გარჩევა მათი, ყველა ერთადაა, ერთმანეთში არეული. ყველა არის ერთად და ყველას მშვიდი სახე აქვს. ამის შემჩნევას ახერხებს თვითონაც, თუმცა ფიქრებით კვლავ მართას სავარაუდო გაბერილ მუცელზე ფიქრობს.

ატამანმა მას და კიდევ ერთს უბრძანა, თუ კი ვინმე ცოცხალი დარჩა, ჩააკალი ორმოში, შემდეგ უკვე მიწის დაყრაც შეიძლება. ოღონდ კეფაში უნდა მოარტყან ტყვია, საიმედოა. აბა, რა საჭიროა, რომ ყველამ გაიგოს, თუ ვინ ამოხოცა ეს სოფელი.

გულგრილად აკეთებს თავის საქმეს. ნეტავ ჩქარა მორჩნენ და მერე ატამანს ერთი კვირით მაინც დაეთხოვება, ქალი მაინც ქალია, დახედვა სჭირდება.

რა არის ეს? ვილაც შეინძრა. გადმოტრიალდა. კი, აშკარად გადმოტრიალდა. საკუთარ თვალებს არ უჯერებს, ის კი უკვე თვალებში შეჰყურებს, პატარა ბიჭია, თხუთმეტიოდე წლისა.

არაფერს არ ამბობს, მხოლოდ მარჯვენა ხელი მიაქვს ყელთან და ეღრიჯება, ალბათ არ მესროლოო და ტყვიას ახლის. არა, კეფაში არა, შუბლში გამოუვიდა.

მკვდარია. ყოყმანობს, ატამანმა რომ უთხრა, კეფაშიო. გადაატრიალებს მიცვალებულს და კეფაში ესვრის. შემდეგ აგრძელებს დახოცილებში სიარულს. მეტი არავინ გაცოცხლებულა და ორმოდან ამოდის. ო, მართა, მართა, სულ ქამრით გცემს, თუკი შეგნიშნა მუცელი და მუშტს მუჭავს.

პატარა ვარსკვლავი ანათებს ცაზედ და საოცრად ჰგავს დავითის ფარს. პატარა ეს შორიდან ჩანს, თორემ ახლოდან შეიძლება დედამინაზე დიდიც იყოს. „კეთილი უყავ, უფალო, ნებითა შენითა სიონსა და აღაშენენ ზღუდენი იერუსალიმისანი.“

საკვალისი

სასაფლაო. ადგილი, სადაც საფლავებია. მესაფლავეებიც არიან, ჭირისუფლებიც და ხანდახან — გადარეული პოეტებიც.

...მაგრამ ის არც ჭირისუფალი იყო, არც მესაფლავე და, რა თქმა უნდა, არც პოეტი (მით უფრო „გადარეული“!)

პირველად რომ ხელი ამინია, ტაქსის გაჩერება არ მინდოდა. რატომღაც არ მინდოდა. რატომღაც გავაჩერე. უკან ჩაჯდა. მივუტრიალდი. შევარდნილი თვალები, ყორანივით შავი თმა და წვრილი, მოლურჯო ტუჩები ჰქონდა. მაღალი რომ იყო, ეს მისი მანქანაში ჩაჯდომამდე შევამჩნიე. ხმა ისეთი ჰქონდა, როგორიც წარმომედგინა — ბოხი, გაბზარული ზარისნაირიც და არც მთლად მასეა, შიშისმომგვრელი...

— სასაფლაოზე!

ტანში გამცრა. არა, სასაფლაოსი არ შემშინებია, არ მეშინია მასეთების... ისეთი ხმით თქვა, იმის შემეშინდა.

შემდეგ მივედით სასაფლაოზე. დამელოდო, — და გადავიდა მანქანიდან. გამიკვირდა, არც მეღრიჭინა, არც მთხოვა, მიბრძანა, რა. მეც დავუჯერე.

კინოფილმებში რომ იცის ზუზუნის ქარმა, ისეთი ზუზუნი დაინყო ახლაც სასაფლაოზე. კართან ჩამომჯდარმა შავებიანმა დედაბერმა ვედროში ყვავილებს დაუნყო გასწორება.

— ვერ გაყიდე, ბები-ჯან?

— ვერა, შვილო, — შემომჩიფჩიფა.

დრო გადიოდა, ის კი არ ჩანდა. შემდეგ გაზეთის კითხვა დავიწყე, მაგრამ გული ვერ დავუდე. გავიფიქრე, ისევ ბებოს დაველაპარაკები-მეთქი და გავხედე. ისევ ისე იჯდა, ისეთი სახით... თუმც არა, არა! სხვა სახე ჰქონდა — დაღრეჯილი, გაფითრებული, თავზარდამცემი...

რალაცნაირად ეშმაკური, ცბიერი თვალებით ამომხედა და ამომისისინა:

— სიმფონია იწყება ოთხშაბათს, სამ საათზე!

— რა სიმფონია?... რა სიმფონია ბები-ჯან? — ეს „ბები-ჯან“ რალაც ისე ყალბად ვთქვი, რომ მე თვითონ შემრცხვა.

შემეშინდა. ყველაფრის შემეშინდა.

— ჰი, ჰი, ჰი, შვილო, სიმფონია... აკი, თავად დოქტორიც მობრძანდა...

— ვინ დოქტორი? — უკვე მიკანკალებდა ხმა.

— ვინ და შენ რომ მოიყვანე!

ვერაფერი გავიგე, მაგრამ კიდევე უფრო შემეშინდა. არც ფული მინდოდა, არც არაფერი. ვიფიქრე, მოვატრიალებ მანქანას და წავალ-მეთქი, მაგრამ ვერ შევძელი. ვილაც მიჭერდა, ვილაც მამუხრუჭებდა და თან მემუქრებოდა. დიახ, მემუქრებოდა. მხოლოდ ახლა, ამ წამს მივხვდი ამას.

კივილი გაისმა. სასაფლაოდან მოისმა კივილი. ვარსკვლავი ჩამოწყდა. სურვილის ჩათქმა არც მიცდია. ცივი ოფლი მჭამდა. კივილი განმეორდა. კაცს რომ თვითმფრინავში გამოუცხადებენ, უნდა ჩამოვარდეთ, მაგრამ პანიკა არ ატეხოთო, ისეთ ხასიათზე დავდექი.

...შემდეგ ის გამოჩნდა. გამოჩნდა სახედაჭმული, დასისხლიანებული. მოხუც, შავებიან ქალს მზერა ესროლა, შემდეგ მანქანაში ჩაჯდა და მიბრძანა უკანვე გაყვანა.

და გავიყვანე!

ლამით რომ არ მძინებია — ეს თავისთავად, მაგრამ დილით ჩემი მანქანით მევე, დიახ, მევე მივედი იმ ადგილზე, სადაც გუშინ ის ჩამოვიდა. ის, რა თქმა უნდა, იქ დამხვდა. ვილაცამ ჩემი მანქანა გააჩერა და კარებიც გაუღო.

— სად იყავი აქამდე?

ხმა არ გამიცია — ეს რა ხდებოდა ჩემს თავს? სასაფლაოზეო, მითხრა, მაგრამ რომ არ ეთქვა, ისედაც მივხვდებოდი. გადავიდა მანქანიდან, ისე, რომ არაფერი უთქვამს, მაგრამ ჩემში იცოდნენ, რომ უნდა დავლოდებოდი. ერთი-ორჯერ ვიჩქმიტე, მაგრამ არაფერი გამოვიდა — აშკარად სინამდვილე იყო.

„ბებო“ ძველი ნაცნობივით მომესალმა. რალაცა მინდოდა მისთვის მეკითხა, მაგრამ რატომღაც ვერ ვკითხე. დამავინწყდა. საერთოდ ყველაფერი დამავინწყდა. ჰო, მართლა, ახლა გამახ-

სენდა, დილით რომ მანქანაში ჩამიჯდა, სახე არც დაკანრული ჰქონდა და არც დაჭმული. ერთ დღეში უკვე მორჩენოდა სახეზე ჭრილობები. ფიქრს შევეშვი და საერთოდ ცუდად ვიყავი. აი, ახლა კივილი დაიწყება, გავიფიქრე და მართლაც — ვილაცამ სასაფლაოზე იკივლა. რატომღაც გამიხარდა. მეორეჯერაც იკივლეს და შემდეგ დოქტორიც გამოვიდა. სახედაჭმული და დასისხლიანებული. არც იმას უთქვამს არაფერი და არც — მე. უკანვე რომ მივიყვანე, გუშინდელივით ოცდახუთმანეთიანი დამიდო. როგორც გუშინ — არ გამხარებია!

სახლში რომ მივედი, დეპეშა დამხვდა:

„ხვალ ოთხშაბათია. თეთრმა ცხენმა უკვე ჩაიარა. სიყვარულით წვერებცანცარა“.

რა თქმა უნდა, ვერაფერი გავიგე. მხოლოდ მერე, მეორე დღეს, მივხვდი ერთ რამეს, რომ დღეს ოთხშაბათი იყო და რაღაც სიმფონია უნდა დაწყებულიყო.

— დღეს შენც გადმოხვალ მანქანიდან! — მითხრა დოქტორმა, როგორც კი ჩაჯდა.

— კი!

შემომხედა და გაიღიმა. სახეზე არც ამჯერად აჩნდა ჭრილობების კვალი. არც გამკვირვებია.

— ჩვენი დრო დადგა!

ვერ გავიგე, მაგრამ თავი მაინც დავუქნიე. სამს რაღაც აკლდა, რომ მივედით, მას მანქანის კარები ვილაცამ გაუღო — უკვე ბევრნი იყვნენ.

— ვიზრდებით! — უხაროდა დოქტორს.

ამდენ ხალხში ვილაცის გვერდით მოვხვდი შემთხვევით და კითხვაც შევბედე:

— დოქტორი ყველაზე უფროსია, არა?

— არა, ყველაზე უფროსს მალე ნახავ!

შემდეგ აჩრდილი დავინახე. აჩრდილი, რომელიც მშვიერი მგელივით დაძრწოდა სასაფლაოზე. აჩრდილის დანახვაზე ტაში ატყდა. მეც არ ვზოგავდი ხელისგულებს, თუმც არც კი ვიცოდი — რაში იყო საქმე. სხვებს ვკითხე, მაგრამ არც იმათ იცოდნენ... და საერთოდ, როგორც შევატყვე, ბევრმა საერთოდ არ იცოდა არაფერი. ამ აღმოჩენამ ოდნავ დამამშვიდა.

საათმა სამს ჩამოჰკრა. მიწა დაბარბაცდა, ჩამოხნულდა.

— წინ! წინ! წინ! — დაიწყეს ყვირილი. მეც იქით გავიხედე.

წინ დიდი ზღაპრული რაში იდგა. ცეცხლის ალში იდგა ლამაზი, წითელი რაში და ნესტოებიდანაც ცეცხლს აფრქვევდა. მხედარს შევხედე, ის იყო, ის — თხა! პირველად ვნახე, მაგრამ ვიცანი. არაფერი არ ვიცოდი, აზრზე არ ვიყავი, მაგრამ ვიცანი და მეც სხვებთან ერთად შემოვკარი ტაში. ახალი ძალით ატყდა ტაშისცემა.

მიწა კიდევ ერთხელ იძრა, აქა-იქ ნაპრალიც გაჩნდა, ნაპრალებიდანაც ცეცხლმა ამოფეთქა. შემდეგ სიმფონია დაიწყო. საოცრად მთვრალი, მაგრამ მომხიბლავი სიმფონია. ჯერ არ ვიცოდი და არ წამომედეგინა, თუროგორ შეიძლებოდა სიმფონიის ქვეშ ცეკვა, მაგრამ შევძელით. ვცეკვავდით დიდხანს, ვცეკვავდით ცეცხლთან, ცეცხლზე, ცეცხლში... ზოგი იწვოდა ამ ცეცხლში, მაგრამ დაფერფვლამდე აგრძელებდა ცეკვას. მე უკვე აღარაფერი მიკვირდა. შემდეგ კუბოებმა იწყეს მიწიდან ამოსვლა. ისინიც აცეკვდნენ სიმფონიაზე. ერთმანეთს ეხლებოდნენ, იწვებოდნენ, მაგრამ მაინც ცეკვავდნენ.

კუბოები დიდხანს, დიდხანს ცეკვავდნენ. შემდგომ გაოფლიანებულნი ძირს ეყრებოდნენ და შიგ მყოფი მატლიან-კაციანად ცეცხლის ალზედ იფერფლებოდნენ. უკვე ახალი კუბოები იჭერდნენ ძველების ადგილს, ცეკვავდნენ ჩვენზედ კარგად, ჩვენზედ შმაგად და ჩვენზედ დიდხანს.

...შემდეგ მეც მომედო ცეცხლი, მაგრამ ცეკვისთვის თავი არ დამინებებია. რომელიღაც კუბოს ჩავეკონე და მასთან ერთად გავაგრძელე საერთოფერხული.

კუდზეც რომ მომეკიდა ცეცხლი, მერე მივხვდი, რომ კუდიც გამომბმოდა, მაგრამ არც ამისთვის მიმიქცევია ყურადღება, მე ცეკვა უნდა გამეგრძელებინა.

— რა ჰქვია ამ სიმფონიას? — ვკითხე ჩემთან მოცეკვავე კუბოს.

— ჩვენი სახელი, კუბოების სიმფონია!

მეცნიერება რეაქციის

პანდემონიუმი
მოთხრობების ციკლი

+ ԵՊՈՒՐՏ ԾՈՒԿՅՈՒ

(15)

այսին կերպի թեկնածուի փոխարին լեզուական կարգը
& անկողնի շահույթը համարվելի փոխել

համարվել - կարգավոր այս, ինչի և թեկնածուի կարգը
դրոշմի տակ

բացարձակ, համար կարգի շահույթը!

(16) կր-ն

խորհրդ

04.10.83

+ ՉՏՈՒՆՆԱԿԱՆ ԶՆՆՈՒՄ ԵՊՈՒՐՏ ԾՈՒԿՅՈՒ (16)
ՆՍԶՆՆՆԱԿԱՆ

Զննումը այս շաբաթի և դրոշմի - կարգի փոխարին լեզուական!
Կարգավոր այս շաբաթի և դրոշմի - կարգի փոխարին լեզուական!

(18) կր-ն

խորհրդ

04.10.83

მე ვარ კაცი იგი!

*„ვინც მე არ აღმიარა
წინაშე კაცთა,
არცა მე...“*

სახარებიდან

— მე ვარ კაცი იგი, — ვიმეორებდი გულში და ხალხს უკან მივყვებოდი. რამდენჯერ იკითხეს უკვე, სად არიან ამ კაცის მონაფენი და მიმდევრებიო? პეტრე დუმდა. მეც ჩუმად მივყვებოდი ხალხს და ხანდახან მის სანთლისფერ სახეს და თაფლისფერ თვალებს მოვკრავდი თვალს. მისი თვალები მე არ მეძებდნენ და საერთოდ, არავის ეძებდნენ. იყვნენ თავისთვის, თვინიერად და სახეზეც რაღაც მისთვის ჩვეული, ამოუცნობი და ენით გამოუხატავი ღიმილი ეფინა, მაგრამ ამ ღიმილს მხოლოდ მე ვამჩნევდი... და ალბათ კიდევ სიმონ-პეტრე, ისინი კი — ვერა. ხელებს ხშირ-ხშირად ნაჰკრავდნენ ზურგში, დაუჩქარეო.... და კიდევ, მახსოვს საშინელი ღრიანცელი, ყვირილისა და გინების ხმა, ჩანოლილი მძიმე ჰაერი და პეტრეს შეშინებული, გაოცებული თვალები. მე როგორ ვიყავი, არ მახსოვს, ერთი კია, რომ სადაც კი მის თვალებს მოვკრავდი თვალს, იქით მივეშურებოდი. ყოველ წამს ბრბოში ვეძებდი მის გამხდარ ტანს, მის თხელ, ქარის მორჩილ თმებს... ზოგჯერ მეკარგებოდა და მისი სახის ნაცვლად ბებერი ლოთისა თუ მეჭეჭიანი ფარისეველის სახე მრჩებოდა ხელთ და მეც ხელახლა, გაფაციცებით ვეძებდი ბრბოში ჩემს მოძღვარს და როს ვპოულობდი, საოცრად ვმშვიდდებოდი და ძალაც მემატებოდა... შემდეგ მე და პეტრემ ერთმანეთი დავკარგეთ, მასწავლებელი კი შენობაში შეიყვანეს. ხალხი კიდევ დიდხანს იდგა გარეთ და ყაყანებდა, სიკვდილის ღირსიაო, მასზე ამბობდნენ. ერთი ვიცანი კიდევ, მეჩხრად ამოსული წვერი ჰქონდა, ოსანას გაჰყვიროდა სხვებთან

ერთად, როდესაც მაცხოვარი იერუსალიმს შემოდიოდა. ღმერთმა გაგიზარდოს წვერები-მეთქი, გულში გამელიმა მაშინ, ახლა კი... რამ შეცვალა ეს ხალხი? რა მოუვიდათ? ნუთუ ყველაფერი დაივინყეს? დაავინყდათ ძველი აღთქმა, წინაწარმეტყველნი, დაავინყდათ მაცხოვრის სასწაულნი და მრავალი კურნებანი? იუდა? იუდა სად არის ნეტავ? რას ფიქრობს? ნუთუ არაფერს განიცდის და კაცით დადის წმინდა ქალაქის ქუჩებში? კი გამაფრთხილა, მაგიაო მოლალატე, მაგრამ... საჭირო იყო ალბათ, საჭირო იყო! იუდა... იუდა, და რატომღაც ძალიან მომინდა მისი ნახვა. არა, არაფრის თქმა არ მინდოდა, მხოლოდ მსურდა, ერთი შემეხედა მისთვის სახეში და რატომღაც, დარწმუნებული ვიყავი, რომ მის სახეზე რაღაც მნიშვნელოვანს დავინახავდი და წავიკითხავდი.. მე მხოლოდ მომავალში ვნახე ის, უფრო სწორად, ის ხე, რომელზედაც იუდამ თავი ჩამოიხრჩო – გამხმარიყო და სიცოცხლისა არა ეტყობოდა რა. პეტრეც დაიკარგა, ანდა შეიძლება შიგნით შეჰყვა მაცხოვარს... ბევრს, ძალიან ბევრს ვფიქრობდი, მაგრამ არ მახსოვს, რას... რატომღაც, ბავშვობისდროინდელი ერთი პატარა ამბავი გამახსენდა – მამაჩემმა მე და ჩემი ძმა როგორ წაგვიყვანა სათევზაოდ და მე ნავიდან როგორ გადავვარდი... ძმამაც ისკუპა წყალში და განუწული ამომათრია... არ ვიცი, რამ გამახსენა, ანდა რა დროს ეს იყო, როდესაც ის ასეთ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი – შეპყრობილი, ვითარცა უკანასკნელი ავაზაკი, ნაცემი, შეურაცხყოფილი...! ნუთუ ეს არ გამოაჩენს თავის ღვთაებრივ ძალას? როგორ გაუხარდა მაშინ, პეტრემ რომ უთხრა: ძე ხარო ღვთისა... ალბათ, ყველა მის მტერს ზეციური მამა ცეცხლით შემუსრავს. ამ ჩემი ფიქრის მხოლოდ მაშინ შემრცხვა, როდესაც ერთმა უტიფარმა ავაზაკმა, უკვე ჯვარზე გაკრულს, დაცინვით უთხრა:

— თუ რამე შეგიძლია, უშველე შენს თავს და ჩვენც!

მეორე კი დუმდა და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან სტკიოდა, ეტყობოდა, რომ რაღაცაზე ფიქრობდა. ის თავხედი კი დაცინვას განაგრძობდა. აი, არაფერიც შეგძლებია, ვერც თავს შევლი და ვერც ჩვენო. ქვემოთ მყოფთ ძალიან გაუხარდათ და ერთმანეთს გადაულაპარაკეს, მართალს ამბობსო ეს ავაზაკი... აი, მაშინ შემრცხვა. მივხვდი, რომ არ ვიფიქრე მაშინ მთლად სწორად და ჩემი ნაფიქრი ამ ურწმუნო ავაზაკის ნათქვამისგან არაფრით განირჩეოდა. რა? იმედი არ მქონდა შურის-

გებისა? ალბათ კი, მაგრამ იქვე, იმ წუთასვე, მიწიერი არსებობის ჟამს მინდოდა, ყველა მისი მტერი განგმირული მეხილა და [—] გაუწყრა მაშინ პეტრეს, ძალიან გაუწყრა და მახვილიც შეურცხვინა... მარიამს კი გულში ვყავდი ჩაკრული და ისე შესცქეროდა ჯვარზე გაკრულ შვილს. საოცრად ძლიერი ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯვარზე იყო გაკრული. მაგრამ ვხედავდი, მის უდიდეს ძალას ვგრძნობდი. ვიცოდი, რომ მკვდრეთით უნდა აღმდგარიყო, ყველამ ვიცოდით, მაგრამ მისი ჯვარცმის შემდეგ ამაზე არ ვსაუბრობდით, გაფურბოდით აღდგომაზე ლაპარაკს. აღდგომას რალაც შევეგუე, ჩვეულებრივ ამბად მივიღე, მთელი სასწაული და არაჩვეულებრივი ამ მოვლენისა მხოლოდ მისი საბოლოო ნაბრძანების, ამალღების შემდეგ აღვიქვი... აი, მაშინ კი გამაოცა სიკვდილზე სიცოცხლის ასეთმა მოულოდნელმა და გასაოცარმა გამარჯვებამ.

პატმოსზე კი უკვე ძალიან აგრილდა და ქვა, რომელზეც ვზივარ, ძალიან ცივია. თითქოსდა ყველაფერი სიზმარი იყო. აი, ვინმემ რომ მკითხოს, მოძღვარი როგორი იყო, ალბათ ვერც კი ვეტყვი ზუსტად – ის ჩემთვის ამოუცნობ საიდუმლოდ დარჩება მარად. მის გვერდით დავდიოდი, ვუსმენდი, შვეყურებდი, მასთან ერთად ვჭამდი, მაგრამ როგორი იყო, ახლაც არ ვიცი. მის ხსენებაზე გონებაში ზოგადი, თითქმის არაფრისმთქმელი რალაც-რალაცებები წამოტივტივდებიან ხოლმე. დიადი, სიკეთე, ჭეშმარიტება, სიყვარული... მაგრამ მაინც როგორი იყო, ნამდვილად არ ვიცი. ერთხელ პეტრეს ვკითხე და მანაც დამიდასტურა – არ ვიცი, როგორი იყოო მაცხოვარი. გამახარა მისმა პასუხმა, ესე იგი, ჩემში კი არ ყოფილა საქმე, არამედ მასში, დიადში, კეთილში, ჭეშმარიტში და საბოლოო ჯამში, გამოუცნობში... და გასაოცარია, ის ხომ ძალიან უბრალო იყო! პატმოსზე კი ცივი ქარები იცის, მაგრამ მასზე ფიქრი მათბობს და არაფერს ვაქცევ ყურადღებას. გუშინ ყველაფერი მანახა და გუშინ ნახულს დღეს ვწერ. არ ვიცი, როდის დავამთავრებ, მაგრამ რაც ვნახე, თავზარდამცემი იყო. რა საბრალოა კაცის მოდგმა, რა დღეები ელის! საკუთარი უგუნურობა და ცოდვიანობა რა საშინელ ხვედრს უმზადებს... რალაც-რალაც ისეთი ვნახე, რომ ვერ გავიგე – ალბათ მომავლის კაცისთვის იქნება ის გასაგები... მე და ჩემს თანამედროვეს კი არ გვესმის... ომი, შიმშილი, გაჭირვება, ათასგვარი ავადმყოფობა და სხვა მისთანანი

არ გამკვირვებია. ვიცი, ვცნობ და როგორც გუშინ შევიტყვე, მომავალშიც იქნება – ოღონდ უფრო საშინელი, დაუნდობელი, ცეცხლოვანი... მაგრამ ბოლო, ერთი და იგივე უსიამოვნო ხმა, რომლის თანხლებითაც როკავენ და აქეთ-იქით იზნიქებიან... ის უსაზღვრო ცბიერება, რომელთან შედარებით ჩვენი, ყველაზე დიდი ფარისევლის, ცბიერება ბალღის ხუმრობადღა რომ გამოჩნდება მხოლოდ... გარყვნილობა, გარყვნილობა... ბაბილონში არ აკეთებდნენ და სოდომ-გომორმა არ იცოდა მსგავსი. გაუტანლობა და შურიანობა, ბოროტება და ვერცხლის მსახურება რალაც უმაღლეს ხარისხში აყვანილი, დახვეწილი ფორმებით და გამამართლებელი ფილოსოფიებით... ნიღაბი, შენიღბვა – ხალხის უკეთესი მომავალი! საბოლოო ჯამში, უაზრო სისხლისღვრა. მოძღვარი ბევრ მოწაფეს კარგავს, ვინც არ დაიკარგა – ნეტარ არს... ვაი, დაკარგულს!

სისხლისფერ დრაკონსაც ვხედავ, მისი ვეება კუდის დანახვაზე ჟრუანტელი მივლის, იმდენად საზიზღარია. აი, სატანას ღვთის უწყინარი და მშვენიერი ქმნილების პირველსახის როგორი გარდაქმნა და დამახინჯება შეუძლია... და ის ხომ ასეთი შენ არ შეგიქმნია, უფალო, ვიძახი გულში და პასუხს არც ველოდები, ვიცი პასუხი. კუდით ცას სწვდება და ვარსკვლავების ნაწილს ციდან ტყუპ-ტყუპად ყრის ძირს, დედამინაზე. ყველას მისი ეშინია, ყველა კანკალებს. მაგრამ მე ვხედავ და ვიცი – ადამიანი კი დრაკონს ვერ ხედავს, რადგან მას ნიღაბი აქვს აფარებული და ლამაზი, მაგრამ გახრწნილი დიაცის სახეს ატარებს: ყველას მომღიმარი ეგებება, პირზე კოცნით, თავზე ხელის გადასმით, დაუყვავებს, ეფერება, საჩუქრებითაც იგებს გულს და ისე შეუმჩნევლად პარავს ყველაზე მთავარს – სულს, რომ ის საბრალლო აზრზეც ვერ მოდის.

ყველაზე გამჭრიახთ კი უკვე ლამაზი მკერდის მიღმა დრაკონის საზარელი სული დაინახეს და ამიტომ არ ტყუვდებიან. დრაკონიც უმაღ იბრუნებს თავის ჭეშმარიტ სახეს და პირიდან ცეცხლისმფრქვეველი მათ შორის ყველაზე სუსტს ყლაპავს. რა სიგიჟეა! რა ქაოსი! ბაბილონი ალბათ, ნესრიგისა და სიმშვიდის განსახიერება იყო ამასთან შედარებით. სამი ექვსიანი, სამი საშინელი ექვსიანი, აი, თავი და თავი ყოველი უბედურებისა – 666.

ვწერ და თან თვალს ჩემს ფეხზე მოსიარულე ხოჭოს ვადევნებ. აი, უკვე მუხლამდე მოაღწია და შედგა – ფიქრობს, ნა-

ვიდეს კიდეც წინ თუ არა. ხომ არ იცის, თუ როგორი ვარ მე...
ეგებ ცუდი ვარ, ბოროტი და ხელს ვკიდებ, მეორე ხელის გულ-
ზე ვისვამ და მეღიმება, როდესაც მის უძრავ ტანს დავყურებ:
მატყუებს, ვითომ მკვდარია. შემდეგ ფრთხილად ვსვამ ქვევით
და კვლავ ვიღიმები: უკვე სასწრაფოდ ამოძრავდა და გაიქცა...
არ მენდობა! არ გვენდობა!...

— ვინ ხარ, ბავშვო, შენ?

ფიქრებში და ხოჭოსთან თამაშში გართულს, პატარა ბავშვი
არც კი შემიმჩნევია, თავზე მადგას და ცნობისმოყვარე თვა-
ლებით მიყურებს. ახლალა შევნიშნე.

— შენ ურია ხარ, მამაჩემმა მითხრა.

— მერე რა? – ვუღიმი და ლამაზ, მრგვალ სახეს შევყურებ.
პატარა ბიჭი ცოტა ხანს დუმს, მე კი მის სახეს თვალს არ ვწ-
ყვეტ. შემდეგ, ეტყობა, თავს ძალა დაატანა და მიღრიალა:

— მე სამარიელი ვარ!

მე ის არ მიკვირს, თუ სამარიელს პატმოსზე რა უნდა; ის კი,
რომ ბავშვი ადგილს მოსწყდა და ჩქარი ნაბიჯებით წავიდა...
ეჰ, თუმცა აღარც ეს არის გასაკვირი.

— ბიჭი, ბიჭი! – ვეძახი. რამე ხომ არ ენყინა ნეტავ? ერთი
შემოტრიალდა, მუშტი მომიღერა და უკვე გაიქცა. გული მეტ-
კინა, ჩავიჩოქე და ლოცვა დავინყე. მისი დანატოვარი ლოცვა
ვთქვი და მომეშვა.

ყველაზე დიდი — სულიერი სინდისი — კვდება და უხმო
პროცესია უკანასკნელ გზაზე მაცილებს. ყველა გახარებულია,
რომ ამ მძიმე ხასიათის პატრონი სულისგან გათავისუფლდა,
მაგრამ სიხარულის გამომჟღავნება არ შეიძლება და ისინიც
პირმოკუმულნი და თავდახრილნი მიჰყვებიან პროცესიას ქემ-
მარიტი ჭირისუფალივით. ვაი, თქვენ, ფარისეველნო...

მომავლის მნიგნობრები უზარმაზარი ჩანთებით დადიან ქუჩა-
ში და ყველგან ხაზს უსვამენ – რა განათლებული ხალხი ვართო.
კოდალა კი კაკ-კუკ! კაკ-კუკ! უკაკუნებს მათი თავების კარებს და
პატარა ჭიკაყელას მოლოდინში ნისკარტს ფართოდ ხსნის.

სწრაფად მოსრიალე საკნის ურჩხულები... დიდიდან პატა-
რამდე ყველა სიამოვნებით ჯდება შიგ. შიგნით მყოფთ ავი-
წყდებათ ყველაფერი, აღარაფერი აღარ აინტერესებთ და მხ-
ოლოდ ერთი სიტყვა აკერიათ პირზე:

- წინ! წინ! წინ!

ქალები მორცხვობენ და ნელაო, კრძალვით იტყვიან, მაგრამ ტყუილია ეს. ყველაზე მეტად მათ უნდათ სწრაფად სიარული და წინ.

სადღაც ქალაქთან ახლოს, მწვანეში შიმშილით კვდება პატარა ბიჭი და მისი ტანმორჩილი ბებიია. ერთმანეთს უხმოდ შესცქერიან და ხანდახან, თუ ძალიან დიდი ძალა დაატანეს თავს, ნაღვლიან ღიმილს გაცვლიან ერთმანეთში...

შეტრიალებული ქალი კი ბიჭის მალულად პატარა, ძველბიან მუშტს გამხმარ მკერდზე დაიბაგუნებს და... ვაი, შვილო! ვაი, შვილო!

ყვავ-ყორნები ცაში წრეებს არტყამენ და ქვემოთმყოფთ უსიამოვნოდ, ავისმომასწავებლად თავს დასჩხავიან.

სქელ ღიპიან ლუდის კასრს კი ვეება მბოლავი ჯოხი გაუჩრია პირში და მალალ, კოპლებიან ძალს ეთამაშება. ხორცის ნაჭერი უჭირავს ხელში და მალლა-მალლა სწევს... ძალიან მალიმალ ხტება მალლა და ძალიან უკვირს, რომ ხორცი უფრო და უფრო შორდება მას და უფრო ზევით ადის.

ვიღაც გრძელი კაცი ყეყეჩივით დამდგარა შუა ქუჩაში და პატარა ჯოხს გულმოდგინედ აქნევს აქეთ-იქით. ყველა რკინის ურჩხული მას ემორჩილება და მას შესცივინებს სახეში... ისიც გახარებულია და კაცივით, საქმიანი ადამიანის სახით, ენერგიულად ატრიალებს თავის ჯოხს მალლა-დაბლა და ხანდახან ჩასტვენს კიდეც რაღაცაში...

პატარა ბავშვები ვეება ჩანთებით, მოლუშული სახეებით სასანავლებლისკენ მიეშურებიან... დედების გამოტანებულ პურს და ყველს იქვე, სანაგვე ყუთში ტოვებენ და ხელებსაც იქვე იფერთხავენ.

თეატრიდან გამოსული გამხდარი, სათვალეებიანი, ჩია კაცი კი ფიქრობს:

— რა კარგია და მშვენიერი სიცოცხლე!

შემდეგ ლაბაბმოკიდებულ, სქელ მეულლეს ხელს გაუყრის ხელში და ფინიასავით აედევნება. ბედნიერია, ძალიან ბედნიერი!

აგერ, ვიღაც ძალსახა კაცს ვხედავ – ვამჩნევ მამონას მსახურია. ხვეტავს და ხვეტავს ოქროს, ყიდის ყველაფერს, რისი გაყიდვაც შეიძლება, მანაც შეიტყო სინდისის გარდაცვალება და ძალიან გახარებულია, თუმც სხვას ამბობს:

— რა კაცი იყო? რა კაცი დავკარგეთ...?

ყველაფერზე გულგრილ ადამიანებსაც ვხედავ, არაფერი არ აინტერესებთ და არაფერი არ ეკითხებათ. მთელი სამყარო წინ მიუძღვის, თვით ლუციფერი. საბრძოლო დროშები და ბუკის ხმა – ომი! ომი!

მისნი კი – თვალზე ცრემლმომდგარნი, მაგრამ მტკიცენი, დედამიწის ყოველ კუთხეში გაფანტულნი და ხორციელად გათითოკაცებულნი, მაგრამ სულიერად ერთნი და მთლიანნი – დგანან და ელიან მის მეორე მობრძანებას, ღვთის საბოლოო და სრულ გამარჯვებას ცოდვაზე. უხმოდ იტანენ ყოველგვარ ტანჯვას, იციან: აღდგომისკენ მიმავალი გზა გოლგოთაზე ძევს!

შენ კი, განა შენ არ გიჭირდა გოლგოთაზე? შენს ხორციელ ბუნებას ხომ ძალიან სტკიოდა, სციოდა, სწყუროდა, შიოდა – ხომ საჭიროებდა საყრდენს, დახმარებას...

კუბოები! კუბოები! კუბოები!

მოსიარულე კუბოები, ფეხზე მდგარი კუბოები, მჯდომარე კუბოების სიმფონია – მუსიკის ქვეშ ცეკვავენ და ცეცხლზე იხრუკებიან მატლიან-კაციანად.

...და მახსენდება ის დღე, როდესაც რისხვით აღსავსე ბრბო შენ მიგათრევდა და მე ვიძახდი გულში:

— მე ვარ კაცი იგი!

შენ გიცნობდი, ბნელში ანათებდი და თვალს არ მჭრიდი, ტოლივით მესაუბრებოდი და მმოდღვრავდი, მარიგებდი და პურს ჩემთან ერთად ტეხდი, ძალას მაძლევდი, მაგრამ მე სუსტი, მაინც, მხოლოდ გულში ვბედავდი შენს აღიარებას. მხოლოდ შემდეგ, ძალიან შემდეგ მომეცა ძალა შენი საქვეყნოდ აღიარებისა, და უკვე შენით ძლიერი მეც ხმამაღლა, მთელი ქვეყნის გასაგონად ვაცხადებდი:

— მე ვარ კაცი იგი! – მხოლოდ მაშინ, ჩემ მიერ წარმოთქმული ამ სიტყვების შემდეგ გავხდი მე შენი ჭეშმარიტი, ერთგული და ნამდვილი მოწაფე – იოანე ღვთისმეტყველი.

13.09.83 – 17.09.83

სუკი, 18 საკანი.

იოანე ღვთისმეტყველო, ევედრე ღმერთსა ჩემთვის!

ტკბილი გოგო

დიდი ხანია უკვე, რაც ბალტიისპირეთს არ ვწვევივარ, ამიტომაც ჩემმა მასპინძლებმა განსაკუთრებული სითბოთი მიმიღეს და საყვედურივით შემომაპარეს კიდეც – სად იყავიო, აქამდე?

ქალაქის დათვალიერება არ შემოუთავაზებიათ ჩემთვის, რადგან კარგად იცოდნენ, რომ მათ კობტა ქალაქს მათზე ნაკლებ არ ვიცნობდი. რესტორანში კარგ დროს გაატარებთო ერთად.

ორიოდ საათში მის პატარა, სუფთა და ლამაზ სოფელსაც მივადექით. ივლისის თვე იყო და ბალტიისპირეთის პირობაზე საკმაოდ ცხელოდა.

ჯერ თავის ბაბუასთან მიმიყვანა ქალმა, გემის ყოფილ კაპიტანთან. ჩიბუხს წამდაუნუმ პირში იჩრიდა, ცნობისმოყვარე თვალებით შემომცქეროდა და როდესაც გაიგო, საიდან ვიყავი, თვალები აენტო და ენად გაიკრიფა. მეც მყავდა ქართველი მეგობარი და ასეთი და ასეთი კაცი იყო. სტუმრადაც ყოფილა ერთხელ მათან ბათუმში. ჩემი ცხოვრების საუკეთესო დღეები იყო. შემდეგ ნაღვლიანად დაამატა, აღარ არისო ცოცხალი, უცებ დაჩუმდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

მისი მეუღლე – დაბალი, კობტა, მოძრავი მოხუცი – ენას რომ მხოლოდ ქმრის მრისხანე შემოხედვის შემდეგ აჩერებდა – არ მომეშვა, წამო, საკუჭნაოს დაგათვალიერებინებო. სულ არ მაინტერესებდა საკუჭნაო, მაგრამ უარი ვერ შევკადრე და წავყევი. აი, ძეხვები, აი, მურაბები, ჩვენებური ლუდიო – მეც ხელოვნური ცნობისმოყვარეობით ვუსმენდი და ვუქებდი ხელებს – ეს რა ოქროს ხელები გქონიათ, როგორ ასწრებთ ყველაფერ ამას-მეთქი. ქალი სიხარულს ვერ მალავდა და ახალ-ახალ ყუთებს თუ ქილებს მიჩვენებდა... ბოლოს ისევ ბერიკაცმა მიხსნა, საიდუმლოდ გამიხმო და თავის ოთახში ამიყვანა. ოთახი კაპიტნის კაიუტასავით იყო მოწყობილი შავ-თეთრი ფოტოებით და ვიმპელები იყო გაკრული. მესაუბრებოდა ბერიკაცი განვლილ დღეებზე, წარსულ გმრობებზე და

მეც ნამდვილი ინტერესით ვუსმენდი უკვე. მართლაც ძალიან საინტერესო იყო ყველაფერი ეს. შემდეგ მოხუცმა საზეიმო ვითარებაში ძველი, მეზღვაურის სამოსი გახსნა. ორი ჭიქაც არ გვექონდა შესმული, რომ გულთა დიასახლისმა სადილზე გვიხმამო. ჩავედით. ჩემმა მასპინძელმა ბიჭებმა მკითხეს, მოხუცებმა თავი ხომ არ შეგანაყინესო და უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

— ცოტა ხანიც გაძელი და სალამოს გოგოების კამპანიაში წაგიყვანთ, — მითხრა კარლმა და გაიცინა. მეც გამელიძა. სადილის შემდეგ სოფელში გავედით. სოფლელები საგულდაგულოდ ცდილობდნენ, ცნობისმოყვარეობა შეენიღბათ, მაგრამ ჩემს თვალს არაფერი არ ეპარებოდა და ზურგს უკან ვგრძნობდი მათ მხერას.

სალამოც დადგა. კლუბებში ცეკვების სალამო იყო. ცეკვების შემდეგ მთელი სოფელი ტყეში გავა, დღესასწაულია და დილაზე არავინ არ დაიძინებსო. ზღვა ჯერ არ დამენახა, მაგრამ ხმა მესმოდა მისი და საერთოდ, ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს!

კლუბში ბევრი ხალხი იყო და ცეკვებიც უკვე დაეწყით. რატომღაც უკან გამობრუნება მომინდა, მაგრამ მომერიდა და დავრჩი. ყველა მიცნობდა – ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია ჩემ შესახებ უკვე მიღებული და ათვისებული იყო. ქალიშვილები, მშობლებისაგან განსხვავებით, არ ცდილობდნენ ცნობისმოყვარეობის დამალვას და უტიფრად მათვალთვლებდნენ. მორცხვი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი. კარლი და მისი მეგობრები კი მრავალმნიშვნელოვნად მიღიმოდნენ და თავს მიქნევდნენ.

სულ ცოტა ხანში ყველა ჩემმა მასპინძელმა თავისი გოგო იპოვა და მოცეკვავე ხალხის ტალღას შეუერთდა. მე კი ვიდექი ძველ ადგილზე და ცეკვას არ ვაპირებდი. ჯერ საერთოდ, ცეკვა არ მიყვარს და მეორეც, ვინც კი მომეწონა, ყველა მამაკაცთან ერთად იყო, თავისუფალი ლამაზი ქალიშვილი კი არ ჩანდა.

— შეიძლება ცეკვა? – დამტვრეული რუსულით მკითხა ვილაცამ. ავხედე და გამელიძა: ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის გოგონა იყო, საოცრად კარგი, აი ისეთი, ჩასაყლაპო, რომ იტყვიან ჩვენში. მაგრამ ორმოცს მიტანებულ კაცს არ მინდოდა თითქმის ბავშვთან საქმის დაჭერა და ზრდილობიანად ვუთხარი:

— არ ვცეკვავ მე, გოგონა.

აშკარად არ ესიამოვნა, მკვეთრად მიატრიალა ტანი და უხმოდ გამშორდა. კარლი ცეკვა-ცეკვით მომიახლოვდა.

— საქართველოს შვილო, რატომ არ ცეკვავ? თუ ჩვენი გოგოები არ მოგნონს?

და მისმა გოგომ გადაიკისკისა.

— როგორ არა! როგორ არა! – და „მის გოგოს“ მრავალმნიშვნელოვნად გაფუღიმე. ქალიშვილმა კვლავ გადაიკისკისა და ასე სიცილ-კისკისით დამშორდნენ.

ერთი სული მქონდა, ეს ცეკვები როდის დამთავრდებოდა და მართლაც მალე მორჩა.

შემდეგ გარეთ გავედით და ზღვის ნაპირას ჯგუფ-ჯგუფად გავნანილდით. როგოც იქნა, ვიხილე ზღვა, თითქოს ძველი ნაცნობი მენახოს, ისე გამიხარდა. დაიწყო ლუდის სმა და მე ჩემს სტიქიაში აღმოვჩნდი: შავი, მძიმე ლუდი და სულ ცოტა, ცოტა არაყი. ეს დღესასწაული ჩვენს ჭიაკოკონობას ნააგავდა: ხალხს მრავალი კოცონი ენთო და ლუდით გულმოცემულნიც მრავალნი ახტებოდნენ მრისხანე ცეცხლის ენებს.

ჩვენს კოცონთან ათიოდე კაცი მოვგროვდით. ლუდიც ბლომად გვქონდა, საჭმელიც უხვად, არაყი იყო მხოლოდ ცოტა, მაგრამ გრამი მაინც გამოვიდა კაცზე.

მეზობელი „სუფრიდან“ ვილაც გალეშილი კაცი მოგვიახლოვდა და მითხრა:

— მე ძალიან მიყვარს ქართველები, ძალიან... – და ბოთლი მიიყუდა, შემდეგ მე გადმომანოდა და მეც ნახევარი ბოთლი ჩავცალე, კონიაკსაც ჰგავდა და თან რაღაც მოტკბო გემო ჰქონდა. შემდეგ უზომოდ ვსვით ლუდი და შევთვერით. კარლმა კიდევ იშოვა არაყი სადღაც და სამმა კაცმა დავლიეთ. უკვე მართლა კარგად ვიყავი. ერთი სიტყვით, ნამდვილი რომალური ღრეობა იყო. ჩემი მეგობრები უკვე მიეწებნენ თავიანთ გოგოებს და უადგილო ადგილას ხელების სმა დაუწყეს. მე კი ვიყავი მარტო, კენტად და რატომღაც ეს ყველას უკვირდა. უცებ ვიგრძენი, რომ ვილაც მიყურებდა, არა, უფრო სწორად, ადრეც ვგრძნობდი, მაგრამ ახლა განსაკუთრებით – ვილაცის მზერა კეფას მიხვრეტდა და მიწვავდა. უცებ შევატრიალე თავი და კლუბში ნანახ პატარა გოგონას მოვკარი თვალი – სერიოზულად, ოდნავ მოწყენით მიყურებდა... ცეცხლის შუქი, თან მთვა-

რე და... მისი გაბუტული ტუჩებიც ახლა დავინახე. ჩასაყლაპია, ჩასაყლაპი და გოგონამ თავი მიატრიალა. ეს ყველაფერი, ალბათ, ერთ ნამში მოხდა. მე სმა განვაგრძე.

....კიდევ კარგა ხანი ვიქეიფეთ და უკვე უზომოდ მთვრალნი წამოვიშალეთ. ისინი თავიანთ ენაზე მღეროდნენ, მე ქართულად ვუბერავდი და მახსოვს, ყველას ძალიან მოგვწონდა. შემდეგ მე გავჯიქდი, სახლში ძილი არ მინდა, კარგი ამინდია და თივაზე მინდა დანოლა-მეთქი... რომ ველარ გადამარწმუნეს, ბოსელი იყო, მგონი, შემიყვანეს და თივაზე, სუფთა იყო – კარგად მახსოვს, მოგვკალათდი. თავი მივდე და ჩემი მასპინძლებიც თავიანთ გოგოებთან ერთად გაიკრიფნენ და დაიფანტნენ აქეთ-იქით... რა დღესასწაული იყო, არ ვიცი – კარგი კი იყო და... დავიძინე.

მეძინა, მაგრამ რომ ვტრიალდებოდი, მახსოვს, გულში შემეშინდა, თივაში უხსენებელი არ იყოს-მეთქი, მაგრამ ძილმავე დამამშვიდა და უკვე სხვა რალაც-რალაცეები მესიზმრებოდა. შემდეგ წვიმა ვიხილე: წვეთ-წვეთად ვსველდებოდი და ჯერ მიხაროდა, მაგრამ შემდეგ წვეთი ზღვად გადაიქცა და მლაშეც იყო... გამელიძა. თივაში ვილაც იყო. აი, ახლა კი, ცოტა არ იყოს, შევშინდი. მთვარის ძალიან სუსტი, მკრთალი შუქი იყო შემოპარული ბოსელში და თითქმის ვერაფერს ვხედავდი. გამიელვა კვლავ – გველი, მაგრამ უკვე თვალი შევაჩვიე სიბნელეს და გრძელი თმები დავინახე, შემდეგ ორი პატარა მკერდი, ჩემმა სმენამ ხშირი სუნთქვაც ახლალა აღიქვა და მივხვდი – ქალი იყო, შიშველი ქალი. ტიროდა? ჰო, სლუკუნებდა. ეს რა დღეში ჩავვარდი, როგორ გავილეშე, უკვე მოჩვენებებიც დამეწყო, მაგრამ მოჩვენებამ ხმა ამოიღო, სლუკუნი შეწყვიტა და დამტვრეული რუსულით თქვა:

— ბი-ძი-ა! თუ შეიძლება... — და ჩემი ხელი მკერდზე მიიდო. ჯერ ვერ მივხვდი, თუ რა უნდოდა, ეს „ბიძიაც“ გამიკვირდა. თან შვენიშნე, მის ცრემლებს მეც ვყავდი დასველებული, ეტყობა, დიდხანს ტიროდა და ახლა მივხვდი, სიზმარში ნანახი წვიმა რატომ გადაიქცა ზღვად და რატომ იყო მლაშე – ხელები მოვხვიე და გულში ჩავიკარი, ერთი სიტყვაც კი არ მითქვამს, ისე.

დილით, რა თქმა უნდა, თავი მტკიოდა ძალიან. მარტო ვიყავი. ეს ამბავი ნამდვილად მოხდა თუ სიზმარი იყო, არ ვიცი, მაგრამ ერთი კი ძალიან კარგად მახსოვდა: ქალი ნამდვილი

იყო თუ წარმოსახვითი, მე მისი პირველი მამაკაცი ვიყავი. აი, ეს ზუსტად ვიცოდი და ზედმინევენით კარგად მახსოვდა. ტანში რალაც-რალაცები ტყდებოდა და ძლივს წამოვდექი. შარვალი ჩავიცვი, პერანგი ხელზე გადავიკიდე და გარეთ გავედი. ჩემი მეგობრები უკვე ამდგარიყვნენ და ზედა ტანს ზღვის ცივი წყლით ისველებდნენ. მათი ქალები კი იქვე იდგნენ პირსახოცებით და ხარბი თვალებით სჭამდნენ მამაკაცებს. დილაო, ვთქვი, რალა დროა, მზე უკვე შუბის ტარზე იდგა.

ჩემს დანახვაზე ჟრიაბული ატყდა. მე უაზროდ ვიღიმებოდი და თან ტკბილ, უტკბილეს ლამის უტკბილეს გოგოზე ვფიქრობდი. თუმცა სად მქონდა ფიქრის თავი, თავი მისკდებოდა, მახსოვდა რა, მხოლოდ მახსოვდა, რომ გოგო ძალიან, ძალიან კარგი, ძალიან ტკბილი იყო.

ქალები ამაყად იდგნენ: თითოეულს თავისი კაცი ჰყავდა და ერთგვარი სიამაყით და პირსახოცით ხელში ელოდა მას... მე კი ვიყავი მარტო, მაგრამ უპირსახოცობამ ხელი არ შემიშალა და შარვლიანად შევედი წყალში. მკერდზე შევისხი და სულ ოდნავ აზრზე მოვედი.

რატომღაც გავიცინე და შარვლის ტოტები ავინიე, გვიან იყო – შარვალი ქვევით უკვე დამსველებოდა. მათ გავხედე, ყველა ერთი მიმართულებით იყურებოდა. მეც იქით გავიხედე და...

ჩემი ლამის სტუმარი, ჩემი პატარა ტკბილი გოგო პირსახოცით ხელში ჩემსკენ გამოიბოდა, სახეზე დილის მორცხვი ღიმილი ეფინა და გზადაგზა ქალებს ავ, ნიშნისმომგებ მზერას ესროდა ხოლმე.

ჩემი ლამის სტუმარი სწორედ ის გოგო იყო, რომელსაც მე კლუბში ცეკვაზე უარი ვუთხარი. ახლა ყველაფერი გამახსენდა და ნახევრად სიზმარი ზუსტად რეალობად აღვიქვი და გავიხსენე. მაშ, მე მისი პირველი მამაკაცი ვიყავი.

...მე ტანს ვიმშრალედი, პატარა გოგოს კი ჩემს ზურგზე მოედო ლოყა და ბედისაგან განებვირებული, ფისოსავით კრუტუნებდა.

19.09.83

სუკი 1.

Dies irae, dies illa!

*„ჩემი კარგი - ბოროტებაა“ - სატანა
ჯონ მილტონი*

სატანა ერთმორწმუნის ნიღბით მიუცოცდა. გულუბრყვილოს ყველა გულუბრყვილო ეგონა და დაუჯერა. სატანამ კი სული მოსთხოვა. სამაგიეროდ ხომ ხელს აწერდა, უკვე კი ხვდებოდა რაღაცას, მაგრამ გვიანდა იყო. ასე „დაძმობილდნენ“ კაცი და სატანა!

სალამო. ოფლი. ოფლის სუნი. ტაძარი: ქალები, კაცები, ბავშვები – ლოცულობენ. სანთლების დანთება და ლოცვების ბუტბუტი. ლოცვა ძლიერია, კაცი სუსტი. ვიღაც მაღლა იხედება და მაცხოვრის ფრესკის ნაცვლად დაგრეხილი, შავი ეშმაკი, პატარა რქებით და გაქუცული კუდით რჩება ხელთ. აჩვენებს სხვას. ტაძარში ხალხი აქოთქოთდა, პირჯვარს იწერს. მღვდლები გაოგნებული დგანან და ლოცვის თქმაც ვერ მოუხერხებიათ, რაღაცას უმწეოდ ლულულულებდნენ. ხალხი მათგან ელის პასუხს და შველას, მათ კი არ იციან, როგორ მოიქცნენ.

სოფელში მზე თან ჩადის და თან ძალიანდება რაღაც – არ აპირებსავით ჩასვლას. მდიდარი იყო სოფელი. ახლა ქათმის კრიახი ყველაზე შეძლებულის ეზოდანაც არ ისმის. ჩამოივლიან ლუციფერის ‘ოპირინიკები’ და უკანაკსნელ ლუკმას ნალღიტავენ... გლეხი ზოგჯერ ვერ ითმენს და მამაპაპისეულ ხმალს გამოარბენინებს სახლიდან, მაგრამ მარტოა და თან ხმარებაც აღარ ახსოვს რიგიანად... იქვე აკუნავენ ხოლმე.

არისტოკრატია. ქალები და კაცები. მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი ხალხი. მამაკაცნი: არწივის ცხვირითა და გამოხედვით, დასისხლული ტუჩებით და შავი თმით... თვალები ანთებული,

ოო, რარიგ ანეთებული! დედაკაცნი: გრძელი კისრით და მაღალი მკერდით – მკერდი ქალწულებრივი, ჯერ კიდევ ხელშეუვლები... პატარა ტუჩი, ოო, როგორი საყვარელი და ჩასაკბეჩად გამზადებული! თეთრი ხაზი გამოჩნდება ხოლმე ტუჩთა ცმაცუნს შორის – უზადო კბილები! შავზე შავი თვალები. წყლიანი, ჭკვიანი, ეშხიანი თვალები. ცხვირი სწორი, მარმარილოსავით...

პოეტნი, მეზრდოლნი, ფილოსოფოსნი, მღვდელნი, მეცნიერნი...

ნალებია, რძის ნალები, ოხშივრიანი ნალები. მსჯელობენ, კამათობენ, ეძებენ... გამოსავლის პოვნა უნდათ და თითქოს პოულობენ, მაგრამ... ერთი პატარა იუდა მათ შორისაც არის, ხოლო სიტყვით ქრისტიანებს გოლგოთის აუცილებლობა და თავად მაცხოვრის სიმტკიცე აღარ ახსენდებათ და განუხორციელებელ, ჯერ კიდევ დაუნყებელზე სასტიკ უარს აცხადებენ და სატანას ერთგულებას ეფიცებიან... 'არაფერი არ გაგვიბედიო, გენაცვ...' და ა.შ.

მზე ამოდის და ჩადის. შემდეგ კიდევ ამოდის და კიდევ ჩადის. მთვარე კი ხანდახან ჩანს ღამით, ხანდახან კი შემალულია ღრუბლებში. გაზაფხულს ზაფხული მოსდევს, ზაფხულს — შემოდგომა, შემოდგომას — ზამთარი და ზამთარს კი — გიჟი მარტი.

ვიზეიმოთ დაძმობილება, ეუბნება სატანა კაცს. კაცი თანხმდება. თან ეშინია, თან მართლა საზეიმო ჰგონია ეს ამბავი – აი, ამდენი მზის წინ დავეძმობილდით მე და შენ, ეუბნება სატანა და კაცს გულში პატარა ნაწილს ჩამოაფშვნის... ხმელია, გაციებული უკვე. მაგრამ მაინც დიდი სიამოვნებით ილუკმება ჯოჯოხეთის პირმშო. კაცს სტკივა, მაგრამ ითმენს. ჩვეული ჭირიო და მისთანა სისულელები. სუფრა საზეიმო: ალუდა ქეთელაურის სიზმარს ჰგავს. დიდი ქვაბები: ქვაბებში ხორცი – ხორცი ადამიანის. მამაკაცთა ხორცი ცალკე ქვაბებშია, დედაკაცთა — ცალკე. მწვანილეულობა, ბალახ-ბულახი უხვად: ადამიანის თმები – შავი, თეთრი, ღია, წაბლისფერი, ყვალღია...

ტანწერწეტა დოქები ღვინით არის სავსე: ადამიანის სხეულისაგან დაწურული წითელი ღვინო. თამადის ახლო-მახლო ადამიანის მოჭრილი თავი დევს და პირში ბოლოკი აქვს გარჭობილი. თამადა რომ შეჭამს თავის ქალას გადააგდებენ.

(ყველამ კი არ იცის, თავის დაჭერა და ჭამა, ესეც ხელოვნებაა, ამასაც სპეციალისტი სჭირდება), ქეიფი ჩაღდება.

ვიდღესასწაულოთ! ვიზეიმოთ! ჩვენს დაძმობილებას გაუ...

შემდეგ სიმღერას იწყებენ:

მარად ერთად, მარად ერთად

ლუციფერი კაცთან ერთად!

...დიდი ჭრილობა კი კვლავ მოუშუმებელია. ხშირ-ხშირად ადებენ თითს და აწვალენ – ჭრილობა არ უნდა მორჩეს. სისხლის სუნს კი მრავალი ბუზი მოჰყვება და სისხლში მოფუთფუთე, სისხლით მთვრალი ბუზები მანამდე არ ტოვებენ საოცნებო ადგილს, სანამ ახალი პარტია მათი თანამოძმეებისა არ მოფრინდება.

...დოლი კი მონოტონურად, ყრუდ გუგუნებს და ლაპარაკობს:

- არაფერი არ გაბედოთ! ბუმ-ბუმ! არაფერი არ გაბედოთ! ბუმ-ბუმ!

23.09.836.

სუკი

+

ԸՈՒՅՈՒՆՏԵՄԵՆՏ: (տեղի և կայծի նշանակում)

- 1). Կոնսյակ ընթացիկ - (ձորանցիկացու խոնկեր կաշածից)
- 2). Կոն ընթացիկ - խոնկեր և ժայռակներ (կաշածից կիր)
- 3). Асб Платон - բասկաշու
- 4). ընթացիկ ընթացիկ - 17 ծածկում
- 5). Түргенев - Т. 10 (Երևանի, Կոնսյակի օսիցիան, Կոնսյակ և Վ.Մ.)
- 6). Կոն ընթացիկ - Կոնսյակի կամար
- 7). Կոնսյակի խոնկեր
- 8). Կ. Կոնսյակի - Կոնսյակի խոնկեր
- 9). Կոնսյակի (Կոնսյակի օսիցիան)
- 10). Կոնսյակի խոնկեր - ծածկում
- 11). Կոնսյակի - Կոնսյակ
- 12). Կոնսյակի - Կոնսյակի խոնկեր
- 13). Կոնսյակի խոնկեր (XIX)
- 14). Կոնսյակի - Կոնսյակ
- 15). Асб Платон - Կոնսյակի օսիցիան
- 16). Կոնսյակի խոնկեր - Կոնսյակ
- 17). Կոնսյակի խոնկեր - Կոնսյակի խոնկեր
- 18). Ф. ТАУРИ - БАЙКАЛСКИЕ КРУМЫЕ ПЕРЕСЕЛ
- 19). Կոնսյակի խոնկերի օսիցիան

- 20). „Бунташный век“ (Шурышын-рахан, илт. сс.)
- 21). ჯ. ლეონიძის - შრომები
- 22). ~~შრომები~~ ჯ. ლეონიძის - შრომები
- 23). ა. ხუბოვი - შრომები
- 24). ~~შრომები~~ მარკს, ენტელს - ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕ-
ДЕНИЯ В ДВУХ ТОМАХ - М. 1978-79
- 25). უკრაინის ლიტერატურა - ჟურნალი
- 26). Н. Гоголь - Повесть (ფორტუნა უკრაინის ლიტერატურის, „მთავარი“, ქართ. მოსკოვი)
- 27). ~~შრომები~~ ჯ. ლეონიძის - შრომები
- 28). Борьба за упрочение советской власти в Грузии - 1959
- 29). ჯ. ლეონიძის - შრომები
- 30). ჯ. ლეონიძის - შრომები
- 31). შრომები - ჯ. ლეონიძის
- 32). ჯ. ლეონიძის - შრომები
- 33) Исторический МАТЕРИАЛИЗМ - М. 1957
- 34) ჯ. ლეონიძის - შრომები (50)
- 35) Достоевский - Т. 20 (статьи и заметки) (51)
- 36) ჯ. ლეონიძის - შრომები (52)
- 37) И. Пастернак - Царское село (53)
- 38) Островский - Как закалялась сталь (54)
- 39) ჯ. ლეონიძის - შრომები (55)
- 40) ჯ. ლეონიძის - შრომები (56)
- 41) ჯ. ლეონიძის - შრომები (57)
- 42) ჯ. ლეონიძის - შრომები (58)

ოლიმპოს მკვიდრნი

ზევისი მაღალი და მსუქანი კაცია. მელოტი. ადრე ხუჭუჭა თმები ჰქონია. ბოროტი ენები ამბობენ, არ ჰქონია და იგონებ-სო. უზომოდ სმა შეუძლია. რამდენიმე ავტომანქანა ჰყავს, სახ-ლი ოლიმპოზე, საზაფხულო და საზამთრო აგარაკები ეგზო-ტიკურ ადგილებში, ბალკანეთის ნახევარკუნძულებსა და არა მარტო იქ... შვილი არ ჰყავს. მეუღლეს ჰერა ჰქვია. ლამაზი, მა-გრამ საშინლად მსუქანია. უკანალიც, ტიპური ნორმანდიელი გლეხის ქალია. რუბენსის ბარძაყები. მკერდი იმხელა აქვს, რომ ვინმემ კოცნა რომ მოუნდომოს (არადა, უნდათ ხოლმე!), შეხტომაც კი დასჭირდებათ, თორემ ისე მკერდი არ მიუშვებს ტუჩებამდე. ძუძუსთავეები სამი-ოთხი შაურიანის ხელა აქვს. დიდი გრძელი ტუჩები, ცისფერი თვალები და ყვითელში გა-დასული ქერა თმები. არა, არ არის ულამაზო ქალი. მრისხანე ზევსს უკვე რამდენი ხანია, რაც რქებს ადგამს. ხან ჰერმეს-თან გაინავარდებს, ხან კი მარად მთვრალ დიონისეს მიუწვება ლოგინში... ხან კი — ვის!

ზევსმა ყველაფერი იცის, მაგრამ ისეთ სახეს იღებს, ვითომ არაფერი არ იცის. ეს იმიტომ, რომ ის მრისხანეა და ყველამ რომ გაიგოს, რომ მან იცის საკუთარი რქების ამბავი, მაშინ ცოლი და კიდევ ნახევარი ოლიმპოელი მაინც უნდა ამოწყვი-ტოს... ამიტომ, ვითომ არაფერი არ იცის.

სამსახურიდან მოსულს, ჰერა რომ ეტყვის — „ჩემი ცუგრუ-მელაო“ — და მელოტ თავზე აკოცებს, რწყევა უნდება, მაგრამ, როგორც კი ცოლის მზერას დაიჭერს, ხელად ყალბ ღიმილს აი-ფარებს დეფორმირებულ სახეზე.

— არა, მამაკაცებში მაინც მცვლიდეს, — ფიქრობს ზევსი და ჩიბუხს ეწევა. ჰერმესია კაცი? მაგ ვაჭრუკანა... არა, ვაჭრუ-კანობას ვინ ჩივის, ქურდიცაა. ოჰ, რა პანანა და სულმდაბალია ჰერმესი, ზევსს ხანდახან ისიც კი უნდა, რომ ჰერმესს თავში

რამე ჩაარტყას და ტვინი დაანთხევიოს... აქვს კი ტვინი? გამხდარი ცარიელი ძვლებია, ჩავარდნილი ლოყები, საიდან-ღაც შორიდან მომზირალი ორი პატარა ეშმაკი თვალი... მუდამ დაუფარცხნელი ბინძური თმები და „ზედმეტი“, რომ არ იცის, რა მოუხერხოს, მოძრავი ხელები... ფუუჰ!

...ანდა, ის ლოთი ისა, დიონისე! თავის ცოლს ვერ უვლის, აპოლონი ადგამს რქებს და ჩემს ცოლთან კი იჩენს აქტიურ მამაკაცობას. იჩენს კი არა... ალბათ, კვირაში ერთხელ ძლივს... გაცრა ტანში, საშინლად არ მოეწონა. ოო, კახპა, ოო, კახპა – თმებით არის სათრევი, ლოთობით სახე აქვს დასიებული და ცხვირი გაბიჟვინებულ-განითლებული დიონისეს. ხანდახან, ფხიზელიც კი წონასწორობას ვერ იცავს და ქუჩაშივე ეცემა... არა, ლოგინში როგორ ახერხებს წონასწორობის დაცვას... და ზევსს ძალიან გაუხარდა, ამ აზრმა ძალზე გაამხიარულა. დისერტაციაც ხომ მოპარული აქვს... ვის მოჰპარა, არც კი ახსოვს. ნეტავ, აპოლონი თუ დადის ჰერასთან? არა, აპოლონი არ არის გარკვეულ სილამაზეს მოკლებული, მაგრამ მამაკაცურობა აკლია. რა ნაზია და რა ნარნარი. ჰმ, ჰმ, ხმაც რა ქალური აქვს. დედა, რა ვუყოთ და ზევსი კვლავ გამხიარულდა.

დიდი სუფრაა გაშლილი. თამადა ზევსია. მრისხანე, ყოვლისშემძლე ზევსი. მარჯვენა ხელში ყანწი უჭირავს, მარცხენა ფართოდ აქვს გაშლილი.

ჰერმესის სადღეგრძელო უკვე დალია, ახლა დიონისეს სადღეგრძელოს სვამს. დიონისე ხომ თვით ბუნებაა, თვით ვაზის სიმბოლო... ვაზი კი მოგეხსენებათ, ბატონო, თუ რას ნიშნავს ჩვენთვის. აკი ნათქვამია – ვაზო, შვილივით ნაზარდოო. არა, საიდან პოულობს დროს სამეცნიერო მუშაობისთვისაც. მისი დისერტაცია, ეს უბრწყინვალესი რამაა. მე, საერთოდ, ბატონებო, წიგნის კითხვა მწოლიარემ ვიცი, მხოლოდ ჰერმესს, ამ გენიოსს, ვკითხულობ მე ფეხზე მდგარი, ჩემი დიდი პატივისცემის ნიშნად, მინდა, გითხრათ, რომ დიონისეს დისერტაციაც, მე, ფეხზე მდგარმა ნავიკითხე...

დიონისეს შერცხვა და თავი სად წაიღოს, არ იცის.

— მძლეთამძლეოვიჩ! დიდი არაფერია, რა ღირსი ვარ... — და რაღაც გაურკვეველ სიტყვებს ბლუკუნებს.

აპოლონი კი შემთვრალია, ხელში გიტარა უჭირავს და თან ცალ თვალს დიანას ფართო დეკოლტეში აპარებს.

— მეც აქტეონი არ გეგონო! — ეუბნება ნახევრად ხუმრობით და დიანაც გულიანად კისკისებს.

— მე თვითონ დავგლეჯ ძაღლებს შენი გულისთვის, აი ასე, აი ასე, — და აპოლონი რაღაც სასაცილო მოძრაობებს აკეთებს. დიანა კისკისებს და კისკისებს.

— რა საყვარელი ბიჭი ხარ, რა კარგი...

...ბოლო სადღეგრძელო პატარა, მაგრამ შინაარსით დიდი მხარის, მხარის კი არა, მთის, შესაძლოა, ჯომოლუნგმაზე და კილიმანჯაროზე პატარის, მაგამ სინამდვილეში, მთაზე დიდის, ბევრად დიდის, მრავალტანჯული, ზვიადი და დიადი, დიახ, დიახ — დიადი ოლიმპოსი ისმება.

კაცები ქალებთან ერთად იცრემლეუბიან, ჰერმესს ზევსის მკერდზე მიუდვია თავი და სლუკუნებს:

— ჩვენი ოლიმპო! ჩვენი ოლიმპო!

შემდეგ კი იშლებიან, ხვალ ორშაბათია, სამუშაო დღე და დილით ადრე უნდა ადგნენ.

23.09.83

სუკი, 18

Յուրեղանկությունը կոչում - ՅՏԵԸԴՄԵՐՈՒՄԻ

17
Յուրեղանկ

- 1) Երևակալություն,
- 2) Ըմբռնություն,
- 3) ~~...~~
- 4) Ընկալություն,
- 5) Կրթական հայացք (համեմատական),
- 6) Ֆանտազիայի զարգացում,
- 7) Գեղարվեստական խելագրություն:
- 8) Գեղարվեստի հայացքներ:
- 9) ~~...~~
- 10) Գեղարվեստի հայացքներ:
- 11) Գեղարվեստի հայացքներ:
- 12) Գեղարվեստի հայացքներ:
- 13) Գեղարվեստի հայացքներ:
- 14) Գեղարվեստի հայացքներ:
- 15) Գեղարվեստի հայացքներ:
- 16) Գեղարվեստի հայացքներ:
- 17) Գեղարվեստի հայացքներ:

մինչև 1977 թվական (ևս 37)
 1977-1978 թվական

← Գեղարվեստի հայացքները և Գեղարվեստի հայացքները
 (ևս 37)

Գեղարվեստի հայացքները
 Գեղարվեստի հայացքները (ևս 13)
 Գեղարվեստի հայացքները

"Գեղարվեստի հայացքները" Գեղարվեստի հայացքները և այլն,
 Գեղարվեստի հայացքները, Գեղարվեստի հայացքները.

Գեղարվեստի հայացքները
 1983 թ.
 10 օգոստոս

პანდემონიუმი

“Dum spiro, spero”

გველთა მაყრიონი. ჩუმად მოდიან, სისინ-სისინით. ღრიანცელი და ხმაური არ ახლავს მსვლელობას. ნეფე-პატარძალს პატარა თავები ერთმანეთზე მიუდევთ და მოსრიალებენ... სსსს, სსსს...

ორმო კი ღრმაა, ძალიან ღრმა. ოთხკუდხედი ორმო — მიწის ოთახი. მიწის კედლები. ორმოს, რა თქმა უნდა, მიწის კედლები ექნება. ნესტიანი, სველი მიწა. ძალიან, ძალიან შავი. მზე რომ ძალიან აჭერს, მიწა თითქოს ფხვიერდება და ღია ფერსაც იღებს, მაგრამ... მაინც ძალიან შავია, ძალიან ნესტიანი. წვიმა მოდის, აქეთ-იქით აწყდება, მაგრამ თვითონაც კარგად იცის — თავს ვერსად შეაფარებს. ასეა ნაგულისხმევი — მზემ უნდა დაწვას, ყინვამ უნდა გაყინოს, თოვლმა უნდა დათოვოს და წვიმამ უნდა დაასველოს. კიდევ რა დარჩა? მგონი, არაფერი! რა? საკმარისი არ არის? ციებ-ცხელებიანივით არის, უკვე აბოდებს და ხანდახან მოლანდებებიც კი აქვს. უკვე კარგა ხანია, რაც ამ ორმოშია. მრავალჯერ სცადა ამოძრომა, მაგრამ უშედეგოდ. ორმო ღრმაა, მიწა სველი და სლიპინა, როცა მზე აჭერს, მაშინ კი მიწა ფეხებში ეფშვნება და ფეხს ვერ იკიდებს... ვერა, ვერ ამოვა ზევით. ის კი მაინც არ ეშვება და ლამის ყოველდღე ამოძრომას ლამობს. უგუნურია? შერყეულია? — არა! მას იმედი აქვს. მას, რწმენამდე მისული იმედი აქვს, რომ ადრე თუ გვიან ამოვა, აუცილებლად ამოვა. ზევიდან კი დასცინიან, მის წვალელებს რომ უყურებენ და უწმინდურობებს აყრიან თავზე.

ქორწილმა ორმოს ჩაუარა. ნეფე-პატარძალმა და მაყარმა რიგრიგობით ჩააფურთხეს შიგ (გველები არ იფურთხებიან, მაგრამ, როცა ძალიან სძულთ, ამასაც ახერხებენ).

არ ეშვებიან, თავს არ ანებებენ. არადა, ყველაფერი როგორ კარგად დაიწყო. ახსოვს, ჩოხა-ახალუხი რომ ჩაიცვა, მისმა

ღიმილი ვერ შეიკავა და უთხრა, ეს რა ვაჟკაცი მყავხარო. აბა, ახლა მარტო ძვლებილაა დარჩენილი. შემდეგ, ძველებური ხანჯალი შემოირტყა და ისე გასწია მტრისაკენ.

ამაღლებულ ადგილას ოქროსფერი დაჰკრავდა და ოქროსფერივე ტახტრევანი იდგა. რაც უფრო უახლოვდებოდა, ოქროსფერი უფო და უფრო შავდებოდა, ხოლო უკვე ბოლომდე მისული, შავის გარდა, სხვა ფერს ვეღარც არჩევდა. არ იყოს სხვა ფერი.

რა გინდაო, კაცთა მტერმა რომ უთხრა, მან მახვილი იმიშვლა, მაგრამ იქვე გაქაჩეს, სცემეს და ორმოში ჩააგდეს. კაცთა მტერი ირონიული ღიმილით დაჰყურებდა გაკოჭილს.

რვა ნაბიჯი ორმოში. მეტი არა. მისი რვა ნაბიჯი დადის აქეთ-იქით, ორმოს ერთი კუთხიდან მეორეში... შემდეგ კუთხეებს შეცვლის — კუთხე ხომ ოთახია! რვა ნაბიჯი. რვა გამოზომილი ნაბიჯი. ფრთხილად, ნელ-ნელა ადგამს ფეხს და გულში იძახის: „ერთი“... შემდეგ „ორი“ და ა.შ. კუთხეში მისული მკვეთრად შემოტრიალდა, ოღონდ აუცილებლად მარჯვენა მხრიდან და კვლავ „ერთი“... შემდეგ მოსიარულემ ლოცვა წამოიწყო და ისე დაეჩვია, რომ უკვე ფეხზე მდგარი ან დაჩოქილი იშვიათად თუ ლოცულობდა — აუცილებლად უნდა ევლო. მთელი სისტიმა გამოიმუშავა: კუთხესთან მდგარი, როდესაც ჯერ კიდევ მოძრაობა დაწყებული არ ჰქონდა, პირველს გადაინერდა, მცირე მეტანიას გააკეთებდა და პირველ ნაბიჯს გადადგამდა. პირველი ნაბიჯის გადადგმა და ყოვლადწმიდა სამებისადმი ვედრება ერთი იყო. მეორე ნაბიჯზე უკვე მაცხოვრის ლოცვას იტყოდა გულში: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შენ შემინყალენ მე ცოდვილი“.

ზოგჯერ ვერ ასწრებდა და მესამე ნაბიჯი უკვე ნახევრად გადადგმული ჰქონდა, ღვთისმშობელს რომ გამოსთხოვდა წყალობას. მეოთხეზე: „ევედრე ღმერთსა ჩემთვის, წმინდაო გიორგი, რამეთუ გულმოდგინედ შენდამი მოვილტვი, ვითარცა მსწრაფლშემწისა და მეოხისა სულისა ჩემისათვის“. მეხუთე ნაბიჯს გადადგამდა და ბრწყინვალე მთავარანგელოზებს, ქერუბიმთ და სერაფიმთ შესთხოვდა შემწეობას. უპატიოსნეს

ქერუბიმთ და აღმატებით უზესთაეს სერაფიმთ, რომლებიც ყველაზე ახლოს იმყოფებოდნენ ღმერთთან და ღვთისმშობლის შემდეგ ღვთის ქმნილებათაგან უპირველესნი იყვნენ.

მეშვიდე ნაბიჯი და... მისი გული ყველაწმინდა მამას თუ დედას ევედრებოდა მისთვის ღოცვას. მერვე ნაბიჯის დროს კი იგი მის უსაყვარლეს წმინდანს, მის სეხნიას, წმინდა კეთილმსახურ მეფე დავითს შესთხოვდა მფარველობას. ...და ასე უსასრულოდ.

შემდეგ ჩაჯდებოდა მიწაზე და მუხლებზე თავჩარგული გრძელ ღოცვებს იტყოდა და უკვე დანყნარებული და დამშვიდებული მალლა ცას ახედავდა.

ცა კი იყო ისეთი, როგორც ათასი თუ ორი ათასი წლის წინ. იგივე ცა დაჰყურებდა წმინდა დავითს ათასი წლის წინ და მასაც, მის უსახელო, მცირე სეხნიას, რომელიც ორმოში ჰყავდათ ჩაგდებული და რომელსაც ასე ნელ-ნელა, დღითი-დღე „ცოტ-ცოტათი“ კლავდნენ. არადა, რა ახლოს იყო თავისუფლება. მისი სუნთქვა საბრალო ტყვეს ყურში ჩაესმოდა, მას ხედავდა თავისი თვალებით და მისი გულიც, ოო, რარიგ ვერაგი და დაუნდობელი, მისი მოღალატე გულიც მკერდიდან ამოვარდნას და თავისუფლებას ლამობდა.

ცაზე დასრიალებდნენ ფრინველები და ტყვეს არ შურდა მათი, რადგან ეს ძალიან ძველი და გაცვეთილი იქნებოდა, მაგრამ მაინც ნაღვლიანი თვალებით შესცქერდა მათ და სადღაც გულის სიღრმეში, ყველაზე ბნელ, მიუღწეველ ადგილას მაინც გრძნობდა ამ შურს... არ აღიარებდა ამას. არა მას არ შურდა ფრინველების!

„ნუ დარდობ და სევდიანობ, ღმერთი შენთან არს!“ – აი, სიტყვები, ღვთივმეგონებული სიტყვები და ის მაღლობას უძღვნიდა შემოქმედს ამ სიტყვების ჩუქებისათვის და ხშირ-ხშირად იმეორებდა: „ნუ დარდობ და სევდიანობ, ღმერთი შენთან არს!“

თავის მუშტს გახედავდა და მამა ახსენდებოდა, რომელმაც სიმტიკიცისაკენ შემდეგნაირად მოუწოდა: მომუჭე ხელი და რაც ზედმეტი დაგრჩება, შეუბრალებლად ჩამოჭერიო... და ისიც აჭრიდა: ცდილობდა, არ ედარდა და არ ეფიქრა – ფიქრი ხომ ყველაზე საზარელი რამაა მის მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცისათვის.

ზევიდან კი ყოველ ოც წუთში, ერთხელ მაინც დახედავდნენ და გამაფრთხილებელ, ტანში ჟრუანტელის დამვლელ „სსსს“-ს აჩუქებდნენ. ამონებდნენ – თითქოსდა ამ ორმოდან გაქცევა შეეძლო.

— მტკიცედ! მტკიცედ! – დაიყვირებდა ხანდახან და ცას ახედავდა. არადა, გულში უყვიროდა მხოლოდ, ხმას არ აძლევდა თავისუფლებას... მათაც ხომ ეს უნდოდათ?! არა, მტერმა არ უნდა გამოიყვანოს მოთმინებიდან, ვერ უნდა მოლუნოს, არ უნდა შეამჩნიოს სისუსტე, გულში კი უყვირის:

— მტკიცედ! მტკიცედ!

ადგებოდა და კვლავ ლოცვას წამოიწყებდა: „იეესო, ყოვლადწმიდაო სამებაო, შემიწყალენ მე!...“ დღეები კი გადიოდა. სათქმელად კი ადვილია – გადიოდა, მაგრამ მისთვის — ორმოში ჩაგდებული მარტოკაცისთვის ეს დღეები ნეელა, ნეელა გადიოდა. წვიმა გადაიღებს და უკანასკნელი წვეთები ნელ-ნელა, დიდი ინტერვალებით სწყდებიან და კაააპ... დღეებიც ასე სწყდებოდნენ ცას და ნელ-ნელა, ძალიან მძიმედ გადიოდნენ.

უმიზეზოდ აფორიაქდებოდა ხოლმე. სულ ერთი წუთის წინ მშვიდად იჯდა მიწაზე, მეორე წუთს გიჟივით წამოიჭრებოდა და დაიწყებდა ბოლთის ცემას. ნაცვლად დინჯი „ეეერთისა“, საერთოდ არაფერს ამბობდა, ანდა უკიდურეს შემთხვევაში — „ერთ“, „ორ“... შემდეგ ასევე უმიზეზოდ მშვიდდებოდა, ერთს ამოიოხრებდა, კვლავ ცას ახედავდა და ნერვული მოძრაობით სწრაფად, ძალიან ჩქარა გადაინერდა პირჯვარს, ზევიდან კი დამცინავი „სსსს“...

საჭმელს და წყალს თოკით ჩამოუშვებდნენ ხოლმე და ისიც არა, არ ეძგერებოდა, იმიტომ რომ მშვენივრად ახსოვდა- ისინი დაჰყურებდნენ. მშვიდად, დინჯად ჩაიდებდა გამხმარი პურის ნატეხს პირში და თბილ, მომჟავო, უგემურ წყალს დააყოლებდა. ზოგჯერ წყლის ზედაპირზე ხის ჭიქაში ქინქლები თუ ბუზები დაცურავდნენ, ამიტომ ის ჯერ წყალს გაასუფთავებდა – თითოთ ცალ-ცალკე ამოჰყავდა მწერები და შემდეგ მიწაზე ახოცებდა... სვამდა.

უსაქმურობისაგან სულ ძილი უნდოდა, მაგრამ ორგანიზმი აღარ სთხოვდა ძილს და კაციც ყოველთვის ნახევრად მძინარე, ძილ-ღვიძილის შუაში იყო ხოლმე. დადიოდა — ეძინებო-

და, თვალს მოხუჭავდა და ვერ იძინებდა, მცირე ფაჩუნზეც კი გამოერკვეოდა და ასე დაუსრულებლად...

არა, კი იცოდა, რომ დემონები მას არ დაინდობდნენ, მაგრამ პირადად რომ გამოსცადა, უფრო უკეთ დარწმუნდა და უფრო ნათლად დაინახა. შიშით ნამდვილად არ ეშინოდა, პირიქით, უფრო განმტკიცდა თავის სიმართლეში — ბრძოლა აუცილებელი იყო. რა გახრწნილ, ფარისეველ, თვალთმაქც და ბოროტ სულებთან ჰქონდა საქმე.

უნდოდათ — ენას დაშაქრავდნენ, უნდოდათ — ყვიროდნენ და იგინებოდნენ: ხან ფარისევლურად თანაგრძნობას გამოხატავდნენ, ხანაც პირში მიახლიდნენ, სიკვდილის ღირსი ხარო. ყველანი, ყველანი — კაცთა მტერი, დემონი და ეს პაიკ-პაიკი გველები, დემონობას რომ ლამობდნენ — თავის გამოჩენას და დანინაურებას.

მთვარეს დიდ ყულფში გაუყვია თავი და ასე ჩამოხრჩობილი დაკონწიალებს ცაზე. ის კი ქვემოდან ასცქერის თვითმკვლელს და უცნაური გრძნობა ეუფლება. ეს ხომ იყო? ეს მომენტი ხომ მქონია მე ცხოვრებაში?.. მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა სსსს... ჩვენ აქ ვართო, ჩვენ გიყურებთო, ჩვენი არსებობა არ დაგავინყდესო... რა დაავინყდება?

გაემარჯვა, არავის არ მოკლავდა, კაცთა მტესაც კი მხოლოდ დაჭრიდა. ისე დაახრჩობდა, რომ ბოროტების ქმნა ვეღარ შეძლებოდა. დემონებს და ძლოკვებს (ამჯერად სიტყვა „გველები“ ვეღარ გაიმეგა მათთვის, რატომღაც უფრო დარბაისლურად და ღირსეულად ჩათვალა, ვიდრე შეურაცხმყოფელი „ძლოკვი“) კი დიდსულოვნად მიუტევებდა და სულ თითო-ოროლა მაინც ხომ დაადგებოდა ჭეშმარიტების გზას... დანარჩენს კი ყველას ღმერთი გასცემს პასუხს. არც ახლა შეუცვლია აზრი და რომ ფიქრობდა, თავს ძალას ატანდა და ფიქრობდა, ვერ ხვდებოდა, თუ სად დაუშვა შეცდომა — რად დამარცხდა?

ორმოდან ამოსვლას კი კვლავ ცდილობდა. გული იმედით ჰქონდა სავსე, გონება კი საპირისპიროს არწმუნებდა, მაგრამ ის მაინც... ამოსვლას ცდილობდა, რომ არ მოდუნებულყო, არ მოშვებულყო, სულით არ დაცემულყო, თორემ არც ისე უჭკუო იყო, რომ არ სცოდნოდა — ორმოდან ვერ ამოვიდოდა, თორემ ისევ ამოსვლის იმედი როგორ არ ჰქონდა, იმედი კი არა, რწმენა იყო უკვე ეს — არა, ღმერთი აქ ხომ არ ჩატოვებდა?

წვიმა დაიწყო. ძალიან შემპარავად — ჯერ ცოტ-ცოტა, შემდეგ დაუშვა და რა დაუშვა... დასაწყისში ესიამოვნა თბილი წვეთები რომ მოხვდა სახეზე, მაგრამ მერე კი... არა, მეტისმეტი იყო — ამინდიც კი მის წინააღმდეგ მოქმედებდა. „ალბათ ასეა საჭირო, რომ უფრო განვმტკიცდე, უფრო ძლიერი გავხდე“, — ფიქრობდა ტყვე და წვიმას უკვე ფართოდ უშლიდა მკერდს და უღიმოდა, თუმცა შიგნით, ძალიან შიგნით სიცივისაგან მოკუნჭული და დაპატარავებული იყო, აკანკალებდა და კბილებს ბრაზისაგან აღჭრიალებდა... მაგრამ ეს შიგნით, გარედან კი მომლიმარი, მკერდგადაღელილი გიჟი, რომელიც ამ კოკისპირული წვიმის დიდი, დი-დი მადლობელია! დიახ, ასეა და გველები სსს-სსს, გაოცებით გადახედავდნენ ერთმანეთს: „გიჟია ოხერი?!“

ადრე თუ გვიან გაიმარჯვებს, იცის ეს, იმედი აქვს ამისი, იმედი კი არა რწმენა, იმიტომ, რომ ზუსტად იცის, ღმერთს ასე უნდა! დაინგრევა და დაიშლება პანდემონიუმი, კაცთა მტერს ზეციური ცეცხლი შემუსრავს, დემონები თავშესაფრის ძიებას დაიწყებენ, რომ ღვთის რისხვას გაერიდონ, მაგრამ ამაოდ... და ძლოკვები, ეს საზიზლარი ძლოკვებიც, ხერხემალგადამტვრეულნი, საკუთარ სისხლში მოსრიალენი იმედიან თვალს მიაპყრობენ კაცთა მოდგმის მტერს, მაგრამ მისგან ფერფლი და ნაცარი იქნება უკვე დარჩენილი... და ის უსახელო სახელიანი, დიდი დავითის მცირე და ცოდვიანი სეხნია, ქრისტეს ერთგულ სხვა რაინდებთან ერთად იქმნება მახვილი მესიის და ვაი, ღმერთის, მისი ხალხისა და სიკეთის მტერს!.. დაიღალა, მაგრამ რარიგ სასიამოვნო იყო მისთვის ეს დაღლა — ძალაც დაუბრუნდა და ღონეც: „ყველაფერი კარგად იქნება. ყველაფერი ძალიან კარგად იქნება“.

პანდემონიუმი კი ზეიმობდა: დემონებს ხელი ჩაეკიდათ ერთმანეთისთვის და აფრიკული ტომის — ვაგო-ბაგოს ცეკვას ასრულებდნენ. ქორნილი, ქორნილი.

აქ არის შაბანი — კატის სახეს რომ იღებს ხანდახან — დედა-კაცებზე რომ მუშაობს ძირითადად და მათ სულელებს ძღვნად მიაართმევს კაცთა მტერს... ახლა დოღს უხახუნებს ხელებს — ის ხომ ცნობილი მედოლეა!

აქ არის ბზლუუ – ვითომ ბოშა, მანანნალა, მარტოსული, მათხოვრობით და წვრილმანი ქურდობით რომ ირჩენს თავს – სინამდვილეში კი თვითმკვლელობისკენ უბიძგებს სუსტ ადამიანთ... ტაძრების გადანვაც უყვარს!

აგერ ბრძანდება მრისხანე შან-შამაი – ხელი ჩაუკიდია ვიდაცისათვის და გაოფლილი ცეკვავს. შან-შამაი შეშინების ოსტატია, ჯიქურ მოქმედებს და ზოგჯერ ისე შეაშინებს კაცს, რომ... კაცთა მტერს გამორჩევით უყვარს იგი.

შაბანის ძმაც აქაა – კუტი აგაბუ. ყველას რომ თავს აცოდებს და ყველას რომ ებრალება. მიპარვით იცის მისვლა და კაცის სულის უჩუმრად წარტაცვა.

შავშამორონი მნითურიც ცეკვავს – მობიდან, ციხის შიგნიდან გამტეხი. წმინდა ეკლესიას ისე ჩაუძვრა გულში, როგორც მატლი ხილში — შიგნიდან რომ ღრღნის. კაცთა მტერმა იცის, რომ მობიდან დიდ საქმეს აკეთებს – უკვე ბევრი ჩამოაცილა ქრისტეს. ჰა-ჰა-ჰა, იცინის კაცთა მტერი და გველებს გაჰყურებს – შურით რომ შესცქერიან აღმატებულ და პატივცემულ დემონებს – სახეზე მლიქვნელური ღიმილი აღბეჭდვით და გაშტერებულებს ოდნავ წამოუნევიან თავები.

თავად კაცთა მტერი საინტერესო ვინმეა, ძალიან საინტერესო. თმები გაცვენილი აქვს და საფეთქლებთან აქვს შერჩენილი მხოლოდ და ცოტა კიდევ უკან. პატარა, მოკლე წვერი და უღვაში აქვს, ხმა წრიპინა და ტანში ჟრუანტელის დამვლელი. რომ ლაპარაკობს, მისიანების ატაცება იცის – ორატორია ნამდვილი.

რამეს რომ ამბობს, მცირე ნაწილს სიმართლესაც გაურევს, რომ ამით დააჯეროს ყველა – ბევრი წააბა... ოო, როგორ უხდება პატარა გადახერხილი რქები (რქები ჯერ კიდევ მიქაელმა გადაუხერხა, როოდის, როოდის – ჯერ კიდევ როოდის... ძლივს დააღწია მაშინ თავი მიქაელს!). სიამაყით შეჰყურებს თავის არმიას ანგელოზყოფილი და ამჟამად ბედნიერს, სრულებით ავინყდება ის საშინელი დღე, როდესაც ის და მისი მხედრობა შემოქმედის მიერ ჯოჯოხეთში იქნა ჩაყრილი... მაშინ დამარცხდნენ, მაგრამ ახლა ცოტა ფერზე არიან მოსულნი, ცოტათი მომაგრდნენ.

რა ჯურის და რა სახის დემონები და ეშმაკები არ ირევიან აქ: ჯუჯებიც ჩანს ერთი ორი და კუდიანი დედაბრებიც. დაქრი-

ან, დაჭენაობენ, ხარობენ, ერთმანეთს ეხვევიან და კოცნიან... ვერ იტანენ კია ერთმანეთს – სძულთ ნამეტანი. კაცთა მტერმა დემონთაგან ვინმე რომ გამოარჩიოს, ხელად ცხვირს ჩამოუშვებენ ქვევით და იმ „ვინმეს“ სამარეს უთხრიან ზურგს უკან... კოცნიან ერთმანეთს, ლოშნიან, დორბლებს ცვლიან ერთმანეთში და თვალებიდან წირპლებს იფურთხებიან.

ლამაზი დემონებიც აქ არიან – სილამაზით რომ იციან სუსტი ადამიანის მოხიბვლა და დალუპვა.

— გაიგეთ ოჩოპინტრეს ამბავი? – ეკითხება ერთი „ლამაზთაგანი“ შაბანს.

— რა იყო, რა მოუვიდა? – შაბანი დოღს ხელს უშვებს.

— მართლა, რატომ არ არის აქ ოჩო? – კეკლუცობს ერთი დემონი.

— რა და წყეულმა დავითმა დალუპა, ჩვენმა დიდმა მტერმა...

— როგორ? როგორ? – აკრიახდნენ ავი სულელები.

— როგორ და იმ სულელმა დავითის მოკვლა ბავშვად გარდასახულმა განიზრახა... ბავშვს კი, ხომ იცით, ჩვენ ვერაფერს ვუშვრებით, ძლიერია ბავშვი, წმინდა...

— მერე! მერე! – არ აცდიან სულის მოთქმას.

— მერერა? როგორ ვერ გაიგეთ – ბავშვად იქცა, ბოროტების ქმნის ნიჭი დაკარგა და განიწმინდა. იმ წყეულს ვერაფერი დააკლო, იმან კი იშვილა და ქრისტიანად გაზარდა.

— ვაი, ვაი, – აკრიახდნენ კვლავ ავი სულელები.

— რამდენი წლის ამბავია უკვე, რა, თქვენამდე არ მოაღწია ამ ამბავმა?

— ვერაფერს ვუზამთ! ვერ დავიბრუნებთ ჩვენს ძმას უკან? – იკითხა ბზლუუმ.

— ადრე ვერა, ბავშვი იყო და ვერაფერს დავაკლებდით, მაგრამ ბოროტება უნდა შევაპაროთ, წარსულიც უკვე გავახსენეთ, სისხლი...

— სისხლი! სისხლი! – ახმაურდა პანდემონიუმი და სიტყვა გააწყვეტინა...

ქრის ქარი და დემონთა საკრებულოს თბილად, სიყვარულით დასტრიალებს თავს – კაცთა მტერმა ბუნებაშიც შეძლო სიმახინჯის შეტანა – მათაც გააჩნიათ თავიანთი სიმართლე,

მათი სიკეთე ხომ ბოროტებაა და საერთოდ, ყველაფერი შე-
ბრუნებული აქვთ.

შემდეგ ახალდაქორწინებულების სადღეგრძელო ისმევა ახ-
ალშობილი ბავშვის სისხლიანი თასით და ყველა კმაყოფილია.

ოჩოპინტრედყოფილი, ან ძე დავითისა, თავად დავითი კი
კიდევ ერთხელ ებრძვის მიწას და მალა ამოსვლას ლამობს.
მის ყოფილ თანამოძმეთა სიცილ-ხარხარის ხმა ორმომდე აღწ-
ევს და უსახელო სახელიანი კბილებს აღრჭიალებს ბრაზით.

...მაგრამ არა, დაუსრიალდა ფეხი და ორმოს ფსკერზე მოჯ-
და. წამოდგა და კვლავ... ალბათ საჭირო იყო ეს, აუცილებელი
– ამ ხანგრძლივი ტანჯვით ის დიდი ცოდვები უნდა გამოესყ-
იდა, რაც ადრე ჰქონდა. მართალია, ბავშვად ქცეული განი-
წმინდა, მაგრამ ღმერთმა ხელმეორედ განწმენდის საშუალება
მისცა და კიდევ და კიდევ დიდება მას!

— დიდება შენდა, ღმერთო! – ყვირის დავითი. ყვირის უკვე
ხმით, ხმამალა და არა გულში. ეს არა სისუსტის ხავილია, არა
სასონარკვეთის გამოხატულება, არამედ პირიქით, დიდი ძა-
ლისა და ეს ძალაც ხომ ღმერთისგან არის და... კიდევ და კიდევ,
დიდება შენდა, ღმერთო!

...ორმოდან კი ამოვა, აუცილებლად ამოვა და ქრისტეს
ერთგულ სხვა რაინდებთან ერთად ცეცხლს მისცემს პანდე-
მონიუმს, მის წევრებს კი ღვთის რისხვას დაატეხს თავს. ახლა
უკვე აქვს ამისი უფლება, ან უკვე სრულად უკურთხებს უფალი
მარჯვენას – ის მთლიანად განწმენდილია... და ის ებრძვის მი-
წას, ის ებრძვის ყველაფერს, რაც კი ორმოშია და ორმოსთან
არის დაკავშირებული, რადგან მას იმედი აქვს, იმედი კი არა,
რწმენა უკვე, და სანამ სუნთქავს, რწმენაში გადასული იმედი
ბოლომდე ექნება – რომ ამოვა, აუცილებლად ამოვა და, გათა-
ვისუფლებული, თავის ერსაც თავისუფლებას მოუტანს.

10.10.83, სუკი, 18

„მაკურთხე...“

„მაკურთხე, მაღალღირსო მამაო!“ — თქვა შემოსულმა და იღუმენს მუხლებში ჩაუფარდა.

კელია ოდნავ იყო განათებული, მაგრამ ბერის ასკეტური სახე და თხელი, ლამაზი წვერები სანთლის ამ მკრთალ შუქზეც შეინიშნებოდა... ის დაიხარა, მუხლებზე მდგარს და თავჩაღუნულს ჯვარი გადასახა, შემდეგ მარჯვენა ხელი თავზე გადაუსვა და აუნია – თოვლივით თეთრ სახეზე შავი თვალები რალაც არაბუნებრივად გამოიყურებოდა, მოსული შეშლილს წააგავდა, თითქოსდა კიდევ... თვალებზე ცრემლები ჰქონდა მომდგარი – ის ტიროდა და ბერი ხვდებოდა: ფარას კიდევ ერთი დაბნეული და დაკარგული ცხვარი უნდა შემატებოდა...

მიჰყვება. ნახევარი საათია უკვე, რაც უკან მიჰყვება. ვერ ამჩნევს მას, მგონი, იმიტომ რომ მანძილს იცავს – შორიდან მიჰყვება უკან.

...შემდეგ რა? ბნელი კუთხე, სადაც კაციშვილი აღარ ჭაჭანებს, ქალღმერთი შეხვეული რკინის ნაჭერი. „მეგობარო, თუ შეიძლება, ერთი წუთით...“ — და თავში... მთავარია მოულოდნელობა და თავში, პირდაპირ თავში. რომ არაფერს ელის, შემოტრიალებულს დიდი კითხვის ნიშანი რომ ახატია სახეზე – რა უნდოდა, ნეტავ — და თვალებსაც რომ აცეცებს აქეთ-იქით – ვინ იცის?... ღამეა... ვინ არის?... თავში, პირდაპირ თავში, რომ ხმის ამოდებაც ვერ მოასწროს – ყველაფერი ჩუმად, უხმაუროდ უნდა გაკეთდეს – უყვარს აკურატულობა. სუფთაა, ძალიან სუფთა. ყველაზე ბინძურ საქმესაც კი სუფთად აკეთებს. თვითონაც ცივი ოფლი ასხამს, პირველად ხომ არ არის? მაგრამ... მაინც... რალაც... ვითომ... არ იცის. არა. ახლაც უჭირს. არა, სი-

ბრალური არა, რა სიბრალური, რის სიბრალური, უბრალოდ ოფლმა იცის გამოსვლა და ისიც ქალაღდს მაგრად ჰკიდებს ხელს, თითებს უჭერს, რომ უხეშ ქალაღდში შემალული რკინის ნაჭრის სიცივე უკეთ შეიგრძნოს.

ბევრი ფული უნდა ჰქონდეს – ასეთებს ყნოსვით აგნებს. ამას რომ მორჩება, შემდეგ ტაძარში შევა და სანთელს დაანთებს (თუ ტაძარი ღია იქნება), ცოტა ფულსაც შესწირავს. ღმერთიც სურს, თავისი ცოდვების თანაზიარი გახადოს, რომ სამსჯავროზე თამამად განაცხადოს, შენც გამყავდიო წილში. არა, ამას არ ფიქრობდა, სადა ჰქონდა მაგის თავი, უბრალოდ, წესი ჰქონდა ასეთი, თან დედაც მორწმუნე ჰყავდა. დედა ძალიან უყვარდა. ლამაზი დედა ჰყავდა. ბავშვობაში იმასაც კი ფიქრობდა, დედიკოს შევირთავო ცოლად და ათასგვარი სხვა სისულელე – არ ეცინება ახლა, პირიქით – ბრახდება და კბილებს აღჭრიალებს. ჰო, კიდევ აგრილდა. ის კი მცივანაა, შეიძლება ამიტომაც... დედა კი მორწმუნე იყო, მართლა მორწმუნე და შვილსაც ასეთად ზრდიდა, მაგრამ დროზე გაუსხლტა ხელიდან, დროზე და კაცმა ბოროტად გაიღიმა. თან ბოროტად, დარცხვენით, თითქოსდა შექება ეუხერხულაო – მაინც როგორ მოახერხე ხელიდან გასხლტომა? დედა მკვდარია უკვე და მისი წესის აგებაზეც იყო. ტიროდა, გულწრფელად ტიროდა. მღვდელმა კიდევ დაამშვიდა და იქ მყოფთ მიუტრიალდა, ღმერთმა ყველას ასეთი შვილი მოგცეთო. ზოგიერთებს გულში გაეცინათ, ხმამაღლა კი, რა თქმა უნდა, არავის გაუბედავს... თუმცა ეს ყველას... ყველამ თავი ჩაღუნა, ყველამ დამნაშავედ იგრძნო თავი. „აი, ასე! დედას გიტყობ“, — ეს უკვე მან თქვა გულში და მღვდელს მონინებით გაუძღვა კარისაკენ.

თვითონაც მორწმუნედ თვლიდა თავს. რა თქმა უნდა, ქრისტიანულ ცხოვრებას არ ენეოდა (პირიქით!), მაგრამ ღრმად იყო დარწმუნებული ღმერთის არსებობაში. ტაძარში ხშირად შედიოდა სანთლის დასანთებად, მაგრამ ბავშვობის შემდეგ, ე.ი. რაც დედას გაუსხლტა ხელიდან, წირვაზე არ ყოფილა. იმაში ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ღმერთი ყველაფერს აპატიებდა და თავისი „რელიგია“ ჰქონდა, თავისთვის შექმნილი და მისი „ღმერთი“ მას ყველაფერს პატიობდა. ოღონდ,

ყველაფერი ეს, შესაძლოა, მას გაცნობიერებული არ ჰქონდა, მაგრამ ასე გამოდიოდა. მარხვასაც არ ინახავდა. იმიტომ, რომ მისი „ღმერთი“ ამასაც პატიობდა. მისი რელიგია კერპთაყვანისმცემლობის და ქრისტიანობის რაღაც უცნაურ ნარევს წარმოადგენდა, მაგრამ თვითონ ესეც არ იცოდა.

აი, ახლა ეს კაცი, წინ რომ მოდის, რომ მოუტრიალდეს და უთხრას, მეც მორწმუნე ვარ და ღმერთი არს ჩვენ შორისო, მილიონიც რომ ჰქონდეს ჯიბეში, ის არაფერს არ იზამს, შეებრალება და წავა. მაგრამ ურწმუნოა ძალღმერთი... და თითქმის კიდევ უჭერენ ქალაქში გახვეულ რკინის ნაჭერს.

კუდიანი დედაბერი გაახსენდა, ღრჯოლიანი სათო. ისიც იმიტომ მოკლა, რომ ავი სული იყო, ბოროტი (ხალხი ამას ამბობდა), თორემ რა – მის ხუთას მანეთს დახარბებოდა? (შვიდასი იყო, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს...), ხანდახან ერთ ქეიფში ტოვებს მაგდენ ფულს... ორი-სამი მაგდენი კი ერთხელ კარტში წააგო.

ამაყი იყო – ძალიან ამაყი. რომ მოსჩვენებოდა, ვინმემ აღმაცერად გამომხედა ან დამცინაო (ვინ გაუბედავდა, ბატონო!), ანდა ვინმე შემთხვევით მხარს წაჰკრავდა ქუჩაში (მოგეხსენებათ ქუჩის ამბავი – ქუჩა პატარაა, ხალხი ბევრი) – მთელ სიცოცხლეს თუ არა, იმის ნახევარს მაინც წაართმევდა. შეუბრალებლად იცოდა ცემა, სისხლის დანახვაზე კი უარესად ხელდებოდა, უფრო გულბოროტი ხდებოდა.

...შემდეგ კი, დამშვიდებულს, თავისუფლად შეეძლო, კანფეტი ეჩუქებოდა თათრის ტურტყელიანი ბიჭისთვის და ქოჩორზეც წაეწლო ხელი – სიყვარულით, მამობრივად. მოჩვენებითი ზრდილობა ჰქონდა. განსვენებული დედამისის მეგობარ ქალს თუ დაინახავდა, მიეახლებოდა, ორად მოიკეცებოდა და ბარგსაც მიატანინებდა (თუ ჰქონდა ბარგი!) სახლამდე. კი ხვდებოდა, რომ მისი „რელიგიური რწმენა“ მის საქციელს არ შეეფერებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მისი „რელიგიური რწმენა“ რაღაც სხვა იყო და განსხვავდებოდა ორთოდოქსული რწმენისაგან... ზოგჯერ ვერც ეს დამამშვიდებელი სიტყვები აწყნარებდა — ღმერთი ყველაფერს მაპატიებსო და მაშინ კი შეიკურთხებდა გულიანად, ისე, უმისამართოდ... „ჯანდაბას,

თუ ჯოჯოხეთში მოვხვდები, არც იქ გავიჭირვებ საქმესო...“ მერე კი მაინც აიტუზებოდა ტაძრის კარებთან, ქურდულად შევიდოდა, არც ყველაზე ძვირფასიანს, მაგრამ არც ყველაზე იაფფასიან სანთელს დაანთებდა და მშვიდდებოდა. დაწყნარებული გამოვიდოდა გარეთ, კიბეზე ჩამომჯდარ მათხოვრებს შეავლებდა მზერას და გაიფიქრებდა, „ნეტავ, რამდენი ფული აქვთო ამ მათხოვრობით დაგროვილი?“

ფხიზელი რა იყო, რომ მთვრალი კარგი ვინმე ყოფილიყო... ყველა გაურბოდა მასთან ერთად დალევას. ნამდვილი მეგობარი არ ჰყავდა, ნაცნობ-ამხანაგი კი უამრავი და შეაძაგდა: მცივანაა, ძალიან მცივანა. უფრო თბილად მაინც ჩაეცვა, მაგრამ არ იცოდა... საიდან უნდა სცოდნოდა და კაცი გაბრაზდა.

შეუხვია. იმან შეუხვია და ისიც კვალდაკვალ მიჰყვა. კმაყოფილება იგრძნო რალაც და „ღმერთს“ სთხოვა შემწეობა — რკინის ნაჭრის დარტყმა არ გამიცუდოო.

„აი, აქ კი შეიძლება, კარგი ადგილია, არავეინ არ არის...“ და მიიხედ-მოიხედა, ნაბიჯებს აუჩქარა და „მეგობარო“ დაადევნა სიტყვა.

შემოტრიალდა. ის შემოტრიალდა. ადრე იქ ჰყავდა დანახული, მაგრამ სხვა იყო. არა, არა ის იყო, მაგრამ სხვა სახე ჰქონდა, რალაც სხვანაირი... როგორი, არ იცის. „მე მომმართეთო“ — იმანაც და ის სახე მიიღო, რომელსაც მოელოდა, დიდი კითხვის ნიშანი და ოდნავ, სულ ოდნავ შეშინებული მზერა, თვალები რომ უმწეოდ გარბი-გამორბიან აქეთ-იქით და მშველელს ეძებენ.

ის კი არაფერს ამბობდა, შეჩერებულიყო და მას შეჰყურებდა. ეს ხომ ბავშვის სახე იყო, უმწეო და უცოდველი ბავშვის სახე — „ის ხომ ბავშვია?“ (ის კი არ გაუფიქრია, რომ ის ბავშვიც იყო ოდესღაც, არა — ის ბავშვიაო და ასე კიდევ ჯობდა ერთი მხრივ). ახლა მიხვდა, ბევრ რამეს მიხვდა, მაგრამ ვერ ჩამოქნა, ვერ ჩამოთალა ეს მიმხვდარი ერთ აზრად. მაგრამ გულმა კი ბაგაბუგი დაუნყო (შეიძლება ადრეც ჰქონდა დაწყებული, მაგრამ ახლა შეამჩნია).

ახლა მიხვდა, რომ ის კუდიანი სათოც ბავშვი იყო და ყველა ის, ვისაც მან...

ჯერ რკინა დააგდო. ქალღმერთი შეხვეული რკინა. სიჩუმეში რალაც ტანში ჟრუანტელის დამვლელი, ცივი ხმა გამოსცა რკი-

ნის ასფალტთან შეხებამ, შემდეგ ადგილს მოსწყდა და გაიქცა. სად მირბოდა, ვისთან, თვითონაც არ იცოდა, მაგრამ რომ უნდა გაქცეულიყო და სწორს შვრებოდა, ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა. ის სანყალი, დაბნეული და უაზრო კი კვლავ იქ იდგა და ჯერაც ვერ მიმხვდარიყო, თუ რას გადაურჩა... შემდეგ შიში ერთბაშადვე განიგდო მხრებიდან, გაიცინა (თავისი თავი მოატყუა) და ჩაილაპარაკა:

— რამდენი გიჟი დადის ამ ქვეყანაზე!
წავიდა.

„მაკურთხე, მაღალღირსო მამაო!“ — თქვა შემოსულმა და ილუმენს მუხლებში ჩაუვარდა.

კელია ოდნავ იყო განათებული, მაგრამ ბერის ასკეტური სახე და თხელი, ლამაზი წვერები სანთლის ამ მკრთალ შუქზეც შეინიშნებოდა... ის დაიხარა, მუხლებზე მდგარს და თავჩაღუნულს ჯვარი გარდასახა, შემდეგ მარჯვენა ხელი თავზე გადაუსვა და აუნია. თოვლივით თეთრ სახეზე შავი თვალები რაღაც არაბუნებრივად გამოიყურებოდა, მოსული შემლილს წააგავდა, თითქოსდა კიდევ... თვალებზე ცრემლები ჰქონდა მომდგარი – ის ტიროდა და ბერი ხვდებოდა: ფარას კიდევ ერთი დაბნეული და დაკარგული ცხვარი უნდა შემატებოდა.

14.10.83
სუკი

ქალღმერთი, რომელიც არ ჰყვება

*‘მხდალთ შორის სულელების
ბედს ძალღმერთ არ ჰყვება’
ი. ტურგენევი*

რომელი ძალღმერთი გაბედავდა დაყვებას, როდესაც ქვეყანა მხოლოდ ბედნიერი ადამიანებით იყო დასახლებული.

ადამიანი, როგორც ვიცით, რთული არსებაა და როგორც ქვა არ ჰგავს ქვას და ხე – ხეს, მით უმეტეს, ერთი ადამიანი მეორეს, მაგრამ აქ, ამ დალოცვილ, ბედნიერ ქვეყანაში ძალიან, ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. ძირითადად, ქვეყნის მოსახლეობა ორ ტიპად იყო ჩამოყალიბებული: პირველ ტიპს მამაცი, ანუ იდეისათვის თავდადებული შეადგენდნენ. ამ ტიპის ადამიანები ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, ისე, რომ ერთს მეორისგან ვერც კი გაარჩევდი შეუიარაღებელი თვალით. მეორე ტიპი კი უხუცესების, ანუ ბრძენთა-ბრძენების იყო. რა თქმა უნდა, ისინიც ჰგავდნენ ერთმანეთს, მაგრამ ძალიან არა. ეს იმიტომ, რომ ერთი ბრძენი რომ რამეს იტყოდა, მეორე შეუსწორებდა, შენ კი თქვიო სწორად, მაგრამ აი, ეს დაგავიწყდაო, ანდა აი, ეს მოგივიდაო ზედმეტი – ის კი, პირველი ბრძენი, ბოლმას იხვევდა გულში.

იდეისათვის თავდადებულებს ეს იდეა ხეირიანად არც კი ესმოდათ, ან კი რა საჭირო იყო? მათ მაგარი ფეხები (მინაზე რომ მყარად მდგარიყვნენ) და დიდი ფიზიკური ძალა უნდა ჰქონოდათ, რომ ბევრი, ბევრევი ეშრომათ, რათა ამ იდეისათვის ხორცი შეესხათ.

ომი დაიწყებოდა და მონინავეთა რიგებში იდგნენ. მართალია, მათზე მამაცი კაცი არ მოიპოვებოდა დედამიწის ზურგზე, მაგრამ ბრძენნი მაინც, ისე, ყოველი შემთხვევისთვის, მათრობელა სითხით გამოზრუჟავდნენ და ისე უშვებდნენ ბრძოლაში... ოოჰ, რა მამაცი ხალხი იყო!

მშვიდობიანობის დროს კი ვირებივით მუშაობდნენ, ესეც საჭირო იყო და მათ, როგორც იდეის ერთგულ ადამიანებს, ზედმინვენით კარგად ესმოდათ ეს.

რა ბედნიერი იყვნენ, არ იკითხავთ ახლა? რა ჯობია, მთელი დღის ნამუშევარი სახლში რომ მიხვალ, მოლაღატე, მაგრამ, რაც მართალია, იდეური ცოლი კონსერვს რომ დაგიდებს მაგიდაზე და შენც გემრიელად, ეშხიანად რომ დაიწყებ ჭამას. ჯერ შავი პურის ნაჭერს ჩაკბიჩავ გემრიელად, შემდეგ ცოლის მალულად ცეცხლოვან ნყალს რომ გადაჰკრავ... მოგადგათ ხომ, ნერწყვი? ბედნიერი იყვნენ, აბა რა: არ შიოდათ, არ სწყუროდათ, პატარა სორო ჰქონდათ და მეტი რა უნდა მოეთხოვათ – რა სჭირდება მეტი ადამიანს? არაფერი, აბსოლუტურად არაფერი, დანარჩენი ყველაფერი ფუფუნებაა მხოლოდ.

კვირაობით კინოშიც კი დადიოდნენ და მშვენიერ კინოფილმებს ნახულობდნენ. ზოგჯერ ატირებულნიც გამოდიოდნენ კინოთეატრიდან (განსაკუთრებით მაშინ, თუ ცოტა გადაყლურნულიც ჰქონდათ!), თუ რამე გულში ჩამწვდომი, მალალიდეური ფილმი გადიოდა.

ზოგჯერ სულ პატარა, პატარა, სულ პაანანკინტელათი უკმაყოფილონი რომ დარჩებოდნენ, არავის უზიარებდნენ ამ უკმაყოფილებას – მამაცნი იყვნენ, მაგრამ აბა შენი უკმაყოფილების აფიშირება რა საჭიროა, მით უმეტეს, თუ მეზობელი ბოროტი და ჭორიკანა გყავს? – არა, დიდი-დიდი, ცოლებისთვის ეთქვათ, ისიც შუალამეს რომ გადასცილდებოდა უკვე, ყველას რომ ეძინა – უფრო საიმედო და უფრო გონივრულიც იყო.

ბრძენთა-ბრძენებს კი რბილ სავარძლებში ჰქონდათ ჩაფლული გამხდარი თუ სქელი უკანალები და ამთქნარებდნენ. არა, ამდენი ფიქრიც არ შეიძლება, გონებრივი შრომაც ზომიერების ფარგლებშია საჭირო, თორემ თუ გადაგენვა ტვინი, მერე რას ეტყვი შენს ქვეყანას? ხალხს რა პასუხს გასცემ? ...და ისინიც თავს უფროთხილდებოდნენ: დასრიალებდნენ ამაყი მანქანებით, მიირთმევდნენ შემწვარ კალმახს და ხიზილალას; ზაფხულობით შვილებს აფრიკაში უშვებდნენ დასასვენებლად – მათი ღვანლი ამ მცირედით მაინც ხომ უნდა შეფასებულიყო და ხალხი იგებდა ამას, ხალხს ესმოდა ეს – ხახლი ხომ

მაღალიდეური პროდუქტია? ...მაგრამ ამ ქვეყანას გააჩნდა თავისი უბედური ნაწილიც და ეს ნაწილი ძაღლებისგან შედგებოდა. დიახ, დიახ, ჩვეულებრივი ოთხფეხა ძაღლები. ძაღლის საქმე, მოგეხსენებთ, ყველა, მაგრამ ვისთვის უნდა შეეყვებათ, როდესაც ყველა ბედნიერი იყო, როდესაც ყველა ბედნიერად გრძნობდა თავს.

ცხოვრებისაგან გასრესილი, ყურებჩამოყრილი დაეხეტებოდა ეს ძაღლი ძაღლთაგანი, ჩუმჩუმად და ნაღვლიანად ფიქრობდა იმ ბედნიერ დროზე, როდესაც მას ყველა შეეძლო.

14.10.83 წ.

სიკვდილმისჯილი

დაუმთავრებელი მოთხრობა

*ცალკე დავწერო ვრცელი მოთხრობა (ციკლის გარეშე)
ავტორი.*

(მოთხრობა იყოს ვრცელი, მოგონებები, მისტიკა, მოჩვენებები, ანალიზი, სიცოცხლე, ცხოვრების არსი (სიკვდილით დასჯის უაზრობა) განსაკუთრებული ყურადღება სიკვდილმისჯილს და ფსიქოლოგს).

(პირველად ფიქრობს, რომ ვაჟკაურად შეხვდება სიკვდილს (დეტალებს წარმოიდგენს, მაგ: ორნი იქნებიან...) არადა, ტირილს დაიწყებს, „იმიტომ“, რომ არც ერთი დეტალი არ დაემთხვევა, სამნი არიან და...)

უკვე სუნთქვაც უჭირდა, ისე დაიღალა. არა, ეს რამხელა ტვირთი აჰკიდეს, რა ამბავი გაზეთებია? შედგა, სული მოითქვა, შარვლის ჯიბიდან წერილი, დაჭმუჭნული ცხვირსახოცი ამოასრიალა და შუბლზე ოფლის შენმენდა დაიწყო. ცოტა რომ დაისვენა, შემდეგ ფოსტალიონის დიდი, ვეება ჩანთა მეორე მხარზე მოიგდო და გზა გააგრძელა.

როგორ დაიწყო ფოსტალიონად მუშაობა, არც კი იცის. კაცმა უმაღლესი დაამთავრა და აი, დღეს აღმოაჩინა, რომ ფოსტალიონი იყო. „აი, აქ მიიტანე ეს გაზეთები“ და აჰკიდეს ეს ჩანდა. ეძებს და ეძებს ახლა იმ სახლს, მაგრამ ვერ პოულობს, რომ მიიტანოს ეს გაზეთები, დაუთვალოს და წამოვიდეს.

რალაც უცნაურია ყველაფერი. ყოველი სახლი რძისფერია, ქუჩაში დიდი, შვეიცარიული ყველის მთები დგას ვეება ნაჩვრეტებით. წესრიგის დამცველნი თითქოს მექანიკურნი არიან, ისე მოძრაობენ.

მანქანებიც რაღაც უცხოურია, თითქოსდა სხვა ქალაქში ამოყო თავი.

ჰაერში შემწვარი ყველის სუნი ტრიალებს და ფოსტალიონს ერთ-ერთი რესტორანი ახსენდება, სადაც საუკეთესოდ იციან სულუგუნის შენვა.

შედგა. კვლავ დაიღალა. ერთ-ერთი გაზეთი ამოაძვრინა ჩანტიდან და დიდი ასოებით დანერილი ნაიკითხა: მიცვალებულის ხმა. ეს, ეტყობა, გაზეთის სახელწოდება იყო. გაუკვირდა, რომ არ უკვირდა. არაფერი არ უკვირდა. რა საოცრებაა!

შემდეგ მოულოდნელად იმ სახლთან აღმოჩნდა, რომელსაც ეძებდა. „მოდი, მოდი“, — ჩაავლო ვილაცამ ხელი. აქამდე სად ხარ? — არ უთქვამთ, მაგრამ მან გაიგო.

გრძელ, ვიწრო დერეფანში ამოყო თავი.

— მკვდრები გელიან! — ჩასჩურჩულა იმ ვილაცამ ყურში.

მანაც შეხედა, მაგრამ სახე ვერ დაიმახსოვრა, შემდეგ კიდევ შეხედა — ღრჯოლებიანი დედაბერი იყო, კიდევ შეხედა — მისი მეზობელი მელოტი ექიმი, კიდევ... არა, მეტს აღარ უყურებს, თუმცა არ უკვირდა და კიდევ უკვირს ის, რომ არაფერი არ უკვირს.

— სად ვარ? — იკითხა.

— მოსკოვში.

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ერთი ხმაური, ჟრიამული, ყვირილი, სიცილ-ხარხარი ატყდა. დერეფანი მიცვალებულებით გაივსო, ხელებს აქნევდნენ, გაზეთებს იტაცებდნენ, ფოსტალიონს მხარზე ხელებს უპარტყუნებდნენ... არა, საიდან დაასკვნა, რომ მიცვალებულები იყვნენ? არაფერი არ ეტყობოდათ, მხოლოდ სახეები ჰქონდათ გაფითრებული, მაგრამ ფოსტალიონი დარწმუნებული იყო, რომ მიცვალებულები იყვნენ. მან მორგში გაზეთები მიიტანა!

ვილაცის დაჟინებული მზერა იგრძნო და იქით გაიხედა: ერთ-ერთ კიბესთან ლამაზი, ცისფერთვალეა ქალი ატუზულიყო და ფოსტალიონს მშვიდად შესცქეროდა. ქალი ოდნავ ილიმებოდა და კაცი მიხვდა... ის მისი ცოლი იყო. შემდეგ გაარჩია, ხელში რომ რაღაც ეჭირა... ის რაღაც ბავშვი აღმოჩნდა. მისი დაუბადებელი ბავშვი.

— არ არის ჩემი შვილი! არ არის ჩემი შვილი! — დაინყო ყვირილი ფოსტალიონმა, მიცვალებულმა რკალი გაარღვია და...

უაზროდ იწვა და ქერს შეჰყურებდა, ზევით არც ობობა ჩანდა და არც მისი ქსელი და კაცს გული დასწყდა, არაფერი იყო ისეთი, თვალი რომ გაედევნებინა. მხოლოდ ოდნავი შუქი, სულ პატარა სინათლე და სიჩუმე – მომაბეზრებელი და უკვე აუტანელი სიჩუმე. შორს, სადღაც სულ პატარა ხმაური გაისმა და აქ მების ეფექტს ახდენს.

მარტოა. მეორე ორი დღის წინ გაიყვანეს. არ უნდოდა გასვლა, მაგრამ შემდეგ მისი შერცხვა, რალაცნაირი თვალებით შეხედა, ილიმებოდა კიდეც (მტერმა გაილიმოს ისე!), გასვლისას კიდეც ერთხელ შეხედა, რალაც უთხრა. რა, არ ახსოვს და შემდეგ მძიმე, რკინის კარები მოაჯახუნეს.

მას როდის გაიყვანენ?

რამდენჯერ უთხრა თავის თავს – არ იფიქროო, მაგრამ მაინც ვერ შეძლო. ფიქრობს, დარდობს... არადა, არაფერს აზრი არ აქვს, ყველაფერი გვიანაა, ერთადერთი დარჩა – ვაჟკაცურად უნდა შეხვდეს სიკვდილს.

მას უყვარდა ცოლი. მართლა უყვარდა. შესაძლოა გასაკვირი იყოს, ცოლი და სიყვარული? მაგრამ მას მაინც უყვარდა. ადრეც უყვარდა და შემდეგ, ცოლად რომ მოიყვანა, კიდეც უფრო შეუყვარდა. ბავშვი არ უჩნდებოდათ და არა. შესაძლოა ეს იყო მისი სიყვარულის ხანგრძლივობის მიზეზი. რადგან ბავშვი მის სიყვარულს არ ყოფდა და არ ანაწილებდა.

თვითონ კი ეგონა, ცოლი უყვარდა.

გათხოვებამდე მართლა უყვარდა.

ურეკავდა, აწუხებდა, ზოგჯერ იგინებოდა კიდეც, რომ ქალიშვილი გოგო, გასათხოვარი იყო და თავი არ უნდა დაემცირებინა ბიჭის წინაშე. მეგობრები და კეთილისმსურველნი ხშირად ახსენებდნენ ამას, მაგრამ გოგოს არაფრის გაგონება არ სურდა და კვლავ „იმცირებდა თავს“.

შემდეგ შეერთდნენ. ქორნილი ქართული იყო: უხვად იღვრებოდა ღვინო კახური და უზომოდ იყრებოდა ხორაგი – ყველა კმაყოფილი იყო. შემდეგ საქორნილო მოგზაურობაც იყო და, ერთი სიტყვით, ყველაფერმა წმინდა თბილისურად ჩაიარა.

ბავშვი კი არ ჩანდა და არა. დედამთილმა კი ჩამოუშვა ცხვირი. ამ ცხვირს რძალი შესაძლოა გრძნობდა, დანახვით კი ვერ ხედავ-

და. იმიტომ, რომ ერთად არ ცხოვრობდნენ. ბიჭი კი ცოლს რამეს როგორ აკადრებდა და შეამჩნევინებდა, მაგრამ ცოლი რომ იყო ამ საქმეში დამნაშავე, ამაში კი ეჭვიც არ ეპარებოდა. აბა, რა – თავის თავს ხომ არ დაიდანაშაულებდა. ნამდვილ მამაკაცად მოჰქონდა თავი, თუ მთლად აპოლონად არა და იმას როგორ გაიფიქრებდა, იმ მკრეხელობას როგორ დაუშვებდა, რომ... არა, არა. ეს შეუძლებელი იყო და ამაზე საერთოდ არც ფიქრობდა. ცოლი, ცოლია დამნაშავე, მაგრამ რა მისი ბრალია, ისიც ცოდოა, ის უბედური, რა ქნას? ექიმებთან წაიყვანს, უმკურნალებს და დროთა განმავლობაში ყველაფერი კარგად იქნება. თან ძალიან უყვარდა თავისი ცოლი და როგორ არ აპატიებდა ამას. მონყალედ ექცეოდა და დარწმუნებული იყო, რომ ცოლსაც გააზრებული ჰქონდა საკუთარი დანაშაული და ქმრის სულგრძელობასაც ხედავდა და ამისათვის ემადლიერებოდა კიდევ.

ქმარი კი იყო დარწმუნებული, რომ ქალის უშვილობა მისი ბრალი არ იყო, მაგრამ ისე, ყოველი შემთხვევისთვის. ნებისმიერი ავი ენის ძირშივე წასაჭრელად ისეთი რამ გამოიგონა, რომ შემდეგ კინალამ თვითონვე დაიჯერა კიდევ: უკანონო შვილი მყავსო. ბავშვის სახელს კი ამბობდა, ქალისას კი არა. ამაში დარწმუნებული იყო, ხალხს ესეც მოსწონს ჩემი, ქალს რომ სახელს არ ვუტეხ და არ ვასახელებო. საკუთარი ფანტაზიის ნაყოფი ისე გაარეალურა, გაახორციელა და შეიყვარა, რომ მის არსებობაში თითქმის, ლამლამობით მაინც, ეჭვი არ ეპარებოდა.

„ბავშვს“ ერეკლე ერქვა სახელად და მისი არსებობის შესახებ მალე ცოლმაც გაიგო. ქალს არაფერი უთქვამს. მწარედ ჩაიცინა და ქვედა ტუჩს კბილები ჩაასო – ერეკლე სინამდვილეში რომც ყოფილიყო, ქალი მაინც არ დაიჯერებდა მის არსებობას, ქმარს კი, ქმარს...

რატომღაც, მხოლოდ იმ წუთს შეამჩნია ქალმა, რომ ქმარს თმა სცვიოდა და ორმოცი-ორმოცდაათი წლისას თავზე ერთი ღერი თმაც აღარ დარჩებოდა.

ხელის თითებიც მოკლე, კოტიტა ჰქონდა და ქალმა ქმრის გლახურ თითებს თავისი არისტოკრატიული თითები შეადარა — „პიანინოზე დაკვრა მაინც მესწავლა!“

ქალს ძალიან უყვარდა თავისი ხელები, გრძელი, წვრილი თითები, ხშირად ხელს გულში ჩაიხუტებდა და ტუჩებს უსვამდა ზევით-

ქვევით, ზოგჯერ კოცნიდა კიდეც. კაცს ხშირად შეუმჩნევია ეს, მაგრამ არაფერი უთქვამს, მერე რაო, თუ რალაც ამდაგვარი... ერთი სიტყვით, არ მიაქცია ყურადღება და სწორიც ქნა.

„მის ღიმილს რა მოუვიდა? ამ ღიმილით არ მომხიბლა და წამაბა, თავმოყვარეობა რომ დამაკარგვინა და გზები ამირია?“ ქალი ვერ ცნობდა კაცს. ის ღიმილი, რომელიც ადრე კაცს მომხიბვლელობას ჰმატებდა, ახლა უბრალო უაზრობად, იაფფასიან თეატრალურ შესტად და მგონი, ქალაჩუნობადაც კი იქცა. „რა გულისამრევი საზიზლობაა!“ მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს. ჩხუბით არასოდეს უჩხუბიათ, მაგრამ მათი ურთიერთობა ძალიან ცივ, ოფიციალურ დამოკიდებულებად გადაიქცა მალე და კაცი ვერც კი ამჩნევდა, რომ ერეკლეს „გამოჩენამ“ რალაც გააფუჭა ქალსა და მას შორის.

ცოლმა რომ დაგვიანებები დაიწყო, რა თქმა უნდა, არც ამისთვის მიუქცევია ყურადღება. როგორც პეტრე მოციქული იყო დარწმუნებული თავის რწმენაში, კაცსაც ასევე სწამდა, თავისი ცოლი მას არასოდეს უღალატებდა და ალბათ, ვინმესთანაც რომ წაესწრო, არც კი დაიჯერებდა, საკუთარ თვალებსაც არ ენდობოდა.

ამ ფიქრის შემდეგ აუცილებლად სარკის წინ უნდა დამდგარიყო და თავისი, მართლაც უნაკლო სახისათვის უნდა შეეხედა.

— აპოლონი ვარ, აპოლონი! — ჩაილაპარაკებდა და შემდეგ თითქოს შერცხვებოდა, რამე სახუმაროს იტყოდა, თავის თავს იგდებდა ვითომც. ვის უნდა ეღალატა მისთვის? ყველა თბილისელი (თითქმის ყველა) ქალის ოცნების საგნისათვის? „პლებიბიდან“ (თუ რა ჰქვია?) გადმოხატული მამაკაცი იდეალისათვის?

— ო-ჰო-ჰო-ჰოო, — იტყოდა მერე სარკეში რომელიღაც ხმა, ხელებს გაასავსავებდა და პატივმოყვარეობადაბრუნებული კაციც ხელახლა წაიხუმრებდა თავის თავზე, აქაოდა საკუთარი თავის ქება მეტისმეტი არ მომივიდეს, თან ხომ თავმდაბალი ვარო (არა, არა, ამპარტავანი არა ვარო — ეგრე იცოდა, სიტყვა „თავმდაბალს“ იშვიათად ხმარობდა).

ცოლს კი ერთხელ პირიდან ღვინის სუნი ამოუვიდა და ეს კაცისათვის რალაც ატომური ბომბის ჩამოვარდნასავით იყო, თავისთავად ღვინის დაღვევაში არაფერი არ არის ცუდი, ქმარ-

თან ერთად თუ დალევს ერთ-ორ ჭიქას... თან ქალი მთვრალი არ ყოფილა, სუნი იყო მხოლოდ და ამ სუნმა შეძრა კაცი, ღვინის კი არა, შესაძლებელი მეტოქის შეეშინდა, რომელიც უკვე რქებს უხატავდა თავზე.

გაოცდა. არ ეგონა, თუ საკუთარი რწმენა ასე ხუხულასავით ჩამოენგრეოდა თავზე და პატარა, სულ პაანანკინტელა სუნი ღვინისა (ალბათ) ასე აურევდა თავგზას, ამიტომ... მთელი ღამე თავი იმშვიდა, დაქალთან იქნებოდა და შეიძლება იქ დალია ორი ჭიქაო, ან კიდევ... ერთი სიტყვით, დილისათვის თავი ისე დაიმშვიდა, რომ ქალისთვის არც არაფერი უკითხავს და არც ცოლს უთქვამს თავისით რამე.

შემდეგ ცოლმა პირიდან ალკოჰოლის სუნის ამოშვებას და დაგვიანებას მოუხშირა, კაცი კი არასდროს არაფერს ეკითხებოდა, განა იმიტომ, რომ არ ეჭვიანობდა? ეჭვიანობდა კი არა, ზოგჯერ ერთი გულიანი, აზიური დაფშტვენა უნდოდა კიდევ, მაგრამ სულ მალე, ძალიან მალე, განსაკუთრებით სარკესთან ბაასის შემდეგ თავს იმშვიდებდა ხოლმე – მე ცოლი არავისში არ გამცვლის, ან კი როგორ შეიძლება, ნორმალურმა ქალმა ჩემნაირ ქმარს უღალატოსო. ოღონდ ახლა, რატომღაც ხუმრობებს აღარ მოაყოლებდა ხოლმე ზურგში და თავის თავს არ კენწლავდა – ეს არ შეუქმნევია.

რკინის კარებმა დაიჭრიალა, კაცი წამოიჭრა, ზურგით ცივ კედელს მიეყრდნო, ხელები მომუშტა და მოუთმენლად უწყოლოდინი კარების გაღებას... ვიღაც გამოთაყვანებულსახიანი კაცი იყო (რა თქმა უნდა, ფორმიანი!). გვარი ჰკითხა, რაღაც ჩაინიშნა ფურცელზე და გავიდა. კარები ასევე ხმაურ-ხმაურით დაკეტეს.

რამდენჯერ თქვა, რამდენჯერ შეჰპირდა საკუთარ თავს, რომ არ იფიქრებდა, მაგრამ არ იქნა და... რა? რა? მოკლა, მოკლა, ფეხმძიმე ცოლი მოკლა. რომ გაიგო, ცოლი ფეხმძიმედ არისო, მერე იკადრა ექიმთან წასვლა და ექიმმა რომ უთხრა, შენ არასოდეს ბავშვი არ გეყოლებო, შემდეგ გაუგზავნა ცხრასართულიანი გინება „ერეკლეს დედას“, ხოლო ცოლი, ფეხმძიმე ცოლი ფანჯრიდან გადმოაგდო.

ვიღაც დამპალმა დაინახა და ხელი დაადო, თავისით არ გადმოვარდნილა ქალი, აგერ ამან გადმოაგდო.

მოსამართლემ კი, მელოტმა, ასპროცენტინმა ცვედანმა და სახეში შეფურთხების მთხოვნელმა კაცმა ხმისაუკანკალებლად წაუკითხა განაჩენი: „სასჯელის უმაღლესი ზომა...“ ოო, იდიოტო, იდიოტო! ეს საკუთარი მისამართით არის. ვილაც ჩათლახისათვის და ნაბიჭვარი ბავშვისათვის იგი როგორ დაილუპა.

ახლა შემოვლენ, ორნი იქნებიან, როგორც მაშინ, ის რომ გაიყვანეს დასახვრეტად — პროფესიონალი მკვლელი, სიმღერები რომ უყვარდა. გვარს კიდევ ერთხელ შეეკითხებიან, თითოთ გამოიხმობენ, შემდეგ სპეციალურ ოთახში შეუძღვებიან, დასვამენ და ორ პატარა, კობტა ტყვიასაც ჩაუჭედავენ თავში.

პროფესიონალმა მკვლელმა დახვრეტის დეტალები ისე იცოდა, თითქოს ერთხელ უკვე იყო დახვრეტილი და ახლა მეორეჯერ ხვრეტდნენ. სულ ბოლო წუთამდე უშიშრად იყო, იცინოდა, მღეროდა - „არავაა, ვაა, ვააა - ვააა, ვააა - ვააა...“ ანეკდოტებს ყვებოდა, ამაცობდა, მეხუთედ ვარ გასამართლებულიო და კაცს ასწავლიდა, როგორ უნდა მოქცეულიყო - ვაჟკაცი არ ხარ, კაცი?

არადა, თვითონ კინალამ წაიქცა, გასაყვანად რომ მივიდნენ. შემდეგ მისი შერცხვა და ხელოვნური, მაგრამ საოცრად საწყალი, უბედური ღიმილი აიკერა სახე და რაღაც სიტყვა ესროლა კიდევ მას, მაგრამ არაფერი გაუგია, მთლიანად გამოთიშული იყო - კაცი გამოჰყავდათ დასახვრეტად!

შემდეგ დაიწყო ფიქრი, ნეტავ, რა მითხრაო.

ვერა და ვერ გაიხსენა.

„მალბრუკი მიდის ომში. ომში თუ ჯარში?.. და საერთოდ ვინ ოხრობაა მალბრუკი, რამ გაახსენა? ბაბეტა მიდის ომში. არა, ეს სხვაა, ეს კინოა, ბრიჯიტ ბარდო თამაშობს... აუფ, რა ქალია! იმასაც ისეთი თვალეები... იმასაც. ლამაზი იყო ისიც, არაფრით ჩამოუვარდება ბრიჯიტ ბარდოს“.

რა უცნაური სიზმარი ნახა - შვეიცარიული ყველის მთები და რძისფერი სახლები. რატომ რძისფერი და არა უბრალოდ თეთრი? არა, არა - რძისფერი.

„გრემში“ მართლა კარგი შენვა იციან სულუგუნის. მაშინ სოხუმელი სტუმრები რომ წაიყვანა - რა პური ჭამეს?

„პურის ჭამის“ გახსენება და სახის გახსნა ერთია - აქაც ვერ თმობს სუფრის სიყვარულს...

„არა, ის დაბალი ცოტათი გაჭინჭყლდა, მაგრამ შემდეგ ვახ-
ომ მოუგრინა კისერი. ვახომ... ვახომ... ან ბიძინა? ან გია? არა,
გია არა – ვერასდროს ვერ მიტანდა, ახლა გაიხარებს.

რა კარგი იყო საერთო საკანში. ნეტავ სასამართლოს შემდე-
გაც სიკვდილმისჯილები საერთო საკნებში რომ ჰყავდეთ, რა
დაშავდება ვითომ?“

რა სიმხიარულე იყო – ფიქრისა და დარდისათვის ღამით თუ
მოიცლიდი მხოლოდ და ეს ღამეც პირობითი მცნება იყო და დროის
ფრიად მცირე მონაკვეთს – საუზმიდან სადილამდე მოიცავდა
ხოლმე. ღამენათევებს ამ პერიოდში ეძინათ, ღამით კი ლაპარა-
კობდნენ, თამაშობდნენ, იგინებოდნენ, ერთმანეთს ატყუებდნენ,
ამშვიდებდნენ კიდევ და... მკითხაობდნენ. დომინოთი მრავალ-
ნაირი მკითხაობა შეიძლება და ყველა 15 წელიწადს „უწინასწარმ-
ეტყველება“ მას, ყველაზე სინდისგარეცხილი პატიმარიც კი არ
ამბობდა – დახვრეტას მოგვცემენო, არადა მისცეს...

„ემშაკსაც ნაუღია დომინო, ყველა მკითხავი და მკითხაობა,
ყველა ციხე და ყველაფერი, ყველაფერი ეშმაკს ნაუღია!“

რა ბედნიერი იქნება, ახლა რომ დაიძინოს და დილით ვე-
ლარ გაიღვიძოს – ესეც ხომ სიკვდილია, მაგრამ როგორ გან-
სხვავდება იმ სიკვდილისაგან, რომელიც მოელის. რა შემზარა-
ვია, რომ მოვლენ. აი, ეს არის შემზარავი – ორნი მოვლენ,
თითოთ გამოგიხმობენ, გაგიყვანენ, შემდეგ წვრილი, ნესტიანი
და ბინძური, რაც მთავარია, უსაშველოდ გრძელი დერეფანი
უნდა განვლო. დერეფნის ბოლოს კი ის საკანია, ის – სადაც
ხვრეტენ. იქ კი სკამზე დააბამენ და მოსკოვიდან გამოგზავნილ
ორ პატარა მომაკვდინებელ „სუვენირსაც“ სწებებენ შუბლში.
(„იმან, საფეთქელში“).

შემდეგ კი მის გვამს ფოტოგრაფმა სურათები უნდა უღოს, თვი-
თონ გვამს კი გაანადგურებენ. უბედურ დედამისს მისი ნივთები
(სადლა აქვს ნივთები) და ეს „სასიხარულო“ ამბავი მიუვა.

„იმან, ადრე რომ იმასქნეს, ისიც უთხრა, რომ ოჯახში 75
კაპიკიც გაიგზავნება სიკვდილმისჯილის დახვრეტის შემდეგ
— ეს არის ადამიანის ფასიო... აი, აბუჩად აგდება, ხომ გაუსკდა
დედაჩემს გული, ჩემს დახვრეტაზე შეიძლება არა, მაგრამ ამ
75 კაპიკზე ნამდვილად გაუსკდება გული!“

როგორ შეეჩვია ტარაკნებს. პირველად არ აჭაჭანებდა, ყველგან კლავდა. რაც აქ ჩამოათრიეს, არც კი აქცევს ყურადღებას, არც კლავს, არც ჟრუანტელი უვლის მათ დანახვაზე (ადრე უვლიდა!) და არც არაფერი... და საერთოდ, რა დროს ტარაკანია, როცა...

იცის, ორნი შემოვლენ. სახეზე თანაგრძნობის მსგავსი რამეც კი არ ექნებათ აღბეჭდილი – არაფრისმთქმელი, უაზრო, ცივი სახეები, ოღონდ ნერვული, ძალიან ნერვული სახეები. სახეშიც უნდა შესცინოს, შემდეგ ხელები ზურგსუკან გადაიჯვარედინოს და თამამად უნდა გავიდეს გარეთ. აქ თუ რამე სახუმაროსაც იტყვის, კარგია, ძალიან კარგი.

დერეფანში ალბათ სხვებიც იქნებიან, ისინი ჩააჭდობენ ცივ, საზარელ მზერას... ის კი მთელი ღიმილით უპასუხებს და ალბათ შესძახებს — „რა, ძმებო, უნდა დამხვრიტოთ?“

„კრაზანა“ გაახენდა.

„რა ძალა ჰქონდა იმ შობელძალს – თავის დახვრეტას როგორ ხელმძღვანელობდა... მაგარი ხალხი იყო ადრე. მაგარი, ძალიან მაგარი... კი, კი, მაგარი... მაგარი... მაგარი... მაგარი...“

შენწყალებაზეც უარი უთხრეს. არადა რამდენს დარბოდა ადვოკატი — „უუჰ, მაგისი!“

„გაკეთდა ნაბიჭვარი, კაცი კი დახვრეტაზე გაუშვა! ფეხებზე არ ჰკიდია, მან ფული მიიღოს და მოსამართლესაც დიდი სიამოვნებით მომაცოლებდა ზურგში“.

15.11.83. 37-ე საკანი, ორთაჭალის ციხე

შედეგები

(25)

დღის დროს უკვე ვიცი რა უნდა გავაკეთო!

ბევრ დამსწრეებსაც, ზუსტად იგივე ვთქვი, რომ ვინც

განვი, მათაც, რომ ვინც, რომელიმე ბავშვი ~~მეგობარს~~, რომ

არც დასწრეებს ვთქვი, რომ - "რ? რა არა ბავშვ?"

... რა უნდა გავაკეთო! დამსწრეებსაც ვთქვი, რომ

რ, რა არა ვთქვი, რომ - რა არა, რა არა!

... რა არა, რა არა, რა არა, რა არა!

რ!

(18) რა



01.11.83

ლექსები უროზით და ზინიატურაბი



„მძიმე წელი, წელი სასარგებლო“
02.10.83



ქრისტე

*„ვინ ვრაცხოთ კაცად?
არ ვიცი არსად,
ვერსად ვერ ვპოვებთ მას ნმიდა არსსა.
იყო კი ერთი - ის იყო ღმერთი.
ისიც უგუნურთ კაცთ აცვეს ჯვარსა“
ვახტანგ ორბელიანი*

მაცხოვარი ზღვის ნაპირას ჩამომჯდარა და ადამიანზე ფიქრობს. მისი მზერა ზღვის მეორე ნაპირსაც სწვდება. ფიქრობს, თუმცა ყველაფერი იცის. ფიქრობს, რადგან უყვარს.

ზღვის თბილი წყალი მის ქუსლს ოდნავ ეხება და საამო სისველეს ტოვებს. თოლიები რატომღაც არ ჩანან და მზეც ნელ-ნელა ძირს მიიწევს, ჩასასვლელად ემზადება.

მაცხოვარი მზერას ზღვაში მოძრავ წერტილს მიაპყრობს და სახეს გახსნის. წერტილი თანდათან ახლოვდება და დიდდება, მაცხოვარი კი უკვე ზეიმობს, რადგან თავიდანვე შეამჩნია, ცოდნით კი სამყაროს შექმნამდე იცოდა – რამდენი ხანი ელოდა იმ ნათელ დღეს! ბედნიერი გამარჯვებულ კაცთა მოდგმას შეჰყურებს: ზღვაზე მოციქული პეტრე მოაბიჯებს: მოდის დინჯად, მშვიდად, მტკიცედ. მისი თვალები ქრისტეს შეამჩნევენ და დაირცხვენენსავით.

— აბა, რას გეუბნებოდით, — ფიქრობს მაცხოვარი და პეტრეს ჩუმად ეძახის:

— მოდი! მოდი!

02.10.83, სუკი, საკანი #18

ՇՈՒՆԵՅ

①



11306 շիշիկուտի ցուլը?
 ձի ցուլը շիշիկը,
 Յոնիկը Յոն Յոնիցյանի մեկ Ե՛նթըն շիշիկը.
 ԴԿՄ ԿՈ ՅԻԽՈ, -
 ու այս րոնիկուտ.
 ձևը ցլիկուտի ցուլը ցլիկը ցլիկը.
 3060000 0768000000

Զարեհյանի զույգը Եստիկը Եստիկուտի զույգը
 ցլիկուտը, Եստի Եստի զույգը Եստիկը Եստիկուտը.
 Եստիկուտը, այնպիսի ցլիկուտի ցլիկը, Եստիկը, Եստիկուտը.
 Զույգը Եստիկուտի ցլիկը Եստիկը Եստիկուտը և Եստիկուտը
 Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը և Եստիկուտը
 Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը.

Զարեհյանի Եստիկը Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը և
 Եստիկուտը. Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը և Եստիկուտը, Զարեհյանի
 և Եստիկուտը, Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը և Եստիկուտը, Զարեհյանի
 Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը
~~Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը~~
~~Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը~~
~~Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը~~
 Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը Եստիկուտը

ოფიციალტი ქალი

— არ გეყურება! – ისმის კაცის როხროხა ხმა.

— მოვდივარ ახლავე! – ქალი დამტვრეული ქართულით პასუხობს და ჩქარი ნაბიჯებით მისი მაგიდისკენ გასწევს.

მაგიდას „ბიძიები“ უსხედან. „სიყვარულოვიჩო“ — მიმართავენ ერთმანეთს და სამყაროს ყველაზე რთულ პრობლემებს სუფრაზე „წყვეტენ“. ლიპები წინა აქვთ გადმოგდებული. სახეებიც დანითლებულ-დაბიჟინებული. ხარის კისრებს ბევრი მოძრაობა არ უყვართ და უძრავად არიან. ქალს მამაკაცი რაღაცას ეუბნება, დანარჩენები იცინიან, ქალიც ნაძალადევ ღიმილს დაიხატავს სახეზე.

...შემოტრიალებული კი, თითქოს ძმარი დალიაო, დაიჭყანება და მჟავე გამომეტყველებას მიიღებს.

02.10.83 სუკი, საკანი #18

საქართველო

ბებერი ხარები შეუბამთ უღელში და ახვნევიანებენ მიწას. გონჯი ლოთი კი – ეჰეო, და წკნელს გადაუჭერს ორთავეს ზურგზე.

02.10.83, სუკი (18)

გამარჯვებული მკვდარი

გამარჯვებული მკვდარი მოაქვთ მხრებზე შემოდებული... ხალხი კი ქუდს იხდის და ყვავილებს აყრის.

სულ ერთი არც მკვდრისთვისაა და არც ხალხისათვის.

02.10.83, სუკი (18)

შეყვარებულნი

გოგონას ტელეფონი აბაზანაში შეუტანია და ისე ელაპარაკება თავის შეყვარებულს... თან თვალები კარებისკენ გაურბის, დედამ არ დაინახოს.

მეორე მხარეს კი ბიჭი გულიანად იცინის და უფრო და უფრო მჭიდროდ იკრავს ტელეფონს ყურთან... ბიჭის მამა კი ნალვლიანი ლიმილით შესცქერის შვილს და გადიდებულ, შავ-ჩარჩოიან მეუღლის სურათისკენ აპარებს თვალს.

02.10.83, სუკი (18)

ბავშვი არ ეთქმის, მაგრამ ვერ თმობს ბავშვობას და... თავის ბავშვთან ერთად თამაშობს.

02.10.83, სუკი (18)

კამორა

ერთი ლამაზი მწერალი ლამაზ ქალაქში ცხოვრობს, კანუდოსზე ოცნებობს, შიშით გაჰყურებს ჩრდილოეთით კამორას და... მაინც ბედავს – კამორაზე წერს წიგნს.

03.10.83, სუკი (18)

ნოსტალჯია

იტალიელები ასე გამოთქვამენ ნოსტალგიას და ამ ერთ „ჯ“-ში ჩაქსოვილია ძველ რომზე სევდა. აქ იგულისხმება ამაყი, დაუდევარი გამოთქმა: „არა უშავს – დღესაც მაგრები ვართ“ და... იგრძნობა იტალიური ენის კეთილხმოვნებაც.

...იტალიელი იტალიაშიც ემიგრანტად გრძნობს თავს – მისი სამშობლო ძველი რომია!

04.10.83, სუკი (18)

მათხოვარი

ქაშუეთთან მდგარ ბებერ ლოთს ხურდა ფულს ვჩუქნი: ის პირ-ჯვრის წერას იწყებს და თან მლოცავს... ნახევარი საათის შემდეგ კი უახლოეს სახინკლეში ვხვდები: ის ლუდს სვამს და წამდაუნუმ შესცქერის ხარბი თვალებით ბოთლს: „ხომ კიდევ ბევრი დარჩა?“

...მე ლუდის ბოთლს პირზე ვიყუდებ და სიცოცხლის დამბრუნებელ სითხეს ერთბაშად ვცლი.

04.10.83, სუკი (18)

თეთრი ბატი

გადასასვლელეზე თეთრი ბატი დავინახე: გრძელი, ზოლიანი წინდები და თეთრი კაბა ეცვა. ცხვირის გული ოდნავ ჰქონდა წამონეული. გრძელ კისერს აქეთ-იქით ატრიალებდა და მანქანებს გაბუტულ მზერას ესროდა. სიარულიც რალაც უცნაური ჰქონდა: ტანს არხევდა აქეთ-იქით და ლამაზ წელს მოშვების საშუალებას არ აძლევდა.

...უკვე გადასულმა თავი ამაყად ასწია მაღლა, მხრებში გასწორდა და შემდეგ ხალხის ტალღაში დურთა თავი – ყველა ბატი თეთრია, მაგრა ის ძალიან, ძალიან თეთრი იყო.

04.10.83, სუკი (18)

მტკვარი

შევიწროებული მტკვარი ილიმება, თავიანთი თავი შეივიწროვესო და დინჯად აგრძელებს გზას.

04.10.83, სუკი (18)

ქართველი ერის ისტორია

გაჭრილი სხეულიდან სისხლი მოედინება. სისხლს სწრაფად შედედების უნარი აქვს... ეს რომ არა, ადამიანი რამდენი ხანია უკვე, სისხლისგან დაიცლებოდა.

...მაგრამ ჭრილობა კვლავ მოუშუშებელია: შედედებული სისხლი შემხმარა და ტკიპასავით მიკვრია კანს. დაჭრილი სუნთქავს და ასეთი სისხლისთვის მადლობას უძღვნის შემოქმედს.

04.10.83, სუკი (18)

საკანი

ადგილი – რომელიც ვერ გელევა; რომელსაც დიდი სიამოვნებით შეელევი, მაგრამ... ძალიან, ძალიან გიყვარს, რადგან აქ, ამ პატარა ოთახში ყველაფერი შენით სუნთქავს, შენით არის.

სიგარეტს მოუკიდებ, რკინის საწოლზე წამოწვები, თანა-საკნელს სიტყვას გაუცვლი და გაიფიქრებ:

„არა, მაინც რა კარგია ცხოვრება!“ ქათამმა წყალი დალია და ცას ახედაო.

საკანი კი მუნჯია, მშვიდი, წყნარი. მას სტუმარი ჩემამდეც ჰყოლია და ალბათ ჩემს შემდეგაც არ მოაკლდება.

04.10.83, სუკი (18)

წმინდა გიორგი

თეთრ ცხენზე ამხედრებულა ქრისტეს ერთგული რაინდი და შუბით მარადიულ ბოროტებას გმირავს.

ბოროტებას – რომელიც იყო, არის და ახალ იერუსალიმამდე იქნება კიდეც.

დაგვიცავ, წმინდა ძლევაშემოსილო!

04.10.83, სუკი (18)

ექიტაფია დავით აღმაშენებლის საფლავზე

დავით! იყავი, ხარ და იქნები – სანამ ქართველი ერი არსებობს!
საქართველო! იყავი, ხარ და იქნები – სანამ დავით აღ-
მაშენებელი გახსოვს!

04.10.83, სუკი (18)

სირცხვილი

*„სირცხვილი მხოლოდ თვით ბუნების
სინმინდეს ბლალავს,
პატიოსნებას ბილწავს და ხდის უპატიოსნოდ”
ჯონ მილტონი*

პატარანი და უბინონი რომ იყვნენ, რომ არ იცოდნენ — რა იყო ქალი და კაცი — თამაშობდნენ ერთად, არავითარ უხერხულობას არ გრძნობდნენ და მათზე ბედნიერი, ალბათ, ადამიანი არ იყო დედამიწის ზურგზე. მრავალი წლის შემდეგ კი... დგანან მტკვრის ნაპირას და ერთმანეთს რა უთხრან, არ იციან — თუმც კვლავინდებურად უყვართ ერთმანეთი.

04.10.83, სუკი (18)

შემოდგომა

აი, ზაფხულიც გავიდა და შემოდგომა დადგა.

პეტრეს ქალაქის ერთ-ერთ ბაღში კი ალბათ თბილად ჩაცმული, სუფთა მეეზოვე დაცვენილ ფოთლებს უხეში ცოცხით ერთ კუთხეში აგროვებს, რომ შემდეგ დაწვას ან გადაყაროს.

სოჭში დამსვენებლები კი ალბათ ახლაც არიან და ზღვას დახარბებულნი დილიდან სალამომდე პლაჟზე ატარებენ დროს: იქ ჭამენ, სვამენ, კითხულობენ და უსმენენ ტრანზისტორით იუგოსლავიურ მუსიკას...

ჩემი ლამაზთვალეობა სოჭელი გოგო კი ალბათ ერთ-ერთი ბარის კუთხეში მიმჯდარა და სერიოზული სახით კოქტილს წრუპავს. შეიძლება რამე ახსენდება, შეიძლება რამეს ნანობს, შეიძლება...

ტალინი ალბათ კიდევე უფრო დამშვენდებოდა. ის ყოველთვის ლამაზია, მაგრამ შემოდგომით განსაკუთრებით.

— ტერე, ტერე, — ისმის ალბათ ხმამალალი შეძახილები, ხოლო ლუდის სარდაფიდან ვეება უღვაშებიანი ქერა კაცები ამოდიან და რალაცას ხმამალლა ლაპარაკობენ. სასტუმრო „ვირუს“ შვეიცარი სტიოპა კი ამთქნარებს და ნიანგის სახით თითქოსდა აშინებს ქალაქის სტუმრებს, თან აფრთხილებს: ნო-ომ-რები (აქ გაიზმორება კიდეც) არა გვაქვს.

ჩემს ქალაქში კი ხან ცივა და ხან თბილა... და ეს არა „ალბათ“, არამედ „ზუსტად“ — იმიტომ, რომ ჩემს ქალაქში ვარ, თან ვარ და თან არა — უცნაური იქნებოდა, სამწუხარო რომ არ იყოს.

მე მაინც ბედნიერი ვარ და მახსენდება ერთი ფრაზა: სიცოცხლე მშვენიერია!

სიცოცხლე მართლაც მშვენიერია, ბატონებო, და გამომძიებლის მიერ მოცემულ „მაღბოროს“ ნეტარებით ვაბოლებ ჩემს პატარა და სუფთა საკანში.

გარეთ კი შემოდგომაა და ჩემამდე მოღწეული ქაშუეთის ეკლესიის ზარები მამცნობენ, რომ ლოცვა დაიწყო.

10.10.83, სუკი (18)

დედა

ყველა მიწიერ ქმნილებათაგან ადამიანისთვის ყველაზე მეტად ძვირფასი და საყვარელი დედაა მხოლოდ.

ალბათ ამიტომაც დაურთო თავში კაცთა მოდგმამ მისთვის საყვარელ საგნებს სიტყვა დედა: დედამინა, დედასამშობლო, დედაბოძი...

საკნის კუთხეში მიკუნჭულა კაცისმკვლელი, პურის ქერქს ლოლნის და დედაზე ფიქრობს!

11.10.83, სუკი (18)

მძიმე წელი, წელი სასარგებლო

დავითი ორმოდან ამომძვრალა...

შეუძლებელი შეძლო, უფრო სწორად, ღმერთმა შეუძლებელი შეაძლებინა. სასწაული, ჭეშმარიტი სასწაული და კიდევ ერთხელ: „დიდება შენდა, ღმერთო!“

ასე ძლიერი ის არასოდეს ყოფილა. ღმერთს დაუდია მის მხრებზე მარჯვენა და ამ სასიამოვნო ტვირთით თუ არის ძლიერი...

წელი მძიმე, წელი სასარგებლო... ეს წელი რომ არ ყოფილიყო, ალბათ პანდემონიუმიც არასოდეს შეიმუხრებოდა, არადა შეიმუხრება...

დავითმა უკვე ხმალი იპოვა და ქრისტეს ერთგულ რაინდთა შუერთდა. მოდიან და მოიმღერიან:

*„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ნურც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება!“*

დავითი ამომძვრალა ორმოდან...

13.10.83, სუკი (18)

ბავშვი

ბავშვი ტირის და იცის – მისი გაჩუმება არ იქნება. თუ არ გაჩერდება, დედა ეზოში ჩაუშვებს.

...მართლაც, ქალს ბეზრდება გაუთავებელი ტირილი და ბავშვს ეუბნება:

— გაჩერდი, შე სასიკვდილევ, და ჩაეთრიე ქვევით... შემდეგ შორს არ წახვიდეო, თუ რაღაც ამდაგვარს აყოლებს ზურგში, მაგრამ ბავშვს არაფერი ესმის, კიბეებზე ჩარბის გამარჯვებული სახით (ცრემლები ჯერ კიდევ აქვს შერჩენილი) და ფიქრობს: „ესეც ასე!“

14.10.83, სუკი (18)

დეპრესია

საკანში ორნი არიან. ერთი ფანჯარასთან დგას და ღიღინებს, მეორეს კი მუხლებზე აქვს თავი დადებული დ ფიქრობს... შემდეგ თავს ასწევს და ფანჯარასთან მდგომს ჰკითხავს:

— სულიერი დეპრესია არასდროს გქონია?

ის კი, ფანჯარასთან მდგომი, ღიღინს შეწყვეტს, გადაიხარხარებს და კითხვით პასუხობს:

— რა არის დეპრესია?

15.10.83, სუკი (18)

ასი დღე

ასი დღე გახდა, რაც მე პატიმარი ვარ. გამოცდის, სულის წვრთნის და მარტოობის ასი დღე (ფიზიკურად არ ვარ მარტო, მაგრამ ძმები არ მყავს გვერდით და ეს უკვე მარტოობაა!).

ასი დღე! ასი წელმონწყვეტილი, ზანტი დღე, რომელიც კი არ მიიპარება, არამედ ზღაზვნით, მთქნარებით გადის.

მთელი დღე: ჭამა, „აპრავდ“, სეირნობა, ჭამა, „აპრავდ“ და კიდევ ჭამა... შემდეგ ძილი.

მთელი დღის განმავლობაში: წიგნების კითხვა, წერა, ფიქრი და თანასაკნელთან სიტყვა – ამბის გაცვლა-გამოცვლა.

ზოგჯერ სიცილი – გულიანი, გადამდები სიცილი... უფრო ხშირად კი ფიქრებში წასვლა – თუმც თავს ებრძვი, რომ არ იფიქრო.

სევდა კი არასოდეს!

იმედი, იმედი და იმედი – ყველგან და ყოველთვის, აქ კი ეს დალოცვილი სულ მთლად აუცილებელი და საჭიროა...

რწმენა გამარჯვების და იმედი მომავლის!... გარედან კი კვლავ ეკლესიის ზარების ხმა მესმის და უკვე მერამდენედ მეღვრება სიხარული გულში და მე მწამს:

„ვატერლოოს ღმერთი არ დაუშვებს!“

ასი დღე! გაზრდის, ძლიერების და მომავლის გამარჯვების სანინდარი ასი დღე... წინ აუსტერლიცია!

19.10.83, სუკი (18)

მოლოდინი

მთელი დღე საკნის კარებს შეჰყურებ – მოელი!

ძილიმოგერევასავით, საცაა, უნდა გძლიოს კიდეც, რომ კარებთან ფაჩუნი, შრიალი, ან რაიმე სხვა, გაურკვეველი ხმაური გაისმის, თავს წამონევ და მიაჩერდები კარებს – „რა? რა არის ნეტავ?“

...და ასე ყოველდღე! მომაბეზრებელი და დამღლეელია ყველაფერი ეს, მაგრამ მაინც არა უშავს, არაფერია – ღმერთი ჩვენთან არს!

...შიგნიდან კი ხმა ისმის პასუხად, დიდი, ნათელი ხმა: არს და იყო!

01.11.83, სუკი (18)

გამოცანები

1. არც ხილს ჰყიდის, არც ხორცს, არც მზესუმზირას... ბაზარშიც ვერ ნახავს კაცი, რომ ჩამომჯდარი იყოს და რამეს აქებდეს: „იყიდეთ! იყიდეთ! ჩემი ჯობიაო ყველას...”

...არადა გამყიდველია! ყველგან პატივს სცემენ, მისი ემინი-ათ და ზოგ-ზოგებს „უყვართ” კიდევ – უმეტესობამ იცის, რომ გამყიდველია – ერის მეხსიერებას სძულს და ეძულება – ვინ არის ნეტავ და რას ჰყიდის?

2. ბრწყინვალედ მოკაშკაშე და თვალისმომჭრელ ქვეყანაში, მდიდარ და ძლიერ ბაბილონში სად არის პატიოსანი კაცის ადგილი?

...კაცის, რომელსაც ძალიან უყვარს თავისუფლება, თავისი ხალხი... კაცი, რომელიც ადიდებს ჭეშმარიტ ღმერთს და სიმართლეს ამბობს ყველგან და ყოველთვის... სად არის მისი ადგილი? სად?

3. რას იმსახურებს ღორი, რომელიც ტლაპოში ჩანოლილა და ნეტარებით ღრუტუნებს?... მაგრამ ის ღორია და ეპატიება... ხალხი? ხალხი კი?

რას იმსახურებს ის ხალხი, რომელიც ყელამდეა სიბინძურეში ჩაფლული და იმ დღეს, იმ საშინელ და თავზარდამცემ დღეს, როდესაც ის სიბინძურეში მოსიარულე ზეიმობს, იხსენებს და უხარია.

...აი, ამდენი და ამდენი წლის წინ აღმოვჩნდიო ამ ჭუჭყში!

4. რა ჰქვია მას, რომელიც სიკეთეს ბოროტებას არქმევს და ბოროტებას კი სიკეთეს?

...ან მას, რომელიც ყოველივე ამას იჯერებს?

5. ხელების ცეცებით რომ კაცი მიდის გზაზე, უფსკრულს რომ მიუახლოვდება, ვერ დაინახავს და გზას გააგრძელებს – რა ჰქვია ამ კაცს?

6. კაცი რომ მამის დანატოვარ ხატს ლომბარდში მიიტანს და დაავირავებს, ნაშოვნი ფულით ნაყიდი ღვინით კი ლუციფერთან კაცის დაძმობილების სადღეგრძელოს დაღვეს – ვინ არის ის კაცი?

7. ქრისტე ერთადერთი იყო და განუმეორებელი, მაგრამ რადგან კაციც იყო, ამიტომ ადამიანის ტიპადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ (თუმც ვერავინ შეძლო ასეთ იდეალამდე ამაღლება სრულად!).

ტიპია ასევე პილატეც – ადამიანთა ის ნაწილი, რომელიც ყველაფერზე ხელს იბანს და არაფერი მას არ აწუხებს – მთავარია, თვითონ იყოს კარგად!

ტიპია ის ბრბოც, რომელიც იერუსალიმს შემობრძანებულ მაცხოვარს „ოსანას“ შეძახილებით ხვდებოდა, რამდენიმე დღის შემდეგ კი ხმამაღლა გაჰყვიროდა „ჯვარს აცვი! ჯვარს აცვი!“

ტიპია ასევე ფარისეველიც – ყველას დასანახად რომ მორწმუნისა და კეთილი ადამიანის როლს თამაშობს, ყველას მაღლიდან დაჰყურებს, სინამდვილეში კი ჭეშმარიტებას დანით დასდევს დასაკლავად.


ტიპია იუდაც – მისნაირნი მრავლად იყვნენ და არიან კიდევ. გაყიდიან ადამიანს, გაყიდიან ყოველივე წმინდას და მიხვდებიან რა თავიანთი საქციელის სიმდაბლეს – თავს იკლავენ. დამახინჯებული, მაგრამ მაინც სინანულია.

...მაგრამ იმ ტიპს რა ჰქვია ადამიანისას, იუდას საქციელს რომ ჩადის – მაგრამ თავს არ იკლავს.

არ იკლავს არა იმიტომ, რომ ჭეშმარიტი სინანული დაეუფლა და შემდგომი კეთილი საქციელით სურს ცოდვების გამოსყიდვა... არამედ იმიტომ, რომ თავი დამნაშავედ არ მიაჩნია.

დადის დინჯად, ამაყად, ხალხს ზიზღიან მზერას ესვრის ხოლმე და ღრმად არის დარწმუნებული საკუთარ სიმართლესა და ღირსებაში... რა ჰქვია?

11.10.83, სუკი (18)



სახარავი

ივდაქუმისგან.....	7
უღიმესი მადლობა - გუჩამ ღმრანაშვილი	12

იმანები

ორმინტეხე	23
მოსე.....	105

მითხმობები და ესეიზები

ახალი იეხემიას გოდება	213
იამდენიმე სუხათი უცნაუი ბავშვის ცხომეხებიდან.....	221
ხვად.....	225
გზაბნეუნნი და ეხთი.....	227
იოგოი დასახლდენი ქახთველები საქახთველში	242
გმიხები.....	244
იგი მიღის.....	246
ჟადოქახი	249
ქადაქგახეთ.....	252
მოქლე ისტომიას.....	259
მახტი.....	261
ჰანიბალი	264
მახადის გოდება	267
ზახთმებედილი	275
ღანდი.....	277

ვილაც მოკვდა.....	279
მათხმვაჰი	282

უთახილონი

მეღა.....	287
ნინო (სუხათები ქახთლის მოქცევიდან).....	290
თემუი-ღენგის შემოსვდა საქახთველოში.....	301
შევხვდებით ქანანში.....	305
აპოკალიფსი.....	311

მწვანე ხვეუციდან

მე ვახ უაცი იგი!.....	317
ტუბილი გოგო	324
Dies irae, dies illa!	329
ოღიმჰოს მკვიდიანი	334
ჰანდემონიუმი	338
„მაუხთხე...“	347
ძალი, ხომელიც ახ ჰყუფს.....	352
სიუვილიმისილი (ღაუმთავიბელი მოთხიობა).....	355

ღუქსები ჰომოთ და მინიატუხები

„მძიმე წელი, წელი სასახებლო“

ქიხსტე.....	367
ოფიციატე ქალი.....	369

საქართველო	369
გამახვილებული მკვდახი.....	369
შეყვახებულნი	370
*** (უსათაუხო)	370
ქამოხა.....	370
ნოსტაღჯია	370
მათხოვახი	371
თუთი ბატი	371
მტყვახი	371
ქართველი უხის ისტოხია.....	372
საქანი	372
წმინდა გომოგი	372
ეპიტაფია დავით აღმაშენებლის საფლავზე.....	373
სიხცხვილი.....	373
შემოღგომა	373
ღედა.....	374
მძიმე წელი, წელი სასახგებლო	375
ბავშვი.....	375
ღეჰესია	376
ასი ღლე	376
მოღღინი.....	377
გამოყანები	378

გიორგი ჭანტუჩია

რჩეული